

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია

ენათმეცნიერების ინსტიტუტი

ანტონ კიჭირია

მარტივი წინადადების  
შედგენილობა ქართულურ  
ენებში



„მეცნიერება“

თბილისი

1982

მონოგრაფიაში მ.მობილულია მარტივი წინადადების შედგენილობა ქართველურ ენათა (ქართულის, ზანურის, სვანურის) მდიდარი მასალის მონაცემების მიხედვით. შრომის პირველ ნაწილში განხილულია შესიტყვეების საკითხები, შემდეგ—წინადადების აგებულება, მთავარი და მეორეხარისხოვანი წევრები, მათი გამოხატვის საშუალებანი და ურთიერთმიმართება, გათვალისწინებულია ქართულ ენის დიალექტებში შემონახული არქაული ფორმებიც.

На основании материалов картвельских языков (грузинского, заисского и сванского) в монографии дан подробный анализ простого предложения. В первой части освещаются вопросы словосочетаний. Центральное место занимает анализ предложения. Рассматриваются такие вопросы, как принципы построения предложения, главные и второстепенные члены предложения и их взаимоотношения. Наряду с этим в труде проанализированы архаичные формы, сохранные в диалектах грузинского языка.

## I. შესიტყვება

§ 1. შესიტყვების შესწავლის ისტორიიდან. შესიტყვება წარმოადგენს მარტივ სინტაქსურ ერთეულს და მოიცავს სინტაქსურად შეწყობილ ორ ან მეტ სრულმნიშვნელოვან სიტყვას. მისი „შინაარსი შეიძლება გადმოგვემდეს სრულ მსჯელობას (ანუ, როგორც იტყვიან ჩოლმე, აზრს) და წარმოადგენდეს წინადადებას ანდა გადმოგვემდეს აზრის ნაწილს და, ზოგჯერ — უაზრობასაც“<sup>1</sup>.

შესიტყვების შესწავლის ისტორია სინტაქსის ისტორიაა. ეს უკანასკნელი კი თვრამეტ საუკუნეს ითვლის და დაკავშირებულია მეორე საუკუნის ბერძენი გრამატიკოსის აპოლონიოს დისკოლოს სახელთან. სწორედ მან, ალექსანდრიული სკოლის დიდმა ბერძენმა გრამატიკოსმა, საფუძველი ჩაუყარა ბერძნულ სინტაქსს. რვა მეტყველების ნაწილთაგან, მისი აზრით, შესიტყვებაში მთავარ როლს ასრულებენ ზ მ ნ ა და ს ა ხ ე ლ ი. აპოლონიოს დისკოლო გახსაზღვრავს სინტაქსს როგორც მოძღვრებას შესიტყვების შესახებ. აპოლონიოსის გრამატიკული სისტემა დაედო საფუძველად გვიანდელ სასკოლო გრამატიკებს<sup>2</sup>.

შესიტყვების შესწავლის ისტორია რუსეთში მ. ლომონოსოვის გრამატიკით იწყება (მისი „Российская грамматика“ დაიწერა 1754 წელს, გამოქვეყნდა 1755 წელს). თუმცა მას ტერმინი „სინტაქსი“ არ უხმარია, მაგრამ ვრცლად ჩერდება სხვადასხვა მეტყველების ნაწილთა შეკავშირებაზე, სიტყვათა სინტაქსურ ურთიერთობაზე.

შემდგომში ამ საკითხის შესწავლისადმი ინტერესი არ შენელებულა, ოღონდ გაჩნდა აზრთა სხვადასხვაობა: შესიტყვების გაგება, მისი სტრუქტურის ანალიზი სხვადასხვანაირად აისახა სხვადასხვა საენათმეცნიერო მიმდინარეობის წარმომადგენელთა გამოკვლევებში.

<sup>1</sup> არნ. ჩ ი ქ ო ბ ა ე ვ ა, ენათმეცნიერების შესავალი. თბ., 1952, გვ. 286.

<sup>2</sup> БСЭ т. 2, с. 557. აპოლონიოს დისკოლოს მრავალრიცხოვან წიგნთაგან შემონახულია მხოლოდ ოთხი, რომელთაგან ყველაზე მნიშვნელოვანია „სინტაქსი“.

სიტყვათა სინტაქსური ურთიერთობის საკითხები გათვალისწინებულია ნ. გრეჩის, ი. დავიდოვის, თ. ბუსლაევისა და ა. პოტებნიას ენათმეცნიერულ სისტემაში, მაგრამ მათ შესიტყვება არ მიუჩნევიან სინტაქსური მეცნიერების დამოუკიდებელ ერთეულად<sup>3</sup>.

მეორე მხრივ, შესიტყვების საკითხები გაშუქებულია ა. ვოსტოკოვის, ფ. ფორტუნატოვის, მ. პეტერსონის, ა. შახმატოვის, ა. პეშკოვსკის, ვ. სუხოტინის, ვ. ვინოგრადოვისა და სხვათა გამოკვლევებში.

ა. ვოსტოკოვი, რომელსაც თვლიან რუსული მეცნიერული გრამატიკის ერთ-ერთ ფუძემდებლად, ეხება შესიტყვების საკითხებს და თავის „რუსული ენის გრამატიკაში“ ითვალისწინებს სიტყვათა შორის სინტაქსური ურთიერთობის რიგ მოვლენებს. მისი აზრით, სინტაქსი გრამატიკის ნაწილია და გვიჩვენებს წესებს, რომლის მიხედვითაც ერთდებიან სიტყვები მეტყველებაში<sup>4</sup>.

ფ. ფორტუნატოვს აღნიშნული აქვს, რომ „მეტყველებაში შესიტყვებას მე ვუწოდებ მნიშვნელობის მიხედვით ისეთ მთლიანს, რომელიც იქმნება ერთი სრულმნიშვნელოვანი სიტყვის (და არა ნაწილაკის) შეერთებით სხვა სრულმნიშვნელოვან სიტყვასთან, იქნება ის გამოხატულება მთელი ფსიქოლოგიური მსჯელობისა, თუ გამოხატულება მისი ნაწილისა“<sup>5</sup>.

აქვე ფ. ფორტუნატოვი განასხვავებს გრამატიკულსა და არაგრამატიკულ შესიტყვებებს. პირველში გულისხმობს ასეთ შესიტყვებებს:

---

<sup>3</sup> Практическая русская грамматика, изданная Н. Гречем, 2-е изд. СПб., 1834; И. И. Давыдов, Опыт общесравнительной грамматики русского языка, СПб., 1853; Ф. И. Буслаев, Опыт исторической грамматики русского языка, М., 1858; А. А. Поттебня, Из записок по русской грамматике, ч. 1—11, Харьков, 1888.

<sup>4</sup> А. Х. Востоков, Русская грамматика по начертанию его же сокращенной грамматики, СПб., 1835, с. 219. ამ გრამატიკაში პირველად იყენებს იგი „შესიტყვებას“.

<sup>5</sup> Ф. Ф. Фортунатов, О преподавании грамматики русского языка в средней школе: «Труды I съезда преподавателей русского языка в военно-учебных заведениях, СПб., 1904, с. 393.

ფ. ფორტუნატოვის ენათმეცნიერული შეხედულებანი დაწვრილებით მიმოხილულია არნ. ჩიქობავას მონოგრაფიებში: „მარტივი წინადადების პრობლემა ქართულში“, თბ., 1928, გვ. 76—87 (II გამ., თბ., 1968, გვ. 60—68); „ზოგადი ენათმეცნიერება“, II, თბ., 1945, გვ. 329—336 და სხვა; ამიტომ ამაზე არ შევჩერდებით. შესიტყვებასთან დაკავშირებით ვრცელი ანალიზი მოცემული აქვს აგრეთვე ვ. სუხოტინს. В. П. Сухотин, Проблема словосочетания в современном русском языке, კრებ. «Вопросы синтаксиса современного русского языка», М., 1950, с. 127—182.

птица летит, птица летящая, хорошая погода, погода хороша... აქ სიტყვათა დამოკიდებულება გამოხატულია სათანადო ფორმებით. არაგრამატიკული შესიტყვებაა ისეთი შესიტყვებები, რომელთა კომპონენტები არ საჭიროებენ ენის ფორმებით სიტყვათა დამოკიდებულების გამოხატვას, მაგ., პოეტ Пушкин, сегодня мороз...

შესიტყვებაში შეიძლება შედიოდეს ქვემდებარე და შემასმენელი. ამის მიხედვით ფ. ფორტუნატოვმა მოგვცა დასრულებული და დაუსრულებელი შესიტყვებები. დასრულებულ შესიტყვებად მან მიიჩნია ქვემდებარე-შემასმენლის ურთიერთობაზე დამყარებული შესიტყვება, რომელიც ამავე დროს წინადადებაა. დასრულებული შესიტყვება და წინადადება ენათმეცნიერებაში სრული სინონიმებიანია — აღნიშნავს იგი. ხოლო, თუ შესიტყვებაში არაა ქვემდებარე და შემასმენელი, ფ. ფორტუნატოვი მას უწოდებს დაუსრულებელ შესიტყვებას.

ფ. ფორტუნატოვი ეხება რთულ შესიტყვებებსაც, „რომელთა შემადგენლობაში შედიან სხვა შესიტყვებები, როგორც მათი შემადგენელი ნაწილები და გამოხატულება ფსიქოლოგიური მსჯელობის რთული ნაწილებისა“<sup>6</sup>.

მ. პეტერსონი, როგორც ფ. ფორტუნატოვის სკოლის წარმომადგენელი, თავის სინტაქსურ მოძღვრებას მასწავლებლის შეხედულებას უდებს საფუძვლად. მან სცადა სინტაქსის ობიექტად შესიტყვება გამოეცხადებინა, ხოლო შესიტყვებიდან გამოერიცხა წინადადება და მისი წევრები. ამავე დროს მ. პეტერსონი განიხილავს წინადადებასაც, რომელიც, მისი აზრით, ინტონაციური ერთიანობაა, და შედგენილობის მიხედვით შეიძლება იყოს წარმოდგენილი ერთი სიტყვით (Пожар! Светает. Ваня! Э!), შესიტყვებით (Я пишу. Степь зазеленела. Боря болен. Здесь хорошо...) და შესიტყვებათა შეერთებითაც. აქვე რთული წინადადება განხილულია, როგორც შესიტყვებათა შეერთება<sup>7</sup>.

მ. პეტერსონის სინტაქსური შეხედულებანი და მათ შორის მია მიერ შესიტყვების გაგება ჩვენს საენათმეცნიერო ლიტერატურაში

<sup>6</sup> Ф. Ф. Фортунатов, О преподавании грамматики русского языка в средней школе, с. 398.

<sup>7</sup> М. Петерсон, Очерк синтаксиса русского языка, Москва-Петроград, 1923, с. 123—124; მისივე, Лекции по соврем. русскому лит. языку, М., 1941, с. 94.

საკმაოდ გაშუქებულია (არნ. ჩიქობავა, ვ. ვინოგრადოვი, ვ. სუხოტინი და სხვ.)<sup>8</sup>.

არნ. ჩიქობავა, რომელმაც ვრცლად დაახასიათა მ. პეტერსონის შეხედულება და მოგვცა მისი კრიტიკული ანალიზი, აღნიშნავს: „არსებითად მართებულია და მისაღები სინტაქსის საგნად შესიტყვეების აღიარება და შესიტყვეებაში ფორმის გარდა ფუნქციის ძიება. საკითხია, შეიძლება თუ არა ფუნქციაც სინტაქსის საგნად გამოცხადდეს, მაგრამ უდავოა, რომ მხოლოდ ფორმის გათვალისწინებით მეტყველების სინამდვილე ვერ ამოიწურება“<sup>9</sup>.

შესიტყვეების შესახებ ა. პეშკოვსკის გაგებამ ფართო გავრცელება პოვა. მისთვის გრამატიკის ძირითადი ერთეულებია სიტყვა და შესიტყვება. აქედან გამომდინარე სინტაქსი არის „გრამატიკის ნაწილი, რომელშიც შეისწავლება შესიტყვეების ფორმები“<sup>10</sup>, ხოლო წინადადება, როგორც გარკვეული სახის შესიტყვება, ემორჩილება შესიტყვეების კანონს.

ა. პეშკოვსკისათვის შესიტყვეებას გვაძლევს ორი სიტყვა ან რიგი სიტყვებისა, რომლებიც გაერთიანებულია მეტყველებასა და აზრში<sup>11</sup>. მაშასადამე, შესიტყვეებას ქმნის არა ყოველი ორი სიტყვის შეერთება, არამედ მხოლოდ ისეთებისა, რომლებიც გაერთიანებული არიან აზრში.

სიტყვისა და შესიტყვეების ფორმათა დასაპირისპირებლად ა. პეშკოვსკი იღებს ასეთ მაგალითებს: хочу, читаю, сестра, книга. მიუხედავად იმისა, რომ მათ აქვთ საკუთარი ფორმები, ასე შეერთებისას არ გვაძლევენ არავითარ განსაზღვრულ აზრს. თუ ვინმე იტყვის хочу читаю сестра книга, ჩვენ მისგან ამოვკრეფთ სიტყვებს, თითქოს მას ეთქვას: хоч—чит—сестр—книг, ე. ი. სრულიად უარს ვიტყვოდით ფორმებზე და ვილაპარაკებდით მხოლოდ ძირებით. ასეთივე მდგომარეობა იქნება, თუ ვიტყვით хотим читаю сестры книге..., მაგრამ თუ ჩვენ გვეტყვიან хочу читать сестре книгу ან хочу читать книгу сестры,

<sup>8</sup> არნ. ჩიქობავა, მარტივი წინადადების პრობლემა ქართულში, გვ. 117—122; В. В. Виноградов, Исследования по русской грамматике, М., 1975, с. 517—532; В. П. Сухотин, Проблема словосочетания в современном русском языке. Крებ. «Вопросы синтаксиса современного русского языка», М., 1950, с. 135—139.

<sup>9</sup> არნ. ჩიქობავა, მარტივი წინადადების პრობლემა ქართულში, გვ. 94.

<sup>10</sup> А. М. Пешковскій. Русский синтаксис в научном освещении, М., 1938, с. 62. ა. პეშკოვსკის სინტაქსური შეხედულებანი დაწვრილებით აქვთ მიმოხილული არნ. ჩიქობავას (ა. ჩიქობავა, მარტივი წინადადების პრობლემა ქართულში, გვ. 73—78, 95—99...) და ა. ბელოვს (А. И. Белов, А. М. Пешковский как лингвист и методист, М., 1958).

<sup>11</sup> А. М. Пешковскій, Русский синтаксис..., с. 63.

ან კიდევ სестრა хочет читать книгу. ყველაფერი ვასაგები იქნება. მაშასადამე, იმისათვის, რომ რომელიმე შეკავშირება სიტყვებისა იყოს შესიტყვება, ე. ი. ჰქონდეს განსაზღვრული აზრი, არაა საკმარისი, რომ შესიტყვებაში შემავალ ყოველ სიტყვას ჰქონდეს თავისი ფორმა, არამედ საჭიროა კიდევ, რომ მათ ჰქონდეთ განსაზღვრული სახე, განსაზღვრული შინაგანი და გარეგანი აგებულება და, აი. ამ აგებულებას ჩვენ ეუწოდებთ ფორმას, მაგრამ არა სიტყვის ფორმას, არამედ შესიტყვების ფორმას<sup>12</sup>.

სიტყვის ფორმისა და შესიტყვების ფორმის ასეთი დაპირისპირება მართებულია. სიტყვის ფორმა არ კმარა იმისათვის, რომ შესიტყვების ფორმა მივიღოთ; მაგრამ სიტყვის ფორმისა და შესიტყვების ფორმის გაგება ა. პეშკოვსკის მიერ თითქმის ერთნაირია, რამდენადაც მისთვის სიტყვის ფორმა განისაზღვრება უნარით, მოლაპარაკისა და მსმენელის ცნობიერებაში გამოიყოს ბგერობრივად და მნიშვნელობის მიხედვით შემდეგი ორი სახის ელემენტი: ნ ი ვ თ ი ე რ ი და ფ ო რ მ ა ლ უ რ ი<sup>13</sup>. ხოლო შესიტყვების ფორმა განისაზღვრება, როგორც თვისება მთელი შესიტყვებისა... გამოიყოს ბგერისა და მნიშვნელობის მიხედვით მოლაპარაკისა და მსმენელის ცნობიერებაში ორი სახის ელემენტი: ნივთიერი და ფორმალური<sup>14</sup>.

ამის საფუძველზე ა. პეშკოვსკის აღნიშნული აქვს, რომ გრამატიკის ის ნაწილი, რომელშიც შეისწავლება ცალკეული სიტყვების ფორმები, იწოდება მ ო რ ფ ო ლ ო გ ი ა დ და გრამატიკის ის ნაწილი, რომელშიც შეისწავლება შესიტყვებათა ფორმები, იწოდება ს ი ნ ტ ა ქ ს ა დ<sup>15</sup>.

ა. პეშკოვსკი აღნიშნავს, რომ შესიტყვების შემადგენლობაში (ქვემდებარესთან ერთად) შეიძლება იყოს შემასმენელი, ან შეიძლება შემასმენელი არ იყოს, მაგრამ ჩანდეს გამოტოვებული შემასმენელი, ან იყოს მხოლოდ შემასმენელი. ასეთი შესიტყვება წინადადებაა. თუ ამგვარი შესიტყვება ორი ან რამდენიმეა, იგი რთული შენაერთია, ანუ რთული წინადადებაა<sup>16</sup>.

ა. პეშკოვსკი იღებს ასეთ წინადადებას И тут всем существом ему почувствовалось, что наступила, наконец, псра мысль о побеге привести в исполнение და აღნიშნავს—ამ წინადადების ნაწილები, როგორცაა всем существом, ему почувствовалось, наступила наконец, о побеге, мысль о побеге, в исполнение, привести в

<sup>12</sup> А. М. Пешковскій, Русскій синтаксис..., с. 63.

<sup>13</sup> იქვე, გვ. 52.

<sup>14</sup> იქვე, გვ. 72.

<sup>15</sup> იქვე, გვ. 64.

<sup>16</sup> იქვე, გვ. 185.

исполнение—ჩვენ მიგვაჩნია შესიტყვებებად, ხოლო ისეთები, როგორცაა тут всем, существом ему, пора мысль, о побеге привести—არ მიგვაჩნია ასეთადო. ბოლოს ასკვნის: ზემოაღნიშნულ მაგალითში შეიძლება გამოვყოთ როგორც ცალკეული შესიტყვებები: ა) существом ему почувствовалось, სადაც ერთი ნაწილთაგანი წარმოადგენს შესიტყვებას существом + ему почувствовалось; б) всем существом ему почувствовалось; в) тут всем существом ему почувствовалось; г) наступила, наконец, пора; д) наступила, наконец, пора мысль о побеге привести; е) наступила, наконец, пора мысль о побеге привести в исполнение. აქვე ასკვნის: დასასრულ, მთელი ეს მაგალითი, რომელიც შედგება ორი წინადადებისაგან, შეიძლება განვიხილოთ, როგორც ერთი შესიტყვება, თუმცა შედგება ორი წინადადებისაგან, რამდენადაც წარმოადგენს ერთ ფსიქო-ფიზიკურ ერთიანობას<sup>17</sup>.

ა. პეშკოვსკი შესიტყვებაში არჩევს მთავარსა და დამოკიდებულ სიტყვებს. მთავარი — წამყვანი სიტყვაა, დამოკიდებული — მას უკავშირდება. დაქვემდებარება თავის მხრივ გვაძლევს სამ ძირითად სახეს. ეს სახეებია: მართვა, შეთანხმება და მიერთვა<sup>18</sup>.

ა. პეშკოვსკი, ისევე როგორც ფ. ფორტუნატოვი, მ. პეტერსონი და სხვები, გამოყოფს თანწყობილ შესიტყვებებსაც, რომელთა შემადგენელი ნაწილები ერთმანეთის მიმართ თანაბრონი არიან: 1. ისეთი შეკავშირება, რომელიც შედგება „მიმატებისა“ (приложение) და იმ სიტყვისაგან, რომელსაც „მიმატება“ ერთვის, 2. ისეთი შეერთება, რომელიც შედგება შერწყმული წინადადების ერთგვარი წევრებისაგან<sup>19</sup>.

ამგვარად, ა. პეშკოვსკის სინტაქსური მოძღვრების მიხედვით:

1. შესიტყვება სინტაქსის ობიექტია. იგი მოიცავს ორ ან მეტ სიტყვას, რომლებიც ერთმანეთთან დაკავშირებულია თანწყობით ან დაქვემდებარებით. პირველი გულისხმობს შესიტყვების ისეთ ფორმას, როდესაც კომპონენტები შეერთებულია უკავშიროდ ან კავშირით და იმყოფებიან თანაბარუფლებიან დამოკიდებულებაში. მეორე ისეთი შესიტყვებაა, სადაც ერთი სიტყვა მთაკარია, მეორე — მასზე დამოკიდებული, რომელიც უკავშირდება მთავარს შეთანხმებით, მართვით ან მიერთვით.

2. შესიტყვებას ქმნიან წინადადების მთავარი წევრები. მთავარი და მეორეხარისხოვანი წევრები ან მხოლოდ მეორეხარისხოვანი წევრები.

<sup>17</sup> А. М. Пешковскии, Русский синтаксис..., с. 62—63.

<sup>18</sup> იქვე, გვ. 84.

<sup>19</sup> იქვე, გვ. 83—84.



3. შესიტყვება შეიძლება მოიცავდეს მთელ წინადადებასაც: მარტივს, შერწყმულს, რთულს.

4. შესიტყვებას აქვს თავისი ფორმა.

შესიტყვების საკითხები ვრცლად აქვს განხილული ა. შახმატოვს. ა. შახმატოვი შესიტყვებად თვლის ყოველგვარ გრამატიკულ მთლიანობას. გრამატიკული მთლიანობა არის სიტყვათა ისეთი შეერთება, რომელშიც ისინი იმყოფებიან ერთმანეთს შორის გრამატიკული კავშირით<sup>20</sup>.

წინადადება, რომელიც შედგება ორი ან მეტი სიტყვისაგან, — წერს ა. შახმატოვი, — არის შესიტყვება, მაგრამ დასრულებული შესიტყვება. ამ განყოფილების სინტაქსის საგანი დაუსრულებელი შესიტყვებაა<sup>21</sup>.

ა. შახმატოვი მიუთითებს, რომ მოძღვრებას წინადადების შესახებ, ერთი მხრით, და მოძღვრებას შესიტყვების შესახებ, მეორე მხრით, აქვთ თავიანთ ამოცანად გამოიკვლიონ წინადადების შემადგენლობაში შემავალი ყველა ელემენტი: დასახელებული მოძღვრებიდან პირველი წარმოადგენს დამთავრებულ შესიტყვებას, მეორე — დაუმთავრებელს<sup>22</sup>.

აქვე ნათქვამია: მოძღვრებაში შესიტყვების შესახებ ჩვენ განვიხილავთ წინადადების ყველა დამოკიდებული მნიშვნელობის მქონე სიტყვას, გამოვრიცხავთ რა მისგან ისეთს, რომელიც შემასმენელის ფუნქციითაა..., დამოკიდებული შეიძლება იყოს სიტყვა ან თავისი ბუნებით, ან თავისი მდგომარეობით და თავისი გრამატიკული ფუნქციით.

თავისი ბუნებით დამოკიდებულებია: 1. არსებით სახელთა ირიბი ბრუნვები; 2. ყველა ზედსართავი სახელი...; 3. ზმნის მესამე პირის ფორმები მხ. რიცხვისა, გარდა უპირო ზმნებისა; 4. ზმნის მესამე პირის ფორმები მრ. რიცხვისა...; 5. ყველა მიმღეობა...; 6. აბსოლუტივები<sup>23</sup>.

დამოკიდებულია არა თავისი ბუნებით, არამედ მდგომარეობით არსებითი სახელები სახელობით ბრუნვაში, როგორც მიმატება (приложение), ინფინიტივები, ზმნისართები. და, ბოლოს, დამოკიდებულ სიტყვათა განსაკუთრებულ წყებას ქმნიან დამხმარე სიტყვები<sup>24</sup>.

<sup>20</sup> А. А. Шахматов, Синтаксис русского языка, Л., 1941, с. 36.

<sup>21</sup> იქვე, გვ. 274.

<sup>22</sup> იქვე, გვ. 276.

<sup>23</sup> იქვე, გვ. 276.

<sup>24</sup> იქვე.

გვაქვს დასრულებული და დაუსრულებელი შესიტყვებები იმის მიხედვით, მონაწილეობს თუ არა მასში შემასმენელი. დასრულებული შესიტყვება ეფარდება წინადადებას, დაუსრულებელი კი არაა წინადადება. დასრულებულ შესიტყვებაში გამოიხატება გრამატიკული კავშირი ქვემდებარესა და შემასმენელს შორის. მაკრამ მოძღვრება შესიტყვების შესახებ განიხილავს მხოლოდ დაუსრულებელ შესიტყვებას, რამდენადაც დასრულებული შესიტყვება, როგორც წინადადება, ცალკე შეისწავლება. ამგვარად, აღნიშნავს ა. შახმატოვი, შესიტყვების სინტაქსი უმთავრესად ეხება წინადადების მეორეხარისხოვან წევრებს და არკვევს მათს დამოკიდებულებას მთავარ წევრებთან ან მათს ურთიერთდამოკიდებულებას<sup>25</sup>.

ა. შახმატოვი მიუთითებს, რომ შესიტყვებაში გვაქვს გაბატონებული და დამოკიდებული სიტყვები. ამასთან ერთად აღმოჩნდება, რომ შესიტყვების შემადგენლობაში რამდენიმე გრამატიკულ ერთიანობაში ერთი გაბატონებულია, მეორე — დამოკიდებული. წინადადება В нашем саду на высоких деревьях ближе к пруду свили себе гнезда какне-то прелестные птички იყოფა ორ შესიტყვებად: 1. в нашем саду на высоких деревьях ближе к пруду свили себе гнезда და 2. какне-то прелестные птички. პირველი შესიტყვება იყოფა ოთხ გრამატიკულ მთლიანობად: 1. в нашем саду, 2. на высоких деревьях, 4. ближе к пруду, 4. свили себе гнезда.

აქედან გაბატონებულია უკანასკნელი გრამატიკული მთლიანობა, ვინაიდან წინამავალი სამი — მასზეა დამოკიდებული<sup>26</sup>.

ამგვარად, ა. შახმატოვის სინტაქსური მოძღვრებია მიხედვით გვაქვს დასრულებული და დაუსრულებელი შესიტყვებები. დასრულებული შესიტყვება წინადადებაა, რომელიც აგებულია ქვემდებარისა და შემასმენლის სინტაქსურ ურთიერთობაზე. დაუსრულებელი შესიტყვება მოიცავს წინადადების მეორეხარისხოვან წევრებს და აგებულია იმ სინტაქსურ ურთიერთობაზე, რომელიც დამყარებულია მეორეხარისხოვან წევრებს შორის, ან პირველხარისხოვანსა და მეორეხარისხოვან წევრებს შორის. მოძღვრება შესიტყვების შესახებ განიხილავს ამ უკანასკნელს.

<sup>25</sup> А. А. Шахматов. Синтаксис русского языка, с. 274.

<sup>26</sup> იქვე, გვ. 37. დაწვრილებით: არნ. ჩ ი ქ ო ბ ა ე ა, მარტივი წინადადების პრობლემა ქართულში, გვ. 101—112; მისივე, ზოგადი ენათმეცნიერება, II, გვ. 336—345; В. П. Сухотини, Проблема словосочетания в соврем. русском языке: Вопросы синтаксиса совр. русского языка, с. 140—143; В. В. Винogradov, Исследования по русской грамматике, М., 1975, с. 357—419; ა. კ ი ზ ო რ ი ა. მარტივი წინადადების შედგენილობა ძველ ქართულში, თბ., 1963, გვ. 19—21.

ა. ხოლოდოვიჩის აზრით, შესიტყვება მოიცავს მთელ წინადადებასაც და მის ნაწილებსაც. შესიტყვება, რომლის შექადგენლობაში გვაქვს წინადადება, არის გავრცობილი შესიტყვებაო — წერს იგი. შესიტყვებაში შედის წამყვანი სიტყვა, ძირითადი სიტყვა, რომელსაც უკავშირდება სხვა სიტყვა, რომ შეიქმნას შესიტყვება. როცა წამყვანი სიტყვა ქვემდებარეა, გვაქვს სუბიექტური შესიტყვება; როცა წამყვანი სიტყვა შემასმენელია — პრედიკატული შესიტყვება<sup>27</sup>.

სპეციალურ გამოკვლევაში „Проблема словосочетания в современном русском языке“<sup>28</sup> ვ. სუხოტინი დაწვრილებით მიმოიხილავს სხვადასხვა სამეცნიერო სკოლისა და მიმართულებათა წარმომადგენლების შეხედულებებს. აქვე ვახსილულია შესიტყვების სტრუქტურისა და გამოხატვის საშუალებათა საკითხები რუსულში.

ვ. სუხოტინის აზრით, შესიტყვება არის სიტყვათა აზრობრივი და გრამატიკული მიწინააღმდეგარე გავრთიანება წინადადების შემადგენლობაში და ქმნის სინტაქსურ მეცნიერებაში ცალკე ობიექტს<sup>29</sup>.

ვ. სუხოტინი აქვე მიუთითებს, რომ რუსულ ენაში განსაკუთრებით დიდ როლს თამაშობენ წყვილები, მაგრამ ამათონ ერთად გვხვდება სამ და ოთხსიტყვანი შესიტყვებები, მაგ. он из кожи лезет, работает спустя рукава, ученики будут читать..., надо было перестать говорить<sup>30</sup>.

ვ. სუხოტინის აზრით, შესიტყვების ელემენტები შეიძლება აღმოჩნდეს ერთგვარი და არაერთგვარი. პირველი სახის შესიტყვება მიიღება სიტყვათა თანწყობით და შედგება კავშირით ან უკავშიროდ შეერთებული ერთგვარი წევრებისაგან (учитель и инженер, брат и писатель). მეორე სახის შესიტყვებაში კომპონენტა დაქვემდებარებაა: ერთი სიტყვა მთავარია, მეორე — მასზე დამოკიდებული. ურთერთობა გამხატულია შეთანხმებით, მართვით ან მირთვით<sup>31</sup>.

ვ. სუხოტინის შესიტყვების ცნება ასე აქვს გაგებული: შესიტყვება შედგება ორი ან მეტი სიტყვისაგან, ემყარება როგორც წინადადების მთავარი წევრების ურთერთობას, ასევე მეორეხარისხო-

<sup>27</sup> А. А. Холодович, Синтаксис японского военного языка, М., 1937, с. 17.

<sup>28</sup> კრებულში «Вопросы синтаксиса современного русского языка», М., 1950.

<sup>29</sup> В. П. Сухотин, Проблема словосочетания..., с. 151.

<sup>30</sup> იქვე, გვ. 156.

<sup>31</sup> იქვე, გვ. 176.

ვანი წევრებისა და პირველი და მეორეხარისხოვანი წევრების ურთიერთობასაც. გვაქვს პრედიაკატული და არაპრედიაკატული შესიტყვებები. პრედიაკატული შესიტყვება გადმოგვცემს რაიმე ფაქტს და იქმნება ქვემდებარისა და შემასმენლის დამოკიდებულების შედეგად. ასეთი შესიტყვება არის სტრუქტურული საფუძველი ანუ „ჩონჩხი“ წინადადებისა.

არაპრედიაკატულ შესიტყვებაში არ იგულისხმება ქვემდებარისა და შემასმენლის დამოკიდებულება. ასეთი შესიტყვება არ წარმოადგენს წინადადებას<sup>32</sup>.

ვ. ვინოგრადოვს შესიტყვების საკითხებზე არაერთგზის გაუმახვილებია ყურადღება. მას ეკუთვნის ვრცელი შესავალი წერილი სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტის მიერ გამოქვეყნებული გრამატიკისა<sup>33</sup>. ნაწილები ამ შესავლისა ცალკეცაა დაბეჭდილი<sup>34</sup>; საბოლოოდ მთლიანად შეჯამებულია ავტორის „რჩეულ შრომებში“ — „Исследования по русской грамматике“ (М., 1975).

ვ. ვინოგრადოვის შეხედულება შესიტყვების შესახებ საფუძვლად დაედო მომდევნო წლების სხვა ავტორთა გამოკვლევებს.

შესიტყვება — წერს ვ. ვინოგრადოვი — ყალიბდება სიტყვის საფუძველზე, რომელიც მიეკუთვნება ამა თუ იმ მეტყველების ნაწილს მოძღვრება შესიტყვების შესახებ ... მჭიდროდ დაკავშირებულია მეტყველების ნაწილების შესახებ მოძღვრებასთან<sup>35</sup>. უფრო ადრე მას აღნიშნული ჰქონდა: შესიტყვება არის რთული სახელდება. ის ატარებს იმავე ნომინატიურ ფუნქციას, რასაც სიტყვაო<sup>36</sup>.

და ასე: „შესიტყვება მხოლოდ საშენი მასალაა წინადადებისათვის“<sup>37</sup>; „შესიტყვებას ისევე, როგორც სიტყვას, აქვს შესაძლებ-

<sup>32</sup> ო. იესპერსენი პრედიაკატული შესიტყვებისათვის იუნებს ნ ე ქ ს უ ს ს. ნექსუსი გამოხატავს პრედიაკატულ დამოკიდებულებას, რომელიც შექმნილია ქვემდებარე-შემასმენლის ურთიერთობით და, ამდენად, აღნიშნავს წინადადებას (მაგ., „ძალი ყფეს“); სხვა შემთხვევაში იგი ნაწილია წინადადებისა. არაპრედიაკატული შესიტყვება იუ ნ ე კ ი ა ა (მაგ., „მუფთარი ძალი“). О. Е с п е р с е н, Философия грамматики, М., 1958. с. 108, 130, 149.

<sup>33</sup> Грамматика русского языка, II, Синтаксис, ч. I, ч., 1954, с. 5—111.

<sup>34</sup> Вопросы изучения словосочетаний («Вопросы языкознания», № 3, 1954, с. 3—24), Основные вопросы синтаксиса предложения (კრებ. «Вопросы грамматического строя», М., 1955, с. 389—435).

<sup>35</sup> В. В. В и н о г р а д о в, Исследования по русской грамматике, М., 1975, с. 234.

<sup>36</sup> В. В. В и н о г р а д о в, Русский язык, М., 1947, с. 8.

<sup>37</sup> В. В. В и н о г р а д о в, Исследования по русской грамматике, с. 222.

ლობა ფორმაცვალებისა, ე. ი. ფორმათა სისტემა<sup>38</sup>; „შესიტყვება და წინადადება თვისობრივად განსხვავებული სინტაქსური კატეგორიებია“...<sup>39</sup>

ვ. ვინოგრადოვს განხილული აქვს მარტივი და რთული შესიტყვებები. მარტივი შესიტყვება ჩვეულებრივ ორსიტყვიანია, შედგება მნიშვნელობის მქონე ორი სიტყვისაგან, მაგ. простые люди, знаменосец мира, решить задачу, усердно заниматься, движение вперед..., რთული შესიტყვება მარტივი შესიტყვების გავრცობის შედეგად მიიღება. ამასთან ერთად, ყოველი ახალი სიტყვა ან შესიტყვება, რომელიც უერთდება მარტივ შესიტყვებას, უნდა მიემატოს არა ძირითადად, მთავარ სიტყვას, არამედ მთლიან სიტყვიერ კოპლექსს, მაგ.: близкий друг, наш близкий друг, близкий друг Пушкина, близкий друг всего нашего семейства<sup>40</sup>.

ვ. ვინოგრადოვი არ იზიარებს დებულებას ე. წ. თანწყობილი შესიტყვების შესახებ, რომელსაც ვხვდებით ჯონ რისის, მ. პეტერსონის, ე. პეშკოვსკისა და სხვათა სინტაქსურ სისტემებში.

თანწყობილ შესიტყვებებს უწოდებენ „სიტყვათა სუსტ ჯგუფებს“, „ლია რიგებს“ ან „დაუხშველ თანწყობას“, როდესაც შეერთებულ სიტყვებს შორის გრამატიკული კავშირი არ არსებობს. ასეთებია: война и мир; брат и сестра; не мир, но меч; ледель, рак да щука; униженные и оскарбленные; дешево и сердито; виноват а не сознается და სხვა. ურთიერთობა სიტყვათა ასეთ შენაერთებში გამოიხატება მაჯგუფებელი, მაპირისპირებელი და მაცალკეებელი კავშირებით<sup>41</sup>.

ვ. ვინოგრადოვი პრედიკატულ შესიტყვებას არ თვლის შესიტყვებად.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ როდესაც დისკუსია გაიმართა „რუსული ენის გრამატიკის“ გამოქვეყნების გამო („Грамматика русского языка“, II, Синтаксис, ч. I, 1954), სპეციალისტთა ერთმა ჯგუფმა (პ. კუზნეცოვი, ტ. ბერტაგაევი...) გაკვირვება გამოთქვა: რატომ არ უნდა მივიჩნიოთ სუბიექტისა და ზმნის სინტაქსური დამოკიდებულება შესიტყვებად<sup>42</sup>.

<sup>38</sup> В. В. Виноградов, Исследования по русской грамматике, с. 223.

<sup>39</sup> იქვე, გვ. 232.

<sup>40</sup> იქვე, გვ. 239.

<sup>41</sup> იქვე, გვ. 241.

<sup>42</sup> Обсуждение второго тома «Грамматики русского языка». Вопросы языкознания, № 4, 1955, с. 147.

ვ. ვინოგრადოვის მოსაზრებების საფუძველზე განიხილავს შესიტყვებას ნ. პროკოპოვიჩი<sup>43</sup>.

ლ. მატვეევა-ისაევა გამოკვლევაში „Словосочетания и их семантическое значение в составе предложения“<sup>44</sup> აღნიშნავს: „წინადადება შედგება სიტყვებისაგან, მაგრამ წინადადების შედგენილობაში სიტყვები შეიძლება ერთმანეთთან გრამატიკულ კავშირში იყოს მეტნაკლებად, ქმნის რა სხვა სახის შესიტყვებას“<sup>45</sup>.

ავტორის აზრით, შესიტყვება არ წარმოადგენს წინადადებას, მაგრამ ის სიტყვაზე მეტია. ამიტომაც აღნიშნავს: შესიტყვება არის შუალედური რგოლი სიტყვასა და წინადადებას შორისო<sup>46</sup>.

სპეციალური შრომები უძღვნა ვ. იარცევამ შესიტყვების საკითხებს. ესენია: 1. Пути развития словосочетания<sup>47</sup>, 2. Предложение и словосочетание<sup>48</sup> კვლევას შედგები შეჯამებულია ამავე ავტორის წიგნში „Исторический синтаксис английского языка“ (М.-Л., 1961).

ვ. იარცევას აზრით, შესიტყვება წარმოადგენს ორი სრულმნიშვნელოვანი სიტყვის აზრობრივ და გრამატიკულ ერთიანობას (მაგ., скучная книга, нести корзину). შესიტყვებას ამ ძირითად სახეს აქვს თავის სახესხვაორად გაფართოებული (скучная, непонятная книга; нести корзину и палто) და ვაერცობილი (необычайно скучная книга; нести тяжелую корзину) შესიტყვებები. დამხმარე სიტყვის შეერთება სრულმნიშვნელოვან სიტყვასთან ვერ ქმნის შესიტყვებას, ან ქმნის უსრულ შესიტყვებას<sup>49</sup>.

ვ. იარცევა აქვე აღნიშნავს: „შესიტყვებას შეუძლია გამოვიდეს როგორც ერთი წევრი წინადადებისა ან გააერთიანოს ორი წევრი“<sup>50</sup>. ძირითადი სტრუქტურული ტიპია ორწევრიანი შესიტყვება... დამხმარე სიტყვები (მაგ., წინდებულები) არ არიან შესიტყვების წევრები, მაგრამ შეუძლიათ მონაწილეობა მიიღონ როგორც მარტივ, ისე სხვა სახის შესიტყვებებში<sup>51</sup>.

<sup>43</sup> Н. Прокопович, Вопросы синтаксиса русского языка, М., 1974, с. 11—155.

<sup>44</sup> Ученые записки, т. 59. Кафедра русского языка Ленинградского пединститута, Л., 1948, с. 205—236.

<sup>45</sup> ლ. მატვეევა-ისაევა, დასახელებული ნაშრომი, გვ. 205.

<sup>46</sup> იქვე.

<sup>47</sup> კრებ. Вопросы грамматического строя и словарного состава, I, Л., 1952.

<sup>48</sup> კრებ. Вопросы грамматического строя, М., 1955.

<sup>49</sup> В. Н. Яцева, Предложения и словосочетание..., с. 450.

<sup>50</sup> იქვე, გვ. 451.

<sup>51</sup> იქვე, გვ. 447.

ვ. იარცევა გახაზავს, რომ სრულმნიშვნელოვანი და დამხმარე-სიტყვების შეერთება (მაგ., წინდებულისა და არსებითი სახელისა, როგორცაა: на столе, в комнате) არ გვაძლევს შესიტყვებას, რამდენადაც არა აქვს სტრუქტურული დამთავრებულობა. შესიტყვებებში, როგორცაა, მაგალითად, *Сильшая корзина; взять книгу* სტრუქტურული და აზრობრივი მთლიანობა განისაზღვრება ამ ორი სიტყვის შეერთებით. წინდებულთან შეერთებისას უკანასკნელი თითქოს უჩვენებს შეერთების ერთ ელემენტს: (лежит) на столе; (находится) в комнате<sup>52</sup>.

ვ. იარცევას მიუღებლად მიაჩნია საზღვარგარეთელი ავტორების (ჯონ რისის, ლ. ბლუმფილდის...) შეხედულებანი, რომელთაგანაც პირველი შესიტყვებაში აქცევს სინტაქსური ფორმების ყველა სახეს, დაწყებული ორი სიტყვის შეკავშირებით და დამთავრებული რთული წინადადებით, მეორე კი შესიტყვებად თვლის ყოველგვარი ორი ელემენტის შეერთებას, იქნება ის ქვემდებარე-შემასმენელი, მსაზღვრელი და საზღვრული, თუ ორი მორფემა<sup>53</sup>.

ვ. იარცევა მიუთითებს, რომ არაკანონზომიერია წინადადების, შესიტყვებისა და სიტყვის აღრევა. როგორც წინადადება, ასევე შესიტყვებაც შედგება სიტყვებისაგან, მაგრამ იმის წარმოდგენა, რომ შესიტყვება შუალედური მოვლენაა წინადადებასა და სიტყვას შორის, არ შეიძლება, რადგანაც ეს მოვლენები სხვადასხვა სახესაა: წინადადება შეიძლება შედგებოდეს ერთი სიტყვისაგანაც, მაგრამ შესიტყვება გულისხმობს ორ ან იშვიათად რამდენიმე სიტყვის შეერთებას. მეორე მხრივ, შეერთება ორი სიტყვისა, შინაარსის მხრივ თუნდაც შეთავსებულად იყოს ერთმანეთთან, შეიძლება არ წარმოადგენდეს შესიტყვებას<sup>54</sup>.

რ. ბუდაგოვის აზრით, შესიტყვება არის ორი ან მეტი დამოუკიდებელი სიტყვის გრამატიკულად გაფორმებული ერთეული, რომელიც არ ქმნის წინადადებას<sup>55</sup>.

რ. ბუდაგოვი შესიტყვებაზე ასეთი შეხედულებააა: 1. შესიტყვება არ ქმნის წინადადებას; 2. შესიტყვება არც „შუალედური ჯგუფია“ სიტყვასა და წინადადებას შორის; 3. შესიტყვებისათვის საჭიროა არანაკლებ ორი სრულმნიშვნელოვანი სიტყვისა; წინადადება კი შეიძლება შედგებოდეს ერთი სიტყვისაგანაც (Думаю. Работаю), ზოგჯერ ისეთისაგანაც, როგორცაა: *Взвод!*

<sup>52</sup> Предложение и словосочетание..., с. 440.

<sup>53</sup> იქვე.

<sup>54</sup> Пути развития словосочетания..., с. 29.

<sup>55</sup> Р. А. Б у д а г о в, Введение в науку о языке, М., 1958, с. 300—301.

ან ზიმა! 4. შესიტყვება არა გვაქვს ასეთ ფორმებში: в комнате; на воздух, რადგანაც ამ წყვილებში პირველი კომპონენტები არათავისთავადი სიტყვებია. გარდა ამისა, ამ შენაერთებში არა გვაქვს სემანტიკური მთლიანობა<sup>56</sup>.

წინადადების ანალიზი შეიძლება მოვახდინოთ მისი წევრებისა და შესიტყვებათა მიხედვით; მაგრამ წინადადების ანალიზი მისი წევრების მიხედვით (ქვემდებარე, შემასმენელი და ა. შ.) არ ემთხვევა წინადადების ანალიზს შესიტყვებათა მიხედვით<sup>57</sup>.

შესიტყვების საკითხებს დიდი ადგილი დაუთმო ჭ. ლომტევი<sup>58</sup>. მან სცადა მოეცა კრიტიკული ანალიზი ლოგიკისტურ და მორფოლოგიურ მიმართულებათა წარმომადგენლების სინტაქსურა შეხედულებებისა და, თავის მხრივ, დაასკვნა, რომ შესიტყვება არაა ელემენტარული ერთეული. შესიტყვება читает книгу შედგება ორი ფორმისაგან, ორივე მათგანს წინადადებაში აქვს ცალკე დანიშნულება: პირველი აღნიშნავს მოქმედებას, მეორე — ობიექტს, რომელზედაც გადადის ეს მოქმედება. წინადადება он читает აგრეთვე შესიტყვებაა, მაგრამ ის გამოხატავს მსჯელობას, რომელიც მოიცავს სუბიექტსა და პრედიკატს... ცნება შესიტყვების შესახებ არის ცნება სიტყვიერი ფორმების დამოკიდებულების შესახებ. შესიტყვება წარმოადგენს სიტყვიერი ფორმების, სიტყვიერი სიმრავლეს გაერთიანებას<sup>59</sup>.

ტ. ლომტევი შესიტყვების განსაზღვრის დღევანდელ ვითარებას უარყოფს, რამდენადაც ეს განსაზღვრა არასინტაქსურიაო. შესიტყვების განსაზღვრა, როგორც შეერთება ორი სრულმნიშვნელოვანი სიტყვიერი ფორმისა, არაა სინტაქსური განსაზღვრა, რამდენადაც ის წარმოადგენს რომელიდაც სიტყვიერი სიმრავლის ან მეტყველების მონაკვეთის მორფოლოგიურ აღწერას<sup>60</sup>.

აღრე ინტერესი გამოიწვია железная дорога-ს ტიპის შესიტყვებამ. ა. შახმატოვი კითხვას სვამდა: „შეიძლება განსაზღვრებოდ მივიჩნიოთ железная дорога-ში железная? ხომ არ შეიძლება ვიფიქროთ, რომ железная дорога დაუშლელი ნაერთია თავისი დანიშნულებით, თუმცა გრამატიკულად შეიძლება დაიშალოს“<sup>61</sup>.

<sup>56</sup> Р. А. Будагов, Введение в науку о языке, М., 1958, с. 300—301.

<sup>57</sup> იქვე.

<sup>58</sup> Т. Ломтев, Основы синтаксиса современного русского языка, М., 1958.

<sup>59</sup> იქვე, გვ. 31.

<sup>60</sup> იქვე.

<sup>61</sup> А. А. Шахматов, Синтаксис русского языка, с. 447, შტრ. 411.



ვ. ვინოგრადოვი железная дорога-ს არ იიჩნევს შესიტყვებად<sup>62</sup>. რ. ბუდაგოვის აზრით, железная дорога-ს ტიპის შესიტყვება თანამედროვე ენაში არაა თავისუფალი. იგი არ იყოფა ცალკე ნაწილებად (железная + дорога), ენაში არა გვაქვს მსგავსად ნაწარმოები „деревянная дорога“, „чугунная дорога“. железная дорога-ს ტიპის შესიტყვება არის ლექსიკურ და სინტაქსურ მოვლენათა ზღვარზე<sup>63</sup>.

ტ. ლომტევი железная дорога-ს თვლის ლექსიკურ გამოთქმად, ერთ ერთეულად. თურმე ამას მხარს უმცავებს ისიც, რომ ბელორუსულ ენაში მას შესატყვისება ერთი არსებითი სახელი განსაზღვრების გარეშე, ესაა чыгунка. чытаю письмо-ში კი письмо არის ობიექტი მოქმედებისა, როდელიც გამოხატულია чытаю—ზმნით. чытаю письмо არ არის ერთი ერთეული: მასში ორი ლექსიკური ერთეულია<sup>64</sup>.

ვ. ვინოგრადოვის, ტ. ლომტევისა და რ. ბუდაგოვის მოსაზრება, რომ железная дорога-ში არა გვაქვს შესიტყვება, მიუღებელია. ვ. ვინოგრადოვის გაგებაში შინაგანი წინააღმდეგობაცაა: შესიტყვება არის რთული სახელდება და ატარებს იმავე ხომინატურ ფუნქციას, რასაც სიტყვა<sup>65</sup>,—გვეუბნება ვ. ვინოგრადოვი,—და ამავე დროს железная дорога-ს, რომელიც სწორედ სახელდებაა და ნომინატურ ფუნქციას ატარებს, იგი შესიტყვებად არ მიიჩნევა.

ასევე მიუღებელია ასეთი მოსაზრებები: „საეჭვოა დავინახოთ შესიტყვებაში სინტაქსის უმცირესი ელემენტიც“...<sup>66</sup>

„წინადადებაში შესიტყვება... სხვა არაფერია, თუ არა სიტყვის გავრცობილი სინტაქსური ფორმა“<sup>67</sup>.

სიტყვისა და შესიტყვების გათანაბრება არ შეიძლება. მათ აქვთ თავიანთი დამოუკიდებელი სახე და შედგენილობა: „სიტყვა და შესიტყვება ერთსა და იმავე სიბრტყეზე მოთავსებული საგრამატიკო ობიექტი არ არის; ესენი სხვადასხვა ოდენობას წარმოადგენენ“<sup>68</sup>.

არაა მისაღები ტ. ლომტევის მოსაზრება: железная дорога ერთი ერთეულია, მას ბელორუსულ ენაში გადმოსცემს ერთი არსებითი სახე-

<sup>62</sup> В. В. Виноградов, Исследования по русской грамматике, с. 447.

<sup>63</sup> Р. А. Будагов, Введение в науку о языке, с. 303.

<sup>64</sup> Т. Ломтев, Основы синтаксиса..., 32.

<sup>65</sup> В. В. Виноградов, Русский язык, с. 8.

<sup>66</sup> Н. Д. Арутюнова, О синтаксической сочетаемости слогпанском языке: «Филологические науки», 1962, № 2, с. 33.

<sup>67</sup> Г. А. Золотова, Очерк функционального синтаксиса языка, М., 1973, с. 66.

<sup>68</sup> არბ. ნ ო ქ ო ბ ა ე ა, ზოგადი ენათმეცნიერება, II.

ლი (чыгунка) განსაზღვრების გარეშე, ამიტომ შესიტყვებად ვერ მივიჩნევთ.

ერთი ენის მონაცემი მეორე ენის აგებულებას ვერ განსაზღვრავს. ესეც რომ არ იყოს, ერთი და იმავე საგნის აღნიშვნა შეიძლება ერთი სიტყვითაც და შესიტყვებითაც. ამ შემთხვევაში შეიძლება ერთმანეთს დაუპირისპირდეს არა მარტო ენები, არამედ დიალექტებიც. თვით ქართულ ენაშიც გვაქვს ასეთი სურათი, მაგალითად, სიტყვა მაჟალო. მას ქართული ენის დასავლურ დიალექტებში ენაცვლება ტყისვაშლი. ასევეა ზანურ-სვანურშიც: მეგრ. ტყაშ უშქური//ტყარ უშქური ჭან. მტყუი უშქირი, სვან. გოწო ვისგ., შდრ. ქართული — ასკილი, მეგრული — ეშმაკიში მათრახი, ჭანური — მტყუი გიული...

მნიშვნელობის მიხედვით მაჟალო — ტყისვაშლი — ტყაშ უშქური — გოწო ვისგ ერთია, მაგრამ სახელწოდების მიხედვით განსხვავებული მდგომარეობაა: ტყისვაშლი, ტყაშ უშქური//ტყარ უშქური, გოწო ვისგ... შესიტყვებებია. ეს შესიტყვებები გამოიხატება ბრუნვაში შეთანხმებით ან მართვით.

არც ისაა ნათელი, თუ რატომაა железная дорога ლექსიკურ და სინტაქსურ მოვლენათა ზღვარზე (როგორც ამას ფიქრობს რ. ბუღაგოვი). აქ ან სიტყვა უნდა გვქონდეს, ან შესიტყვება, ზღვარი გამოირიცხულია. საკითხს ვერ ხსნის ისიც, რომ პარალელურად არა გვაქვს деревянная дорога ან чугунная дорога.

„თანამედროვე რუსული ენის სინტაქსში“, რომელიც მოსკოვის უნივერსიტეტმა გამოსცა ე. გალკინა-ფედოროუკის რედაქციით, ავტორები დაწვრილებით მიმოიხილავენ შესიტყვების საკითხებს<sup>69</sup>. ისინი აღნიშნავენ, რომ შესიტყვებისათვის საჭიროა გამოვლინდეს სიტყვათა შეერთების კანონზომიერებანი, შეკავშირების ფორმები, სიტყვათა ურთიერთობის მნიშვნელობა. სიტყვათა ურთიერთობის ხასიათის მიხედვით სიტყვათა შეკავშირება იყოფა პრედიკატულად, ობიექტურად, ატრიბუტულად და გარემოებითად. შესიტყვებაში შემაჯალ სიტყვათა შორის მყარდება შეკავშირების ფორმები: შეთანხმება, მართვა და მირთვა.

ე. წ. პრედიკატული შესიტყვება სხვა რიგისაა. ამ ტიპის შესიტყვებათა შესწავლა ატრიბუტულ, ობიექტურ და გარემოებით შესიტყვებათა გვერდით არ შეიძლება. იგი წინადადებაა<sup>70</sup>.

<sup>69</sup> Современный русский язык. Синтаксис, под редакцией проф. Е. М. Галкиной-Федорук, М., 1957, с. 5—91.

<sup>70</sup> იქვე, გვ. 195.

გვაქვს სტრუქტურის მიხედვით სიტყვათა შეერთების შემდეგი მოდელები: 1. ზ მ ნ უ რ ი შე ს ი ტ ყ ვ ე ბ ა — შედგება ზმნისა და მასთან დაკავშირებულ მეტყველების სხვა ნაწილთაგან; 2. ს ა ხ ე ლ უ რ ი შე ს ი ტ ყ ვ ე ბ ა — შედგება არსებითი სახელებისაგან, ან ზედსართავის შეერთებით არსებითთან, რიცხვითისა — არსებითთან, ნაცვალსახელისა — არსებითთან; 3. ზ მ ნ ი ს ა რ თ უ ლ ი შე ს ი ტ ყ ვ ე ბ ა — შედგება ზმნისართისა და სხვა მეტყველების ნაწილებისაგან<sup>71</sup>.

ვრცელი წერილი უძღვნა ა. შაპირომ შესიტყვების საკითხებს<sup>72</sup>. ავტორი აღნიშნავს, რომ შესიტყვება ერთ-ერთი ძირითადი ცნებაა სინტაქსისა. მისი აზრით, შესიტყვება არის სრულმნიშვნელოვან სიტყვათა მიერ შექმნილი შეკრული გრამატიკული მთლიანობა.

სინტაქსურ ერთეულებად, რომლებიც შედიან შესიტყვებაში როგორც მისი წევრები, შეიძლება იყოს: 1. ცალკეული მნიშვნელობის მქონე სიტყვები (белая скатерть, зуб тигра, не пачкая рук); 2. მთელი შეერთებული სიტყვები, რომლებიც ერთ ცნებას გადმოგვცემენ, ფრაზეოლოგიური ერთეულებიც (умер от белой горячки; прорезался зуб мудрости; работает не покладая рук; служит на железной дорсге; приехал в семь часов...); 3. ორი ან მეტი სიტყვა, რომლებიც გაერთიანებულია ერთნაირი დამოკიდებულებით რომელიმე სიტყვასთან (начались морозы, выюги; братья и сестры выросли и разъехались.; шахтеры Донбаса и Кузбаса...)<sup>73</sup>.

შესიტყვებად მიჩნეულია ქვემდებარე-შემასმენლით დამყარებული ურთიერთობაც (снег белеется...)<sup>74</sup>.

ა. შაპიროს აღნიშნული აქვს, რომ შესიტყვებაში შემავალ სიტყვათა შორის სინტაქსური ურთიერთობა ეს არის დამოკიდებულება მათ შემადგენლობაში შემავალი მნიშვნელობის მქონე სიტყვებისა, რომელთაც აქვთ გრამატიკული დანიშნულება. მხედველობაშია სიტყვათა ურთიერთობა ასეთ წყვილებში: ехать медленно да медленная езда...; соловей поет да пенне соловья...<sup>75</sup>

ა. შაპირო ერთმანეთისაგან განასხვავებს შეთანხმების თვალსაზრისით ქვემდებარე-შემასმენლისა და მსაზღვრელ-საზღვრულის დამოკიდებულებას. ცალკე ჩერდება შესიტყვებისა და წინადადე-

<sup>71</sup> Современный русский язык, с. 6.

<sup>72</sup> А. Б. Шапиро, Словосочетание в русском языке. კრებული «Славянское языкознание», М., 1959, с. 15.

<sup>73</sup> იქვე, გვ. 195.

<sup>74</sup> იქვე, გვ. 206.

<sup>75</sup> იქვე, გვ. 199.

ბის ურთიერთობაზე და აღნიშნავს: წინადადებასა და შესიტყვებას შორის განსხვავება არაა არსებითი. იმის მსგავსად, რომ სიტყვა, რომელიც წარმოადგენს წინადადებას, არ წყვეტს არსებობას და არ კარგავს თავის მორფოლოგიურ ნიშნებს, ასევე შესიტყვება, რომელიც წინადადებას წარმოადგენს, არ კარგავს თავის ნიშნებს, რომლებიც მას ახასიათებს როგორც შესიტყვებას, არამედ ლექსობას ახალ ნიშნებს<sup>76</sup>.

როგორც ვხედავთ, შესიტყვების გაგება სხვადასხვანაირია: 1. შესიტყვება არ ჩანს სინტაქსური მოძღვრების დამოუკიდებელ ერთეულად (ნ. გრეჩი, ი. დავილოვი, თ. ბუსლაევი, ა. პოტენია...); 2. შესიტყვება სრულმნიშვნელოვანი სიტყვების შეერთებაა, რომელიც გამოხატავს ფსიქოლოგიურ მსჯელობას ან მის ნაწილს (ფ. ფორტუნატოვი...); 3. შესიტყვება მოიცავს მთელ წინადადებას — მარტივს, შერწყმულს, რთულს (მ. პეტერსონი, ა. პეშკოვსკი...) და ერთ წინდებულის სიტყვასაც კი (ა. პეშკოვსკი); 4. ქვემდებარე-შემასმენლის ურთიერთობაზე დამყარებული შესიტყვება დასრულებული ანუ პრედიკატული შესიტყვებაა, დანარჩენ შემთხვევაში გვაქვს დაუსრულებელი — არაპრედიკატული შესიტყვება (ფ. ფორტუნატოვი, ა. შახმატოვი, მ. პეტერსონი, ა. პეშკოვსკი, ა. ხოლოდოვიჩი, ვ. სუხოტინი, ა. შაპირო...); 5. შესიტყვებად არ ითვლება ქვემდებარისა და შემასმენლის დაკავშირება (ვ. ვინოგრადოვი, ნ. პროკოპოვიჩი, ვ. იარცევა...); 6 შესიტყვება შუალედური რგოლია სიტყვასა და წინადადებას შორის (ლ. მატვეევისაევა...). შესიტყვება არ შეიძლება იყოს შუალედური რგოლი სიტყვასა და წინადადებას შორის (ვ. იარცევა, რ. ბუდაგოვი...); 7. შესიტყვება შეიძლება იყოს გრამატიკული და არაგრამატიკული (ფ. ფორტუნატოვი); 8. არაყოველთაო შესიტყვება განეკუთვნება სინტაქსს (ი. მეშჩანინოვი, ვ. ვინოგრადოვი...); 9. შესიტყვებაში არა გვაქვს სინტაქსის უმცირესი ერთეულიც კი (ნ. არუთინოვა, გ. ზოლოტოვა); 10. გამოიყოფა თანწყობილი შესიტყვებები (ფ. ფორტუნატოვი, მ. პეტერსონი, ა. პეშკოვსკი, ვ. სუხოტინი...).

ჩვენში ჯერ კიდევ ანტონ პირველს მართვითა და შეთანხმებით გამოხატული სიტყვათა დამოკიდებულების საკითხები ვრცლად ჰქონდა მიმოხილული „ქართულ ლრამმატიკაში“, რომლის პირველი ვარიანტი დაიწერა 1753 წელს, მეორე — უფრო სრული — 1767 წელს<sup>77</sup>. აქ შესიტყვებაზე არაა მსჯელობა, მაგრამ სინტაქსის

<sup>76</sup> А. Б. Шапиро, Словосочетание, с 214.

<sup>77</sup> ქართული ლრამმატიკა, შედგენილი ანტონ პირველის მიერ, თბ., 1885, გვ. 213—284.

საგნად მიჩნეულია მეტყველების ნაწილებს შორის დამოკიდებულება (შეთანხმება, მართვა)<sup>78</sup>.

შესიტყვების საკითხების მეცნიერული შესწავლა იწყება მეოცე საუკუნის ოციანი წლებიდან, როდესაც გამოქვეყნდა არნ. ჩიქობავას ვრცელი მონოგრაფია „მარტივი წინადადების პრობლემა ქართულში“<sup>79</sup> და წერილების სერია „რა თავისებურებები ახასიათებს ქართული ენის აგებულებას“<sup>80</sup>. ავტორმა ამ შრომებში ჩამოაყალიბა შესიტყვების შედგენილობის შესწავლისა და სტრუქტურის დადგენის მნიშვნელობა.

არნ. ჩიქობავა წერს: 1. „სინტაქსური თვალსაზრისით შესიტყვების შესწავლა... ორ მომენტს გულისხმობს: 1) შესიტყვების შედგენილობის შესწავლასა და 2) შესიტყვების სტრუქტურის დადგენას“<sup>81</sup>.

2. შესიტყვებას შეისწავლის სინტაქსი შედგენილობისა და მექანიზმის თვალსაზრისით<sup>82</sup>. შესიტყვების შესწავლა შესიტყვებაში შემავალ სიტყვათა დამოკიდებულების ძიებას მოასწავებს. ეს დამოკიდებულება სიტყვათა ფორმების ნიადაგზე ჩნდება<sup>83</sup>. სიტყვები ერთმანეთს უნდა შეეფერებოდეს თავისი ფორმით<sup>84</sup>. შესაერ-

---

<sup>78</sup> ანტონის შეხედულებები დაწერილებით განხილულია აქვს ე. ბაბუნაშვილს მონოგრაფიაში „ანტონ პირველი და ქართული გრამატიკის საკითხები“, თბ., 1970.

<sup>79</sup> არნ. ჩიქობავა. მარტივი წინადადების პრობლემა ქართულში, I, ქვემდებარე-დამატებ-ს საკითხი ძველ ქართულში, ტფილისი, 1928, II გამოცემა, თბ., 1968.

<sup>80</sup> არნ. ჩიქობავა, რა თავისებურებები ახასიათებს ქართული ენის აგებულებას? IV, უტრნ. „კულტურული აღმშენებლობა“, № 5, 1930, გვ. 487—503; V, იქვე, 7—8, გვ. 705—741.

<sup>81</sup> არნ. ჩიქობავა, მარტივი წინადადების პრობლემა ქართულში, გვ. 115. აქვე ავტორი შედგენილობისა და სტრუქტურის საილუსტრაციოდ წარმოგვიდგენს ასეთ ნიმუშს: „მარტაბლის ორთქლმავალი ჩვენ შეგვიძლია შეისწავლოთ მისი შედგენილობის მიხედვით: ოთხი ბორბალი, ქვაბი, ლუმელი, საკვამლე მილი, ორთქლის სადენი მილაკები, ბერკეტებისა და ხრახნილების წყება... ორთქლმავლის შესწავლისათვის ამ ნაწილების ცოდნა მიუცილებელია. მაგრამ ორთქლმავლის აგებულება მაშინ გვეცოდინება, თუ გათვალისწინებულა: რომელი ბერკეტი რომელი ხრახნილით არის დაკავშირებული, რას ამოძრავებს იგი, რა ამოძრავებს მას თვითონ. ორთქლმავლის აგებულება ჩვენ მაშინ ვიცით, თუ მისი შედგენილობა და რას გარდა მისი სტრუქტურა-მექანიზმი ნათლად გვაქვს წარმოგვნილი“.

<sup>82</sup> არნ. ჩიქობავა, მარტივი წინადადების პრობლემა ქართულში, გვ. 120.

<sup>83</sup> არნ. ჩიქობავა, რა თავისებურებები ახასიათებს ქართული ენის აგებულებას? უტრნ. „კულტურული აღმშენებლობა“, 1930, № 7—8, გვ. 706.

<sup>84</sup> იქვე, № 5, გვ. 489.

თებელ სიტყვებს უნდა ჰქონდეთ ისეთი აფიქსები, რომელთაც ეკისრებათ სიტყვათა ორგანიზებული დაკავშირება.

3. შესიტყვებას ქმნის სიტყვათა შორის დამოკიდებულება. ეს დამოკიდებულება სულ მცირე ორ სიტყვას გულისხმობს, რომელთაგან ერთი მთავარია, გაბატონებული, მეორე — მასზე დამოკიდებული<sup>85</sup>.

4. წინადადება და შესიტყვება ერთმანეთს არ უპირისპირდება. შესიტყვება გვაქვს წინადადებაში. იგი შეიძლება წარმოადგენდეს მთელ წინადადებას ან გადმოსცემდეს წინადადების ნაწილს<sup>86</sup>. თერთონ „წინადადება გარკვეული სახის შესიტყვებაა“<sup>87</sup>.

5. შესიტყვებად არ მიიჩნევა თანაბარუფლებიან სიტყვათა შეერთება (დედა და მამა, ტოლი და ამხანაგი...) და არც რთული სიტყვები, რომელთა შემადგენლობაში ერთზე მეტი ფუძეა გაერთიანებული (დედ-მამა, ტოლ-ამხანაგი, თავქუდმოგლეჯილი...). ამ უკანასკნელთან სიტყვათა შეერთება გვაქვს, მაგრამ ყოველი მათგანი ცალკე სიტყვაზე მეტია მხოლოდ შინაარსით<sup>88</sup>.

შესიტყვებაში შემავალი სიტყვები ერთმანეთის მიმართ, არ არიან თახაბარნი: ერთი გაბატონებულია, დომინანტია, მეორე — მასზე დამოკიდებულია, დეპენდენტია. მათი ურთიერთობით გვაქვს შეთახნებება, მართვა და მირთვა<sup>89</sup>.

შესიტყვების ასეთივე გაგებაა ვ. თოფურიას შრომებში<sup>90</sup>.

შესიტყვების სტრუქტურა არ ექვემდებარება გადმოსაცემი ფაქტის რეალობას: მასში ერთნაირად იისახება რეალური ვითა-

---

<sup>85</sup> არნ. ჩიქობავა, მარტივი წინადადების პრობლემა ქართულში, გვ. 15; მისივე: რა თავისებურებები ახასიათებს ქართული ენის აგებულებას? „კულტურული აღმშენებლობა“, № 5, 1930, გვ. 500; ვ. თოფურია, მეტყველების ნაწილებისათვის ქართულში, II, „კულტურული აღმშენებლობა“, № 7—8, 1930, გვ. 743.

<sup>86</sup> არნ. ჩიქობავა, ენათმეცნიერების შესავალი, გვ. 286.

<sup>87</sup> არნ. ჩიქობავა, მარტივი წინადადების პრობლემა ქართულში, გვ. 33-122.

<sup>88</sup> არნ. ჩიქობავა, რა თავისებურებები ახასიათებს ქართული ენის აგებულებას? „კულტურული აღმშენებლობა“, № 5, 1930, გვ. 488.

<sup>89</sup> არნ. ჩიქობავა, მარტივი წინადადების პრობლემა ქართულში, გვ. 115.

<sup>90</sup> ვ. თოფურია, მეტყველების ნაწილებისათვის ქართულში, II, „კულტურული აღმშენებლობა“, 1930, № 7—8; მისივე, მშობლიური ენის სწავლების საკითხები საშუალო სკოლაში, I. ენის გრამატიკული წყობა და მისი შემსწავლელი დარგი—გრამატიკა: კრებული „ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების საკითხები სკოლაში“, V, თბ., 1953.

რეზაც და სრული უაზრობაც და ისეთი შემთხვევაც კი, როცა ერთი ენის გაფორმებით მეორე ენის სიტყვებია წინადადებაში. ამ უკანასკნელთა ნიმუშად ჩვენს სამეცნიერო ლიტერატურაში დამოწმებულია შესაფერისი მაგალითებიც: „დამხრჩვალა კატა მიათრევს ტრამვაის ვაგონს“<sup>91</sup>; „უჩიტელი უჩენიკებს უხსნის უროკს“<sup>92</sup>. ყველა შემთხვევაში სიტყვათა სინტაქსური დამოკიდებულება კანონზომიერია, გვაქვს შესიტყვებები.

ლექსიკოლოგიური თვალსაზრისით შესიტყვების ფორმებზე ყურადღება გამამხვილა ბ. ფოჩხუაშვილმა<sup>93</sup>. მან განიხილა შესიტყვებათა კლასიფიკაციის ერთ-ერთი უკანასკნელი ცდა (ე. აგრიკოლასი), რომელშიც გამოყოფილია შესიტყვებათა ექვსი ჯგუფი ქვეჯგუფებითურთ. ესენია: 1. თავისუფალი შესიტყვებები — სიტუაციის გამომხატველი შესიტყვებები (წითელი საკაბე, ჩვეულებრივი მოვლენა...); 2. ვანცალკევებული შესიტყვებები (რომელთა კომპონენტი სიტყვების მნიშვნელობაა შერწყმა არ ხდება) (მეავე კიტრი...); ამ ჯგუფში ექვევა ტიტულის აღმნიშვნელი შესიტყვებები (უმცროსი ლეიტენანტი...), შესიტყვებით გადმოცემული საკუთარი სახელები (შავი ზღვა...), მკვიდრი შედარებები (ქვასავით მაგარი, თაფლივით ტკბილი...) და ისეთი შესიტყვებები, სადაც ერთ-ერთი წევრის მნიშვნელობა დიდად შორდება მის მთავარ მნიშვნელობას (ბუნდოვანი აზრი...); 3. მყარ შესიტყვებები — მარტივი ფრაზეოლოგიური კავშირები (აქვს შანსი, აღიარებს უპირატესობას...); 4. ფრაზეოლოგიური ერთიანობანი (კბილებს აკრაქუნებს, ფეხს მოიტეხს...); 5. ტყუპი ფორმულები (წლიდან წლამდე, სულით და გულით, დღე და ღამე...) და 6. იდიომები (ტყემაღზე ზის, სიქა გააცალა...).

ბ. ფოჩხუა აქვე მიუთითებს, რომ ამ ჯგუფთა საზღვრები არ არის მკაფიო. გარდა ამისა, ზოგი ჯგუფი აგებულების მიხედვით არის გამოყოფილი, ზოგიც — შინაარსის მიხედვით<sup>94</sup>.

ავტორი გამოყოფს შესიტყვებათა ისეთ ჯგუფსაც, რომლის შემადგენელ წევრებს ვერ დავაზუსტებთ დამატებითი სიტყვებით. მეტიც — მოუხერხებელია თითოეული მათგანის შეცვლა სხვადასხვა სიტყვით. ერთ-ერთი ასეთთაგანია წითელი ქარი (ავადმყოფობა), შდრ. წითელი კაბა (ამის მიხედვით: წითელი კედელი, წი-

<sup>91</sup> არნ. ჩიქობავა. ენათმეცნიერების შესავალი, გვ. 287.

<sup>92</sup> ვ. თოფურია, მეტყველების ნაწილებისათვის ქართულში, II; „ქულტურული აღშენებლობა“, № 7—8, გვ. 747.

<sup>93</sup> ბ. ფოჩხუა, ქართული ენის ლექსიკოლოგია, თბ., 1974, გვ. 298—305.

<sup>94</sup> იქვე, გვ. 300.

თელი ვაშლი... შავი კაბა, ლურჯი კაბა...) და აქედან: სისხლივით წითელი კაბა, ახლადშეკერილი წითელი კაბა. მაგრამ შეუძლებელია წითელი ქარის შემადგენელი სიტყვები დავაზუსტოთ დამატებითი სიტყვებით<sup>95</sup>.

შესიტყვების შესწავლის ინტერესი დიდია. დაიწერა არა ერთი გამოკვლევა თუ მონოგრაფია, რომლებშიც შესიტყვების საკითხებს ქართული ენის მასალათა მონაცემებით სათანადო ადგილი უკავია. ამ მხრივ აღსანიშნავია, გარდა ზემოთ დასახელებული-სა, ნ. ბასილაიას „ქართული მართლწერის საკითხები“<sup>96</sup>, ა. დავითიანის „ქართული ენის სინტაქსი“<sup>97</sup>, მ. ციკლიას „სიტყვათა რიგი როგორც სინტაქსისა და სტილისტიკის საგანი“<sup>98</sup>, მისივე — „სიტყვათა რიგი აფხაზურ ენაში“<sup>99</sup>.

ძველი ქართული ენის მასალის მიხედვით შესიტყვების საკითხები ცალკეა განხილული<sup>100</sup>.

## 1. შესიტყვაბა წინადადების მთავარ წევრებთან

§ 2. შესიტყვება წინადადების მთავარ წევრთა შორის. შესიტყვება, რომელსაც ქმნიან წინადადების მთავარი წევრების გამომხატველი სიტყვები, ორი ჯგუფისაა: პირველ ჯგუფში ვაქცევთ შესიტყვებებს, რომლებიც ემყარებიან სუბიექტისა და ზმნის ურთიერთობას, მეორეში — ისეთ შესიტყვებებს, რომლებიც იქმნებიან ზმნისა და ობიექტების (პირდაპირისა და ირიბის) ურთიერთობის შედეგად.

სუბიექტთან ერთად შესიტყვებას გვაძლევს ყოველგვარი ზმნები: ერთპირიანი, ორპირიანი, სამპირიანი. ობიექტების ურთიერთობა ზმნასთან გულისხმობს ორპირიანსა და სამპირიან ზმნებს: ერთ შემთხვევაში შესიტყვებას ქმნიან პირდაპირი ობიექტი და ორპირიანი და სამპირიანი გარდამავალი ზმნები, მეორე შემთხვევაში — ირიბი ობიექტი და გარდაუვალი ორპირიანი ან გარდამავალი სამპირიანი ზმნები.

სუბიექტად და ობიექტებად შეიძლება იყოს I, II ან III

<sup>95</sup> ბ. ფოჩხუა, ქართული ენის ლექსიკოლოგია: გვ. 287—288.

<sup>96</sup> ნ. ბასილაია, ქართული მართლწერის საკითხები, სოხუმი, 1960.

<sup>97</sup> ა. დავითიანი, ქართული ენის სინტაქსი, I, თბ., 1973.

<sup>98</sup> მ. ციკლია, სიტყვათა რიგი როგორც სინტაქსისა და სტილისტიკის საგანი, სოხუმი, 1972.

<sup>99</sup> მ. ციკლია, სიტყვათა რიგი აფხაზურ ენაში, თბ., 1973.

<sup>100</sup> ა. კიზირია, მარტივი წინადადების შედგენილობა ძველ ქართულში, თბ., 1963.



პირი. ზმნასთან დამოკიდებულებისას დაცულია წესი, რომლის მიხედვითაც, როცა სუბიექტად პირველი პირია, ობიექტად შეიძლება იყოს მეორე ან მესამე პირი; როცა სუბიექტად მეორე პირია, ობიექტად გვაქვს პირველი ან მესამე პირი; როცა სუბიექტად მესამე პირია, ობიექტად შეიძლება იყოს პირველიც, მეორეც და მესამე პირიც.

თუ პირდაპირ ობიექტად პირველი პირია, ირიბ ობიექტად შეიძლება იყოს მხოლოდ მესამე პირი და პირიქით -- თუ ირიბ ობიექტად პირველი პირია, პირდაპირ ობიექტად შეიძლება იყოს მხოლოდ მესამე პირი. ერთდროულად გვაქვს მხოლოდ მესამე ობიექტური პირები.

სუბიექტისა და ზმნის, ობიექტისა და ზმნის შექმნილ შესიტყვევებს სუბიექტურსა და ობიექტურ შესიტყვევებს დავარქმევდით, რომ ზმნებთან მათს ურთიერთობაში სუბორდინაციული დამოკიდებულება იყოს. ქართველური ენების ზმნათა პოლიპერსონალიზმის თავისებურება იმით ხასიათდება, რომ „არ მოიპოვება მხოლოდ დამოკიდებული და მხოლოდ გაბატონებული სიტყვა: დამოკიდებული იმავე დროს გაბატონებულიც არის; დამოკიდებული რაიმე ნიშნის მიხედვით რომელსამე სიტყვაზე ბატონობს იმავე სიტყვაზე სხვა ნიშნის მიხედვით“<sup>1</sup>.

ამიტომ უმჯობესია ვუწოდოთ ზმნურ-სუბიექტური და ზმნურ-ობიექტური შესიტყვევები. პირველში დაჯგუფდება შეიტყვევათა ფორმები, რომლებიც გვაქვს სუბიექტსა და ზმნას შორის, მეორეში — პირდაპირ ობიექტსა და ზმნას შორის ან ირიბ ობიექტსა და ზმნას შორის.

ასეთ შესიტყვევებში განიხილება: როგორ უკავშირდება ზმნას სუბიექტი ან ობიექტი? როგორია დამოკიდებულება რიცხვის მიხედვით? რა თავისებურებები შეინიშნება ქართველურ ენებში?

ქართულში ერთპირიან ზმნასთან სახელობითში დასმული სახელი სუბიექტია. სინტაქსური დამოკიდებულება ცალმხრივია: სუბიექტი მართავს ზმნის პირს: დარეჯანი ამოვიდა მალლა ლუარსაბთან: ილია, I, 378, 5; ურმის ხმაური მიწყდა: გ. შატბ., II, 453, 21...

რიცხვში შეთანხმების წესი მდგომარეობს შემდეგში: პირველი და მეორე პირის აღმნიშვნელი სუბიექტი ყოველთვის ითანხმებს ზმნას რიცხვში, მესამე პირისა კი მაშინ, როცა 1. სულიერ საგანს აღნიშნავს; 2. უსულოა, მაგრამ სულიერის თვისება აქვს, გაპიროვნებულია; 3. მრავლობით რიცხვს 5 და 6 ნიშნებით აწარ-

<sup>1</sup> არნ. ჩიქობავა, რა თავისებურებები ახასიათებს ქართული ენის აგებულებას? „კულტურული აღმშენებლობა“, № 7—8, 1930, გვ. 720.

შობებს და 4. შედარებით ნაკლებად მაშინაც, როცა უსულო საგნის აღმნიშვნელია და შესაფერისი მოქმედება მიეწერება.

მაგალითები:

ჩვენ გავედით სამორიგეოში: ნ. დუმბაძე, 119,12; თქვენ ერთი ბეწო ობლები დარჩით: ილია, I,354,17.., თავგები ცხოვრობდნენ თავისთვის ჰერკვეშ: აკაკი, IV,318,21; ლობის გაღმა სოფლის ბიჭები ისხდნენ: გ. შატბ., I,15,2...

მაგრამ:

ალაგ-ალაგლა სჩანს დარჩენილი თოვლები: ვაჟა, V,152,5; ჩემი ფიქრები სოფოსკენ მიფრინავდა: ვაჟა, V,210,23...

რიგი თავისებურებით ხასიათდება მეგრული ერთპირიანი ზმნა. მეგრულში დრო-კილოთა პირველ სერიაში ყოველთვის სახელობითის კონსტრუქცია გვაქვს, მეორე სერიის დრო-კილოებში — მხოლოდ მოთხრობითისა, მესამე სერიის ფორმებთან — სახელობითისა და მიცემითისა, რაც უჩვეულოა ქართულისა და სვანურისათვის: ზესქვი მოფურინუნს: ხუბ., 242,3 — შაში მოფრინავს; თქვანი დიდა უშულებერო ლე: ხუბ., 177,6 — თქვენი დედა შეუძლოდ არის; ზაკაიკი ქეგეხე კარს: ხუბ., 34,3 — ზაკაიკი ზის კართან..., ქომორთუ მაჟირა დლას ბოშიქ: ხუბ., 11,10 — მოვიდა მეორე დღეს ბიჭი; მუმაქ ძალამი შიიწუხუ: ყიფშ., 47,10 — მამა ძალიან შეწუხდა; ბალანაქ მალას მირღუ: ხუბ., 59,1 — ბავში მალე გაიზარდა...

თურმეობითა წყებაში მეგრული ნაირსახოვანია. უპირველეს ყოვლისა გამოიყოფა ნო—ე<sup>2</sup>თი წარმოებული ფორმები, რომელსაც გიორგი როგავამ მეოთხე სერია უწოდა და სპეციალური გამოკვლევა უძღვნა<sup>2</sup>.

ნო—ე<sup>2</sup>თი ნაწარმოები თურმეობითის კონსტრუქცია ყველა ზმნას აქვს (ერთპირიანსაც, ორპირიანსაც, სამპირიანსაც) და ძირითადად სახელობითისა (კოჩი ნოღურუე — კაცი კვდებოდა თურმე; კოჩი ნოღურუედუ, კოჩი ნოღურუედას...): ათე დროს ნოცხოვრებუე ართი ტყაში კოჩი: ყიფშ., 82,5 — ამ დროს ცხოვრობდა თურმე (ნაცხოვრება) ერთი ტყის კაცი...

მაგრამ ოდენ ინვერსიულ გარდაუვალ ზმნებთან მიცემითიც გვაქვს: თის ნოცოროფუე თინა — მას „ნაყვარება“ ის; კატუნ ნოცოროფუე ქუკი — „კატას „ნაყვარება“ თავი“ და ასე: კატუნ

<sup>2</sup> გ. როგავა, დრო-კილოთა მეოთხე ჯგუფის ნაკვები ქართველურ ენებში: „იბერიულ-კავკ. ენათმეცნიერება“. V, 1953, გვ. 17—32.

ნოცოროფუედუ..., კატუს ნოცოროფუედუკო, კატუს ნოცორო-  
ფუედას...

თურმეობითის წყებაში მეგრულ ერთპირიან ზმნასთან გვაქვს  
ა ღ წ ე რ ი თ ი და ო რ გ ა ნ უ ლ ი წარმოება. აღწერით წარ-  
მოებას ახასიათებს -ე რ ე(//→ეე//→ე) სუფიქსი<sup>3</sup>. მასთან სუბი-  
ექტი სახელობით ბრუნვაშია. ორგანული წარმოება გარდაშავალ  
ზმნებს მოგვაგონებს და სუბიექტს მიცემით ბრუნვაში შეიწყობს.

მღრ. ა ღ წ ე რ ი თ ი: დიშქა დოჭვერე (შეშა დამწვარა), დიშ-  
ქა დოჭვერედუ (შეშა დამწვარიყო), დიშქა დოჭვერედას (შეშა  
დამწვარიყოს), დიშქა დოჭვერედუკო...; წყარი გოტიბერე (წყალი  
გამთბარა), წყარი გოტიბერედუ, წყარი გოტიბერედუკო...; ბაღანა  
მორდელე (ბავშვი გაზრდილა), ბაღანა მორდელედუ...

ო რ გ ა ნ უ ლ ი: კოს/ც მიდურთუმუ (კაცი წასულა), კოს/ც  
მიდურთუმედუ (კაცი წასულიყო), კოს/ც მიდურთუმედას (კაცი  
წასულიყოს), ბაღანას ქუდუხუნუ (ბავშვი დამჭდარა), ბაღანას გე-  
უდგინუ (ბავშვი ამდგარა)...; წყარს ქუფუ (წყალი აღუღებულა)...

სუბიექტი ითანხმებს ზმნას მრავლობით რიცხვში, თუ ის  
ცოცხალი საგნის აღმნიშვნელია: ონჯუას ჯიმაღენქ ქომორთეს:  
ყიფშ., 27,12 — საღამოს მოვიდნენ ძმები; ქიმერთეს ჯიმაღენქ  
ხენწვფეშა: ხუბ., 221,9 — მივიდნენ ძმები ხელმწიფესთან...

ჭანურში სუბიექტი ერთპირიანი ზმნის შემცველ შესიტყვება-  
ში სახელობით ბრუნვაში დაისმის და, როგორც სპეციალურ ლი-  
ტერატურაშია მითითებული, ზმნა იმართვის სუბიექტისაგან პირში  
და ეთანხმება მასვე რიცხვში<sup>4</sup>: ცხენითე არ კოჩი მულუნ: ი. ყიფშ.  
ჭან. ტ. 31,19 — ცხენით ერთი კაცი მოდის; ბაბა ჩქიმა ჯანს: ჭან.  
I,68,31 — მამაჩემი წევს; ცხენი ირხისთეი ნიტუ: ჭან.  
I,91,28 — ცხენი ქარივით მიდიოდა; ჰემ ორას ოხორჯა მუში ოღას  
ზუვარდა მუშიკალა ისტერტუ: ჟღ. ჭან. 43,2 — ამ დროს ცოლი  
თავის ოთანში თავის საყვარელთან ერთად თამაშობდა ... ოხორჯა  
მეხთუ: ჭან. I,38,38 — ცოლი მივიდა; ხოჯიში ქრას არ მქაჯი ქო-  
ნოხედერეტუ: ჭან. I,74,8 — ხარის რქაზე ერთი ბუზი შემომჯდა-  
რიყო...

მრავლობით რიცხვში სუბიექტი ითანხმებს ზმნას. რიცხვში  
შეთანხმება აქაც ჩვეულებრივია სულიერი საგნის აღმნიშვნელ სა-  
ხელებთან: ჯუმაღეფე ქომოხთეს: ჭან. I,1,10,23 — ძმები მოვიდ-  
ნენ; ჭინკაფექ იმტეს: ხოფ. 104,29 — ჭინკები გაიქცნენ; ბერეფექ

<sup>3</sup> ე რ ე სუფიქსის შესახებ იხ. ი. ა ს ა თ ი ა ნ ი, ე რ ე სუფიქსიანი თურ-  
მეობითი მეგრულში: „იბერიულ-კავკ. ენათმეცნიერება“, XVII, 1970, გვ. 144—151.

<sup>4</sup> არნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, ჭანურის გრამატიკული ანალიზი, გვ. 180.

ბაბა მუთეფეში ოდაშა ამახთეს: ჭან. I,51,10 — ბავშვები მამის ოთახში შევიდნენ...

ქანურში (მეგრულის მსგავსად) ერთპირიან ზმნებთან სუბიექტი იშვიათად მიცემითშიც შეიძლება შეგვხვდეს თურმეობითსა და პოტენციალისის ფორმებში: ნაკო წანა რენ ვარ ემიხთიძუნ: დღუმ. 101,23 — რამდენი წელია არ აგსულვარ; ამსერ ოხორიშა ვარ მა-ლასენ: დღუმ. 27,11<sup>5</sup> — ამაღამ სახლში ვერ წავალ.

სვანურში ქართულისებური მდგომარეობაა: ბაზი მი ყადთე ოღრინე: სვ. პ. 310,13 — ამაღამ მე ყადთან წავალ; ადერ სი მიშგვა ლახვბათე: სვ. პ. 290,20 — წადი შენ ჩემ ძმებთან; ოთარ ლექვან-ლრი მიჩეშთეღსგა: ბქე: 125,26 — ოთარი ქვევით მიღის თაგისთან; ცხეცსგა ჩუ სჯურდა ხოშ ადწე: ბზ., 262,4 — ტყეში იჯდა დიდი დე-ვი: კვიციან ლექვა ანკად უშხვანართე: ბქე. 9,21 — კვიციანი ქვე-ვით მოვიდა უშხვანარში...

რიცხვში შეთანხმებაც ქართულისებურია: სულიერი საგნის აღმნიშვნელი სუბიექტი ითანხმებს, უსულო — რიცხვში შეთან-ხმებაში მერყეობს: რაჰხან ანღერდახ უშგვლჷ გზწვარ: სვ. პ. 366,32 — რაჰიდან მოდიოდნენ უშგულის მგზავრები; მეშხა ძულ-ვას ბერაღ ხეზგეს: სვ. პ. 10,33 — შაე ზღვაზე ბერები სახლობენ; ქორარ ბეჯგენილა: სვ. პ. 44,16 — სახლები მაგრად დვას<sup>7</sup>.

ქართულში ორპირიან გარდაუვალ ზმნას ორი სანელი უკავ-შირდება: სახელობითში დასმული სუბიექტი და მიცემითში დას-მული ობიექტი: ზამთრობით მ გ ე ლ ი ესტუმრება ხოლმე ხმელს წ ი ფ ე ლ ს: ვაჟა, V,87,5; ი რ ე მ ი მიუახლოვდა ზღვის ფ ს კ ე რ ს: ვაჟა, VI,125,22; იმ ბედნიერს ღამეს ჩემს თ ვ ა ლ ს ძ ი ლ ი არ მიჰკარებია: ილია, I,304,32...

შესიტყვების ეს ფორმა განსხვავებულია უფრო მარტივი ფორ-მისაგან, ისეთი ფორმისაგან, როდესაც შესიტყვებაში მონაწილეობს ერთპირიანი ზმნა და მასთან დაკავშირებული სახელობითში დას-მული სუბიექტი. „ქართულში რომ მხოლოდ ერთპირიანი ზმნები

<sup>5</sup> გ. კ ა რ ტ ო ზ ი ა, მასალები ლაზური ზეპირსიტყვიერებისათვის: ქარ-თული ლიტერატურის საკითხები, თბ., 1968, გვ. 143.

<sup>6</sup> В. Т. Т о п у р и а, Сванский язык. Язык и народов СССР, IV, М., 1967. с. 91.

<sup>7</sup> სვანურა ენის ნიმუშების ანალიზისას ვეყარებით ვ. თოფურის, არნ. ჩო-ქობავას, ა. შანძის, მ. ქალდანის, თ. შარაძენიძის, ნ. აბესაძის, იზ. ჩანტლაძის, ზ. ჭუმბურიძისა და სხვათა გამოკვლევებს. ამ შემთხვევაში ვეყავილდებოთ მხოლოდ ძირითად ფორმებზე მითითებთ.

გზადაგზა კონსულტაციებს მიწევდნენ. მ. ქალდანი, რ. ქაღუა, ე. გაზდელი-ანი. ავტორი მათგან დიდად დავალებულია.

გვექონოდა..., ქართული შესიტყვების ტიპობრივ თავისებურებათა საკითხი არც დაისმოდა“<sup>8</sup>.

ორპირიანი ზმნის შემცველი შესიტყვების მონაწილე ორივე სახელს პირის-აღნიშვნის მიხედვით ერთნაირი უფლება აქვს: ი რ ე-მ ი მიუახლოვდა ზღვის ფსკერს, ი რ ე მ ი მომიახლოვდა მ ე. ი რ ე მ ი მოგიახლოვდა შენ... ორივე სახელს აქვს უნარი პირის ნიშანი გააჩინოს ზმნაში და ეს ნათლად იგრძნობა მაშინ, როდესაც ობიექტად პირველი ან მეორე პირია. ორივე სახელს შესწევს უნარი ზმნა შეითანხმოს რიცხვში. უფრო ზუსტად თუ ვიტყვი, ორპირიან ზმნებთან სუბიექტისა და ობიექტის სინტაქსური ძალა ერთნაირია და მათ შორის სინტაქსური დაპირისპირება მოხსნილია: დამატება ქვემდებარეს ეტოლება<sup>9</sup>. იგრძნობა, რომ ერთის განუყოფელი სამფლობელო (ზმნა) ორის საზიარო კუთვნილებადაა გადაქცეული<sup>10</sup>.

სუბიექტის მიერ ზმნის შეთანხმება რიცხვში ისტორიულად არ ყოფილა ერთნაირი. ზმნა (იქნებოდა ის ერთპირიანი, ორპირიანი თუ სამპირიანი) მაშინ ეთანხმებოდა მრავლობით რიცხვში სუბიექტს. თუ ეს უკანასკნელი მრავლობითობას გამოხატავდა ნ და თ ნიშნებით. მრავლობითის -ვბ ნიშნიანი სუბიექტი, როგორც წესი, ზმნას ვერ ითანხმებდა რიცხვში: ძმანი შენნი გარეშე დგანან: DE მრ., 3,32; მოუცდეს მას მოწაფენი თვისნი: DE მ 5,1; ხუთხრობდეს მას მოწაფენი: ხანმ. ი 20,25; მიუთხრეს მტარვალთა მათ ესე ყოველი ერისთავთა მათ: მოც. 16,38. მაგრამ: მოვიდოდა მკედრები კრებულთაჲ: ესაია, 21,9; ინაჲ-იდგა კაცებმან მან: C ი 6,10...

ახალ ქართულში მდგომარეობა შეიცვალა: ცოცხალი საგნის აღმნიშვნელი სუბიექტი ითანხმებს ზმნას რიცხვში.

პირველი პირის ობიექტი ყოველთვის ითანხმებს ზმნას რიცხვში. წარმოდგენილია მრ. რიცხვის გვ- ნიშანი. მაგ.: ხუთი წელიწადი აგვითავდა ჩვენ: ილია, I,293,37; დრო ... მხიარულ პატარძლად მოგვევლინება ხოლმე: აკაკი, IV,303,18...

მეორე პირის ობიექტი ზმნას ითანხმებს რიცხვში, რომლის ნიშანია -თ აფიქსი: მიქელა წვრილფეხაშვილი გედაეებათ ნახევარ წისქვილს: აკაკი, IV,164,24...

<sup>8</sup> არნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, რა თავისებურებები ახასიათებს ქართული ენის აგებულებას. „კულტურული აღმშენებლობა“, № 7—8, 1930. გვ. 710.

<sup>9</sup> არნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, მარტივი წინადადების ევოლუციის ძირითადი ტენდენციები ქართულში. საქართველოს სსრ მეცნ. აკადემიის შრომებ. ტ. II. № 1—2, 1941, გვ. 197.

<sup>10</sup> არნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, რა თავისებურებები ახასიათებს ქართული ენის აგებულებას. „კულტურული აღმშენებლობა“, № 7—8, გვ. 713

შეთანხმება არ გამოჩნდება, თუ მეორე სახელი, სახელობით ბრუნვაში დასმული, მრავლობითში იქნება: ის გელაგება შენ — ის გელაგებათ თქვენ, მაგრამ: ისინი გელაგებიან შენ; მე გელაგები შენ — მე გელაგებით თქვენ, მაგრამ: ჩვენ გელაგებით შენ//ჩვენ გელაგებით თქვენ. ამ უკანასკნელთან -თ სუბიექტის პირველი პირის მრავლობითი რიცხვის ნიშანია. -თ ნიშანი სუბიექტის პირველი პირის მრავლობითისა გვქონდა ძველ ქართულშიც, ხოლო -თ ნიშანი მეორე პირის ობიექტის მრავლობითისა ახალი ქართულის შენაძენია. ამიტომ შესიტყვების კომპონენტთა კომბინაციაში, სადაც გვაქვს პირველი პირის სუბიექტი + ზმნა + მეორე პირის ობიექტი, -თ ნიშანი სუბიექტის მრავლობითი რიცხვის მაჩვენებელია.

ობიექტის მეორე პირის მრავლობითი რიცხვის -თ ნიშნის გაუჩინარებას იმანაც შეუწყო ხელი, რომ მესამე პირის სუბიექტის მრავლობითი რიცხვის ნიშნები (-ეს, -ენ, -ან, -ნ) ბოლოსართებია, რომლებიც ზმნის შედგენილობაში კუთვნილ ადგილს იკავებენ<sup>11</sup>.

ორპირიანი გარდაუვალი ზმნის მესამე პირის ობიექტი ზმნას რიცხვში ხან ითანხმებს, ხან ვერ ითანხმებს. გვაქვს შეთანხმების ასეთი შემთხვევები: ვილაც წვერმოშვებული მესტვირე მოადგათ: აკაკი, IV,174,26.

ანალოგიური მდგომარეობაა მაშინაც, როცა სამპირიან გარდაუვალ ზმნებს დაკარგული აქვთ პირდაპირი ობიექტი და შემორჩენილია ირიბი ობიექტი: მოხიბლულ მსმენელებს ყრუანტელმა დაუარათ: აკაკი, IV,178,24; კოკისპირულმა წვიმამ მოუსწროთ: კ. გამს., I,646,14... და ეს ხდება იმიტომ, რომ „ორპირიან გარდაუვალ ზმნასთან სახელობითსა და მიცემითს ბრუნვას არსებითად ერთნაირი სინტაქსური როლი და მნიშვნელობა აქვთ (პირის საკითხში — სრული იგივეობაა, მრავლობითის საკითხში კი ხან სახელობითი გადასწონის, ხან — მიცემითი)“<sup>12</sup>.

მიცემითში დასმული სახელის სინტაქსურმა ძალამ სახელობითისას გადააქარბა გარდაუვალ ინვერსიულ ზმნებთან. მხედველობაშია ისეთი გარდაუვალი ზმნები, რომელთაც ახლავთ მიცემითში დასმული რეალური სუბიექტი და სახელობითში დასმული რეალური ობიექტი. ასეთებია: მას აქვს, ჰყავს, უყვარს, სძულს, უხარია, სწყინს, უკვირს...

<sup>11</sup> არნ. ჩ ი ქ ბ ა ვ ა, რა თავისებურებები ახასიათებს ქართული ენის აგებულებას? „კულტურული აღმშენებლობა“, № 7—8, გვ. 730.

<sup>12</sup> იქვე, გვ.717.

არნ. ჩიქობავა მიუთითებს, რომ ეს ზმნები დიდი სიძველისაა; მათთან დატიური კონსტრუქცია გაცილებით უფრო ძველია, ...ვინემ ნომინატიური და ერგატიული კონსტრუქცია გარდამავალი ზმნებისა<sup>13</sup>.

მიცემითში დასმული სახელის მიერ ზმნის რიცხვში შეთანხმება ახალი მოვლენაა. დათარიღებული დოკუმენტების ენის შესწავლით ცხადი გახდა, რომ მიცემითში დასმული სახელის მიერ ზმნის რიცხვში შეთანხმების შემთხვევები გვაქვს მეთხუთმეტე-მეთექვსმეტე საუკუნეებიდან და არის საფუძველი ვიფიქროთ, რომ ეს პროცესი ცოცხალ მეტყველებაში დაწყებულია უფრო ადრე<sup>14</sup>.

ორპირიანი გარდაუვალი ზმნისა და სუბიექტისა და ობიექტების ურთიერთობა მეგრულში თავისებურია: აწმყოს ჩგუფში (პირველ სერიაში) სუბიექტი დაისმის სახელობით ბრუნვაში, ობიექტი — მიცემითში: ეკოყუნს ბ ა ლ ა ნ ა დ ი დ ა ს — მიჰყვება ბავში დედას...; ნამყო წყვეტილის ჩგუფში — სუბიექტი მოთხრობითშია, ობიექტი — მიცემითში: გ ე რ ქ დეჰიმალუ ლ ე ვ ა ნ ს: ხუბ. 10,10 — მგელი დაუძმობილდა ლევანს; ს ქ უ ა ქ მ უ მ ა ს. ჩემეშორგ: ხუბ., 223,3 — შვილი მამას ჩამოშორდა...; თურმეობითის ჩგუფში, დრო-კილოთა მესამე და მეოთხე სერებში, სუბიექტი სახელობით ბრუნვაშია, ობიექტი — მიცემითში: ქ ო მ ო ლ ს ქ უ ა ქ ო დაბადებუ ო ს უ რ ს — ვაჟიშვილი დაჰბადებია ქალს და ასე: ქ ო მ ო ლ ს ქ უ ა ქ ო დობადებუდუ ო ს უ რ ს — ვაჟიშვილი დაჰბადებოდა ქალს; ქ ო მ ო ლ ს ქ უ ა ქ ო დობადებუდუკო ო ს უ რ ს — ვაჟიშვილი დაჰბადებოდეს ქალს...; ქ ო მ ო ლ ს ქ უ ა დონობადებუე ო ს უ რ ს; ქ ო მ ო ლ ს ქ უ ა დონობადებუედუ ო ს უ რ ს; ქ ო მ ო ლ ს ქ უ ა დონობადებუედას ო ს უ რ ს; ქ ო მ ო ლ ს ქ უ ა დონობადებუედუკო ო ს უ რ ს...

ორპირიანი გარდაუვალი ინვერსიული ზმნები, სტატიკური ზმნები, სუბიექტს მიცემით ბრუნვაში მოითხოვენ, ობიექტს — სახელობითში დრო-კილოთა პირველ ჩგუფში: მ ე ჩ ხ ო მ ე ს ცუნს. ართი სქვაში ო ს უ რ ს ქ უ ა — მეთევზეს ჰყავს ერთი ლამაზი ქა-

<sup>13</sup> არნ. ჩიქობავა, ერგატიული კონსტრუქციის პრობლემა იბერიულ-კავკასიურ ენებში, I, თბ., 1948, გვ. 5.

<sup>14</sup> ა. კ ი შ ი რ ი ა, ქვემდებარე და დამატება ახალ ქართულში: „ქართული ენისა და ლიტერატურის საკითხები სკოლაში“, V, 1953, გვ. 25; ივ. ქ ა ვ თ ა - რ ა ძ ე, მიცემითის მრავლობითში დასმული სახელის გამოხატვის ისტორიისათვის ზმნაში: „საიბუილეო კრებული“ (ექლენება აკად. აღ. ბარამიძეს დაბადების 70 და სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობის 50 წლისთავს, თბ., 1974, გვ. 225—231.

ლიშვილი; მ უ ზ ა რ ბ ი ის ეუნდუ ო ს უ რ ი: ყიფშ., 55,16 — მუზარბიის ჰყავდა ცოლი...; დრო-კილოთა მეორე ჯგუფში — სუბიექტს მიცემით ბრუნვაში, ობიექტს — მოთხრობითში: ბ ო შ ი ს ქვგაშინ ი რ ფ ე ლ ქ: ხუბ., 63,33 — ბიქს გაახსენდა ყველაფერი; ეწყინუ ჯ ი მ ა ს დაში ლ ა ხ ა რ ა ქ. ხუბ., 8,32 — ეწყინა ძმას დის ავადმყოფობა...

დრო-კილოთა მესამე და მეოთხე სერიებში სუბიექტი მიცემითში დაისმის, ობიექტი -- სახელობითში: გაკვირებუ ძალამი ბ ო შ ი ს: ყიფშ., 62,19 — გაკვირვებია ძალიან ბიქს; ათე ხ ე ნ-წ გ ფ ე ს ნოცუნუე ართი ქ ო მ ო ლ ს ქ უ ა: ხუბ., 228,33 — აქ ხელმწიფეს ჰყოლია ერთი ვაჟიშვილი; მ ა ჯ ი ნ ო ბ ა ნოცოროფუე ძალამი: ყიფშ., 62,17 — ნადირობა ჰყვარებია ძალიან...

თავისებურია სუბიექტისა და ობიექტის მრავლობითი რიცხვის გამოხატვა: I პირის სუბიექტისა და ობიექტის მრავლობითობა ერთნაიოდ აღინიშნება: შდრ. ქ ე შ ე ხ ვ ა დ უ შ ა რ ა ს მ ა ჟ ი რ ა კ ო ჩ ქ — შემოხვდა გზაზე მეორე კაცი... ქ ე შ ე ხ ვ ა დ ე ს შ ა რ ა ს მ ა ჟ ი რ ა კ ო ჩ ქ: ხუბ., 7,14 — შემოხვდათ გზაზე მეორე კაცი; ქ ე შ ე ხ ვ ა დ ე ს (თის) შ ა რ ა ს კ ო ჩ ე ფ ქ — შემოხვდნენ მას გზაზე კაცი; ქ ე შ ე ფ ხ ვ ა დ ე ს მ ა შ ა რ ა ს კ ო ჩ ე ფ ქ — შემომხვდნენ გზაზე მე კაცი; ქ ე შ ე ფ ხ ვ ა დ ე ს ჩ ქ ი შ ა რ ა ს კ ო ჩ ქ — შემოგვხვდა ჩვენ გზაზე კაცი; ქ ე შ ე რ ხ ვ ა დ ე ს თ ქ ვ ა შ ა რ ა ს კ ო ჩ ქ — შემოგვხვდათ თქვენ გზაზე კაცი; ქ ე შ ე რ ხ ვ ა დ ე ს ს ი შ ა რ ა ს კ ო ჩ ე ფ ქ — შემოგვხვდნენ შენ გზაზე კაცი...

ქ ე შ ე ფ ხ ვ ა დ ი თ ჩ ქ ი კ ო ს / კ ო ც — შეგხვდით ჩვენ კაცს; ქ ე შ ე ფ ხ ვ ა დ ი თ ჩ ქ ი კ ო ჩ ე ფ ს — შეგხვდით ჩვენ კაცებს; ქ ე შ ე რ ხ ვ ა დ ი თ ჩ ქ ი ს ი — შეგხვდით ჩვენ შენ; ქ ე შ ე რ ხ ვ ა დ ი თ მ ა თ ქ ვ ა — შეგხვდით მე თქვენ; თ ქ ვ ა ქ ე შ ე ფ ხ ვ ა დ ი თ მ ა — თქვენ შემხვდით მე; ს ი ქ ე შ ე ფ ხ ვ ა დ ი თ ჩ ქ ი — შენ შეგხვდით ჩვენ...

ინვერსიულ ფორმებთან ზმნას ითანხმებს რიცხვში მიცემითში დასმული სახელი, ვერ ითანხმებს სახელობითში დასმული სახელი: ბ ო შ ე ფ ს ნ ო ც ო რ ო ფ უ ე ნ ა ო ს უ რ ს ქ უ ა — ვაჟებს ჰყვარებიათ ქალიშვილი, შდრ. ბ ო შ ი ს ნ ო ც ო რ ო ფ უ ე ო ს უ რ ს ქ უ ა ლ ე ფ ი — ვაჟს ჰყვარებია ქალიშვილები.

ჰანურში ორპირიანი გარდაუვალი ზმნა სუბიექტს მოითხოვს სახელობით ბრუნვაში, ობიექტს — მიცემითში. სინტაქსური ურთიერთობა ემყარება ისეთ ნორმებს, როგორც ქართულში გვაქვს: მ ო ნ ჰ ვ ა გ ა თ ხ ო ზ უ ყ ვ ა ო ჯ ი ს: ჰან., I,102,7 — კრუხი გამოუდგა ყვავს; მჭიფე ლ ე ბ შ ი გ უ რ ი ს ქ ო მ ე მ ა ც უ ნ უ: ჰან., II,84,5 — წვრილი ნემსი გულზე შემერკო...



გარდაუვალ ინვერსიულ ზმნებთან რეალური სუბიექტი მიცემითშია, ობიექტი — სახელობითში: ქოთუმეს ტანის ბუნდლა აყვენ: ჰან., I,142,22 — ქათამს ტანზე ბუმბული აქვს; კულანი დვაყოფუ ბიჭის: ხოფ., 164,12 — გოგო შეუყვარდა ბიჭს: აია ოხორჯას სუმ ბეე უყოუნტენ: ხოფ. 150,30 — ამ ქალს სამი ბაეშვი ჰყოლია...

მრავლობითი რიცხვის გამოხატვა მეგრულისებურია: სუბიექტისა და ობიექტის მრავლობითობა ერთნაირი აფიქსებით გადმოიცემა: ჰექ ოხორეფე მეგაგანორენ ლაზიში: ჰან., II,54,12 — იქ ლაზების სახლები შეგხვდებათ; სუმ დლას მილუტეს მსქიბუ: ხოფ., 123,22 — სამ დლეს გვქონდა წისქვილი; ბაბა დულურეს: ჰან., II,30,3 — მამა მოუკვდათ...

ორპირიან გარდაუვალ ზმნასთან სევანურში ქართულისა და ჰანურის მსგავსად სუბიექტი სახელობით ბრუნეაშია, ობიექტი — მიცემითში. რამდენადმე განსხვავებულია რიცხვში შეთანხმების ფორმები: სუბიექტი ითანხმებს ზმნას რიცხვში და მრავლობითი რიცხვის ნიშნები წარმოდგენილია -დ (I და II პ.) და -ხ აფიქსებით, ობიექტის მრავლობითობა კი გუ- (I პ.) და -ხ (II და III პ.) აფიქსებით<sup>15</sup>: ერქას ზურალ გუდ ანკად ლელატი ლივედს: სვ. პ., 262,28 — მაშინ ქალი მიხვდა საყვარლის მოსვლას; ეშხუ მუშეან ლახეშეშგვრენა ლელტხას მეზგა: ბზ. 57,8 — ერთი სვანი სტუშრებია ლენტეხში ოჯახს; ხელწიფეს ხორდა ჟორი ნაღურ: ბქვ. 87,21 — ხელმწიფეს ჰყავდა ორი ვაჟი; აშხვერნ. ლაბსყალდარს კანი ლიხენი ხაკვდახ: ბზ. 49,10 — ერთხელ ლაბსყალდელებს ხარის დაკვლა ნდომებიათ...

ორპირიან გარდამავალ ზმნას ორი სახელი უკავშირდება: სუბიექტი და პირდაპირ ობიექტი, ორივე — ბრუნეაცვალებადი. სუბიექტის ბრუნეებია: სახელობითი, მოთხრობითი, მიცემითი; ობიექტისა — მიცემითი და სახელობითი.

არნ. ჩიქობავამ ორპირიანი გარდამავალი ზმნის შემკველი შესიტყვების 84 კომბინაცია წარმოადგინა (მოწაფე აქებს მასწავლებელს, მოწაფემ აქო მასწავლებელი, მოწაფეს უქია მასწავლებლო, მე ვაქებ მასწავლებელს, ჩვენ ვაქებთ მასწავლებელს და ა. შ.)<sup>16</sup> და დაწვრილებით დაახასიათა ზმნასთან დაკავშირებული სახელების

<sup>15</sup> ვ. თოფურიია, სევანური ენა, I, თბ., 1967, გვ. 21—24.

<sup>16</sup> არნ. ჩიქობავა, რათვისებურებები ახასიათებს ქართული ენის აგებულებას? „კულტურული აღმშენებლობა“, № 7—8, გვ. 725—729.

ბრუნვათა სინტაქსური როლი. გარკვეულია, რომ ყველაზე მეტი სინტაქსური ძალა მოთხრობითს აქვს. მისი მრავლობითობა ზმნაში ყოველთვის აღინიშნება. სახელობით-მიცემითაგან სახელობითი ყველაზე ძლიერია დრო-კილოთა პირველ ჯგუფში: აქ მას მიცემით-ზე მეტი სინტაქსური ძალა აქვს, მაგრამ სუსტია დრო-კილოთა მე-სამე ჯგუფში: აქ მას მიცემითი გადასწონის ხოლმე, რადგანაც სახელობითში დასმული სახელი ობიექტია, მიცემითში დასმული — სუბიექტი<sup>17</sup>.

ძლიერია პირველი პირი. მისი მრავლობითობა ზმნაში ყოველთვის აღინიშნება, იქნება ის სუბიექტი თუ ობიექტი. მას ჩამორჩება მეორე პირი, რომლის სუბიექტის მრავლობითობა ყოველთვის აღინიშნება, მაგრამ ობიექტისა შეიძლება არ აღინიშნოს. თუ სუბიექტი მრავლობით რიცხვშია და ეს ხდება იმიტომ, რომ ორივეს მრავლობითი რიცხვის ნიშანი ბოლოსართია: ის გაქეპთ თქვენ, მაგრამ: ისინი გაქებენ თქვენ...<sup>18</sup>

შემდგომმა ძიებამ ავტორს საფუძველი მისცა გაერკვია, თუ რატომაა ობიექტი უპირატესობით სარგებლობს პირის ნიშნის აღნიშვნისას სუბიექტის წინაშე, როდესაც ერთმანეთს ხედება სუბიექტის პირველი პირი და ობიექტის მეორე პირი (მე გთხოვ შენ...), ანდა — სუბიექტის მეორე და ობიექტის პირველი პირები (შენ მთხოვ მე...)<sup>19</sup>.

ასეთ შემთხვევაში წარმოდგენილია ობიექტის ნიშანი, არ ჩანს სუბიექტისა. თუ მთის იბერიულ-კავკასიური ენების ვითარებას მივმართავთ და ქართულის ადრინდელ ვითარებას გავითვალისწინებთ, აღმოჩნდება, რომ როდესაც ზმნა სახელთა კლასების მიხედვით იუღვლება, იგი ან მხოლოდ ობიექტს აღნიშნავს, ანდა — მხოლოდ სუბიექტს: ოდენ ობიექტურია გარდამავალ ზმნათა უღვლილება (მაგ. ხუნძურში)<sup>20</sup>. ავტორი ასკვნის, რომ კლასოვანი უღვლილება წარმოადგენდა ამოსავალს პიროვანი უღვლილებისათვის<sup>21</sup>.

<sup>17</sup> არნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, რა თავისებურებები ახასიათებს ქართული ენის აგებულებას? „ქულტურული აღმშენებლობა“, № 7—8, გვ. 725—729.

<sup>18</sup> იქვე, გვ. 730.

<sup>19</sup> არნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, გრამატიკული კლას-კატეგორია და ზმნის უღვლილებების ზოგი საერთო ძველ ქართულში: „იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება“, V, თბ., 1953, გვ. 56—59.

<sup>20</sup> არნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, სუბიექტისა და ობიექტის შეფარდებითი როლისთვის ერგატიული კონსტრუქციის ისტორიაში: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებელთა საიუბილეო სამეცნიერო სესია, 1961, 17—20 მაისი, თეზისები, გვ. 133.

<sup>21</sup> იქვე, გვ. 134.

ამ უკანასკნელმა კი გამოიწვია სუბიექტის სინტაქსური როლის გაძლიერება გარდამავალ ზმნაში<sup>22</sup>.

ორპირიანი გარდამავალი ზმნისა და სუბიექტის, ასევე ზმნისა და პირდაპირი ობიექტის სინტაქსური ურთიერთობა მეგრულში ამჟღავნებს თავისებურებებს, რომლის მიხედვითაც სუბიექტი სახელობითში დაისმის პირველი და მეოთხე სერიის ზმნებთან, მოთხრობითში — მეორე სერიის ზმნებთან, მიცემითში — მესამე სერიის ზმნებთან. ობიექტი მიცემითში დაისმის პირველი და მეოთხე სერიის ზმნებთან, სახელობითში — მეორე და მესამე სერიის ზმნებთან: ლ ე ტ ა წ ი კ უ ნ ს ჩ ა ფ უ ლ ა ს — ტ ა ლ ა ხ ი ს ვ რ ი ს წ უ ლ ა ს; კ ა ტ უ კ ო ფ უ ნ ს ჭ უ კ ი ს — კ ა ტ ა ი კ ე რ ს თ ა გ ვ ს... გ ვ ე რ ქ ხ ვ ი თ ო შ ი ს ქ უ ა ლ ა ქ ი მ ი ო ტ უ: ყ ი ფ შ., 26,2 — გველმა ძვირფასი ქვის დება მიატოვა; თ ხ ო ლ ო ქ ი რ ფ ე ლ ა მ ო მ ო წ ი კ უ პ ა პ ა: ყ ი ფ შ., 9,12 -- თხლემ ყველაფრიანად მოსვარა მღვდელი... მ ი ნ ქ ე ს თ ო ფ ი გ ე უ კ ო ფ ე: მ ა ს., 99,37 — პატრონს თოფი აუღია: ტ ყ ა შ კ ო ა ქ უ ძ ი რ უ ძ ღ ა ბ ი — ტ ყ ის კ ა ც ს უ ნ ა ხ ა ვ ს გ ო გ ო... ტ ყ უ რ ა თ ნ ო ბ ლ ო რ ბ ე უ ე მ ა ო ს უ რ ი ა: ხ უ ბ., 52,14 — ტყუილად მატყუებდა თურმე მე ცოლიო; მ ა ჯ ი ნ ე ნ ო ც ვ ი ლ უ ე თ უ ნ თ ი ს — მ ო ნ ა დ ი რ ე კ ლ ა ვ და თურმე დათვის...

ორპირიანი გარდამავალი ზმნა ჭანურში სუბიექტს მოითხოვს მოთხრობით ბრუნვაში, ობიექტს — სახელობით ბრუნვაში. „ობიექტი სახელობითში და სუბიექტი მოთხრობითში — ესაა ფორმულა გარდამავალი ზმნისა ჭანურში“<sup>23</sup>.

სხვა ქართველურ ენათაგან განსხვავებით ეს კონსტრუქცია გვაქვს ყველა დრო-კილოში<sup>24</sup>. მაგალითები: ხ უ რ მ ა ი მ ხ ო რ ს ჯ ო ლ ო ი ქ: ხ ო ფ., 85,14 — ხურმას ჭამს ძაღლი; ქ უ რ ი ქ წ ი პ ი ლ ი კ ო ფ ე მ ს: ჭ ა ნ., II,75,11 — ქორი წიწილს იჭერს... დ ე რ ე მ ე ნ ჯ ი ქ გ ა რ ი დ ო კ უ მ ს: ჭ ა ნ., II,95,13 — მეწისქვილე საჭმელს შესწვავს; ფ უ ჯ ი ქ გ ე ნ ი დ ო ი ნ ა ფ ს: ჭ ა ნ., I,165,32 — ძროხა ხბოს მოიგებს...; არ ბ ა დ ი კ ო ჩ ი ქ ბ ა ლ ის მ ც ხ უ ლ ი გ ო მ პ ო ნ ა პ ტ უ: ჭ ა ნ., I,87,21 — ერთი მოხუცი კაცი ბაღში მსხალს ამყნობდა; გ ი შ ე რ ა ქ ბ ო ჩ ო ლ ა ლ ო კ ო პ ტ უ: ჭ ა ნ., I,101,31 — გიშე-

<sup>22</sup> არნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა. ერგატივის ნაირსახეობანი და მისი სინტაქსური ძალა კლასოვანი და პიროვანი უღვლილების გარდამავალ ზმნაში: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის XVII სამეცნიერო სესია, 1974, თეზისები, გვ. 24.

<sup>23</sup> არნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, ჭანურის გრამატიკული ანალიზი, თბ., 1936, გვ. 103.

<sup>24</sup> დაწვრილებით—არნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, ერგატიული კონსტრუქციის პრობლემა იბერიულ-კავკასიურ ენებში, II, თბ., 1961, გვ. 5.

რა ბოჩოლას ლოკავდა...; თ ი ლ ჩ ი ქ ს თ ო ლ ი ქ ო დ ო დ გ უ: ჭ ა ნ., II, 99, 30 — მეღამ მაგიდა დადგა; ქ ო თ უ მ ე ქ კ ო ლ ი ქ ო ჭ ო ფ უ: ჭ ა ნ., I, 74, 16 — ქათამმა კალია დაიჭირა; ა რ კ ო ჩ ი ქ თ ქ უ ლ ო რ ე ნ: ჭ ა ნ., II, 41, 10 — ერთ კაცს უთქვამს; გ ე რ ი ქ ო ჭ კ ო მ ა ლ ე ვ ა ძ ი რ უ ლ ო რ ე ნ: ჭ ა ნ., II, 11, 34 — მგელს საჭმელი ვერ უპოვია.

ზოგჯერ სუბიექტი სახელობითს ემსგავსება, როცა მოთხრობითი ბრუნვის ნიშანი მოკვეცილი აქვს<sup>25</sup>. სახელობითად მას ვერ მივიჩნევთ იმიტომ, რომ მეორე სახელი, პირდაპირი ობიექტი, სახელობით ბრუნვაშია: თუ სუბიექტი სახელობითში იქნებოდა, ობიექტი მიცემითში უნდა ყოფილიყო და, რაც მთავარია, ასეთი ფორმები გვაქვს აორისტის ჩგუფშიც, სადაც სუბიექტი მოთხრობითშია: ბ ი ჭ ი ზ ა მ ი თ ე ქ უ ვ ა ლ ი გ ა მ ა კ ვ ა თ უ: ჭ ა ნ., II, 121, 5 — ბიჭმა დანით ტომარა გამოჭრა; ბ ი ნ ე ხ ი ე უ რ ძ ე ნ ი ნ ი ჩ ა ნ უ: ჭ ა ნ., II, 109, 23 — ვაზმა ყურძენი მოისხა; ა ვ ჭ ი დ ა ლ ი მ თ უ თ ი დ ო ი ლ უ: ჭ ა ნ., II, 111, 28 — მონადირემ ტყეში დათვი მოკლა...

იშვითად პირდაპირი ობიექტი, ქართულის მსგავსად, მიცემითში დაისმის ნაცვლად სახელობითისა: კ ო ჩ ი ქ - თ ი ხ ე თ ე ნ ჭ ა რ უ მ ს ქ ა რ ტ ა ლ ი ს: ჭ ა ნ., II, 59, 7 — კაციც ხელით წერს ქალაღს.

სპეციალურ ლიტერატურაში მითითებულია, რომ ქ ო გ ა ო ჭ კ უ ჭ ა ნ უ რ შ ი მიცემით ბრუნვას მოითხოვს: ო ჭ კ ო მ უ ს ქ ო გ ა ო ჭ კ უ — „ჭამას დაიწყო“<sup>26</sup>. მაგ.: ფურუნისი ოხვენუს ქოგაოჭკუ ზოჯაქ: ჭ ა ნ., I, 5, 29 — ფურნის კეთება დაიწყო ზოჯამ, შდრ. ოხორჯაქ ოყურუ ქოგაოჭკუ: ხ ო ფ., 198, 18 — ქალმა ყვირილი დაიწყო...

ო ჭ კ ო მ უ ს ქ ო გ ა ო ჭ კ უ საინტერესო ნიმუშია. იგი შეესაბამება ძველი ქართულის „იწყო ჭ ა მ ა ლ“ და „იწყო ჭ ა მ ა ს“ კონსტრუქციებს<sup>27</sup>.

სვანურში ორპირიანი გარდამავალი ზმნა ქართულისებურად მოითხოვს ბრუნვაცვალებად სუბიექტსა და ობიექტს: პირველი სერიის ზმნებთან სუბიექტი სახელობით ბრუნვაშია, ობიექტი — მიცემით ბრუნვაში; მეორე სერიის ზმნებთან სუბიექტი მოთხრობით ბრუნვაშია, ობიექტი — სახელობითში; მესამე სერიის ზმნებთან

<sup>25</sup> ასეთი მოკვეცა სხვა შემთხვევაშიც გვაქვს: ხოჯა სუმ ეშელი ქუნურტუ-არ ე შ ე ლ ი (=ეშელს) ქოჯახედუ: კარტ. ჭ ა ნ. ტექსტები, 222, 1, ხოჯას სამი ვირი ჰყავდა. ერთ ვირზე შეჯდა; ავჯი დალი (=დალის) მთუთი დოილუ: ჭ ა ნ. II, 111, 28 — მონადირემ ტყეში დათვი მოკლა.

<sup>26</sup> არნ. ჩ ი ქ ო ბ ა ე ვ ა, ჭ ა ნ უ რ - მ ე გ რ უ ლ - ქ ა რ თ უ ლ ი შედარებითი ლექსიკონი, თბ., 1938, გვ. 412; დ. ჩ ხ უ ბ ი ა ნ ი შ ე ი ლ ი, ინფინიტივის საკითხოსათვის ძველ ქართულში, თბ., 1972, გვ. 131.

<sup>27</sup> დ. ჩ ხ უ ბ ი ა ნ ი შ ე ი ლ ი, ინფინიტივის საკითხოსათვის ძველ ქართულში, გვ. 131.

სუბიექტი მიცემით ბრუნვაშია, ობიექტი — სახელობით ბრუნვაში. ზმნა მართავს ორივე სახელის ბრუნვას და იმართვის პირში<sup>28</sup>: მეშხე დაჯღლცხეკის ხეკვფხი: სვ. პ., 244,28 — შავი თბა ტყეში ნეკერს ჭამს...; ანკიდ ამირანდთეტუნ: ბზ., 65,4 — აილო ამირანმა მახათი; კვიციანდლაქვშიაშ ყორარ სვაშხენქა ჩეაკილ: ბქვ., 9,3 — კვიციანმა ეკლესიის კარები შიგნიდან ჩაქეტა...; ამ ჩიქს მჯღტეხ ხაწლა მიჩა ნაებდროშ: ბზ., 50,17 — ამ დროს ლენტეხელს დაუნახავს მისდა საუბედუროდ...

აღსანიშნავია ერთი გარემოება: სვანურში ობიექტის მრავლობითი რიცხვის აღსანიშნავად გამოიყენება -წლ-ი (ბზ.), -ლ-ი (ბქვ.), ალ-ი (ლენტ.): ბზ. ატურ-წლ-ი, ლაშხ. ატურენ-წლ-ი, ბქვ. ატურ-წლ-ი, ლენტ. ატურ-ალ-ი (ანთებს სანთლებს); ბზ. ამარ-წლ-ი, ლაშხ. ამარ-წლ-ი, ბქვ. ამარ-წლ-ი, ლენტ. ამარ-ალ-ი (ამზადებს ბევრს)...<sup>29</sup>

ობიექტის მრავლობითობის ამგვარი გამოხატვა არ ჰგავს ძველი ქართულისას: ძველ ქართულში ითანხმებდა სახელობითში დასმული ობიექტი, რომელსაც ობიექტის მრავლობითი რიცხვის აღსანიშნავად ჰქონდა ნიშანი, სვანურში კი, როგორც ამაზე მიუთითებს თ. შარაძენიძე, ჩამოთვლილი აფიქსები ნაკეთთა სამსავე ჯგუფში გვხვდება: ლამპრალს ატერალის: სვ. ტექსტ., 13:11 — ლამპრებს ანთებენ; ხამარ ადვალე: იქვე, 194,17 — ლორები წაიყვანა; ოხეშკადალა ლურცმანარ: იქვე, 64,12 — გამოუქვდავს ლურსმნები<sup>30</sup>.

ეგვეე აფიქსები გამოყენებულია მიმღობებთან მრავლობითი რიცხვის აღსანიშნავად და ზმნებთან გამოხატავენ აგრეთვე მოქმედების განმეორებასა და მრავალგზისობას<sup>31</sup>.

სამპირიანი ზმნა სამ სახელს შეიწყობს: ორს ბრუნვაცვალებადს და ერთს — ბრუნვაუცვლელს (მიცემითში დასმულს). სუბიექტი ზმნაში აღინიშნება პირის ნიშნით. ორივე ობიექტი პირველსა და მეორე პირებში წარმოდგენილია მ და გ პრეფიქსებით. შე-

<sup>28</sup> ვ. თოფურიია, შრომები, I, თბ., 1967, გვ. 36—37; ნ. აბესაძე, დამატებისა და შემასმენლის სინტაქსური ურთიერთობის საკითხები სვანურში: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, 133 (142), თბ., 1972, გვ. 5.

<sup>29</sup> ვ. თოფურიია, შრომები, I, გვ. 233.

<sup>30</sup> თ. შარაძენიძე, სახელთა მრავლობითი რიცხვის წარმოება სვანურში ბალსზემოური კილოს მიხედვით: „იბერ. ულ-კავკასიური ენათმეცნიერება“, VI, 1954, გვ. 192.

<sup>31</sup> ვ. თოფურიია, შრომები, I, გვ. 231—234; თ. შარაძენიძე, სახელთა მრავლობითი რიცხვის წარმოება სვანურში ბალსზემოური კილოს მიხედვით, გვ. 192.

სამე პირებთან ასეთი სურათია: პეტრემ წაავლო სარხედ გამობ-  
მულ წნელს ხელი: ილია, I,458,1; დავითმა არსენას თვალებს თა-  
ვისი თვალები გააყოლა: მ. ჯაფახ., IV,19,35...

მესამე სერიაში ირიბი დამატება იქცევა - თვის თანდებუ-  
ლიან სახელად, „სამპირიანი ზმნა ერთ პირს დაკარგავს და ორპი-  
რიანი გახდება“<sup>32</sup>: ჩიტებს პირი მიეცათ ერთმანეთისათვის: ვაჟა,  
V,192,9... სუბიექტი დაისმის მიცემით ბრუნვაში, პირდაპირი ობი-  
ექტი — სახელობითში. აღგილი აქვს ინვერსიას.

სამპირიანი ზმნა მეგრულში პირველ სამ სერიაში ქართული-  
სებურია: პირველი სერიის ფორმებთან სუბიექტი დაისმის სახე-  
ლობითში, ობიექტები — მიცემითში: დ ი ღ ა ქუმულანს ს ქ უ ა-  
ლ ე ნ ს კითა უ შ ქ უ რ ს — დედა მოუტანს შვილებს წითელ  
ვაშლს ... მეორე სერიის ზმნებთან სუბიექტი მოთხრობითშია, პირ-  
დაპირი ობიექტი — სახელობითში, ირიბი ობიექტი — მიცემითში:  
ქირიშ მ ი ნ ჯ ე ქ ქიმეციღუ ლ ე ვ ა ნ ს ქ ი რ ი: ხუბ., 7,18 —  
ქორის პატრონმა მიჰყიდა ლევანს ქორი; ლეკურიშ ნ ო ტ ე ხ ი ქ  
ა ლ ე ს ე უ ჯ ი მეკვათვ: ხუბ., 169,4 — ხმლის ნატეხმა ალეს ყუ-  
რი მოჰკვეთა...

მესამე სერიის ფორმებთან სუბიექტი მიცემითშია, პირდაპირი  
ობიექტი სახელობითში, ირიბი ობიექტი ქრება — მიმართულე-  
ბით ბრუნვაში დაისმის და ზმნის პირიანობაში არ მონაწილეობს:  
სამპირიანი ზმნა ორპირიანად გადაიქცევა; მაგ.: ათენერი კ ო ჩ ი-  
შ ა მეუჩამუ მუაჩქიმს ჩქიმი ღუღია: ხუბ., 50,4 — ამგვარი კაცი-  
სათვის მიუცია მამაჩემს ჩემი თავიო.

მეოთხე სერიაში სამპირიანი ზმნა სამპირიანადვე რჩება: სუ-  
ბიექტი სახელობით ბრუნვაშია, ობიექტი — პირდაპირიცა და ირი-  
ბიც — მიცემითში: დ ა თ ა მენოჩამუე სუმ ფუთ ს ი მ ი ნ ს მ ე-  
ზ ო ბ ე ლ ს — დათა აძლევა თურმე სამ ფუთ სიმინდს მეზო-  
ბ ე ლ ს; დ ა თ ა მენოჩამუედას სუმ ფუთ ს ი მ ი ნ ს მ ე ზ ო-  
ბ ე ლ ს; — დ ა თ ა მენოჩამუედას სუმ ფუთ ს ი მ ი ნ ს მ ე ზ ო-  
ბ ე ლ ს...

სინტაქსური დამოკიდებულების მიხედვით მეოთხე სერია მო-  
გვაგონებს პირველს.

კანურში სამპირიანი ზმნა სუბიექტს მოითხოვს მოთხრობით  
ბრუნვაში, პირდაპირ ობიექტს — სახელობითში, ირიბს — მიცე-  
მითში<sup>33</sup>: ბეშ ნ ა ნ ა ქ ო ხ ო რ ჯ ა ს მეჩაფს ფ ა რ ა: ზოფ.,  
60,2 — ბავშვის დედა ქალს მისცემს ფულს: ამა ჯ ა ზ ი ქ ქიტა

<sup>32</sup> ა. შ ა ნ ი ძ ე, ქართული ენის გრამატიკა, II, სინტაქსი, თბ., 1948, გვ. 22.

<sup>33</sup> არნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, კანურის გრამატიკული ანალიზი, გვ. 104.

ჭ უ მ ა ს ჭ უ მ ა ლ ე ფ ე ქოჭკომეენ: ხოფ., 155,20 — ამ ჯაზს უმცროსი ძმისათვის ძმები შეუქამია...

ს ვ ა ნ უ რ შ ი სამპირიან ზმნას ქართულის მსგავსად ახლავს სამი სახელი: ბრუნვაცვალებადი სუბიექტი, ბრუნვაცვალებადი ობიექტი და მიცემითში დასმული ობიექტი (ირიბი ობიექტი). სუბიექტი დაისმის ს ა ხ ე ლ ო ბ ი თ (I სერიის ზმნებთან), მ ო თ ხ რ ო ბ ი თ (II სერიის ზმნებთან), მ ი ც ე მ ი თ (III სერიის ზმნებთან) ბრუნვებში. პირდაპირი ობიექტი — მ ი ც ე მ ი თ (I სერიის ზმნებთან) და ს ა ხ ე ლ ო ბ ი თ (II და III სერიების ზმნებთან) ბრუნვებში. ირიბი ობიექტი მხოლოდ მ ი ც ე მ ი თ ბრუნვაშია და ზმნის პირიანობაში მონაწილეობს, თუ ზმნა I ან II სერიისაა.

ზმნა მართავს სამივე სახელის ბრუნვას და იმართვის პირში სუბიექტისა და ობიექტის მიერ: იმი მიშგვა გეზალს ხახვდ ლოჰედნე: ბქვ., 125,34 — მე ჩემს შვილს ცოლად მიცემ; ეჩა მალატდ გუ ამწანე: სვ. პ., 344,14 — მისმა სიყვარულმა გული მომტაცა...

ღრო-კილოთა მესამე სერიაში ირიბი ობიექტი იქცევა პირმიუმართავ დამატებად და დაისმის ნანათესაობითარ ვითარებითში: დი გეზალს ხომარე ლეზვებს — დედა შვილს უმზადებს საქნელს...; დის გ ე ზ ლ ა შ დ ოხვმარა ლეზვებ — დედას შვილისათვის მოუმზადებია საქმელი<sup>34</sup>; გიგოს ხრჭვა გლეხბარდ მიჩა: სვ. პ., 46.2 -- გიგოს უთქვამს თავის გლეხებისათვის.

ზმნის რიცხვში შეთანხმების უნარი აქვს სუბიექტსაც და ობიექტსაც, თუ ეს უკანასკნელი I ან II პირშია. პირველი პირის ობიექტის მრავლობითი რიცხვის ნიშანია გუ (//), მეორე პირისა — ხ სუფიქსი, „მესამე პირისა კი იმ შემთხვევაში დაირთავს ხ ბოლოსართს, როცა მიცემით ბრუნვაში დასმული სახელი — ე ნ ი ს თვალსაზრისით არამოქმედი, ობიექტი — ს ი ნ ა მ დ ვ ი ლ ე შ ი მოქმედს, სუბიექტს წარმოადგენს“<sup>35</sup>.

ყურადღებას იქცევს ის გარემოება, რომ ქართველურ ენებში პარალელურად გვაქვს ნომინატიური, ერგატიული და დატიური კონსტრუქციები, რომელთა ამოსავალია ინდოევინიტური კონსტრუქცია. არნ. ჩიქობავამ ერთ-ერთ მოხსენებაში, რომელიც წაკითხული იყო საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის საქართვე-

<sup>34</sup> ნ. ა ბ ე ს ა ქ ე, დამატებისა და შემასწავლის სინტაქსური ურთიერთობის საკითხები სვანურში, გვ. 8; ქ. დ ო ნ დ უ ა, რჩეული შრომები, 1, თბ., 1967, გვ. 51; В. Т о п у р и а, Сванский язык, Языки народов СССР, с. 91.

<sup>35</sup> ვ. თ ო ფ უ რ ი ა, შრომები, 1, გვ. 15.

ლოს ფილიალის პირველ სესიაზე 1939 წლის 28 სექტემბერს<sup>36</sup>, ამოსავლად მიიჩნია ნამყო ძირითადის (აორისტის) ჯგუფი, მეორეულად — აწმყოს ჯგუფი. ამის საბუთი მკვლევარს მისცა იმან, რომ როცა სუბიექტად ერგატივი გვაქვს, ზმნა-შემასმენელი არაა ჩვეულებრივი მოქმედებითი ან ვნებითი გვარისა, იგი თავასი ბუნებით ნეიტრალურია; ზმნის ნეიტრალური ფუძის გააქტიურება ხდება აწმყოში გარკვეული მორფოლოგიური საშუალებით: ესაა აწმყოს ფუძის აფიქსები: აშენ-ებ-ს, დგ-ამ-ს, კლ-ავ-ს და ა. შ.; ეს სუფიქსები მოქმედებითი გვარის საწარმოებელი სუფიქსებია ქართულში და გვაქვს მხოლოდ პირველ ჯგუფში<sup>37</sup>.

ეს ვარაუდი ავტორმა დაასაბუთა მონოგრაფიაში „ერგატიული კონსტრუქციის პრობლემა იბერიულ-კავკასიურ ენებში“, I (თბილისი, 1948) და აღნიშნა, რომ ერგატიული და ნომინატიური კონსტრუქციებიდან, რომელთაც ქმნის გარდამავალი ზმნა, უწინარესია ერგატიული კონსტრუქცია (კლა მან იგი, აქო მან იგი...), შემდეგი ხანისაა ნომინატიური კონსტრუქცია (აკლავს იგი მას, აქებს იგი მას)<sup>38</sup>.

სპეციალურ ლიტერატურაში ჩამოყალიბებულია მოსაზრებათა ორი ძირითადი ჯგუფი, რომლის მიხედვითაც „I. ქართველურ ენათა გარდამავალი ზმნის ნომინატიური კონსტრუქცია შეიქმნა ინდოევროპული ენების გავლენის შედეგად (გ. დეეტერსი, პ. ფოხტი, კ. შმიდტი...). II. ეს კონსტრუქცია ჩამოყალიბდა ქართველურ ენათა შინაგანი განვითარების გზით (არნ. ჩიქობავა, გ. პეჩი...)“<sup>39</sup>.

აქედან ძალაში რჩება მოსაზრება, რომ ნომინატიური კონსტრუქცია ჩამოყალიბდა ქართველურ ენებში შინაგანი განვითარების გზით<sup>40</sup>.

გ. როგავამ ნომინატიური კონსტრუქციის გენეზისი ასე წარმოგვიდგინა: აწმყოს ჯგუფის ნომინატიური კონსტრუქციის გარდამავალი ზმნები წარმოდგენენ ლაბილური კონსტრუქციის ზმნათა ნომინატიური კონსტრუქციის ვარიანტებს, ე. ი. ერთპირიან

<sup>36</sup> არნ. ჩიქობავა, ერგატიული კონსტრუქციის პრობლემისათვის კავკასიურ ენებში: ამ კონსტრუქციის სტაბილური და ლაბილური ვარიანტები: ენის მისი. XII, 1942, გვ. 221--247.

<sup>37</sup> დასახელებული ნაშრომი, გვ. 232—233.

<sup>38</sup> არნ. ჩიქობავა, ერგატიული კონსტრუქციის პრობლემა იბერიულ-კავკასიურ ენებში, II, გვ. 6.

<sup>39</sup> გ. როგავა. ნომინატიური კონსტრუქციის მქონე გარდამავალი ზმნის გენეზისისათვის ქართველურ ენებში: „იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების წილწილეული“, II, 1975, გვ. 276.

<sup>40</sup> დასახელებული ნაშრომი, გვ. 276.



გარდაუვალ ზმნებს. მაგალითად, „მან მკის იგი“ (გარდამავალი) და \*„იგი მკის“ (გარდაუვალი) ლაბილური კონსტრუქციის ზმნის გარდაუვალმა ვარიანტმა — \*„იგი მკის“ — მიიღო აწმყოს მნიშვნელობა და დროის მიხედვით დაუპირისპირდა მეორე ჯგუფის ნაკეთებს და მათივე ანალოგიით გაიჩინა პირდაპირი ობიექტი (მიცემით ბრუნვაში დასმული). ეს მიცემითი იყო ქართველურ ენებში საერთოდ ირიბი ობიექტის ბრუნვა (შდრ. II ჯგ. მან მკის იგი/მან მომკა იგი, I ჯგ. იგი მკის (მას) — \*იგი მკის)<sup>41</sup>.

როგორც ვხედავთ, ქართველურ ენებში ერთნაირად გვაქვს ერთპირიანი, ორპირიანი და სამპირიანი ზმნები, რომლებთანაც დაკავშირებულია სათანადო სახელები. ამ სახელთა და ზმნების სინტაქსური დამოკიდებულება ბოლომდე არაა ერთნაირი: ქართულში გარდაუვალ ზმნასთან სუბიექტი სახელობით ბრუნვაშია, გარდამავალთან კი ბრუნვაცვალებადია: დაისმის საწელობითში, მოთხრობითსა და მიცემით ბრუნვებში. ირიბი ობიექტი მუდამ მიცემითშია, პირდაპირი — ბრუნვაცვალებადია. ასევეა სვანურშიც.

ზანური მეტ თავისებურებას ამჟღავნებს, ქართულ-სვანური-საგან განსხვავებულია. განსხვავებულია თვით მეგრულისა და ჰანური კილოების მთავარ წევრთა სინტაქსური ურთიერთობა: 1. სუბიექტისა და გარდაუვალი ზმნის (ერთპირიანი, ორპირიანი) ურთიერთობა ჩვეულებრივ ერთნაირია ქართულში, სვანურსა და ჰანურში, განსხვავებულია მეგრულში; 2. სუბიექტ-ობიექტისა და გარდამავალი ზმნის ურთიერთობა ერთნაირია ქართულში, სვანურსა და მეგრულში, განსხვავებულია ჰანურში; 3. ირიბი ობიექტისა და ზმნის სინტაქსური ურთიერთობა ერთნაირია ქართველურ ენებში; განსხვავებაა რიცხვის გამოხატვის ფორმებში; 4. პირდაპირი ობიექტისა და ზმნის სინტაქსურ ურთიერთობაში ცალკე დგას ჰანური: პირდაპირი ობიექტი სახელობითშია; 5. ქართულისაგან განსხვავებულია სხვა ქართველურ ენათა ობიექტის რიცხვის გამოხატვის ფორმები.

ზმნასა და მორფოლოგიურად მასთან დაკავშირებულ სახელებს შორის რთული სინტაქსური ურთიერთობაა. არნ. ჩიქობავამ ამ ურთიერთობაში ყველა კომბინაციის გათვალისწინებით ცალკე დაახასიათა სინტაქსური დამოკიდებულება ერთპირიან ზმნასა და მასთან დაკავშირებულ სუბიექტს შორის და ორ და სამპირიან ზმნებსა და ამ ზმნებთან დაკავშირებულ სუბიექტ-ობიექტს შორის.

<sup>41</sup> გ. როგავა, დასახელებული ნაშრომი, გვ. 278.

ორპირიან და სამპირიან ზმნებთან მორფოლოგიურად დაკავშირებულია ორი და სამი სახელი: სუბიექტი და ობიექტი (//ობიექტები). ზმნა მართავს მორფოლოგიური სუბიექტისა და მორფოლოგიური ობიექტის ბრუნვებს და სუბიექტი და ობიექტი მართავენ ზმნის პირს. ამ რთულ სინტაქსურ ურთიერთობას არნ. ჩიქობავამ უწოდა კოორდინაცია, ხოლო კოორდინაციის მონაწილე სიტყვებს — კოორდინატები<sup>42</sup>.

შესიტყვებაში სინტაქსური სიძლიერის მიხედვით გამოიყო ძირითადი კოორდინატი, დიდი კოორდინატი, მცირე კოორდინატი და უმცირესი კოორდინატი<sup>43</sup>.

კოორდინაციის სისტემა ასახავს ქართველურ ენათა შესიტყვების თავისებურებებს.

## 2. შესიტყვება წინადადების მეორეხარისხოვან წევრებათა

§ 3. ზმნასთან დაკავშირებული მიცემით ბრუნვაში დასმული სახელი. ზმნასთან დაკავშირებული მიცემით ბრუნვაში დასმული სახელი, რომელიც წინადადებაში მეორეხარისხოვან წევრად გვევლინება, ზმნას უკავშირდება მართვით ან მირთვით! ასეთი სახელი შეიძლება იყოს უთანდებულოც და თანდებულიანიც. უთანდებულო სახელი ძველი ვითარების ანარეკლი ჩანს, მაგ.: შენი სიყვარული გულს ჩამივარდა: ილია, I, 297, 29; ერთი გადგა შვილდოსანი, შალვასა ჰკრა გვერდს ისარი: რ. ერისთ., 254, 13...

მიცემითში გვაქვს ადგილისა და დროის გამომხატველი სიტყვები: იმ ხანებში მამაჩემი კახეთს წავიდა: ვაჟა, VII, 49, 26; ორი მეგობარი მიდიოდა გზასა: ი. გოგებ., V, 238, 2; შიშია ყურძნობას კახეთს იყო სამუშაოდ: ვაჟა, VII, 315, 15...

<sup>42</sup> არნ. ჩიქობავა, მარტივი წინადადების პრობლემა ქართულში, გვ. 213—234; მისივე: რა თავისებურებები ახასიათებს ქართული ენის აგებულებას? „კულტურული აღმშენებლობა“, 1930, № 7—8, გვ. 721—737; ჭანურის გრამატიკული ანალიზი, გვ. 182—183; ენათმეცნიერების შესავალი, გვ. 293—294.

<sup>43</sup> არნ. ჩიქობავა, მარტივი წინადადების პრობლემა ქართულში, გვ. 216—217.

<sup>1</sup> მიცემითის ფუნქციების შესახებ იხ. ე. ბაბუნაშვილი, მიცემითი და ვითარებითი ბრუნვების ურთიერთობისათვის ძველ ქართულში: სახელის ბრუნვების ისტორიისათვის ქართველურ ენებში, წიგნი I, ვ. თოფურის რედაქციით, თბ., 1956, გვ. 393—402; ა. მარტიროსოვი, მიცემითი და ნათესაობითი ბრუნვების წარმოება და ფუნქციები ძველ ქართულში, იქვე, გვ. 374—392; ი. იმნაიშვილი, სახელთა ბრუნვა და ბრუნვათა ფუნქციები ძველ ქართულში, თბ., 1957, გვ. 685—703.

თანდებულიანი მიცემითა ზმნასთან დაკავშირებული: ამ კითხვამ გააბა ლუარსაბი მ ა ხ ე შ ი: ილია, 1,350,27; ამ ს ი ტ ყ - ვ ე ბ ზ ე დ მეცნიერმა აფიცერმა თითებზედ იკოცა: ილია, 1,252,23; დარეჯანი ამოვიდა მალლა ლ უ ა რ ს ა ბ თ ა ნ: ილია, 1,270,22; ხალხი ბ უ ზ ს ა ე ი თ ი რეოდა: ილია, 1,274,15...

მეგრულში უთანდებულო და ზოგ -ზე და -ში თანდებულე-ბიან მიცემითს შეესატყვისება უთანდებულო მიცემითი: ბადიდიქ გედოხოლდ ბ ო გ ი რ ს: ყიფშ., 41,14 — მოხუცი დაჯდა ხიღზე: ხენწიფექ ქაჭულდ კ უ ჩ ხ ი ს: ხუბ., 206,16 — ხელმწიფემ აკოცა ფეხზე...; გატყურია ... ქინახუნეს ს ა კ ი ს: ხუბ., 194,7 — მატყუ-არა ჩასვეს ტომარაში.

ქანურშიც მეგრულისებური მდგომარეობაა: მონჰვა გეხენ მ ა რ ქ ვ ა ლ ი ს: ჰან., 1,164,9 — კრუხი ზის კვერცხზე: ქოთუმე-ში ხორცი ბგიბუფთ წ კ ა ი ს: ხოფ., 70,21 — ქათმის ხორცს ვხარ-შაეთ წყალში...

სვანურშიც მიცემით და ნათესაობით ბრუნებში დასმული სახელი ზმნას უკავშირდება უთანდებულოდაც და თანდებულიან-დაც. ეს ორი ბრუნვაა თანდებულიანი და, რაც მთავარია, ქართულ-ზანურისაგან განსხვავებით, სვანურში „ყველა თანდებულს შეუქ-ლია სახელები ორივე ბრუნვაში მართოს“<sup>2</sup>. ამით აიხსნება ის გა-რემოება, რომ ქართულს ერთ შემთხვევაში მიცემითი ეფარდება, მეორე შემთხვევაში — ნათესაობითი<sup>3</sup>.

არჩევენ მარტივსა და რთულ თანდებულებს. მ ა ო ტ ი ე ი ა: ეი, ჩუ, ისგა, ქა, თე, ხან, ცახან, ღა, ღო; რ თ უ ლ ი ა: თესგა, თექა, თეეი, თეჩუ, ხანქა, ხანისგა<sup>4</sup>.

1. უ თ ა ნ დ ე ბ უ ლ ო მ ი ც ე მ ი თ ი: თამბილ ჩ ა ე ა ს უყვშგულ ლახსგურ: სვ. პ. 150,14 — თამბილი ცხენზე უკულმა ზის: მგმლახილ ჩ ა ე ე ლ ს ხასგურდა: სვ. პ. 70,9 — მულახელი ცხენზე იჯდა; ყიბე ფ ა ყ ს ბაპ ლგმარდ ეშხუ: ლენტ. 91,18 — ზემო ფაყში მღვდელი ყოფილა ერთი; აშხვერნ ესნარ მესტიანლარ

<sup>2</sup> ნ. ა ბ ე ს ა ძ ე. თანდებული სვანურში: თბილისის სახელმწიფო უნივერ-სიტეტის სტუდენტთა სამეცნიერო შრომების კრებული, № 7, 1955, გვ. 282; მი-სივე, დამატებისა და შემასმენლის სინტაქსური ურთიერთობისათვის სვანურში: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, 133/142/, თბ., 1972, გვ. 9.

<sup>3</sup> სვანური მიცემითისა და ვითარებითის ფუნქციები ვრცლად მიმოხილული აქვს ე. ბაბუნაშვილს. ე. ბ ა ბ უ ნ ა შ ვ ი ლ ი, მიცემითი და ვითარებითი ბრუნვების ურთო-ერთობისათვის ძველ ქართულში: სახელის ბრუნვების ისტორიისათვის ქართველურ ენებში, I, ვ. თოფურაის რედაქციით, თბ., 1956, გვ. 397—401.

<sup>4</sup> ნ. ა ბ ე ს ა ძ ე. თანდებული სვანურში, 281. რთულ თანდებულებს ვრცლად ეხება ნ. ჩანტლაძე. ი. ჩ ა ნ ტ ლ ა ძ ე, შტო-გვარის აღმნიშვნელ სახელთა წარმოება და ბრუნება სვანურში: „მაცნე“, 1967, № 6, გვ. 289—194.

პრის ლეჩხუმს: ბზ., 51,2 — ერთხელ თურმე შესტიელები არიან ლეჩხუმში;

2. თანდებულიანი მიცემითი: ა) ჟი თანდებული: ჩუე ასგურდა თვეთნა ბაჩყვი: სვ. პ. 180,2 — ჩამოჭდა თეთრ ქვაზე; ათხე უშხვარ ლახღვერანხ უშგვლარ ი ლებარ ნაერთქულაჟი: სვ. პ. 368,19 — ახლა ერთმანეთს შეეფიცნენ უშგულელები და ლებელები ერთგულებაზე...; ბ) თე თანდებული: ესღვრდა ეშხუ მგლტალ ლულტხა ლეკვა ლეჩხუმთე: ბზ. 50,15 — მიდიოდა ერთი ლატალელი ლენტეხის გავლით ლეჩხუმში; მერმა ლადელ ქორთე ატახ მიჩა ბაბაშთე: ბქვ. 108,24 — მეორე დღეს სახლში დაბრუნდა თავის ბაბუასთან; გ) ცახან თანდებული: ღვაჟარცახან ღეშ ხიბურგელ, სიმქარს გამს სი ხატხეი: სვ. პ., 108,23 — ვაყებთან ვერ ქილაობ, სამაგიეროს ქალიშვილებს უხდი; ლაცლაცახან ლირდე ლამსედნი: სვ. პ. 320,8 — ტოლებთან ყოფნა შემრჩება და ა. შ.

§ 4. ზმნასთან დაკავშირებული ვითარებით ბრუნვაში დასმული სახელი. ზმნასთან დაკავშირებული ვითარებით ბრუნვაში დასმული სახელი შეიძლება იყოს ბრუნვაში მართული ან მირთული სახელი იმის მიხედვით, თუ რა ფუნქციითაა ის წინადადებაში<sup>5</sup>.

მაგ.: ცოცხალი ხე შეეშად გადაიქცა: ნ. ლორთქ., I,208,15; თაშადად იგივე მოძღვარი ჩხიკვი თომა ამოერჩიათ: ვაჟა, V,246,24; თთარაანთ ქვრივისაც ეშინოდათ, გუბერნატორამდის ივლისო: ილია, I,436,5...

მეგრულში ვითარებით ბრუნვაში დასმული სახელი ისევე შეეწყობა ზმნას, როგორც ქართულში: მაფაქ ქიმეჩე თინა მეწამალეს ჩილო: ყიფშ., 11,26 — მეფემ მისცა იგი მეწამლეს ცოლად; ტორონჯიქ გინნოთგ კოჩო: ხუბ., 214,11 — მტრედი გადაიქცა კაცად...

ქანურში ვითარებითი ბრუნვის გადაშენების გამო ქართულის ვითარებითი ბრუნვის მნიშვნელობით გამოყენებულაა ფუძე ან სახელობითი ბრუნვა: მუსაფირი მითი ვა დოდგინუ: კარტ. ჰან. ტექსტ. 223,12 — სტუმრად არავინ დააყენა; ნოშქეის აკნუ — ალთუნ დიეუ: ჰან., II,47,17 — ნახშირს სტაცა ჩელი, ოქროდ იქცა...

<sup>5</sup> ვითარებითი ბრუნვის ფუნქციების შესახებ: თ. შარაძენიძე, მოქმედებითი და ვითარებითი ბრუნვების წარმოება და ფუნქციები ძველ ქართულში: სახელის ბრუნვის ისტორიისათვის ქართველურ ენებში, გვ. 420—433; ე. ბაბუნაშვილი, მცემითი და ვითარებითი ბრუნვების ურთიერთობისათვის ძველ ქართულში, იქვე, გვ. 393—402; ი. იმნაიშვილი, სახელთა ბრუნვა და ბრუნვათა ფუნქციები ძველ ქართულში, გვ. 731—747.

სვანურში, ქართულის მსგავსად, ზმნა (ან ნაზმნარი სახელი) სახელს მართავს ვითარებით ბრუნვაში, ოღონდ ასეთი ვითარებითი, ერთი მხრივ, შეესატყვისება ქართულ მარტივ ვითარებითს (ბაჩღ=ქვად, მუჟოლდ=წინამძლოლად), მეორე მხრივ — ნანათესაობითარ ვითარებითს (თვეფდ=თოფისათვის//თოფისად...)<sup>6</sup>. პერდ ხაგენა მურყემაშ ზუნეი: სვ. პ. 124,2 — ქაფად ქცეულზარ ციხის ძირას; სვეებინ მუჟოლდ ბატუ ანთიშხ: სვ. პ. 18,9 — წინამძლოლად ბატუ აირჩიეს; ხოჩა ჩექმარ ჩაფლარდ ლაჲდე: სვ. პ. 162, 19 — კარგი ჩექმები ქალამნებად ჩაიცვა...

§ 5. ზმნასთან დაკავშირებული ნათესაობით ბრუნვაში დასმული სახელი. ზმნასთან დაკავშირებული ნათესაობით ბრუნვაში დასმული სახელი, ჩვეულებრივ, თანდებულიანია, მაგრამ გვაქვს უთანდებულოც. ასეთი სახელი წინადადებაში მართულია ან მირთული და გამოხატავს პირმიუმართავ დამატებასა და გარემოებას<sup>7</sup>. უთანდებულო ნათესაობითი უშუალოდ მართულია ბრუნვაში ზმნის მიერ, თანდებულიანი — შუალობითი გზითაა დაკავშირებული ზმნასთან: იმართვის თანდებულის მიერ ბრუნვაში და თანდებულისანად უკავშირდება შესიტყვების ძირითად კომპონენტს.

უ თ ა ნ დ ე ბ უ ლ ო: სოფლის დედაკაცობას ხომ უფრო ეშინოდა ოთარაანთ ქვრივისა: ილია, I,425,12; თუ კაცისა არა გრცხვენია, ღმერთი ხომ ყველასა ჰხედავს: ილია, I.277,31...

თ ა ნ დ ე ბ უ ლ ი ა ნ ი: ღონე ჩემი ამ პატიოსნურ საქმიანსათვის უძღური იყო: ილია, I,266,40; სანდალამ ჩრდილოეთისაკენ გაიხედა: ი. გოგებ., V,544,2; არავინ მივიდეს ბუნაგთან ჩემი ბრძანების გარეშე: ნ. დუმბ., 587,30; რამდენიმე რაზმელის გარდა არავინ არ გაჰყვა: მ. ჯავახ., VI,312,6; სამსონმა ვითომ ბოდიში მოითხოვა მთისჯაცის წინაშე: ლ. ქიაჩ., III,495,5; გულწრფელად ვწუხვარ შეცდომის გამო: შ. არაგვ., II,37,2.

ზმნასთან დაკავშირებულ ნათესაობით ბრუნვას მეგრულში შეესაბამება მიმართულეებითი, დანიშნულეებითი და

<sup>6</sup> კ. დონდუა, რჩული შრომები, I, გვ. 51; ნ. აბესაძე, დამატებისა და შემსწავლის სინტაქსური ურთიერთობის საკითხები სვანურში, გვ. 8; მისივე, ბრუნვათა სინტაქსური ფუნქციები სვანურში ქართულთან მიმართებით, გვ. 8—9; ე. ბაბუნაშვილი, მიცემითი და ვითარებითი ბრუნვების ურთიერთობისათვის ძველ ქართულში, გვ. 397.

<sup>7</sup> ნათესაობითი ფუნქციების შესახებ იხ. ა. მარტიროსოვი, მიცემითი და ნათესაობითი ბრუნვების წარმოება და ფუნქციები ძველ ქართულში, გვ. 374—392; ი. იმნაიშვილი, სახელთა ბრუნვა და ბრუნვათა ფუნქციები ძველ ქართულში, გვ. 704—718.

უთანდებულო ან -ნი თანდებულიანი და შორებითი ბრუნვები.

მაგ.:

მიმართულებითი: ბადილის აშქურინუ ნადირიშა: ყიფშ. 41,1 — მოხუცს შეეშინდა ნადირისა; ნასადილს უთქუალუ ოსურს ქომონჯიშა: ხუბ. 242,19 — ნასადილევა უთქვაჲს ცოლს ქმრისათვის...

დანისულებითი: სქანო იპიქ ცხოვრებას: ხუბ. 214,36 — შენთვის ვიქნები ცხოვრებაში; უწუუ, ეშმაკიშოთ რაგადანდუნი თიქ: ყიფშ., 4,4 — უთხრა, ეშმაკისათვის რომ ლაპაკობდა, იმან...

დაშორებითი: თე სუმი ჯიმაღეფიშე ყირი ჯგირი რენ: ხუბ. 159,12 — ამ სამი ძმიდან (//ძმათაგან) ორი კარგია; ჰკვერი კოჩიშე ულუღე ნაზოკულა: ყიფშ. 24,10 — ჰკვიანი კაცისაგან ჰქონდა ნასწავლი...

დაშორებითი ბრუნვა ირთავს -ნი თანდებულსაც: ჯიმაშენი — ძმისათვის, ძმის გულისათვის<sup>8</sup>...

ქანურში გამოყენებულია მიმართულებითი, დაშორებითი (უთანდებულოდ და თანდებულიანად) და თანდებულიანი ნათესაობითი.

მიმართულებითი: ბაბამუშიშა აშქურინუ: ჭან., II,115,18 — მამამისის შეეშინდა...

დაშორებითი: აწი დემიჩიშენ მაშქურინუ: ხოფ., 28,17 — ახლა მკედლის მეშინია; ოხორჯას მთუთიშენ უუბეეფე დვაყუ: ხოფ., 198,12 — ქალს დათვისაგან ორი შვილი ეყოლა; ფუჯიში ტებიშე ... ქალამანი ბიქუმთ: ჭან., II,114,14 — ძროხის ტყავისაგან ქალამანს ვიკერავთ...

დაშორებითს ერთვის -ნი თანდებულიც: სქანი ბოზომოთა მომჩარე ჯუმა ჩქიმიშენი: ჭან., II,97,6 — შენს ქალიშვილს მომცემ ჩემი ძმისათვის<sup>9</sup>; ჩონჩი ფუჯეფეშენი ქოშებინახი: ჭან., II,31,16 — ჩენჩი ფურებისათვის შევიწახე...

კელე თანდებულიანი ნათესაობითი: ქეაერისთერი მუშიკელე კვათუმს: ჭან., II,69,4 — ეჩოსავით თავისკენ თლის; იხეწან ორენ ნოღამისაში კელე: ჭან., II,65,12 — ეხეწებთან პატარძლისაკენ.

<sup>8</sup> არნ. ჩიქობავა, ქანურის გრამატიკული ანალიზი, გვ. 65.

<sup>9</sup> იქვე, გვ. 66.

როგორც აღნიშნულია, ნათესაობითი ბრუნვა სვანურში უთანდებულოდაც უკავშირდება ზმნას და იმავე თანდებულების დართვითაც, რომელთაც მიცემითან ვხვდებით.

უ თ ა ნ დ ე ბ უ ლ ო ნ ა თ ე ს ა ო ბ ი თ ი ა: მგმეალიდს ჭყახიშ ლეტქონფე ... ხალვანა: სვ. პ. 70,20 — მუჟალულს ქონით გათხერილი ჰქონდა; ნალვრედ ლახბაჟენ ზისხიშა: სვ. პ., 20,22 — მღვრიე მოეჩვენა სისხლით...

ნათესაობით ბრუნვაში მართავენ თანდებულები ა) აღამიანის საკუთარ სახელებს; ბ) ზოგიერთ ზოგად სახელსა და გ) მესამე პირის ნაცვალსახელებს; თუ ისინი ვინ ჯგუფის სახელებს ენაცვლებიან<sup>10</sup>.

მაგალითები:

ღწვდ მაჰვრენ ღონა აღზგზე გიორგნშთე: სვ. პროზ. ტექსტ., გვ. 271 — დევმა ყველაზე უმცროსი ქალიშვილი გაგზავნა გიორგისაკენ<sup>11</sup>. ესღვრინე ლეჟა ოთარიშთე: სვ. პ., 106,31 — მიღის ზემოთ ოთარისაკენ;

მგწსილ ოხჰად ოთარიშხან: სვ. პ. 96,26 — დამპატიყებელი მოუვიდა ოთარისაგან; მეცქვილ აშჰად ოთარიშხან: სვ. პ. 94,14 — მოციქული მომივიდა ოთარისაგან...

§ 6. ზმნასთან დაკავშირებული მოქმედებით ბრუნვაში დასმული სახელი. ზმნასთან დაკავშირებული მოქმედებით ბრუნვაში დასმული სახელი შეიძლება იყოს უთანდებულოც და თანდებულიანიც. წინადადებაში ასეთი სახელი პირმიუმართავი დამატებაა ან გარემოება. თანდებულთაგან გამოყენებულია -ურთ, -გან (—ით-გან—იდ-გან—იდან), ზმნისართებთან კი -კენ<sup>12</sup>.

უთანდებულო მოქმედებითი, ზ მ ნ ი ს . მ ი ე რ მ ა რ თ უ ლ ი ბ რ უ ნ ვ ა შ ი: ნიგოზი ჯამით დაუდგეს პაპაჩემსა: ვაჟა, V,175,8; ხეები მორთულან მწვანის ფოთლით: ვაჟა, V,85,34;

ზ მ ნ ა ს თ ა ნ მ ი რ თ უ ლ ი: ორბი ... რიყეზედ ჩამოაგდებს მაღლით ძვალს: ვაჟა, V,34,27; ის იმ ღამესვე ქურდულად გავიდა კახეთით: აკაკი, IV,126,30...

ს ა ჭ მ ლ ი დ გ ა ნ კ ე თ დ ბ ო ლ ა ა ჭ ლ ე მ ი ს ს ხ ე უ ლ შ ი ქ ო ნ ი: ი. გოგებ., VI,357,13; ის ღვიძლი შვილებიდან არ არჩევდა გერს: რ. გვეტ., 332,31...

<sup>10</sup> ნ. აბესაძე, თანდებული სვანურში, გვ. 282.

<sup>11</sup> იქვე.

<sup>12</sup> დაწვრთვებით: თ. შარაძენიძე, მოქმედებითი და ვითარებითი ბრუნვების წარმოება და ფუნქციები ძველ ქართულში, გვ. 410—420; ი. იმნაიშვილი, სახელთა ბრუნვა და ბრუნვითა ფუნქციები ძველ ქართულში, გვ. 721—727.

ბ უ ხ რ ი დ ა მ მალა ადიოდა ბოლი: ვაჟა, V,65,16...

ფეფენა ... ქ ვ ე ვ ი თ კ ე ნ წავიდა ყანის დასახედავად: დ. კლდ., I,21,22; ძალღებმა ... გამოსწიეს შ ი ნ ა თ კ ე ნ: ვაჟა, V,53,26...

მეგრულში ზმნასთან დაკავშირებული მოქმედებით ბრუნვაში დასმული სახელი იმავე ფუნქციით გამოიყენება, როგორც ქართულში. ფორმა ყოველთვის უთანდებულოა: ხენწგფემ სქუაქ გამათხოზე ც ხ ე ნ ი თ: ხუბ., 96,5 — ხელმწიფის შვილი გამოეკიდა ცხენით; ბოშის ეშულეზე ბ ა წ ა რ ი თ: ხუბ., 6,10 — ბიჭი ასულა თოკით.

-გან თანდებულისანი მოქმედებითი გადმოიცემა და შ ო რ ე ბ ი თ ი ბრუნვით: მა გაგმოვსხაპუნქ ო თ ა ხ ი შ ე: ხუბ., 11,6 — მე გამოვხტები ოთახიდან; ქიმიჟონეს მაჟია ს ა ხ ე ნ წ ი ფ ო შ ე მარკინე: ხუბ., 1,25 — მოიყვანეს მეორე სახელმწიფოდან მოკიდავე.

მოქმედებითია ჰანურშიც: თომას ხაკარუფან ხ ა მ ი თ ე: ჰან., I,165,22 — თმას ფხეკენ დანით; ც ხ ე ნ ი თ ე არ კოჩი მულუნ: ყიფშ., ჰან. ტ., 31,19 — ცხენით ერთი კაცი მოდის.

სვანურში ზმნის მიერ მოქმედებით ბრუნვაში მართული სახელი ისეთსავე დამოკიდებულებაშია მთავარ სიტყვასთან, როგორც ქართულში გვაქვს. განსხვავება იმაშია, რომ არა გვაქვს თანდებულისანი მოქმედებითი: მეგრზა და შ ნ ო შ ჯელვქინალე: სვ. პ., 86,31 — მეგრზა ხმლით მოგდევს; შვანარს ხეშაღლ მაჩა ლ ა შ - გ ა რ ვ შ: სვ. პ. 60,30 — სვანებს ეომებოდა თავისი ლაშქრით; ნარყვამ ღ ვ ა შ ა რ ი ნ გვაშია: სვ. პ., 184,8 — ნარყვამი ჯიხვებით სავსეა.

შესიტყვებაში წამყვან სიტყვად გვაქვს ნიჰმნარი სახელებიც (მიმღეობა და მასდარი). მათთან დაკავშირებული სახელი შეიძლება იყოს მიცემითში, ვითარებითში, ნათესაობითსა და მოქმედებითში უთანდებულოდ ან თანდებულისანად.

უთანდებულო მ ი ც ე მ ი თ ი: კ ბ ი ლ ე ბ ს გადაცდენილ სიტყვას ბრძენიც ველარ იხმობს უკან: კ. გამს., V,54,20; ზ უ გ დ ი დ ს ჩასვლას კიდევ მოასწრებს არზაყანი: კ. გამს., I,709,22...

თანდებულისანი მ ი ც ე მ ი თ ი: ერთ მსუქან ბ ო ზ ბ ა შ ო შ ი ამოვლებული პურის ლუკმა მთელ ქვაბ ჩიხირთმას მირჩევნია: ილია, I,349,18; მწუხარების ა ნ ძ ა ლ ზ ე აცმული დედა უღრუბლოდ იმღულრებოდა: გ. ლეონ., 113,14; მე და თ ი კ ო ს თ ა ნ სიკვდილი მერჩიენა იმ დედინაცვალთან ასის წლის ცხოვრებასა: ილია, I,269,39.

ვითარებითში დასმული სახელი მიმღეობასა და მასდარს ისე უკავშირდება, როგორც ზმნას: ც ა დ ა შვერილი ჰის ოწინარი



მთლად წავიდა ცაში: დ. შენგ., 195,14; ლეინჯუას ნათლიად მიწვევა უფრო მისი თამადობის ბრალი იყო: გ. ლეონ., 118,11.

როგორც წესი, სუბიექტი პირიანი ზმნისა ნათესაობით ბრუნვაში დასმულ სახელად იქცევა ზმნის ნაზმნარ სახელად გადაკეთებისას: კაცმა დახატა სურათი — კაცის დახატული სურათი, კაცის მიერ დახატული სურათი, კაცისაგან დახატული სურათი...

ნათესაობით ბრუნვაში დასმულ სახელადვე იქცევა პირდაპირი ობიექტიც: სურათი დახატა — სურათის დახატვა. ირიბი ობიექტი მასდართან და მიმღეობასთან დაკავშირებისას ფუნქციონაც იცვლის და ბრუნვასაც: ნათესაობითში დაისმის და ირთავს-თვის თანდებულს: მამამ შვილს წიგნი აჩუქა: შვილისათვის ჩუქება, შვილისათვის ნაჩუქარი...<sup>13</sup>

§ 7. სახელური შესიტყვების ფორმები. სახელური შესიტყვება გულისხმობს მსაზღვრელისა და საზღვრულის ურთიერთობას. ამ ურთიერთობისას გამოიყოფა ატრიბუტული და სუბსტანტიური შესიტყვებები. ატრიბუტულ მსაზღვრელად გვაქვს ზედსართავი სახელი და ამავე მნიშვნელობით მიმღეობა, ზოგი ნაცვალსახელი (ჩვენებითი, განსაზღვრებითი, განუსაზღვრელობითი, კითხვითი, კითხვით-კუთვნილებითი), რიცხვითი სახელი და არსებითი სახელი მასდართურთ; საზღვრულია არსებითი სახელი, რომელიც ამავე დროს შესიტყვებაში ძირითადია, წამყვანია. ახალ ქართულში არსებითი სახელი ბრუნვაში ითანხმებს მასთან დაკავშირებულ ატრიბუტულ მსაზღვრელს. ძველ ქართულში საზღვრულს ბრუნვასა და რიცხვში ეთანხმებოდა მსაზღვრელი (წმიდანი უდაბნონი, წმიდათა მოძღუართა...).

თანამედროვე ქართულში ერთმანეთს დაუპირისპირდნენ ბოლოთანხმოვნიანი და ბოლოხმოვნიანი მსაზღვრელები: ბოლოხმოვნიანი მსაზღვრელი ბრუნვის ნიშანს არ ირთავს (მწვანე მინდორა, მწვანე მინდორმა, მწვანე მინდორს...), ბოლოთანხმოვნიანი მსაზღვრელი კი ბრუნვის ნიშნის დართვით ანგარიშს უწევს საზღვრულს.

ატრიბუტული მსაზღვრელისა და საზღვრულის ურთიერთობა თანამედროვე ქართულში, ძველ ქართულთან შედარებით, სხვა მხრივაც გამარტივებულია: არა გვაქვს რიცხვში შეთანხმება.

<sup>13</sup> ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკა, II, სინტაქსი, 1948, გვ. 37; ლ. კვაჭაძე, თანამედროვე ქართული ენის სინტაქსი, გვ. 116—120.

ბრუნვის დროს ბოლოთანხმონიანი მსაზღვრელი საზღვრულ-თან ერთად ბრუნებისას ამქლავნებს ერთგვარ თავისებურებას. ამ თავისებურებათა გათვალისწინებით ს. ჯანაშიამ გამოყო ოთხი სახეობა: I. ს რ უ ლ ი ს ა ხ ე ო ბ ა, როდესაც მსაზღვრელი ყველა ბრუნვაში დაირთავს ბრუნვის ნიშანს, ოღონდ ვითარებითში აქვს მიცემითის ნიშანი (საყვარელს ბავშვად...), მოქმედებითში — ნათესაობითისა (დიდის საქმით, შავის მიწით...): II. გ ა რ დ ა მ ა ვ ა ლ ი, როდესაც მსაზღვრელი სახელი ბრუნვის მთლიანი ნიშნითაა წარმოდგენილი სახელობითში, მოთხრობითსა და წოდებითში, ნაწილობრივ მოკვეცილია ნათესაობითსა და მოქმედებითში, მთლიანად მოკვეცილია მიცემითსა და ვითარებითში; III. შ ე კ ვ ე ც ი ლ ი, როდესაც სახელობითსა და ზოგჯერ მოთხრობითსა და წოდებითს გარდა მოკვეცილია ბრუნვის ნიშანი; IV. ვ უ ლ გ ა რ უ ლ ი, როდესაც მსაზღვრელი სახელობითის ნიშანს დაირთავს და იბრუნება საზღვრული<sup>14</sup>.

ს. ჯანაშია სპეციალურ გამოკვლევაში<sup>15</sup> მიუთითებს, რომ სიძნელეს ქმნის იმის გარკვევა, თუ რატომ გვაქვს ნათესაობითი მოქმედებითთან (კეთილის კაც-ით...). თუ ფონეტიკური გზით მივიღეთ ეს ფორმა (კეთილ-ით კაც-ით → კეთილ-ი კაც-ით → კეთილ-ის კაც-ით: ით → ი(თ) → ის), მაშინ გაუგებარი ხდება, რანაირად შეიგუა ძველმა მოქმედმა (მოქმ. ბრ.) შეგნებამ სრულიად ახალი, განსხვავებული (ნათ. ბრ.) მორფოლოგიური ელემენტი (= ის)?.. თუ ძველსა და ახალ ფორმებს დავუპირისპირებთ ერთმანეთს — „კეთილ-ით კაც-ით“ და „კეთილ-ის კაც-ით“ — იძულებული ვიქნებით ვალიაროთ, რომ აქ პრინციპულად განსხვავებულ სინტაქსურ ფორმებთან გვაქვს საქმე: თუ პირველ შემთხვევაში შეთანხმება გვაქვს (კეთილ-ით კაც-ით), მეორე შემთხვევაში შეთანხმების შესახებ მხოლოდ პირობითად (გავითვალისწინებთ რა ისტორიას) თუ ვილაპარაკებთ, ხოლო თუ მარტოდენ ფორმალურ თვალსაზრისზე დავდგებით, შეუძლებელი იქნება ასეთ კომბინაციას შეთანხმება დავარქვათ<sup>16</sup>.

აკაკი შანიძის აზრით. მსაზღვრელ-საზღვრულთა ურთიერთობაში შეინიშნება ად რ ი ნ დ ე ლ ი, ა ხ ა ლ ი და უ ა ხ ლ ე ს ი წარმოება. ადრინდელი ფორმით მსაზღვრელი ბრუნვის ნიშანს ირთავს სახელობითში (დიდ-ი კაც-ი), მოთხრობითში (დიდ-მა კაც-მა), მიცემითში (დიდ-ს კაც-ს), ნათესაობითში (დიდ-ის კაც-ის) და წოდ-

<sup>14</sup> ს. ჯ ა ნ ა შ ი ა, შრომები, III, თბ., 1959, გვ. 279—280.

<sup>15</sup> ს. ჯ ა ნ ა შ ი ა, მსაზღვრელის შეთანხმება საზღვრულთან ბრუნვებში, შრომები, III, გვ. 259—277.

<sup>16</sup> ს. ჯ ა ნ ა შ ი ა, შრომები, ტ. III, გვ. 261—262.

დებთში (დიდ-ო კაც-ო), ნაწილობრივ მოკვეცილია მოქმედებითში (დიდ-ი კაც-ით) და მთლიანად — ვითარებითში (დიდ კაც-ად)<sup>17</sup>. უახლესი წარმოების მიხედვით მსაზღვრელი სახელი ბრუნვის ნა-შანს ირთავს სახელობითსა და წოდებითში (დიდ-ი კაც-ი, დიდ-ო კაც-ო), სხვა ბრუნვებში ბრუნვის ნიშნები მოკვეცილია<sup>18</sup>.

აღ. ყაზბეგის ენაში, როგორც ეს სპეციალურ ლიტერატურა-შიცაა მითითებული, ბოლოთანხმოვნიაანი მსაზღვრელი საზღვრულს სისტემატურად სრული ფორმით ეთანხმება მიცემითში, მიცემითის ფორმით ნათესაობითსა და ვითარებითში, ნათესაობითის ფორ-მით — მოქმედებითში<sup>19</sup>. შდრ. თვითონაც გააქვავებულს სურათებს დამზგავსებოდნენ: I,11,3; იმან მიაქცია ერთს ადგილისკენ თვალები: I,257,39; ამგვარს მოწყალე-ბისთვის... დიაბეგმა საჭიროდ დაინახა, რომ ამ განათლე-ბულ ხალხში... სიყვარული მათრახით დაედგინა: I,181,16...; ეს სიტყვები გახურებულს ნაღვერდალად მოხვდა გულს: I,258,28... ბიჭმა დაუწყო ყურება გამომცდელის თვალე-ბით: I,165,30...

ასევე გამოყენებულია მოქმედებით ბრუნვაში დასმულ საზ-ღვრულთან მიცემითში დასმული მსაზღვრელი: ერთს დილით ადრიან ელურიძის კარების ზარი ვილაკამ ჩამოჰკრა: I,422,23, მო-ხუცმა მთრთოლარეს ხელებით წამოავლო რკინის ბო-ლოიანს ჯოხს ხელი: I,348,9;

ამგვარი დაკავშირების გვერდით შეინიშნება სახელობითთან მიცემით ბრუნვაში დასმული მსაზღვრელი: არ წამოვალ ცოცხა-ლის თავით — შეჰყვირა იმან და თვალები გაღუებულს ნახ-შირივით აენტო: ა. ყაზბ., I,210,8. გაღუებულს ნახ-შირივით ანარეკლია მიცემითთან -ვით თანდებულის ხმარები-სა ან ნახშირივით გაგებულია მოქმედებითში დასმულ სა-ხელად.

სუბსტანტიური განსაზღვრება ორი არსებითი სახელის შეერ-თებით მიიღება. ერთი არსებითი სახელი მართულია და ნათესაო-ბით ბრუნვაში დაისმის, მეორე — მმართველი სახელია და ჩვეუ-ლებრივი წესით იბრუნება. მართული სახელი შეიძლება მრავლო-ბით რიცხვშიც იყოს: ის იმერლის ბიჭი წიგნათ ხელში იქავ დამხვდა: ილია, I,271,15; ცხენების ქარავნები ძლივს დადიოდა: ყაზბ., I,10,21...

<sup>17</sup> ა. შ ა ნ ი ძ ე ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, გვ. 84.

<sup>18</sup> იქვე.

<sup>19</sup> ივ. ქ ა ვ თ ა რ ა ძ ე, მოხუერი კილო ყაზბეგის ენაში: სტალინის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, XXXV, 1949, გვ. 97.

ძველ ქართულში არც ისე იშვიათად მართული მსაზღვრელი ეთანხმებოდა კიდევ საზღვრულს ბრუნვასა და რიცხვში: რ ე ბ ე-კ ა ა ს ი ო მ ა ი ი ეო: დაბ., 24,29; მიილო მ რ ო კ ე ა ლ ი ს ა მ ა ნ მ ო ძ ლ უ ა რ მ ა ნ უკეთურებისა მის მოძღურებისათვის სამოძღურებელად: სინ. მრავალთ., 210,29; ი ო ვ ა ნ ო ს ს ა მ ა ს ნ ა თ-ლი ს-ც ე მ ა ს ა ყოველთა მათ ეზიარებოდა: სინ. მრავალთ., 82,3; რ ო მ ლ ი ს ა ნ ი ს ი ტ ყ უ ა ნ ი ლბილ არიან: მამ. სწ., 72,26, შდრ. ანგელოზები და ფ ნ ის ა ს გ ვ ი რ გ ვ ი ნ ს ა დგამდენ გმი-რებსა: ვაჟა, II,39,9; ფიცხელა ... თ ო ვ ლ ი ს ა ს ბ უ ქ ს აყენებ-და: ვაჟა, VI,189,9; შენში კ ა ც ი ს ა ს გ რ ძ ნ ო ბ ა ს არ ზედვენი: ილია, I,131,30...

მართული მსაზღვრელი მომდევნო საზღვრულს ბრუნვაში როპ ეთანხმება, ეს მეორეული მოვლენაა, რომელიც ენამ არც კი შეითვისა<sup>20</sup>. ნათესაობითში რომ არის მსაზღვრელი, ეს გამოწვეულია საზღვრულის მიერ. თუ ენა საჭიროდ ჩათვლიდა მსაზღვრელი სახელი შეთანხმებოდა საზღვრულს ბრუნვასა და რიცხვში, მაშინ აუცილებელი არ იყო ჯერ ნათესაობითში დასმულიყო მსაზღვრელი და შემდეგ დართოდა მას საზღვრულთან შეთანხმების აღსანიშნავად ახალი ბრუნვის ნიშანი.

ნანათესაობითარი მსაზღვრელი ბრუნვაცვალებადია. ძველ ქართულში ყველა ბრუნვა ეწარმოებოდა, ახალ ქართულში მხოლოდ ხუთი ბრუნვა აქვს: ს ა ხ ე ლ ო ბ ი თ ი (მამაჩემსა ვერაფრად ექაშნიკა ეს ნაუბარი ბატონისა: ილია, I,270,14...), მ ო თ ხ რ ო ბ ი თ ი (უწინ ამისთანავე მოქმედებამ მაგდანისამ გაოცა: ი. გოგებ., IX,62,7); მ ი ც ე მ ი თ ი (ბერიძე ... ნ ა-ჭ ე რ ს ს ა ნ თ ლ ი ს ა ს ისევ ცეცხლს მიუპყრობდა: ვაჟა, V,171,15); უ ი თ ა რ ე ბ ი თ ი (დედამისმა სიცილით თავი დაუქნია ნ ი შ ნ ა დ თ ა ნ ხ მ ო ბ ი ს ა: აკაკი, IV,137,14); წ ო დ ე ბ ი თ ი (ბეჩავი ქუჩი ვარ, შემობრალე, ნ ი ა ვ ო მ თ ი ს ა ვ! ვაჟა, V,203,31).

ი. ყიფშიძე მიუთითებდა, რომ მეგრულში მსაზღვრელი ზედსართავი სახელი საზღვრულთან ურთიერთობისას არ იცვლება ბრუნვისა და რიცხვის მიხედვით. დასახელებულია შესაფერისი მაგალითებიც: ჳითა უშქური (წითელი ვაშლი), ჳითა უშქურიში, ჳითა უშქურეფი ... სქევამი ცირა (ლამაზი გოგო): სქევამი ცირას, სქევამი ცირეფს. აქვე შენიშნავს, რომ მთელ ქრესტომათიაში არის მხოლოდ ერთი შემთხვევა ზედსართავის ცვლისა და მოჰყავს ასეთი

<sup>20</sup> ა. კ ი ზ ი რ ი ა, მარტივი წინადადების შედგენილობა ძველ ქართულში, გვ. 255—256; შდრ. ი. ი მ ნ ა ი შ ვ ი ლ ი, სახელთა ბრუნვა და ბრუნვათა ფუნქციები ძველ ქართულში, გვ. 584; მისივე, სინური მრავალთავი, გამოკვლევა და ლექსიკონი, თბ., 1975, გვ. 101—102.

მაგალითი: „მფშალიაშოთ გოფაჩირიში ვარდიში მინ-  
ჯე რდასო კვარია?“ (125,22)<sup>21</sup> — ბულბულისათვის გაშლილი ვარ-  
დის პატრონი იყოსო ყვავი?

მსაზღვრელის უბრუნველობას ხაზს უსვამს არნ. ჩიქობავა  
„ქანურის გრამატიკულ ანალიზში“<sup>22</sup>.

სპეციალური გამოკვლევა მიუძღვნა მსაზღვრელ-საზღვრულის  
ურთიერთობას მეგრულში ელ. ლომთაძემ<sup>23</sup>. მსაზღვრელ-საზღვრუ-  
ლის ურთიერთობის საკითხს ეხება ქართველურ ენებში გ. კლიმო-  
ვის საკანდიდატო დისერტაცია<sup>24</sup>; სახელური შესიტყვევები განი-  
ხილა გ. კარტოზიამ გამოკვლევაში „სახელური შესიტყვევა მეგ-  
რულ-ლაზურში“...<sup>25</sup>

აღნიშნულია, რომ ქანურსა და მეგრულში საზღვრულთან მსა-  
ზღვრელის სინტაქსური დამოკიდებულების მიხედვით ერთნაირი  
მდგომარეობაა: ბრუნების დროს დაბოლოება დაერთვის მსაზ-  
ღვრელს იმ შემთხვევაში, თუ ის მოსდევს საზღვრულს. თუ მსაზ-  
ღვრელი წინ უძღვის საზღვრულს, იგი არც ბრუნვის დაბოლოებას  
დაირთავს და არც რიცხვის მიხედვით იცვლება: ქართულთან შედა-  
რებით ასეთ შემთხვევაში ის განსხვავებაა, რომ უცვლელად რჩება  
არამარტო ხმოვანზე დაბოლოებული მსაზღვრელი, არამედ თანხმო-  
ვანზე დაბოლოებულიც<sup>26</sup>.

მაგალითები: ო შ ქ ა რ ი ჯ ი მ ა ქ მიდართე ონდირუმე: ყიფშ.,  
27,15 — შუათანა ძმა წავიდა სანადიროდ; მ ა ნ გ ა რ ი ც უ დ ე ს

<sup>21</sup> И. Кипшидзе, Грамматика мингрельского (иверского) языка, СПб., 1914.

<sup>22</sup> არნ. ჩიქობავა, ქანურის გრამატიკული ანალიზი, გვ. 67—72.

<sup>23</sup> ელ. ლომთაძე, მსაზღვრელ-საზღვრულის ურთიერთობა მეგრულ-  
ში: „იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება“, 1954, გვ. 207—242.

<sup>24</sup> Г. А. Климов, Основные синтаксические вопросы атрибутив-  
ного комплекса в картвельских языках. Автореферат на соискание ученой сте-  
пени кандидата филол. наук, Тбилиси, 1955; იბივე, Склонение в картвель-  
ских языках в сравнительно-историческом аспекте, М., 1962.

<sup>25</sup> გ. კარტოზია, სახელური შესიტყვევა მეგრულ-ლაზურში: „მაცნე“  
(საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის საზოგ. მეცნ. განყოფილების ორგანო),  
1968, № 6, 147—166.

<sup>26</sup> არნ. ჩიქობავა ქანურის გრამატიკული ანალიზი, გვ. 68; ელ. ლომ-  
თაძე, მსაზღვრელ-საზღვრულის ურთიერთობა მეგრულში, გვ. 210—218; აგ-  
რეთვე: Г. А. Климов, Основные синтаксические вопросы..., с. 10—12;  
იბივე, Склонение в картвельских языках..., с. 126—127; გ. კარტოზია,  
სახელური შესიტყვევა მეგრულ-ლაზურში, გვ. 148.

მილახვილ დინახალე: ხუბ., 22,21 — მაგარ სახლშია დამწყველუ-  
ლი; გიშელე ბეგოქ ართი დიდი მინდორშია: ხუბ., 99,4 —  
გამოვიდა ბეგო ერთ დიდ მინდორში; თელი დღათ შხვადო  
გილურქ: ხუბ., 87,32 — მთელი დღით სხვაგან დადიხარ; გინირთ  
ჯგირი ბოშო: ხუბ., 177,26 — იქცა კარგ ბიჭად; ათე სუმი  
ჯიმალე ფიშე ყირი ჯგირი რენ: ხუბ., 159,11 — ამ სამ ძმა-  
თაგან ორი კარგია...

სახელობით ბრუნვაში დასმული პრეპოზიციული მსაზღვრე-  
ლის პარალელურად გვაქვს ფუძის სახით წარმოდგენილი მსაზღვ-  
რელები, რომლებიც მოგვაგონებენ ქართულის შეკვეცილ სა-  
ხეობას.

შეიძლება დავუშვათ, რომ ზანურში ამოსავალი იყო შეკვეცი-  
ლი სახეობა, რომლისაგანაც მივიღეთ ე. წ. ვულგარული წარმოება,  
რომელიც ახლა მოქმედებს და შემჩნეულია ქართული ენის კილო-  
ებშიც. ზანურში ხომ დღესაც პარალელურად იხმარება ფორმები:  
უზარმაზარ კოჩქ და უზარმაზარი კოჩქ (უზარმაზარმა კაცმა), ართ  
დიხას და ართი დიხას (ერთ ადგილას) და ასე: ქონებეერ კოს —  
ქონებეერი კოს (ქონებიან კაცს); ყირ თუთაში — ყირი თუთაში  
(ორი თვის)...

პარალელური ფორმები (ფუძე — სახელობითი ბრუნვა) ნა-  
თელს ხდის მოსაზრებას, რომ აქ სახელობითი მეორეულია და ეძ-  
ყარება პირველს (ფუძეს). იგი აიხსნება „სინტაქსური ურთიერთო-  
ბის გამარტივებისაკენ ტენდენციით“<sup>27</sup>.

ინვერსიული წყობისას, როგორც წესი, მეგრულში ბრუნვის  
ნიშანს ირთავს ორივე კომპონენტი: ოხორი დიდი, ოხორიქ  
დიდიქ, ოხორის დიდის..., ხოლო რიცხვში შეთანხმება  
მანც დარღვეულია<sup>28</sup>: უწუ ოსურქ მუშიქ მაჟია ჯიმა: ხუბ.,  
276,9 — უთხრა ცოლმა მისმა მეორე ძმას; სახენწიფოს  
ჩქიმს სქანი ჯგუა კოჩი ვანოჟე მავა: ხუბ., 108,21 — ჩემს სა-  
ხელმწიფოში შენისთანა კაცი არ მყოლია მეო...

შენიშნულია სამეცნიერო ლიტერატურაში პარალელური წარ-  
მოებაც, როცა პოსტპოზიციური მსაზღვრელი ირთავს ბრუნვის ნი-  
შანს და უნიშნოა საზღვრული. ასევე მრავლობითშია საზღვრული,

<sup>27</sup> ვ. თოფურია, გრამატიკულ მოკლენათა ერთგვაროვანი პროცესი  
ქართულურ ენებში; „იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება“, VI, 1954, გვ. 454.

<sup>28</sup> არნ. ჩიქობავა, ჰანურის გრამატიკული ანალიზი, გვ. 69—70; И.  
Кипшидзе, Грамматика мингрельского языка, с. 128; ელ. ლოთა-  
ძე, მსაზღვრელ-საზღვრულის ურთიერთობა მეგრულში, გვ. 213; გ. კარტო-  
ზია, სახელური შესიტყვება მეგრულ-ლაზურში, გვ. 160.

მხოლოდობითში ან მრავლობითში — მასთან დაკავშირებული პოსტ-პოზიციური მსაზღვრელი<sup>29</sup>.

მართული მსაზღვრელი მეგრულშიც ნათესაობითში დაიხსის. ნათესაობითში დასმული მსაზღვრელი ნანათესაობითარ სახელობითს მოგვაგონებს ემფატიკური -ის დართვით. აქაც პარალელური წარმოებაა: მა გაყუნუქ ხანიში დოხორეწა. ხუბ., 18,10 — მე წამოგყევი ხანის სასახლეში; ვინღლ აჯიასში დიდაქ ხუბ., 218,25 — გავიდა აჯიას დედა..., შღრ. თათრაყანქ ქვა-რაშ კუა ქიმიგონ: ხუბ., 100,17 — თათრაყანმა მუტლის ტკივილი მოიგონა: ლეკურიშ ნოტეხიქ ალეს ყუჭი მეკვათვ: ხუბ., 169,3 — სმლის ნატეხმა ალეს ყური მოსქრა...

ქანურში ატრიბუტული ბოლოთანხმოენიანი მსაზღვრელი საზღვრულთან სინტაქსური ურთიერთობისას საელობითის ფორმით გადმოსცემს დამოკიდებულებას, თუ იგი წინ უსწრებს საზღვრულს: დიდი მქკონი (დიდი მუხა), მორდერი ქუქანი (მოზრდილი ქვაბი), ზენგინი კოჩი (მდიდარი კაცი)... საზღვრული კი ბრუნვის მიხედვით იცვლება<sup>30</sup> და, როგორც ეს სპეციალურ ლიტერატურაშია მითითებული, „ქართულში დაწყებული პროცესი ქანურში დამთავრებულია“<sup>31</sup>, მხედველობაშია ბრუნვის ნიშნის დაურთველობა ბოლოთანხმოენიანი მსაზღვრელების მიერაც, მაგალითები: რაკანის არ დიდი მქკონი ქოგელადგინ: ჭან., II,42,34 — მთაზე ერთი დიდი მუხა დგას; კორლონი ხცერი წკარის სქიდუნ: ჭან., I,112,7 — კოლო დამპალ წყალში ცხოვრობს: ხოწი იჯიბენ მორდერი ქუქანი თე: ჭან., II,97,35 — ხორცი იხარშება მოზრდილი ქვაბით...

პარალელურად გვაქვს ფუძის სახით დაკავშირებაც: ყურ კოჩი ქომოხტეს: ჭან., II,132,35 — ორი კაცი მოვიდა: სუმ ბეე არქადაში დიყვეს: ჭან., I,67,13 — სამი ბეეში ამხანაგი გახდა...

ქანურშიც ბოლოხმოენიანი პრეპოზიციული მსაზღვრელი ფუძის სახითაა: ვიტა ჯუბა, ხჩე ჯულოი...

როცა მსაზღვრელი პოსტპოზიციურია, ჩვეულებრივ ბრუნვის ნიშანს ირთავს საზღვრულიცა და მსაზღვრელიც: ოხორი დი-

<sup>29</sup> არნ. ჩიქობავა, ქანურის გრამატიკული ანალიზი, გვ. 71; ელ. ლომთაძე, მსაზღვრელ-საზღვრულის ურთიერთობა მეგრულში, გვ. 213—214; გ. კარტოზია, სახელური შესიტყვება მეგრულ-ლაზურში, გვ. 161.

<sup>30</sup> არნ. ჩიქობავა, ქანურის გრამატიკული ანალიზი, გვ. 68—69; ელ. ლომთაძე, მსაზღვრელ-საზღვრულის ურთიერთობა მეგრულში, გვ. 210—211; Г. А. К л и м о в, Склопление в картвельских языках, с. 126.

<sup>31</sup> არნ. ჩიქობავა, ქანურის გრამატიკული ანალიზი, გვ. 68.

დი, ოხორიქ დიდიქ, ოხორის დიდის და ა. შ.<sup>32</sup>, მაგრამ შენიშნულია ისეთი შემთხვევაც, როდესაც ბრუნვის ნიშანს ირთავს მხოლოდ მსაზღვრელი და ეს ხდება იმიტომ, რომ შესიტყვების კომპოზენტები კომპოზიტის მსგავს მდგომარეობაში აღმოჩნდებიან, „კომპოზიტსა და ორსიტყვიან შესიტყვებას შორის გარდამავალი საფეხურის შთაბეჭდილებას ახდენენ“<sup>33</sup>.

ასეთებია: ჯუმა ჩქიმი, ჩილი ჩქიმი, ოხორჯა მუში...: გედე ო ხ ო რ ჯ ა მ უ შ ი ქ თასი დუდუმეს: ჭან., 11,5,24 — უკან მისი ცოლი თესავს; ჩილი ჩქიმიში ოხორიშა ბიგნალი: ჭან., 11,23,25 — ჩემი ცოლის სახლში წავედი: ე უ ჯ ე ფ ე ჩ ქ ი მ ი თ ე ბოგნი: ჭან., 11,46,10 — ჩემი ყურებით გავიგონე...

მართული მსაზღვრელი ქართულისა და მეგრულის მსგავსად ნათესაობითში დაისმის. ბრუნებისას იცვლება მხოლოდ საზღვრული, მსაზღვრელი კი წარმოდგენილია ნათესაობითი ბრუნვის ნიშნით ან მარტივი სახით, ან ემფატიკური -ის დართვით: კინჩხიმ ოხოი, ბეგიშ ბეე, ბიჭიშ ბაბა, კითიშ მაპეჯანა...: ხინჩა ულუტუ კინჩხიმ. ოხოი: ხოფ., 197.3 — დედაბერს ჰქონდა ფიჩხის სახლი: ბიჭიშ ბაბა ულუნ: ჭან., 11,62,17 — ბიჭის მამა წავა; ბეეშ ნანაქ ოხორჯას მეჩაფს ფარა: ხოფ., 60.2 — ბავშვის დედა ქალს მისცემს ფულს; დალეფე ... ბიჭიშ ოხოიშა ნუ-ლუნან: ჭან., 11,65,10 — დები ვაეის სახლში მიდიან; ოხო კითიშ მაპეჯანა ფიცარიში იქიფან: ჭან., 1,143,23 — ოთხი თითის სისქე ფიცრისას აკეთებენ... შდრ. ჯოლორიში მოთას ლაკოტა ვუწუმელთ: ჭან., 1,153,26 — ძალის შვილს ლეკვს ვუწოდებთ...

შებრუნებული წყობისას ბრუნვის ნიშანს თანაბრად ირთავს ორივე კომპონენტი: ოხორი. ჯაში, ოხორიქ ჯაშიქ, ოხორის ჯაშის...<sup>34</sup>

მეგრულ-ჭანურისებური დაკავშირება ატრიბუტული მსაზღვრელისა საზღვრულთან შენიშნულია ქვემოთ მოცემულში: თელი ტანმა, შენი მეზობელს, ჩემი ძმას...<sup>35</sup> ერთი დიდი კეტს, ბევრი აფხანიკებს<sup>36</sup>; ლეჩხუმურში: სამი ბათმანს, სამი ბათმან-

<sup>32</sup> არნ. ჩიქობავა, ჭანურის გრამატკული ანალიზი, გვ. 69—70; Г. А. Климов Основныи синтаксические вопросы атрибутивного комплекса, с. 9. შილიუ. Склонение в картвельских языках.... с. 128; გ. კარტოზია, სახელური შესიტყვება მეგრულ-ლაზურში, გვ. 161.

<sup>33</sup> არნ. ჩიქობავა, ჭანურის გრამატკული ანალიზი, გვ. 71; გ. კარტოზია, სახელური შესიტყვება მეგრულ-ლაზურში, გვ. 161.

<sup>34</sup> არნ. ჩიქობავა, ჭანურის გრამატკული ანალიზი, გვ. 69—70; ელ. ლომთაძე, მსაზღვრულ-საზღვრულის ურთიერთობა მეგრულში, გვ. 228; გ. კარტოზია, სახელური შესიტყვება მეგრულ-ლაზურში, გვ. 166.

<sup>35</sup> Ш. В. Дзидзигური, К характеристике нижнемерского говора. Памяти акад. Н. Я. Марра, М.—Л., 1938, с. 133.

<sup>36</sup> ქ. ძოწენიძე, ზემოიბერული კილოყავი, თბ., 1973, გვ. 296.



მა...<sup>37</sup>; სოჭის რ. მცხოვრებ ქართველთა მეტყველებაში: ჩემი ძმამ დაამთავრა ორი კლასი, ჩემი მამას უყვარდა, ჩვენი ჭიშკარზე...<sup>38</sup>; აჭარულში: თელი სოფელმა, უნცროსი ძმამ...<sup>39</sup> ყიზლარ-მოზდოკურში: ჩემი ძმამ, ჩვენი ენას, მოხუცებული დედაკაცსა...<sup>40</sup>, ქართლურში: ბებერი ქალმა, კოკლა გოგომ...<sup>41</sup>; თელი მინდვრებსა<sup>42</sup>...; კახურში: ბებერი კაცმა, მდიდარი კაცსა, ახალი რაიონს...<sup>43</sup>; ფერეიდულში: კარვი საუზმეს გააკეთებს, ნატეხი ყანდს დაადებენ, ჩემი ამხანაგებმაც...<sup>44</sup>

ვ. თოფურიას აზრით, ერთგვარ მოვლენათა წარმოშობას ერთგვარი საფუძველი უძევს... ესაა: ა) ახალწარმოშობილი ერთნაირი ფუნქციის ერთნაირად გამოხატვა ენაში არსებული საშუალებებით; ბ) ენის ტენდენცია რთული ფორმების გამარტივებისაკენ და გ) ენის ტენდენცია სხვადასხვა ფორმის გაერთფორმებიანებისაკენ, უნიფიკაციისაკენ<sup>45</sup>.

სვანურში ატრიბუტული მსაზღვრელი საზღვრულთან ბრუნებისას ბრუნვის ნიშანს არ დაირთავს<sup>46</sup>. აღ დავს ხად ეშ დორი

<sup>37</sup> შ. ძიძიგური, ძიებანი ქართული დიალექტოლოგიიდან, თბ., 1974, გვ. 174.

<sup>38</sup> ცნობა მომწოდა ოთარ მიქიაშვილმა.

<sup>39</sup> შ. ნიქარაძე, ქართული ენის ზემოაჭარული დიალექტი, ბათუმი, 1961, გვ. 114.

<sup>40</sup> სტ. ჩხენკელი, ყიზლარ-მოზდოკური ქართული. ტფილისის უნივერსიტეტის შრომები, V, 1936, გვ. 275.

<sup>41</sup> ა. თაყაიშვილი, ქართლის თავისებურებანი. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა სამეცნიერო შრომების კრებული, № 7, 1955.

<sup>42</sup> გრ. იმნაიშვილი, ქართული დიალექტი, I, თბ., 1974, გვ. 234.

<sup>43</sup> ა. მარტიროსოვი, და გრ. იმნაიშვილი, კახური დიალექტი, თბ., 1956, გვ. 124.

<sup>44</sup> არნ. ჩიქობავა, ფერეიდულის მთავარი თავისებურებანი. ტფილისის უნივერსიტეტის მოამბე, VII, 1927, გვ. 215.

<sup>45</sup> ვ. თოფურია, გრამატიკულ მოვლენათა ერთგვაროვანი პროცესი ქართველურ ენებში: „იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, VI, 1954, გვ. 455.

<sup>46</sup> ვ. თოფურია, გრამატიკულ მოვლენათა ერთგვაროვანი პროცესი ქართველურ ენებში, გვ. 454; თ. შარაძენიძე, ბრუნვათა კლასიფიკაციისათვის სვანურში: „იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, VII, 1955, გვ. 131; Г. А. Климов, Склонение в картвельских языках, с. 130; ნ. აბეცაძე, განსაზღვრება სვანურში: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის XII სამეცნიერო სესია. თეზისები, აპრილი, 1968, გვ. 36; И. И. Чантладзе, Сопоставительный анализ языка древних сванских народных песен и современной живой речи. Автореферат диссертации на соискание ученой степени канд. фил. н., Тб. 1969, с. 10; მისივე, შტო-გვარის აღმნიშვნელ სახელთა წარმოება და ბრუნება სვანურში: „მაცნე“, № 6, 1967, გვ. 300; მ. ქალაძანი, სახელობითი ბრუნვისა და მრავლობითი რიცხვის მაწარმოებელ სუფიქსთა საკითხისათვის სვანურში: „ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები“, IV, 1974, გვ. 150 და შემდეგ.

თ ხ ე ი მ: ბქვ., 118,16 -- ამ დევს ჰქონდა თორმეტი თავი: ლახა-  
სინჯვე მ ე ჩ ი მ ა მ ა დ: სვ. პ., 136,33 — შეხედა მოხუცმა მამამ;  
წ გ რ ნ ი ს ა ლ რ ი ლ ს უ ი ლ ა ხ ე ს გ უ რ ი: სვ. პ., 136,12 — წითელ  
სალარზე შეეკდები; ა შ ხ ვ ზ ა ვ ლ ა დ ე ლ ს ო ფ ე ლ ა ს კ ა ე რ ა შ -  
ყ ა დ: ლენტ., 72,5 — ერთ ზაფხულს ჩემს სოფელში ხმა გაკარდა...

განსხვავებულ ვითარებას გვიჩვენებენ ა და ე ხმოვნებით და-  
ბოლოებული მსაზღვრელი სახელები. ასეთ სახელთა შესახებ  
თ. შარაძენიძეს აღნიშნული აქვს, რომ მსაზღვრელს შეიძლება  
ჰქონდეს მიცემითში ა ნიშანი (მიცემითში — თ ვ ე თ ნ ა დ ა შ დ ე ს)  
მაშინ, როცა სახელობითშია -ე. ფუძის ა—ე ხმოვანთა მონაცვლე-  
ობის შესახებ სახელობითსა და მიცემითში (სახ. ეელ, მიც. ქალკ)  
თ. შარაძენიძემ წამოაყენა დებულება, რომ ასეთ შემთხვევაში ე,  
რომელიც სახელობითში გვაქვს, მეორეულია, ა — პირველადი  
(მწრა-ი—მწრე). ავტორი მიუთითებს, რომ თუ ეს საკითხი ამ-  
გვარად გადაწყდება, მაშინ მიცემითი ბრუნვა ამჟამად უნიშნო გა-  
მოდისო. აქვე ისიცაა აღნიშნული, რომ ე-ზე დაბოლოებულ ზედ-  
სართავეებს მსაზღვრელად გამოყენების დროს აქვთ ორი ფორმა:  
ამ//ა — თ ვ ე თ ნ ა მ დ ა შ დ ე ს // თ ვ ე თ ნ ა დ ა შ დ ე ს (თეთრ  
დათვს). იქნებ სხვა შემთხვევებშიც ამ იყოს მოკვეცილიო<sup>47</sup>.

მართული მსაზღვრელი ნათესაობით ბრუნვაში დაისმის ისევე,  
როგორც სხვა ქართველურ ენებში გვაქვს, ოლონდ, ქართულისაგან  
განსხვავებით, ნათესაობით ბრუნვაში დასმული სახელი (მართული  
სახელი) გვევლინება ბრუნვის ნიშნითაც და ბრუნვის ნიშნის ნაწი-  
ლობრივ თუ მთლიანი მოკვეცილთაც<sup>48</sup>. ბრუნვის ნიშნის მთლიანი  
მოკვეცის შემთხვევაში აღდგება რედუცირებული ფუძისეული  
ხმოვანი: ჰეცერ მ ე ს ტ ი ა შ რ ა ე ო ნ ი შ ე შ ხ უ მ ა ჩ ე ნ ა მ თ ე შ კ ე ე  
ლი: ბალსქვ., 121,3 — ეცერი მესტიის რაიონის ერთი საუკეთესო  
ხევი არის: კვიციანდ ლ ა კ ე მ ი ა შ ყ ო რ ა რ ს გ ა შ ხ ე ნ ქ ა ჩ ვ ა -  
კილ: ბალსქვ., 9,3 — კვიციანმა ეკლესიის კარები შიგნიდან ჩაკე-  
ტა...; მი აცერი ღარი-ღურას ღური: სვ. პ., 242,14 — მე აცერის  
ხევხუეში მივდივარ; ფანაგა გვეში ლგმარ ბ ა ნ ბ ი კ ა რ ა ვ შ ე ვ:  
სვ. პ., 44,32 — ფანაგა სავსე ყოფილა ბამბის კარვებით: შ ვ ა ნ ა მ ა  
ხ ა ლ ხ ს ო ლ უ ლ ხ ა ყ ა მ ნ ი დ ა დ ვ ი შ ე დ: ლენტ., 70,2 — სვანეთის

<sup>47</sup> თ. შ ა რ ა ძ ე ნ ი ძ ე , ბრუნვათა კლასიფიკაციისათვის სვანურში, გვ.  
131.

<sup>48</sup> ნ. ა ლ ე ს ა ძ ე , განსაზღვრება სვანურში, გვ. 36.

ზალხს ძალიან ეშინოდა დევისა: ყვაბან ფუსდად ჩაყარ  
ანზგზე: სვ. პ., 28,19 — ყუბანის ბატონმა ცხენები გამოგზავნა...;

სხვა ქართველური ენების მსგავსად სვანურშიც ვაქვს ნათე-  
საობითში დასმული სახელის პოსტპოზიციია. მსაზღვრელი ასეთ  
შემთხვევაში ბრუნვის ნიშანს ირთავს და იქცევა მართულ-შეთან-  
ხმებულ სახელად: ქა მაქკერე ლუსდგვარს ვოქკერანშ:  
ბალსზემ., 88,10 — მომკრის ნაწნაებს ოქროსას.

§ 6. ზედსართაული შესიტყვება. ზედსართულ შესიტყვებაში  
ორი ძირითადი ჯგუფია: ერთ შემთხვევაში არსებითი სახელი უკავ-  
შირდება ჩვეულებრივს ზედსართავ სახელს, რომელიც წამყვანი  
სიტყვაა, და მისგან იმართვის ბრუნვაში; მეორე შემთხვევაში წამ-  
ყვან სიტყვად გვაქვს უფროობითი ხარისხის ფორმა.

მმართველი ზედსართავი სახელი, ჩვეულებრივ, ზმნური წარ-  
მომავლობისაა. ასეთებია: ღირსი, მსგავსი, სავსე, მართალი, კმაყო-  
ფილი... ისინი არსებით სახელებს ნათესაობით ან მოქმედებათ  
ბრუნვებში მართავენ: ქე ბის ღირსი, ადამიანის მსგავსი,  
თევზით სავსე (ზღრ. პირამდე სავსე), გულით მართა-  
ლი; მუშაობით კმაყოფილი (//პასუხის კმაყოფილი)...

ასევეა ზანურშიც: ეფშა (=სავსე) ზედსართავთან არსები-  
თი სახელი დაისმის ნათესაობით ან მოქმედებით ბრუნვაში: წყარ-  
იშ ეფშა // წყარით ეფშა (მეგრ.); თოფუი აოფშა (ქან).

ანალოგიური მდგომარეობა შეინიშნება სხვა ზედსართავ სა-  
ხელებთანაც: მათ შეიძლება დაუკავშირდეს თანდებულნიანი სახე-  
ლებიც, რომლებიც წინადადებაში სხვადასხვა ფუნქციით გამოიყუ-  
ნებიან. ასეთებია: ქურაზე ცხელი: „მისი გული მკედლის ქუ-  
რაზე ცხელი ხდებოდა“: გ. ლეონ., 90,12; თავისზე  
საწყალი: ვაჟა, VI,16,3; ყველაზე დიდი: „ქართველი კა-  
ცის ყველაზე დიდი სიმდიდრე სალამიოა“: გ. ლეონ., 83,17;  
ქურციკივით ლამაზი: „ქურციკივით ლამაზმა გო-  
გონამ ზედ ცხვირწინ გადაურბინა“: კ. გამს., I,126,9; ზღრ. ისეთი  
შემთხვევები, როცა ზედსართავს უკავშირდებიან ჩვეულებრივი  
ზმნისართები: ფრიად დიდი: „ჩემი დენშიჩიკი ფრიად დი-  
დი ქურდი იყო“: ილია, I,254,17; უზომოდ მაღალი: „იგი  
იყო შავგვრემანი, უზომოდ მაღალი“: ვაჟა, V,47,15...

უფროობითი ხარისხის ზედსართავი სახელები თანამედროვე  
ქართულში არსებით სახელებს -ზე თანდებულნიან მიცემითში ან  
შედარებით იშვიათად ნათესაობით ბრუნვაში იკავშირებენ: თმა-  
ზე უმრავლესი: „ვეფხვმა იოთამს თმაზე უმრავლესი  
ნადირი მოაკვლევინა“: ვაჟა, VI,256,4; ქარზე უსწრაფესი: „ყვე-

ლაზე წინ გერა გამორბოდა, ქარზე უსწრაფესი“: ლ. ქიან., III, 259, 8... და ასე: ქვეყნის უკეთესი; დედოფლის უღამაზესი; ეთერის უმსუბუქესი...: ქვეყნის უკეთესი რძალი უნდა მოვიყვანო: კ. ლორთქ., 149, 18; თრთოდა... ეთერის უმსუბუქესი ქსოვილი: ს. კლდ. ნოვ., 193, 11.

მეგრულში დაქვემდებარებული სახელი გვხვდება ნათესაობითსა და დაშორებით ბრუნვებში: ვარდიშ უჯგუში სირქე: მას., 40, 1 — ვარდზე (//ვარდის) უკეთესი შენ ხარ... და ასე: მუმაშე უჯგუში, დიდაშე უმოსი...

ზანურში გამოიყოფა თანაბრობითი ხარისხის ფორმაც, სადაც შესადარებელი სახელი, იგივე დაქვემდებარებული სახელი, ნათესაობით ბრუნვაშია: საყენიშ მაგირძა (=საყენის სიგრძისა), დუდიშ მაშხვა (=თავის სიშხო), კითიშ მაპეჯანა (=თითის სისქე).

სვანურში დაქვემდებარებული სახელი ვითარებით ბრუნვაშია: წირდ ხოშა (=უროზე დიდი, უროზე უდიდესი), ბაზიშ დ ხოჩა (=ამ ღამისაზე უკეთესი).

§ 9. ზმნისართული შესიტყვება. ზმნისართული შესიტყვება ზმნისართთან გვაქვს: ძალიან კარგად, ძლიერ სასტიკად...: ვენახს ქერივი ძალიან კარგად უვლიდა: ილია, I, 428, 15; თქვენ ძლიერ სასტიკად ექცევით თამარს: კ. გამს., §, 230, 10...

ასეთ შემთხვევაში ზმნისართი მიერთვის ზმნისართს. მსგავსი ფორმები თანაბრად არის ზანურსა და სვანურში.

§ 10. თანდებულისანი შესიტყვება. თანდებულის მართავს სახელის ბრუნვას. თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ თანდებული მიღებულია სრულმნიშვნელოვანი სიტყვისაგან, რასაც გვაყარაუდებინებს მისი ისტორიული წარსული, და ამდენად შესწევს უნარი სხვა სიტყვასთან დაამყაროს სინტაქსური კავშირი, უნდა ვივარაუდოთ, რომ თანდებულისანი სახელში გვაქვს შეხორცებული შესიტყვება. ასეთ შესიტყვებაში თანდებული მკიდროდ დაკავშირებულია სამართავ სიტყვასთან, რომელსაც ბრუნვის ნიშანი ან შემონახული აქვს, ან დაკარგული<sup>49</sup>, შდრ. სახლამდე, სახლში, სახლისკენ, სახლიდან, დედითურთ...

ამგვარად:

<sup>49</sup> არნ. ჩიქობავა მოუთითებს: „შესიტყვებაში: большою сидит у окна სახელი большою მართავს ზმნას сидит; у окна: у წინდებული მართავს სახელს окна; у окна თვითონ არის შესიტყვება“ (არნ. ჩიქობავა, მარტივი წინადადების პრობლემა ქართულში, გვ. 120).

ქართველურ ენებში შესიტყვების პრინციპები საერთოა, გახსხვაება იგრძნობა გამოხატვის საშუალებებში.

შესიტყვება იქმნება ზმნასა და ზმნით ნაგულისხმევ სახელებს შორის ისე, რომ ერთი ნიშნის მიხედვით შესიტყვებას წარმართავს ზმნა, მეორე ნიშნის მიხედვით — სახელი. ასეთ შესიტყვებებს ზმნურ-სუბიექტურსა და ზმნურ-ობიექტურ შესიტყვებებს ვუწოდებთ. სხვა შემთხვევაში შესიტყვებას წარმართავს ზმნა, სახელი ან ფორმაუცვლელი სიტყვა და გვაქვს: ა) ზმნური შესიტყვება, ბ) სახელური შესიტყვება, გ) ზმნისართული შესიტყვება და გ) თანდებულიანი შესიტყვება.

შესიტყვება ემყარება სინტაქსურად არათანაბარი უფლების მქონე სიტყვების შეერთებას.

## II. მარტივი წინადადება

### მარტივი წინადადების ტიპები

§ 11. წინადადებათა ტიპები სხვადასხვა ნიშნის მიხედვით. წინადადება არის ამა თუ იმ ენის კანონების მიხედვით ერთმანეთთან შეხამებული სიტყვების ჯგუფი ან ცალკე სიტყვა, რომელიც დასრულებულ აზრს გამოხატავს.

წინადადებათა დაჯგუფება შეიძლება აგებულების, მოდალობის, წევრთა შემადგენლობისა და მტკიცების მიხედვით.

აგებულებით წინადადება შეიძლება იყოს მარტივი, შერწყმული და რთული.

მოდლობის მიხედვით გვაქვს თხრობითი, კითხვითი, ბრძანებითი, ემოციური და კითხვით-ემოციური წინადადებები.

წევრთა შემადგენლობით მარტივი წინადადება არის სრული ან უსრული (არასრული), გავრცობილი ან გაუვრცობელი.

მტკიცების მიხედვით — წართქმითი და უკუთქმითი<sup>1</sup>.

წინადადებათა ტიპები წევრთა სინტაქსური დამოკიდებულებით არ განსხვავდებიან ერთმანეთისაგან: ყველა ტიპის წინადადება ემყარება სიტყვათა ორგანიზებულ ურთიერთობას, მაგრამ დანარჩენებს უპირისპირდება თხრობითი წინადადება, რომელიც მოიცავს მსჯელობას და გადმოგვცემს ფაქტს. სხვა ტიპები თხრობითისაგან განირჩევიან სპეციფიკური ინტონაციით, დამწმარე სიტყვებითა და ნაწილაკებით.

§ 12. თხრობითი წინადადება. თხრობითი წინადადებით გადმოიცემა ფაქტი ან მოვლენა, რისიმე დადასტურება ან უარყოფა. ფაქტი შეიძლება იყოს რეალურიც და არარეალურიც. თხრობითი წინადადების წარმოთქმისას პირველ სიტყვებზე ტონი თანდათან მალდება, ხოლო ბოლოსაკენ დაბლდება<sup>2</sup>.

<sup>1</sup> წინადადებათა ტიპები სპეციალურ ლიტერატურაში მიმოხილულია ვრცლად. ამიტომ აქ მხოლოდ ძირითად ცნობებს წარმოვადგენთ.

<sup>2</sup> გ. ა. ხ. ე. ლ. ე. ი. ა. ნ. ი., ზოგადი ფონეტიკის საფუძვლები, თბ., 1949, გვ. 139.

ინტონაციის მხრივ ქართველურ ენებში ერთგვარობაა.

თხრობითი წინადადების ნიმუშებია: ქ ა რ თ უ ლ ი: ბაბალემ: ჯიბილამ ამოილო ერთი გაბმა აბრეშუმი: ილია, I,337,15; კოლოქლომი საომრად გამოითხოვა: ი. გოგებ., V,416,12; წვიმა წამოვიდა: რ. ინან., 98,23...

ზ ა ნ უ რ ი: ლეკურიშ ნოტეხიქ ალეს სუჯი მეკვათგ: ხუბ., 169,4 — ხმლის ნატეხმა ალეს ყური მოჰკვეთა; ქგმორთგ ართი მოხუცებული დედებიქ: ხუბ., 107,33 — მოვიდა ერთი მოხუცი დედაბერი: ბოში თხილანს ჩხოულენს: ხუბ., 170,10 — ბიჭი მწყემსავს ძროხებს...

ბომბულაქ მოსა შუმს: ჭან., II,68,12 — ობობა ქსელს ქსოვს; ბოზო ლამბას მედვინერი ჭანს: ულ. ჭან., 137,26 — ქალიშვილს ანთებულ სანთელთან სძინავს; თილქი ლეტას ქოდიჯინუ: ჭან., I,69,11 — მელა მიწაზე დაწვა...

ს ე ა ნ უ რ ი: აშხეინ ალ მკკლმანხიდ აღგრმე ვოქკრე კალმახ: ბზ., 367,24 — ერთხელ ამ მეთევზემ დაიჭირა ოქროს თევზი; დნნად სგა ლნაქვე მგლდელი ნაქვამ: ბზ., 369,34 — ქალიშვილმა ჩაიკვა მწყემსის ნაცვამი; ამირანდ რაშვე ქაფიშტვ მინდვერისკა: ლენტ., 281,6 — ამირანმა რაში გაუშვა მინდორში.

§ 13. კითხვითი წინადადება. კითხვითია ისეთი წინადადება, რომელიც შეიცავს კითხვას. ქართველურ ენებში მისი გამოხატვის საშუალებებია: 1. კ ი თ ხ ვ ი თ ი ნ ა ც ვ ა ლ ს ა ხ ე ლ ე ბ ი (ვინ? რა? რომელი? როგორი?... მი? მუ? ნამუ? მუჭომი?... ძარ? მან? ხედა? მაგვარ?...): ვ ი ნ წერს? მ ი ქარუნს? მ ი ქ ქარუმს? ძარ აძარი?...; 2. კ ი თ ხ ვ ი თ ი ზ მ ნ ი ს ა რ თ ე ბ ი (სად? როდის? როგორ?... სო? მუჟამს? მუჭო?... იმეგ? შობა? იმჟი?...): ს ა დ მიდის? ს ო მეურს? ს ო ნულუნ? ი მ თ ე ესბრი?...; 3. კ ი თ ხ ვ ი თ ი ნ ა წ ი ლ ა კ ე ბ ი (ხომ? განა...): ხ ო მ იცი? ხ ო მ ქოგიჩქუ?...; ძ ვ ე ლ ი ქ ა რ თ უ ლ ი თ — ა და -მე: ი ც ი ა? ი ყ ო ს -მე? ჰ რ ქ უ ა ს -მე? ს ე ა ნ უ რ ი — ა და -მ ა // -მ ო: ა ნ დ რ ი ა? (მოდის?), ა ნ ვ ა დ ე -მ ა? (მოვიდა?), ჯ ა კ უ -მ ო? (გინდა?)... მ ე გ რ უ ლ ი: - ო: გ ი ჩ ქ უ ნ ო? (იცი?), ჭ ა ნ უ რ ი — ი: გ ი ჩ ქ ი ნ - ი? 4. კითხვითი ინტონაცია: იცი? ხატავ?... ინტონაცია განსხვავებულია იმის მიხედვით, მონაწილეობენ თუ არა წინადადებაში კითხვითი სიტყვები და ნაწილაკები. თუ შესიტყვებაში არა გვაქვს კითხვითი სიტყვა და ნაწილაკი, ინტონაცია აღმავალია, ბოლო სიტყვის ტონი მაღლდება; ინტონაცია დამავალია, ტონი კი ძლიერდება და ოდნავ მაღლდება შესიტყვების შიგნით, როცა შესიტყვებაში კითხვითი სიტყვაა<sup>3</sup>. ეს უკანას-

<sup>3</sup> გ. ა ხ ვ ე ლ დ ი ა ნ ი, ზოგადი ფონეტიკის საფუძვლები, გვ. 140.

ქნელი თანამედროვე ქართულში თხრობით წინადადებას მოგვთავაზობს თავისი აგებულებით, მაგრამ თხრობითსა და კითხვითს ერთმანეთისაგან განასხვავებს ინტონაცია<sup>4</sup>: ლათიკო სწავლას თავს ანებებს? ილია, I,294,12; არწივი მეტყვის დედობას? ვაჟა, VII,56,18, ვაზის მზერამ მოგაწყურა? ხ. ბერ., 100,16...

ამით თანამედროვე სალიტერატურო ქართული უპირისპირდება სხვა ქართველურ ენებს.

§ 14. კითხვითიტყვიანი და ნაწილაკიანი კითხვითი წინადადება. კითხვითი წინადადება, როგორც აღინიშნა, იყენებს კითხვით ნაცვალსახელებს, კითხვით ზმნისართებსა და კითხვით ნაწილაკებს. ინტონაცია თხრობითისაგან განსხვავებულია: ვინ ასწავლა ამ ბიჭს ეს კილო? გ. შატბ., II,20,10; ვინ მოვიდა პირველ საათზე? ნ. დუმბ., 562,25; ბატკანს რა დაემართა? ვაჟა, VII,22,14; რომელმა ნადირმა იცის ღმუილი? ი. გოგებ., V,365,2; რით ხნავთ მიწას? ილია, I,276,1; სად ეცალა საწყალ ჩირიკს ჩხუბისათვის? გ. ლეონ., 88,6; როგორ დაავიწყდებოდა? აკაკი, IV,48,38; რადანაღვლობ? ილია, I,299,4; რად ითრევედა ფეხს ვახტანგი? კ. გამს., V,174,30; რატომ ჩაგვიარდა ეგ შენი ტიკტიკა ენა? ილია, I, 306,27; რატომ სხვასთან არ ჰყოლია? დ. კლდ., I,180,34; რისთვის ეკითხება ამას ეს კაცი? დ. კლდ., I,153,16; განა მაგას ვიწუნებ? ილია, I,449,31; არ გიდევნებიათ განათვალყური? ვაჟა, VII,40,30; აქ ხომ არ არის მამაშენი? ილია, I,274,34; კირი ხომ იქნება საჭირო? ნ. ლორთქ., II,435,20; თქვენ პატარას თუ არ შენაყრდებით? ა. ყაზბ., II,133,4; თუ არ დაიღალე? ა. ყაზბ., II,437,3; ვინა ხარ? — თემური! აბა თემური? ნ. დუმბ., 462,20; უკაცრავად, ლიდა დღეს არ მორიგეობს? — აბა ლიდა? ა. ბელ. იუმ., 167,1.

ანალოგიური მდგომარეობაა სხვა ქართველურ ენებშიც:

ზანური: მუქ გაგაკეთე თაში? ყიფშ., 25,28 — რამ გაგაკეთა ასე? თქვანი ცურეშე მუჭომი მგნაწი რღე? ყიფშ., 2,23 — თქვენკენ როგორი მოსავალი იყო? მუჭო ოკო ფქიმიანთ? ყიფშ., 88,12 — როგორ უნდა ვქნათ? მუნერო ვიჩხუბათია? ხუბ., 48,10 — როგორ ვიბრძოლოთო? სოშა მეურქია? ყიფშ., 23,10 — სანამდის მიდიხარო? სოლე მიცონი ეჭგუა ჭგირი ოსური? ხუბ., 119,19 — საიდან მოიყვანე ასეთი კარგი ცოლი?..

ია კოჩი მი რტუ? ხოფ., 45,15 — ის კაცი ვინ იყო? მი მოხთუ? ხოფ., 126,25 — ვინ მოვიდა? ამუს მუ ჭოხონს? ხოფ., 78,15 — ამას რა ჰქვია? სი მუ იქიფ? ხოფ., 78,24 — შენ რას

<sup>4</sup> არნ. ჩიქობავა, ენათმეცნიერების შესავალი, გვ. 255.



აკეთებ? სი მუკო წანერი რე? ხოფ., 179,15 — შენ რამდენი წლისა ხარ? ჰარუნიში ჯუმა მოთ იკითხუმ? ჰან., II,2,12 — ჰარუნის ძმას რად კითხულობ? მუნდეს ულუ თიქლისიშა? ხოფ., 78,35 — როდის მიდიხარ თბილისში? თოფუი მუქო გამომე? ჰან., II,82,5 — თაფლს როგორ გამოიღებ?..

სევანური: სი მამა ჯამედა? ბზ., 121,25 — შენ რა შეგიძლია? იშა გეზალ ლი ალ ჰყინტ? ბზ., 151,8 — ვისი შვილი არის ეს ბიჭი? შომა ანკედ ბეჩოხენ? — როდის ჩამოხვედი ბეჩოდან? იმლა ანკედ ბეჩოხენ? — რატომ ჩამოხვედი ბეჩოდან?..

ცალკე გამოიყოფა ძველი ქართულისეული -ა კითხვითი ნაწილაკი და მისი შესატყვისი ფორმები სხვა ქართველურ ენებში.

ძველ ქართულში კითხვით წინადადებაში, თუ კითხვითი სიტყვა არ გვექონდა, -ა ნაწილაკით გამოიხატებოდა კითხვა<sup>5</sup>: მე ჰურია ვარა? DE ი 18,35; შენ ხარა მომავალი იგი? მ 11,3; ესე არსა ძქ იგი თქუენი? DE ი 9,19; მეუფჳ ხარი შენა? DE ი 18,37; გნებავსა? სინ. მრავ., 138,34...

-ა ნაწილაკის ფონეტიკური შესატყვისია მეგრ. -ო:<sup>6</sup> კაკადისჯ ქირჩქილექო?: ყიფშ. 18,28 -- კაკუნს ისმენ? (//კაკუნი გესმის?): ჩქიმწკმა ვაზოჯუნდიო ლუმა? ხალხ. სიტყ., 144,16 — ჩემთან არ ბრძანდებოდი წუხელ? ახალი ამბე გიჩქუნო? — ახალი ამბავი იცი?..

ეგვეე ნაწილაკია გამოყენებული სევანურში: ანღრია? (= მოდისა?), აჩადა? (= წავიდაა?)...: აშიდ ხარია: ბქვ., II,171,25 -- ცოცხალი ხარ? ჯედიას ლია ისგე სოფელ? — თქვენი სოფელი შორს არის? სოსლან ანჯადა? — სოსლანი მოვიდა?..

ჰანურში განსხვავებული ვითარებაა: ამ მიზნით გამოყენებული -ი ნაწილაკი, რომელიც ფონეტიკურად ვერ დაუკავშირდება ვერც მეგრულს და ვერც ქართულს. მხოლოდ ფუნქციონალური შესატყვისობაა მათ შორის<sup>7</sup>: თოკის მქიი ნიმფინენ-ი? ჰან., I,7,30 — თოკზე ფქვილი გაიფინება? ჰაწი ხოლო იდარე-ი? ყიფშ. ჰან., 26,3 — ახლა კიდევ წახვალ? სი ვა განჯიენ-ი? ხოფ., 159,29 — შენ არ გეძინება? ხატიჯე მოხთუ-ი? ხოფ., 163,36 — ხატიჯე მოვიდა?..

ჰანურის -ი ნაწილაკი ცალკე არ დგას. -ი გვხვდება აფხაზურ.

<sup>5</sup> N. Marr et M. Brière, La langue géorgienne, 1931, გვ. 366; არნ. ჩიქობავა, ენათმეცნიერების შესავალი, გვ. 256; ი. იმნაიშვილი, სახელთა ბრუნება და ბრუნეთა ფუნქციები ძველ ქართულში, გვ. 362.

<sup>6</sup> И. Кипшидзе, Грамматика мингрельского (иверского) языка, с. 092; არნ. ჩიქობავა, ჰანურის გრამატიკული ანალიზი, გვ. 187.

<sup>7</sup> იქვე.

შიც უარყოფით-კითხვით ფორმებთან (სჯყამ-ი=არა ვარ? განა არა ვარ?)<sup>8</sup>.

-ა ნაწილაკი თანამედროვე სალიტერატურო ქართულში არა გვაქვს, მაგრამ შემორჩენილია ხევსურულში<sup>9</sup>, ფშაურში<sup>10</sup>, მთიულურში<sup>11</sup>, თუშურში<sup>12</sup>, ინგილოურში<sup>13</sup>, ზემორაჭულში<sup>14</sup>.

ძველ ქართულში კითხვითობის გამოსატვის უნარი ჰქონდა -მე ნაწილაკსაც. -მე ნაწილაკი იმ შემთხვევაშიც გექონდა, როდესაც წინადადებაში კითხვითი სიტყვა ან კითხვითი -ა ნაწილაკი იყო: ვინ-მე გარდაგვგორვოს ჩუენ ლოდი იგი კარისა მისგან სამარისაჲ-სა: C მრ., 16,3; კელ-მე-ეწიფებისა ძეთა სიძისათა გლოვად...? DE მ 9,15...

ნ. მარი -მე კითხვითი ნაწილაკის პარალელურ ფორმებად მიიჩნევდა აფხაზურ -მა'ს, სვანურ მო'ს და მეგრულ მუ'ს<sup>15</sup>.

-მე ნაწილაკის თავისებურებას ეხებთან ა. შანიძე<sup>16</sup>, თ. ყაუხჩი-შვილი<sup>17</sup>, ი. იმნაიშვილი<sup>18</sup>, ე. ბაბუნაშვილი<sup>19</sup>, თ. უთურგაიძე<sup>20</sup> და სხვები.

<sup>8</sup> ქ. ლომთაძე, კითხვითი ფორმები აფხაზურში: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, III, № 9. 1942, გვ. 972.

<sup>9</sup> ა. შანიძე, ქართული ენის სტერქტურისა და ისტორიის საკითხები, I, თბ., 1957, გვ. 19; ალ. კინკარაული, ხევსურულის თავისებურებანი, თბ., 1960, გვ. 67.

<sup>10</sup> ი. იმნაიშვილი, ვაჟა-ფშაველა და ძველი ქართული ენა, თბ., 1968, გვ. 141—143; გ. ცოცანიძე, ფშაური დიალექტი, თბ., 1978, გვ. 116.

<sup>11</sup> არნ. ჩიქობავა, მთიულურის თავისებურებანი: ენის მოამბე, ტ. II, 1937, გვ. 55; ლ. კაიშაური, მთიულურის დარგობლივი ლექსიკა, თბ., 1967, გვ. 29.

<sup>12</sup> თ. უთურგაიძე, თუშური კილო, თბ., 1960, გვ. 67.

<sup>13</sup> გრ. იმნაიშვილი, ქართული ენის ინგილოური დიალექტი, თბ., 1966, გვ. 146.

<sup>14</sup> შ. ძიძიგური, ძივანი ქართული დიალექტოლოგიიდან, თბ., 1954, გვ. 59.

<sup>15</sup> Н. М а р р, К вопросу о положении абхазского языка среди яфетических, 1912, с. 26.

<sup>16</sup> ა. შანიძე, ძველი ქართული ენის გრამატიკა, გვ. 146.

<sup>17</sup> თ. ყაუხჩიშვილი, ზოგი ნაწილაკისა და კავშირის მნიშვნელობისათვის ძველ ქართულში: „იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება“, I, 1946, გვ. 274—280.

<sup>18</sup> ი. იმნაიშვილი, სახელთა ბრუნება და ბრუნვათა ფუნქციები ძველ ქართულში, გვ. 362.

<sup>19</sup> ე. ბაბუნაშვილი, ნაწილაკები ძველ ქართულში: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, 67, 1957, გვ. 238—243.

<sup>20</sup> თ. უთურგაიძე, -ა და მე- ნაწილაკები ქართულში: „იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება“, XV, გვ. 220—222.

-მე ნაწილად ეფარდება სევანური -მა და -მო: ხოცდნა ქვერ  
ლიცს? (ლაშხ.) — მოუტან ცივ წყალს? ხაჯრავმა ეჩა ნაქვისგ  
(ლაშხ.) — სჯერა იმისი ნათქვამი? ანჯაღმა მიშვეი ნაზგზ მარე?  
(ლაშხ.) — მოვიდა ჩემი გამოგზავნილი კაცი? ჯაყუმო ლეზებ?  
(ლენტ.) — გინდა საკმელი? ხალატმო ლეთრე? (ლენტ.) — უყვარს  
სასმელი? მგხარ ღვრიმო ლახვხო? (ლენტ.) — ხვალ წახვალ  
მთაში?..

აფხაზურში ზმნის დადებით-კითხვით ფორმას -მა სუფიქსი  
აწარმოებს<sup>21</sup>. ძველი ქართულის -მე კითხვითი ნაწილაკისა და სვა-  
ნურ -მა/-მო'ს დაკავშირება აფხაზურ -მა'სთან საექვო არ უნდა  
იყოს.

ქართულში -ა კითხვითი ნაწილაკი დაიკარგა, მეგრულში --  
შემოგვრჩა. ამას ხელი შეუწყო მახვილმა: ქართულში -ა ნაწილაკი  
მახვილიანი არ იყო<sup>22</sup>, მეგრულში მახვილიანია.

§ 15. ბრძანებითი წინადადება. ბრძანებითი წინადადება გა-  
მოხატავს ბრძანებას. ბრძანებითია წინადადება მაშინაც, როცა იგი  
გადმოსცემს თხოვნას, ხეწნას, მუდარას და ა. შ. მისთვის დამახა-  
სიათებელია სხვადასხვა სახის ინტონაცია, რომელიც იცვლება იმის  
მიხედვით, გამოხატავს იგი კატეგორიულ ბრძანებას, თხოვნას თუ  
ხეწნას.

ბრძანებითი წინადადების შემასმენლად გვაქვს ბრძანებითი კი-  
ლოს ფორმები. ამ ფორმებით გამოხატება მბრძანებელი და შემ-  
სრულებელი. რაკი მბრძანებელი მოუბარი პირია და იგი პირვე-  
ლია, „მისი სურვილის შემსრულებელი შეიძლება იყოს მე-2 და  
მე-3 პირი“<sup>23</sup>. პირველ პირს მხოლოდ მაშინ შეიძლება ებრძანოს,  
როდესაც „ფორმა მრავლობითი რიცხვისაა“<sup>24</sup>. მაშასადამე, შემას-  
მენლად ბრძანებით წინადადებაში გვაქვს მხოლოდობითის მეორე და  
მესამე პირების ფორმები და მრავლობითი რიცხვის ყველა პირი-  
სა. მაგალითად: შენ ღეთის გამგებლობას უყურე! ილია, I,287,25;  
სალამობით მოდი! ილია, I,282,36; ერთი წუთით დაბრუნდი!  
ნ. დუმბ., 348,38; ბეჩავი ქუჩი ვარ, შემებრალე, ჩემო ნიავო მთი-  
სავ! ვაჟა, V,203,31; ექიმი თვითონ წავიდეს! ნ. დუმბ., 197,22; გა-  
ვბოლოთ ერთი რჯულზე! ნ. ლორთქ., II,113,4...

<sup>21</sup> ქ. ლ. მ. თ. ა. თ. ი. ძ. ე. კითხვითი ფორმები აფხაზურში, გვ. 973—978.

<sup>22</sup> ა. ჩ. ი. კ. ბ. ა. ვ. ა. მახვილის საკითხისათვის ძველ ქართულში: საქართველოს  
სსრ მეცნ. აკადემიის მოამბე, ტ. III, № 2, 1942, გვ. 191—197; ა. შ. ა. ნ. ი. ძ. ქარ-  
თული ენის გრამატიკის საფუძვლები, გვ. 608; შ. ძ. ი. ძ. ი. გ. უ. რ. ი, ძიებანი ქარ-  
თული დიალექტოლოგიიდან, გვ. 59.

<sup>23</sup> ა. შ. ა. ნ. ი. ძ. ე. ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, გვ. 206.

<sup>24</sup> იქვე.

უკუთქმითი ბრძანებითისათვის გამოყენებულია არ და ნუ ნაწილაკები. არ ნაწილაკი კავშირებით კილოსთან იხმარება: არ გაბედლო! მ. ჯავახ., V,304,24; არ მომეკარო! ნ. დუმბ., 107,12...

ნუ ჩვეულებრივ თხრობითთან გვაქვს: ნუ მიმაღავ, ჩემო ბაბალე! ილია, I,338,23; ნუ შიშობ! ილია, I,304,8...

იშვიათად ნუ ნაწილაკი კავშირებითანაც გვხვდება: ნუ დამიტროს სატრფომ გულისა! ნ. ბარ., 29,18<sup>25</sup>.

სხვა ქართველურ ენებში ქართულისებური ვითარებაა:

ზ ა ნ უ რ ი: ქობალიში ქვირი ქემომილი! ხუბ., 212,38 — პურის ფქვილი მომიტანე! ქორონთქ ჯგირო გამყოფას! ქართ. ხალხ. სიტყვ., I,135.20 — ღმერთმა კარგად გამყოფოს; მესოფი დუდი! — წააგლიჯე თავი! თუს ნუ დოცვილუ! — გოქს ნუ დაკლავ! ვადოცვილა ჯოლორი! — არ მოკლა ძაღლი!..

ა კოჩის ფარა ქომეჩი! ხოფ., 35,20 — ამ კაცს ფული მიეცი! პატეფონი გილაჩი! ხოფ., 159,5 — პატეფონი დაუქარი...; მუ გოწამიდგი! ხოფ., 162,25 — ნუ ჩამომიდექი და ა. შ.

ს ვ ა ნ უ რ ი: დათო, ათაჲ ფეკენა! — დათო, წაიყვანე ლეკვი! უსკვარ ემხორ! — ვაშლები დამიკრიფე! სკავ ანკაღ ქორჩო! ლენტ., III,94,18 — შემოდო სახლში (//შემოსულიყავიო სახლში)...

§ 16. ემოციური წინადადება. წინადადებათა სამ ძირითად ტიპს — თხრობითს, კითხვითსა და ბრძანებითს — შეიძლება ახლდეს მთქმელის ემოცია. ასეთ შემთხვევაში ვიღებთ ე მ ო ც ი უ რ წ ი ნ ა დ ა დ ე ბ ა ს<sup>26</sup>. ემოციური წინადადება ზასიათდება ემოციურობით, რომლის ხარისხი შეესაბამება სათანადო განცდებს. მას ახასიათებს სპეციფიკური ინტონაცია. თავისი ემოციური იერით ემოციური წინადადება გამოხატავს სიხარულს, ალტაცებას, კმაყოფილებას, ნატვრას, სურვილს, დანანებას, სიბრაღულს, დაცინვას, აღშფოთებას, ზიზღს, სიძულვილს, მწუხარებას, შიშსა და ა. შ.<sup>27</sup>.

მაგალითები:

ქ ა რ თ უ ლ ი: სირცხელით შინ როგორღა მივიდე! ილია, I,409,7; შენი კითხვა მაკვირვებს, კესო! ილია, I,467,20; კი ვიცი მე, რისთვის ხარ მოსული! ნ. დუმბ., 105,22; რა მემჩიარულება! მ. ჯავახ., III,426,8...

ზ ა ნ უ რ ი: მუ ეოფე ე კოჩი! ხუბ., 176,30 — რა ყოფილა ეს

<sup>25</sup> ა. შ ა ნ ი ძ ე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, გვ. 208.

<sup>26</sup> ე მ ო ც ი უ რ ი წ ი ნ ა დ ა დ ე ბ ა ც ნ ო ბ ი ლ ი ა ძ ა ხ ი ლ ი ს წ ი ნ ა დ ა დ ე ბ ი ს სახელით.

<sup>27</sup> ლ. კ ვ ა კ ა ძ ე, თანამედროვე ქართული ენის სინტაქსი, თბ., 1966, გვ 38—39.

კაცი! მუ საარიკო რე ხოლო ბძირიე! ხუბ., 179,11 — რა საარაკო ვნახე!..

მა სქანისტერი კოჩი ვარ მიძირუნ! ჭან., 19,15 — მე შენისთანა კაცი არ მინახავს! მუ ზოპონ, ია ქაურქი ჩქიმი იენ! ჭან., I,4,21 — რას ამბობ, ეგ ქურქი ჩემია!..

ს ვ ა ნ უ რ ი: მამ ხოჩა ლი მესტია! (ლაშხ.) — რა შშენიერია მესტია! ეშუ ლერბათ ჩომამზგრად ამეჩუნაშ მერღე მარე! — სვ. პ., 78,28 — ასემც ღმერთს დაულოცხართ აქ მყოფი ზალბი...  
ემოციური წინადადება კითხვის გამომხატველიცაა: ერთადაა გადმოცემული კითხვაც და ემოციაც. მას კითხვით-ემოციური (ანუ კითხვით-ძახილის) წინადადება ეწოდება.

ასეთებია:

ქ ა რ თ უ ლ ი: აბა უარს რად იტყვიან?! ილია, I,96,15; ჩემი შვილების პატრონს რა დააძინებს?! ვაჟა, VII,56,17; ასი მანეთისათვის შეილს კაცი რავე დაუკარგავს ბედს?! დ. კლდ., I,60,7; ასეთი კაცი ომში წასვლას აპირებ?! ს. კლდ., 414,18...  
ზ ა ნ უ რ ი: თინა პილგნსო მა?! ყიფშ., 19,4 — ის ჰკლავს მე?! მუჰო მოსოფუნს?! — როგორ მორბის?!..

აჲა ლაზიქ მუ იქიფს?! ხოფ., 160,27 — ეს ლაზი რას შვრება?! საპევი სქანის კუჩხე მოთ გეჩი?! ჭან., I,4,6 — შენს პატრონს ფეხი რად მიარტყი?!..

ს ვ ა ნ უ რ ი: ალ დავარს იმე ოხსედნი?! სვ. პ., 32,9 — ამ დევებს როგორ გადავურჩები?! მან ლიმეჩვი სი აჰჰიდ?! სვ. პ., 110,4 — როგორი სიბერე მოგესწრო შენ?!..

ქართველურ ენებში წინადადებათა მოდალური ტიპები გახიჩრევიან სპეციფიკური ინტონაციით, შესაფერისი სიტყვებითა და ნაწილაკებით და ზმნის კილოს ფორმებით.

§ 17. სრული და უსრული წინადადება. წინადადების პირველი და მეორეხარისხოვანი წევრები ერთმანეთთან სხვადასხვა სიტაქსურ სინტაქსურ ურთიერთობას ამჟღავნებენ. ამას შედეგად მთავარი წევრები (შემასმენელი, ქვემდებარე, პირმომართი დამატებები) ქმნიან ძირითად ბირთვის; მეორეხარისხოვანი წევრები კი მათ უკავშირდებიან შეთანხმებით, მართვით ან მირთვით. წინადადების სისრულის დასადგენად მნიშვნელობა აქვს მთავარ წევრებს<sup>28</sup>. წინადადება სრულია იმ შემთხვევაში, როდესაც რეალურად წარმოდგენილია შესიტყვებით გათვალისწინებული მთავარი

<sup>28</sup> დაწვრილებით იხ. ა. კ. ი. რ. ი. ა., უსრული წინადადება ქართულში: „მაყნე“, ენისა და ლიტერატურის სერია, № 4, 1975, გვ. 135—149.

წევრები (შემასმენელი, ქვემდებარე, პირდაპირი დამატება, ირიბი დამატება)<sup>29</sup>.

ერთპირიან ზმნა-შემასმენელთან პირიანობის მიხედვით ერთი სახელი — ქვემდებარეა დაკავშირებული, ამიტომ აქ ქვემდებარე და შემასმენელი ქმნიან სრულ წინადადებას. თუ ერთ-ერთი მათგანი გამოტოვებულია, წინადადება იქნება უსრული.

ს რ უ ლ ი წ ი ნ ა დ ა დ ე ბ ე ბ ი ა: უფრო გამალებული წავი-  
და პეტრე ავლაბრის ბაკებისაკენ: ილია, I,414,30; მზე გადაიხარა:  
ილია, I,406,15; ლუარსაბი მოვიდა: ილია, I,337,25; ჩამოვარდა  
ხანგრძლივი სიჩუმე: აკაკი, IV,129,31...

ორპირიან ზმნა-შემასმენელთან ორი სახელია დაკავშირებუ-  
ლი: გარდამავალთან — ქვემდებარე და პირდაპირი დამატება, გარ-  
დაუვალთან — ქვემდებარე და ირიბი დამატება. შემასმენელთან  
ერთად თუ რეალურად წარმოდგენილია ორივე მთავარი წევრი,  
წინადადება იქნება სრული:

1. შ ე მ ა ს მ ე ნ ლ ა დ გ ა რ დ ა უ ვ ა ლ ი ო რ პ ი რ ი ა ნ ი  
ზ მ ნ ა ა: ღამე გამოეთხოვა ქვეყანას: ილია, I,439,38; ჯოჯოხეთს  
კიდევ ერთი მუგუზალი მიემატა: გ. ლეონ., 147,3; იმ კარებს გა-  
გიყებულნი კამეჩი სამჭერ დაეძგერა: მ. ჯავახ., III,283,4; ოთხი ურე-  
მი ოთხკუთხივ მოსდგომოდა სათივეს: ილია, I,457,7...

2. შ ე მ ა ს მ ე ნ ლ ა დ გ ა რ დ ა მ ა ვ ა ლ ი ო რ პ ი რ ი ა ნ ი  
ზ მ ნ ა: მოხუკა თვალი ქვრივმა: ილია, I,438,41; პირველ დღესვე  
არჩილმა ვენახში წაიყვანა გიორგი: ილია, I,449,10; ცეცხლს შემო-  
ატრიალა წუწვი წიქარა: ს. მგალ., 352,24...

სამპირიან ზმნა-შემასმენელთან სამი სახელია დაკავშირებუ-  
ლი. ზმნასა და სახელებს შორის რთული სინტაქსური ურთიერთო-  
ბაა დამყარებული. წინადადება სრულია, თუ ზმნა-შემასმენელთან  
ერთად წარმოდგენილია სამივე სახელი: ტარიელმა თვალი მოჰკრა  
ბაჩუას სახეს: ლ. ქიაჩ., II,108,2; დედას გულმა ტეხა დაუწყო:  
ილია, I,448,20; კამერაში არჩილს საპატიო ადგილი დაუთმეს ამხა-  
ნაგებმა: ლ. ქიაჩ., II,296,4...

უსრულია წინადადება, როცა გამოტოვებულია ერთ-ერთი  
მთავარი წევრი: შემასმენელი, ქვემდებარე, პირდაპირი დამატება  
ან ირიბი დამატება.

შემასმენლის გამოტოვება ხდება მაშინ, როდესაც ერთნაირი  
მოქმედების ან მდგომარეობის განმეორებაა: შემასმენლის გან-  
მეორების თავიდან ასაცილებლად მოსალოდნელი მომდევნო შე-

<sup>29</sup> ა. კ ი ზ ი რ ი ა, მარტივი წინადადების შედგენილობა ძველ ქართულში,  
გვ. 95; ა. დ ა ვ ი თ ი ა ნ ი, ქართული ენის სინტაქსი, თბ., 1973, გვ. 131—139.

მასმენელი არაა წარმოდგენილი. თუ შემასმენელი რთულია, გამოიტოვება საერთო: — შენ არ თქვი, ბაღანა რომ ხვეტას დაიწყებს და ციფუნია პირის ბანას — სტუმრები მოვლენო: ო. ლორთქ., I, 604, 17; — არჩილი აქ არის? — კი, ბატონო! — თაქაზი? — თამაზი! — ნოდარი? — აქ ვარ ბატონო! ნ. ღუმბ., 348, 26; ზოგნი ნაპოლეონს ეძახდნენ, ზოგნი — აპოლონს: მ. ჭავახ., III, 49, 9; მამით გურული ვარ, დედით — მეგრელი; აღზრდა-დაბადებით კი იმერელი: მ. ჭავახ., III, 45, 5...

შემასმენლის გამოტოვება ხდება იმ შემთხვევაშიც, როდესაც ეგვეე შემასმენელი წინა წინადადებაშია ნახსენები, ამ შემასმენლით გამოხატული მოქმედება შედეგია იმ მდგომარეობისა, რომლის ახსნა მომდევნო შესიტყვებებითაა გადმოცემული:

— შენ რაღად, ჩემო გაბრიელ? შენ რაღად, რაღად? — ქვითინებდა ის ტანჯული კაცი: ილია, I, 312, 3...

„შენ რაღად“ უსრული წინადადებაა და ის გასაგებია მას შემდეგ, როცა წინამავალ წინადადებებს გავითვალისწინებთ: როდესაც გადასასახლებლად გამზადებული ორი უდანაშაულო ადამიანი — პეპია და გაბრიელი — ერთმანეთს შეხვდება, გაბრიელი გადმოგვცემს: — „პეპიავ, კაცო, შენა ხარ? — გოცებით შეეყვირე საცოდავსა. იმან თავი მაღლა აიღო და შემომხედა.“

— შეილო, გაბრიელ! — დაიბლავლა საცოდავის ხმით, — შენც აქა ხარ?..

— შენ რაღად, ჩემო გაბრიელ, შენ რაღად, რაღად?“

ასეთივეა:

„დაწიოკებული სუფრა ... დაჭოკებული ღვინის წამონალეი“: გ. ლეონ. 156, 26.

ეს უშემასმენლო წინადადებები გაუგებარია, თუ არ გავითვალისწინებთ წინამავალ ვითარებას. აი ესეც: „წაძიგილავდნენ. შეიქნა ზედახორა, ჯღუხა. ერთმანეთი დაქოჩრეს, აბუმბლეს, სუფრა დაარიალეს. სუფრის ბოლოში იგრილა კურჭელმა, დაიფშენა, ჩანაჭუჭდა ერთიანად. ფრთხილმა სტუმრებმა იჩქარეს, — გაცლა სჯობსო, — ხელერთპირად გარბოდნენ, თითქოს ფული მოუპარიათ და ეშინიათ ზედ წასწრებისაო...“

„დაწიოკებული სუფრა ... დაჭოკებული ღვინის წამონალეი...“

ქართული ენა ნაკლებად მიმართავს შემასმენლის გამოტოვებას. შემასმენლის გამოტოვება ზშირია დიალოგებში.

ქვემდებარის გამოტოვება ხდება იმ შემთხვევაში, როდესაც მოსალოდნელია წინამავალი წინადადების ქვემდებარის ან პირმი-

მართი დამატების განმეორება მომდევნო წინადადებაში.

მაგ.:

გიორგის გულში მოხვდა ეს უკანასკნელი სიტყვა. აიტკიცა, ეჯავრა. კარგადაც ვერ მიეგნო, — რად უხსენა დედამ ჯაღო: ილია, I,438,16; სულ ამ ვენახის მიჯნისათვის ექინჭრებოდა ჩირიკს გულ-ნამცეცა ჩიკოტელა. ბოროტ გზასაც არ ერიდებოდა: გ. ლეონ., 89,18...

ასეთივე წარმოშობისაა სხვა უსრული წინადადებებიც: ქმრის ანდრძს არ უღალატა: ილია, I,430,28; ერთხელ ერთმანეთს ქუჩაში წააწყდნენ: მ. ჯავახ., III,79,3...

მაგრამ თუ წინადადებები ისე ეწყობიან ერთმანეთს, რომ არ ხდება წინამავალი წინადადების ასეთი წვერის განმეორება მომდევნო წინადადებაში, მაშინ ჩვეულებრივ სრული წინადადებები გვაქვს: მზე გადიხარა. თბილმა შეგუბებულმა ჰაერმა მოძრაობა დაიწყო. იმ ენაჩავარდნილმა ადგილმა გაიხმაურა. აიშალნენ მეურ-მეები თვალების ფშვნეტითა: ილია, I,406,16; ბეჟანიშვილის მოჯამაგირეს ურმით საფქვაავი მოჰქონებოდა შინ. იმ ოჯახდაქცეულს თავსუბუქად დაედო. კამეჩები თურმე ყელში ჰხრიალებდნენ, ისე წასქეროდათ აპეურები. ოთარაანთ გიორგი გზად მოდენილა თურ-მე: ილია, I,436,23...

თავისებურია ისეთი შემთხვევები, როდესაც ქვემდებარედ პირველი ან მეორე პირია. ასეთ დროს ქვემდებარედ პირის ნაცვალსახელები გვაქვს. ნაცვალსახელი შეიძლება არც იყოს წარმოდგენილი: ჩვეულებრივ გამოტოვებულია და წინადადებაც უსრულია.

მაგალითები:

მე ჩემს ყურებს არ დავუჭერე: ილია, I,203,31; მე წიგნს ვასწავლი ხოლმე შენისთანა კაი კაცსა: ილია, I,279,7...

მაგრამ:

ერთ საღამოს განათებულ მალაზიის ფანჯარაში გამოფენილ სურათებს შევაჩერდი: ნ. ლორთქ., I,490,20; მხიარულად მივცუტე-ცუტეობ: მ. ჯავახ., III,433,28; ქუთაისში მივალ სამუდამოდ: მ. ჯავახ., III,42,10...

ასევე:

შენ გოგო ლამაზად მორთე: ილია, I,361,21; შენც კი კარგა ხანს მე ხმა არ გამე: ილია, I,194,4...

მაგრამ:

სად გაისტუმრე? ილია, I,333,30; მიხვალ, პლატონ? დ. კლდ., I,123,10...



წინადადების სისრულეში მონაწილეობენ პირმიმართი დამატებებიც: ერთ-ერთი მათგანის დაკლება წინადადებას უსრულად აქცევს. ხშირად გამოტოვება ღდება იმის გამო, რომ წინამდებარე წინადადებაში ქვემდებარედ ან რომელიმე დამატებად შეიძლება იყოს ნახსენები ესა თუ ის დამატება:

ა) გამოტოვებულია ირიბი დამატება. შემასმენლად ორპირიანი გარდაუვალი ზმნაა: მიწა საქათმის ქვეშ ფხვიერი დაუხვდა: ი. გოგბ., IX, 43, 35 (მელამ მიაკნო საქათმესა და დაუწყო ძირს გამოთხრა. მიწა საქათმის ქვეშ ფხვიერი დაუხვდა...), შდრ. თბილისის სადგურზე გიორგი ისევ დამეწია: ნ. ლორთქ., I, 159, 10....

ბ) გამოტოვებულია ირიბი დამატება. შემასმენლად სამპირიანი გარდამავალი ზმნაა: თავადმა ძველის წესით ღრმა სალაში მისცა. ნ. ლორთქ., I, 166, 8 (მოსაუბრეთ მიუახლოვდა თავადის ახლობელი ნათესავი, დიდი მემამულე, აზნაური ფილიპე თამლაძე. თავადმა ძველის წესით ღრმა სალაში მისცა) და ასე: გლახუკამ რალაც ლაპარაკი დაუწყო: ილია, I, 278, 28; გიორგიმ ამის თქმაზედ ფეხი კიდევ წაჰკრა: ილია, I, 434, 34....

გ) გამოტოვებულია პირდაპირი დამატება. შემასმენლად გარდამავალი ზმნაა: ელისაბედმა დაბალი ხმით დაიწყო: ილია, I, 344, 40; თეოფანემ ძღოვს დაამშვიდა: მ. ჯავახ., III, 133, 28; მაგის კაცებმა წამართვეს: ნ. ლორთქ., I, 670, 17 და ა. შ.

გვხვდება ისეთი შემთხვევებიც, როცა პირმიმართი დამატება აღრეა დაკარგული: გამოტოვებული კი არ არის, გამჭრალია, ან გადაქცეულია მეორეხარისხოვან წევრად.

ასეთი დაკარგვა ან ერთი წევრიდან სხვა წევრად გარდაქმნა წინადადების სისრულეზე ვერ მოქმედებს. ასეთი წინადადება სრულია, მაგალითად: შვილმა შეჰხედა დედას: ილია, I, 442, 5; ლევანმა მასთან მყოფ ამხანაგებითურთ დაუყოვნებლივ მიაშურა დანიშნულ ადგილას: ლ. ქიაჩ., II, 67, 25; მფრინავმა მანქანამ ჰქეა-ქუხილით გადაუარა ხალხს: ლ. ქიაჩ., IV, 66, 12; მატარებელმა შუილით ჩაურბინა ბარცხანას: მ. ჯავახ., III, 43, 25....

აქ შემასმენლებად გვაქვს შეჰხედა, მიაშურა, გადაუარა, ჩაურბინა. ყველა მათგანი ამჟამად ორპირიანი ზმნაა, წარმოშობით კი — სამპირიანი. ამაზე მიუთითებს მოთხრობითი დასმული სუბიექტი (ქვემდებარე) და მიცემითი დასმული ირიბი ობიექტი.

ორპირიან გარდამავალ ზმნასთან ორი სახელია დაკავშირებუ-

ლი: სუბიექტი და პირდაპირი ობიექტი. აქ კი გვაქვს სუბიექტი და ირიბი ობიექტი, მაშასადამე, ეს ზმნები წარმოშობით სამპირიანე-ბია და პირდაპირი ობიექტის გაქრობით ორპირიანები გამხდარან.

პირდაპირი ობიექტის დაკარგვის შემდეგ დარჩა მოთხრობით ბრუნვაში დასმული სუბიექტი და მიცემითში დასმული ობიექტი, რომელიც გარდამავალი ორპირიანი ზმნა-შემასმენლისათვის არაა დამახასიათებელი.

უფრო რთულია საკითხი, როცა იკარგება ირიბი ობიექტი. ასეთ შემთხვევაში სამპირიანი გარდამავალი ზმნისა და მასთან დაკავშირებული სახელების აგებულება მთლიანად ემთხვევა ორპირიანი გარდამავალი ზმნისა და მასთან დაკავშირებული სახელების აგებულებას. ქრება ირიბი ობიექტი ისე, რომ მისი კვალის დასადგენად სათანადო ძიებაა საჭირო, მაგალითად, უძველეს ქართულში დასთესა ზმნა სამპირიანი იყო. ამ ტიპის სხვა ზმნებიც (დაჰბადა, დაჰფლა...) ირთავდნენ ირიბი ობიექტის ნიშანს და ვნებითს აწარმოებდნენ სამპირიან ზმნათა მსგავსად. შემდგომ ირიბი დამატება იქცა წინადადების მეორეხარისხოვან წევრად ან უკვალოდ გაქრა.

ანალოგიურად გამოიხატება სრული და უსრული წინადადებები სხვა ქართველურ ენებშიც.

წინადადების მთავარი წევრები

## 1. ქვემდებარე

§ 18. ქვემდებარის ფუნქციები და შედგენილობა. ქვემდებარედ იწოდება წინადადების ერთ-ერთი მთავარი წევრი, რომელიც აღნიშნავს მოქმედ საგანს ან ისეთ საგანს, რომელსაც მოქმედება თუ მდგომარეობა მიეწერება და შემასმენელთან იმყოფება რთულ სინტაქსურ ურთიერთობაში: მართავს შემასმენლის პირს და ითანხმებს რიცხვში; შემასმენლის მიერ კი, თუ ეს უკანასკნელი გარდამავალი ზმნაა, იმართვის ბრუნვაში.

ქვემდებარის გამოხატვის საშუალებათა შესახებ აზრთა სხვადასხვაობა ადრინდნვე შეინიშნებოდა. მაგალითად, რუსულსა და სხვა ინდოევროპულ ენებში ქვემდებარის ბრუნვა სააქლობითია. მაგრამ გამოუთქვამთ მოსაზრება, რომ ქვემდებარე შეიძლება იყოს სახელობით ბრუნვაში (Птица летает...), მოქმე-

დებიტში (Законом наказан преступник...), ნათესაობითში (Хлеба хватило ровно на пять дней...), მიცემითში (Мне хочется...)<sup>1</sup> და აქედან გამომდინარე იგი წინადადების მეორეხარისხოვან წევრადაც მიუჩნევათ<sup>2</sup>. და ეს მოხდა შემასმენელთან დამოკიდებულების მიხედვით. ა. დმიტრევსკამ, რომლის სახელთანაცაა დაკავშირებული ქვემდებარის მიჩნევა წინადადების მეორეხარისხოვან წევრად, შემასმენელი წინადადების მეფედ გამოაცხადა. იგი წერს: „შემასმენელი არის განუსაზღვრელი მფლობელი, წინადადების მეფე. თუ მის გარდა წინადადებაში არის სხვა წევრებიც, ისინი მას მტკიცედ ემორჩილებიან და თავიანთ აზრს მისგან იღებენ. თუ სხვა წევრი არ არის, ქვემდებარეც კი, მაინც შემასმენელი საკმარისად გამოხატავს აზრს და ქმნის მთელ წინადადებას. სხვანაირად რომ ვთქვათ, წინადადება სხვა არაფერია. თუ არ ოდენ შემასმენელი სხვა წევრებთან ერთად“<sup>3</sup>.

ამასთან დაკავშირებით მოგვაგონდება ს. გორგაძის სიტყვები: ქართულ წინადადებაში უპირატესობა შემასმენელს ეკუთვნის. იგია მთელი წინადადების უფალი და განმგებელი, დანარჩენი ნაწილები (თვით ქვემდებარეც) მისი გრძნეული კვერთხის მოძრაობას ემორჩილებიან<sup>4</sup>.

ა. პოტებნიაც აღნიშნავდა, რომ ჩვენს ენებში ქვემდებარის გამოხატვის უნარი აქვთ სახელობითსა და წოდებითს<sup>5</sup>, თუქცა მას ისიც აქვს ნათქვამი, რომ ქვემდებარე შეიძლება იყოს მხოლოდ სახელობით ბრუნვაში<sup>6</sup>.

წინადადების წევრი წარმოიქმნება წინადადებაში შეხამებულ სიტყვათაგან. ქვემდებარე იმდენადაა ქვემდებარე, რამდენადაც შემასმენელთან ერთად მონაწილეობს შესიტყვებაში და ქმნის გარკვეულ ერთეულს. ასევე შემასმენლად იქცევა ზმნა ქვემდებარე-

<sup>1</sup> В. К л а с с о в с к и й, Нерешенные вопросы в грамматике, СПб., 1870, с. 33—35, შდრ. Ф. И. Б у с л а е в, Историческая грамматика русского языка, М., 1959, с. 384—385. დაწვრილებით: В. В. В и н о г р а д о в, Из истории изучения русского синтаксиса, М., 1958, с. 284—289.

<sup>2</sup> А. А. Д м и т р е в с к и й, Еще несколько слов о второстепенности подлежащего: «Филологические записки», 1978, вып. VI, с. 15—27.

<sup>3</sup> А. А. Д м и т р е в с к и й, Практические заметки о русском синтаксисе. II. Два ли главных члена в предложении?: «Филологические записки», вып. IV, 1877, с. 23.

<sup>4</sup> ს. გორგაძე, ქართული სადასიტყვაობა: „ძველი საქართველო“, IV, თბ., 1914, გვ. 79.

<sup>5</sup> А. А. П о т е б н я, Из записок по русской грамматике, I—II, Харьков, 1888, с. 94—95.

<sup>6</sup> А. А. П о т е б н я, Мысль и язык, изд. IV, Харьков, 1926, с. 110,

დამატებასთან სინტაქსური ურთიერთობის შედეგად. ცალკე აღებული ზმნა თავისი ლექსიკური მნიშვნელობით ისევე არაა შემასმენელი, როგორც ცალკე აღებული სახელი არაა ქვემდებარე. ამიტომ იყო, რომ ა. პოტებნია მიუთითებდა: „ცნებები „ქვემდებარე“ და „შემასმენელი“ მიმართებითი ცნებებია, ე. ი. გულისხმობენ ერთმანეთს: შემასმენელში იგულისხმება მოქმედება, რომელიც მოქმედისაგან მომდინარეობს, ქვემდებარეში — განსაზღვრული, გარკვეული მოქმედი, როგორც მოქმედების მწარმოებელი“<sup>7</sup> და ამიტომაც ფიქრობდა, რომ წინადადება უაზრობაა ქვემდებარისა და შემასმენლის გარეშე<sup>8</sup>.

დიდი ინტერესი ახლდა თან წინადადების წევრისა და მეტყველების ნაწილთა მიმართებას; მათზე, არაერთგზის გაუმახვილებიან ყურადღება. გამოთქმულია საყურადღებო მოსაზრებებიც (ფ. ფ. ფორტუნატოვი, ნ. ნ. დურნოვო, მ. ნ. პეტერსონი, ლ. ვ. შჩერბა, ა. ა. შახმატოვი, ვ. ვ. ვინოგრადოვი და სხვ.).

წინადადების ესა თუ ის წევრი რომელიმე მეტყველების ნაწილით გადმოიცემა, მაგრამ მათ შორის არაა სრული თანაფარდობა: ქვემდებარედ ჩვეულებრივ არსებითი სახელია, ამავე დროს არსებითი სახელი შეიძლება იყოს აგრეთვე პირმიმართ დამატებებად, პირმიუმართავ დამატებებად, განსაზღვრებად, გარეშობებად და რთული (შედგენილი) შემასმენლის სახელად ნაწილადაც. ეს მეტნაკლებად ვრცელდება სხვა მეტყველების ნაწილებზეც.

არის სხვა მხარეც, რომელთა გათვალისწინება აუცილებელია: წინადადებაში „კარგი ცხენი ქერს მოიმატებს“ (ანდ.) კ ა რ გ ი განსაზღვრებაა, ც ხ ე ნ ი — ქვემდებარე, ქ ე რ ს — პირდაპირი დამატება, მ ო ი მ ა ტ ე ბ ს — შემასმენელი. მეტყველების ნაწილთა მიხედვით — კ ა რ გ ი ზედსართავი სახელია, ც ხ ე ნ ი — არსებითი სახელი, ქ ე რ ს — არსებითი სახელი, მ ო ი მ ა ტ ე ბ ს — ზმნა.

ლექსიკურად კი მათი მნიშვნელობა ასეთია:

კ ა რ გ ი — 1. ისეთი, როგორიც საჭიროა, საჭირო თვისების მქონე, საჭირო ღირსებისა, — სასურველი, მოსაწონი (საპირისპ. ც უ ლ ი, გ ო ნ ჯ ი, უხეირო, ა ვ ი)...; 2. სიკეთე..., 3. საკმაოდ, მნიშვნელოვნად, კარგა...; 4. კეთილი<sup>9</sup>.

<sup>7</sup> А. А. Потеня, Из записок по русской грамматике, т. III, М., 1968, с. 317.

<sup>8</sup> А. А. Потеня, Мысль и язык, с. 110.

<sup>9</sup> ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, IV, გვ. 1074.

ც ხ ე ნ ი — 1. დიდი ტანის ჩლიქგაუყოფელი ცხოველი; იყენებენ შესაჯლომად, შესაბმელად და ბარგის საზიდად...; 2. კადრ. იხ. მ ხ ე დ ა რ ი...<sup>10</sup>

მ ო ი მ ა ტ ე ბ ს — გარდამ. (საპირისპ. მ ო ი კ ლ ე ბ ს) 1. გაიზრდის, გაიდიდება, დაიმატებს...; 2. უფრო მეტი გახდება, გადიდება, გაიზრდება...; 3. აღიბდება...; 4. ხანგრძლივი გახდება<sup>11</sup>.

როგორც ვხედავთ, სიტყვის ლექსიკური მნიშვნელობა ცალკე დგას. სინტაქსისათვის წინადადება „კარგი ცხენი ქერს მოიმატებს“ იმდენადაა ღირებული, რამდენადაც მასში შემავალი სიტყვები (წინადადების წევრები) „კარგი ცხენი“, „ცხენი მოიმატებს“, „ქერს მოიმატებს“ გარკვეულ სინტაქსურ ურთიერთობაში იმყოფებიან ერთმანეთთან. ეს სინტაქსური დამოკიდებულება პირველ წყვილში ბრუნვაში შეთანხმებით, მეორე წყვილში — რიცხვში შეთანხმებითა და საურთიერთო მართვით, ხოლო მესამე წყვილში საურთიერთო მართვით გამოიხატება.

ქვემდებარე-შემასმენლისა და დამატება-შემასმენლის სინტაქსური ურთიერთობა წინადადებას წარმოქმნის. მათი არსი გაიაზრება სწორედ ამ ურთიერთობაში. სინტაქსური ურთიერთობა სახელებს ქვემდებარე-დამატებად (ან სხვა რომელიმე წევრად) აქცევს და ზმნას — შემასმენლად. უამისოდ სახელი ვერ იქნება ქვემდებარე და ზმნა — შემასმენელი.

ქვემდებარედ გვაქვს ბრუნებადი სიტყვა: არსებითი სახელი (მასდარიტურთ), ზედსართავი სახელი (მიმლეობითურთ), რიცხვითი სახელი და ნაცვალსახელი. როგორც წესი, ზედსართავი სახელი, რიცხვითი სახელი და ნაზმნარი სახელები (მასდარი, მიმლეობა) არსებითი სახელის მნიშვნელობას იძენენ.

## ა რ ს ე ბ ი თ ი ს ა ხ ე ლ ი ქ ვ ე მ დ ე ბ ა რ ე დ

ზამთრობით მ გ ე ლ ი ესტუმრება ხოლმე ხმელს წიფელს. ვაჟა, V, 87, 5; დილით ქობიდან გამოვიდა მონადირის ცოლი: ი. გოგებ., V, 460, 12; ვ ა ხ ტ ა ნ გ მ ა ხ ე ლ თ ა ი ლ ო კ ვ ა რ ტ ლ ი ა ნ ი კ ა თ ხ ა: გ. ლეონ., 186, 9<sup>12</sup>, შლრ. მ ე გ რ უ ლ ი: დაჩხირპის ეკოჯანუ.

<sup>10</sup> ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, VIII, გვ. 681.

<sup>11</sup> ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, V, გვ. 710.

<sup>12</sup> ქვემდებარედ (ან დამატებად) ერთი სახელის მნიშვნელობით გამოიყენება სახელით და გვართ წარმოდგენილი წევრიც: ლ უ ა რ ს ა ბ თ ა თ ქ ა რ ი ძ ე გახლდათ კარგად ჩასუქებული ძველი ქართველი: ილია, I, 326, 39; დ ა ვ ი თ გ ა მ ყ რ ე ლ ი ძ ე ე კ ი მ ი ყ ო ფ ი ლ ა: თ. კილ. 134. 15; თ ა რ ა შ ე მ ხ ვ ა რ მ ა ქ ა ლ ე ბ ს გადაავლო თვალი: კ. გამს. I, 216, 5.

დგ გვალაშ მაშხვა კოჩი: ყიფშ., 21,23 — ცეცხლის პირას იწვა-  
მთის ოდენა კაცი; დაქ უწუ ჭიმას: ხუბ. 13,16 — დამ უთხრა  
ძმას ... ჰანური: ჯოლორი ჰეჟ. ტუ: ულ. ჰან., 140,4 — ძალ-  
ლი იქ იყო; სიჯა მაყურანი გზათე იგზალუ: ულ. ჰან., 29,19 —  
სიძე მეორე გზით გაემგზავრა...; სვანური: ანჯად ვერბ: ბქვ.,  
139,30 — მოვიდა ორბი; ციცეღ ადბარ ნიჩვარ — კატამ დაი-  
ბანა პირი...

### ზედსართავი სახელი ქვემდებარედ

ბრმამ კოჭლი ზურგზედ შეისვა: ი. გოგებ., V,430,1; გა-  
მოჩნდა ერთი ვილაც ცხენოსანი: აკაკი, VII,132,28; მივიდა  
ამ ბრძენთან ერთი ყბელი: ი. გოგებ., IX,10,25...

### რიცხვითი სახელი ქვემდებარედ

ერთმა მეორეს უთხრა: ვაჟა, VI,47,16; ორივენი ბედ-  
ნიერად ცხოვრობენ: ვაჟა, V,258,15; პირველი წავიდა წქლის  
მოსატანად: ნ. დუმბ., 488,20; მეორემ ხელისგული ჩამოუხვა  
თვალეზზე: ნ. დუმბ., 488,10...

### მასდარი ქვემდებარედ

შის ელვარება ჰფანტავს ბნელს: აკაკი, IV,250,33; ამ  
კითხვამ გააბა ლუარსაბი მახეში: ილია, I,350,27; ბარდლუ-  
ნიას მოულოდნელმა შეკითხვამ უდიდესი გაკვირება გა-  
მოიწვია ძმებში: ლ. ქიაჩ., III,111,15...

### მიმღეობა ქვემდებარედ

ნამდვილი მკვლელები დაფაცურნენ: მ. ჯავახ., IV,193,17;  
დათვი წყლულემა შეაწუხეს: ვაჟა, VI,269,28; მხლე-  
ლებს ორბელიანთა ცხენები შეუჯახავთ: მ. ჯავახ., IV,132,8...

### ნაცვალსახელი ქვემდებარედ

მე: მე დანიშნულს ალაგას მივედი: ვაჟა, VII,40,6; მე დი-  
დის სიამოვნებით აღვასრულე დედის ბრძანება: აკაკი, IV,19,8; მე  
გამიკვირდა ეს ამბავი: ილია, I,321,25...

შენ: შენ სრულიად შენთვის უნდა ცდილობდე ყოველ-  
გვარ სიკარგზე: აკაკი, IV,47,12; შენ მე წამახალისე: ილია,

I,282,39; შენ გლობაში გამოითხოვე გუგული: ი. გოგებ., IX,30,21...

ის: ის იმ ღამესვე გავიდა კახეთით: აკაკი, IV,126,31; ის დიდი მეცნიერი კაცი იყო: აკაკი, VII,90,15; ის ღვიძლა შვილებიდან არ არჩევდა გერს: რ. გვეტ-, 332,31...

ი გ ი: ი გ ი ჩემკენ მოტრიალდა: ნ. ღუმბ., 468,25; უდიდეს დაძაბვას ძალებისას მოითხოვს ი გ ი ჩვენგან: კ. გამს., V,452,29...

მ ა ნ: მითხრა მ ა ნ რუსულად: ილია, I,251,10; ჰკითხა მ ა ნ ილარიონს: ნ. ღუმბ., 96,7...

ა მ ა ნ: ა მ ა ნ ამირია იმ დილით დამშვიდებული გონება: ილია, I,258,10...

ი მ ა ნ: ი მ ა ნ თავის ხელით ქუდი თავზედ დამხურა: ილია, I,278,32; პირველად ი მ ა ნ წამიყვანა ორბელიანთან: აკაკი, IV,73,21...

ჩ ვ ე ნ: ჩ ვ ე ნ წავალთ ამ სოფლით: ვაჟა, VI,79,29; ჩ ვ ე ნ ერთმანეთს გადავხედეთ: ვაჟა, VI,163,14...

თ ქ ვ ე ნ: თ ქ ვ ე ნ ერთი ბეწო ობლები დარჩით: ილია, I,354,17; თ ქ ვ ე ნ ეგეები რად გინდათ: შ. დად., I,134,24...

ე ს ე ნ ი / ი ს ი ნ ი: ე ს ე ნ ი აქ ცხოვრობდნენ თავისი ექვსი-ლეკვითა: ი. გოგებ., IX,40,6; ი ს ი ნ ი ც ტყეში წავიდნენ: ა. ყაზბ., I,321,5...

ვ ი ნ: ვ ი ნ დაგადგინა ჩვენს მწყემსად: გ. ლეონ., 220,8; ვ ი ნ ასწავლა ამ ბიჭს ეს კილო: გ. შატბ., II,20,10...

ვ ი ნ მ ე: ვ ი ნ მ ე მიესალმებოდა: ვაჟა, V,169,23; მას არც „მობრძანდის“ ეტყოდა ვ ი ნ მ ე: კ. გამს., I,210,27...

ვ ე რ ა ვ ი ნ (ნ უ რ ა ვ ი ნ) ა რ ა ვ ი ნ: მაგის მოწევას ვ ე რ ა ვ ი ნ დამასწრებდა: ნ. ღუმბ., 113,24; ნამდვილს მიხეზს წისქვილის დაღვომისას ვ ე რ ა ვ ი ნ მიმხვდარიყო: ვაჟა, V,123,16; ნ უ რ ა ვ ი ნ ნუ დაიჩემებს: აკაკი, IV,67,14...; ა რ ა ვ ი ნ მოვიდეს ბუნაგთან: ნ. ღუმბ., 587,30, შდრ. ა რ ა კ ა ც მ ა: არაკაცმა არ დაუძახა: ჭ. ამირ. დათა თუთ., I,50,26...

ს ხ ვ ა: ს ხ ვ ე ბ ი მოგვტაცებენ: მ. ჯავახ., IV,28,10; ამას ს ხ ვ ე ბ ი ვერ ამჩნევდნენ: შ. დად., I,34,4; ს ხ ვ ე ბ მ ა გააწყვეტინეს საუბარი: აკაკი, IV,17,20...

ზ ო გ ი: ზ ო გ ი უკვე მოსულიც იყო სათავესთან: შ. დად., I,19,22; ზ ო გ ი პაპიროსს ჰყიდის: მ. ჯავახ., II,171,12...

ყ ვ ე ლ ა: დედაჩემს ყ ვ ე ლ ა იცნობს: აკაკი, IV,228,23; ყ ვ ე ლ ა მ თავის სახლისაკენ გასწია: ილია, I,413,3...

ვ ი ღ ა ც ა - რ ა ღ ა ც ა: კუთხეში ვ ი ღ ა ც ფრუტუნებს: მ. ჯავახ., III,431,26; ვ ი ღ ა ც ა მ ზურგს უკან იქვე დამაყარა სი-

ცილი: აკაკი, IV,141,23; რ ა ლ ა ც ა მ ე ლ ვ ა ს ა ვ ი თ გ ა ფ ხ რ ი წ ა წ ა რ -  
ს უ ლ ი ს ე რ თ ი კ უ ნ ჭ უ ლ ი: მ. ჯ ა ვ ა ხ ., III,443,3...

ქართულში განუსაზღვრელი ნაცვალსახელები ვ ი ლ ა ც ა , რ ა -  
ლ ა ც ა ... ისევე გამოიყენება ქვემდებარედ და დამატებად, რო-  
გორც სხვა სახელი.

მეგრულში კი შეინიშნება თავისებურება: ნაცვალსახელები  
მ ი დ გ ე ნ ი (ვილაცა) და ასე — მ ი დ გ ა რ ე ნ ი (=ვილაც რომ  
არის), მ უ დ გ ა (რალაცა), სრული სახით მ უ დ გ ა რ ე ნ ი (=რალაც  
რომ არის) რთული შედგენილობისა<sup>13</sup>. მოიცავს მთელ წინა-  
დადებას და შედგება ნაცვალსახელი + რე//რლუ//რლას (არის, იყო,  
იყოს) მეშველი ზმნისაგან. ქვემდებარედ თუ დამატებად გამოიყე-  
ნება მთლიანი სახით. შემასმენლისაგან იმართვის სახელური ნა-  
წილი. დამხმარე ზმნა მხოლოდ ნაკეთების მიხედვით იცვლება:  
მ ი დ გ ა რ ე მ უ რ ს — ვილაც მოდის (ვილაც არის მოდის), მ ი დ -  
გ ა ქ ი დ უ ქ ო მ ო რ თ უ — ვილაცა მოვიდა (ვილაც იყო მოვი-  
და), მ ი დ გ ა ს ი რ ე ქ უ მ უ რ თ უ მ უ — ვილაც მოსულა (ვილა-  
ცას არის მოსულა)...: მიდგაქირე დოევილუ ჯოლორი — ვილაცამ  
მოკლა ძალი (//ვილაცამ არის მოკლა ძალი) და ასე: კარდილას  
მუდგარდენი იხაშულუ: ყიფშ. 21,22 — ქვაბში რალაც იხარშებო-  
და (//ქვაბში რალაც რომ იყო იხარშებოდა)...

შდრ.: კოჩქ მუდგარე გეჭოფუ — კაცმა რალაცა (//რალაც  
არის) აიღო; კოჩქ მიდგარე ქიმიცონუ — კაცმა ვილაცა (//ვილაცა  
არის) მოიყვანა.

ანალოგიურია კითხვითი ნაცვალსახელებიც: ცირა, მ უ ს რ ე  
რ ა გ ა დ ა ნ ჭ ? : ხალხ. სიტყვა, I,130,12 — გოგო, რას ამბობ (//გოგო,  
რ ა ს ა რ ი ს ლ ა პ ა რ ა კ ო ბ ?); მ უ ს რ ე გ ი ლ ა რ ა გ ა დ ა ნ ს : იქვე,  
307,23 — რას [და]ლაპარაკობს (//რას არის [და]ლაპარაკობს), შდრ.  
მ უ ს ი ტ ყ ვ ა ს რ ე მეჩიებუქ: იქვე, 125,24 — რა სიტყვას მეუბ-  
ნები, რა ს ი ტ ყ ვ ა ს ა რ ი ს მეუბნები.

ამ შემთხვევებშიც ქვემდებარეც და დამატებაც იმართვის  
ზმნა-შემასმენლის მიერ ბრუნვაში და შესაბამისად ქვემდებარე  
დაისმის სახელობითში, მოთხრობითში ან მიცემითში, დამატება ,ი  
მიცემითსა და სახელობითში.

ამ ფაქტს მნიშვნელობა აქვს რთული წინადადების ჩამოყალი-  
ბების ისტორიისათვისაც<sup>14</sup>.

<sup>13</sup> ი. ყიფშიძე აღნიშნავს, რომ ბრუნებისას ორნაირი მდგომარეობა გვაქვსო:  
ბრუნვის ფორმას ან პირველი ნაწილი ირთავს (მივიდაქრენი...), ან მთლიანად  
მიჩნეულია ერთ სიტყვად და ბრუნვის ნიშანი ბოლოს აქვსო: მ ი დ გ ა რ ე ნ ე ქ ,  
მ უ დ გ ა რ ე ნ ე ქ ... И. К и п ш и д з е. Грамматика мингрельского (инвер-  
ского) языка с хрестоматией и словарем, СПб., 1914, с. 050.

<sup>14</sup> კ. დონდუა, რჩეული ნაშრომები, I, თბ., 1967, გვ. 76.



არსებითი სახელის გაგება აქვთ წინადადებაში ქვემდებარედ წარმოდგენილ შორისდებულსაც, თანდებულსაც, ზმნასაც, ზმნისართსაც, კავშირსაც და ასო-ბგერასაც კი<sup>15</sup>. ამავე დროს ყოველი მათგანი დაკლილია ძირითადი მნიშვნელობისაგან და არც ისე იშვიათად გვხვდება სამეცნიერო ლიტერატურაში.

აი, რამდენიმე ნიმუში: შენმა ახ-მა და უხ-მა ... აჯობა: ილია, II,361,12 და ასე: შენი ხვალ აღარ გათავდა: ნ. დუმბ., 389,25; წინდაწინ დროს აღნიშნავს: ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, გვ. 598; თვის აღნიშნავს დანიშნულებას: იქვე, 601; თან ახალ ქართულში მიცემითს დაერთვის: ა. ჩიქობავა, ქართული ენის ზოგადი დახასიათება, 043; მაერთებელ კავშირთაგან ყველაზე გავრცელებულია და: ა. შანიძე, ქართული ენის გრ. საფ. 605; ნ ვნებითის ნიშანია: ა. შანიძე, ძველი ქართული ენის გრამატიკა, 1976, გვ. 77; ვ ფუძისეული ბგერაა: იქვე, 18; გ უპირისპირდება ლ'ს ხშულობით: გ. ახვლედიანი, ზოგადი ფონეტიკის საფუძვლები, 1949, გვ. 7; ი-მ გავლენა მოახდინა მომდევნო ო-ზე: გ. ახვლედიანი, ზოგადი ფონეტიკის შესავალი, 1966, გვ. 97... „მთხოვა და მივეციმ“ მხიარული სიცილი გამოიწვია: მ. ჭავჭავ., IV,310,27; ჩემი „მაგზვდა“ თანდათან ხშირდება: მ. ჭავჭავ., II,522,;7...

§ 19. ქვემდებარის ბრუნვები. სალიტერატურო ქართულში ქვემდებარე დაისმის სამ ბრუნვაში: სახელობრითში, მოთხრობითსა და მიცემითში. ეს გამოწვეულია იმ რთული სინტაქსური ურთიერთობით, რომელიც არსებობს ქვემდებარე-შემასმენელსა და დამატება-შემასმენელს შორის. სინტაქსურ ურთიერთობას ასეთ შემთხვევაში ქმნის მართვა და შეთანხმება.

სახელობრითშია ქვემდებარე, თუ შემასმენლად გარდაუვალი ზმნაა, ან გარდამავალია და პირველ სერიაშია. მოთხრობრითშია ქვემდებარე, თუ შემასმენლად გარდამავალი ზმნაა მეორე სერიაში. მიცემითშია ქვემდებარე ინვერსიულ ზმნებთან: როცა გარდამავალი ზმნა-შემასმენელი მესამე სერიაშია, ან უყვარს — სძულს ტიპის გარდაუვალი სტატიკური ზმნებია.

დაახლოებით ასეთი ვითარებაა სვანურშიც, მაგრამ განსხვავებულია ზანური<sup>16</sup>.

<sup>15</sup> ლ. კ ვ ა კ ა ძ ე, თანამედროვე ქართული ენის სინტაქსი, გვ. 61.

<sup>16</sup> დაწვრილებით ამის შესახებ საუბარია არნ. ჩიქობავას გამოკვლევებში: მარტივი წინადადების პრობლემა ქართულში, I, გვ. 128—143; მისივე. ჰანურის გრამატიკული ანალიზი, გვ. 179—184; Об одном принципе классного спряжения в древнегрузинском глаголе: «Вопросы языкознания», № 2, 1977, с. 100—102; К вопросу о синтаксисе и некоторых особенностях предикативной синтагмы в иберийско-кавказских языках: «Вопросы синтаксического строя иберийско-кавказских языков», Нальчик, 1977, с. 5—14 და სხვა.

§ 20. ქვემდებარე გარდაუვალ ზმნა-შემასმენელთან. გარდაუვალი ზმნა-შემასმენლის ქვემდებარე სახელობით ბრუნვაში დაისმის. იგი მთავარი სიტყვაა შესიტყვებაში: მართავს შემასმენლის პირს და ითანხმებს ან ვერ ითანხმებს რიცხვში, შდრ. ბავშვი წვება, ბავშვი დაწვა, ბავშვი დაწოლილა...; თავი ემალება კატას — თავები ემალებიან კატას, მაგრამ: ხე დგას, ხეები დგას. და ასე: რ უ ს უ დ ა ნ ი შინისაკენ მიდის: მ. ჭავჭავ., III, 437, 10; ძია შ ა ქ რ ო მაგიდასთან დგას: ე. ყიფ., I, 447, 9; ხ მ ა გავარდა: მ. ჭავჭავ., IV, 13, 37; კ ლ დ ე ე ბ ი აშვერილიყო: ა. ყაზბ., I, 25, 22.

სვანურშიც ერთპირიანი ზმნა-შემასმენელი ქვემდებარეს მოითხოვს სახელობით ბრუნვაში: ფ ი რ ვ ანღრი — ძროხა მოდის; ცხეკისგა ჩუ სგურდა ხოშა დ ჳ ვ: ბზ., 262, 4 — ტყეში იჭდა დიდი დევი; ბ ე ფ შ ვ ანვად — ბავშვი მოვიდა; ქ ა ჩ ა დ ზ უ ო ა ლ ლ ა მ დ ა ბ თ ე: ბზ., 65, 4 — წავიდა ქალი სამუშაოდ; პ ა პ უ ნ ა მ წ ა მ მ უ ხ ვ ბ ე ჩ ვ ა მ ე ს ე დ ა მ ე ჩ უ: ლენტ., 90, 27 — პაპუნას ღვიძლი: ჩ ა დ ა რ ჩ ე ნ ი ლ ა ა ქ ...

ზანურის მეგრულ დიალექტში დრო-კილოთა პირველი სერიის ნაკვთები ქვემდებარეს მოითხოვენ მხოლოდ სახელობით ბრუნვაში, მეორე სერიისა — მხოლოდ მოთხრობითში, მესამე სერიისა — სახელობითსა და მიცემითში იმის მიხედვით, თუ როგორაა ნაწარმოები ზმნა: ორგანული წარმოებისას გარდამავალი ზმნა-შემასმენლის დარად ერთპირიანი ზმნა-შემასმენელი ქვემდებარეს მიცემით ბრუნვაში შეიწყობს, აღწერითი წარმოება ერგეს დართვით ხდება (ერე//ეე//ე) და მასთან ქვემდებარე სახელობით ბრუნვაში დაისმის. დრო-კილოთა მეოთხე სერიის ზმნა-შემასმენლებთან (ნო—ე'თი ნაწარმოები ნაკვთები) ქვემდებარე სახელობით ბრუნვაშია.

მაგალითები:

1. პირველი სერიის ფორმებთან ქვემდებარე სახელობით ბრუნვაშია: ჩ ი ტ ი მეფურინუნს წოხოლე: ხუბ., 211, 27 — ჩიტ მიფრინავს წინ; შ ო შ ი ა გილახე ჭას—შოშია ზის ხეზე; ქ ყ ო რ ი გოფურინუნს — მწყერი გაფრინდება; ქ ო თ ო მ ი კარკალანდუ — ქათამი კაკანებდა...

2. მეორე სერიის ნაკვთებთან ქვემდებარე ყოველთვის მოთხრობითშია<sup>17</sup>: ქ ო მ ო რ თ უ მაეირა დღას ბ ო შ ი ქ: ხუბ., 11, 10 — მო-

<sup>17</sup> И. К и п ш и д з е, Грамматика мингрельского (инверского) языка, с. 0133; არხ. ჩ ი ქ ო ბ ა ე ა. ქანურის გრამატიკული ანალიზი, გვ. 104; А. К и з и р и а, Записки по языку народов СССР. IV, М., 1967, с. 73; W. B o e d e r, Überlegungen zur historisch-vergleichenden Syntax: აღმოსავლური ფილოლოგია, IV, თბ., 1976, გვ. 139.

ვიდა მეორე დღეს ბიჭი; ბ ა ლ ა ნ ა ქ მალას მირღვ: ხუბ., 59,1 — ბავშვი მალე გაიზარდა...

3. მესამე სერიის ერთპირიანი ზმნების წარმოება მეგრულს ცალკე გამოყოფს. ე რ ე თ ი ნაწარმოები ზმნა-შემასმენელი ქვემდებარეს სახელობითში მოითხოვს: ე უ დ ე ლოქვერე — სახლი დამწვარა: ე უ დ ე ლოქვერედუ — სახლი დამწვარიყო; ე უ დ ე ლოქვერედას — სახლი დამწვარიყოს...; ჰ ა ე რ ი გოტიბერე — ჰაერი გამთბარა; ხ ო რ ც ი წართუმე — ხორცი წამხდარა; ქ ო თ ო მ ი მორდელე — ქათამი გაზრდილა...

და ასე: ართ ქიჯანას ართი ხ ე ნ წ ი ფ ე ქოჯოფე: ყიფშ., 43,4 — ერთ ქვეყანაში ერთი ხელმწიფე ყოფილა; ათეშ ოსურსქუალეფი ეოფენა თი სუმი ძ ლ ა ბ ე ფ ი: ხუბ., 6,1 — ამისი ქალიშვილები ყოფილა ის სამი გოგო...

ორგანული წარმოების თავისებურებას ქმნის ქვემდებარის დასმა მიცემით ბრუნვაში ისე, როგორც ეს გვაქვს ინვერსიულ ზმნა-შემასმენელთან. ასეთებია: ბ ა ლ ა ნ ა ს ქუმურთუმუ — ბავშვი მოსულა; ბ ა ლ ა ნ ა ს გეუდგინუ — ბავშვი ამდგარა; ბ ა ლ ა ნ ა ს ქედუხუნუ — ბავშვი დამჯდარა; ბ ა ლ ა ნ ა ს მინულებუ ოთახიშა — ბავშვი შესულა ოთახში...; კ ო ლ ო ნ ა ს მინულებუ მარანიშა: ყიფშ., 127,9 — კოლო შესულა მარანში; ბ ო შ ი ს ეშულებუ ბაწარით: ხუბ., 6,10 — ბიჭი ასულა თოკით; ე კ ო ც გ წირუაშა მიდურთემგ: ყიფშ., 12,20 — ეს კაცი წირვაზე წასულა...

ამ ფაქტისათვის ადრეც მიუქცევიათ ყურადღება<sup>18</sup>. მეგრული-სებურია ჭანურის ასეთი ნიმუშებიც: ნაკო წანა რენ ვარ ემიხთიმუნ: დჟუმ., 101,23 — რამდენი წელია არ ავსულვარ...; ამსერ ოზორიშა ვარ მალასენ: დჟუმ., 27,11 — ამაღამ შინ ვერ წავალ<sup>19</sup>.

მიცემითის კონსტრუქცია ერთპირიან ზმნასთან დამოწმებულა ქართულშიც პოტენციალისის გადმონაშთში: [მას] არ დაედგომება, [მას] არ წაესვლება<sup>20</sup>.

შეოთხე სერიის ნაკეთები ქვემდებარეს სახელობითში წარმოგვიდგენენ<sup>21</sup>: ნოცხოვრებუე ართი ტ ყ ა შ კ ო ჩ ი: ყიფშ., 82,5 —

<sup>18</sup> ო. უ რ ი დ ი ა, მეგრულის სინტაქსური თავისებურებანი ქართულთან მიმართებით: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, ტ. 93, 1960, გვ. 170; გ. კ ა რ ტ ო ზ ი ა, მასალები ლაზური ზეპირსიტყვიერებისათვის: ქართული ლიტერატურის საკითხები, თბ., 1968, გვ. 143.

<sup>19</sup> იქვე.

<sup>20</sup> იქვე.

<sup>21</sup> გ. რ ო გ ა ვ ა, დრო-ჰილოთა მეოთხე ჯგუფის ნაკეთები ქართველურ ენებში, გვ. 17—32.

ცხოვრობდა თურმე ერთი ტყისკაცი... და ასე: ნოცხოვრებზედუ  
კოჩი; ნოცხოვრებზედას კოჩი, ნაცხოვრებზედუკო კოჩი...

სპეციფიკურია ჭანურიც. ჭანურში ერთპირიანი ზმნის შემ-  
ცველი შესიტყვება მარტივ სინტაქსურ ურთიერთობას ემყარება:  
რეალური სუბიექტი დაისმის სახელობით ბრუნვაში<sup>22</sup>: კუღანი  
ხულუნ: ხოფ., 154,10 — გოგო მოდის; ბოზო ქოჯანს: ჭან.,  
II,35,29 — გოგო წევს; იხი ბართუ: ჭან., I,46,30 — ქარი უბე-  
რავდა... ყვაოჯი ქაგეფუთხუ ჯაშენ: ჭან., I,102,6 — ყვავი ჩა-  
მოფრინდა ხიდან; ჯაზეფე იმტეენან: ხოფ., 141,15 — ჯაზები  
გაქცეულან და ა. შ.

მაგრამ ჭანურშივე ერთპირიანი გარდაუვალი ზმნა უნარს  
იჩენს, ნამყო ძირითადადში ქვემდებარე მოთხრობით ბრუნვაშიც შე-  
იწყოს<sup>23</sup>. გაჩნდა პარალელური წარმოება: ერთმანეთის გვერდით  
გვხვდება სახელობითი და მოთხრობითი.

მაგალითად:

ქვემდებარე  
სახელობითშია

ოხოოჯა დალიშა მენდახთუ:  
ხოფ., 198,1 — ქალი ტყეში წა-  
ვიდა; მთუგი მენდახთუ მჭკო-  
ნიშე: ჭან., II,43,1 — თავვი წა-  
ვიდა მუხისკენ: მუნტუი მეხ-  
თუ დიმჭკუშა: ჭან., I,75,2 — მატ-  
ლი მივიდა ქიანჭველასთან: ლო-  
მან ჯუმა ჩქიმი მოხთეეტუ:  
ჭან., I,121,12 — გუშან ჩეძი ძმა  
მოსულიყო.

ხოჯაში ოხოოჯა გალე ქაგა-  
მახთუ: ჭან., I,4,33 — ხოჯას ცო-  
ლი გარეთ გამოვიდა: ავჯი ნუს-  
ტაფა ჰაგამახთუ: კარტ. მას.,  
152,7 — მონადირე მუსტაფა გა-  
მოვიდა... ხოჯა თხომბუშა ქეხ-  
თუ: კარტ. ჭან. ტ., 222,12 — ხო-  
ჯა თხმელაზე ავიდა...

ქვემდებარე  
მოთხრობითშია

მენდახთუ დალიშა ბადიქ:  
ხოფ., 197,16 — წავიდა ლელე-  
ზე ბერიკაცი... მთუთიქ ვა-  
მოხთას: ხოფ., 198,29 — დათ-  
ვი არ მოვიდეს: ხჩინიქ ქო-  
მეხთეენ დაჩხიიშ ძანიშა: ხოფ.,  
155,24 — დედაბერი მისულა  
ცეცხლთან...

მთუთიქ ქაგამახთუ გალე:  
ხოფ., 198,15 — დათვი გამო-  
ვიდა გარეთ;  
ჭინკაშ ნანაქ ქაგეხთუ უინ:  
ხოფ., 43,4 — ჭინკას დედა ამო-  
ვიდა ზევით; ბერეფექ ბა-  
ბა მუთეფეში ოდაშა ამახთეს:  
ჭან., I,51,10 — ბავშვები მამის

<sup>22</sup> არნ. ჩიქობავა, ჭანურის გრამატიკული ანალიზი, გვ. 180.

<sup>23</sup> Г. А. Климов, Аномалии эргативности в лаэском (чанском) языке: აღმოსავლური ფილოლოგია, IV, 1976, გვ. 152—153.

მსკიბუშა იგზალუ ხ ჩ ი ნ ი: ხოფ., 43,2 — წისქვილში წავიდა დედაბერი; ბ ე ე ფ ე ონჩუშა იგზალეს: ჭან., 1,8,20 — ბავშვები საცურაოდ წავიდნენ...

მ ო ნ ჰ ვ ა გეხენ მარქვალის: ჭან., 1,164,9 — კრუხი ზის კვერცხზე;

ყ ვ ა ო ჯ ი ჯაში ყას ქოგელახედლუ: ჭან., 1,102,5 — ყვაეი ხის ტოტზე ჩამოჯდა...

მოთხრობითის კონსტრუქცია სტატიკური ზმნების ერთ ჯგუფთან:

მაგალითად:

ს ა ხ ე ლ ო ბ ი თ ი

მ ა მ უ ლ ი კიამს: ჭან., II, 2,1 — მამალი ყივის;

წ ი წ ი ლ ი წიამს: ჭან., II, 2,2 — წიწილი წივის;

მ ო ნ ჰ ვ ა კროხამს: ჭან., II, 2,2 — კრუხი კრუხუნებს;

ბ ი ჰ ე ფ ე-თი ისთეხახ. ხოფ., 129,3 — ბიჰებიც თამაშობენ.

ოთახში შევიდნენ; არ კ ო ჩ ი ქ მთუგიში ფათიშაიშა იგზალუ: კარტ. ლაზ., 152,29 — ერთი კაცი თავის მეფესთან წავიდა.

ბ ა დ ი ქ ლოჯის გელახენ: ხოფ. 65,16 — ბერიკაცი დერეფანში ზის; ო ხ ო რ ჯ ა ქ ლხედლუ: ხოფ., 198,30 — ქალი დაჯდა...

გვაქვს სახელობითის გვერდით

მ ო თ ხ რ ო ბ ი თ ი

მ ა მ უ ლ ი ქ ყიაფს: ჭან., I, 164,29;

ჭ უ ჰ ჯ უ ლ ი ქ წიაფს: ჭან., I, 166,6;

მ ო ნ ჰ ვ ა ქ კობამს: ჭან., II, 76,19;

მ ა ე უ ა ნ ი ქ ისთერს: ხოფ., 130,7 — მეორე თამაშობს...

და ასე: ოხოსი ყუაფს ე კ ო ჩ ი ქ: ხოფ., 29,6 — სახლში ყვირის ეს კაცი; ჯ უ მ ა ქ ზოპონს: ხოფ., 88,3 — ძმა ლაპარაკობს: ბ ო ზ ო მ ო თ ა ქ იბგას: ჭან., II,92.1 — ქალიშვილი ტირის...

ცხადია, მოთხრობითი ამ შემთხვევაში მეორეულია. ჭანურის სინტაქსური თავისებურების განვითარება ისე წარიმართა, რომ სახელობითმა დაუთმო მოთხრობითს სტატიკური ზმნების გარკვეულ წყებასთანაც.

ორპირიანი გარდაუვალი ზმნა-შემასმენელი ქვემდებარეს სახელობით ბრუნვაში შეიწყობს ისევე, როგორც ერთპირიანი, მაგრამ მისგან განსხვავებით ირთავს ირიბ დამატებას. ეს უკანასკნელი მხოლოდ მიცემით ბრუნვაში დაისმის: ზამთრის მზეს ღ რ უ ბ ე ლ ი ეფარება: ე. ყიფ., I,85,22; კ ა მ ა რ ე ლ ი გამოემშვიდობა ბაკურს: ალ. აბაშ., II,234,29; ჩემს თვალებს ძ ი ლ ი არ მიჰკარებია: ილია, I,304,32...

ქვემდებარე ისეთსავე დამოკიდებულებაშია შემასმენელთან, როგორც ერთპირიან ზმნა-შემასმენელთან გვექონდა: სახელობით ბრუნვაში შეეწყობა შემასმენელს და არაა ბრუნვაში მართული, მაგრამ მართავს შემასმენლის პირს. აქაც გვაქვს ცალმხრივი მართვა.

მეგრულში ქვემდებარე გარდაუვალ ორპირიან ზმნა-შემასმენელთან გვაქვს სახელობითში (I, III და IV სერიების დრო-კილოებთან), მოთხრობითში (II სერიის დრო-კილოებთან) და მიცემითში (ინვერსიულ ზმნებთან და პოტენციალისის ფორმებთან). ირიბი დამატება ყოველთვის მიცემითშია.

მაგალითად:

ჭ უ კ ი აფულუ კატუს — თავი ემალება კატას; ჭ უ კ ი აფულულუ კატუს — თავი ემალებოდა კატას; ჭ უ კ ი აფულულდას კატუს — თავი ემალებოდეს კატას; ჭ უ კ ი დუაფულუ კატუს — თავი დაემალება კატას; ჭ უ კ ი დუაფულულუ კატუს — თავი დაემალებოდა კატას; ჭ უ კ ი დუაფულულდას კატუს — თავი დაემალებოდეს კატას...

და ასე: ჭ უ კ ი დოფულუ კატუს — თავი დამალვია კატას; ჭ უ კ ი დოფულულუ კატუს — თავი დამალვოდა კატას; ჭ უ კ ი დოფულულდას კატუს — თავი დამალვოდეს კატას; ჭ უ კ ი დოფულულდუკონ კატუს — თავი რომ დამალვოდა კატას...

ჭ უ კ ი ნოფულუე კატუს — თავი ემალებოდა თურმე კატას; ჭ უ კ ი ნოფულუედუ კატუს; ჭ უ კ ი ნოფულუედას კატუს; ჭ უ კ ი ნოფულუედუკო კატუს...

ჭ უ კ ი ს დოფულე კატუსა — თავის შეუძლია კატას დაემალოს; გა ტ ყ უ რ ი ა ს დიდიქ ეწყინე: ხუბ., 192,32 — მატყუარას ძალიან ეწყინა...

ჭანურში ორპირიან გარდაუვალ ზმნა-შემასმენელთან ქვემდებარე ჩვეულებრივ სახელობით ბრუნვაშია, თუ ზმნა ინვერსიული არ არის: მონჭვა გათხოზუ ყვაოჯის: ჭან., I,102,7 — ერუხი გამოუდგა ყვავს; ხოჯა ეკაჭიშუ ჰემუს: ჭან., II,32,37 — ხოჯა დაეწია მას...

მაგრამ იშვიათად გვხვდება მოთხრობითშიც მეგრულის მსგავსად: ხ ჩ ი ნ ი ქ ოხვეწუ კულანის: ხოფ., 87,10 — დედაბერი ეხვეწა გოგოს.

სევანურში ქართულისებური ვითარებაა<sup>24</sup>: ერჩ'ში ლიცს დწე ხაფსენა: ბზ., 246,36 — ექაურ წყალს დევი ეპატრონება; კგლთხი

<sup>24</sup> В. Т. Топуриа, Сванский язык: Языки народов СССР. IV, с. 91.

ზაჯვარს ვერთქოხვეზივ: ბქე., 263,23 — მაღალ გორას ორთქლი ასდიოდა; ეშხუ მუშეჲან ლახმუშგერჲნა ლელტხას მეზგა: ბზ.. 57,8 — ერთი სვანი სტუმრებია ლენტეხში ოჯახს...

§ 21. ქვემდებარე გარდამავალ ზმნა-შემასმენელთან. გარდამავალი ზმნა-შემასმენლის ქვემდებარე ბრუნვაცვალებადია: ქართულში დაისმის სახელობითში (როცა ზმნა-შემასმენელი I სერიაშია), მოთხრობითსა (როცა ზმნა-შემასმენელი II სერიაშია) და მიცემითში (როცა ზმნა-შემასმენელი III სერიაშია). ბრუნვაცვალებადია პირდაპირი დამატებაც: 'ქესაბაძისად დაისმის მიცემითსა (I სერიის ფორმებთან) და სახელობითში (II და III ს. ფორმებთან); ქვემდებარე-დამატების ბრუნვაცვალებადობა გამოწვეულია შემასმენლით: შემასმენელი მართავს ქვემდებარისა და დამატებათა ბრუნვას, თავის მხრივ ქვემდებარეცა და დამატებაც მართავენ შემასმენლის პირს.

ამის მიხედვით:

1. ქვემდებარე სახელობით ბრუნვაშია, შესაბამისად დამატებები — მიცემით ბრუნვაში: ცეცხლი აცხელებს ქოთნის მახლობელს გვერდსა: ი. გოგებ., V,537,14; ქამარელი ათანაირად ასაბუთებს საკუთარი გრძნობის უსუსურობას: აღ. აბაშ., II,231,19...

2. ქვემდებარე მოთხრობით ბრუნვაშია, პირდაპირი დამატება — სახელობითში, ირიბი — მიცემითში: ეფემიამ განჯინა მარდად გაალო: ვაჟი, VI,188,5; პეტრემ წაავლო სარზედ გამობმულ წნელს ხელი: ილია, I,458,1; მელანომ გაბუტული თვალები მიპყრო ქმარს: ე. ყიფ., I,291,8; გამელელთ გზა მისცა წითელმა შუქმა: ე. ყიფ., I,114,5...

მოთხრობითის კონსტრუქცია გვაქვს II სერიის ისეთ ზმნა-შემასმენლებთანაც, რომელთაც პირდაპირი დამატება დაჰკარგვიათ, რის გამოც სამპირიანი ქეულა ორპირიანად, ორპირიანი — ერთპირიანად. ასეთი ზმნებია: შეხედა, მიაგნო, ჩაუარა, შემოიუარა, მოუსწრო, გაუღიმა... ჩაიხედა, შეირბინა, გაიშრიალა, იგალობა<sup>25</sup> და სხვა.

მაგალითად: შვილმა შეჰხედა დედას: ილია, I,442,5; ერთმა მონადირემ მთაში არწივის ბუდეს მიაგნო: ი. გოგებ., V,460,2; წყევლამ დარეჯანს მშვიდობიანად ჩაუარა: ილია,

<sup>25</sup> არწ. ჩეკობაძე, ქართული ენის ზოგადი დახასიათება: განმ. ლექსიკონი I. 073; Г. А. Климов, Очерк общей теории эргативности, М., 1973, с. 236—237.

I,351,28; მარაბ დელმა სამჯერ შემოუარა წრეს: მ. ჯავახ., IV,22,16; ამ სიტყვებმა მერაბს პატარა ოთახში მოუსწრო: ე. ყიფ., I,89,17...; ქალმა ჩაიხედა სარკეში: ი. გოგებ., V,459,14; ხალხმა მორიდებით გაიღიმა: ნ. ღუმბ., 55,2; ზაქრომ თავმჯდომარესთან შეიბრინა: მ. შატბ., II,349,34; ხმელმა ფოთოლმა ფიცრულზე გაიშრილა: ს. კლდ., 230,12; შაშვმა იგალობა: ვაჟა, VII,77,1; ბევრმა წყალმა ჩაიარა: ილია, I,418.22...

იარა, ირბინა, იცურა, ისკუპა, იცხოვრა, იმეფა, იტირა, იცინა, იცოცა..., დაიძინა, შეხედა ტიპის ზმნებისათვის, რომელთაც ქვემდებარე მოთხრობითში ეწყობათ, „აქტიური გარდაუვალი“ უწოდებია გ. ჰეპს (G. Höpp)<sup>26</sup>.

პირდაპირი დამატების კვალი ამ ტიპის ზმნებთან აშკარად იგრძნობა პირის მომატების შემთხვევაში: შეეწყობა მოთხრობითში დასმული ქვემდებარე და ირიბი დამატება, მაგ.: უცხოდ გამოწყობილმა ახმახმა კაცმა ჩამოიარა: დ. შენგ., II,337,12, შდრ. კაცმა ჩამოუარა მას... და ასე: შაშვმა იგალობა — შაშვმა უგალობა მას...

3. ქვემდებარე მიცემით ბრუნვაშია, პირდაპირი დამატება — სახელობითში: უკუღმა შეუკაზმავს ბედაური ქაბუკს: გ. შატბ., II,170,26; თოვლს ქუჩები გადაეთეთრებინა: თ. ჭილ., 26,12; ნიადვრებს წაეშალათ ურმის ბორბლების კვალი: ე. ყიფ., I,151,23...

მიცემითშივე დაისმის ქვემდებარე ნეტავ ნაწილაკიან შემასვენელთან<sup>27</sup>, თუ ეს უკანასკნელი შუალობითი გზის (შუალობითი კონტაქტის) ფორმითაა გამოხატული: თოფის გრიალმა ისაკას სიტყვა შეაწყვეტინა: შ. არაგვ., I,123,8; მაიას მამის სიკვდილმა ამომახსნევინა იმ სიაძაყის საიდუმლო: ე. ყიფ., I,182,8, მაგრამ: ნეტავი შემაწყვეტინა მე იგი...; ნეტავი ამომახსნევინა მე იგი, შდრ. ნეტავი შეგაწყვეტინა შენ იგი; ნეტავი ამოგახსნევინა შენ იგი... და ასე: ნეტავი შეაწყვეტინა მას იგი; ნეტავი ამოახსნევინა მას იგი...

მიცემითში დასმული სახელის გააქტიურებას ნაწილობრივ იმანაც შეუწყობ ხელი, რომ შუალობითი გზის ფორმა „ორ მოქმედ პირს გულისხმობს: ერთს ხელმძღვანელს (ანუ ორგანიზატორს), მეო-

<sup>26</sup> ვაჟა-ფშაველას გ. კლიმოვის ცნობის მიხედვით. Г. А. Климов. Очерк общей теории аргументности, с. 236—237.


<sup>27</sup> ბ. ჯორბენაძე ზმნის გვარის ფორმათა წარმოებისა და ფუნქციის საკითხები ქართულში, თბ., 1975, გვ. 58.



რეს — შემსრულებელს (ანუ ეგზეკუტორს)...<sup>28</sup> ეს შემსრულებელი ირიბი ობიექტია სამპირიანი ზმნისათვის. ნ ე ტ ა ვ ი ნაწილაკის დართვისას სუბიექტი გაუჩინარდა, რადგანაც ამ ნაწილაკშია ჩაქსოვილი: ნ ე ტ ა ვ ი — ნ ე ტ ა რ ვ ი ნ<sup>29</sup>, ზოლო სუბიექტად იქცა მიცემითში დასმული სახელი, ირიბი დამატება უამნაწილაკოდ.

სხვა შემთხვევაში ნ ე ტ ა ვ -ის დართვით ორპირიანი ზმნა შეიძლება ერთპირიანად იქცეს: ნ ე ტ ა ვ ი მ ა ც ო ც ხ ლ ა მე; ნ ე ტ ა ვ ი წ ა მ ი ყ ვ ა ნ ა მე და ა. შ. აქ კი პირდაპირი დამატებიდან მომდინარეობს ქვემდებარე<sup>30</sup>.

ნ ე ტ ა ვ ი ქართულიდან შესულია მეგრულში და ამჟამად გვაქვს ნ ე ტ ე — ნ ი ტ ე — ნ ო ტ ე 'ს სახით. ალბათ: ნ ე ტ ა რ ვ ი ნ — ნ ე ტ ა ვ ი — ნ ე ტ ა ი (//ნატიი—ნატე)



ამგვარი დაბოლოების კანონზომიერებაზე მიუთითებს კ ა რ ე (←ქართ. კ ა რ ა ვ ი), ა მ ბ ე (←ქართ. ა მ ბ ა ვ ი), კ ი ლ ე (←ქართ. მ კ ლ ა ვ ი)<sup>31</sup>. აქაც ქართულისებური მდგომარეობაა: ნ ე ტ ე გ ო მ ო კ ე თ ე ბ ა ფ უ ნ ი — ნ ე ტ ა ვ რომ გამაქეთებინა (სამპირიანი ზმნა ორპირიანად იქცა, ქვემდებარედ მიცემითში დასმული სახელია).

4. ქვემდებარე გაუფორმებელია, გამოხატულია უცვლელი ნაცვალსახელებით: ვკითხე მე ჩემს თავს: ილია, I, 293, 24; შე შენ მიყვარხარ: ალ. აბაშ., II, 344, 18; შენ მე წამახალისე: ილია, I, 282, 39; შენ მე ყოველთვის მომცემ წყნარ სადგურს: ა. კალანდ., 45, 1...

მეგრულსა და ჭანურში ქვემდებარის ბრუნვები განსხვავებულია მაშინაც, როდესაც შემასმენლად გარდამავალი ზმნაა. მეგრულში ქვემდებარე პირველი და მეოთხე სერიების ზმნა-შემასმენლებთან დაისმის სახელობით ბრუნვაში, მეორესთან — მოთხრობითში, მესამესთან — მიცემითში. შესაბამისად ეწყობა პირდაპირი დამატე-

<sup>28</sup> ა. შ ა ნ ი ძ ე. ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, გვ. 359.

<sup>29</sup> იქვე, გვ. 615.

<sup>30</sup> ბ. ჭ ო რ ბ ე ნ ა ძ ე, ზმნის გვარის ფორმათა წარმოებისა და ფუნქციის საკითხები ქართულში, გვ. 59.

<sup>31</sup> ეს მოვლენა სამეცნიერო ლიტერატურაში ცნობილია: ვ. თ ო ფ უ რ ი ა, გრამატიკულ მოვლენათა ერთგვაროვანი პროცესი ქართველურ ენებში: „იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება“, VI, გვ. 448—451; ო. კ ა ხ ა ძ ე, ა-ზე დაბოლოებული ზოგიერთი სახელის ბრუნვისათვის ქვემოიშვრულში: „იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება“ V, გვ. 189; პ. გ ა ჩ ე ზ ი ა ძ ე, იმერული დიალექტის ხანურ-ზეგნური მენტყველება: „იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება“, VII, გვ. 125.

ბაც (სახელობითთან — მიცემითი, მოთხრობითთან — სახელობითი, მიცემითთან — სახელობითი)<sup>32</sup>.

ამის მიხედვით გვაქვს: ბოშო თხილანს ჩხოველენს: ხუბ.. 170,10—ჯაი წყემსავს ძროხებს: კოჩი აშენენს ოქოთომეს — კაცი აშენებს საქათმეს და ასე: კოჩი აშენენდუ ოქოთომეს — კაცი აშენებდა საქათმეს; კოჩი ააშენენს ოქოთომეს — კაცი ააშენებს საქათმეს...; გაანჯუ კარი მოჩქუმალერი კოჩი: ყიფშ., 99,10 — გაალო კარი გამოგზავნილმა კაცმა; გათუ ჭუკიქ ტახუა ხუბ., 48,6 — გაათავა თავგმა ტეხა... და ასე:

კოს/ც უშენებუ ოქოთომე — კაცს უშენებია საქათმე, შდრ.: კოს/ც უშენებულუ ოქოთომე; კოს/ც უშენებულუკო ოქოთომე... ტყურათ ნობლორობუე მაოსურია: ხუბ., 52,14 — ტყუილად მატყუებდა თურმე მე ცოლიო; კოჩი ნოხაჩქუე დიხას — კაცი თოხნიდა თურმე მიწას...

ქვემდებარის ბრუნვა გარდამავალ ზმნა-შემასმენელთან მეგრულში ქართულისებურია.

ქანურში ქვემდებარისა და დამატების ბრუნვები გამარტივებულია: გარდამავალი ზმნა-შემასმენლის ქვემდებარე მოთხრობითში დაისმის, დამატება — სახელობითში დრო-კილოთა ყველა სერიაში. ასეთი წყობა სპეციალურ ლიტერატურაში მეორეულადაა მიჩნეული<sup>33</sup>.

მაგალითები: ხურმა იმხორს ჯოლოიქ: ხოფ., 85,14 — ხურმას ჭამს ძალი; ქურიქ წიპილი ჭოფუმს: ჭან., II,75,11; ოხორჯაქ ფუჯიში გეაი იქიპტუ: ხოფ., 198,7 — ქალი ძროხის საკმელს აკეთებდა; ხინიქ მსქიბუშ ხაოს დოლობდატუ მქიი: ხოფ., 43,6 — დედაბერი წისკვილის ხაოში ყრიდა ფქვილს...; ბეექ კვინჩი ნაშქუ: ჭან., I,78,26 — ბიჭმა ჩიტი გაუშვა; ნამუშიქ დობახენ ფადიმე-კადუნი: ხოფ., 141,5 — დედამისს გაულახავს ფადიმე-კადუნი; ოხორჯა დევიქ ქანიხიელენ: ხოფ., 150,32 — ქალი დევს მოუტაცებია; ქოშოლიქ თქუდორენ: ჭან., II,41,26 — ქმარს უთქვამს...

<sup>32</sup> დაწვრილებით: არნ. ჩიქობავა, ქანურის გრამატიკული ანალიზი, გვ. 104—106; გ. როგავა, დრო-კილოთა მეოთხე ჯგუფის ნაკვთბა ქართველურ ენებში, გვ. 17-32; კ. დონდუა, რჩეული ნაშრომი, I, თბ., 1967, გვ. 306—307.

<sup>33</sup> არნ. ჩიქობავა, ქანურის გრამატიკული ანალიზი, გვ. 102—103; მისივე, ერგატიული კონსტრუქციის პრობლემა იბერიულ-კავკასიურ ენებში, II, ერგატიული კონსტრუქციის რაობის თეორიები, თბ., 1961, გვ. 5; მოთხრობითის კონსტრუქციაზე ადრე მითითებული ჰქონდა ნ. მარს. ნ. მარს, Грамматика чанского (лазского) языка..., СПб., 1910, с. 77.

ჩვეულებრივ დრო-კილოთა მთელ სისტემაში ჭანურში პირდაპირი წყობაა: ქვემდებარე მოთხრობითში, პირდაპირი დამატება — სახელობითში.

პირდაპირი წყობის პარალელურად თურმეობითთა ჯგუფში ინვერსიული წყობაც გვხვდება. ასეთებია: «მა მიძირუნ, სინ? გიძირუნ ... მიძირუნან, გიძირუნან, უძირუნან (И. Книшндзе, Доп. св.) და ასე: ხ ჩ ი ნ ი ს კინჩხიშ ოხორი დოკიდევნ: ხოფ., 107,23 — დედაბერს წყნელის სახლი აუგია; მა მიძირამუნ წკარი: ჭან., I, 120,30 — მე მინახავს წყალი...

ინვერსიული და არაინვერსიული ზმნა-შემასმენლები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან წარმოების მიხედვითაც. ამ საკითხზე სპეციალურ ლიტერატურაში არაერთხელ გაუმახვილებიათ ყურადღება<sup>34</sup>.

სვანურში ორპირიანი გარდამავალი ზმნა-შემასმენლის ქვემდებარე ბრუნვაცვალებადაა: ქართულისებურად გვხვდება სახელობითში (I სერიის ზმნებთან), მოთხრობითში (II სერიის ზმნებთან) და მიცემითში (III სერიის ზმნებთან)<sup>35</sup>: მეშხე დაკგლ ცხეკის ზეკვხნი: სვ. პ., 244,28 — შავი თხა ტყეში ნეკერს ჭამს; ც ი ც ვ იბარ ნიჩვარს — კატა იბანს პირს; ბ ე ფ შ ე ახტავი სურათს — ბავში ხატავს სურათს...; მ ვ ლ დ ჩვადცვლტრე ყვიჩ: ბზ., 256,34 — მელამ დაგლიჯა მამალი; დ ნ ა დ სგა ლაქვე მგლდეღი ნაქვამ: ბზ., 369,34 — ქალიშვილმა ჩაიცვა მწყემსის ნაცვამი; ა მ ი რ ა ნ დ რაშე ქაფიშტე მინდვერისკა: ლენტ. 281,6 — ამირანმა რაში გაუშვა მინდორში...

ხ ე ნ წ ი ფ ს არწივ ახოგერა: ლენტ., 147,12 — ხელმწიფეს არწივი დაუბარებია; მ გ ლ ტ ე ხ ხაწდა მიჩა ნავბადრომ: ბზ., 50,17 — ლენტეხელს დაუნახავს მისდა საუბედუროდ და ა. შ.

ქვემდებარე სამპირიან ზმნა-შემასმენელთან მეგრულში აგრეთვე ბრუნვაცვალებადაა ისევე, როგორც ქართულში; I სერიის დრო-კილოებთან ს ა ხ ე ლ ო ბ ი თ შ ი ა: ათე ჩიჩიეს უჩაში ჭ ი მ ა სიტყვას ვარზენს: ხუბ., 159,15 — ამ გლახას უფროსი ძმა სიტყვას

<sup>34</sup> И. Книшндзе, Дополнительные сведения о чапском языке, СПб., 1911, с. 3; არნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, ჭანურის გრამატიკულ ანალიზი, გვ. 141—145; გ. კ ა რ ტ ო ზ ი ა, მასალები ლაზური ზეპირსიტყვიერებისათვის, გვ. 143; მისივე, არაინვერსიულ თურმეობითთა წარმოებისათვის ლაზურში. „მაცნე“, ენისა და ლიტერატურის სერია, 1976, № 3, გვ. 121—129; ი. ა ს ა თ ი ა ნ ი. ჭანური (ლაზური) ტექსტები, თბ., 1974, გვ. 14.

<sup>35</sup> В. Т. Топуриа, Сванский язык: Языки народов СССР, IV, с. 91; ნ. ა ბ ე ს ა ძ ე, დამატებისა და შემასმენლის სინტაქსური ურთიერთობის საკითხები სვანურში: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, 3 (142), თბ., 1972, გვ. 5.

არ აძლევს... და ასე: სქუა დიდას გუხარენს გურს — შვილი დე-  
დას გაუხარებს გულს; ჭიმა აჩუქენს დას წიგნის — ძმა აჩუქებს  
დას წიგნს...

მეორე სერიის დრო-კილოებთან — მოთხრობითში: ქი-  
მეჩეებოში ბურღა ძღაბის: ხუბ., 60,8 — მისცა ამ ბიჭმა  
ბუმბული გოგოს...; მესამე სერიის დრო-კილოებთან — მიცემ-  
ითში: ათენერი კოჩიშა მეუჩამუ მუაჩქიმს ჩქამი დუღია:  
ხუბ., 50,4 — ამგვარი კაცისათვის მიუცია მამაჩემს ჩემი თავიო...  
და ასე: სქუას გუხარებუ დიდაშა გური — შვილს გაუხარებია  
დედისათვის გული...

ინვერსიის შედეგად სამპირიანი ზმნა-შემასმენელი იქცევა ორ-  
პირიანად, ირიბი დამატება — პირმიუმართავ დამატებად.

IV სერიის დრო-კილოებთან ქვემდებარე სახელობით ბრუნ-  
ვაში დაისმის. წყობა პირდაპირია. მესამე სერიისაგან განსხვავე-  
ბით, მეოთხე სერიაში სამპირიანი ზმნა სამპირიანადვე რჩება, ინარ-  
ჩუნებს ირიბ დამატებას<sup>36</sup>. ოსური მენოჩამუე ქოთომს მეზობერს —  
ქალი აძლევდა თურმე ქათამს მეზობელს; სქუა გონოხარებუე  
დიდას გურს — შვილი თურმე გაუხარებდა დედას გულს და ასე:  
ოსური მენოჩამუედუ ქოთომს მეზობერს; ოსური მენოჩა-  
მუედას ქოთომს მეზობერს; ოსური მენოჩამუედუეო ქოთომს  
მეზობერს...

სინტაქსური ურთიერთობა ქვემდებარესა და შემასმენელს  
შორის მეოთხე სერიაში ისეთივეა, როგორც გვაქვს პირველ სე-  
რიაში.

ქანურში ჩვეულებრივ სამპირიანი ზმნა-შემასმენელი სამპი-  
რიანადვე რჩება. ქვემდებარე დაისმის მოთხრობით ბრუნვაში, პირ-  
დაპირი დამატება — სახელობითში, ირიბი — მიცემითში: ოხორ-  
ჯა მუშიქ ფილაი უხვენუფს კოჩის: ხოფ., 94,29 — მისი  
ცოლი ფლავს უკეთებს კაცს; ბადი კოჩიქ საფანითე ხოჯე-  
ფეს ლეტა ოთხორაფამს: ქან., II,2,24 — მოხუცი კაცი სახნი-  
სით ხარებს მიწას ახვენეინებს; ნანაქ ოხორჯას პეჩაფს ფა-  
რა: ხოფ., 60,2 — დედა ქალს მისცემს ფულს...; ფადიშაიქ  
ოხორჯა მუშის ნუსქა ქომეჩენ: ხოფ., 45,30 — ხელ-  
მწიფეს თავის ცოლისათვის ნუსხა მიუცია; ამაჯაზიქ კიტა  
ჯუმას ჯუმალეფე ქოჯკომენ: ხოფ., 155,20 — ამჯაზს უმ-  
ცროსი ძმისათვის ძმები შეუჭამია...

სპეციალურ ლიტერატურაში მითითებულია, რომ ზოგჯერ ქა-  
ნურშიც ინვერსიის შედეგად სამპირიანი ზმნა ორპირიანად იქცევა,

<sup>36</sup> გ. როგავა. დრო-კილოთა მეოთხე ჯგუფის ნაგებულები, ქართველურ ენებში,  
გვ. 21.

ქვემდებარე დაისმის მიცემით ბრუნვაში, პირდაპირი დამატება --- სახელობითში, ირიბი კი პირმიუმართავ დამატებად იქცევა და მიმართულებით (resp. ნანათესაობითარ ვითარებით) ბრუნვაშია. არქაბულში დაშორებითიც გვაქვს ამ ფუნქციით: ო ხ ო რ ჯ ა ს კ ო ჩ ი შ ა მ უ ღ ლ ა ა ხ ვ ე ნ ე ნ ? : ქ ა ნ . , 1,16,4 — ქ ა ლ ი კ ა ც ს რ ა ს უ შ ა მ ს ? ბ ი კ ე ფ ე ს ხ ო ჯ ა შ ე მ უ თ უ ვ ა რ ა თ ქ ე ვ ს : ჟ ლ . ქ ა ნ . , 114,30 — ბ ი კ ე ბ მ ა ხ ო ჯ ა ს ვ ე რ ა ფ ე რ ი უ თ ხ რ ე ს ...<sup>37</sup>

სვანურში სამპირიან ზმნა-შემასმენელთან ქვემდებარე გვაქვს ს ა ხ ე ლ ო ბ ი თ შ ი (I სერიის დრო-კილოებთან), მ ო თ ხ რ ო ბ ი თ ს ა (II სერიის დრო-კილოებთან) და მ ი ც ე მ ი თ შ ი (III სერიის დრო-კილოებთან): ამ უკანასკნელთან ზმნა-შემასმენელი ორპირიანად იქცევა<sup>38</sup>.

მაგალითები:

ა ბ რ ა მ შ დ გ მ რ ა ლ ს მ ე ბ რ ი ნ დ ა ლ ე : ს ვ . პ . 242,17 — ა ბ რ ა მ ი ყ უ რ ე ბ ზ ე ხ ე ლ ს მ კ ი დ ე ბ ს ; ლ ე ქ ე ს ი რ ი მ უ თ ვ ე რ ი ღ ლ ე ნ ტ ე ხ ა ი მ ა მ ა ს ა ხ ლ ი შ ს . კ ი შ ხ ჩ ა ფ ღ ლ ლ ა ხ ე ე მ : ლ ე ნ ტ . , 8,36 — ლ ე ქ ს უ რ ი ს მ ა ს წ ა ვ ლ ე ბ ე ლ მ ა ლ ე ნ ტ ე ხ ი ს მ ა მ ა ს ა ხ ლ ი ს ფ ე ხ ს ა ც მ ე ლ ი მ ი ს ც ა ; გ ი გ ო ს ხ ო ქ ე ვ ა გ ლ ე ხ ა რ დ მ ი ჩ ა : ს ვ . პ . , 46,2 — გ ი გ ო ს უ თ ქ ე ვ ა მ ს თ ა ე ი ს გ ლ ე ხ ე ბ ი ს ა თ ე ი ს ...

ქართულში ზოგ შემასმენელთან ქვემდებარის გამოსახატავად ერთმანეთს ეცილებიან სახელობითი და მოთხრობითი ბრუნვები, ასეთი შემასმენლებია: გ ა დ ა ი ღ ო , გ ა დ ა ი ხ ა რ ა , მ ო ა წ ი ა ...

გ ა დ ა ი ღ ო : გათენებისას წ ვ ი მ ა გადაიღო: ა. ბელ., ხხალგ. 189,25; დილისათვის თ ო ვ ე ლ ი გადაიღო: ვაჟა, V,72,15, შდრ. წ ვ ი მ ა მ გადაიღო: ვაჟა, V,157,4; ეს-ეს არის ყუყუენა წ ვ ი მ ა მ გადაიღო: ვაჟა, VII,73,14...

გ ა დ ა ი ხ ა რ ა : მ ზ ე გადაიხარა: ილია, I,406,15, შდრ. იქვე: მ ზ ე მ გადაიხარა ჩასავალისაკენ: ილია, I,414,2... და ასე: მ ზ ე მთლიანად გადაიხარა: ნ. დუმბ., 522,12; მ ზ ე მ ძალზე გადაიხარა: ი. გოგებ., V,436,14...

მ ო ა წ ი ა : მოაწია დ რ ო : ე. ნინოშვი., II,9,5; მოაწია დ რ ო მ : იქვე, 19,32; დ რ ო მ მოაწია: ჭ. ამირეჯ., დათა თუთ., 176,24 და ა. შ.

ასევე: გ ა ი ღ ვ ი ძ ა ზმნა-შემასმენელი ქვემდებარეს მოთხრობით ბრუნვაში მოითხოვს: ლ უ ა რ ს ა ბ მ ა გაიღვიძა, ბ უ ნ ე -

<sup>37</sup> გ. კ ა რ ტ ო ზ ი ა . მ ა ს ა ლ ე ბ ა ლ ა ზ უ რ ი ზ ე პ ი რ ს ი ტ ყ ვ ი რ ე ბ ი ს ა თ ე ი ს , გ ვ . 143; მისივე, არაინვერსიულ თურქობითთა წარმოებისათვის ლაზურში. გვ. 121.  
<sup>38</sup> В. Т. Топурия, Сванский язык..., с. 91; ე. დ ო ნ დ უ ა , რ ჩ ე უ ლ ი შ რ ო მ ე ბ ი , I , გ ვ : 51; ნ . ა ბ ე ს ა ძ ე , დ ა მ ა ტ ე ბ ი ს ა დ ა შ ე მ ა ს მ ე ნ ლ ი ს ს ა ნ ტ ა ქ - ს უ რ ი უ რ თ ი ე რ თ ო ბ ი ს ს ა ყ ი თ ხ ე ბ ი ს ვ ა ნ უ რ შ ი , გ ვ . 8.

ბ ა მ გაილვიდა...; მოთხრობითში დაისმის ფარდ შემასმენელთან ქვემდებარე მეგრულშიც: კ ო ჩ ქ გიკურცხინუ — კაცმა გაილვიდა; ბ ა ლ ა ნ ა ქ გიკურცხინუ — ბავშვმა გაილვიდა...

ქანურში ასეთ შემთხვევაში ქვემდებარე სახელობითში დაისმის: ოხოიში ს ა პ ე ბ ი ნჯირიშენ ქაგოკუცხუ: ქან., I, 20, i — სასილის პატრონმა ძილისაგან გამოილვიდა...

სახელობითშივეა ქვემდებარე სვანურშიც: მერკა ლადელ ე'ანდაცხ ბ ე ფ შ ვ: ბზ., 263, 31 — მეორე ღღეს გაილვიდა ბავშვმა (//გაილვიდა ბავშვი)<sup>39</sup>.

§ 22. ქვემდებარე იცის/უწყის ზმნებთან. ი ც ი ს (და მასთან ერთად უ წ ყ ი ს) ზმნა ისტორიული მნიშვნელობისაა ქვემდებარე-დამატებასთან ურთიერთობის მიხედვით. მას აწმყოში (და აქედან უწყვეტელსა და პირველ კავშირებითში) ქვემდებარე მოთხრობითში ეწყობა, დამატება — სახელობითში. ეს თავისებურება გახაპირობა ისტორიულმა ვითარებამ: წარმოშობით ი ც ი ს (და უ წ ყ ი ს) პერმანსივია და თავისი სინტაქსური კონსტრუქცია თახამედროვე ქართულშიც შეინარჩუნა, თუმცა გაგება აწმყოსი მიიღო. ი ც ი ს თავისებურია სხვა მხრივაც: გარდამავალია, მაგრამ მოქმედებითი გვარის არაა, სათავისო ქვეყის ნიშანი ა- აქვს, მაგრამ უქცევია<sup>40</sup>.

მოხდა ცვლილება ძველი ქართულიდან ახალ ქართულამდისაც: ძველ ქართულში ი ც ი ს ზმნას ორივე წყობა პქონდა (სუბიექტურიც და ობიექტურიც). ამასთან შეფარდებით იგუებდა სუბიექტსა და ობიექტს, მაგალითად: S<sub>1</sub>—O<sub>2</sub>: მე ვიცი იგი: ი 7, 29; მე ვიცი იგინი: D ი 10, 27; S<sub>1</sub>—O<sub>2</sub>: გიცი შენ, ვინა ხარ: C მრ 1, 24, გიციო შენ: C ლ 4, 34; არა გიცი თქვენ: მ 25, 12...; S<sub>2</sub>—O<sub>3</sub>: ყოველი შენ იცი: DE ი 21, 17; ჰე, უფალო, შენ ხიცი: ხანშ. ი 21, 16; მცნებანი იცი: ლ 18, 20...; S<sub>2</sub>—O<sub>1</sub>: ვინაჲ მიცი მე: ი 1, 48; არა

<sup>39</sup> ნ. ა ბ ე ს ა ძ ე, ბრუნვთა სინტაქსური ფუნქციები სვანურში: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, „ენათმეცნიერება“, 1975, გვ. 6.

<sup>40</sup> დაწერილობით: ა. შ ა ნ ი ძ ე, სუბიექტური პრეფიქსი მეორე პირისა და ობიექტური პრეფიქსი მესამე პირისა ქართულ ზმნებში, ტფილისი, 1920, გვ. 6; მისივე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, I, თბ., 1973, გვ. 522; გრამატიკული სუბიექტი ზოგიერთ გარდაუვალ ზმნასთან ქართულში: ძველი ქართული ენის ათედრის შრომები, 7, თბ., 1961, გვ. 224—226; არნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, ერგატული კონსტრუქციის პრობლემა იბერიულ-კავკასიურ ენებში, I, თბ., 1948, გვ. 68—73; ივ. ქ ა ვ თ ა რ ა ძ ე, ზმნის ძირითადი კატეგორიების ისტორიისათვის ძველ ქართულში, თბ., 1954, გვ. 50—51; ივ. ი მ ნ ა ი შ ვ ი ლ ი, ქართული ენის ისტორიული ქრესტომათია, ტ. I, ნაწილი II, თბ., 1971, გვ. 279; 319; ა. ღ ა ე თ ი ა ნ ი, ქართული ენის სინტაქსი, გვ. 330; მ. ს უ ხ ი შ ვ ი ლ ი, სტატუსური ზმნები ქართულში, თბ., 1976, გვ. 50—51.

მიცი მე: DE ლ 22,61...; S<sub>3</sub>—O<sub>3</sub>: იცის მამამან თქუენჳან ზეცათა-  
მან: DE მ 6,8; ღმერთმან იცნის გულნი თქუენნი: DE ლ 16,15...;  
S<sub>3</sub>—O<sub>1</sub>: მიცის მე მამამან ჩემმან: C ი 10,15; მიციან ჩემთა მათ:  
ი 10,14... ახალ ქართულში მხოლოდ სუბიექტური წყობით გვევ-  
ლინება და ითავსებს სუბიექტთან ერთად მხოლოდ ობიექტურ მე-  
სამე პირს<sup>41</sup>: პ ა პ ა მ ანდაზებით ლაპარაკი იცის: ვაჟა, VI,71,2:  
ლ უ ა რ ს ა ბ მ ა ც კ ი იცოდა ბიჭების „დაწიოკება“: ილია,  
I,332,30...

ი ც ი ს ზმნა, ქართულის<sup>42</sup> შესატყვისი ფორმა, ზანურსა და  
სვანურს არ გააჩნია. ამ მნიშვნელობით გამოყენებულია ინვერსიუ-  
ლი ზმნები ზანურში უ ჩ ქ უ (ნ) // უ ჩ ქ ი ნ და სვანურში --- ხ ო -  
ხ ა ლ.

ზანური უ ჩ ქ უ (ნ) // უ ჩ ქ ი ნ, ერთი მხრივ. ნიშნავს „უჩანს“-ს.  
მეორე მხრივ — „იცის“-ს: ც ი რ ა ს ირფელი უჩქუ: ხუბ., 107,15 —  
ქალიშვილმა ყველაფერი იცის...; ბ ო ზ ო ს ქუჩქინ: ელ. კან.,  
112,5 — გოგომ იცის.

ჩქ ძირის მქონე სიტყვის გამოყენება მეორეულია. დაკარგუ-  
ლია პირველადი ძირი, რომელიც ჩ'ს სახით უნდა ყოფილიყო: ქართ.  
ც'ს შესატყვისია ზანურში ჩ, ხოლო ქართულ ჩ'ს ზანურში შეესა-  
ტყვისება ჩქ, შდრ. უ-ჩ-ა-ნ-ს=უ-ჩქ-უ. ამიტომაც სპეციალურ ლი-  
ტერატურაში მითითებულია: „ჩ ქ უ ნ // ჩ ქ ი ნ — საობიექტო ქცე-  
ვის ნიშნებით გვაძლევს ზმნას — მი-ჩქ-უნ, გი-ჩქ-უნ, უ-ჩქ-უნ,  
რომელიც „ცოდნას“ გამოხატავს და სიტყვისასიტყვით გადათარგმნი-  
სას ნიშნავს: „მიჩანს“, „გიჩანს“, „უჩანს“<sup>42</sup>.

სვანურშიც ი ც ი ს ზმნის შესაბამისი ხ ო ხ ა ლ ინვერსიუ-  
ლია და სუბიექტს მიცემით ბრუნვაში მოითხოვს: ეჯას ხოხალ („მან  
იცის“, სიტყვისიტყვით: „მას იცის“, როგორც ეს ზანურშია)<sup>43</sup>: ეჯა  
ე ს ხ ი ს ხოხალ: ბზ., 49,3 — ზოგმა („ზოგს“) იცის; თ ა ვ ბ ე ქ ს  
ლუშნუ მამ ხოხალდა: სვ. პ., 34,193 — თავბეჭმა სვანური არ  
იცოდა...

სვანური მ-ი-ხალ, ჯ-ი-ხალ, ხ-ო-ხალ ზმნის ძირად გამოყოფი-

<sup>41</sup> ერთადერთ შემთხვევაში ვაჟა-ფშაველა იყენებს არქულ ფორმას: ღმერ-  
თმა ნუ გიცის: VII, 311, 19.

<sup>42</sup> არნ. ჩ ი ქ ო ბ ა ე ა ქანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკო-  
ნი, ტფილისი, გვ. 378.

<sup>43</sup> ნ. ა ბ ე ს ა ძ ე, ბრუნვათა სინტაქსური ფუნქციები სვანურში ქართულ-  
თან მიმართებით..., გვ. 8.

ლა ხ ა ლ, მას უკავშირებენ ქართ. ხ ძირს, რომელიც გვაქვს სიტყ-  
ვებში ხ-ედ-ავ-ს, ი-ხ-ილ-ა, ნა-ხ-ა<sup>44</sup>.

ი ც ი ს ზმნა ერთპირიანად ქცევის შემთხვევაში, როდესაც  
უჩინარდება მოთხრობითში დასმული სახელი (ქვემდებარე),  
გვაქვს ასეთი მნიშვნელობით: „ხარობს, მოდის, იზრდება (მცენა-  
რე), ჩვეულებრივ, არის, ცნობილია, რომ არის (ცხოველი, ფრინ-  
ველი...)“, გავრცელებულია (მაგ., ავადმყოფობა)<sup>45</sup>. მაგ.: სოფელში  
ცივი ზამთარი იცის: ი. გოგებ., V, 523, 20; ფშნებში გველი იცის:  
ი. გოგებ., IX, 34, 12; ქუთაისში ორნაირი ქარი იცის: კ. ლორთქ-  
23, 10...

ამ მნიშვნელობითაც - ზანურში უ ჩ ქ უ (ნ) // უ ჩ ქ ი ნ არის  
გამოყენებული: ანჯერს ჭგირი სიმიდფეი უჩქუ — ანჯერში კარგა  
სიმიდები იცის; რიონს ბრელი ჩხომი უჩქუ — რიონში ბევრი თევ-  
ზი იცის, შდრ. სვანური: ნეზე ჩუქან ჩიგარ ფუკვი ვერ ხოხალ:  
ლენტ., 81, 18 — ნაძვის ქვეშ ყოველთვის მშრალი მიწა იცის.

§ 23. მიცემითში დასმული სახელი ქვემდებარედ გარდაუვალ  
ზმნა-შემასმენელთან. რეალური სუბიექტი მიცემით ბრუნვაშია  
დასმული გარდამავალი ზმნა-შემასმენლის მესამე სერიის ქვემდებ-  
არის მსგავსად სტატიკური ზმნების ერთ ჯგუფთან. ასეთებია: მ ა ს  
აქვს, ჰყავს, უყვარს, სძულს... ი გ ი. ასეთ შემასმენლებთან მიცე-  
მითში დასმული სახელი ძველ ქართულშიც მოქმედად იყო მიჩ-  
ნეული და მაინც ადრე დაწყებული პროცესი, რომელიც გამოიხა-  
ტა მიცემითში დასმული სახელის მიერ შემასმენლის რიცხვში შე-  
თანხმებით, ჭერ კიდევ დაუმთავრებელია. სპეციალურ ლიტერა-  
ტურაში მითითებულია, რომ „გარდამავალ ზმნებთან დატიური კონ-  
სტრუქცია უფრო ახალია, ვინემ ნომინატიური და ერგატიული  
კონსტრუქციები... დატიური კონსტრუქცია გარდაუვალ ზმნებთან-  
აც გვაქვს. ეს გარდაუვალ ზმნები ინვერსიული ზმნებია (მ ა ს  
აქვს, ჰყავს, უყვარს, სძულს, სწადს, სწყურის... იგი). ეს ზმნები დი-  
დი სიძველისაა“<sup>46</sup>.

ასეთ ზმნებთან მორფოლოგიურად დაკავშირებულია ორი სა-  
ხელი: ს ა ხ ე ლ ო ბ ი თ შ ი დასმული სახელი — მორფოლოგიური  
სუბიექტი, რომელიც უძველეს ქართულში რეალური სუბიექტა

<sup>44</sup> ი. ც ე რ ც ვ ა ძ ე, „სოდნის“ აღმნიშვნელი ორი ფუძე: 1. სვან. მ ა  
ხ ა ლ, 2. ანდ. წ ი ნ-ნ უ: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო  
ესისის თეზისები, თბ., 1954, გვ. 128.

<sup>45</sup> ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, IV, გვ. 933.

<sup>46</sup> არნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, ერგატიული კონსტრუქციის პრობლემა იბერიულ  
კავკასიურ ენებში, I, გვ. 5.



იყო, და მიცემითში დასმული სახელი — იგივე რეალური სუბიექტი, რომელიც ადრე მორფოლოგიური ობიექტი იყო... „კონსტრუქცია პირდაპირი იყო და არა ინვერსიული“<sup>47</sup>.

თანამედროვე ქართულში უყვარს, სძულს ტიპის ზმნებთან მიცემითში დასმული სახელი „რეალური სუბიექტია, ზმნაში კი იგი ობიექტის ნიშნითაა (მ-, გ-) წარმოდგენილი“<sup>48</sup>. ასეთებია: მე პეპიას გოგო მიყვარს: ილია, I,308,15; მე გამიკვირდა ეს ამბავი: ილია, I,257,10; მარიამს ახსოვს აპრილის ღამე: ე. ყიფ. I,51,1; ფუნთუშა ბალდი გოჩას მოეწონა: ვაჟა, V,39,29; მაშალს განთიადის წინამორბედი ყიყლიყო დაავიწყდა: ნ. ლორთქ., I,64,30...

მრავლობითში მხოლოდ მიცემით ბრუნვაში დასმული სახელი ითანხმებს შემასმენელს: მე მიყვარს — ჩვენ გვიყვარს; შენ გიყვარს — თქვენ გიყვართ; მას უყვარს — მათ უყვართ...; მას მოეწონა — მათ მოეწონათ; მას დაავიწყდა — მათ დაავიწყდათ...; გოგობს უყვართ ყვავილები: ნ. დუმბ., 540,16; სოფლებს ეშინოდათ გადამდები ავადმყოფობისა: ი. გოგბ., V,447,13 და ა. შ.

ა. შანიძემ სპეციალური შრომა უძღვნა უყვარს / სძულს ტიპის ზმნებთან დაკავშირებულ სახელებს და სახელობითში დასმული სახელი მიიჩნია ქვემდებარედ, ხოლო მიცემითში დასმული სახელი — დამატებად<sup>49</sup>.

ქართულისებური მდგომარეობა ქანურსა და სვანურში: რეალური სუბიექტი მიცემითში დაისმის, რეალური ობიექტი — სახელობითში; მეგრულში კი რეალური დამატება დაისმის სახელობითსა (I, III, IV სერიების ფორმებთან) და მოთხრობითში (II სერიის ფორმებთან)<sup>50</sup>:

ქანური: ქოთუმეს ტანის ბუნდლა აყვენ: ქან., I,142,22 — ქათამს ტანზე ბუმბული ექნება; კულანი დვაყოფუ ბიქის: ხოფ., 164,12 — გოგო შეუყვარდა ბიქს; ამა ოხორჯას სუმ ბეე უყოუნტეენ: ხოფ., 150,30 — ამ ქალს სამი ბავშვი

<sup>47</sup> არნ. ჩიქობავა, ინვერსიული ზმნები და სახელთა კვალიფიკაცია: გაზ. „სახალხო განათლება“, 3 ოქტომბერი. 1946, გვ. 4.

<sup>48</sup> არნ. ჩიქობავა, დასახელებული ნაშრომი.

<sup>49</sup> ა. შანიძე, გრამატიკული სუბიექტი ზოგიერთ გარდაუვალ ზმნასთან ქართულში: ძველი ქართული ენის კათედრის შრომები, 7, 1961, გვ. 209—228; შდრ. ვ. თოფურია, ქართული ენის გრამატიკის სადავო საკითხები: ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში, № 3, 1967, გვ. 3—8.

<sup>50</sup> ო. ურილია, მეგრულის სინტაქსური თავისებურებანი ქართულთან მიმართებით: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, ტ. 93, 1960, გვ. 167.

ჰყოლია...; ქოთუმეს მსვალეფე ულუნ: ჰან., I, 153,3 — ქათამს ფრთები აქვს.

მეგრული: ბოშის უცორს ძღაბი — ბიჰს უყვარს გოგო; ცირას ძალამს უკვე თენა: ხუბ., 37,14 — გოგოს ძალიან უყვირს ეს; ათე ხენწგფეს ეუნს ართი ძღაბი: ხუბ., 54,14 — ამ ხელმწიფეს ჰყავს ერთი გოგო; ატუს გუუკვირდუ: ყიფშ., 10,17 — ატუს გაუკვირდა ეს...

ნდისგ მეეწადილუ კოჩიში ძირაფაქ: ყიფშ., 18,2 — დევს მოუხდა კაცის ნახვა; ვეზირიშ ნარაგადუქ ქეგაშინუ თე ბოშის: ხუბ., 229,26 — ვეზირის ნათქვამი გაახსენდა ამ ბიჰს; ოსურს მეწონუ თე ბოშიქ: ხუბ., 1,6 — ქალს მოეწონა ეს ბიჰი...

ათე ხენწგფეს ნოცუნუე ართი ქომოლსქუა: ხუბ., 228,33 — ამ ხელმწიფეს ჰყოლია ერთი ვაჟიშვილი; ჩქიმი ქომონს ამგსერი მონოცვე ოსური: ხუბ., 219,20 — ჩემ ქმარს ამაღამ მოჰყავს თურმე ცოლი; ართი კოს ართი სქუა ნოცვერდუ: ხუბ., 207,2 — ერთ კაცს ერთი შვილი ჰყოლოდა...

სვანური: აჩქა ლახლონბ უშგვლარს: სვ. პ., 369,6 — მაშინ ეწყინათ უშგულელებს; აღ დავს ხად ეშდორი თხვიმ: ბქვ., 118,16 — ამ დევს ჰქონდა თორმეტი თავი; ციცვს ხალაწ შდუგ — კატას უყვარს თავი; ქეთოს ხალაწ კოტე — ქეთოს უყვარს კოტე...

ჰანურის ზოფურ კილოკავში უყვარს („ყოროფს“) ზმნა გარდამავალის მნიშვნელობითაც გვხვდება<sup>51</sup>. ასეთ შექმნევაში ქვემდებარე მოთხრობით ბრუნვაში დაისმის, დამატება — ხან მიცემითში, ხან — სახელობითში:

მაგალითად: ბერეფექ აბდულის დიდო ყოროფან: ჰან. I, 106,24 — ბავშვებს აბდული ძალიან უყვართ... და ასე: ოსმანიქ ყოროფს ფადიშეს — ოსმანს უყვარს ფადიშე; თინაქ ყოროფს ოსმანის — თინას უყვარს ოსმანი...; მთუთიქ თოფუი ყოროფს — დათვის თაფლი უყვარს...;

აქ ყოროფს = ყვარობს. მსგავსი ფორმები შენიშნულია ძველ ქართულშიც<sup>52</sup>. ცხადია, ჰანური ცალკე არ დგას.

ა. შანიძემ ფუნქციის მიხედვით გამოყო ე. წ. მიჩნევისა და გუნების ვნებითები: ემწარება, ეკეთება, ელამაზება...;

<sup>51</sup> არნ. ჩიქობავა. ჰანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი, კვ. 359.

<sup>52</sup> ივ. ქავთარაძე, ზმნის ძირითადი კატეგორიების ისტორიისათვის ძველ ქართულში, თბ., 1954, გვ. 106. დამოწმებულია მაგალითები: ცოდვილიცა ჰყუარობენ მოყუარეთა მათთა: ლ 6, 32; სოფელიმცა თჳსთა ჰყუარობდა: თ. 15, 19...; მ. სუხიშვილი, სტატყური ზმნები ქართულში, გვ. 49.

ემღერება, ექიზიყება, ეტირება<sup>53</sup>. ასეთი ვნებებითეზი ორპირიანია და ე'თი ნაწარმოები<sup>54</sup>.

მეგრულში „მიჩნევის“ ვნებითი ქართულის მსგავსად ორპირიან ხასახელარ ზმნებს ახასიათებს<sup>55</sup>. მისი დაკავშირება პოტენციალის კატეგორიასთან სრულიად შესაძლებელია, რამდენადაც „მეგრულში პოტენციალის კატეგორია ვნებითი გვარის ზმნებით გადმოიცემა“<sup>56</sup>.

ორპირიანი ვნებითი გვარის ზმნა, რომელსაც პოტენციალის შინაარსი აქვს, ინვერსიული წყობისაა: „მ ა თ ა ს ე ნ , გ ა თ ა ს ე ნ , ა თ ა ს ე ნ — მე შემიძლია ვთესო, შენ შეგიძლია თესო, მას შეუძლია თესოს“<sup>57</sup>.

პოტენციალის ფორმები წარმოგვიდგება აწმყოს (ან მყოფადის) და ნამყო ძირითადის გაგებით. წყობა ჩვეულებრივ ობიექტურია და ამით მოცემულია მისი ისტორიული წარსულიც. ინვერსიის შედეგად ქვემდებარე მიცემით ბრუნვაში დაისმის, რეალური დაშატება — სახელობითში ან მოთხრობითში. სახელობითში პირველი სერიის შესაბამის ნაკვთებთან, მოთხრობითში — მეორე სერიის ნაკვთებთან.

მაგალითები: სი მუ გარაგადე ფერია: ხუბ., 4,30 — შენ რა შეგიძლია თქვა ისეთიო და ასე: ბ ა ლ ა ნ ა ს აქარე ქალარდი — ბავშვს შეუძლია წეროს წერილი; კ ო ს ვაღამარგინე ცხენი — კაცი ვერ დაამაგრებს ცხენს...; შდრ. ბ ო შ ი ს პასუხიქ ვემააჩინუ: ხუბ., 96,9 — ბიჭმა პასუხი ვერ მისცა; ბ ო შ ი ს პასუხიქ ქიმიჩინუ — ბიჭმა შესძლო პასუხი მიეცა; კ ო ს. ვამახვამილუ ქასაგანქ ლანკიშა — კაცმა ვერ შესძლო მოეხვედრებინა ისარი სამიხნოსათვის, შდრ. კ ო ს მახვამილუ ქასაგანი ლანკიშა — კაცს შეუძლია ისარი მოახვედროს სამიხნეს<sup>58</sup>.

და ასე: თიშ ისტორიაქ ვეიანწყინე ძ ღ ა ბ ი ს: ხუბ., 81,20 — იმისი ისტორია ვერ ამოხსნა გოგომ, შდრ. თიშ ისტორიაქ გეიანწყინე ძ ღ ა ბ ი ს — იმისი ისტორიის ამოხსნა შეძლო გოგომ...

ქვემდებარე მიცემითშია ამ ტიპის ერთპირიან ზმნა-შემასმენ-

<sup>53</sup> ა. შ ა ნ ი ძ ე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, გვ. 291—292.

<sup>54</sup> იქვე, გვ. 291.

<sup>55</sup> კ. ღ ა ნ ე ლ ი ა, ვნებითი გვარის წარმოებისათვის კოლხურში: ძველი ქართული ენის კათედრის შრომები, 19, თბ., 1976, გვ. 172.

<sup>56</sup> არნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა პოტენციალის კატეგორია ქართველურ ენებში: ენიმქის მოამბე, I, ტფილისი, 1937, გვ. 32.

<sup>57</sup> არნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, კანურის გრამატიკული ანალიზი, გვ. 112.

<sup>58</sup> ო. უ რ ი დ ი ა, მეგრულის სინტაქსური თავსებებანი ქართულთან მიმართებით, გვ. 168.

ლებთანაც: რჩინ კოს დააჩარქალუ: ყიფშ., 9,17 — მოზუცმა კაც-  
მა დაიჩინდრიკა: ხუთ დღას ვალინე კოს: ხუბ., 113,28 -- ხუთ დღეს  
არ წაესვლება კაცს...

პოტენციალისის ფორმები არის ქანურშიც<sup>59</sup>: ჰე მ უ ს სერი  
თოლის აძირენ: ჰან., II,42,19 — იმას ღამით შეუძლია ნახოს; მა  
აწი დულაა ვა მახონენ: ხოფ., 118,25 — მე ახლა საქმეს ვერ გავა-  
კეთებ; სი მეგალენ: ხოფ., 159,22 — შენ მიგესვლება; ია ვა ნალენ:  
ხოფ., 159,23 — მას არ მიესვლება...

მიჩნევისა და გუნების ვნებითების გრამატიკული ობიექტი  
ქართულში რეალურ სუბიექტად წარმოგვიდგება: რა მეცოლება,  
ჩემო ვახტანგ: კ. გამს., I, 436,36; რა გეჭიზიყება: ვაჟა, V,56,26:  
ნათლიდელა საქმის დედაკაცია, რა ემასლაათება?: ილია, I,445,33...;  
რაც ეზიდებოდა ორს ცქენს: ს.-ს. ორბელიანი, I,142,1; რაც  
ოქრო გვეზიდებოდა, ავიკიდეთ: იქვე, 103,24; ხორთუმიტ სპი-  
ლოს აგრეთვე ყოველგვარი მუშაობა ემარჯვება: ი. გოგებ.,  
VI,367,42...

სპეციალურ ლიტერატურაში მითითებულია, რომ ეს წარ-  
მოება ისევე უსწრებს ქართულში ვნებითის ჩამოყალიბებას, რო-  
გორც პოტენციალისი უსწრებს ვნებითს იმავე ქართველურ  
ენებში<sup>60</sup>.

წარმოებითა და სინტაქსური კონსტრუქციით ადრინდელი პო-  
ტენციალისის სახეზე მიგვანიშნებს ეძინება ზმნა (შდრ. ზან.  
ა-ნ-ჯირ-ე-ნ — ძვ. ქართ. ე-ძინ-ებ-ი-ს). აქაც სუბიექტი მიცემით-  
შია ისევე, როგორც ეს დამახასიათებელია ამ შინაარსის მქონე ორ-  
პირიანი ზმნისათვის.

პოტენციალისის გაგებით ეს სიტყვა გვაქვს ქანურში: ეძი-  
ნება — ანჯირენ: ანდლა ... დიდო მანჯირენ: ჰან., I,158,9 —  
დღეს ძალიან მეძინება. მეგრულში შემორჩა დაწოლის მნიშ-  
ვნელობა. ანჯირენ კი შეიცვალა ალურუაფუ სიტყვით.

ეძინება ზმნის სტატიკური ფორმაა სძინავს. ქანურ-  
ში სძინავს (=ჯანს) ქვემდებარეს მოითხოვს სახელობით  
ბრუნვაში: ბოზო ლამბას მოდვინერი ჯანს: ულ. ჰან., 137,26 —  
ქალიშვილს (=ქალიშვილი) ანთებულ სანთელთან სძინავს, შდრ.  
სევანური: ბეფშეჩუ იეჟე — ბავშვს სძინავს.

<sup>59</sup> არნ. ჩიქობავა. ქანურის გრამატიკული ანალიზი, გვ. 112; მისივე,  
პოტენციალისის კატეგორია ქართველურ ენებში, გვ. 32—39; გ. კარტოზია,  
მასალები ლაზური ზეპირსიტყვიერებისათვის, გვ. 143.

<sup>60</sup> ქ. ლომთათიძე, მიჩნევის (მოჩვენების, მოჩვენებითობის) კატეგო-  
რიისათვის აფხაზურ-ადიღურ ენებში და შესაბამისი ზმნური წარმოების საკითხი  
ქართულში: „იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება“, XVII, 1970, გვ. 160.

სძინავს ზმნის მნიშვნელობით მეგრულში დამკვიდრებულია ლურს (ქართ. თვლემს, სიტყვასიტყვით: რული//ლულორ აქვს მოკიდებული), რომელსაც ქვემდებარესთან ურთიერთობისას სახელობითის პარალელურად მიცემითის კონსტრუქციაც გაუჩნდა: კოჩი ლურს//კოს ლურს (კაცს სძინავს), მა ბლურქ//მა ბლურს (მე მძინავს) და ასე: სერით ბლურს: ხალხ. სიტყვ. 41,18 — ლამე მძინავს; ხენწიფემ სქუასგ ლურდუ: ყიფშ. 68,8 — ხელმწიფის შვილს ეძინა, შდრ. ქართ. თვლემს: ჩიხში თვლემს თბილის-სოკის მატარებელი: ე. ყიფშ., I,34,6, მაგრამ: მეცხვაარეს თვლემს: ვაჟა, V,41,24...

მიცემითში დაისმის მეგრ. აჭუ'ს (ეწვის, სტკივა) ქვემდებარე წინადადებაში: ბაღანას აჭუ დუდი (=ბავშვს სტკივა თავი). მეგრულის სენაკურ კილოკავში შემონახულია ამ ზმნის ორივე პირი: მა მაჭუ დუდი (მე მტკივა თავი), სი გაჭუ დუდი (შენ გტკივა თავი), თის აჭუ დუდი (მას სტკივა თავი), შდრ. ქორძირუნქენი, გური მაჭუ: ყიფშ., 110,10 — რომ დაგინახავ გული მტკივა.

ზუგდიდურ-სამურზაყანულში ორპირიანი აჭუ (დუს/ც აჭუ) ერთპირიანად ქცეულა, რის შედეგადაც სახელობითში დასმულ სახელს, მორფოლოგიურ სუბიექტს, ენაცვლება მიცემითში დასმული სახელი, რომელიც, ამ შემთხვევაში, წინადადების პეორეხარისხოვანი წევრია: დუცუ მაჭუ: ყიფშ., 69,25 — თავი მტკივა (სიტყვასიტყვით: თავში//თავზე მტკივა)...

ჭანურში შემონახულია სენაკურის მსგავსი ვითარება: თი მაწკუნენ, ქორბა მაწკუნენ...: ჭან., II,71,23 — თავი მეტკინება, მუცელი მეტკინება... ბერეს თი წკუფს — ბავშვს თავი სტკივა.

სვანურშიც ქართულისებური კონსტრუქციაა: სუბიექტი მიცემით ბრუნვაშია, რეალური ობიექტი — სახელობითში: ბეფშვს თხვიმ ზეზგი — ბავშვს თავი სტკივა.

წინადადების მთავარი წევრისაგან მეორეხარისხოვანი წევრის მიღების არა ერთი შემთხვევა იცის ქართული ენის ისტორიამაც.

სახელობითისა და მიცემითის, როგორც ქვემდებარისა და დამატების, დაპირისპირებისას რიცხვში შეთანხმების დროს უპირატესობა ერთ-ერთი მათგანის მხარეზეა, შდრ. „სტანციებში ცხენები ხშირად აკლდებათ“ (ი. ჭ. „მგზ. წერ.“) — მათ აკლდებათ ცხენები — ზმნა შეთანხმებულია მიცემითთან მათ, შდრ. გაკვეთილს აკლდებიან მოწაფეები — გაკვეთილებს აკლდებიან მოწაფეები — აქ ზმნა ეთანხმება სახელობითს<sup>61</sup>.

<sup>61</sup> არნ. ჩიქოვაძე, მარტივი წინადადებას ევოლუციის ძირითადი ტენდენციები ქართულში: საქართველოს სსრ მეცნ. აკადემიის მოაზბე, ტ. II, № 6, 1941, გვ. 566.

ასეთივეა: ნიჩბებიც მოუხმარებელი და რ ჩ ა თ ჩემს ა მ ხ ა -  
ნ ა გ ე ბ ს: ვაჟა, V, 163, 12...

ამით აიხსნება სახელობითან შეუთანხმებლობა მაშინაც, რო-  
დესაც მიცემითში დასმული სახელი მხოლოდით რიცხვშია:  
კ რ უ ხ ს წ ი წ ი ლ ე ბ ი აკლდა: ვაჟა, V, 191, 5...

ინვერსია არა გვაქვს ასეთ შემთხვევებში: ზოგიერთებს ექვსი  
ქ ი ე ბ ი შე უ ს ხ დ ნ ე ნ: მ. ჯავახ., III, 241, 27; დალილებს  
ს ხ ვ ე ბ ი ე ნ ა ც ვ ლ ე ბ ო დ ნ ე ნ საკაცის ზიღვაში: ვაჟა, VII, 126, 4...

§ 24. მერყეობა ცოცხალ მეტყველებაში. ქართული სალიტე-  
რატურო ენისათვის მტკიცე ნორმა და მკვიდრებული: გარდაუვალ  
ზმნასთან ქვემდებარე სახელობით ბრუნვაშია გარდა ზოგი სტატი-  
კური ზმნისა (მ ა ს უ ყ ვ არ ს, ს ძ უ ლ ს, ს ტ კ ი ვ ა... ი გ ი). ქართული  
ენის დასავლურ დიალექტებში (გურულში, აჭარულში, ლეჩხუმურ-  
სა და ქვემოიმერულში) უპირატესად და შედარებით ლაბილურად  
ქართულში, კახურში, ფერეიდნულსა და იმერხეულში შენიშნუ-  
ლია მოთხრობითში დასმული ქვემდებარე სახელობითის მაგივრად  
გარდაუვალი ზმნის მეორე სერიის ფორმებთან.

გურულში<sup>62</sup>, აჭარულში<sup>63</sup>, ლეჩხუმურსა<sup>64</sup> და ქვემოიმერულ-  
ში<sup>65</sup> დრო-კილოთა მეორე სერიაში გარდაუვალი ზმნები (ერთ-

<sup>62</sup> ს. ე ლ ე ნ ტ ი, გურული კილო, 'ტფილისი, 1936, გვ. 69; პ. ჯ ა ჯ ა -  
ნ ი ძ ე, სინტ-ქსური მოვლენები გურულში: აღ. წულუკიძის სახელობის ქუთა-  
ისის სახელმწიფო პედინსტიტუტის შრომები, 33, 1970, გვ. 258—259; ივ. ქ ა ვ -  
თ ა რ ა ძ ე, ე. ნინოშვილის ენის ძირითადი საკითხები: „მნათობი“, 1959, № 7,  
გვ. 137; ვ. თ ო ფ უ რ ი ა, სინტაქსური ანალოგიის ერთი შემთხვევა ქართულში  
დიალექტების მიხედვით: „ჩვენი მეცნიერება“, 1, 1923, გვ. 117; ა. კ ი ზ ი რ ი ა,  
ქვემდებარე-შემასმენლის ურთიერთობა ქართული ენის დასავლური დიალექტების  
მიხედვით: „ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები“, IV, 1974, გვ. 81—82,

<sup>63</sup> ჯ. ნ ო ლ ა ი დ ე ლ ი, აჭარული კილოს თავისებურებანი, ბათუმი, 1960;  
გვ. 41; შ. ნ ი ე რ ა ძ ე, ქართული ენის ზემოაჭარული დიალექტი, ბათუ-  
მი, 1961; გვ. 117; მისივე, აჭარული დიალექტი, ბათუმი, 1975, გვ. 156...

<sup>64</sup> შ. ძ ი ძ ი გ უ რ ი, ძიებანი ქართული დიალექტოლოგიიდან, თბ., 1954,  
გვ. 174; მ. ა ლ ა ვ ი ძ ე, ლეჩხუმურის თავისებურებანი: ქუთაისის პედა-  
გოგიური ინსტიტუტის შრომები, II, 1941, გვ. 234.

<sup>65</sup> შ. ძ ი ძ ი გ უ რ ი, ძიებანი ქართული დიალექტოლოგიიდან, გვ. 153.  
მისივე, К характеристике нижненмерского говора грузинского языка: Па-  
мяти акад. Н. Я. Марра, М.—Л., 1938, с. 132; ო. კ ა ხ ა ძ ე, ოკრიბულის  
თავისებურებანი: „იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება“, VI, 1954, გვ. 179;  
ქ. ძ ო წ ე ნ ი ძ ე, ზემოიმერული კილოკავი, თბ., 1973, გვ. 296; ლ. კ ვ ა ნ -  
ტ ა ლ ი ა ნ ი, სოფელ გუბის მეტყველების თავისებურებანი: საქარ.:ველოს სსრ  
პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტთა მეოთხე სამეცნიერო კონფერენციის თეზი-  
სები, სტალინირი, 1952, გვ. 33; პ. გ ა ჩ ე ჩ ი ლ ა ძ ე, იმერული დიალექტის ხა-  
ნურ-ზეგნური მეტყველება: „იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება“, VIII, 1956,  
გვ. 144.

პირიანიცა და ორპირიანიც) ერთნაირად იგუებენ ქვემდებარეს სახელობითსა და მოთხრობითში. ამის შედეგად ერთმანეთის გვერდით გვაქვს:

### ს ა ხ ე ლ ო ბ ი თ ი

### მ ო თ ხ რ ო ბ ი თ ი

#### გ უ რ უ ლ ი

მევიდა ს ი ძ ე: ქართ. დიალ., მევიდა სალამოს დ ე ვ მ ა: 428,15; წვევიდა მ ა მ ა ჩ ე მ ი: იქ- ქართ. დიალ.. 423,15; წვევიდა ვ ე, 421,27; გამევიდა გ ო გ ო: ახლა მ ე ო რ ე მ: 419; ყმაწ- 426,18; წამევიდა დ ე დ ა ბ ე რ ი: ეილმა წვევიდა: 423,7... 432,1...

#### ა ჭ ა რ უ ლ ი

მივდა ის ბ ი ჭ ი იქა: ქართ. მივდა მ ე ლ ა მ მეწისქვი- დიალ., 407,12; მოვდა დელი მ ე- ლესან: ნოლ. აჭარ., 114,25; მო- ჰ მ ე დ ი: ნოლ. აჭარ., 79,12; ად- ვლა დ ე ლ ი მემედმა: ნოლ. ვა ის ლარიბი გ ლ ე ხ ი: ნიუ. ზე- აჭარ., 79,32; ადგა ამ დ ე დ ა- მ ო აჭარ., 201,25; კ ა ც ი წევდა: ბ ე რ მ ა: ქართ. დიალ.. 402,8; ქართ. დიალ., 405,15... წევდა ამ კ ა ც მ ა: ქართ. დი- ალ., 407,27...

#### ლ ე ჩ ხ უ მ უ რ ი

ზ ა მ თ ა რ ი ც მოახლოვდა: კ ა ც მ ა ადგა: მ. ალავ. ლეჩხ. ქართ. დიალ., 488,34; ახტნა ე ახა- თავისებ. ქუთაისის პედინსტ. ლი ქ ა ლ ი: იქვე, 497,24; ძ რ ო- შ რ., II,234,12; ამ ქ ა ლ მ ა- ზ ა კ ტ ე ზ ე გადავარდა: 487,32; დაფიქრდა: იქვე, 234,13; ი ა- ს ტ უ მ ა რ ი წამოდგა: მ. ალავ. ს ო ნ ა მ წ ა ბ ა რ ბ ა ც ლ ა: შ. ძი- ლეჩხ. თავისებ., 244,4... ძიგ., ძიებანი, 174,15...

#### ქ ვ ე მ ო ი მ ე რ უ ლ ი

ბოლოს მევიდა გ ე მ ი: ქართ. მივიდა ე ბ ი ჭ მ ა მეფეს- დიალ. 472,35; მივიდა მესამე- თან: ქართ. დიალ., 475,4; წვევი- დღეს ე ბ ი ჭ ი: იქვე, 474,26; სუ- და ამ ბიჭმა: 475,1; ხ პ ო მ გ ე- ნელი ძ მ ა ი წვევიდა: 471,18; წა- ეკიდა ჯ ო რ ს: 473,7; სოლომონას- მ ე ვ ი ლ მ ა არ დადგა: 472,41... მევიდა ტ რ ე დ ი: 475,21; გამე- ეკიდა სულელი თავგებს: 474,4...

ქართლურში<sup>66</sup>, კახურში<sup>67</sup>, ფერეიდნულსა<sup>68</sup> და იმერხეულში უპირატესად სახელობითის კონსტრუქციას გარდაუვალი ზმნა-შემასმენლის II სერიის დრო-კილოებთან, მაგრამ არც ისე იშვიათად გვხვდება მოთხრობითის კონსტრუქციაც:

### ქ ა რ თ ლ უ რ ი

ადგა ე ბ ი ჭ ი: ქართ. დიალ., დილით ცოლმა ადგა: 302,10; წამოვიდა ეს კაცო სახ- ქართ. დიალ., 321,12; ხუთ- ლში: 316,29; ხუთკუნქულა კუნჭულამ მივიდა ხენწი- ისევე წავიდა თავის ძმებთან: ფესთან: 296,39; მივიდა და- 295,27; კაცო წავიდა: 297,9; მამა: 287,10; ამ კაცმა შეე- ადგა მდგვი: 295,7... კითხა: გრ. იმნაიშვ. ქართლ., 238,30...

### კ ა ხ უ რ ი

სოვდაგარი წავიდა: ქართ. წავიდა ნაცარქექიამ: დიალ., 183,9; მივიდა ერთი მო- ა. ჩიქობავა, გარეკახ. დიალ. ხუცი: 186,10; ადგა ე კაცი: „არილი“, 74,5; იმ ბიჭებმა გავიდნენ კალოზე: იქვე, 83,27.

### ფ ე რ ე ი დ ნ უ ლ ი

ქარიმხანი რო მოდდა: ქერიმხანმა მოდდა: ფე- ფერეიდნ. ტ. მ. თოდუა. ქართ. რეიდნ. ტ., 32,20; მოდდა ქე- სპარს. ეტ., 11,56,32; ვმა ჩა- რიმხანმა: იქვე, 32,14; ვარდა: ა. ჩიქობავა. ფერეიდნ., ერთი მორწყავმა წავი- 224,15... და: ჩიქ. ფერ., 242,7...

<sup>66</sup> ე. თოფურია, ქართლური: „არილი“, 1925. გვ. 146; გრ. იმნაიშვილი, ქართლური დიალექტი, I, თბ., 1974, გვ. 238—239; ვ. სომხიშვილი, ქანის ხეობის მეტყველება, ცხინვალი, 1968, გვ. 82; ალ. ლლონტი, ქართლურა ზღაპრები და ლეგენდები, თბ., 1948, გვ. XV; ზ. სარჯველაძე, ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის საკითხები, თბ., 1975, გვ. 244.

<sup>67</sup> არნ. ჩიქობავა, გარეკახეთი დიალექტოლოგიურად, „არილი“, გვ. 74; არ. მართროსოვი, და გრ. იმნაიშვილი, ქართული ენის კახური დიალექტი, თბ., 1956, გვ. 131; ზ. სარჯველაძე, ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის საკითხები, გვ. 214.

<sup>68</sup> არნ. ჩიქობავა, ფერეიდნულის მთავარი თავისებურებანი: ტფილისის უნივერსიტეტის წიგნბე. ტ. VII, 1927, გვ. 217; ზ. სარჯველაძე, ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის საკითხები, გვ. 244.



წეჭდა ქოროლლი: ქართ. დიალ., 387,16; მოვიდა ქოროლლი: 388,4; შინ დაბრუნდა ქოროლლი: 386,11...

წეჭდა მემრე თეპარ მიროზამა: ქართ. დიალ., 381,5; მოვიდა ქოროლლიმ: 386.2; ბებერმა მივიდა ფაშასთან: 386,37... და ა. შ.

აჭარულში (ხელვაჩაურის რაიონის სოფ. კირნათის, მარადიდის, ჭარნალისა და თხილნარის და ქობულეთის რაიონის სოფ. კობლაურის მცხოვრებთა მეტყველებაში) შენიშნულია მოთხრობითის კონსტრუქცია ზმნათა პირველი და მესამე სერიების ფორმებთანაც<sup>69</sup>. მაგალითად: ხელმწიფემ კლავს: კირნ. პ. ჭაჭანიძე. სინტ. მოვლ. 259,16; თამადამ გადაჭრის საკითხს: იქვე, 260,16.... მოადგილემ პასუხი ვერ გუუცია: ჭარნ., პ. ჭაჭანიძე, სინტაქს. მოვლ., 261,17; ქაჯებმა საჩეჩელით დეეჩხლიტენ: კობ. ჭაჭანიძე, სინტ. მოვლ. 261,18...

მოთხრობითის კონსტრუქცია გარდაუვალი ზმნის მეორე სერიის ფორმებთან მეგრულს მოგვაგონებს; გარდამავალი ზმნის პირველი, მეორე და მესამე სერიების ფორმებთან — ჭანურს. მაგრამ მეგრულისა და ჭანურისაგან განსხვავებულიცაა: მეგრულში ზმნათა მეორე სერიის ფორმებთან მხოლოდ მოთხრობითის კონსტრუქცია გვაქვს. აჭარულსა, გურულსა და სხვა კილოებში მოთხრობითის კონსტრუქცია გარდაუვალ ზმნასთან მყარი არაა: თანაბრად გვაქვს სახელობითისა და მოთხრობითის კონსტრუქციები.

ჭანურში მოთხრობითის კონსტრუქცია გვაქვს გარდამავალ ზმნებთან, აჭარულში კი შენიშნულია გარდამავალთანაც და გარდაუვალთანაც, შდრ. საქათმე ვერ გააკეთეფს კაცმა: მ. ცინცაძე, კირნათ-მარად. მეტყვე., გვ. 16; ჯემალამ რაქთხოვდა: იქვე... და: საქონელმ არ მოდის: პ. ჭაჭანიძე, სინტ. მოვლ. 259,15, ბაღნებმა სიცილით კტებიან: იქვე...

<sup>69</sup> მ. ცინცაძე, კირნათ-მარადიდის მეტყველების თავისებურებანი: შ. რუსთაველის სახელობის ბათუმის პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტთა შრომები, I, 1954, გვ. 15—16; პ. ჭაჭანიძე, სინტაქსური მოვლენები გურულში: აღ. წულუკიძის სახელობის ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, 33, ქუთაისი, 1970, გვ. 249, 262; შ. ნიქარაძე, აჭარული დიალექტი, ბათუმი, 1975, გვ. 156; ჯ. ნოღაიძე, აჭარულის თავისებურებანი, ბათუმი, 1960, გვ. 41—42; ნ. მიქელაძე, ქვემოაჭარული კილოკავი: შ. რუსთაველის სახელობის ბათუმის პედაგ. ინსტიტუტის სტუდენტთა XV კონფერენცია. აუზისები, 1960.

არის სხვა განსხვავებაც: როცა ქვემდებარე მოთხრობითშია, პირდაპირი დამატება სახელობითში უნდა იყოს. აჭარულში კი ეს წესი ბოლომდე დაცული არაა. ერთი მხრივ, გვაქვს: დეიჭირავს დ ა თ მ ა ს ა ქ ო ნ ე ლ ი: კობ., ჯაჯან. სინტ. მოვლ., 260,10; მ ა მ ა შ ე ნ მ ა დ ლ ე ს შ ი შ ა ა პ ო ბ ს: კირნათ-მარად., გვ. 16, მეორე მხრივ კი გვხვდება: ლ ო ბ ი ო ს კ უ რ დ ლ ე ლ მ ა ქ ა მ ს: კირნ., 3. ჯაჯანიძე, სინტაქს. მოვლ., 259,27; თ ა მ ა დ ა მ გადაჭრის ს ა კ ი თ ხ ს: იქვე.

გარდაუვალ ზმნებთან მოთხრობითის კონსტრუქციის იშვიათი შემთხვევები, ცოცხალი მეტყველებიდან მომდინარე, დადასტურებული აქვთ ძველ ქართულში ა. შანიძეს, ივ. იმნაიშვილს, ზ. სარჯველაძესა და სხვებს.

მაგალითად:

გარდამოკდეს მ ღ დ ე ლ მ ა ნ აღსავალსა საკურთხეველისა-სა: იოანე ოქროპირის ქამისწირვის ძველი რედაქცია, 117,67<sup>0</sup>.

მ ა ნ ვ ე მეოტი რისხვისაგან ძმისა მართალი წარმოუძღუა: სიბრძ., 10,107<sup>1</sup>;

მ ა დ ლ მ ა ნ შენმან შემეწიოს: ძვ. ქართ. ლიტურგ., 75,14; მ ა მ ა მ ა ნ ი ო ვ ა ნ ე მ ო კ ლ ე მ ა ნ სიტყვსაებრ მისისა ევედრა ღმერთსა: პატ., 90,107<sup>2</sup>...

მ ა მ ა მ ა ნ მ ა თ მ ა ნ ქ ს ე ნ ე ფ ო რ ე წარვიდა და განყიდა ყოველივე მონაგები თვის: Sin. 52, გვ. 98<sup>3</sup> და ა. შ.

როგორც ვხედავთ, ცოცხალ მეტყველებაში გარდაუვალ ზმნებთან მოთხრობითის კონსტრუქცია დიდი სიძველისაა.

ამ საკითხთან დაკავშირებით ვ. თოფურიას ნათქვამი აქვს: „ქვემდებარე მოთხრობით ბრუნვაში შეეგუა გარდაუვალ ზმნასაც, ცალმხრივი მართვის ნაცვლად მივიღეთ საურთიერთო მართვა... ეს პროცესი მეგრულში კარგა ხანია დამთავრდა... ქართული ენის კილოებიდან ფართოდ გავრცელდა გურულში და აგრეთვე ქვემო-

<sup>70</sup> ა. შ ა ნ ი ძ ე, იოანე ოქროპირის ქამის წირვის ძველი რედაქცია. ძველი ქართული ენის კათედრის შრომები, 19, თბ., 1976, გვ. 195.

<sup>71</sup> ი. ი მ ნ ა ი შ ვ ი ლ ი, სახელთა ბრუნება და ბრუნვათა ფუნქციები ძვ. ქართულში, გვ. 684.

<sup>72</sup> ზ. ს ა რ ჯ ვ ე ლ ა ძ ე, ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის საკითხები, გვ. 244—275.

<sup>73</sup> ა. კ ე ზ ი რ ი ა, მარტივი წინადადების შედგენილობა ძველ ქართულში, გვ. 113.

იმერულში, ფეხს იკიდებს რაჭულში, ქართლურში, კახურში და სხვაგანაც და, რაც საინტერესოა, ფერეიდნულში<sup>74</sup>.

პროცესი უთუოდ დააჩქარა ისეთმა შემთხვევებმა, როდესაც გარდაუვალი ზმნა-შემასმენელი წინ უსწრებს ქვემდებარეს და მოსდევს გარდამავალი, (მაგალითად: „ა დ გ ა ა მ ხ ე მ წ ი ფ ე მ ა და გ ა უ შ ა ლ ა და ლეწა“: ქართ. დიალ., 301,16; ა დ გ ნ ე ნ ა მ ჩ ი ტ ე ბ მ ა და მ ი ძ ც ე ს ვირი: ა. ჩიქობავა, გარეკახ. დიალექტოლოგიურად, 74,18; „წ ა ვ ი დ ა ა მ კ ა ც მ ა და ზევი ღ ა ი-კ ი რ ა“: ვ. თოფურია, „ქართლური“, 146,7), ან ქვემდებარეს მოსდევს გარდაუვალი ზმნა-შემასმენელი, ამ უკანასკნელს -- გარდამავალი („ძმამ მივიდა ძმასთან და უთხრა“: ქართ. დიალ., 319,39).

მეგრულსა და ქართულ კილოებში ამ მოვლენას „საერთო საფუძველი უძევს“... ეს საერთო საფუძველია: ა) ახალწარმოშობილი ერთნაირი ფუნქციის ერთნაირად გამოხატვა ენაში არსებული საშუალებებით; ბ) ენის ტენდენცია რთული ფორმის გამარტივებისაკენ; გ) ენის ტენდენცია სხვადასხვა ფორმის გაერთორომინებისაკენ, უნიფორმაციისაკენ<sup>75</sup>.

## 2. შ ე მ ა ს მ ე ნ ე ლ ი

§ 25. შემასმენლის ფუნქცია და შედგენილობა. შემასმენელი ეწოდება წინადადების ერთ-ერთ მთავარ წევრს, რომლითაც გადმოიცემა ქვემდებარის მოქმედება ან მდგომარეობა. იგი გამოიხატება ზმნით ან ზმნისა და სხვა მეტყველების ნაწილის შეერთებით. ამ უკანასკნელს ეუწოდებთ რთულ ანუ შედგენილ შემასმენელს.

შემასმენლის სინტაქსურ სიძლიერეს განსაზღვრავს მასთან დაკავშირებულ სახელებთან ურთიერთობა: „წინადადების ზეგნებალს, ცენტრალურ მომენტს ზმნა და მასთან მორფოლოგიურად დაკავშირებული სახელები ქმნიან“<sup>76</sup>

შემასმენელ-ზმნას წინადადებაში ძირითადი მნიშვნელობა აქვს, რამდენადაც წინადადების სხვა წევრები (ქვემდებარე, დამატება, გარემოება) გამოიყოფა იმდენად, რამდენადაც მათ სინტაქსურად

<sup>74</sup> ვ. თოფურია, გრამატიკულ მოვლენათა ერთგვაროვანი პროცესი ქართველურ ენებში: „იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება“, VI, თბ., 1954, გვ. 454.

<sup>75</sup> ვ. თოფურია, გრამატიკულ მოვლენათა ერთგვაროვანი პროცესი ქართველურ ენებში, გვ. 455.

<sup>76</sup> არნ. ჩიქობავა, მარტივი წინადადების პრობლემა ქართულში, გვ. 218.

აერთებს შემასმენელი. „უდავოა, რომ იგი (შემასმენელი) აუცილებელია შესიტყვებისათვის, რომ ეს უკანასკნელი წინადადებად მივიჩნიოთ“<sup>76</sup>.

მარტივ შემასმენელში ერთი კომპონენტია, რიგ შემთხვევაში რაიმე სახის (ნაწილაკების დართვა, მეშველი ზმნის გამოყენება...) გართულებით, რთული კი მოიცავს საერთსა და თანასაერთს ან შეერთებულ ორ ზმნას. მასში ერთზე მეტი კომპონენტია.

§ 26. მარტივი შემასმენელი. მარტივი შემასმენელი მხოლოდ ზმნისაგან შედგება. იგი შეიძლება წარმოგვიდგეს მარტავი ან რთული ფუძით, ან დაერთოს ნაწილაკი, ან კიდევ მოხდეს ფუძის რედუქლიკაცია სხვადასხვა ცვლილებით.

ქვემდებარესთან სინტაქსური ურთიერთობის მიხედვით განსხვავებულ ვითარებას წარმოგვიდგენენ გარდაუვალი და გარდაავალი ზმნა-შემასმენლები.

§ 27. გარდაუვალი ზმნა შემასმენლად. გარდაუვალი ზმნა ერთპირიანია ან ორპირიანი. ქართულში ერთპირიან ზმნას ერთი სახელი, სახელობითში დასმული ქვემდებარე, შეეწყობა. ასეთი ქვემდებარე ოდენ გაბატონებული სიტყვაა წინადადებაში, შემასმენელი-ზმნა კი მასზე დამოკიდებული. შემასმენელი იმართვის ქვემდებარის მიერ პირში, მაგრამ ვერ მართავს მის ბრუნვას. მაგალითად: რუსულადანი შინისკენ მიდის: მ. ჯავახ., III, 437, 10; ჩურჩულებს ქალი: ალ. აბაშ., II, 266, 35...; დათვი ტყეში შევიდა: ი. გოგებ., V, 203, 6; დიდი მუხის ახლო ამოსულიყო წვირილი ლერწამი: ი. გოგებ., V, 198, 20...

განსხვავებული მდგომარეობაა ზანური ენის მეგრულ დიალექტში: მეგრულში ერთპირიანი ზმნა-შემასმენლის ქვემდებარეც არაა ოდენ გაბატონებული სახელი: დრო-კილოთა მეორე სერიის ზმნა-შემასმენელი ქვემდებარეს მოითხოვს მოთხრობითში, მესამე სერიისა—სახელობითსა და მიცემითში: ჯიმაქ მიდართ ონადირუშა: ყიფშ., 27, 15 — ძმა წვეიდა სანადიროდ; კოჩი გვალო გაკეთებე: ხუბ., 109, 25; კოლონას მინულებუ მარანიშა: ყიფშ., 127, 9 — კოლო შესულა მარანში.

ქანურსა და სვანურში გარდაუვალი ზმნა-შემასმენელი ქვემდებარეს ჩვეულებრივ მოითხოვს სახელობით ბრუნვაში: კულანი ნულუნ: ხოფ., 154, 10 — გოგო მოდის; ოხორჯა გუიქთუ ყონაშე: ქან., I, 37, 15 — ცოლი დაბრუნდა ყანიდან; მგერი ქოგოიქუდორენ: ქან., II, 12, 9 — მგელი დამწვარა, შდრ. სვანური: ოთარ ლექქ'

<sup>76</sup> არნ. ჩიქობავა, მარტუვი წინადადების პრობლემა ქართულში, გვ. 123.

ანლრი მიჩეშთეფსგა: ბქვ., 125,2ბ — ოთარი ქვევით მიდის თავის-  
თან; ანჯად ვერბ: ბქვ., 139,30 — მოვიდა ორბი; ლეაშ ჩვამეშ-  
ყედ ეჩელექვა: ლენტ., 285,28 — ჟიხვი ჩამოვარდნილა ქვევით...

გარდაუვალი ორპირიანი ზმნა-შემასმენელი ორ სახელს შე-  
იწყობს: სახელობითში დასმულ ქვემდებარეს და მიცემითში დას-  
მულ დამატებას, ირიბ დამატებას. ეს უკანასკნელი მართავს ზმნის  
პირს და იმართვის ბრუნვაში: ირემი მონადირეებს ვაზებში დაემა-  
ლა: ი. გოგებ., V,197,24; იმ ბედნიერს ღამეს ჩემს თვალებს ძილა  
არ მიჰკარებია: ილია, I,304,32...

მეგრულში ორპირიანი გარდაუვალი ზმნა-შემასმენელი  
ქვემდებარეს შეიწყობს სახელობითსა და მოთხრობით ბრუნვებ-  
ში, დამატებას — მიცემით ბრუნვაში. მოთხრობითშია ქვემდებარე  
მეორე სერიის ზმნა-შემასმენლებთან: სქუაქ მუმას ჩამეშორჯ: ხუბ.,  
223,3 — შეილი მამას ჩამოშორდა...

ქანურში ორპირიანი გარდაუვალი ზმნა-შემასმენელი ქვემ-  
დებარეს მოითხოვს სახელობით ბრუნვაში, დამატებას — მიცე-  
მითში: ობოი დვაკუ ხინის: ხოფ., 66,25 — სახლი დაეწვა დედა-  
ბერს; ზოჯა ეკაჰიმუ ჰემუს: ქან., II,32,37 — ხოჯა დაეწია მას;  
შდრ. სვანური: ეჩქ'ში ლიცს დწე ჰაფსენა: ბზ., 24რ,36 — იქა-  
ურ წყალს დევი ეპატრონება; მეცქვილ ამჯად ოთარიშან: სვ. პ.,  
94,14 — მოციქული მომივიდა ოთარისაგან; ეშხუ მუწვან ლახ-  
მუშგერენა ლელტხას მეზგა: ბზ., 57,8 — ერთი სვანი სტუმრებია  
ლენტეხში ოჯახს.

§ 28. გარდამავალი ზმნა შემასმენლად. გარდამავალი ზმნა  
ორპირიანია ან სამპირიანი. ორპირიანს ახლავს ქვემდებარე და პირ-  
დაპირი დამატება, სამპირიანს — ქვემდებარე, პირდაპირი დამატე-  
ბა და ირიბი დამატება. ზმნა-შემასმენელი მართავს ქვემდებარე-  
დამატებების ბრუნვას, ქვემდებარეცა და დამატებებზეც მართავენ  
ზმნის პირს: სოფიო ჩემს ერთადერთ თეფშს ასუფთავენს: ნ. დუმპ.,  
74,25; ირემმა დააპირა გაქევეა: ილია, I,264,3; კესოს ტახტზე გა-  
დაეშალა დახაზული ქალაღი: ილია, I,454,15...

სამპირიანი ზმნა-შემასმენელი პირველსა და მეორე სერიაში  
სამ სახელს შეიწყობს: ბრუნვაცვალებად ქვემდებარეს, ბრუნვა-  
ცვალებად პირდაპირ დამატებასა და მიცემითში დასმულ ირიბ და-  
მატებას: მეზრე აპეურებს შოუსინჯავს მოზვრებს: რ. ინან., 105,10:  
ელიზბარმა თოფს ფალია გამოუცვალა: ვაჟა, VI,195,33...; მესამე  
სერიაში კი ორპირიანი ხდება: შეეწყობა მიცემითში დასმული  
ქვემდებარე და სახელობითში დასმული პირდაპირი დამატება. ირი-  
ბი დამატება კარგავს თავის სინტაქსურ ძალას, დაისმის ნათესაო-

ბითში, ირთავს თანდებულს და იქცევა პირმიუმართავ დამატებად: იმ ლორებს ერთმანეთისათვის ბევრჯერ წაუთავაზებიათ ღინგი: ილია, I,325,25; ღირექტორს შენიშვნა მიეცა მასწავლებლისათვის: აკაკი, IV,44,5...

გარდამავალი ზმნის მესამე სერიის ფორმები ემთხვევა სტატიკური ვნებითის ფორმებს, როგორცაა: უ გ დ ი ა, უ წ ე რ ი ა, უ კ ი ღ ი ა, უ თ ე ს ი ა... „გარდამავალ ზმნათა თურმეობითი პირველი და ხსენებული სტატიკური ფორმები ერთმანეთთან შინაგან კავშირშია: გარდამავალ ზმნათა თურმეობითი პირველი წარმოშობით სხვა არაფერია, თუ არა სტატიკურ ზმნათა საობიექტო ვერსია“<sup>77</sup>... გარდამავალი ზმნის პირველი თურმეობითი „ნაწარმოებია სტატიკური ვნებითის სასხვისო ქცევის ფორმით“<sup>78</sup>, ხოლო მეორე თურმეობითი — „როგორც სტატიკური ვნებითის წყვეტილი“<sup>79</sup>.

ასევე ერთნაირი ფორმები აქვთ მოქმედებითი გვარის მეორე თურმეობითსა და ვნებითი გვარის ნამყო ძირითადს<sup>80</sup>. ჩემს მოხვევს ჩამოეფხატა ბანჯგვლიანი ქული: ილია, I,258,16; მებორნეს იდაყვი მუხლზე დაებჯინა: კ. გამს., I,16,29...

სვანურსა და მეგრულში ქართულისებური ვითარებაა: 'მღრ. მეგრული: ბოში თბილანს ჩხოულენს. ხუბ., 170,10 — ბიჭი მწყემსავს ძროხებს; ჩქიმი ბედი ეუდეშა მომილანს ირფელ ჯგირსია: ხუბ., 25,17 — ჩემი ბედი სახლში მომიტანს ყოველგვარ კარგსო; ბოშიქ ძალამი გოლახუ ე კოჩი: ხუბ., 65,23 — ბიჭმა ძალიან გალახა ეს კაცი; მათაქ ქიმეჩგ თინა მეწამალეს ჩილო: ყიფშ., 11,26 — მეფემ მისცა იგი მეწამალეს ცოლად...; ათენერი კოჩიშა შეუჩამუ მუაჩქიმს ჩქიმი დუღია: ხუბ., 50,4 — ასეთი კაცისათვის მიუცია მამაჩემს ჩემი თავიო...

სვანური: მეშხე დაკვლ ცხეკის ხეკვფხი: სვ. პ., 244,28 — შავი თბა ნეკერს ჭამს; ლექვისირი მუთვერიდ ლენტეხან მამასახლისს ჭიშხ ჩათვლ ლახვემ: ლენტ., 8,36 — ლექსურის მასწავლებელმა ლენტეხის მამასახლისს ფეხსაცმელი მისცა...

ქანურში გარდამავალი ზმნა-შემასმენელი ქვემდებარეს მოითხოვს მოთხრობით ბრუნვაში, პირდაპირ დამატებას — სახელობითში, ირიბ დამატებას — მიცემითში: ქურიქ წიპილი ჭოფუმს: ჭან., II,75,11 — ქორი წიწილს იჭერს; ხოჯაქ დობონუმს ჭინაზე:

<sup>77</sup> არნ. ჩიქობავა, ინვერსიული ზმნები და სახელთა კვალიფიკაცია, გაზ. „სახალხო განათლება“, 3. X. 1946.

<sup>78</sup> ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, გვ. 435.

<sup>79</sup> იქვე, გვ. 438.

<sup>80</sup> იქვე, გვ. 442; თ. უორდანი, ქართული გრამატიკა, ტფილისი, 1889: გვ. 10.

ქან., II,67,33 — ხოჯა დაბანს მიცვალბულს; თილიქ სთოლი ქო-  
ლოდგუ: ქან., II,99,30 — მელიამ მაგიდა დადგა; ბეეშ ნანაქ ოხო-  
ჯას შეჩაფს ფარა: ხოფ., 60,2 — ბაეშვის დედა ქალს მისცემს  
ფულს; დოხოთიქ უშკიი ქომეჩენ: ხოფ., 144,18 — ექიმს ვაშლი.  
მიუცია.

მარტივი შემასმენელი მიიღება რთული შემასმენლას გაცვეთი-  
თაც. ასეთებია: ბნელა (—ბნელ არს), ცივა (—ცივ არს), ცხელა.  
(—ცხელ არს)<sup>81</sup>...

§ 20. გავრცობილი შემასმენელი. მარტივი შემასმენელი შე-  
იძლება გადმოიცეს რთული ზმნითაც, თუ „მეშველზმნიანი ფორ-  
მები მწკრივის ფორმებია“. ასეთ ფორმებად ქართულში მიჩნე-  
ულია:

1. ზოგი გარდაუვალი ზმნა პირველსა და მეორე პირში: მეც  
სასწავლებლად მივიდივარ თბილისში: ნ. დუმბ. 72,12; შენ  
ძალიან გვიყვარხარ: ნ. დუმბ., 73,14; ვუყვარვარ ყმა-  
წვილს: ა. ბელ., ძალა სიყვარულისა, 15,35...

2. ერთპირიან ზმნათა III სერიის ფორმები: უთუოდ ვყო-  
ფილვარ (აკაკი); ფრიად დავმტკბარვარ (ვაჟა); მზე  
ამოსულიყო: მ. ჯავახ., II,51,10...

3. ორპირიანი გარდაუვალი ზმნა პირველ თურმეობითში: შენ  
მე აღარ გამომლაპარაკებხარ (ვაჟა)...

4. გარდამავალი ზმნა პირველ თურმეობითში: როდესაც ქვემ-  
დებარედ პირველი პირია, დამატებად — მეორე, ან ქვემდებარედ  
მეორე პირია, დამატებად — პირველი; ან კიდევ ქვემდებარედ მე-  
სამე პირია, დამატებად — პირველი თუ მეორე: მე შენ დამი-  
ხატვიხარ, შენ მე დავიხატვივარ...; გამდელს მომცი-  
ნარი ვუნახივარ: აკაკი, IV,10,25<sup>82</sup>.

გავრცობილია მარტივი შემასმენელი მაშინაც, როდესაც გვაქვს  
რთული ზმნა, რომლის შემადგენლობაში ისე შერწყმულია წინა-  
დადების სხვა წვერი, რომ დამოუკიდებელი სახე დაუკარგავს. ასე-  
თებია: შეურაცხყო, ჯმაცო, ცხადყო...<sup>83</sup>

<sup>81</sup> ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, გვ. 528—529.

<sup>82</sup> ა. შანიძე, ლ. კვაქაძე, ქართული ენის გრამატიკა, II, სინტაქ-  
სი, თბ., 1966, გვ. 15.

<sup>83</sup> ა. შანიძე, ძველი ქართული ენის გრამატიკა, თბ., 1976, გვ. 125;  
ქ. თევზაძე, რთული ზმნები ქართულში წარმოქმნის კატეგორიების მიხედ-  
ვით: ა. ს. პუშკინის სახელობის თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის  
შრომები, ტ. 15, 1960, გვ. 192; მისივე, რთული ზმნის მიმართება შედგენილ შე-  
მასმენელთან: ა. ს. პუშკინის სახელობის თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური ინ-  
სტიტუტის შრომები, ტ. 14, 1959, გვ. 188.

ასეთი შემასმენლები შედარებით ნაკლებად იხმარება ახალ ქართულში, ძველ ქართულში კი ჩვეულებრივი იყო<sup>84</sup>, შდრ. ონი-სემ შეურაცხყო თემის ზნეობრივი რწმუნება: ა. ყაზბ.. II, 420, 6; შეჯობრებამ ცხადყო საქართველოს მოკიდევითა მზარდი ოსტატობა („ახალგაზრდა კომუნისტი“) და ძვ. ქართულში: მეკმა-ვყავკმითა დიდითა: დაბ., 39, 14; ჰეროდე შეურაცხ-ყო იგი: DE ლ 23, 11; ინაქ-იდგა კაცებმან მან: C ი 6, 10 და ა. შ.

მთავარ წევრთა შემოერთებით შემასმენელმა დაკარგა ერთი პირის გაგება, რის გამოც სამპირიანი იქცა ორპირიანად (ამბორს-უყო, კმა-უყო...), ორპირიანი კი ერთპირიანად (კმა-ყო, კელ-იწიფა, ინაქ-იდგა...), მეორე მხრივ, შეურაცხყო ტიპმა, რომელიც შედგენილია პირდაპირი დამატებისა და ყო შემასმენლისაგან, შეიძინა ახალი პირდაპირი დამატება: „ონისემ შეურაცხყო თემის ზნეობრივი რწმუნება“...; ასეთი ევოლუცია გვაქვს ძველ ქართულშიც: გულისკმა-ყო იესუ ზრახვაჲ იგი მათი: C მ 9, 4<sup>23</sup>.

გავრცობილ შემასმენლად წარმოგვიდგება ე. წ. აღწერილობითი ანუ პერიფრასტული ვნებითი, რომელიც შედგება მეშველი ზმნისა და მიმღეობისაგან, აქედან „საუღლებელი ზმნა კნ. წარსულ-დროიანი მიმღეობის სახით არის წარმოდგენილი, ზოლო მწკრივის წარმოება მეშველ ზმნას აქვს დაკისრებული. მეშველად გამოყენებულია „იქნება“, „იქნა“...; აღწერილობითი ზმნები არ შეიძლება აწმყოს წრეში შეგვხვდეს“<sup>85</sup>, შდრ. დაიწერა — დაწერულ იქნა, დაწერილ იქნება; აშენდა — აშენებულ იქნა, აშენებულ იქნება; წერილი დაწერილ იქნა; წერილი დაწერილ იქნება; სახლი აშენებულ იქნა; სახლი აშენებულ იქნება...; ზაპესის ერთი გენერატორი გამოყოფილ იქნა კამარელის განკარგულებაში: აღ. აბაშ., II, 177, 1.

შემასმენელი, რომელიც გადმოცემულია აღწერილობითი ვნებითით, უნდა გარჩეულ იქნეს შედგენილი შემასმენლისაგან, რომელშიც ვნებითის მიმღეობა შედის. ასეთი შედგენილი შემასმენელი აწმყოს წრეშიც იხმარება. ამას გარდა, II სერიაში მას „იყო“ მოუღდის და არა „იქნა“<sup>87</sup>.

<sup>84</sup> ქ. თევზაძე, რთული ზმნები ძველ ქართულში: ა. ს. პუშკინის სახელობის თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, ტ. 13, 1959, გვ. 405—409.

<sup>85</sup> ა. კიზირია, მარტივი წინადადების შედგენილობა ძველ ქართულში გვ. 171—172.

<sup>86</sup> ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, გვ. 295.

<sup>87</sup> იქვე.



და მაინც ვნებითის ასეთი ფორმა რთულ შემასმენელს მოგვაგონებს. თუ მას გავრცობილ შემასმენელთა არეალში ვაქცევო. მხოლოდ იმიტომ, რომ ნაკვეთელთა სისტემაში შესაფერისი გაფორმება მიუღია.

მეგრულშიც ანალოგიური მდგომარეობაა: ამხანაგიჲ წ ა გ ე ბ უ რ ჯ ი ე უ უ: ყიფშ. 5,5 — ამხანაგი წაგებულ იქნა; სურათიჲ ხ ა ნ ტ ი რ ჯ ი ე უ უ — სურათი დახატულ იქნა...

გავრცობილი შემასმენელი შეიძლება წარმოგვიდგეს სხვადასხვა ნაწილაკის დართვითაც. ეს ნაწილაკები გარკვეულ ნიუანსს აძლევენ შემასმენლით გამოხატულ მოქმედებას ან მთელ წინადადებასაც. ასეთი ნაწილაკებია: კითხვითი (განა, ხომ...), უკუთქმითი (არ, ვერ, ნუ...), გაძლიერებითი (უკვე, კიდევ...), სხვათა სიტყვისა (-მეთქი, -თქო, -ო), მოდალობითი (უნდა, ხოლმე, თურმე...) და სხვა.

მაგალითები: ხორცი ხომ ჩამოიტანე ბაზრიდამ? ილია, I,332,37; მე გულმა არ მომითმინა: ვაჟა, V,16,20; ჩოლოყაშვილმა კარგი ფეხი ვერ მოუტანა სპარსელებს: აკაკი, IV,106,29; ნუ შეჭდება მწყერი ხესა: ილია, I,277,8; პასკევიჩმა აღარ დააყოვნა: მ. ჯავახ.. IV,427,11...; ლურჯამ თითქო გაიგო: აკაკი, IV,33,15; შენ ძალიან კარგად უნდა იცნობდე ამირანს: მ. ჯავახ., III,8,8; კესო... ბალში იყო ხოლმე ყოველდღე: ილია, I,455,30...;

შემასმენელი სხვა სახის გართულებული ფორმითაც გვხვდება. შეიძლება განმეორდეს ზმნური ფორმები, რითაც „გამოხატავს მოქმედების ინტენსივობას, გაზანაღრძლივებულ პროცესს“<sup>88</sup>. ჩვეულებრივ განმეორება ხდება უსრული ასპექტის ფორმებისა: ქათამმა ჩ ხ რ ი კ ა, ჩ ხ რ ი კ ა და თავის დასაკლავი დანა გამოჩხრიკაო (ანდ.); ქალმა ი თ მ ი ნ ა, ი თ მ ი ნ ა და ბოლოს ძმებს უთხრა: ხალხ. სიბრძნე, V,416,22; სინათლე კი მ ო დ ი ს და მ ო დ ი ს: ნ. დუმბ., 495,5; ბრიგადირი უ წ ე რ ს და უ წ ე რ ს შრომა-დღეებს: ე. ყიფ., I,305,7; ერასტი მედუქნე აღერსიანი ღიმილით ტ ვ ი რ თ ა ვ და და ტ ვ ი რ თ ა ვ და ციხის უფროსს: რ. გაბრიაძე, პირველი სიყვარული, „განთიადი“, № 1, 1977, გვ. 61..., მაგრამ გვაქვს სრული ასპექტითაც: ნაცარქექიამ ... გულა მიწაზე და ა ა ნ ა რ ც ხ ა და და ა ა ნ ა რ ც ხ ა: დ. შენგ., II,254,29.

მარტივი გავრცობილია შემასმენელი იმ შემთხვევაშიც, როცა წარმოადგენს ორი ზმნისაგან შემდგარ კომპოზიტს. ასეთი რთული ზმნის პირველი ნაწილი ჩვეულებრივ მოკვეცილია. ეკვეცება პი-

<sup>88</sup> ლ. კ ვ ა ქ ა ძ ე, თანამედროვე ქართული ენის სინტაქსი, გვ. 52; Грамматика русского языка. т. II, Синтаксис, ч. I, М., 1954, с. 405.

რის ნიშანი: არღოვმა მიიხედ-მოიხედა: მ. ჯავახ., IV, 29, 21; ცხენოსანმა მისი ბედაური გააჰქენ-გამოაქენა: აკაკი, IV, 91, 18; დრო-კილოთა მაწარმოებელი: განგებ ავუარ-ჩავუარე გვერდით ჩემს მტერს: აკაკი, IV, 38, 7; ძრავ-ლობითი რიცხვის ნიშანი: ფარეშები... წავიდ-წამოვიდნენ: აკაკი, IV, 19, 30 და ა. შ. მაგრამ გვაქვს მოუკვეციელი ფორმაც, როდესაც პირველ კომპონენტში თავმოყრილია თანხმონები: გარსია გაძვრა-გამოძვრა: მ. ჯავახ., IV, 155, 1, შდრ. მიდის-მოდის ტარეელი, მუცელი აქვს ცარიელი (ანდ.).

ქანურში გავრცობილი შემასმენლის ფორმათა მრავალფეროვნებას ქმნის დრო-კილოთა წარმოების თავისებურებანი: 14 ნაკვთიდან, რომელთაც კილოკავების მიხედვით გამოეყოფათ ცალკეული ვარიანტებიც (მაგალითად, ნანამყოუსრულარ თურმეობით: აქვს ხოფური და ვიწურ-არქაბული ვარიანტები; ნააორისტალ თურმეობითსა და კავშირებით მესამეს — ხოფური და ვიწურ-არქაბულ-ათინური ვარიანტები; ხოფურში გამოიყოფა ჩხალური ქვევარიანტი), მეშველზმნიანია: 1. მყოფადი, 2. პირობითი პირველი, 3. პირობითი მეორე, 4. ნააორისტალი თურმეობითი პირველი, 5. ნანამყოუსრულარი თურმეობითი, 6. ნააორისტალი თურმეობითი მეორე, 7. ნააორისტალი კავშირებითი მესამე, 8. პირობითი (ხოფური), 9. თურმეობითი (ხოფური).

მაგალითები:

1. მყოფადი: კაკიჯექ ჰარასერე მექათუბი — კაკიჯე დაწერს წერილს; კაკიჯექ ჰარასუნონ მექათუბი; კოჩეფექ ჰარასუნონან მექათუბი — კაცები დაწერენ წერილს; მა წკაიშა ვიღამინონ: ხოფ., 78, 21 — მე წყალზე წავალ...

2. პირობითი პირველი: კაკიჯექ ჰარუმტუკონ მექათუბი — კაკიჯეს რომ ეწერა წერილი, კაკიჯე რომ წერდეს; კოჩეფექ ჰარუმტესკონ მექათუბი — კაცები რომ წერდნენ წერილს, კაცებს რომ ეწერათ წერილი...

3. პირობითი მეორე: კაკიჯექ ჰარუკონ მექათუბი — კაკიჯეს რომ ეწერა წერილი; კოჩეფექ ჰარესკონ მექათუბი — კაცებს რომ ეწერათ წერილი...

4. ნააორისტალი თურმეობითი პირველი: კაკიჯექ ჰარუდლორენ მექათუბი — კაკიჯე „ნაწერა“ წერილს; კოჩეფექ ჰარესდლორენ მექათუბი — კაცები „ნაწერან“ წერილს...

5. ნანამყოუსრულარი თურმეობითი: კაკიჯექ ჰარუმტუდლორენ მექათუბი — კაკიჯე თურმე წერდა წერილს; კოჩეფექ ჰარუმტესდლორენ მექათუბი — კაცები თურმე წერდნენ წე-

რილს... ჰემუქ შაკა ნენაფე დიდო ზოპონტუდორენ: ელ. ჰან., 83,29 — ის ბევრ სახუმარო სიტყვებს ამბობდა თურმე...

6. ნ ა ა ო რ ი ს ტ ა ლ ი თ უ რ მ ე ო ბ ი თ ი მ ე ო რ ე: კაკი-ჩექ ჰარუდორტუნ მექთუბი — კაკიჩე „ნაწერიყო“ წერილს; კოჩე-ფექ ჰარესდორტეს მექთუბი — კაცები „ნაწერიყვენ“ წერილს.. და ასე: სი თუთას არ ჭარა ვანა უურ ჭარა მოხთია უწუდორტუ: ელ. ჰან., 24,29 — შენ თვეში ერთჯერ ან ორჯერ მოლიო — ეტყო-ლა თურმე...

7. ნ ა ა ო რ ი ს ტ ა ლ ი კ ა ვ შ ი რ ე ბ ი თ ი მ ე ს ა მ ე: კაკი-ჩექ ჰარუდორტას მექთუბი — კაკიჩე „ნაწერიყო“ წერილს; კოჩე-ფექ ჰარესდორტას მექთუბი — კაცები ნაწერიყვენ წერილს...

8. პ ი რ ო ბ ი თ ი (ხოფური): კაკიჩექ ჰარასუნტუ მექთუბი — კაკიჩე „ნაწერა“ წერილს; კოჩეფექ ჰარასუნტეს — კაცები „ნაწე-რან“ წერილს...

9. პ ი რ ო ბ ი თ ი მ ე ს ა მ ი ს ა გ ა ნ იწარმოება თურმე-ობითის ერთი სახე, რომელიც გვხვდება სარფის მეტყველება-ში: კაკიჩექ ჰარასუნტერენ მექთუბი და ა. შ.

რთული შედგენილობის ნაკვებიდან გამოიყოფა -ერე და მისგან ნაწარმოები ფორმები. ეს ფორმები გვაქვს ნააორისტალ თურმეობით პირველში (მთუთიქ ქოჭკომენ — დათვს შეუჭამია), ნანამყოუსრულარ თურმეობითში (ბადის ჯოლოი მეჩქინეი უყოუნ-ტენ — ბერიკაცს ძალი შეჩვეული ჰყოლია), ნააორისტალ თურ-მეობით მეორეში (ქვა ქაგილინგიბონერეტუ — ქვა ჩამოგორებუ-ლიყო), ნააორისტალ კავშირებით მესამეში (ემუქ ზუმერეტას ია — ის „ნაზომიყოს“ მას)... და ვიწურ-არქაბული და ათინური კილო-კაების მყოფადში (კაკიჩექ ჰარასერე მექთუბი — კაკიჩე დაწერს წერილს...).

ქ. ლომთათიძემ ერე დაუკავშირა ორენ („არის“) მეშველ ზმნას<sup>89</sup>. ეს აზრი გაიზიარეს სხვა მკვლევარებმაც<sup>90</sup>.

უნონ (მინონ, გინონ, უნონ) ერთვის კავშირებით მეორეს და გვაძლევს მყოფადს (ვიდა-მინონ, იდა-გინონ, იდას-უნონ — წავალ, წახვალ, წავა). არნ. ჩიქობავას სპეციალურ გამოკვლევაში ძოცე-მულია ასეთი წარმოების ახსნა<sup>91</sup>.

<sup>89</sup> ქ. ლომთათიძე, ქ სუფიქსისათვის მეგრულ ზმნაში: „იბერულ-კავკასიური ენათმეცნიერება“, I, 1946, გვ. 137—139.

<sup>90</sup> ნ. ნათაძე, მყოფადისათვის ქართველურ ენებში: „ქართველურ ენათ-სტრუქტურის საკითხები“, II, თბ., 1961, გვ. 33—35; ი. ასათიანი, ერე სუფიქსიანი თურმეობითა მეგრულში: „იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება“, XVII, 1970, გვ. 148—179; გ. კარტოზია, არაინვერსიულ თურმეობითა წარმოებისათვის ლაზურში, გვ. 121—126.

<sup>91</sup> არნ. ჩიქობავა, ქანური მყოფადის წარმოებისათვის: საქ. სსრ მეცნ. აკადემიის მოამბე, ტ. V, № 1, 1944, გვ. 115—117.

კონის (რომელიც მომდინარეობს ოკონ ზმნისაგან) დართვით მიიღება ნამყოუსრულისაგან პირობითი პირველი (კაკიჯექ ჰარუმტუკონ მექთუბი — კაკიჯეს რომ დაეწერა წერილი) და აორისტი-საგან პირობითი მეორე (კაკიჯექ ჰარუკონ მექთუბი — კაკიჯეს რომ ეწერა წერილი)<sup>92</sup>.

სხვა შემთხვევაში ჰანურში გავრცობილი შემასმენელი იწარ-მობება ქართულის მსგავსად (ნაწილაკების დართვით, ზმნური ფორ-მების განმეორებით, ზმნური კომპოზიტიისაგან...).

მაგალითები:

1. ნ ა წ ი ლ ა კ ე ბ ი ს დ ა რ თ ე ა: მკაფუ ვარ მულუნ: ჟღ. ჰან, 96,25 — ტურა არ მოდის; გიორგიქ მეგემ იჩალიშეპტუ — გიორგი თურმე მუშაობდა...

2. ზ მ ნ უ რ ი ფ ო რ მ ე ბ ი ს გ ა ნ მ ე ო რ ე ბ ა: ოსმანიქ ჰა-უფს, ჰაუფს მექთუბეფე — ოსმანი წერს, წერს წერილებს; ქოთუ-მექ ცხანკუ, ცხანკუ ღო ხამი გამოცხანკუ — ქათამმა ჩხრიკა, ჩხრი-კა და დანა გამოჩხრიკა...

3. ზ მ ნ უ რ ი კ ო მ პ ო ზ ი ტ ი: ცხენონი კოჩიქ მინდიყონუ-მონდიყონუ ცხენი — ცხენოსანმა წაიყვან-წამოიყვანა ცხენი; კოჩიქ მენდაწკედუ-მონდაწკედუ — კაცმა მიიხედ-მოიხედა...

ქართულისაგან განსხვავებით, პირველ კომპონენტს არ ეკვე-ცება სუფიქსი.

მეგრულში გავრცობილი შემასმენელი გადმოიცემა, ერთი მხრივ. მეშველზმნიანი ნაკვებით, მეორე მხრივ — ზმნისა და მეშ-ველი ზმნის შეერთებით და ნაწილაკიანი ფორმებით.

მეშველზმნიანი ნაკვები, ერე'თი ნაწარმოები, დამახასიათებე-ლია გარდაუვალი ერთპირიანი ზმნების ერთი ნაწილისათვის მესა-მე სერიაში<sup>93</sup>: თურმეობით პირველშია: ეუდე ღოქვერე — სახლი დამწვარა; ცხენი დოლურელე — ცხენი მომკვდარა... და მისგან ნაწარმოებ თურმეობით მეორეში და იქიდან მესამე კავშირებითსა და პირობით მესამეში: ეუდე ღოქვერედუ — სახლი დამწვარიყო; ცხენი დოლურელედუ — ცხენი მომკვდარიყო... ეუდე ღოქვერე-დას — სახლი დამწვარიყოს; ცხენი დოლურელედას — ცხენი მო-მკვდარიყოს...; ეუდე ღოქვერედუკონ(ნ) — სახლი [რომ] დამწვარი-ყო; ცხენი დოლურელედუკონ(ნ) — ცხენი [რომ] მომკვდარიყო...

პარალელურ წარმოებაში, როდესაც დრო-კილოთა მეოთხე ჯგუფია წარმოდგენილი, გავრცობილი შემასმენელი გადმოიცემა

<sup>92</sup> არნ. ჩ ი ქ ო ბ ა ე ა, ჰანურის გრამატიკული ანალიზი, გვ. 156.

<sup>93</sup> ი. ა ს ა თ ი ა ნ ი, ე რ ე სუფიქსიანი თურმეობითი მეგრულში, გვ. 144—

ნო—უ კონფიქსებით ნაწარმოები მიმღობისა და ორენ (=არის) მეშველი ზმნის შეერთებით<sup>94</sup>.

გ. როგავამ მეგრულში გამოყო თ უ რ მ ე ო ბ ი თ ი მ ე ს ა მ ე (თინა ნოჰკირუე თის — ის ჰრის თურმე მას // ის ჰრიდა თურმე მას; თინა დონოჰკირუე თის — ის დაჰრიდა თურმე მას...), თ უ რ მ ე ო ბ ი თ ი მ ე ო თ ხ ე (თინა ნოჰკირუედუ თის — ის ჰრიდა თურმე მას; თინა დონოჰკირუედუ თის — ის დაჰრადა თურმე მას...), კ ა ვ შ ი რ ე ბ ი თ ი მ ე ო თ ხ ე (თინა ნოჰკირუედას თის — ის ჰრიდეს თურმე მას; თინა დონოჰკირუედას თის — ის დაჰრიდეს თურმე მას), პ ი რ ო ბ ი თ ი მ ე ო თ ხ ე (თინა ნოჰკირუედუკონ თის — მას (რომ) ეკრა ის; თინა დონოჰკირუედუკონ თის — მას (რომ) დაეკრა ის...).

ყველგან გართულებული შედგენილობა გვაქვს: მიმღობისა და მეშველი ზმნის შეერთებითაა ნაწარმოები ნაკვთები.

მეგრულის კვალი იგრძნობა ქვემოიმერულში, რაჰულსა და ლეჩხუმურში<sup>95</sup>; შეუყონავს მხატვრულ ლიტერატურაშიც: სხვა ქალს ნათხოვა თურმე: დ. კლდ. I, 231, 7; თეთროც ტფილისს მინავალა: კ. გამს., V, 582, 12; მებორნე ... წვერს ნაპარსავა ოდესლაც: კ. გამს., I, 16, 10...

ოკო—თი გართულებული წარმოება გვაქვს პ ი რ ო ბ ი თ პ ი რ ვ ე ლ შ ი: თინა ჰკირუნდუკო(ნ) თის — „მას რომ ეკრა ის“; ბალანა ხანტუნდუკო(ნ) ცუდეს — „ბავშვს რომ ეხატა სახლი“...; პ ი რ ო ბ ი თ მ ე ო რ ე შ ი: თიჰ ჰკირუკო(ნ) თინა — „მას რომ ეკრა ის“; ბალანაჰ ხანტუკო(ნ) ცუდე — „ბავშვს რომ ეხატა სახლი“<sup>96</sup>.

გავრცობილი შემასმენელი იწარმოება აგრეთვე ნაწილაკების დართვით, ზმნათა განმეორებით, ზმნური კომპოზიტებითა და ა. შ.

1. ნ ა წ ი ლ ა კ ი ს დ ა რ თ ვ ა: ამსერი ქომონჯიმა ურქ-მაქ:

<sup>94</sup> გ. როგავა, დრო-კილოთა მეოთხე ჩგუფის ნაკვთები ქართველურ ენებში, გვ. 23.

<sup>95</sup> Ш. В. Дзидзигური, К характеристике нижнемерского говора грузинского языка, с. 129; ქ. ძ ო წ ე ნ ი ძ ე, ზემოიმერული კილოკავი, თბ., 1973, გვ. 293; ო. კ ა ხ ა ძ ე, ოკრიბულის თავისებურებანი, გვ. 171; ლ. კ ვ ა ნ ტ ა ლ ი ა ნ ი, სოფელ გუბის შეტყველების თავისებურებანი, გვ. 33; ვ. თ ო ფ უ რ ი ა, მთარაჰულის დახასიათებისათვის: „ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები“, II, 1961, გვ. 247; მ. ა ლ ა ვ ი ძ ე, ლეჩხუმურის თავისებურებანი, გვ. 235; შ. ძ ი ძ ი გ უ რ ი, ძიებანი ქართული დიალექტოლოგიიდან, თბ., 1954, გვ. 173.

<sup>96</sup> არნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, ჰანურის გრამატიკული ანალიზი, გვ. 140—143; გ. როგავა, დრო-კილოთა მეოთხე ჩგუფის ნაკვთები ქართველურ ენებში, გვ. 19—20.

ხუბ., 207,23 — ამალამ ქმართან წავალ-მეთქი; ათეჲ ოკო იეუასიე ტარიელეფიში პატონქე: ყიფშ., 84,15 — ეს უნდა იქნესო გმირთა ბატონი...; ათე დალეფი ქომონჯიშა ვემეულა: ხუბ., 135,13 — ეს დები ქმართან არ მიდიან...

ვა უარყოფითი ნაწილაკის ფონეტიკურ ცვლილებებს თავი რომ დავანებოთ (ვა — ვე, ვო...), შენიშნულია ამ ნაწილაკის მოქცევის შემთხვევები ზმნა-შემასმენელში: ბოში ძღაბეფიშ ხოლოს დო თ ვ ა დ ო ხ ო დ ე (—დოთე-ვა-დოხოლე): ხუბ., 175,5 — ბიჲი გოგობის ახლოს არ ჯდება; შურო კილვეძირე ჩხანა (—კილა-ვა-ი-ძირე): ხუბ., 359,11 — სრულიად არ ჩანს მზის სხივი<sup>97</sup>.

2. ზ მ ნ უ რ ი კ ო მ პ ო ზ ი ტ ი: კოჩქ გრჯინგ-მრჯინუ — კაც-მა გაიხედ-გაპოიხედა; ცხენქ გიმნირთგ-გომნირთგ — ცხენი გადაბრუნდ-გადმობრუნდა...

3. ზ მ ნ უ რ ი ფ ო რ მ ე ბ ი ს გ ა ნ მ ე ო რ ე ბ ა: ქოლომქ ჩხირკუუ, ჩხირკუუ დო მუში ოცვილარი ხამი ყებურს გილაჩხირკუუ (ანდ.).

4. ინტერესს იწვევს კავშირებითი პირველისა და იც ი ი // იც უ ა ფ უ მეშველი ზმნის საშუალებით ნაწარმოები ფორმა, რომელსაც მ ყ ო ფ ა დ ი ს მნიშვნელობა აქვს მეგრულში.

ქანურის ხოფურ კილოკავშიც ცნობილია მყოფადის წარმოება კავშირებითი მეორისა და მინონ (გინონ, უნონ) მეშველი ზმნის საშუალებით, ვიწურ-არქაბულსა და ათინურში — აგრეთვე კავშირებითი მეორისა და ერე მეშველი ზმნის საშუალებით. „კავშირებითი მეორე მყოფადის ფუნქციით ძველი ვითარების გამომსახველი“<sup>98</sup>.

მეგრულში მყოფადის გაგება აქვს ასეთ წარმოებას: ართი კუჩხის მა უ ქ ა ც უ ა ნ დ ე ი ც ი ნ ი ა: ხუბ., 61,11 — ერთ ფეხს მე ავამოძრავებ (//ერთ ფეხს მე „ვამოძრავებდე იქნება“)... და ასე: ილიაშ სახერს ა ტ ა რ ე ნ დ ა ს ი ც ი ი (// იც უ ა ფ უ) ინსტიტუტი — ამიერიდან ილიას სახელს ატარებს (//„ატარებდეს იქნება“) ინსტიტუტი; მოხანტურელი კიდა ოთახის ა ლ ა მ ა ზ ა ნ დ ა ს ი ც ი ი — მოხანტული კედელი ოთახს გაალამაზებს („ალამაზებდეს იქნება“). ასეთ წარმოებას აქვს თავისი საფუძველი: ძველ ქართულ-

<sup>97</sup> მ. ხუბუა, უარყოფითი ნაწილაკი ვა მეგრულში: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის შოამბე, ტ. III, № 7, 1942, გვ. 744.

<sup>98</sup> არნ. ჩიქობავა, ქანურ, მყოფადის წარმოებისათვის, გვ. 115.

ში მყოფადის მნიშვნელობით კავშირებითი პირველიც გამოიყენებოდა<sup>99</sup>.

მეგრული ატარენდას, ალამაზენდას... კავშირებითი პირველის ფორმებია მყოფადისათვის, მაგრამ შედარებით გვიან, როცა მყოფადს თავისი წარმოება დაუმკვიდრდა და კავშირებითი კავშირებითადვე დარჩა, როგორც ჩანს, დაერთო მეშველი ზმნა იციი // იცუაფუ (იქნება). ეს გართულებული ფორმა მოქცეულია ზმნის უღლების სისტემაში და გამოიყენება მყოფადის აღსანიშნავად.

ამ ტიპის მყოფადი სვანურსაც აქვს. მას ვ. თოფურია მყოფადურსულს უწოდებს. მყოფადურული სვანურში იწარმოება აწმყოს ფუძისაგან უნ-ი (ლაშხ. — ჳნ-ი) ბოლოსართის დართვით<sup>100</sup>. ლ. ბარამიძე აღადგენს მეშველ ზმნასაც: ხჷადგარნნ-ხჷი („კვლავდე იქნება“), ხადგარნი-ხი („კვლავდე იქნება“)<sup>101</sup>, შდრ. „რესპუბლიკის სტუდენტთა დღევანდელ თაობას ახსოვს, კარგად ახსოვს, ყოველთვის ემახსოვრება, ასულდგმულებს და ასულდგმულებდეს იქნება, რომ ჩვენ მათი გორისა ვართ“: „ახალგაზრდა კომუნისტები“, 15.V.1979, გვ. 4, სვ. 8.

პირისა და რიცხვის მიხედვით იცვლება მხოლოდ პირველი კომპონენტი, მეორე კი უცვლელია: ვატარენდე იციი, ატარენდე იციი, ატარენდას იციი..., ვატარენდათ იციი, ატარენდათ იციი, ატარენდან იციი...

უფრო გვიანდელი ჩანს ასეთი გავრცობილი შემასმენლის აღბათობის (ზოგჯერ უეჭველობის) ელფერი: გურს გიცივილუნდას იციი: ყიფშ., 137,12 — აღბათ გულს გიკლავს (// „გულს გიკლავდეს იქნება“), რა თქმა უნდა, გულს გიკლავს...; იდიარდას იციი — აღბათ ძოვს, შეიძლება ნამდვილად ძოვდეს, „ძოვდეს იქნება“, შდრ. ღუშავა სი ელაიჯანუდუკონ იცუაფუდუა: ხუბ., 300,1 — წუხელ შენთან დაწოლილი იქნებოდაო...

სვანურშიც გავრცობილი შემასმენელი იქმნება: 1. მეშველზმნიანი ფორმებით, 2. ნაწილაკდართული ზმნა-შემასმენლით და ა. შ.

<sup>99</sup> ა. შანიძე, ძველი ქართული ენის გრამატიკა, გვ. 69—70; ზ. კუშბურთიძე, მყოფადის წარმოქმნის ისტორიისათვის ქართულში: ძველი ქართული ენის კათედრის შრომები, 11, 1968, გვ. 55—76.

<sup>100</sup> ვ. თოფურია, შრომები, I, გვ. 112—115; З. Умбуридзе, Будущее время в картвельских языках. Автореферат диссертации на соискание уч. ст. доктора филологических наук, Тб., 1968, с. 39—42.

<sup>101</sup> ლ. ბარამიძე, ზოგიერთი ტიპის მეშველზმნიან ფორმათა ჩასახვა და განვითარება ქართულში: ძველი ქართული ენის კათედრის შრომები, 9, გვ. 132.

მეშველი ზმნა ფართოდაა გამოყენებული. „მეშველი ზმნის აწმყოს ფორმები I და II პირში დაერთვის აწმყოსა, სამსავე კონიუნქტივისა, ნამყო სრულსა, მყოფადუსრულსა და მყოფადსრულსა და თურმეობით პირველში, ხოლო ნამყოს ფორმები — აორისტსა და ნამყო წინარეწარსულში“<sup>102</sup>.

ამის მიხედვით გვაქვს ა წ მ ყ ო შ ი: მი ლუგ-ხვი (მე ვდგავარ): სი ლგ-ხი (შენ დგახარ)<sup>103</sup>; კ ა ე შ ი რ ე ბ ი თ პ ი რ ვ ე ლ შ ი: მი ხუადგარდნ-[-ხტი] (მე ვკლავდე), სი ხადგარდნ-[-ხი] (შენ კლავდე)...: მ ყ ო ფ ა დ უ ს რ უ ლ შ ი: მი ხუადგარდნ-[-ხტი] („მე ვკლავდე იქნება“), სი ხადგარდნ-[-ხი] („შენ კლავდე იქნება“)<sup>104</sup>...; ნ ა მ ყ ო უ ს რ უ ლ შ ი: მი ხუეშედ [ხტას] (მე ვახსოვდი), სი ხეშედ [ხას] (შენ ახსოვდი)...; ა ო რ ი ს ტ შ ი ნ ი ო თ კ ა ლ ა უ [ხტეს] / მი ო თ კ ა ლ ა უ [ხტას] (მე გავლენე), სი ათკალაუ [ხეს] / სი ათკალაუ [ხას] (შენ გალენე)...<sup>105</sup>

ნაწილაკიანი გავრცობილი შემასმენელი სვანურში საკმაოდ. უარყოფით ნაწილაკთა სიმრავლე განსაზღვრავს ფორმათა ნაირსახეობას. ამ უკანასკნელს ვრცელი გამოკვლევა უძღვნა თ. შარაძენიძემ. მოგვყავს ნიმუშები ამ გამოკვლევებიდან: გეზალ მჲ ლახვოდღნა (60,18) — შეილი არ მისცემია: მჲმა აღგენე გზავრ (ლაშხ., 53,18) — არ დააყენა მგზავრი; ცოდ მჲდე ორია ამკალი ჭაბუკი ლიდგარი? (ბზ., 186,1) — ცოდო არ იქნება ასეთი ჭაბუკის სიკვდილი?... ეჯა ჰერს ქა დჲმა ხატჯა (ბზ., 106,31) — ის ხმას არ აბრუნებს...: შევანთე ლიკედს დჲუ ჰბდჲვდახ (ბზ., 3,25) — სვანეთისაკენ მოსვლას ვერ ბედავდნენ და ა. შ.<sup>106</sup>

§ 30. რთული შემასმენელი. რთული შემასმენელი შედგენილი შემასმენლის სახელითაა ცნობილი, თუმცა რთული ც უხმარიათ<sup>107</sup>. შედგენილი შემასმენელი იქნებოდა უნაკ-

<sup>102</sup> ვ. თ ო ფ უ რ ი ა, შრომები, I, გვ. 178.

<sup>103</sup> ვ. თ ო ფ უ რ ი ა, შრომები, I, გვ. 2, შენ. 2.

<sup>104</sup> ლ. ბ ა რ ა მ ი ძ ე, ზოგიერთი ტიპის მეშველზმნიან ფორმათა ჩასახვა და განვითარება ქართულში, გვ. 131—135.

<sup>105</sup> ვ. თ ო ფ უ რ ი ა, შრომები, I, გვ. 29; ლ. ბ ა რ ა მ ი ძ ე, ზოგიერთი ტიპის მეშველზმნიან ფორმათა ჩასახვა..., გვ. 133.

<sup>106</sup> თ. შ ა რ ა ძ ე ნ ი ძ ე, უარყოფითი ნაწილაკები სვანურში: „იბერიულკავკასიური ენათმეცნიერება“, I, 1946, გვ. 289—328.

<sup>107</sup> ა. შ ა ნ ი ძ ე, რომელიც შედგენილ შემასმენელს ამჲჯობინებს (ქართული ენის გრამატიკა, თბ., 1939, გვ. 127; მისივე, ქართული ენის გრამატიკა, II, სინტაქსი, თბ., 1948, გვ. 5 და შემდგომი გამოცემები). რთულ შემასმენელსაც ხმარობდა (ა. შ ა ნ ი ძ ე, ძველი ქართული ენა, მოკლე გამოხილვა. ძველი ქართული ენა და ლიტერატურა, თბ., 1948, გვ. 312); რთული



ლო ტერმინი, რომ საოპოზიციოდ შეუდგენელი შემასმენელი გვექონდეს. მეორე მხრივ, შემასმენლის მარტივ ფორმას, მხოლოდ პირიანი ზმნისაგან შემდგარს, მარტივ შემასმენელს ვუწოდებთ. მარტივი შემასმენლის საპირისპირო რთული შემასმენელია, ამიტომ ვამჯობინებთ ამ უკანასკნელს.

რთული შემასმენელი ორი ნაწილისაგან შედგება. ეს ნაწილებია ზმნა და მასთან დაკავშირებული სახელი (მასდართა და მიმღებობითურთ) და ზმნისართი. ზმნური ნაწილისათვის დამკვიდრებულია ტერმინები საერთო და კოპულა, სახელადი ნაწილისათვის — შემასმენლის სახელადი ნაწილი, პრედიკატივი, შემასმენლისი და თანასაერთი.

ამ ტერმინთაგან უპირატესობას ვანიჭებთ საერთსა და თანასაერთს.

სხვა შემთხვევაში შეერთებულია ორი სრულმნიშვნელოვანი ზმნა. ეს ზმნები ერთმანეთს უპირისპირდებიან თავიანთი ფორმებით და გვაქვს ზმნური რთული შემასმენელი.

საერთად გამოიყენება მხოლოდ ზმნა, უპირატესად მეშველი ზმნები (ვარ, ხარ, არის, იყო, იქნება...), შედარებით იშვიათად — ჩვეულებრივი ზმნები: დარჩა, გახდა, დგას დაღვა, გამოდგა, მოვიდა, გადაიქცა, მოიყვანა და სხვა.

ვარ, ხარ, არის ძირმონაცვლეა და მხოლოდ აწმყოს ფორმით იხმარება, მყოფადსა და მისგან წარმოქმნილ ნაკვთებში სხვაძირია გამოყენებული (ვიქნები, იქნები, იქნება; ვიქნებოდი, იქნებოდი, იქნებოდა; ვიქნებოდე, იქნებოდე, იქნებოდეს); მეორე და მესამე სერიებისათვის კი — კიდევ სხვა (ვიყავი, იყავი, იყო..., ყყოფილვარ, ყყოფილხარ, ყყოფილა...)<sup>108</sup>: მე შენს ანაბარასა ვარ: ილია,

---

შემასმენელი აქვს ნახმარი ვ. თოფურის (В. Т. Топуриа, Сваи-  
ский язык: Язык народов СССР, IV, 91. შედგენილი შემასმენელი  
აქვთ ნახმარი სილ. ხუნდაძეს („ქართული მართლწერისა და სწორენის საფუძვლები“,  
ქუთაისი, 1927, გვ. 56); ი. ნიკოლაიშვილს („ქართული ენის გრამატიკა“,  
თბ., 1929, გვ. 108); ი. სიხარულიძეს („ქართული ენის გრამატიკა“, თბ., 1937,  
გვ. 115); ი. იმნაიშვილს (შედგენილი შემასმენელი ქართულში: ა. პუშკინის სახე-  
ლობის თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, V, 1948, გვ.  
187—216); ლ. კვაჭაძეს („თანამედროვე ქართული ენის სინტაქსი“, 1966, გვ. 53);  
აღ. ლლონტს („ქართული წინადადება“, თბ., 1966, გვ. 57—61); ნ. ბასი-  
ლაიას (შემასმენელი და შემასმენლური დამოკიდებული წინადადება ქართულში“,  
სოხუმი, 1974, გვ. 43—113) და სხვებს.

<sup>108</sup> ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკა, II, სინტაქსი, გვ. 5; ი. იმ-  
ნაიშვილი, შედგენილი შემასმენელი, გვ. 213; ლ. კვაჭაძე, თანამედ-  
როვე ქართული ენის სინტაქსი, გვ. 56; ნ. ბასილაია, შემასმენელი და შემას-  
მენლური დამოკიდებული წინადადება ქართულში, გვ. 43—79.

1,295,12; მე ვარ ნაყაჩაღევი: ილია, 1,268,28; შენ კაცი ხარ: დ. შენგ. ბ. ქ., 96,8; ხეივანი მწიფე მტევნებით არის დატვირთული: მ. ჭავახ., IV,291,18; ზაალის ნათესავი ქვიშხელი სუმბათაშვილი იქნება: მ. ჭავახ., IV,59,9; მე ... მიწისთვისაც არამი ვიქნებოდრ: დ. შენგ. ბ. ქ., 64,14...; მე ჩემი ბავშვებით გამოცილებული ვიყავი იქითა ჯეჯილსა: ი გოგებ., IX,37,24; დარეჯანი ჭკვიანი დედაკაცი იყო: ილია, 1,350,30; მადლიანი ბიჭი ყოფილხარ: ილია, 1,272,28; ვითომც ჭრიქინა უწინ კაცი ყოფილიყოს: ი. გოგებ., V,515,20.

არის მეშველი ზმნა რიგ შემთხვევაში იმდენად შეკვეცულა, რომ დარჩენილა მხოლოდ თავკიდური ა, რომელიც ეკადლება თანასაერთს ან რომელიმე სხვა სიტყვას<sup>109</sup>.

მაგალითები: 1. ა შეერთებულთა თანასაერთთან: ოფოფი პატარა ფრინველია: ი. გოგებ., V,318,1; კამეჩი შინაური საქონელია: ი. გოგებ., V,318,21...

2. ა შეერთებულთა სხვა სიტყვასთან: მთები მალლა ცაშია ბტყორცნილი: ი. გოგებ., V,544,27; ზოგი ხე მალლაა წასული: ი. გოგებ., V,530,7...

არის ზმნას შეიძლება შეენაცვლოს აქვს და ჰყავს ზმნები, თუ საჭიროებამ მოითხოვა მისი ორპირიანად გადაკეთება. როცა წინადადებაში, სადაც არის ზმნა შედგენილი შემასმენლის ნაწილია და ორპირიანი ფორმაა საჭირო, მაშინ მას ენაცვლება „მაქვს“ ან „მყავს“ იმის შესაბამისად, სახელობითში დასმული სახელი უსულო საგნის აღმნიშვნელია თუ სულიერისა<sup>110</sup>. მაგალითები: სათქმელი ბევრი მაქვს: მ. ჭავახ., III,466,3; მარაბდელს ერთი წარბი მუდამ აწეული აქვს: მ. ჭავახ., IV,23,24; სამიკეს ხელები ზურგზე ჰქონდათ შეკრული: მ. ჭავახ., IV,199,24; ამხანაგები ჰყავს მიპატიებული: ე. ყიფ., I,241,26...

არის ზმნას ერთპირიანი ზმნის მნიშვნელობით ენაცვლება გახლავს, რომელიც „ლექსიკური მნიშვნელობით იგივეა, რაც არის, ოღონდ იხმარება მორიდებულ საუბარში, რომელიც უმცროსისაგან უფროსისადმი მიმართული“<sup>111</sup>. მეორე სუბიექტური პირი შეიძლება შეივსოს ამავე წყების ბრძანდები ზმნით<sup>112</sup>: დიდი მადლობელი გახლავარ: მ. ჭავახ., I,171,38; ელგუჯას მამა თომა ვაშაძე პედაგოგი გახლდათ: რ. ჭეიშე., 5,4...; თქვენ ყმაწვილი

<sup>109</sup> ა. შ ა ნ ი ძ ე, ქართული ენის გრამატიკა, II, სინტაქსი, გვ. 6.

<sup>110</sup> იქვე.

<sup>111</sup> ა. შ ა ნ ი ძ ე ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, გვ. 190.

<sup>112</sup> ლ. კ ე ა ჯ ა ძ ე, თანამედროვე ქართული ენის სინტაქსი, გვ. 57.

კაცი ბრძანდებით: ილია, I,355,1; ლუარსაბი იმ ზემოთ აღწერილ განცხრომაში ბრძანდებოდა: ილია, I,329,4.

რთული შემასმენლის ერთი ჭგუფი (დათესილია, დაწერილია...) ენაცვლება სტატიკური ზმნით გადმოცემულ ფორმებს (სთესია — დათესილია, სწერია — დაწერილია...), „სადაც სტატიკური ფორმა არა გვაქვს, იქ სწორედ ასეთი შემასმენელი იხმარება: იმ მარნის უკანა კედელზედ ამოყვანილი გახლდათ ერთი პატარა ოთახი (ილია)... „ამოყვანილი გახლდათ“ = „ამოყვანილი იყო“<sup>113</sup>.

და ასე:

დ ა რ ჩ ა: ჩვენი მელა თავისი ლექვებით ხშირად რჩებოდა მშიერი: ი. გოგებ., IX,43,22; პატარა გაიოზს სავეს პირი ღია დარჩა: მ. ჯავახ., II,204,24; დარეჯანი სიკვდილამდე ქმრის ერთგული დარჩა: ვაჟა, V,49,22...

გ ა ხ დ ა: გოჩა დიდი კომპოზიტორი გახდება: ე. ყიფ., I,123,3; ეს სისუსტე კიდევ უფრო საყვარელს ბავშვად ხლიდა მას: ი. გოგებ., IX,54,1...

დ გ ა ს: ბულბული უარზე დგას: ვაჟა, V,248,29...

და დ გ ა: ცირა მზესავით ქალი დადგება: ლ. ქიაჩ., ნოვ., 37,18; დათიკო... მშვენიერი შესახედავი ყმაწვილი კაცი დადგა: ილია, I,294,3...

გ ა მ ო დ გ ა: ქეთოც ჩვეულებრივი ინტელიგენტი გამოდგა: მ. ჯავახ., V,151,6; ეს ახალგაზრდა კაცი ბოლოს დათა თუთაშხია გამოდგა: ჭ. ამირ. დათა თუთ., I,235,9;

მ ო ვ ი დ ა: ხალხი გვიანლა გონს მოვიდა: ვაჟა, VII,102,34...

მ ო ი ყ ვ ა ნ ა: ამ გულწრფელმა სიტყვებმა ყველა ალტაცებაში მოიყვანა: აკაკი, IV,123,31...

თ ა ნ ა ს ა ე რ თ ი გადმოიცემა ბრუნებადი სიტყვით (არსებითი სახელით, ზედსართავი სახელით, რიცხვითი სახელით, ნაცვალსახელით, მასდართა და მიმღეობით), იშვიათად კი ზმნისართითაც...: ჩამარგალიტებული გ ო გ ო დ ა დ გ ა თეთრუა: გ. ლეონ., 96,11; დარეჯანი ჭკვიანი დ ე დ ა კ ა ც ი ი ყ ო: ილია, I,350,30; პატარა გაიოზს სავეს პირი ღია დ ა რ ჩ ა: მ. ჯავახ., II,204,24; ჩემი მოხვევა სანახავად დ ი რ ს ი ი ყ ო: ილია, I,258,14; ლილია ივანოვნაც კ მ ა ყ ო ფ ი ლ ი დ ა მ ი რ ჩ ა: აკაკი, IV,144,24; სოფიო მიუკარებელი გ ა მ ო დ გ ა: მ. ჯავახ., II,24,3; მამ კარგი, ო ც დ ა ა თ ი ი ქ ნ ე ბ ა: ილია, I,331,6; ხეივანი მწიფე მტევნებით ა რ ის დ ა ტ ვ ი რ თ უ ლი: მ. ჯავახ., IV,291,18; ყვე-

<sup>113</sup> ა. შ ა ნ ი ძ ე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, გვ. 314; ლ. კ ვ ა ჭ ა ძ ე, თანამედროვე ქართული ენის სინტაქსი, გვ. 58.

ლაფერი ჩემი იყო: დ. შენგ. ბ. ქ., 24,6; აბა გლახუკა ვინ იყო? ილია, I,278,5; თქვენ ვინ ბძანდებით: მ. ჯავახ., I,159,18; საწყლები მარტოდმარტო არიან: ე. გაბ., 178,22 და ა. შ.

თანასაერთი ახალ ქართულში ძირითადად სახელობით ბრუნვაშია, რომელიც ითავსებს აგრეთვე ძველი ქართულის წრფელობითსაც. გარდა ამისა, გვხვდება მიცემითსა და ვითარებით ბრუნვებშიც. ამ უკანასკნელს, თუ ზედსართავიდან მომდინარეობს, ზმნისართის გაგებაც აქვს<sup>114</sup>.

მაგალითები:

### 1. სახელობითი

ჩემი მოხვევე ძალიან კაცი გამოდგა: ილია, I,258,4; გიორგი... ძარღვიანი ყმაწვილი კაცი დადგა: ილია, I,431,10; დარეჯანი ჭკვიანი დედაკაცი იყო: ილია, I,350,30...

### 2. მიცემითი

მებატონე მოჯამაგირის ანაბარას დარჩა: ილია, I,254,20; გოგრა სიხარულისაგან ცას ეწევა: ვაჟა, V,198,23; ამ გულწრფელმა სიტყვებმა ყველა აღტაცებაში მოიყვანა: აკაკი, IV,123,31; ბულბული უარზე დგას: ვაჟა, V,248,29...

### 3. ვითარებითი

ცდა მაინც ცდად დარჩა: ვაჟა, VII,42,6; პაპაშა მაშინ შეძლებულ კაცად ითვლებოდა: მ. ჯავახ., I,20,28; ესტატე ჩვეულებისამებრ ზარხოშად იყო: ვაჟა, VI,175,30; ახლა გულმშვიდად ვარ: ს. კლდ., 46,12...

საზღვრული, რომელიც თანასაერთად უნდა ყოფილიყო, შეიძლება დაიკარგოს. ასეთ შემთხვევაში თანასაერთად იქცევა ნათესაობითში დასმული მსაზღვრელი<sup>115</sup>: ისიც უეჭველად მგლის ჯიშისა გამოდგება: მ. ჯავახ., II,168,20; დარეჯანი იქნებოდა ორმოცდაათი წლისა: ვაჟა, V,47,3; შდრ. მამაჩემი ოთხმოცდაათი წლის კაცი იყო: ვაჟა, V,72,3; ოთარაანთ ქვრივის შვილი გიორგი ოცდაერთი წლის ბიჭი იყო: ილია, I,431,7.

შეიძლება ერთი საერთი ეკუთვნოდეს ერთზე მეტ თანასაერთს: კვარაცხელიას ძროხაც ასევე მარდი და ამტანი გამოდგა: კ. ლორთქ.

<sup>114</sup> ლ. კვაქაძე, თანამედროვე ქართული ენის სინტაქსი, გვ. 55.

<sup>115</sup> იქვე,

რა მოხდა აბაშაში, „კომუნისტი“, 21.VII.77, გვ. 3, სვ. 4; ლეილა თითქოს ჩუმი და უპრეტენზიო იყო: თ. ჭილ., 34,11...

§ 31. საერთისა და თანასაერთის ადგილი. ჩვეულებრივ თანასაერთი წინ უსწრებს საერთს: როსტომი მეტად ხათრიანი ბელადი გამოდგა: მ. ჭავჭავაძე, IV,300,31; თქვენ ყმაწვილი კაცი პრძანდებით: ილია, I,355,1, მაგრამ შებრუნებული წყობაც გვაქვს: თანასაერთს წინ უსწრებს საერთი: მამალი თხა დარჩა მშიერი: ი. გოგებ., V,477,25; მე ვარ ნაყაჩაღევი: ილია, I,268,28; მზე მალლა იყო წამოსული: აკაკი, IV,199,12...

შედარებით იშვიათია გათიშული ფორმები: თანასაერთსა და საერთს შორის შეიძლება მოექცეს წინადადების სხვა წევრი: სარჩობელაზედ დარჩა უძრავად დაკიდებული ის უბედურის შვილი: ილია, I,413,7; წინანდელი მოსისხლე მტერნი შეიქმნენ გულითადი მეგობრები: ი. გოგებ. IX,19,23...

საერთისა და თანასაერთის ადგილს სტილი განსაზღვრავს. სინტაქსური ურთიერთობისათვის მას მნიშვნელობა არა აქვს.

მე გ რ უ ლ შ ი ლ ი ზ ე მ ა ს მ ე ნ ე ლ ი ქ ა რ თ უ ლ ი ს ე ბ უ რ ი შ ე დ გ ე ნ ი ლ ო ბ ი ს ა ა . საერთად გამოყენებულია მეშველი ზმნები (ვორექ, ორექ//რექ, ორენ//რენ... მაფუ, გაფუ, აფუ...), ან ჩვეულებრივი ზმნებიც (ქემორთუ, გუურთუ...).

ქ. ლომთათიძემ გაარკვია, რომ აფუ შეესაბამება ქართ. აქვს ზმნას და გვხვდება შედგენილ შემასმენელში. შემასმენლის სახელადი ნაწილი აფუ-სთან შეიძლება იყოს სახელოვით ბრუნვაში დასმული მიმღეობა ან ზედსართავი სახელი, შედარებით იშვიათად — არსებითი სახელიც. იდენტურია ქართ. ა-ქვ და მეგრ. ა-ფ. ეს უკანასკნელი შეთვისებული ჩანს ქართულიდან: აქვ—აფ<sup>116</sup>.

მეშველი ზმნა პირების მიხედვით უერთდება თანასაერთს და გვაქვს: მა ვორექ თქვანი ორსხებუშა მუღირი: ხუბ., 4,1 — მე ვარ ზოსული თქვენ დასახსნელად; სი ორექ ჩქიმი მარდუალი — შენ სარ ჩემი აღმზრდელი; კიბირიში ჭუაშ წამალი თინა რე: ხუბ., 289,7 — კბილის ტკივილის წამალი ის არის...; სუმი მასარიში მეტი კოჩიშ დუღით მობუა მაფუ: ყიფშ., 75,30 — სამი მესრის მეტი კაცის თავით მაქვს მოვსებული; სი ევიღირი გაფუ თეში მინჯე კოჩია: ხუბ., 92,16 — შენ მოკლული გყავს ამისი პატრონი კაციო: თე ბოშის აფუ თურმე გაგებული: ხუბ., 88,33 — ამ ბიჭს აქვს თურმე გაგებული... და ასე: ჭყონი ჟი ქოქა ცოფე: ხუბ., 3,6 — მუზა

<sup>116</sup> ქ. ლომთათიძე, ქართული აქვს ზმნა მეგრულში: „ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები“, III, 1963, გვ. 29-32.

ზევით ფულურო ყოფილა; ფაშატიქ ოჭოფალო გორთუ: ხუბ., 181,18 — ფაშატი დასაქერი გახდა...

თანასაერთი დაისმის სახელობითში, მოთხრობითში, მიცემითსა და ვითარებითში.

1. სახელობითი: ჩქარი მათლარი ქორდუ რაში: ხუბ., 27,26 — ჩქარი მავალი იყო რაში; დანიშნული მათუ ართი ოჯახიშ ოკარიე: ქართ. ხალხ. სიტყვ., 1,218,30 — მინიშნებული მაქეს ერთი ოჯახის საქათმე;

2. მოთხრობითი: უკულაშიქ წონაშე მეტიქ ქემორთუ: ხუბ., 94,26 — უმცროსი წონით მეტი მოვიდა; მოკათუქ ქიეფუ მოხუცებულ ოსურქ: ხუბ., 128,16 — ორსული შეიქნა მოხუცი ქალი...

3. მიცემითი: ორე თე კოჩი ონადირუს: ხუბ., 64,5 — არის ეს კაცი სანადიროდ; კოჩი ვარიას რე — კაცი უარზეა...

4. ვითარებითი: მაჟირა კუჩხიშ მაჯგირათ გუჟრთუ... სანარტიას: ყიფშ., 51,16 — მეორე ფეხის მსგავსი გაუხდა სანარტიას: ძღაბიქ უძირაფუო გორთუ — ქალიშვილი უნახავი გახდა...

ქანურში რთული შემასმენელი ისეთივე აგებულებისაა, როგორც გვაქეს მეგრულში. საერთად გვაქეს ნაკეთების მიხედვით მეშველი ზმნები: ვორე, რე, ტუ, ტერენ, ვორტი (// ბორტი), იყვენ..., აგრეთვე სრულმნიშვნელოვანი ზმნებიც: დოსქიდუ, დოდგითუ...

თანასაერთად სახელია ჩვეულებრივ სახელობით ბრუნვაში: მა კოჩი ვორე — მე კაცი ვარ; სი კოჩი რე — შენ კაცი ხარ; ბერე ჩქიმი ტუ — ბავშვი ჩემი იყო; ბოზო დიდო მსქვა ტუ: ჟღ. ჭან., 106,5 — ქალიშვილი ძალიან ლამაზი იყო; მა ვიტოჟურ წანერი ბორტი: ყიფშ. ჭან., 26,6 — მე თორმეტი წლისა ვიყავი; მამულა იყვენ ჟურენეჩი წანეი — მამულა იქნება ორმოცი წლისა ... თილქი მშქიონერი დოსქიდუ — მელა მშეირი დარჩა; ოხორჯა კუჩხეტეტელი დომოსქიდუ — ცოლი ფეხშიშველი დამჩჩა; ცირა კაი ოხორჯა დოდგითუ — ცირა კარგი ქალი დადგება.

სვანურშიც რთული შემასმენელი ისეთი შედგენილობისაა, როგორც გვაქეს ქართულსა და ზანურში: საერთად მეშველი ან სრულმნიშვნელოვანი ზმნებია, თანასაერთად — სახელი: ჰეცერ ნაკვდგილი: ბქვ., 121,7 — ეცერი ვაკე ადგილი არის; ხელწიფხემ ნალეჟურ ხოშა ვისიწშ ლჰსე: ბქვ., 56,12 — ხელმწიფის ვაჟი ძალიან მოუსვენარი იყო; ფანაგა გვეში ლემჰრ ბანბი კარავშე: სვ. პ., 44,32 — ფანაგა საესე ყოფილა ბამბის კარვებით... და ასე: აღ მარე ვარეი ლჯგ: ბქვ., 145,23 — ეს კაცი უარზე დგას; აშხე თვეისგა მახელეჟე ახფას: ბზ., 257,35 — ერთ თვეში ვაჟკაცი დადგა.

§ 32. ზმნური რთული შემასმენელი. ცალკე ჯგუფს ქმნის ორი ზმნისაგან შემდგარი რთული შემასმენელი. იგი მომდინარეობს უკავშირო დამატებითი დამოკიდებული წინადადებისაგან. ასეთი შემასმენლის პირველი კომპონენტია ზმნები: უნდა (// უნდოდა), სურს (// სურდა), ფიქრობს (// ფიქრობდა), ცდილობს (// ცდილობდა), გადაწყვიტა და ა. შ. მეორე შემადგენლად აგრეთვე ზმნაა კავშირებით მეორეში ან თურმეობით მეორეში.

თუ პირველი შემადგენელი ნაწილი აწმყოს ან მყოფადის ნაკვთითაა წარმოდგენილი, მეორე კომპონენტი კავშირებითი მეორით გადმოიცემა; თუ პირველი კომპონენტი ნამყოფწვეტლის ან ნამყოფწვეტილის ფორმითაა, მეორე თურმეობითი მეორის ნაკვთით გადმოიცემა<sup>117</sup>.

მაგალითები: ზაზას უნდა მოვიდეს: თ. ჭილ., 174,20; მარიამს უნდოდა გამწყრალიყო: ლ. ჭიაჩ., III,236,21; მამალს ჰალიან უნდოდა ცალი თვალით მაინც დაენახა ქათმის გროვა: ი. გოგებ., V,176,16; კამარელი ცდილობს შემოიკრიბოს მთელი ძალა: ალ. აბაშ., II,231,11; მელია ცდილობდა ცოტა რამე მაინც მიეძლია ცარიელი მუცლისათვის: ი. გოგებ., V,207,16; ახალგაზრდა ქალმა გზაშივე გადაწყვიტა ქუთაისში აღარ დაბრუნებულყო: კ. ლორთქ., 485,27, ბეკოს დაეზარა ეთქვა გოგოსათვის: ს. კლდ., 341,2...

ქვემდებარესთან ორივე შემადგენელი ნაწილი ამქარებს სინტაქსურ კავშირს, მრავლობით რიცხვშიც ორივე შეთანხმებულია ქვემდებარესთან: თქვენ გინდათ ძალიან ადვილად გადარჩეთ: მ. ჯავახ., V,33,12; კურდღლებს უნდოდათ ტბაში დამხრჩვალყო: ი. გოგებ., V,261,12; უნდათ ბევრი რამ უთხრან ერთმანეთს: ს. კლდ., 330,20...

მეგრულში ზმნური რთული შემასმენელი პრინციპში ქართულისებურია. პირველ შემადგენელ ნაწილად გვხვდება ოკო, ოკორდუ (უნდა, უნდოდა), ფიქრენს, ფიქრენდუ (ფიქრობს, ფიქრობდა), გიგნოჭყვიდუ (გადაწყვიტა)...

მეორე კომპონენტად ისევე ზმნაა, ოღონდ კავშირებითი მეორის ან პირობითი მეორის ფორმით. როცა პირველი ნაწილი აწმყოს

<sup>117</sup> ვ. თოფურია, ქართული ენა და მართლწერის საკითხი, თბ.: 1965, გვ. 95. ასეთ შემასმენელს მანვე ზმნური რთული შემასმენელი უწოდა. ვ. თოფურია, ქართული ენის გრამატიკის სადავო საკითხები, II, წაყითხული იყო მოხსენებად საქართველოს სსრ უმაღლესი სასწავლებლების ქართული ენი: კათედრათა შექვევ რესპუბლიკურ სამეცნიერო-მეთოდურ კონფერენციებზე 1965 წლის 26 დეკემბერს. თეზისები გამოქვეყნებულია.

ნაკვეთითაა, მეორე — კავშირებით მეორეშია: ბალანს ოკო ქომორ-  
თასი — ბავშვს უნდა [რომ] მოვიდეს; ჯოლოს ოკო ჭყორი ოკო-  
ფასი — ძალს უნდა მწყერი დაიჭიროს (შდრ. ჯოლოს ოკო ჭყო-  
რიშ ჭოფუა — ძალს უნდა მწყრის დაჭერა); კოჩი ფიქრენს ქა-  
ლარდი ქემეჰარასი — კაცი ფიქრობს წერილი მისწეროს და ა. შ.

როცა პირველი შემადგენელი ნაწილი უწყვეტლის ნაკვეთითაა  
გადმოცემული, მეორე — პირობითი მეორის ნაკვეთით გადმოიცემა:  
ბალანს ოკორდუ ქომორთუკო — ბავშვს უნდოდა მოსულიყო;  
ჯოლოს ოკორდუ ჭყორი ოკოფუკო — ძალს უნდოდა მწყერი  
დაეჭირა; კოჩი ფიქრენდუ ქალარდი ქემეჰარუკო — კაცი ფიქრობ-  
და წერილი მიეწერა.

პირველი კომპონენტი შეიძლება იყოს ნამყო ძირითადში, მა-  
შინ მეორე დაისმის ან კავშირებით მეორეში, ან პირობით მეორე-  
ში: კოჩქ გიგნოჰყვიდუ ქალარდი ქემეჰარასი//კოჩქ გიგნოჰყვიდუ  
ქალარდი ქემეჰარუკო(ნ) — კაცმა გადაწყვიტა წერილი მისწეროს//  
კაცმა გადაწყვიტა წერილი მიეწერა...

ზმნური რთული შემასმენლის მეორე კომპონენტი, რომელიც  
ქართულში კავშირებითი მეორით ან თურმეობითი მეორით გად-  
მოიცემა, ჰანურში მასდარითაა წარმოდგენილი: თილქის უნონ  
ქოთუმეში მეხიუ — მელიას უნდა ქათამი მოიპაროს; ზაზას უნონ  
მოხთიმუ — ზაზას უნდა მოვიდეს, ზაზას უნდა მოსვლა... ზაზას  
უნტუ მოხთიმუ — ზაზას უნდოდა მოსულიყო (მოსვლა). ხასანიქ  
მენდაჰყვიდუ თბილისიშა ოხთიმუ — ხასანმა გადაწყვიტა თბილის-  
ში წასულიყო (წასვლა).

§ 33. ქვემდებარის მიერ შემასმენლის შეთანხმება რიცხვში.  
ქვემდებარის მიერ შემასმენლის რიცხვში შეთანხმების მიხედვით  
ახალი ქართული ენა განსხვავდება ძველი ქართულისაგან, სადაც  
მრავლობითი რიცხვის ნ და თ ნიშნებიანი ქვემდებარე ყოველთვის  
ითანხმებდა რიცხვში შემასმენელს, -ებ ნიშნიანს ჩვეულებრივ ეს  
უნარი არ ჰქონდა. ახალ ქართულში მრავლობითი რიცხვის ნ—თ და  
-ებ ნიშანთა ასეთი დაპირისპირება მოხსნილია: სულიერი საგნის  
აღმნიშვნელ სახელებთან -ებ ნიშნიანი მრავლობითის აინტაქსურა  
ძალა გაუთანაბრდა ნ და თ ნიშნიანებისას, რის გამოც სულიერი  
საგნის აღმნიშვნელი ქვემდებარე შემასმენელს ითანხმებს რიცხვში:  
მერცხლები ეთხოვებიან თავიანთ ბუდეებს: ი. გოგებ., VI,296,6;  
თაგეები ცხოვრობდნენ თავისთვის: აკაკი, IV,318,21; მეზობლები  
ნელ-ნელა დაიშალნენ: ნ. დუმბ., 55,31; სოფლებს ეშინოდათ  
გადამდები ავადმყოფობისა: ი. გოგებ., V,447,14...

მესამე სერიის გარდამავალ ზმნა-შემასმენლებთან ქვემდებარე



მიცემითშია. მრავლობით რიცხვში სწორედ მიცემითში დასმული სახელი ითანხმებს მაშინაც, როდესაც მეორე სახელიც, სახელობით ბრუნვაში დასმული, მრავლობით რიცხვშია: არწივებს მოესრათ მთელი ფრინველები: ვაჟა, V,97,19; ბიჭებს ნაბდის ქულები შოესადათ: გ. შატბ., II,8,24...

მრავლობითში ფუძემონაცვლე ზმნა-შემასმენლები ფუძის მონაცვლეობასთან ერთად მრავლობითი რიცხვის ნიშნითაც გამოხატავენ ქვემდებარესთან რიცხვში შეთანხმებას: თიქნები მიცივიდნენ თავიანთ დედებთან: ი. გოგებ., V,477,21; მეზობლები ჩამომსხდარან: ე. ყიფ., I,346,6...

წინადადებაში „მცხოვრებთ ზეციურ მანანასავით ნამცეცები უცვიდებათ“: აკაკი, VII,271,7 — ფუძის მონაცვლეობა რიცხვის მიხედვით გამოწვეულია სახელობითში დასმული სახელის მიერ, მრავლობითი რიცხვის -თ ნიშნის გაჩენა კი მიცემითში დასმული სახელის მიერ.

იშვიათად შეუთანხმებელი ფორმებიც გვაქვს: მინამ ცხეხები ჩამოგვივიდოდა, დათიკომ რუსული ტანსაცმელი გააძრო: ილია, I,294,2...

მოსალოდნელი იყო: „ცხენები ჩამოგვივიდოდნენ“, მაგრამ შეუთანხმებლობა შეიძლება აიხსნას ფსიქოლოგიური ფაქტორით: დამატების მრავლობითმა რიცხვმა და მისმა გამოხატვამ შეაფიქროვა ქვემდებარის სინტაქსური ძალა („ცხენები ჩამოგვივიდოდა [ჩვენ]“).

მრავლობითი რიცხვის ნ და თ ნიშნებიან ქვემდებარეს შერჩენილი აქვს ძველი ვითარება: ითანხმებს შემასმენელს მრავლობით რიცხვში: დაჰკიჟინებდენ თავუნას ფრინველნი: ვაჟა, V,248,4; ფრინველთა ითაკილეს მეფის შეურაცხყოფა: ვაჟა, V,251,17; შდრ. უსულო საგნის აღმნიშვნელი ქვემდებარეები: გავიდნენ ღრონი: გ. ლეონ. 97,17; შემოვლენ როკვით კვალადცა ვარდნი: ა. კალანდ., 111,1...

ქვემდებარედ თუ პირველი პირია, იგი გამოიხატება მე და ჩვენ ნაცვალსახელებით. მე და ჩვენ ნაცვალსახელები ბრუნვისა და რიცხვის მიხედვით არ იცვლებიან. გაგება კი პირველს მხოლოობითისა აქვს, მეორეს — მრავლობითისა. შესაბამისად ეს უკანასკნელი შემასმენელს მოითხოვს მრავლობით რიცხვში: ჩვენ წავალთ ამ სოფლით: ვაჟა, VI,79,29...

ანალოგიური მდგომარეობაა ზანურსა და სვანურში: ჩქ ბტყო-ბუთგ ურთასია: ხალხ. სიტყვა, I,258,31 — ჩვენ ვიმალებით ურთა-9. ა. კიზირია

შიო. ჩქინ ხურმა პტახუფთ: ჳან., 1,158,16 — ჩვენ ხურმას ვტეხთ..., შდრ. სვანური: ნაჲ ესლურიდ ლაკვირათე: სვ. პ., 182,22 — ჩვენ მივიღვართ ჳიხვზე სანადიროდ; ნა გოლაის ლოხვაშგდად: სვ. პ., 22,22 — ჩვენ ფერდობს შევესიეთ.

ასეა მეორე პირთანაც: თქვენ არ იცნობთ მაგას: ნ. დუმბ., 117,1; შდრ. მეგრული: თქვა ქიმერთით უჩარდიაშა: ყიფშ., 3,1 — თქვენ მიდით უჩარდიასთან... ჳანური: თქვან გიჩქინან: ხოფ. 130,32 — თქვენ იციით...; სვანური: სგა აჩადლ მესტიათე — თქვენ წახვედით მესტიაში; სგა ხგემდ ხოჩა ქორს — თქვენ აშენებთ კარგ სახლს...

ქვემდებარედ როცა უსულო საგნის სახელია, შემასმენელთან ურთიერთობა მრავლობით რიცხვში ხან შეთანხმებით აღინიშნება, ხან შეუთანხმებლობით. ერთნაირი ქვემდებარეებიც სხვადასხვაობას ამჟღავნებენ შემასმენელთან ურთიერთობისას. ამიტომ გვაქვს ასეთი პარალელური ფორმები:

ყურებმა წივილი დამაწყეს: აკაკი, IV,186,39...

ეს სიტყვები ალონებდნენ გულს: ილია, I,264,11; ჩემმა სიტყვებმა იმას გული ჩემკენ მოუბრუნეს: ილია, I,302,17; ამ სიტყვებმა უტბად გამაახჩხლეს: აკაკი, IV,197,36...

იმისი თვალები მოუსვენრად დაჰყურებდნენ მტკვრის დენასა: ილია, I,288,12; ბავშური თვალები ბრწყინავდნენ: ს. კლდ., 338,8;

ამ ფიქრებმა თვალის დახამხამების უმალ გაურბინეს გონებაში სუტს: ილია, I,365,6...

რიცხვის მიხედვით ფუძემონაცვლე ზმნა-შემასმენლები, თუ მრავლობითში შეუთანხმებლობაა, ქვემდებარეს ეწყობიან მრავლობითის ფუძით მხოლოდობით რიცხვში: ქვა ვარდება — ქვები

ყურებმა წივილი დამიწყეს: აკაკი, IV,219,9...

ამ სიტყვებმა სიცილი გამოიწვია: ნ. ლორთქ., I, 507,14; აბრიას სიტყვებმა ყველანი კამოარკვია: შ. არაგვ., II,98,24; შაქროს სიტყვებმა მაგდანა გამოაფხიზლა: შ. არაგვ., I, 15,20...

ეს თვალები ხაფანგში გაბმულ თავკივით დარბის: მ. ჯავახ., III, 423,20; მერე მისმა დაჭყეტილმა თვალებმა ამოაშუქა: გ. შატბ., II,457,22...

ჩემი ფიქრები სოფოსკენ მიფრინავდა: ვაჟა, V,210,23...

ცვივა; ფიცარი დევს — ფიცრები აწყვიდა; აგური გდია — აგურები ყრია...<sup>118</sup>

ქართულისებური მდგომარეობაა ზანურსა და სვანურში.

მ ე გ რ უ ლ ი: ონჯუას ჯიმაღენქე ქომორთეს: ყიფშ., 27,12 — სალამოს ძმები მოვიდნენ; პაპეფი რენა წირუას: ხუბ., 162,1 — მღვდლები არიან წირვაზე...

ქ ა ნ უ რ ი: ჭუმაღეფე ქომოხთეს: ჰან., II,10,23 — ძმები მოვიდნენ; ბეფეჟე თიკანი ქანოკკიფეს: ჰან., I,8,27 — ბავშვებმა თიკანი დაკლეს...

ს ვ ა ნ უ რ ი: ბოფშარ ვეტხმალე ლალდიარ ლექვა... ითქარს იქუნცაღიხ: ბქვ., 71,15 — ბავშვები საქონლის ბაგაში მარცვლებს აგროვებენ; მგუალვარ ანჯაღხ ვოღვირთე: ბზ., 22,21 — მუქალები უღვირამდე მოვიდნენ...

არაკოცხალი საგნის აღმნიშვნელი ქვემდებარე შემასმენელს ხან ითანხმებს, ხან ვერ ითანხმებს:

მ ე გ რ უ ლ ი: მუს ორწყენა ჩქიმ თოლეფი — რას ხედავენ ჩემი თვალები, შდრ., მუს ორწყე ჩქიმ თოლეფი — რას ხედავს ჩემი თვალები;

ქ ა ნ უ რ ი: ამა სირთეჟე ოკორთუფან კახეთი დაღისტანი-შენ: ჰან., I,29,16 — ეს მთები ყოფენ კახეთს დაღესტანისაგან, შდრ. ქვეფე რენ: ჰან., I,114,19 — ქვეები არის...

ს ვ ა ნ უ რ ი: თოფარ ... შყედნიხ აშთე: სვ. პ., 68,17 — თოფე-ბი ვარდებიან ასე; ისგვა ნარგადვარდ მი ბაჟ ქა აშკაღხ: სვ. პ., 342,2 — შენმა სიტყვებმა მე გონება წამართვეს, შდრ. ქორარ ბეჯგენილა: სვ. პ., 44,16...

კრებითი სახელი, თუ მას სუბლექტური ზმნა არ უკავშირდება, ცალობითი სახელის დარად შეიწყობს შემასმენელს (ხალხი მოვიდა, გუნდი ჩამოყალიბდა...): მოფრინდა მერცხლის გუნდი: აკაი, V,321,38; მოჩანდა არწივის ლაშქარი: ვაჟა, VI,38,28... სუბლექტურ ზმნათაგან ასეთ შემთხვევაში გამოიყენება ისეთი ფუძე, რომელიც დამახასიათებელია მრავლობითი რიცხვისათვის: საერთოა მრავლობითი რიცხვისა და კრებითი სახელის ზმნა-შემასმენლის ფუძე. განსხვავებულია მხოლოდობითის ფუძე: ხალხი დასხდა, კაცები დასხდნენ, მაგრამ: კაცი დაჯდა და ასე: შეშინებული ჭალაბობა გარეთ გამოცვივდა: დ. კლდ., I,27,19; ხალხი მისცივიდა, შდრ. კაცე-

<sup>118</sup> ნ. ბ ა ს ი ლ ა ი ა, შემასმენლის შეთანხმება ქვემდებარესთან რიცხვში, ა. გორკის სახელობის სოხუმის სახ. პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, ტ. IX, სოხუმი, 1956, გვ. 331; ლ. კ ვ ა ქ ა ძ ე, თანამედროვე ქართული ენის სინტაქსი, გვ. 96.

ბი მისცვიდნენ, კაცი მივარდა... ასევე გვქონდა ძველ ქართულ-ში: სხდა ერი: C მრ 3,22; ორნი ბრმანი სხდეს გზასა ზედა: DE მ 20,30, შდრ. ჯდა თავადი მთასა მას ზეთის ხილთასა: D მ 24,3; ჯდა იგი: DE მრ. 2,15<sup>119</sup>

ქვემდებარესთან ურთიერთობისას, მრავლობითი რიცხვის მიხედვით, რთული შემასმენელი სხვადასხვანაირად წარმოგიდგება<sup>120</sup>.

1. თანასაერთიც და საერთიც მრავლობით რიცხვში დაისმის ისე, რომ თანასაერთი ერთნაირად იგულებს მრავლობითი რიცხვის -ებ და ნ ნიშნებს: ჩვენ ხომ ნათესავეები ვართ: მ. ჯავახ., III,464,34; თქვენ ერთი ბეწო ობლები დარჩით: ილია, I,354,17; ეს დღეები ჩემთვის უღრუბლონი იყვნენ: ილია, I,284,20; ბიჭები კალოზედ იყვნენ მოგროვილნი: ი. გოგებ., V,209,2...

2. თანასაერთიც და საერთიც მხოლოდობით რიცხვშია, შეთანხმება არა გვაქვს: მისი ტოტები შეხუნძლული იყო ვაშლებით: ი. გოგებ., V,525,26; კომბოსტოს უკეთესი თავები გაკორტნილი იყო: ი. გოგებ., V,518,22...

3. თანასაერთი მხოლოდობითშია, საერთი მრავლობითში: თქვენ ყმაწვილი კაცი ბრძანდებით: ილია, I,355,1; გასანთლულ ტილოში გახლდათ გახვეული: აკაკი, IV,93,37; თავგები ყოველთვის ბედნიერი იყვნენ: აკაკი, IV,318,24...

4. თანასაერთი მრავლობითშია, საერთი — მხოლოდობითში: პაპაშას შვილებიც უსწავლელები დაურჩა: მ. ჯავახ., I,21,3...

§ 34. თავისებურებანი კომპოზიტებთან. მრავალცნებიანი კომპოზიტები თავისებურია. ქვემდებარედ გამოყენების შემთხვევაში შემასმენელს ხან მრავლობითში შეიწყობს, ხან მხოლოდობითში<sup>121</sup> და ერთმანეთის გვერდით გვაქვს მრავლობითისა და მხოლოდობითის ფორმები: „ცოლქმარი ნათვლაში აპირებდნენ წასვ-

<sup>119</sup> ა. კიზირია, მარტივი წინადადების შედგენილობა ძველ ქართულში, გვ. 143; ივ. ჯავახიანი, ზმნის ძირითადი კატეგორიების ისტორიისათვის ძველ ქართულში, გვ. 223; ლ. კვაჭაძე, თანამედროვე ქართული ენის სინტაქსი, გვ. 96.

<sup>120</sup> დაწერილებით: ლ. კვაჭაძე, თანამედროვე ქართული ენის სინტაქსი, გვ. 103; ნ. ბასილაია, შემასმენლის შეთანხმება ქვემდებარესთან რიცხვში, გვ. 342—343; ა. კიზირია, მარტივი წინადადების შედგენილობა ძველ ქართულში, გვ. 180—181.

<sup>121</sup> ლ. კვაჭაძე, ტოლადშერწყმული სახელები ლექსიკური და გრამატიკული თვალსაზრისით. „ორიონი“, თბ., 1967, გვ. 173—183.

ლას“: ნ. ლორთქ., 244,20 და „ცოლ-ქმარი ისევ მარტო დარჩა“: ლ. გოთ., 536,29; „ქალ-ვაჟი ერთმანეთს შესტრფოდნენ“: რ. გვეტ., 68,17 და „ქალ-ვაჟი გაუთანასწორდა შაქროს“: ნ. ლორთქ., 371,32; „დედა-შვილი ბედს დამორჩილდნენ“: გ. ლეონ. 188,8 და „დედა-შვილი ერთად იწვა ლოგინში“: ლ. გოთ., 539,7; „შეამჩნიეს მამა-შვილმა ერთი ჯორი“: ნ. ლორთქ., 53,18 და „მამა-შვილმა უმაღლე გაიგო მათორის დაპირება“: მ. ჯავახ., IV,101,33; „ცოლ-ქმარს წინანდებურად უყვარდათ ერთმანეთი“: მ. ჯავახ., I,112,32 და „დაძმას უყვარს ერთმანეთი“: რ. ერისთ., 355,20 და ა. შ.

ჩვეულებრივ მხოლოდობითში დაისმის შემასმენელი, როცა ქვემდებარედ უსულო საგნების აღმნიშვნელ სახელთა შეერთებობა მიღებული კომპოზიცია: დაიწყო ცეკვა მთა-ბარმა: ვაჟა, VI,149,6; მას არსენას მკლავ-მკერდმა დიდი შიში მისცა: მ. ჯავახ., IV,21,37; ჯამში თავ-ფეხ-კისერი და ფრთები-ლა დარჩა: ნ. ლორთქ., 57,18...

შესაბამისი ფორმებია ზანურსა და სვანურში: დიდა-სქუაქ ქომორთეს — დედა-შვილი მოვიდნენ; ჩილ-ქომოჯი დილო ორას კაინობათე სქიდეს: ჭან., II,19,31 — ცოლ-ქმარმა დილხანს კარგად იცხოვრეს; სრის ხეხე-ჭან: ბქვ., 181,6 — არიან ცოლ-ქმარი; ლგ-მარდელის ღარიბ დი-გეზალ: ლენტ., 308,20 — ყოფილან ღარიბი დედა-შვილი...

## 8. პირმიმართი დამატებები

§ 35. პირმიმართ დამატებათა გამოხატვის საშუალებანი. პირმიმართია პირდაპირი და ირიბი დამატებები. პირველი დაისმის მიცემითსა და სახელობით ბრუნვებში, მეორე — მიცემით ბრუნვაში. პირმიმართ დამატებათა ბრუნვები ქართველურ ენებში შეპირობებულია ქვემდებარის ბრუნვასთან: თუ ქვემდებარე სახელობით ბრუნვაშია, პირმიმართი დამატებები მიცემითში დაისმის; თუ ქვემდებარე მოთხრობითშია, პირდაპირი დამატება სახელობითში იქნება, ირიბი — მიცემითში; თუ ქვემდებარე მიცემითშია, პირდაპირი დამატების ბრუნვა სახელობითია.

ქვემდებარის მსგავსად პირმიმართ დამატებად შეიძლება გვქონდეს პირველი, მეორე და მესამე პირი.

პირმიმართ დამატებად პირველი პირი მაშინ გვაქვს, როცა ქვემდებარედ მეორე ან მესამე პირია; მეორე პირი — მაშინ, როდესაც ქვემდებარედ პირველი ან მესამე პირია. მესამე პირი თავი-

სუფალია: გვაქვს ყოველთვის, იქნება ქვემდებარედ პირველი, მეორე თუ მესამე პირი. ამასთან ერთად, თუ პირდაპირ დამატებად პირველი პირია, ირიბ დამატებად შეიძლება იყოს მხოლოდ მესამე პირი. თუ პირდაპირ დამატებად მეორე პირია, ირიბ დამატებად შეიძლება ისევ მესამე პირი იყოს და თუ პირდაპირ დამატებად მესამე პირია, ირიბ დამატებად შეიძლება გვქონდეს პირველი, მეორე ან მესამე პირი. ანალოგიური მდგომარეობაა ირიბ დამატებასთანაც.

პირმომართი დამატებები შემასმენელთან სინტაქსურად დაკავშირებული წინადადების მთავარი წევრებია. ასეთი დამატება შემასმენელთან ორმაგ სინტაქსურ ურთიერთობაშია: მართავს შემასმენლის პირს, იმართვის შემასმენლისაგან ბრუნვაში და გარკვეულ შემთხვევებში ითანხმებს შემასმენელს რიცხვში.

### პირდაპირი დამატება

§ 36. პირდაპირი დამატების გამოხატვის საშუალებანი. ქართულში პირდაპირი დამატება შეესაბამება ობიექტს, რომელსაც პირდაპირ ეხება ქვემდებარის მოქმედება. ასეთი დამატება გვაქვს გარდაძველ ზმნა-შემასმენლებთან.

პირდაპირ დამატებად გვხვდება არსებითი სახელი (და მასდარი), ზედსართავი სახელი (და მიმღეობა), რიცხვითი სახელი, ნაცვალსახელი, ან კიდევ გარსებითებული რომელიმე მეტყველების ნაწილი.

არსებითი სახელი პირდაპირ დამატებად: კარპიჩა ხმადს მოარბენინებს: მ. ჭავახ., IV,180,35; კოლომ ლომი საომრად გამოითხოვა: ი. გოგებ., V,416,12; უკულმა შეუჟაზმავს ბედაური ქაბუკს: გ. შატბ., II,170,26; ბიჭებს ნაბდის ქულები მოეზადათ: გ. შატბ., II,8,24...

მასდარი პირდაპირ დამატებად: ჰაერმა მოძრაობა დაიწყო: ილია, I,406,15; დარეჯანმა გაათავა ლოცვის წერა: ილია, I,341,30...

ზედსართავი სახელი და მიმღეობა: მხოლოდ ერთადერთი მზის ელვარება ფანტავს ბნელს: აკაკი, IV,250,33; ბრმამ კოჭლი ზურგზედ შეისვა: ი. გოგებ., V,430,1; მკედარს ცხრა კაცი მარხავდაო (ანდ.)...

ნაცვალსახელი: ეს დედაჩემსა მიმირთვი...: ი. გოგებ., V,534,24; ისიც ჩექმებმა დაიუფლეს: მ. ჭავახ., IV,110,19; წაირთვა თურმე ცხენმა თავი: ს. მგალ., 441,16; აბრიას სიტყვებმა ყველანი

გამოარკვია: შ. არაგვ., II,98,24; ირმებმა ერთმანერთი მოიკითხეს: ვაჟა, V,225,15...

ზ მ ნ ა და ზ მ ნ უ რ ი შე ს ი ტ ყ ვ ე ბ ა: თვედორემ ... ცოლს „დაბერდი და გამოტვინდიო“ მიაყვირა: ნ. ლორთქ., I,503,3; „ძეხი კი დაგეცესაც“ ზედ დაატანდა: ილია, I,329,42; მათიკომ შემოსძახა კენესით „კმუნვის მახვილი გულსა მსობიაო“: აკაკი, IV,204,3.

ასეთ შემთხვევებში მთელი შესიტყვება წინადადების ერთი წევრის მნიშვნელობითაა.

პირდაპირი დამატება ზმნის პირველი სერიის ნაკვთებთან მიცემითში დაისმის: ჩვენი ქუჩა საბჭოს ქუჩას კვეთს: რ. ინან., 47,2; შეხრე აპეურებს მოუსინჯავს მოზერებს: რ. ინან., 105,10; არჩილა ვენახს აშენებდა: ილია, I,449,12...; მეორე და მესამე სერიების ნაკვთებთან — ს ა ხ ე ლ ო ბ ი თ შ ი: შეაყენა ცხენი არზაყანმა: კ. გამს., I,130,1; ჰკრა ერთმა მოსხეპილმა ყმაწვილკაცმა ცხენს ქუსლი: ილია, I,420,23...; ბაბალეს კამეჩი მეველეებს დაუმწყვდევიათ: ილია, I,337,26; კესოს ტახტზე გადაეშალა დახაზული ქალღი: ილია, I,454,15...

ზოგი შემასმენელი პირდაპირ დამატებას მოსალოდნელი სახელობითის მაგივრად მიცემითშიც შეიწყობს, მაგალითად, დ ა პ ა ტ ი ე ა, ა ს წ ი ა... ორპირიანი გარდამავალი ზმნებია, მაგრამ მათთან პირდაპირი დამატება შეიძლება მიცემითშიც იყოს, როგორც ეს ცოცხალ მეტყველებაშიც გვხვდება<sup>122</sup>: ზოგიერთა მაყრებს მეჭვარემ დაჰპატიე: ვაჟა, VII,160,30; დედიმასაც დაჰპატიე: იქვე, 143,18; დაჰპატიეა ელიზბარმა დათვიასა: ვაჟა, VII,153,1...

ა. შანიძემ შესიტყვებაში „ასწია კარახანასა“ (ვაჟა, IV,8,15) კ ა რ ა ხ ა ნ ა ს ა ი რ ი ბ დ ა მ ა ტ ე ბ ა დ მიიჩნია<sup>123</sup>. აქვე აღნიშნულია, რომ ა ს წ ი ა ზმნასთან დამატება შეიძლება იყოს მიცემითშიც და სახელობითშიცო. დამოწმებულია მაგალითებიც: ბაკიამ კისერს ასწია: ვაჟა, I,140,19 და ისე: „ხმას უფრო მალლა ასწია“, „ქედსა ასწია“; „მალლა ასწია მახვილსა“..., მაგრამ: „ლომი ზეტამდე ასწია“; „ცხვირი ცისავე ასწია“; „ხეტემ თავი მალლა ასწია“ და ა. შ.

ა. შანიძე ორგვარი ფორმის პარალელურად არსებობას იმით ხსნის, რომ ეს ზმნა თავდაპირველად სამპირიანი უნდა ყოფილიყო, შემდეგ პირდაპირი ობიექტი დაეკარგა და შერჩა ირიბი, რომელიც პირდაპირად იქნა გააზრებული<sup>124</sup>.

<sup>122</sup> ო. კ ა ხ ა ძ ე, ოკრიბულის თავისებურებანი, გვ. 179; ვ. ს ო მ ხ ი შ ე ლ ი, ქსნის ხეობის მეტყველება, გვ. 82.

<sup>123</sup> ა. შ ა ნ ი ძ ე, ვაჟა-ფშაველას ლექსიკონი: „ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში“, № 3, 1967, გვ. 9—11.

<sup>124</sup> ა. შ ა ნ ი ძ ე, ვაჟა-ფშაველას ლექსიკონიდან, გვ. 10.

ასეთი ფორმები გვხვდება ძველ ქართულშიც: აიძულა მონა-ზონსა: ლიმ., 85,8; აჰენა მას: ლიმ., 75,16; დაარწმუნე მას: კიმ., 71,20...<sup>125</sup>

ა ი ძ უ ლ ა ზმნა ძველ ქართულში სამპირიანის გაგებითაც გვაქვს: „მან აიძულა მას იგი“: აიძულა იესუ ანდრეას ჰამაჲ ჰური-საჲ: ვერს., 24,14, მაგრამ ადრიდანვე დაჰქარგვია პირდაპირი და-მატება და მივიღეთ „მან აიძულა მას“. შემდეგ, ძველ ქართულში-ვე, ა ი ძ უ ლ ა გაუთანაბრდა ორპირიან გარდამავალ ზმნას<sup>126</sup>.

პირდაპირი დამატებისა და სამპირიანი ზმნა-შემასმენლის ურ-თიერთობა ოდნავ განსხვავდება ორპირიან ზმნა-შემასმენელთან და-მოკიდებულებისაგან. ამ განსხვავებას ქმნის უცვალებელი პირი. სამპირიან ზმნასთან სამი სახელია დაკავშირებული — სუბიექტი და ორი ობიექტი. ამათგან ჩვეულებრივ უცვალებელია პირდაპირი ობიექტი (პირდაპირი დამატება); ცვალებელია ირიბი დამატება, რომელიც პირის ნიშანს აჩენს ზმნაში. პირდაპირი დამატება კი „ზმნის მიერ იმართვის, მაგრამ ზმნას ვერ მართავს“<sup>127</sup>, ამის შედე-გად მისი სინტაქსური ძალა არ არის ისეთი, როგორც ცვალებად პირს აქვს.

მაგრამ სამპირიანი ზმნა-შემასმენლის პირდაპირი დამატება შეიძლება აღმოჩნდეს ცვალებადი. შესაბამისად კი ირიბი დამატე-ბა — უცვალებელი<sup>128</sup>.

მაგალითად, პ ი რ დ ა პ ი რ დ ა მ ა ტ ე ბ ა დ ი პ ი რ ი ა : დამაწაფა [მე] სოფელმა უკვდავების წყაროსა: ილია, I,298,27; ეფ-რემმა საქონელს დამიყენა: ვაჟა, VII,50,4; ერთხელ თვითონ ერეკ-ლემ გამაგდებინა ლეკებს: ვაჟა, V,159,17; ვაჟაკის ხელმა ქალის ნაზ, სალუქ ხელს გადამცა: შ. დად., I,46,14, შდრ. ძვ. ქართ.: ერთ-მან თქუენგანმან მიმცეს მე: მ 26,21...

პ ი რ დ ა პ ი რ დ ა მ ა ტ ე ბ ა დ მ ე ო რ ე პ ი რ ი ა : რეგვენ ქმარს მიგეცმ: ილია, I,305,42; მაგათზე უკეთეს მოსამართლეს მი-გეცი: დ. კლდ., I,2,5; აგაშენა ღმერთმა, ჩაგაბარებ მთავრობას: ნ. დუმბ., 77,29...

<sup>125</sup> ი. ი მ ნ ა ი შ ვ ი ლ ი, ქართული ენის ისტორიული ქრესტომათია, II, თბ., 1963, გვ. 182; მისივე, ქართული ენის ისტორიული ქრესტომათია. I, ნაწ. II, თბ., 1971, გვ. 331—335; ა. კ ი ზ ი რ ი ა, მარტივი წინადადების შედ-გენილობა ძველ ქართულში, გვ. 161—162.

<sup>126</sup> ა. კ ი ზ ი რ ი ა, მარტივი წინადადების შედგენილობა ძველ ქართულ-ში, გვ. 161.

<sup>127</sup> არნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, მარტივი წინადადების პრობლემა ქართულში, გვ. 217.

<sup>128</sup> ა. შ ა ნ ი ძ ე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, გვ. 231.



სპეციალურ ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ აქ ორი ობიექტური ნიშანია მოსალოდნელი: 1-ლისა და მე-3 პირისა, ან მე-2-ისა და მე-3 პირისა: მი-მ-ცა (მან მას მე), მი-მ-მ-აბარა (მან მას მე)... შე-მ-გ-აჰმევთ (ჩვენ მას შენ)<sup>129</sup>.

მეგრულში პირდაპირი დამატება ისევე, როგორც ქართულში, გამოიხატება სახელით (მასდარითა და მიმლეობითურთ) და დაისმის მიცემითსა და სახელობით ბრუნვებში: ბალირე რდუნს ბარტყის — ბელურა ზრდის ბარტყს; ქოთომი გეშუნს წყარს — ქათამი დალევს წყალს; მარჭინოლი ბუდეს უკეთენს სქუალეს — მერცხალი ბუდეს უკეთებს შვილებს; პაპაქ მოლააშქეუ ოხვამეშე დიაკონი: ყიფშ., 8,19 — მღვდელმა გამოგზავნა ეკლესიიდან დიაკონი; ლეკურიშ ნოტეხიქ ალეს ყუჯი მეკვათგ: ხუბ., 169,4 — ხმლის ნატეშმა ალეს ყური მოსჭრა...

პირველი პირის დამატება, იქნება ის პირდაპირი თუ ირიბი, ხმოვნის წინ ზმნაში წარმოდგენილია მ პრეფიქსით, თანხმოვნების წინ კი მომდევნო თანხმოვნებთან შეფარდებით გვაქვს ბ, ფ, ა<sup>130</sup>: მა გოშიტენს — მე გამიშვებს; მა ზგორუნს — მე მეძებს; მა პკუნს — მე მწვავს; მა ფთხილანს — მე მმწყემსავს (მივლის)...

მეორე პირის დამატების ნიშანია გ (ხმოვნების წინ) და მისი ბგერინაცვალი რ (თანხმოვნების წინ), შდრ. სი გოხორუანს მუმა — შენ გასახლებს მამა; სი რხანტუნს კოჩი — შენ გხატავს კაცი...

ქანურში რამდენადმე განსხვავებული ვითარებაა: პირდაპირი დამატება სახელობითში დაისმის (შესაბამისად ქვემდებარე შოთბრობითშია): ბომბულაქ მოსა შუმს: ჰან., II,68,12 — ობობა ქსელს ქსოვს; ფუჯიქ გენი დოინაფს: ჰან., I,165,32 — ძროხა ხბოს მოიგებს; ბადი კოჩიქ ბალის მცხული გომპონაპტუ: ჰან., I,87,21 — მოწუცი კაცი ბაღში მსხალს ამყნობდა; ქოთუმექ კოლი ქოჭოფუ: ჰან., I,74,16 — ქათამმა კალია დაიჭირა; ოხორჯა დევიქ ქანიხიელენ: ზოფ., 150,32 — ქალი დევს მოუტაცებია და ასე: ოხორჯა მუშიქ ფილაი უხვენუფს კოჩის: ხოფ., 94,24 — მისი ცოლი ფლავს უზნადებს კაცს; ბიჭიქ-თი ია კულანის მუში მენდალი ქოჭეჩუ: ხოფ., 55,28 — ბიჭმაც იმ გოგოს თავისი მანდილი მისცა; ამა ჯაზიქ ჭირთა ჯუმას ჯუმალეფე ქოჭკომეენ: ხოფ., 155,20 — ამ ჯაზს უმცროსი ძმისათვის ძმები შეუქამია...

სახელობითშივე დაისმის პირდაპირი დამატება ინვერსიულ ზმნა-შემასმენლებთანაც: მა მიძირამუნ წკარი: ჰან., I,120,30 — მე

<sup>129</sup> ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, გვ. 233.

<sup>130</sup> არნ. ჩიქობავა, ქანურის გრამატიკული ანალიზი, გვ. 97.

შინახავს წყალი; ხინის კინხინომ ოხორი დოკიდენ: ხოფ., 107,23 -- დედაბერს წკნელის სახლი აუგია.

პირდაპირი დამატება დრო-კილოთა პირველი სერიის ნაკეთებში მიცემითში უნდა ყოფილიყო, ამჟამინდელი ვითარება მეორეულია<sup>131</sup>. იშვიათად აღრინდელი ვითარებაც შემოუნახავს ჭანურს — პირდაპირი დამატება დრო-კილოთა I სერიის ნაკეთებთან მიცემითშიც გვხვდება: კოჩიქ-თი ხეთე ნჭარუმს ქართლის: ჭან., 11,59,7 — კაციც ხელით წერს ქალაღდს. ამ შემთხვევაში ქვემდებარე-შემასმენლის ურთიერთობაში დაწყებულ პროცესს ბოლომდის ვერ მიულწევია.

ჭანური ქვემდებარე-შემასმენლისა და დამატება შემასმენლის სინტაქსური ურთიერთობით დაშორდა ქართულსაც და მეგრულსვანურსაც. და მაინც ქვემდებარე-შემასმენლისა და დამატება-შემასმენლის სინტაქსური ურთიერთობა გათანაბრებულია: შემასმენელი-ზმნის პირს მართავენ ქვემდებარეც და დამატებებიც და ორივე მართულია ზმნის მიერ ბრუნვაში.

მეგრულისაგან რამდენადმე განსხვავებულია დამატების პირის პრეფიქსი: პირველი პირის ნიშანია მ (ფონეტიკური ცვლილებებით: ბ//პ//ფ), მეორისა გ:<sup>132</sup> ბექქ გემჩუ ბიგა — ბავშვმა დამარტყა ჯოხი; ბექქ გკითხუმს\* სი(ნ) — ბავშვი გეკითხება შენ...

სვანურში პირდაპირი დამატება დაისმის მიცემითსა და საბელობით ბრუნვებში<sup>133</sup>: მეშხე დაკჯლ ცხეკის ხეკვფხი: სვ. პ., 244,28 — შავი თხა ნეკერს ჭამს; ალ მკკლმზხიდ აღგრმე ვოქქრტ კალმახ: ბზ., 367,24 — ამ მეთევზემ დაიჭირა ოქროს თევზი; მწლდ ჩვადღღჯრე ყვიჩ: ბზ., 256,34 — მელამ დაგლიჯა მამალი; ხენწიფს სრწივ ახოფრა: ლენტ., 147,12 — ხელმწიფეს არწივი დაუბარებია... და ასე: მი მიშგვა გეზალს ხახვდ ლოპედნე: ბქვ., 125,34 — მე ჩემს შვილს ცოლად მივეცემ; სორთმანდ ნაბ ლაწვემ: ბქვ., 13,32 — სორთმანმა ნება მისცა...

§ 37. პირდაპირი დამატების მიერ შემასმენლის შეთანხმება რიცხვში. ცალკე გამოიყოფა პირდაპირ დამატებად I და II პ. ნაცვალსახელები: მე — ჩვენ, შენ — თქვენ. ეს ნაცვალსახელები არ იცვლებიან ბრუნვისა და რიცხვის მიხედვით, ამიტომ ერთ-

<sup>131</sup> არ. ჩიქობავა, ჭანურის გრამატიკული ანალიზი, გვ. 181.

<sup>132</sup> არ. ჩიქობავა, ჭანურის გრამატიკული ანალიზი, გვ. 94.

<sup>133</sup> ვ. თოფურია, შრომები, I, გვ. 15—24; მისივე, Сванский язык, с. 91; ნ. აბესაძე, დამატებისა და შემასმენლის სინტაქსური ურთიერთობის ზოგიერთი საკითხი სვანურში, გვ. 5; მისივე, ბრუნვათა სინტაქსური ფუნქციები სვანურში ქართულთან მიმართებით, გვ. 6.

ნაირი ფორმით გამოიყენებიან ქვემდებარედ და დამატებად. მაგ-  
რამ: მე და ჩვენ, შენ და თქვენ უპირისპირდებიან ერთმანეთს ზმნა-  
შემასმენელში რიცხვის გამოხატვით. შდრ. შენ მე წამახალისე:  
ილია, I,282,39; მე კიდევ შენ წაგახალისებ (იქვე)... და ჩვენ დაგვა-  
ყენეს დიდ ბატონის ნათლიდედასთან: ილია, I,270,22; თქვენმა იმედ-  
მა არ მოგატყუათ თქვენ: ილია, I,252,25...

მე და ჩვენ დამატებები ზმნაში წარმოდგენილია მ- და გვ-  
პრეფიქსებით: პირველით მხოლოდობითის პირველი ობიექტური პი-  
რია გამოხატული, მეორით — მრავლობითისა, იქნება ის მიცე-  
მითში დასმული, თუ სახელობითში დასმული სახელის მაგიერი.

შენ და თქვენ ნაცვალსახელებიც მე და ჩვენ-სავით უპირის-  
პირდებიან ერთმანეთს იმ განსხვავებით, რომ მრავლობითი რიცხ-  
ვის ნიშანი თ სუფიქსია. ეს თ ნიშანი არ ჩანს, თუ ქვემდებარეც  
მრავლობითშია: მან დაგხატა შენ — მან დაგხატათ თქვენ, მაგრამ:  
მათ დაგხატეს შენ — მათ დაგხატეს თქვენ.

მეორე პირის დამატების მრავლობითი რიცხვი ზმნა-შემასმე-  
ნელში გამოიხატება მხოლოდ მაშინ, როცა მეორე სახელი (ქვემ-  
დებარე) მხოლოდობით რიცხვშია.

სუპლეტურ ზმნა-შემასმენელთან მრავლობითში დასმული პირ-  
დაპირი დამატება და პირდაპირ დამატებად კრებითი და ნივთიერე-  
ბათა სახელები შემასმენელს მრავლობითის ფუძით წარმოგვიდგე-  
ნენ, განსხვავებულია მხოლოდობითის ფუძე: მოკლა ჩიტი, მაგ-  
რამ: დახოცა ჩიტები, დახოცა მგლები, დახოცა ჯოჯი,  
დახოცა ცხვარი...; დააგდო ჯოხი, მაგრამ: დაყარა ჯო-  
ხები, დაყარა ქვირითი, დაყარა მიწა...; დედაჩემმა ქალები  
გულაში ჩააწყო: ვაჟა, V,178,17; დიასახლისმა ლობიო ჩაყარა ქო-  
თანში: ი. გოგებ. V,537,6; კაცმა (გვრიტს) ბარტყები ამოუსხა ბუ-  
დიდგან: ი. გოგებ., V,353,20; ქალიშვილებმა მატრიკულები აკრი-  
ფეს: რ. ჭეიშვი., 55,20; წავასხით საქონელი საძოვარზე: ვაჟა,  
VII,47,17; ტყემ მოისხა ფოთოლი: ილია, I,71,2...

ანალოგიური მდგომარეობაა ზანურსა და სევანურში...

პირდაპირი დამატების მრავლობითი რიცხვი შეიძლება ზმნა-  
შემასმენელში აღინიშნოს ზმნისწინთა მონაცვლეობით: რიგ შემ-  
თხვევაში გა-, ამო-, გამო-, შე- ზმნისწინებს ენაცვლება და-, რო-  
მელსაც ა. შანიძემ თითობის და- უწოდა. ასეთებია: კაკა-  
ლი გატეხა — კაკლები დატეხა, კბილი ამოაძრო — კბილები დააძ-  
რო, კვერი გამოაცხო — კვერები დააცხო; მგელმა თხა შექამა —  
მგელმა თხები დაქამა<sup>134</sup>.

<sup>134</sup> ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, გვ. 255—257;  
ლ. კვაჭაძე, თანამედროვე ქართული ენის სინტაქსი, გვ. 107.

მაგალითები: სანდომ ჰრელი წინდები დაქსოვა: ვაჟა, VII, 137,16; ერთმა წუწკმა მელამ შვილები სრულიად დამიჭამათ: ი. გოგებ., V,361,18; ნანამ თვალები ფართოდ დააღო: ალ. აბაშ., II, 352,37...

თანამედროვე სალიტერატურო ქართულში ასეთი მონაცვლეობა გადაშენების გზაზეა.

ზანურში პირმიმართ დამატებათა მრავლობითი რიცხვი მხოლოდ სუფიქსებით აღინიშნება. ეს სუფიქსებია -თ, -ეს და -ან<sup>135</sup>.

დამატების მრავლობითი რიცხვის სუფიქსები მაშინ ერთვის შემასმენელს, როდესაც ქვემდებარე მხოლოდობით რიცხვშია.

-თ სუფიქსი გვაქვს I და II ობიექტურ პირებში:

1. როცა ქვემდებარედ მეორე პირია და დამატებად — პირველი პირი: სი მარზენთ ჩქი წიგნის — შენ გვაძლევ ჩვენ წიგნს; სი ქომუჩანთ ჩქი წიგნის — შენ მოგვეცემ ჩვენ წიგნს; სი ქომუჩით ჩქი წიგნი — შენ მოგვეცი ჩვენ წიგნი...

2. როცა ქვემდებარედ პირველი პირია და დამატებად — მეორე პირი: მა გარზენთ თქვა წიგნის — მე გავძლევთ თქვენ წიგნს; მა ქემერჩანთ თქვა წიგნის — მე მოგვემთ თქვენ წიგნს; მა ქემერჩით თქვა წიგნი — მე მოგვემთ თქვენ წიგნი...

-ეს გვაქვს მაშინ, როდესაც შემასმენელი გამოხატულია ნამყოფუწვეტლის (აგრეთვე I ხოლმ.) და ნამყოფუწვეტილის ნაკვთებით, ქვემდებარე მესამე პირშია და დამატებად გვაქვს I და II პირები. ან კიდევ ამავე ნაკვთების მორფოლოგიური ობიექტი გამოხატავს რეალურ სუბიექტს (სამსავე პირში): ბალანაქ დომიხანტეს ჩქი სურათი — ბავშვმა დაგვიხატა ჩვენ სურათი; ბალანაქ დოგიხანტეს თქვა სურათი — ბავშვმა დაგვიხატათ თქვენ სურათი; ბალანა მიხანტუნდეს ჩქი სურათის — ბავშვი გვიხატავდა ჩვენ სურათს; ბალანა გიხანტუნდეს თქვა სურათის — ბავშვი გიხატავდათ თქვენ სურათს...; ბალანა დომიხანტუნდეს ჩქი სურათის — ბავშვი დაგვიხატავდა ჩვენ სურათს; ბალანა დოგიხანტუნდეს თქვა სურათის — ბავშვი დაგვიხატავდათ თქვენ სურათს...

და ასე: ჩქი მიღუდეს წიგნი — ჩვენ გვქონდა წიგნი; თქვა გიღუდეს წიგნი — თქვენ გქონდათ წიგნი; თინეს უღუდეს წიგნი — მათ ჰქონდათ წიგნი...; ენთეფეს უყოუნტეს დიდო ბერეფე: კარტ. მას., 172.12 — მათ ჰყავდათ ბევრი ბავშვი: სუმ დლას მიღუტეს მსქიბუ: ხოფ., 123,22 — სამ დლეს გვქონდა წისქვილი; ნან-დიდი ჩქინიქ ქომიძირეს: ყიფშ. ქან., 6,27 — დიდედა ჩვენმა დაგვიხატა...

დანარჩენ შემთხვევაში გვაქვს -ან: კოჩი რხანტუნა(ნ) თქვა --

<sup>135</sup> არნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, ჰანურის გრამატიკული ანალიზი, გვ. 94—95.

კაცი გხატავთ თქვენ; ბერეჟ მკითხუმან ჩქუნ — ბავშვი გვკითხავს ჩვენ; ბერეჟ გკითხუმან თქვან — ბავშვი გკითხავთ თქვენ...

სვანურში დამატების მრავლობითი რიცხვი თავისებურად იწარმოება: ინკლუზიური ფორმა გვ//გუ- პრეფიქსით გამოხატავს პირველი პირის მრავლობით რიცხვს, ექსკლუზიური ნ- პრეფიქსით. მეორე პირის მრავლობითის ნიშანია ხ სუფიქსი; მესამე პირის ირიბი დამატება ასევე ხ სუფიქსს იყენებს მრავლობით რიცხვში შეთანხმებისას. ეგვე სუფიქსი გვაქვს ინვერსიულ წმინბთანაც<sup>136</sup>.

საგალითები: ისგვა ქაშდ ანზგზე ნაჲ: სვ. პ., 190,30 — ჩვენ შენმა ქმარმა გამოგვგზავნა: სგაჲ ერ ვოთარ ჭელრუევალენიხ: სვ. პ., 92,36 — თქვენ ოთარა გატყუებთ; აღაჲრს ვეშგინ ახჟიმხ ალ ქალქი ჯარ: ბზ., I,235,16 — იმათ უჲან დაედვენათ ამ ქალაქის ჯარი...<sup>137</sup>

### ირიბი დამატება

§ 38. ირიბი დამატების გამოხატვის საშუალებანი. ირიბი დამატება შეესაბამება ირიბ ობიექტს. ასეთი დამატება გვაქვს გარდაუვალ ორპირიან და გარდამავალ სამპირიან ზმნა-შემასმენლებთან. ორივე შემთხვევაში დაისმის მიცემით ბრუნვაში.

გარდაუვალი ზმნა-შემასმენელი ირიბ დამატებას შეიწყობს სამსავე სერიაში: ზამთრობით მგელი ესტუმრება ხოლჲე ხმელს წიფელს: ვაჲჲ, V,87,5; მერცხლები ეცნენ კატას: ი. გოგებ., V,496,26; იმ ბელნიერს ღამეს ჩემს თვალს ძილი არ მიჰკარებია: ილია, I,304,39... გარდამავალი — მხოლოდ პირველსა და მეორე სერიაში: არსენა ლურჯას ისევ თავს უშაგრებს: მ. ჯავახ., IV,34,1, ჩოლოყაშვილმა კარგი ფეხი ვერ მიუტანა სპარსელებს: აკ-კი, IV,106,29...

ყველგან ირიბი დამატება მართავს ზმნის პირს, იმართვის ბრუნვაში და, თუ პირველი ან მეორე პირია, ითანხმებს შემასჟენელს რიცხვში.

ირიბ დამატებად შეიძლება იყოს ყველა ის სახელი. რომელთაც ვხვდებით პირდაპირ დამატებად: სოფელს ბინდი წამოეფარა: დ. შენგ., II,324,2; სოფიო კედელს მიჰყუდებია: მ. ჯავახ., II,29,24; სოფიომ თავის ხმას უფრო მეტი სითბო მისცა: მ. ჯავახ., II,30,14;

<sup>136</sup> ვ. თ. ფ. უ. რ. ი. ა., შრომები. I, გვ. 15; ნ. ა. ბ. ე. ს. ა. ძ. ე., დამატებისა და შემასმენლის სინტაქსური ურთიერთობის საკითხები, სვანურში, გვ. 8; თ. შ. ა. რ. ა. ძ. ე. ნ. ი. ძ. ე., სვანური ენის ცხუმარული კილოკაეის ძირითადი თავისებურებანი, გვ. 243—244.

<sup>137</sup> ნ. ა. ბ. ე. ს. ა. ძ. ე., დამატებისა და შემასმენლის სინტაქსური ურთიერთობის საკითხები სვანურში, გვ. 8.

ერთმა მეორეს უთხრა: ვაჟა, VI,47,16; იმ ერთს მოჰყვა მეორე: ილია, I,250,15; კოკლმა ბრმას გზა უჩვენა: ი. გოგებ., V,430,1; გარსიამ მას ორადლიანი ჩიბუხი აუტანა: მ. ჭავჭავაძე, IV,50,21; ვკითხე მე ჩემს თავს: ილია, I,250,40; სარიდანი ყველგან არას. წააწყდა: ა. ბელ. იუმ., 5,28; შეეჩვია თევდორე დამპატოებელს „მივდივარს“: მ. ჭავჭავაძე, II,152,4...

ირიბი დამატება ზანურშიც დარსმის მიცემითში და გვაქვს ორპირიან გარდაუვალ და სამპირიან გარდამავალ ზმნებთან.

ორპირიან ზმნებთან ირიბი დამატება ყველა ქართველურ ენაში ერთნაირადაა წარმოდგენილი. ერთნაირადვე გადმოიციება ზანურის ორსავე დიალექტში. მაგ.:

მ ე გ რ უ ლ ი: მიმინო ჰყორს ოღებუ: ხალხ. სიტყვ., I, 227,17 — მიმინო მწყერს ეღავება: სქუაქ მუმას ჩამეშორუ: ხუბ., 223,3 — შვილი მამას ჩამოშორდა...

ქ ა ნ უ რ ი: მონჰვა გათხოზუ ყვაოჯის: ჰან., I,122,7 — კრუხი გამოუდგა ყვაეს; ოხოი დვაჰუ ზინის: ხოფ., 65,25 — სახლი დაეწვა დედაბერს...

სამპირიანი ზმნა-შემასმენელი ირიბ დამატებასთან დამატებულებაში განასხვავებს ჰანურსა და მეგრულს ქართულ-სვანურისაგან. ჰანურში შესამე სერიის ნაკვთებში ჩვეულებრივ არ ზდება ინვერსია: სამპირიანი ზმნა სამპირიანადვე რჩება და ირიბი დამატება ინარჩუნებს თავის ფორმას: ამა ჯაზიქ ჰიტა ჯ უ მ ა ს ჯ უ მ ა ლ ე ფ ე ქ ო ჰ კ ო მ ე ნ: ხოფ., 155,20 — ამ ჯაზს უმცროსი ძმისათვის ძმები შეუჰამია...<sup>138</sup>

მეგრულში შესამე სერიის ფორმები ქართულისებურად იწარმოება: ირიბი დამატება იქცევა მიმართულებითში დასმულ პირმიუმართავ დამატებად: ათენერი კოჩიშა მეუჩამე მუაჩქიძს ჩქიმი დუღია — ამნაირი კაცისათვის მიუცია ჰამაჩემს ჩემი თავიო... სამაგიეროდ არაინვერსიულია. მეოთხე სერიის დრო-კილოები და ირიბი დამატებაც წარმოგვიდგება ირიბ დამატებადვე. შდრ. სქუა მეჩანს დ ი დ ა ს წიგნის — შვილი მისცემს დედას წიგნს; სქუაქ ქემეჩუ დ ი დ ა ს წიგნი — შვილმა მისცა დედას წიგნი... და: სქუა მენოჩამუე დ ი დ ა ს წიგნის — შვილი მისცემს თურმე დედას წიგნს; სქუა მენოჩამუედუ დ ი დ ა ს წიგნის — სქუა მენოჩამუედას დიდას წიგნის..., სქუა მენოჩამუედუკო დ ი დ ა ს წიგნის...

<sup>138</sup> შეიძლება ირიბ დამატებას მიცემითი ბრუნვის ნიშანი დაეკარგოს და ამით სახელობითს დაემსგავსოს: თ ი ლ ჩ ი (←თილჩის) ძალი ნუკვათამს დერემენჯიქ: ჰან. II, 95, 32—მელა: ყელს სკრის მეწისქვილე; ჯ უ მ ა შ ქ ი მ ი (← ჯ უ მ ა შ ქ ი მ ის) ლული მეუწნლონი: ჰან. II, 107, 11—ჩემს ძმას ლეღო გავუგზავნე.

ირიბი დამატების ბრუნვა სვანურშიც მიცემითია: ხელწიფხეს ხოგ ლაკლმანხი ტობ: ბქვ., 188,29 — ხელმწიფეს უდგას სათევზ-ტბა; კვლთხი ზაგარს ვერთქ ოხვეზივ: ბქვ., 263,23 — მალალ გორას ორთქლი ასდიოდა; ისგლეთქა დავ განჩიმ ლწურას ახად: ბქვ., 94,31 — შუალამისას დევი დანის გაღესვას შეუდგა; ემაუ მუშვან ლახმუშვეკრწნა ლელტხას მეზგა: ბზ., 57,8 — ერთი სვანი სტუმრებია ლენტეხში ოჯახს... კაწაღლ ხაშვემინხ უშვეკლარს საჩქვარ: სვ. პ., 68,28 — ლებელემა სთხოვეს უშველელებს საჩქვარი...

სამპირიანი ზმნა-შემასმენელი სვანურში მესამე სერიაში კარგავს ერთ პირს, ირიბ დამატებას, რომელსაც გადმოსცემს ვითარებითი ან ნანათესაობითარი ვითარებითი ბრუნვით ქართულის -თვის თანდებულისანი ნათესაობითის შესაბამისად<sup>139</sup>: ფადასგი მუყველდ ბარჯად მიყრა: სვ. პ., 86,24 — მდეერის მძლოლისათვის მხარში მომირტყამს; მგრზილაშდ დაშნილ ჟივ მიკრდა: სვ. პ., 92,16 — მურზილასთვის ხმალი ამიცილია.

§ 39. ირიბი დამატების მიერ შემასმენლის შეთანხმება რიცხვში. ირიბი დამატების პირველი და მეორე პირები შემასმენელს რიცხვში ითანხმებენ იმავე წესით, როგორც გვაქვს პირდაპირ დამატებასთან: მე-ჩვენ ნაცვალსახელებით გამოხატული დამატება ზმნაში აქაც მ- და გვ- პრეფიქსებითაა წარმოდგენილი. პირველი განკუთვნილია მხოლოდობითი რიცხვისათვის, მეორე — მრავლობითისათვის, შდრ. მე გულმა ველარ მომითმინა: ილია, I,271,18... და ჩვენც მოგვეციოთ თქვენთან ახლო ბინა: ვაჟა, VII,37,4...

შენ და თქვენ ნაცვალსახელები გ- პრეფიქსით აღინიშნებიან, მრავლობით რიცხვს კი გამოხატავს -თ სუფიქსი: მე შენ გეთამაშები — მე თქვენ გეთამაშებით... და ასე: მე თქვენ გიყურებთ: ილია, I,489,6; თქვენ უნდა ერთი რამა გკითხოთ: ილია, I,253,24...

ეგვევ -თ სუფიქსი გვაქვს პირველი პირის სუბიექტის მრავლობითი რიცხვის აღსანიშნავადაც: მე გეთამაშები შენ -- ჩვენ გეთამაშებით შენ//ჩვენ გეთამაშებით თქვენ. ამ შემთხვევაში მეორე პირის დამატების მრავლობითი რიცხვის ნიშანი არ ჩანს. გაუჩინარებულია დამატების რიცხვის ნიშანი მაშინაც, როდესაც ქვემდებარედ მესამე პირია მრავლობით რიცხვში: ის გეთამაშება შეხ — ის გეთამაშებათ თქვენ, მაგრამ: ისინი გეთამაშებიან შენ//ისინი გეთამაშებიან თქვენ.

ფშაურ მეტყველებას უცდია ორივე სახელის მრავლობითი

<sup>139</sup> ნ. ა ბ ე ს ა ძ ე, ბრუნვათა სინტაქსური ფუნქციები სვანურში ქართულთან მიმართებით, გვ. 8—9; კ. დ რ ნ დ უ ა, რჩეული ნაშრომები, I, გვ. 51—52.

რიცხვის აღნიშვნა: გ ე ხ ვ ე წ ე ბ ი ა ნ თ თქვენ სიყმობით სახე-  
ლები: ვაჟა, VII,145,24.

მესამე პირის ირობი დამატება შემასმენელს რიცხვში ჩვეუ-  
ლებრივ ვერ ითანხმებს (მაგ.: მაგდანა ქალებს მიუვარდა: მ. ჭავახ. IV,117,6; ირემი მონადირეებს ვაზებში დაემალა: ი. გოგებ., V,197,24...), მაგრამ შეინიშნება შეთანხმების ტენდენციაც. არნ. ჩი-  
ქობავას ერთ-ერთ გამოკვლევაში შენიშნული აქვს ისეთი შემთხ-  
ვევები, როდესაც ზმნა-შემასმენელს ითანხმებს მიცემით ბრუნვა-  
ში დასმული დამატება: მხერხავი აედევნათ (შანშ. „ურ. შეშა“):  
ზურაბმა შეუყვირათ... (შანშ., „ამბ.“); ძნის პატრონი ეხვეწებათ  
(შანშ. „მეჩონგ“). და ასკვნის, რომ და ე დ ე ვ ნ ა თ, ე კ ი თ ხ ე-  
ბ ო დ ა თ, მ ო უ თ ხ რ ო ბ დ ა თ... ე ხ ვ ე წ ე ბ ა თ... და მსგავს ფორ-  
მებში -თ სუფიქსი -ყე ნაწილაკის ადგილასაა გამოყენებული და  
მისი როლიცა აქვს დაკისრებული — მასალა (თ სუფიქსი) სალი-  
ტერატურო ქართულისაა, ფუნქცია — დიალექტობრივია<sup>140</sup>.

მიცემითში დასმული დამატების მიერ შემასმენლის რიცხვში  
შეთანხმების შემთხვევები გვაქვს როგორც აღმოსავლეთ საქართვე-  
ლოდან გამოსული, ისე დასავლეთ საქართველოდან გამოსული  
მწერლების ნაწერებში (ილია, ვაჟა, ი. გოგებაშვილი, ს. შანშიაშვი-  
ლი, მ. ჭავახიშვილი..., აკაკი, დ. კლდიაშვილი, ს. კლდიაშვილი...).  
მისი წყარო ცოცხალი მეტყველებაა: ბიჭმა პასუხი მ ო უ ტ ა ნ ა თ:  
ილია, I,369,30; შაბათ სადამოს ე ს ტ უ მ რ ა თ თევდორე: ვაჟა,  
VI,193,31; წინ ჩ ა უ ძ დ ვ ა თ ტოტია: ვაჟა, VI,13,1მ; ამ დროს  
კარზე მ ო ა დ გ ა თ რამდენიმე ურემი: ი. გოგებ., IX,119,34;  
ირემი მონადირეებს ვაზებში და ე მ ა ლ ა თ: ი. გოგებ., V,339,14  
(მდრ. ირემი მონადირეებს ვაზებში და ე მ ა ლ ა თ: იქვე, 197,24);  
მღევარი მი ე შ ვ ე ლ ა თ: მ. ჭავახ., IV,198,21; მესტირე მ ო-  
ა დ გ ა თ: აკაკი, IV,174,26; მღვდელი შ ე ხ ვ დ ა თ: დ. კლდ.,  
I,191,12; კოკისპირულმა წვიმამ მ ო უ ს წ რ ო თ: კ. გამს., I,  
646,14; ბედმა უ ღ ა ლ ა ტ ა თ: ს. კლდ., 335,2 და სხვა.

ტენდენცია შეთანხმებისა იგრძნობა, როდესაც შემასმენლად  
გარდაუვალი ორპირიანი ზმნაა... იმ პირობით, რომ მას „არ უნდა  
ჰქონდეს ისეთი ქვემდებარე, რომელიც ზმნისაგან აუცილებლად  
მოითხოვდეს მრავლობითი რიცხვის ფორმას“<sup>141</sup>. შიშიც მიემატათ

<sup>140</sup> არნ. ჩიქობავა, მარტივი წინადადების ევოლუციის ძირითად ტენდენციები ქართულში: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტ II, № 6, 1941, გვ. 563—564.

<sup>141</sup> ა. შ ა ნ ი ძ ე, ქართული ენის გრამატიკა, ნაწილი II, სინტაქსი, თბ 1948, გვ. 119.



მეზობლებს: დ. კლდ., I,30,8; თავგებს... ეკათ ნიგვზის სუნი: აკაკი, IV,316,18...

ცხადია, ასეთ შემთხვევაში მიცემითში დასმული სახელი სინტაქსურად გაძლიერდა იმის გამო, რომ მეორე სახელის დასმა მრავლობითში ჩვეულებრივი არ არის.

წინადადების მორფოლოგიური ანალიზი

## 1. პირმიუმართავი დამატებები

§ 40. პირმიუმართავ დამატებათა გამოხატვის საშუალებანი. პირმიუმართავი ანუ უბრალო დამატება არის წინადადების მეორეხარისხოვანი წევრი, რომელიც ახლავს შემასმენელს ან ზმნური წარმოშობის წევრს წინადადებისას (აგრეთვე ზოგ ზედართავ სახელსა და ზმნისართს) და იმართვის მათგან ბრუნვაში.

პირმიუმართავი დამატება ქართულში გადმოიცემა მიცემით, ვითარებით, ნათესაობით ან მოქმედებით ბრუნვაში დასმული უთანდებულო თუ თანდებულისანი სახელებით.

ასეთი დამატება სვანურშიც ოთხ ბრუნვაშია — მიცემითში, ვითარებითში, ნათესაობითსა და მოქმედებითში. აქედან „უთანდებულო ბრუნვაში სავეებით ქართულისმაგვარი ვითარება გვაქვს, თანდებულთა მიერ სახელების ბრუნვაში მართვა კი ქართულისაგან განსხვავებულია“<sup>1</sup>. ეს განსხვავება იმაში მდგომარეობს, რომ სვანურში თანდებული ერთვის სახელს მხოლოდ „მიცემითსა და ნათესაობითში. ამასთან თითოეულ ბრუნვას ესა თუ ის თანდებული კი არ მოითხოვს, არამედ ყველა თანდებულს შეუძლია სახელები ორივე ბრუნვაში მართოს“<sup>2</sup>.

ზანურში მეტი თავისებურება შეინიშნება: პირმიუმართავი დამატება გადმოიცემა უთანდებულო მიცემითი, მოქმედებითი, ძიმართულებითი ბრუნვებით და უთანდებულო და თანდებულისანი ნათესაობითი და დაშორებითი ბრუნვებით.

ზანურისავე მეგრულ დიალექტში პირმიუმართავი დამატებისათვის გამოყენებულია აგრეთვე უთანდებულო გ ა რ დ ა ქ ე ვ ე ი თ ი (ვითარებითი) და დ ა ნ ი შ ნ უ ლ ე ბ ი თ ი ბრუნვები.

<sup>1</sup> ნ. ა ბ ე ს ა ძ ე, დამატებისა და შემასმენლის სინტაქსური ურთიერთობის საკითხი სვანურში: თბილისის უნივერსიტეტის შრომები, 133 (142), თბ., 1972. გვ. 9.

<sup>2</sup> იქვე.

§ 41. მიცემითში დასმული სახელი პირმიუმართავ დამატებად. მიცემითში დასმული სახელი პირმიუმართავ დამატებად გვაქვს ქართულშიც, ზანურშიც და სევანურშიც; ოღონდ ქართულში ასეთი დამატება უპირატესად თანდებულიანია, ზანურსა და სევანურში — უთანდებულო. ეს უკანასკნელი აიხსნება იმით, რომ ზანური და სევანური ღარიბია თანდებულებით: თანდებულის სიმცირე ზმნისწინთა მრავალფეროვნებას აუნაზღაურებია. მეორე მხრივ, ზანურში მიცემითისა და ნათესაობითის ფუნქციები მიმართულებით ბრუნვას შეუთავსებია.

უთანდებულო მიცემითი პირმიუმართავ დამატებად მაინც გვხვდება ქართულში, მაგრამ შედარებით იშვიათად შემასმენელთან და სახელზმნით გამოხატულ სხვა წევრთან.

პირველის მაგალითებია:

ამ სიტყვებზე ... მომიჭირა ხელი ხ ე ლ ს: ილია, I, 248, 6: დედი, ფ ე ხ ე ბ ს ჩამაცვი: ვაჟა, V, 195, 13; ერთმა გლახმა ფაცხლავ ქ უ დ ს ხელი იტაცა: ი. გოგებ., V, 345, 5; ლ ო ყ ა ს ა ხელი გაიკრა: ი. გოგებ., V, 160, 16; შენ ხ ე ლ თ მომიცია ჩემი საბელი ყელისა: ილია, I, 297, 5...

სამპირიანი ზმნა მესამე სერიაში ორპირიანად იქცევა. ამ დროს „ირიბი დამატება ... ნათესაობით ბრუნვაში დადგება „თვის“ თანდებულს დაირთავს“<sup>3</sup>.

ძველი ქართულის მიმართ ა. შანიძეს ნათქვამი აქვს: „როგორც ცნობილია, ირიბი ობიექტი, მესამე სერიაში გადაყვანისას, თავის ბრუნვას სუბიექტს დაუთმობს, თვითონ კი ნათესაობითში გადადგება, „და“ თანდებულს დაირთავს (ან „თვის“ თანდებულს) და უბრალო დამატებად გახდება“<sup>4</sup>. პარალელურად, რიგ შემთხვევაში შენარჩუნებულია უთანდებულო ფორმებიც<sup>5</sup>.

ოთხთავის ერთ უძველეს რედაქციაში ნათქვამია: „მე ვსძლე სოფელსა“: C ი 16, 33, მეორეში — „მე მიძლევიეს ს ო ფ ე ლ ს ა“ (DE). პირველ შემთხვევაში („მე ვსძლე სოფელსა“) ს ო ფ ე ლ ს ა ირიბი დამატებაა, მეორეში („მე მიძლევიეს სოფელსა“) — მიცემითში დასმული პირმიუმართავი დამატებაა და დაკავშირებულია მესამე სერიის ზმნა-შემასმენელთან. მოსალოდნელი ნანათესაობი-

<sup>3</sup> ა. შ ა ნ ი ძ ე, ქართული ენის გრამატიკა, II, სინტაქსი, თბ., 1948, გვ. 38,

<sup>4</sup> ა. შ ა ნ ი ძ ე, ერთი უცნობი მწკრივი ქართულში: თბილისის უნივერსიტეტის საპეცნიერო სესია, მოხსენებათა კრებული, № 1, გვ. 3, თბ., 1947.

<sup>5</sup> დ. გ ე წ ა ძ ე, სამპირიან ზმნათა III სერიის ფორმები ძველ ქართულში: ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, XVII, ქუთაისი, 1957, გვ. 469.

თარი ვითარებითის ან -თ ვ ს თანდებულიანი ნათესაობითის მაგივრად გვაქვს მიცემითში დასმული უთანდებულო სახელი<sup>6</sup>. ამგვარი ფორმა გვხვდება ილია ქაქვაყაძის თხზულებათა ენაშიც: „დღევანდლამდე ათასში ერთსა თავისი ერთხელ დამფრთხალი გონება ერთხელას ვერ გადაუჩვევია“: ილია, I,257,16, შდრ. ყველაფერი და ვ ი წ ყ ე ბ ა ს მიუცია — ფიქრა სვიმონმა: დ. კლდ., I,338,1.

ასევე ვნებითი გვარის მიმღობასთან დაკავშირებულია: „ქბილებს გადაცდენილ სიტყვას ბრძენიც ველარ იხმობს უკან: კ. გამს., V,54,20; მზეთუნახავის მაგივრად ლიზიკია დგას კედელს ატმანსუ-ლი: დ. შენგ., II,55,7.

პირმიუმართავ დამატებად ქართულში ჩვეულებრივ -ზე, -ში, -თან და შორის თანდებულებიანი მიცემითია გამოყენებული.

-ზე თანდებულიანი სახელი ენაცვლება უთანდებულო მიცემითსაც, ამიტომ იგი ყველაზე ხშირად გამოიყენება და გვხვდება: ა) ზმნის პირიან ფორმასთან; ბ) ნაზმნარ სახელებთან (მასდართან და მიმღობასთან) და მათთან გათანაბრებულ არსებით სახელთანაც; გ) ზედსართავ სახელთან; დ) ზედსართავი სახელის უფროობითი და ოდნაობითი ხარისხების ფორმებთან; ე) ზედსართავული წარმოშობის ზმნისართებთან.

ზმნის პირიან ფორმასთან — შემასმენელთან — -ზე თანდებულიანი უბრალო დამატება ჩვეულებრივია: ამ სიტყვებზედ მეცნიერმა აფიცერმა თითებზედ იკოცა: ილია, I,252,23; ზურაბზე კი ბრაზი მომივიდა: ვაჟა, V,213,5; იმ ზანად თურმე რიგი მოურავზე მიმღგარიყო: აკაკი, IV,23,10...

შედარებით ნაკლებად, მაგრამ არც ისე იშვიათად, გვხვდება ასეთი პირმიუმართავი დამატება მასდართან და მიმღობასთან:

გოჩი დაბერდა, იმას ცოცხალ კაცებზე ნადირობა აღარ შეეძლო: ვაჟა, V,38,3; ზურაბმაც მშვენიერად იცოდა თარზედ დაკვრა: ი. გოგებ., IX,50,23... პეტრემ წაავლო სარზედ გამობმულ წნელს ხელი: ილია, I,458,1; მწუხარების ანძალზე აცმული დედა უღრუბლოდ იმღულრებოდა: გ. ლეონ., 113,14...

და ასე:

თავიდამ მოიშორე იმ გოგოზედ ფიქრი: ილია, I,308,38; ამით ვათავებ მამაჩემზე საუბარს: აკაკი, IV,28,8; ბუნბულას ... სადალაქოში უყვარდა პოლიტიკაზე ლაპარაკი: გ. ლეონ., 331,8...

თითქოს ამას უახლოვდება „ქულზე კაცი“: „მეფე ქულზე კაცს დაიბარებდა“: ი. გოგებ., IX,52,33.

<sup>6</sup> ა. კ ი ზ ი რ ი ა, მარტივი წინადადების შედგენილობა ძველ ქართულში, თბ., 1963, გვ. 183.

მეგრულში, ერთი მხრით, ქართულისებური მდგომარეობაა: უთანდებულო მიცემითი ეფარდება ქართულის უთანდებულო მიცემითს; მეორე მხრით — უთანდებულო მიცემითით გადმოიცემა პირმიუმართავი დამატება მაშინ, როცა ანალოგიურ მდგომარეობაში ქართულში -ზე და -ში თანდებულებიანი მიცემითი გვაქვს:

კოჩქ ქუღის ზე ქიტაცუ — კაცმა ქულს//ქულზე ხელი იტაცა; კუჩხის ქომოდვი — ფეხს//ფეხზე ჩამაცვი; გედოხოლუ თეცხენს: მ. ხუბ., 67,16 — შეჯღა ამ ცხენზე; ხენწიფექ ქაჭუღკუჩხის: ზუბ., 206,16 — ხელმწიფემ აკოცა ფეხზე;

-ზე თანდებულიანი პირმიუმართავი დამატება მეგრულში გადმოიცემა მიმართულებითი ბრუნვითაც: ბეგოს გურგინი ქიგულდგესთი ცირაშა: ხუბ., 104,27 — ბეგოს გვირგვინი დაუდგეს იმ გოგოზე; ათენეფი ქიგულწკარეს ურემიშა: ხუბ., 205,3 — ესენი დაუწყვეს ურემზე; ჩქიმი კვიციშა ონანგერი ქიგემიდგანია: ზუბ., 250,4 — ჩემ კვიცზე უნაგირი დამიდგანო.

-ზე თანდებულის მნიშვნელობით მეგრულში გამოიყენება -ნი თანდებულიანი დაშორებითიც (დაწყებითი): ძლაბიქ ვარია უწუბერს ელანჯირაშენი: ხუბ., 74,7 — გოგომ უარი უთხრა ბერს გვერდით დაწოლაზე;

ქანურში -ნი თანდებული დაშორებით (დაწყებით) ბრუნვასთან გვაქვს. მეგრულში ამ მნიშვნელობით, როგორც წესი, დახიმნულებითი ბრუნვა იხმარება. -ნი „გვხვდება ოდნავი სემასიოლოგიური დიფერენციაციით: ჯ ი მ ა შ ო — ძმისათვის, ჯ ი მ ა შ ე ნ ი — ძმის გულისათვის“<sup>7</sup>.

ქართულისაგან განსხვავებით უთანდებულო მიცემითით მეგრულში გადმოცემულია ისეთი პირმიუმართავი დამატება, რომლისთვისაც ქართულში გამოყენებულია მოქმედებითი:

ქოჩორაშ ოსურქე შიშის დოლურუ: ყიფშ., 98,32 — ქოჩორას ცოლი შიშით მოკვდა; დოლურუ ონჯლორეს უნჩაში სინჯაქე: ყიფშ., 100,9 — მოკვდა სირცხვილით უფროსი სიძე.

ქართულშიც შეინიშნება ისეთი შემთხვევა, როდესაც მოსალოდნელი მოქმედებითის ნაცვლად პირმიუმართავი დამატება მიცემით ბრუნვაშია დასმული. ალბათ იგი ცოცხალი მეტყველების ანარეკლია. მაგ., დუქნისას ჩამოვიარე, ცნობა მეწადა სიძისა, რაკარგი ქალი მოგეცით, ვაჰმე მოგვიკლავთ სიმშილსა?! ვაჟა, IX, 164,1. აქ ს ი მ შ ი ლ ს ა = ს ი მ შ ი ლ ი თ ა.

ქანურში მეგრულისებური მდგომარეობაა: -ზე თანდებულიანი პირმიუმართავი დამატება აქ გადმოიცემა უთანდებულო მიცე-

<sup>7</sup> არნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, ქანურის გრამატიკულა ანალიზი, გვ. 65.

მითით ან კიდევ მიმართულებითი ბრუნვითა და -ნი თანდებულიანი დაშორებითი ბრუნვით.

მაგ.: მონქვა გეხენ მარქვალის: ჰან., I,164,9 — კრუხი ზის კვერცხზე; სარი ფორჩას კაი მეგობსქუ ქემერი: ჰან., II,85,29 — ყვითელ ხალათზე კარგად გშვენის ქამარი; კოჩეფექ ათმაჯა ნუ-ტალემან ბულდუჯინის: ჰან., II,12,16 — კაცები მიმინოს მიუშვებენ მწყერზე; ააა ცხენის ქოგეხედუ ბიჭი: ხოფ., 55,28 — ამ ცხენზე შეჯდა ბიჭი; ოხოიშა ქომოხთუ კაინეი ცხენის გეხუნეი: ზოფ., 101,29 — შინ მოვიდა სასწრაფოდ ცხენზე შემჯდარი...

მიცემითის -ხ ნიშანი შეიძლება არ ჩანდეს: ბერე-თი ცხენი გეხედუ: ჰან., II,122,10 — ვაეიც ცხენზე შეჯდა; ცხენიში ტაბანი ნალი კაჭრითე ნოქადამან: ჰან., II,11,26 — ცხენის ქაჩაჩზე ნალა ლურსმნით აქედენ.

-ზე თანდებულის მნიშვნელობით ჰანურშიც გვაქვს -ნი, რომელიც ერთვის დაშორებით (დაწყებით) ბრუნვას: ბ ე ე -ს კ ა ნ ი -შ ე ნ ი ა შ ი ლაღალაფტეს: ხოფ., 92,23 — შენს შვილზე ასე ლაპარაკობდნენ.

სხვა შემთხვევაში -ნი გამოყენებულია ქართ. -თვის თანდებულის ფუნქციით.

-ზე თანდებულიანი სახელის მნიშვნელობით ჰანურში მიმართულებითი ბრუნვაც გამოიყენება: ააა ჩქინი თ ი ნ ა შ ა ოლო ქომიმოსქიდუ: ხოფ., 74,4 — ამ ჩვენ თინაზე თვალი დამრჩა.

ჰანურში შენიშნულია ისეთი შემთხვევაც, როცა ინვერსიულ ფორმებშიც მიცემითში რჩება ირიბი დამატებისაგან მიღებული პირმიუმართავი დამატება: „ასტერი ეაღულაფე ოკადაფეს მიხენაფუ“: ნ. მარი, ჰან. გრ., 83,27 — ამისთანა სიკეთე ბევრისათვის გამიკეთებია<sup>8</sup>.

სეანურშიც ზანურის მსგავსი მდგომარეობაა: უთანდებულ მიცემითით გადმოიცემა ქართულის -ზე და -ში თანდებულებიანი მიცემითი: უშგულ ხორიკ ვოქერეშ ხ ა ნ თ ა ლ ს: სვ. პ., 304,6 — უკულმა ჰკიდია ოქროს საკილზე; მემლახილ ჩ ა ე ე ე ლ ს ხ ა ს . გურდა: სვ. პ., 70,9 — მულახელი ცხენზე იჯდა: ეი ხასგურდა ჩ ა ე ე ი ს მიჩა: სვ. პ., 64,22 — შეჯდა თავის ცხენზე;

თვეფიშ კ ე ვ მ ი ლ დ ს სგა ნანჩგდა: სვ. პ., 304,23 — თოფის კვამლში გაგვხვევდა ხოლმე; სგვებინ ლ ი ზ ი ს ლიღეშგალედ: სვ. პ., 16,18 — წინ სვლაში (ერთმანეთს) ვეცილებით...

პარალელურად -ზე თანდებულის მნიშვნელობის -ჟი თანდე-

<sup>8</sup> გ. კ ა რ ტ ო ზ ი ა, მასალები ლაზური ზეპირსიტყვიერებისათვის: ქართული ლიტერატურის საკითხები, თბ., 1968, გვ. 144.

ბულიც ერთვის მიცემითში დასმულ პირმიუმართავ დამატებას -- გვაქვს ქართულისებური მდგომარეობა: თანდებულიანი სახელის მეორეულობა ამ შემთხვევაშიც იგრძნობა. მაგ.: ათხე უშხვწარ ლწრ-ღვერწწხ უშგვლწრ ი ღებწარ ნ ა ე რ თ ქ უ ლ ა ე ი: სვ. პ., 368,19 — ახლა ერთმანეთს შეეფიცნენ უშგულელები და ღებელები ერთ-გულებაზე; ჩუჲ ასგურდა თვენთა ბ ა ჩ ვ ე ი: სვ. პ., 180,2 — ჩამოჯდა თეთრ ქვაზე...

რიგ შემთხვევაში -თე თანდებულიანი სახელიც გამოიყენება ამ მნიშვნელობით: ნაჲ ესლურიდ ლ ა კ ვ ც ი რ ა თ ე: სვ. პ., 182,22 — ჩვენ მივდივართ ჯიხვზე სანადიროდ...

ქართულში -ში თანდებულიანი უბრალო დამატება, როგორც წესი, გვაქვს ზმნასთან ან ნაზმნარ სახელებთან: დათაკო ... სულ გამოიყვალა ახალ ტ ა ნ ი ს ა მ ო ს შ ი: ილია, I,262,15; ამ კითხვამ გააბა ლუარსაბი მ ა ხ ე შ ი: ილია, I,350,27; დედაჩემმა ქა-ღები ... გ უ ღ ა შ ი ჩააწყო: ვაჟა, V,178,17; გიგუა საოცარს სი-მარჯვეს იჩენდა ნ ა დ ი რ ო ბ ა შ ი: ი. გოგებ., IX,17,33;

შედარებით ნაკლებად იხმარება -ში თანდებულიანი უბრალო დამატება მიმღობასთან და უფრო ნაკლებად მასდართან:

ერთ მსუქან ბ ო ზ ბ ა შ შ ი ამოვლებული პურას ლუქმა მთელ ქვაბ ჩიხირთმას მირჩენია: ილია, I,349,18; ბ უ რ თ შ ი გაჩვეულმა ბიჭმაც, რასაკვირველია, მიმინოსავით დაიჭირა: აკაკი. IV,19,3; ცოტახანს შემდეგ ლელაც გამოჩნდა ნ ა ც ა რ შ ი ამო-სვრილი ჯუბა-ფაფანაკით: ვაჟა, V,11,22; იაკოფას ... ბუნებრივი მიდრეკილებაც აქვს სხვის ს ა ქ მ ე შ ი ჩარევისა: ნ. ლორთქი., II,17,12...

ზანურში ჩვეულებრივ -ში თანდებულიანი პირმიუმართავი და-მატება უთანდებულო მიცემითით გადმოიცემა.

მაგალითად:

მ ე გ რ უ ლ ი: გატყურია ქინახუნეს ს ა კ ი ს: ხუბ., 194,7 -- მატყუარა ჩასვეს ტომარაში; მეკირეს ბალანა ფ ა რ დ ა გ ი ს — შეახვიეს ბავშვი ფარდაგში; პაპა ოხვარულუ ოსურს ქოთომიშ კ ო ფ უ ა ს — მღვდელი ეხმარებოდა ცოლს ქათმის დაჭერაში...

ქ ა ნ უ რ ი: ქოთუმეში ხორცი ბგიბუფთ წკაიის: ხოფ., 70,21 — ქათმის ხორცს ვზარშავთ წყალში; მორდერი კ უ ქ ა ნ ი ს ქოლოლობლუ: ჭან., II,97,33 — დიდ ქვაბში ჩაყარა; ნოშქერი ქო-ლოლობლუ კ უ ვ ა ლ ი ს: ჭან., II,88,14 — ნახშირი ჩაყარა ტო-მარაში...

მეგრულში გამოყენებულია მი მ მ ა რ თ უ ლ ე ბ ი თ ი ბრუნ-ვაც: პაპაქ ყურდგელ ხ ე შ ა ქუღეკინ — მღვდელმა კურდღელი ხელში დაიკავა; ვაჭარი პ ა ს უ ხ ი შ გ ე ბ ა შ ა ქიმიჩეს: ხუბ.,

231,24 — ვაჭარი პასუხისგებაში მისცეს; ბოშიქ ... დიდკოჩური  
რინა-ყოფაში მიშელუ: ყიფშ., 24,4 — ბიჭი დიდკაქურ ყოფა-  
ცხოვრებაში შევიდა...

მიმართულებითის ფუნქციით მეგრულში დაშობებითი ც  
გვხვდება: მუჰამბიქ იყუ მუშაშე მეთი უჯგუში დო უმოსი გავ-  
ლენილქ: ხუბ., 26,27 — მუჰამბი გახდა მამაზე უკეთესი და უფრო  
გავლენიანი. შდრ. ჭანური: ჭკონი... ჭუბრიშენ კაი ნუხონ-  
დუნ: ჭან., II,4,14 — მუხა წაბლზე უფრო კარგად ძლეს.

-თან თანდებულიანი დამატება აღნიშნავს თანაობას,  
თანყოფნას, ზოგჯერ „გამოხატავს სამოქმედო საგანსაც“<sup>9</sup>.

მეგრულში მას ეფარდება ნათესაობითში დასმულა -კუმა//კემა  
და -კალა თანდებულებიანი სახელი, ოღონდ ფონეტიკური ცვლი-  
ლების შედეგად კ'სთან ნათესაობითისეული -შ'ს დამსგავსებით  
ვლებულობთ წ'ს. აქედან: წკუმა//წკალა: კოჩიშკუმა —  
კოჩიწკუმა, კოჩიშკალა — კოჩიწკალა<sup>10</sup>. ჭანურში ამ  
მნიშვნელობით -კალა თანდებულიანი სახელი გვაქვს, მაგრამ ნა-  
თესაობითის -შ თანხმოვანი ელემენტი იკარგება: ბერე-კალა —  
ბერე-შ-კალა<sup>11</sup>.

-თან თანდებულიანი პირმიუმართავი დამატებაც ეკავშირდებ-  
ა შემასმენელს, ან ნაზმნარ სახელს, რომელიც წინადადებაში რომელიმე წევრის ფუნქციას ასრულებს.

მაგალითად:

ა) -თან თანდებულიანი პირმიუმართავი დამატება შემასმენელ-  
თან: დარეჯანი ამოვიდა მალლა ლუარსაბთან: ილია, I,378,5;  
ერეკლე მეფეს ომი ჰქონდა ჭარის ლეკებთან: ი. გოგებ..  
IX,117,2; ზაქრომ თავმჯდომარესთან შეირბინა: გ. შატბ.,  
II,349,34...

ბ) -თან თანდებულიანი პირმიუმართავი დამატება ნაზმნარ სა-  
ხლებთან: მე დათიკოსთან სიკვდილი მერჩივნა ჩემ დედიხაც-  
ვალთან ასის წლის ცხოვრებას: ილია, I,269,39; ლილის სულ  
დაავიწყდა რეზოსთან წაჩხუბება: ა. ბელ., უღელტ., 290,18;  
სინათლე ჯერ კიდევ განაგრძობდა ხევებიდან დაძრული ბინდის  
ლანდებთან ბრძოლას: ლ. ქიაჩ.; III,273,26... ზვადი სარ-  
კინოზებთან ნაბრძოლი იყო: კ. გამს., II,524,30; თინი-

<sup>9</sup> ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკა, II, სინტაქსი, გვ. 31; ლ. კვა-  
ქაძე, თანამედროვე ქართული ენის სინტაქსი. გვ. 113.

<sup>10</sup> ვ. თოფურია, ბუნებრივი კომპლექსებისათვის ქართველურ ენებში ა:  
ენიკის მოამბე, I, თბ., 1937, გვ. 121.

<sup>11</sup> არნ. ჩიქობავა, ჭანურის გრამატიკული ანალიზი, გვ. 64—65.

კოსთან წაჩხუბებული ნათელა ვერ ისვენებდა; თალიკომ მოიგონა დედასთან ნათქვამი სიტყვები...

ამავე მიზნით გამოიყენება ნანათესაობითარი მიცემითი ამავე -თან თანდებულთ: „ფშაველ გლეხთა ცხოვრება შედარებით ბარელე ბისასთან სრულიად სხვა ნიადაგზეა აღმოცენებული“: ვაჟა, IX, 228, 18.

-თან თანდებულთან პირმიუმართავ დამატებას ივეულებრივ ახლავს „ერთად“ სიტყვა. ამით ამ სახის დამატების არსი უფრო გამოიკვეთება.

„ერთად“ დართული -თან თანდებულთან პირმიუმართავი დამატება შეიძლება გამოხატავდეს, ერთი მხრით, ისეთ ვითარებას, როცა „შემასმენლით გამოხატულ მოქმედებას ასრულებს არა მარტო ქვემდებარე, არამედ უბრალო დამატებით გადმოცემული საგანიც... (მაგ.: „მგლებიც მეცხვარეებთან ერთად მთაბარობენ“: რაზიკ., 124)“ ... მეორე მხრივ, „ეხება იგივე მოქმედება, რაც პირდაპირ დამატებას („გაფაციცებით ხოხნიდნენ ძროხეზი ბალახთან ერთად ყვავილებს“: ვაჟა, VI, 304)“<sup>12</sup> და ასე: მე ამ ახალ ამბანაგებთან ერთად სულ მინდორში დავრბოდი: აკაკი, VII, 45, 12; ირმებთან ერთად ისიც დანავარდობდა: ვაჟა, V, 228, 30; ვახტანგი ... სადილობდა მამიდა თეკლესთან ერთად: კ. გამს., V, 261, 35; მე ... დედასთან ერთად ტყვედ წავუყვანივართ: აკაკი, IV, 123, 10...

როგორც აღნიშნულია, -თან თანდებულთან სახელის შესატყვისია მეგრულში კუმა//კგმა და კალა//კელა თანდებულთან ფორმები: სი ხოლო ბედუქო რაგადის ჩქიმწკგმა? ხუბ.. 81,9 — შენ კიდევ ბედავ ლაპარაკს ჩემთან? სქანიწკგმა ვორდამა ხოლო მაქ უწი: ხუბ., 43, 13 — შენთან ვიკო მეც-მეთქი ვუთხარი; ჩქიმი სქუალეფი თქვანწკგმა ცოფენა: ხუბ., 144, 31 — ჩემი შვილები თქვენთან ყოფილაო; ჯიმუშიერი ვეზირიშ სქუაწკგმა ბურთისგ ილაყაფუ: ყიფშ., 74, 2 — ჯიმუშიერი ვეზირის შვილთან ბურთს თამაშობს; ბალანაქ მინდორც ლაყაფი ქვლიიყუგ შხვა ბალანეფიწკგმა: ყიფშ., 83, 34 — ბავშვმა მინდორში თამაში დაიწყო სხვა ბავშვებთან ... სქანი პატიცემა დიდირე ჩქიმი წკალა: ხუბ., 55, 4 — შენი პატივისცემა დიდია ჩემთან; სი ჩქიმიწკელა გაჩენდი — შენ ჩემთან გაჩერდი...

ქანურშიც ანალოგიური მდგომარეობაა: -თან თანდებულთან სახელის მნიშვნელობით იხმარება კალა თანდებულთან ნათე-

<sup>12</sup> ლ. კვაკაძე, თანამედროვე ქართული ენის სინტაქსი, გვ. 113.



საობითი: მა ვიწეს ჯუმადი ჩ ქ ი მ ი კ ა ლ ა ბორტი ფეთიმი: ჭან., II, 23, 13 — მე ვიწეში ბიძაჩემთან ვიყავი ობოლი; ამსეი ს ქ ა ნ ო კ ა ლ ა დოფსქიდე: ლაზ., 95, 8 — ამაღამ შენთან დავრჩები; მა დ ა დ ი ჩ ქ ი მ კ ა ლ ა ნოლედში ვიგზალი: ჭან., I, 97, 24 — მე დეიდაჩემთან (//მამიდაჩემთან) ნოლედში წავედი; ხოჯა არ დლას ჰამამიშა ილუ ბ ე რ ე ფ ე კ ა ლ ა: ჭან., II, 14, 23 — ხოჯა ერთ დღეს აბანოში წავიდა ბავშვებთან ერთად ... ხოჯაქ ო ა ლ ი ბ ე ფ ე მ უ შ ი კ ა ლ ა ბარაბერ იმხორტეენან: ჭან., I, 1, 8 — ხოჯა თავის მოწაფეებთან ერთად თურმე ჭამდა.

ამავე დანიშნულებითაა გამოყენებული ზანური მიმართულ ე ბ ი თ ი ბ რ უ ნ ვ ა .

სამეცნიერო ლიტერატურაში ნათლადაა ნაჩვენები, რომ ზანური მიმართულებითი ბრუნვა (და მასთან ერთად დაშორებითი და დანიშნულებითი) რთული შედგენილობისაა<sup>13</sup>. ბრუნვას ნიშანია -იშა, რომლის შემადგენელი -იშ ნათესაობითი ბრუნვის ნიშნისეულია და „კანონზომიერი ზანური შესატყვისია ქართული -ის-ისა“<sup>14</sup>.

ვ. თოფურიამ სპეციალურ გამოკვლევაში მიუთითა, რომ „მიმართულებითი, დაწყებითი (დაშორებითი) და დანიშნულებითი წარმომდგარია ნათესაობითისაგან. ამას ამტკიცებს: 1. საერთო ფუძე -შ დაბოლოებიანი (მიღებული ნათესაობითი ბრუნვისაგან), 2. ნაცვალსახელთა ბრუნება და 3. ანალოგიური წარმოება ზოგიერთ ქართულ დიალექტსა (როგორცაა: ფშაური, ხევსურული, გურული) და სვანურ ენაში“<sup>15</sup>.

ამ ფაქტისადმი არაერთხელ მიუქცევიათ ყურადღება სხვა მკვლევარებსაც.

ძველ ქართულში მიმართულების აღმნიშვნელ ზმნებთან ჩვეულებრივია ფორმები: ჩ ე მ დ ა, შ ე ნ დ ა, მ ი ს დ ა // მ ი ს ა, ი ე ს უ - ხ ს ა, მ ა მ ი ს ა... მაგალითად: შემოვიდა ჩ ე მ დ ა უფალი: ი. არიმათ., 29, 18; მომავლინებელმან ჩემმან მამამან მოიყვანოს იგი ჩ ე მ დ ა: DE ი 6, 44; მეუფე შენი მოვალს შ ე ნ დ ა: მ 21, 5; მოვიყვანე ძე ჩემი შ ე ნ დ ა: DE მრ 9, 17; დიდსა ათანაისის მ ი ს დ ა მიენდო საურავი: ცხორ., 88, 2; მრავალნი მოვიდოდეს მ ი ს ა: DE ი 10, 41; ამან მოიყვანა იგი ი ე ს უ ხ ს ა: DE ი 1, 42; მოვიდა იგი მ ა მ ი ს ა თ ვ ს ი ს ა: ლ 15, 20; მოიქცა ერისა მის: DE მრ 5, 30, და სხვა.

<sup>13</sup> არნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, ჭანურის გრამატიკული ანალიზი, გვ. 51—54.

<sup>14</sup> რქვე, გვ. 54.

<sup>15</sup> ვ. თოფურია, ზოგიერთი ბრუნვის გენეზისისათვის მეგრულ-ჭანურში: ენიშკის მოამბე, I, ტფილისი, 1937, გვ. 180.

სპეციალურ ლიტერატურაში ყველა ეს ფორმა მიჩნეულია ნა-  
ნათესაობითარ ვითარებითად.

ზანური მიმართულებითი ძველი ქართულის ნანათე-  
საობითარი ვითარებითის ფარდია შედგენილობისა და ფუნქციის  
მიხედვით: ჩქიმდა — ჩემდა, სქანდა — შენდა ... კოჩიშა (←კოჩ-იშ-  
-და) — კაცისა (←კაც-ის-და) ... და გადმოგვეცემს პარმიუმართავ  
დამატებას.

ახალ ქართულში ნანათესაობითარი ვითარებითის ფუნქცია  
იკისრა -თვის თანდებულიანმა ნათესაობითმა.

მიმართულებითი ბრუნვით ზანურში ჩვეულებრივია ახალა  
ქართულის -თან, -ზე და -ში თანდებულებიანი პირმიუმართავი და-  
მატების გადმოცემა.

მაგალითად:

ა) მ ე გ რ უ ლ ი: ჩ ქ ი მ დ ა ქემორთია — უწუ: ხუბ., 50,31 —  
ჩემთან მოდიო-უთხრა; ს ქ ა ნ დ ა ორაგადე მილუ...: მას., 30,19 —  
შენთან სათქმელი მაქვს...;

ბოშიქ მინილუ მუში და შ ა: ხუბ., 10,37 — ბიჭი შევიდა თა-  
ვის დასთან; რჩინ კოჩქ მიდართვ ს ქ უ ა შ ა: ყიფშ., 10,1 — მოხუ-  
ცი კაცი წავიდა შვილთან;

კოჩქ ... გაგმოჩვ ცხენეფი ჩ ხ ო უ ლ ე ფ ი შ ა: ხუბ., 204,1 —  
კაცმა გაყიდა ცხენები ძროხებზე; ოში მანათი ქიგიოძინაფუ ვ ა-  
ლ ი შ ა: ხუბ., 192,3 — ასი მანეთი დაამატებინა ვალზე; ბალანე-  
ფი ... ტყების ტ ა ნ ი შ ა მუკიქუნანდეს: ხუბ., 208,24 — ბავშვები  
ტყავს ტანზე იცვამდნენ;

ვაჭარს ტ ო მ ა რ ე შ ა ქიდნულევს ფარა — ვაჭარს ტომარა-  
ში ჩაუყარეს ფული; ბალანას ქ ა ლ ა რ დ ი შ ა მეუყარუ ოლასა-  
ფე — ბავშვს ქალაღლში გაუხვევია სათამაშო; ვაჭარი პ ა ს უ ხ ი შ-  
გ ე ბ ა შ ა ქიმეჩეს: ხუბ., 231,24 — ვაჭარი პასუხისგებაში მი-  
ცეს...

ბ) კ ა ნ უ რ ი: სქანი ჰემ ჰიტა ბეე ჰელე მუყონით ჩ ქ ი მ დ ა:  
ხოფ., 153,4 — შენი სულუმცროსი შვილი ახლავე მოიყვანეთ ჩემ-  
თან; ჩ ქ ი ნ დ ა მოხთიმუ დიდო ჩეთინი რენ-ია: ხოფ., 68,8 —  
ჩვენთან მოსვლა ძალიან ძნელი არისო... ე ბ ა დ ი შ ა ქომეხთე-  
რენან ხოლო: ჰან., I,117,27 — იმ ბერიკაცთან მისულან კიდევ;  
ბიჭი ქომოხთუ ბეგიში ნ ა ნ ა შ ა: კარტ., 26,25 — ჰიჭი მივიდა  
ბეგის დედასთან; წიწილა კირკოლეი ქომეხტუ კ უ ლ ა ნ ი შ ა:  
ხოფ. 145,5 — გველი კლაკენით მივიდა გოგოსთან, მუნტუი მეხთუ  
დ ი მ ქ კ უ შ ა: ჰან., I,75,2 — მატლი მივიდა ჰიანჭველასთან...

ხოჯა თ ხ ო მ ბ უ შ ა ქეხთუ: კარტ. ჰან. ტ., 222,12 — ხოჯა  
თხმელაზე ავიდა...

სევანურში ქართულის -თან თანდებულიანი პირმიუმართავი დამატების მნიშვნელობით გვხვდება მიცემით ან ნათესაობით ბრუნვაში დასმული -თე თანდებულიანი სახელი: ადერ სი მიშგვა ლ ა ხ ვ ბ ა თ ე: სვ. პ., 290,20 — წადი შენ ჩემ ძმებთან: კ ა ს ა რ თ ე ო ჩედდ ლასმართალად: სვ. პ., 70,7 — კეისართან წავიდეთ გასასამართლებლად; ამჟი-ამჟი, ძლონარ ნჰქელნ გუშგვედ ფუსლა მ ა ც ხ ვ ა რ ი თ ე: სვ. პ., 46,18 — ასე-ასე, ძღვენები მოსულა ჩვენს უფალ მაცხოვართან.

-თან თანდებულიან დამატებასვე ეფარდება მიცემითშივე დასმული -ცახან თანდებულიანი სახელიც: ღ ვ ა უ ა რ ც ა ხ ა ნ დეშ ხიბურგელ, სიმქარს გამს სი ხატხეი: სვ. პ., 108,23 — ვაეებთან ვერ ჭიდაობ, სამაგიეროს ქალიშვილებს უხდი; ლ ა ც ლ ა ც ა ხ ა ნ ლირდე ლამსედნი: სვ. პ., 320,8 — ტოლებთან ყოფნა შემრჩება...

მიცემითისა და ვითარებითი ბრუნვების ფუნქციური სიასლოვე აქაც იგრძნობა: თანდებულიანი მიცემითის მნიშვნელობით ვითარებითი ბრუნვაც გამოიყენება: აშჩედელი სეგზილდ ქამავ, უივ ხობინა გ ვ ე ლ ე შ ა პ ა რ დ: სვ. პ., 306,7 — გარეთ გასულა სეგზილდი, დაუწყია (ომი) გველეშაპებთან.

თავისებურია შორის (//შუა) თანდებულიანი პირმიუმართავი დამატებები. ასეთი დამატებები იმართვის მიცემითსა და ნათესაობით ბრუნვებში. მათთან: 1. „აუცილებელია, რომ ორი სახელი იყოს და კავშირით შეერთებული, ან სახელი მრავლობით რიცხვში იდგეს“<sup>16</sup>: ამ ლაპარაკით გათავდა დ ა რ ი კ ო ს ა და ს ი მ ო ნ ა ს შ ო რ ი ს სიყვარულის გამოცხადებაც: ე. ნინოშვ., I,200,19; ალღა კაც ზვამბაიას გულში მ ა მ ა ს ა და შ ვ ი ლ ს შ ო რ ი ს ოდითგანვე დათქმული მტრობა: კ. გამს., I,13,27; ძ ა ლ ლ ს ა და მ გ ე ლ ს შ ო რ ი ს არის განსხვავება: „ლიტ. საქართველო“, 5.1.79, გვ. 3, სვ. 2, შდრ. ასეთი მუსაიფი გ ა ზ რ დ ი ლ ს ა და გ ა მ ზ რ დ ე ლ ს შ უ ა ხ შირად ხდებოდა: ნ. ლორთქ., I,605,15... და ასე: ძ მ ე ბ ს შ ო რ ი ს სიყვარული სუფევდა; ეს დაეა ძ მ ა თ ა შ ო რ ი ს უფრო ადრე დაიწყო: მ. ჯავახ., IV,249,22...

2. შორის (//შუა) თანდებული ერთვის მრავალცნებიან კომპოზიტს: იქნება ც ო ლ -ქ მ ა რ ს შ ო რ ი ს არის რაიმე უკმაყოფილებაო: ე. ნინოშვ. II,386,1...

3. შორის (//შუა) თანდებულიან სახელს განსაზღვრებად ახლავს რიცხვითი სახელი; ცდილობდნენ ვერაგობით მტრობა ჩამოეგდოთ ამ ო რ მ ე ფ ე ს შ ო რ ი ს: ი. გოგებ., IX,105,34...

<sup>16</sup> ა. შ ა ნ ი ძ ე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, გვ. 601.

§ 12. ვითარებით ბრუნვაში დასმული სახელი პირმიუმართავ დამატებად. ვითარებით ბრუნვაში დასმული პირმიუმართავი დამატება ქართულში ჩვეულებრივ უთანდებულოა, მაგრამ შეიძლება თანდებულოც დაერთოს. უთანდებულო დამატება შეიძლება იყოს მარტივი ფორმითაც ან გვექონდეს -იან სუფიქსით წარმოქმნილი სახელი, ან კიდევ ნანათესაობითარი სახელი. ეს უკანასკნელი გვხვდება -ში თანდებულის დართვითაც.

იშვიათად პირმიუმართავ დამატებად -მდე თანდებულიანი სახელიც გვაქვს.

დანიშნულებით ვითარებითში დასმული პირმიუმართავი დამატება გამოხატავს ახალ ვითარებას, გადაქცევას, გარდაქმნას, მიმართებას, დამოკიდებულებას, თანაობას<sup>17</sup>.

ვითარებითში დასმულ პირმიუმართავ დამატებას სინტაქსური ურთიერთობა აქვს ზმნა-შემასმენელთან და ნაზმნარ სახელებთან.

ვითარებითში დასმულ პირმიუმართავ დამატებად. როგორც წესი, არსებითი სახელია ან სათანადო ნაცვალსახელი. მარტივი ფორმითაა გამოხატული პირმიუმართავი დამატება: ორაგული თქმულა თევზების მეფედ: ილია, I,350,15; ცოცხალი ხე შეშად გადაიქცა: ნ. ლორთქ., I,208,15; თამადად იგივე მოძღვარი ჩხიკვი თომა ამოერჩიათ: ვაჟა, V,246,24; ვინ დაგადგინა ჩვენს მწყემსად: გ. ლეონ. 220,8...

და ასე: ღვინჯუას ნათლიად მიწვევა უფრო მისი თამაობის ბრალი იყო: გ. ლეონ., 118,11; შვიდი გოგოს მამად ყოფნაც სწორედ ქუდბედის დაკარგვის ბრალია: გ. ლეონ., 24,20...

მეგრულშიც ქართულისებური მდგომარეობაა: ბოშიქ გინირთე ჯორო: ყიფშ., 10,26 — ბიჭი გადაიქცა ჯორად; პათაქ ქიმეჩე თინა მეწამაღეს ჩილო: ყიფშ., 11,26 — მეფემ მისცა იგი მეწამაღეს ცოლად; ჯღვერო ჯოლორი ქაწუყუნუ: ხუბ., 235,18 — მძლოლად ძაღლი წაუძმღვანა...

---

<sup>17</sup> ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკა, II, სინტაქსი, გვ. 44; ლ. კვაჭაძე, თანამედროვე ქართული ენის სინტაქსი, გვ. 124—125; თ. შარაძე-ნიძე, მოქმედებითი და ვითარებითი ბრუნვების წარმოება და ფუნქციები ძველ ქართულში: სახელის ბრუნვის ისტორიისათვის ქართველურ ენებში, I, ვ. თოფურიას რედ., გვ. 424—425; ე. ბაბუნაშვილი, მიცემითი და ვითარებითი ბრუნვების ურთიერთობისათვის ძველ ქართულში: სახელის ბრუნვის ისტორიისათვის..., გვ. 394.

ქანურში ვითარებითი ბრუნვა გადაშენებულია<sup>18</sup>, ამიტომ ამ მნიშვნელობით სახელის ფუძე ან სახელობითა ბრუნვა გამოყენებული: ნა-დიქაჩუ კუზ, ა ლ თ უ ნ ი დივუ: ქან., II,47,19 — კოეზი რომ დაიკავა, ოქროდ იქცა; მ უ ს ა ფ ი რ ი მითი ვა დოდგინუ: კარტ. ქან. ტექსტ., 223,12 — სტუმრად არავინ დააყენა; ჩოი გვერდი ვარ ეისელუ, ვარ ილუ მ უ ა ჯ ი რ ი: კარტ. ქან. ტექსტ., 219,8 — სოფლის ნახევარი არ აიყარა, არ წავიდა მუჰაჯირად...

ვაჟა-ფშაველას ვითარებით ბრუნვაში დასმული დამატება მოქმედებითში დასმული სახელის მნიშვნელობითაც აქვს გამოყენებული, მაგალითად: „რამდენიც ფშავით ჩავიდა, ყველას შესჩივის ც რ ე მ ლ ა დ ა“: ვაჟა, I,294,15. აქ ც რ ე მ ლ ა დ ა = ც რ ე მ ლ ი თ ა<sup>19</sup>.

სვანურში ვითარებითი ბრუნვა პირმიუმართავ დამატებას გამოხატავს ჩვეულებრივად: ხოჩა ჩექმარ ჩ ა ფ ლ ა ნ დ ლ ა მ დ ე: სვ. პ., 162,19 — კარგი ჩექმები ქალამნებად ჩაიცვა; ამეი ფ უ ს ნ ა დ მ ა დ ჯ აყ ან ახ: სვ. პ., 70,21 — ასე ბატონად არ ვარგებულხარ; ლაშვარიშე სვეებინ მ უ ე ო ლ ი დ კ ი ბ უ ლ ან ას ღ შ რ ჯ ი რ ო ნ დ ა: სვ. პ., 58,14 — ლაშქრის წინამძღოლად კიბულანს არავინ გიჯობდა...

ვითარებითში დასმული სახელი, რომელიც წარმოქმნილია -იან სუფიქსის მეშვეობით, წინადადებაში გამოხატავს თანმყოფობას, თანაობას ქვემდებარესთან ან პირდაპირ დამატებასთან.

თუ შემასმენლად გარდაუვალი ზმნაა, -იან სუფიქსიანი სახელი თანაობას ქმნის ქვემდებარესთან ერთად. მაგ., ამ ფაციფუცში... იყო სარდიონი თავის ბ ი ჯ ე ბ ი ა ნ ა დ: ვაჟა, VI,38,17; ესტატეც გამოჩნდა თავის ს ტ უ მ რ ე ბ ი ა ნ ა დ: ვაჟა, VI,186,20; ლაზიკა თავის ც ხ ე ნ ი ა ნ ა დ მოვიდა: ნ. ლორთქ., II,59,14...

თუ შემასმენლად გარდამავალი ზმნაა, -იან სუფიქსიანი სახელი თანაობას ქმნის პირდაპირ დამატებასთან: ვაი თუ ქურდი გაჩნდეს, ცხენები მომპაროს და ც ო ლ შ ე ი ლ ი ა ნ ა დ დამლუპოს: აკაკი, VII,221,30; გვადიმ ხურჯინი ნ ა ბ დ ი ა ნ ა დ სახლში შეათრია: ლ. ქიაჩ., III,52,21<sup>20</sup>.

<sup>18</sup> ეს ბრუნვა „სპორადულად ქანურშიც გვხვდება: დ ე ლ ო — ძალიან: „დიდო კაი“ — „ძალიან კარგი“ ... ასე რომ, ვნებითი ქანურისათვის პრინციპულად უცხო არ არის“. არნ. ჩ ი ჯ ო ბ ა ვ ა, ქანურის გრამატიკული ანალიზი, გვ. 51

<sup>19</sup> ა. კ ი ნ ჯ ა რ ა უ ლ ი, ვაჟა-ფშაველას მცირე ლექსიკონი, თბ., 1969, გვ. 19.

<sup>20</sup> ლ. კ ვ ა ჯ ა ძ ე, თანამედროვე ენის სინტაქსი, გვ. 124.

სავსებით ანალოგიური ვითარებაა მეგრულშიც: ოსური... მეურს მუში ბ ა ღ ა ნ ა მ ო : ხუბ., 76,15 — ქალი მიდის თავის ბავშვიანად; მიდართვ ალექ მუშ ჰითა ნ ა ბ ა ღ ა მ ო : ხუბ., 160,31 — წავიდა ალუ თავის წითელ ნაბღიანად; მოლართვ პლატონქ მუშ ჰ ა რ ა მ ო : ხუბ., 157,19 — წამოვიდა პლატონი თავის ჯარიანად; მახაჩქალქ გეეკოფუ თინა ჰ ო რ ა მ ო : ყიფჳ., 21,31 — მთონხელმა აიყვანა იგი ჯორიანად...

ქანურში ასეთი წარმოება არ შეინიშნება. რაც შეეხება სვანურს, აქ ვითარებითი ბრუნვა თავის უფლებებშია.

ზოგჯერ პირმიუმართავ დამატებად გვხვდება ნანათესაობითარი ვითარებითიც, რომელიც -თვის თანდებულებიანი სახელის მნიშვნელობისაა წინადადებაში. ძველ ქართულში პირმიუმართავი დამატების ასეთი ფორმა ჩვეულებრივი იყო. ამ შემთხვევაში ფუძედ გამოყენებულია ნათესაობით ბრუნვაში დასმული სახელი მხოლოდობით ან მრავლობით რიცხვში: საფრკე ქმნულბარ დიდისა ქ ე ლ მ წ ი ფ ი ს ა დ ა : გრ. ხანძთ. ნეჳი; ჰ ა ბ უ ქ თ ა დ ა გაეწესა საშოვალ ეკლესიასა დგომამ: ცხორ., 59,3...

ნაცვალსახელებიდან პირველი და მეორე პირებისათვის გამოყენებულია ჩემ-შენ-ფუძეები, შესამე პირისათვის — მის-და გვაქვს: შემოვიდა ჩ ე მ დ ა უფალი: ი. არიმათ., 29,18; მე შე ნ დ ა მოვალ: DE ი 17,11; დიდსა ათანასის მ ი ს დ ა მიენდო საურავი: ცხორ., 88,2...

ახალ ქართულში „ასეთი ფორმები ... გვხვდება ვაჟა-ფშაველასა და ზოგიერთი სხვა მწერლის ნაწერებში“<sup>21</sup>: მე იმას ვამბობ, ბეჩავო, ს ა ხ ლ ი ს ა დ ა ხარ ურგები: ვაჟა; III,40,36; ცრემლები შემეწირია იმ შენის მ ე გ ო ბ რ ი ს ა დ ა : ვაჟა, III,228,15; თუ აქვს, რად უჭრის ერთი თ ა ვ ი ს ა დ, მეორე შ ვ ი ლ ი ს ა დ?: ილია, I,448,42; შე ნ ი ს ა დ მაყურებლით-ლა ვივლი: ილია, I,449,7...

ნანათესაობითარი ვითარებითი გვაქვს მასდართანაც და შინალობასთანაც: კი ყოფილა ადვილი ს ხ ვ ი ს ა დ მიცემა აბჯრისა: ვაჟა, III,44,40; ქ მ რ ი ს ა დ სახელისმძებნელი სხვას არა დაგიდევს არასა: ვაჟა, III,39,16...

მსგავსი ფორმები გავრცელებულია ცოცხალ მეტყველებაშიც (აღმოსავლურ დიალექტებშიც და დასავლურშიც).

მაგალითები:

ხ ე ვ ს უ რ უ ლ ი : ქალის ნასწავლების მ შ ა ვ ლ ი ს ა დ თოფ დაუკრავა მათუკლავ: ქართ. დიალ., 13,27; კელმწიფეს ქალაქში მოუ-

<sup>21</sup> ლ. კ ვ ა ქ ა ძ ე, თანამედროვე ქართული ენის სინტაქსი, გვ. 121.

წერავ ღუბერნატორ, ი. ს. ა. დ.: ბეს. გაბ. ქვესურული, 201, 2; იტყოდა ხომურაული თუ შთად რა გვიქნავ რიალი? ა. შანიძე, ქართ. ხალხ. პ., I, ხვესურული, 324, 15;

თუ შუარი: კაჩოს ცნახლ ცნემისად მიეკალა-ღ წითელტა-ნისამოსიან ნაიბიც ჩამეხგდჷ: ქართ. დიალ., 109, 5; მიმდინარეც გიოსად ყაჩაღებს თოფ დნერტყა-ღ დნეკრ: ქართ. დიალ., 113, 19; ცხენისად ერთ ბარკალ შენეკამ: ა. უთურგაიძე, თუშური კილო, 83, 17...

ფშაური: ცოლისად უთქომ: ქართ. დიალ., 133, 11; დედაკაცისად დაუძახნავ: ქართ. დიალ., 133, 8; მუშანი უკრო ფლას-ფარდაგისად აკეთებენ მატყსა: ქართ. დიალ., 129, 28...

დასავლურ დიალექტებში (გურულში, აჭარულში, იმერულში...) ვითარებითისეული -ღ იმსგავსებს ნათესაობითისეულ -ხს. და აქცევს -ზ-ღ, შემდეგ კი იკარგება: კაც-ის-და—კაც-იზ-და—კაც-იზ-ა<sup>22</sup>. რაკულს შემოუნახავს გარდამავალი საფეხური: გლეხებ-იზ-და (←გლეხებ-ის-და), ქლიბ-იზ-და (←ქლიბ-ის-და)<sup>23</sup>.

გურული: აი ქალი ქმარიზა ქი იყო თურმე კაი: ქართ. დიალ., 432, 35; ესე უხარია ამ ბოლოს ძროხიზა სიარულიო: ე. ნინოშვი., პარტახი, ა. შანიძის რედ., 64, 23; ჩემი ილიკოზა... ერთ ბათმან ოქროს ვტიებ ჩამარხულს: ნ. დუმბ., 140, 29...

აჭარული: სხვა სახენწიფოში აგზავნიან ელჩებს ქალიზა: ჟ. ნოღაიძელი, აჭარული კილოს თავისებურებანი, 108, 4...

იმერული: ე ქალიშვილი იმისანა კაცისა უნდოდა მიეთხოვებია: ქართ. დიალ., 474, 16; იქინე დოურიგებიაყენ ყველეზა მენდლები: ქართ. დიალ., 470, 16; გაროუქრიათ გზაითათრეზა: ქართ. დიალ., 470, 2...

აღსანიშნავია, რომ ასეთი წარმოება დამახასიათებელია მეგრულისა და სვანურისათვის და გვხვდება ქანურშიც. ზანურსა და სვანურში დანიშნულებითი ბრუნვა ისეთი შედგენილობისაა, როგორც ნანათესაობითარი ვითარებითი<sup>24</sup>: შვილ-ის-აღ =სქუა-შ-ოთ

<sup>22</sup> Н. М а р р , Грамматика древнелитературного грузинского языка, Л., 1925, с. 90; ე. თოფური. ზოგიერთი ბრუნვის გენეზისისათვის მეგრულ-ქანურში: ენიქის შოაძბე, I, 1937, გვ. 180; შ. ძიძიგური, ძიებანი ქართული დიალექტოლოგიიდან, თბ., 1954, გვ. 149.

<sup>23</sup> შ. ძიძიგური, ძიებანი ქართული დიალექტოლოგიიდან, გვ. 192.

<sup>24</sup> ე. თოფური, ზოგიერთი ბრუნვის გენეზისისათვის მეგრულ-ქანურში, გვ. 182; ე. დონდუა, რჩეული შრომები, თბ., 1967, გვ. 51; ბ. გიგინეიშვილი, ზ. სარაჯველიძე, ნანათესაობითარი მიმართულებითისა და ნანათესაობითარი დანიშნულებითი ადგილი ძველი ქართულისა და ქართველური ენების ბრუნვათა სისტემაში, „მრავალთავი“, VI, თბ., 1978, გვ. 128—131...

და ასე: სახლისად = ყუდეშოთ; დედისად = დიდაშოთ და ა. შ. ასე-  
ვეა სვანურშიც: მარემიშდ = კაცისად...

მაგალითები:

მ ე გ რ უ ლ ი: ეჭ იყუ ირ კო ჩი შო სახიოლოქ: ხუბ.,  
66,15 — ეს შეიქნა ყველა კაცისათვის (=კაცისად) :ამხიარულო;  
ბოლოს ქიჩინეს სქუა დიდაშო: ზუბ., 88,24 — ბოლოს ცნეს  
შვილი დედისად; ჩქიმოთ ვართი ჩილი ოყოფირუუ, ვართი  
სქუა: ყიფშ., 4,27 — ჩემთვის (ჩემდა) არც ცოლია და არც შვილი:  
თი რიგი რე სქანო თინა. მას., 94,1 — ისეთია შენთვის (შენდა)  
იგი...

ქ ა ნ უ რ ი: ყ უ რ ზ ე ნ ი შ ო თ ი ვარ მაჩოდენან: ჭან.,  
I,109,13 — ყურძნისათვის არ გვეცლება.

სვანურში ამ მნიშვნელობით გვხვდება ვითარებითი ბრუნვა,  
„რაც ქართულში -თვის თანდებულნიანი ნათესაობითით ან ნანათე-  
საობითარი ვითარებითით გადმოიცემა ციცვი ფჳკვნა ქა ლახო-  
დახ ამი მგჳაფ მინე ზოხვრა უდილდ — „კატა და ლეკვი მიუციათ  
ამის მაგივრად მათი უმცროსი დისთვის“ („დად“) (76,23); ალჳარს  
ალი ქრთლახ ზოხვრა უდილდ — „ამათ ეს წაურთმევიათ უმცროსი  
დისთვის“ („დად“) (76,21)“<sup>25</sup>.

აღნიშნულია, რომ ამის პარალელურად ნანათესაობითარი ვი-  
თარებითის ფორმებიც გვხვდება<sup>26</sup>: დაჩვირს ჳჳკვდიხ სოზა-  
რიშდა (სვ. პ., 120,12) — დას აძლევენ სოზარისათვის (სოზა-  
რისად).

ნანათესაობითარი ვითარებითი ქართულისა ზანურში გადმო-  
ცემულია მიმართულებითი ბრუნვითაც: ნასადილს უთქუალგ  
ოსურს ქომონჯიშა: ხუბ., 242,19 — ნასადილევს უთქუამს  
ცოლს ქმრისათვის (ქმრისად); ათენერი კოჩიშა მეუჩამუ მუა-  
ჩქიმს ჩქიმი დუღია: ხუბ., 50,4 — ამნაირი კაცისათვის (კაცისად)  
მიუცია მამაჩემს ჩემი თავიო; სქანი სალაშიშა მის ჩოდუნია:  
ხუბ., 199,16 — შენი სალმისათვის (სალმისად) ვის სცალიაო...

ნანათესაობითარ ვითარებითს შეიძლება დაერთოს -მა თან-  
დებულოც. ასეთი სახელი პირმიუმართავი დამატებაა წინადადება-  
ში: ლილი გადაქარბებულ მზრუნველობას იჩენდა დათიკო-  
სადმი: ა. ბელ., ნოვ., 299,2; მთელი ქართველობა გამსჭვალული

<sup>25</sup> ნ. აბესაძე, ბრუნვათა სინტაქსური ფუნქციები სვანურში ქართულ-  
თან მიმართებით: თბილისის უნივერსიტეტის შრომები, 164, ენათმეცნიერება,  
1975, გვ. 8.

<sup>26</sup> ნ. აბესაძე, იქვე, გვ. 9; კ. დონდუა, ადიღური ტიპის მოთხ-  
რობითი ბრუნვა სვანურში: „იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება“, I, 1944,  
გვ. 125.



იყო უკიდურესი შურისძიებით ყო რ დ ა ნ ა შ ვ ი ლ ი ს ა დ მ ი:  
ი. გოგებ., IX, 174, 16; სტუმრები ჰკვირობდნენ თავგების ამგვარ  
ე რ თ მ ა ნ ე თ ი ს ა დ მ ი შებრალებას: ვაჟა, VI, 189, 11...

პირმიუმართავ დამატებად ქართულში -მდე თანდებულიანა  
სახელიც გვხვდება. -მდე თანდებულისანი სახელი დროის გარე-  
მოებაა, როცა ასეთად მასდარია ან დროის გამომხატველი სიტყვა;  
ადგილის გარემოებაა, როცა გადმოცემულია გარკვეულ პუნქტამდე  
მიწევნა, მაგრამ პირმიუმართავი დამატებაა, როცა პიროვნების ან  
მასთან გათანაბრებული სახელია.

მაგალითად: ჩემი სახელი და თ ი კ ო მ დ ი ნ მისულიყო:  
ილია, I, 318, 19; კ. ყიფიანიდან დაწყებული ნ. თ ო მ ა შ ვ ი ლ ა მ-  
დ ე ყველანი ჩინებულად თამაშობენ: აკაკი, VI, 235, 8; ალექსან-  
დრე ყაზბეგს მრავალი დაბრკოლების გადალახვა უხდებოდა, რა-  
თა თავისი ნაწარმოებები მიეტანა მ კ ი თ ხ ე ლ ა მ დ ე: „მხა-  
თობი“, № 11, 1974, გვ. 143, 34; თავადის ქალს მაიას შ ე ნ ა მ დ ე  
სხვებისაგანაც ჰქონია ეს უფლება მინიჭებული: ლ. ქიჩ., IV, 327, 20.

ანალოგიური სურათია მეგრულშიც: ნარავადუ აფუ დო ნებათ  
ეჭოფილი, ართიში დოჰყაფილო ოშ კ ო ჩ ი შ ა ხ<sup>27</sup> პერთას დო  
დუდი მუში გამიცადას: ხუბ., 35, 7 — ნათქვამი აქვს და ნებაც აღე-  
ბული ერთიდან დაწყებული ას კაცამდე მივიდეს და თავისი თავი  
გამოსცადოს.

§ 43. ნათესაობით ბრუნვაში დასმული სახელი პირმიუმარ-  
თავ დამატებად. ნათესაობითში დასმული სახელი პირმიუმართავ  
დამატებად გვაქვს უთანდებულოდაც და თანდებულიანადაც. უთან-  
დებულო დამატება გვხვდება გარკვეული ტიპის ზმნა-შემასმენ-  
ლებთან (რცხვენია კ ა ც ი ს ა, ეშინია ძ ა ლ ლ ი ს ა...), ან გვაქვს  
მასდართან და მიმღეობასთან (მ ზ ი ს ე ლ ვ ა რ ე ბ ა, ს ი ტ ყ ვ ი ს გა-  
გება მ ო ს წ ა ვ ლ ი ს ნახატი, ს ა ხ ლ ი ს მშენებელი...) და ზედ-  
სართავი სახელის უფროობითი ხარისხის ფორმებთან (ე თ ე რ ი ს  
უმსუბუქესი...).

ზოგ შემთხვევაში ნათესაობით ბრუნვაში დასმულსა და მიცე-  
მითში დასმულ სახელებს ერთნაირი ფუნქციის შესრულება უხდე-  
ბათ: ისინი ერთნაირად გამოხატავენ წინადადების მეორეხარისხო-  
ვან წევრებს. ფუნქციურ მსგავსებას თავისი საფუძველი აქვს: წარ-  
მოების მიხედვით ნათესაობითი ბრუნვის -ის ნიშანი ახლოს დგას,

<sup>27</sup> И. К и п ш и д з е, Грамматика мингрельского языка, с. 396; Н. М а р р, Грамматика чанского языка..., с. 36; ტ. გ უ ლ ა ვ ა, ერთი აფხა-  
ზური თანდებული ზანურში: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე,  
VIII, № 3, 1947, გვ. 187—189.

ერთი მხრით, მიცემითის -ს ნიშანთან (საერთოა თანხმოვნითი ელემენტი!), მეორე მხრით, მოქმედებითის -ით ნიშანთან (საერთოა ხმოვნითი ელემენტი!)<sup>28</sup>.

უთანდებულო ნათესაობითი პირმიუმართავი დამატების გამოსახატავად ქრონოლოგიურად წინ უსწრებდა თანდებულიანს<sup>29</sup>. მიუხედავად ამისა, თანამედროვე ქართულში მისი ხმარება უფრო შეზღუდულია.

მაგალითები: თუ კ ა ც ი ს ა არა გრცხვენიან, ღმერთი ზომ ყველასა ჰხედავს: ილია, I,277,31; მერე არ გეშინიათ ამ უცნაური ა მ ბ ე ბ ი ს ა? აკაკი, IV,138,22; კაცს ძალიან ეშინოდა ხ ა რ ი ს ა: ი. გოგებ., V,482,16...

შესახებ თანდებულიანი სახელის მაგივრადაც ზოგჯერ უთანდებულო ნათესაობითიცაა გამოყენებული: შე ცუდო კაცო, მე რა ვიცი ახალი რ ი გ ი ს ა? აკაკი, IV,25,30; ქ ე რ ი ს ა არა უთქვამს: ო. ჩხ., „ბორიყი“, „ციცკარი“, № 1, 1974, გვ. 45; ჩემას ძ მ ი ა ა შენ იცი: ილია, I,368,18...

ასეთ შემთხვევაში ზანურში პირმიუმართავი დამატება დაისმის მიმართულებით ბრუნვაში:

მ ე გ რ უ ლ ი: ბადილის აშქურინუ ნ ა დ ი რ ი შ ა: ყიფშ., 41,1 — მოხუცს შეეშინდა ნადირისა; ის ვაშქურუ ც ხ ე ნ ე ფ ი შ ა: მას., 105,24 — მას არ ეშინია ცხენებისა; სქანი ჯ ო ლ ო რ ე ფ ი შ ა მოშქურუნ: ხუბ., 103,17 — შენი ძაღლების მეშინია...

ჭ ა ნ უ რ ი: დოლოხე ბაბამუშიშა აშქურინუ: ჭან., II,115,18 — შიგნით მამამისის შეეშინდა...

ამ სახის პირმიუმართავი დამატებისათვის ჭანურში მიმართულებითთან ერთად დაშორებითი ბრუნვაცაა გამოყენებული: აწი დ ე მ ი ჩ ი შ ე ნ მაშქურინუ: ხოფ., 28,17 — ახლა მჭედლის მეშინია.

სვანური კი, „ქართულისაგან განსხვავებით ... ვითარებით ბრუნვაში უბრალო დამატებებს იყენებს ს ი რ ც ხ ვ ი ლ ი ს, შ ი შ ი ს და სხვა მსგავსი გრძნობების აღმნიშვნელ ზმნებთან...: მიჩა წ ე ვ ა რ - მ ა ძ ბ წ რ დ ესერ ხაყლუნი — „შენი მწვევარ-მეძებრების მეშინიაო“ (268,25)... მიჩა ბ ა ბ ა დ ესერ ხოშგურ — „მამაშენის მრცხვენიაო“<sup>30</sup>.

<sup>28</sup> ვ. თ ო ფ უ რ ი ა, ბრუნების სისტემისათვის სვანურში სხვა ქართველურენათა ბრუნებასთან შედარებით: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე. ტ. V, № 3, 1944, გვ. 339.

<sup>29</sup> ა. კ ი ზ ი რ ი ა, მარტივი წინადადების შედგენილობა ძველ ქართულში, გვ. 199.

<sup>30</sup> ნ. ა ბ ე ს ა ძ ე, ბრუნვათა სინტაქსური ფუნქციები სვანურში ქართულთან მიმართებით, გვ. 9.

პირიანი ფორმების მსგავსად მასდარიცა და მიმღობაც პირ-  
მიუმართავ დამატებებს შეიწყობენ უთანდებულო და თანდებულიან  
ნათესაობითში.

მასდარისა და მიმღობის ზმნური თავისებურებებით აიხსნება  
ისიც, რომ მათ შეეწყობათ აგრეთვე მიცემითში, მოქმედებითსა და  
ვითარებითში დასმული უთანდებულო და თანდებულიანი დამატე-  
ბებიც. ესაა ერთად ერთი ნიშანი იმისა, რომ ასეთი სახელი დამა-  
ტებაა და არა განსაზღვრება.

მაგალითები:

შვილებმა თავის ნაშრომის წარმატება... თვალდათვალ  
ნახეს: აკაკი, IV,236,10; მხოლოდ ერთადერთი მზის ელვარება  
ჰვანტავს ბნელს: აკაკი, IV,250,33; მომწყურდა იმის სიტყვე-  
ბის გაგება: ილია, I,274,24; ხაბაზები გუშინვე შეუდგნენ პუ-  
რის ცხობას: მ. ჯავახ., IV,45,10; ბრძოლის ქუხილი იმ ვიწ-  
როებშიც მთიდან მოვარდნილი ნიაღვარივით შემოიჭრა: მ. ჯავახ.,  
IV,450,13...

ეშმაკის ნატეხი პური ნუ გინდათო: გ. ლეონ., 133,10; ეს  
არის თქვენი პარმენის გამოქანდაკებული: ნ. ლორთქ., II,  
348,22; ტყის მჭრელებიც საყოველთაო ფერხულში იყენენ გაბ-  
მული: ნ. ლორთქ., II,211,30...

ასევეა სხვა ქართველურ ენებშიც: ათენეფიშ გათხუალა  
იღუაფუ თენერო: ხუბ., 161,4 — ამათი გათხოვება იქნება ასე; სი  
ძალამი ჯგირო ქოგირქენია სქანი მუმა ხენწგფეში ზოჯუა:  
ხუბ., 94,30 — “შენ ძალიან კარგად იციო შენი მამა ზელმწიფის  
ბრძანება; თათრაცანქ ქეარაშ ჭუა ქიმიგონგ: ხუბ., 100,17 —  
თათრაცანმა მუტელის ტკივილი მოიგონა...

გერიში შქურინაფილი ჯოლორქე წანამოწანასა ჯიკსა  
ულალუა: ა. ცაგარ., 82,10 — მგლის შეშინებულმა ძაღლმა მთელ  
წელიწადს ჯირკს უყეფაო; ცხენის გენასოფა შარასია ასე ძი-  
რუნქია: ხუბ., 251,5 — ცხენის გაგლეჯილ გზას ახლა ნახავო...

ანალოგიური მდგომარეობაა ჭანურშიც, ოღონდ ხშირად ნა-  
თესაობითი ბრუნვის ნიშანი -იშ კარგავს -შ'ს: მან თრანგი  
ოძიუშა ვიდამინონ: ლაზ., 19,3 — მე ღმერთის სანახავად წავალ.  
ფიცარი ოხორხუ ქოდიგურუ: ჭან., 1,66,20 — ფიცრის ხერხვა  
ისწავლა; ნანა-მუშიქ დაპა იბირტუ ონწელიში ობირუ: ჭან.,  
1,32,23 — დედამისი კიდევ მღეროდა აკვნის სიმღერას; ქეთო-  
ში მორკაფუ უნტუ: ჭან., 1,31,17 — ქეთოს მოტაცება უნდოდა...

სვანურშიც ნათესაობითი ბრუნვის ნიშანი ან მთლიანადაა  
წარმოდგენილი, ან შთანხმონით ელემენტი მოკვეცილია: ხათვ  
შა ჭაჟილ — სიმექას ტაბლაში მიჩა მენაყას: ვ. ჰარდ., სვან.

საგალ., ენიშის მოამბე, V—VI, 546, 8 — ირჩევ ვაეებს (და) ქალი-  
შვილებს მისი ტაბლების გამოცხობით; ქ ე ი ნ ი მ გ ტ ხ ე ჩ ა ნ გ ს ა ე ს -  
გ ი: ს ვ. ტ ე ქ ს ტ., I, 9, 1 — სულის დამბრუნებელი ჩანგს იღებს;

ნათესაობითში დასმულ პირმიუმართავ დამატებას შეიძლება  
დაერთოს თანდებულები: -გან, -თვის, -მიერ, -კენ, -შესახებ, შორის  
(//შუა), მიმართ, მაგიერ, წინაშე, გარდა, გამო და ა. შ.

-გან და -მიერ თანდებულებიანი სახელებით შეიძლება გად-  
მოიცეს ისეთი დამატებაც, რომელიც მიღებულია ქვემდებარისა-  
გან: თუ მოქმედებითი გვარის ზმნა-შემასმენელს გადავაკეთებთ  
ვნებითად, ქვემდებარისაგან ვიღებთ -გან ან -მიერ თანდებულებიან  
სახელს, რომელიც წინადადებაში პირმიუმართავი დამატებაა (მაგ.,  
შ უ ა კ ა ც ე ბ მ ა სადგომი სახლი დიდ ძმას დაეთმეს (ვ. ბარნ.) —  
შ უ ა კ ა ც ე ბ ი ს ა გ ა ნ სადგომი სახლი დიდ ძმას დაეთმო; შ უ ა -  
კ ა ც ე ბ ი ს მ ი ე რ სადგომი სახლი დიდ ძმას დაეთმო). ამიტომ  
ასეთ დამატებას ქვემდებარისებრ (სუბიექტისებრ) დამატებასაც  
უწოდებენ<sup>31</sup>.

ანალოგიურ შემთხვევაში, როდესაც ქვემდებარედ I ან II პი-  
რის ნაცვალსახელებია, ამ ნაცვალსახელთა უბრუნველობის გამო  
იხმარება მათ-მათი კუთვნილებითი: მე ავაშენე სახლი — ჩ ე მ ი  
აშენებული სახლი; შენ ააშენე სახლი — შ ე ნ ი აშენებული სახ-  
ლი და ა. შ.<sup>32</sup>

კუთვნილებითი ნაცვალსახელი ენაცვლება მესამე პირის ნაც-  
ვალსახელსაც: ის მოვიდა — მისი მოსვლა (მაგ., ძალაან გვიხარო-  
და მისი მოსვლა: დ. სულ. 239, 7; კ ა ქ კ ა ჯ მ ა ... შორიდანვე ამცნო  
თავისი მოსვლა: ვ ა ჯ ა, VI, 36, 9...).

-გან თანდებულებიანი სახელი პირმიუმართავ დამატებად ხში-  
რად გვხვდება: ყველაზედ უძვირფასესი განძი სხვა დარჩა ოთა-  
რანთ ქერიეს თავის ქ მ რ ი ს ა გ ა ნ: ილია, I, 429, 17; ომარა-  
შვილმა დაიხსნა გ ა ჯ ი რ ვ ე ბ ი ს ა გ ა ნ სამართალი: ილია, I,  
436, 8; ქეთოს დ ე დ ი ს ა გ ა ნ დაჰყვა მეტად მოსიყვარულე გუ-  
ლი: ი. გოგებ., IX, 64, 23; კ ა ც ი განსხვავდება პ ი რ უ ტ ყ ვ ი ს ა -  
გ ა ნ: აკაკი, IV, 314, 7; ვ ა ჯ თ ა გ ა ნ მხოლოდ ერთმა არ უმტყუ-  
ნა დედოფალს: ნ. ლორთქ., I, 318, 12...

-გან თანდებულებიანი სახელი პირმიუმართავ დამატებად ასევე  
ხშირად გვაქვს მასდართანაც და მიმღეობასთანაც. გვხვდება პრე-  
პოზიციულადაც და პოსტპოზიციურადაც.

<sup>31</sup> ა. შ ა ნ ი ძ ე. ქართული ენის გრამატიკა, II, სინტაქსი, 1948, გვ. 34—35;  
ლ. კ ვ ა ჯ ა ძ ე, თანამედროვე ქართული ენის სინტაქსი, გვ. 116—117.

<sup>32</sup> ა. შ ა ნ ი ძ ე, ქართული ენის გრამატიკა, II, სინტაქსი, გვ. 35; ლ. კ ვ ა -  
ჯ ა ძ ე, თანამედროვე ქართული ენის სინტაქსი, გვ. 117.

მაგალითები: კოლოებისაგან მოსვენება აღარა გვაქვს: ვაჟა, V,14,2; კორინთელი გააცინა ანდროსაგან ასეთი ქადილის მოსმენამ: კ. გამს. V,413,28; ეს იყო უკანასკნელი გაფრთხილება დედაჩემისაგან: ვაჟა, V,19,20... მინდორზე გორად იდგა ქარისაგან მინამქრული თოვლი: ვაჟა, V,221,3; ნიავისაგან შერხეული ასკილი მისკენ ირხეოდა: აკაკი, IV,233,26; სიღარიბისაგან გაოგნებული თაღრია ხან დღიურ მუშადაც წავიდოდა ხოლმე: გ. ლეონ., 25,18; სირცხვილ-კდემა ერთი უკეთესი ნიშანთაგანია ადამიანის პირუტყვისგან განმასხვავებელი: აკაკი, VII,564,2...

ქართულის -გან თანდებულიანი პირმიუმართავი დამატება ზმნა-შემსმენელთანაც და ნაზმნარ სახელებთანაც ზანურში ჩვეულებრივ გადმოიციემა დაშორებით (დაწყებით) ბრუნვაში დასმული სახელით. დაშორებითი ბრუნვის ერთ-ერთი ფუნქციაა პირმიუმართავი დამატების გამოხატვა<sup>33</sup>.

მეგრული: თქვანდე ველგდა მოხვარას: ხუბ., 74,14 — თქვენგან ველოდებოდი დახმარებას; ბოშის ... ჭკვერი კოჩიშე ულუდგ ნაზოკულა: ყიფშ., 24,10 — ბიქს ჭკვიანი კაცისაგან ჭკონდა ნასწავლი; ვეზირქ ირსხგ გაჭირებაზე თე პოში: ხუბ., 231,30 — ვეზირმა იხსნა გაჭირებისაგან ეს ბიქი; დასაჯული ცოროფაშე მითინ ვარე ჩქიმიგუა: მას., 28,32 — სიყვარულისაგან დასჯილი არავინაა ჩემი მსგავსი.

ქანური: ფუჯიში ტებიშე ... ქალამანი ბიქუმთ: ჭან., II,114,14 — ძროხის ტყავისაგან ქალამანს ვიკერავთ (ვიქმთ); ოხორჯას მთუთიშე ეუ ბეეფე დეაყუ: ხოფ., 198,12 — ქალს დათვისაგან ორი შვილი ეყოლა; მჯაშენ ... ვალი ბიქუმთ: ჭან., II,113,27 — რძისაგან ყველს ვაკეთებთ; მეგრელეფე ჩქინი ლაზიშენ ხთიმეი კოჩეფე ენან: ხოფ., 38,24 — მეგრელები ჩვენი ლაზებისაგან წასული ხალხია.

-გან თანდებულიანი პირმიუმართავი დამატების გადმოსაცემად სვანურში -ხან თანდებულიანი სახელია გამოყენებული. ქართულის -გან თანდებულის მსგავსად -ხან მოითხოვს ნათესაობით ბრუნვას: მეტკვილ ამჯად ოთარიშხან: სვ. პ., 94,14 — მოციქული მომივიდა ოთარისაგან; მეწსილ ოხჯად ოთარიშხან: სვ. პ., 96,26 — დამპატიყებელი მოუვიდა ოთარისაგან...

მეგრ თანდებულიანი სახელი წინადადებაში პირმიუმართავი

<sup>33</sup> ა. ლომთაძე, დაშორებითი ბრუნვის შესახებ მეგრულში: „მაცნე“, 4, 1973, გვ. 120.

დამატებაა და მოგვაგონებს -გან თანდებულიან სახელს ამავე მნიშვნელობით.

ასე იყო ძველ ქართულშიც:

განმზადებულ არს მამისა მიერ ჩემისა: DE მ 20,23, შდრ. C: განმზადებულ არს მამისა ჩემისაგან;

ღმრთისა მიერ ყოველივე შესაძლებელ არს: DE მ 19,26, შდრ. C: ღმრთისაგან ყოველი შესაძლებელ არს;

კაცთა მიერ შეუძლებელ არს ესე: DE მრ. 10,27, შდრ. C: კაცთაგან ვერ შესაძლებელ არს...

მაგრამ -გან თანდებულიანი სახელის შეცვლა -მიერ თანდებულისანი სახელით ყოველთვის არ შეიძლება (მაგ., „დათიკომ დამიხსნა ცეცხლისაგან“: ილია, I,270,2, მაგრამ არ შეიძლება: „დათიკომ დამიხსნა ცეცხლის მიერ“).

ჩვეულებრივ მიერ თანდებულისანი დამატება ნაზუნარ სახელებს უკავშირდება: მართამ თეკლეს ხორეშანის მიერ ბისონით მოქარგული ანაფორა მოსტაცა: მ. ჯავახ., IV,313,32; სასამართლო სხდომამ განიხილა ბახვა ფულავას მიერ წარმოდგენილი საბუთები: გ. წერ. რჩ., I,376,6; ღვთისავარის მიერ მოტანილი ფული ნამდვილი მისწრება იყო: მ. ჯავახ., IV,409,37...

-მიერ თანდებულისანი სახელის ზანური ვარიანტი გადმოიცემა დაშორებითი (დაწყებითი) ბრუნვით -გან თანდებულისანი სახელის დარად.

შედგენილობით მიერ თანდებულთან ახლოსაა მაგიერ-ი. მაგიერ თანდებულისანი სახელიც გამოხატავს პირმიუმართავ დამატებას: ლუარსაბს ... მ ზ ე თ უ ნ ა ხ ა ვ ი ს მ ა გ ი ე რ ი ა ხ ი ნ ჯ ი დ ა რ ე ჯ ა ნ ი შ ე რ თ ე ს : ილია, I,368,38; მსუბუქი დ რ ო შ ი ს მ ა გ ი ე რ ზ უ რ გ ზ ე ზ ა ა ლ ი ს დ ა მ წ ვ ა რ ი ს ა ხ ლ ი ე კ ი დ ა თ ო : მ. ჯავახ., IV,320,28...

-თვის თანდებულისანი პირმიუმართავი დამატება, როგორც წესი, ენაცვლება ირიბ დამატებას გარდამავალი სამპირიანი ზმნის მესამე სერიაში. ასეთ შემთხვევაში პირმიმართი დამატება იქცევა პირმიუმართავად; ასეთივე მდგომარეობაა მაშინაც, როცა: 1. ზმნის სასხვისო ქცევიდან საარვისო ქცევას ვაწარმოებთ („ბიძამ ლადას კაკანათი გაუკეთა“ — „ბიძამ ლადასთვის კაკანათი გააკეთა“; ბ ა ვ შ ე ს საუ ზ მ ე უ მ ზ ა დ დ ე ბ ა — „ბ ა ვ შ ე ს თ ვ ი ს საუ ზ მ ე მ ზ ა დ დ ე ბ ა“) და 2. ზმნა-შემასმენელს მასდარად ან მიმღობად გადავაკეთებთ („დ ე დ ა ს საკ ა ბ ე უ ყ ი დ ა“ — დ ე დ ი ს თ ვ ი ს ნ ა ყ ი დ ი საკ ა ბ ე“; „დ ე დ ი ს თ ვ ი ს კ ა ბ ი ს მ ყ ი დ ვ ე ლ ი“; „დ ე დ ი ს-

თვის კაბის ყიდვა“). ამიტომ ასეთ დამატებას ირიბისებრ უბრალო დამატებასაც უწოდებენ<sup>34</sup>.

-თვის თანდებულისანი პირმიუმართავი დამატებით დანიშნულე-ბაა გამოხატული<sup>35</sup>.

პირველი პირის მე ნაცვალსახელი აქაც კუთვნილებითის ფუ-ძეს იყენებს (მე-ჩემ): ჩემთვის ყველაფერი ბევრი მქონდა: ვაჟა, II,18,15; შეუბამთ ჩემთვის ყელზე ღიჭულა: აკაკი, IV,11,3 შდრ.: მამულ-დედული შენთვის ჩამიბარებია: ილია, I,295,14; შენ სრულიად შენთვის უნდა ცდილობდე ყოველ-გვარ სიკარგეზე: აკაკი, IV,47,12; ერთხელ მეფეს იმისათვის ებრძანებინა: ილია, I,423,15...

-თვის თანდებულისანი პირმიუმართავი დამატებაც შეიძლება დაუკავშირდეს ყოველგვარ ზმნა-შემასმენელს ან ნაზმნარ სახელს, ამიტომ ზმნის პირიანობით იგი არაა შეზღუდული: გვაქვს ერთ-პირიან, ორპირიან და სამპირიან ზმნებთან. ასევე თანაბრად უკავ-შირდება პირველი, მეორე თუ მესამე სერიის ზმნა-შემასმენლებს, მაგრამ ნათლად იგრძნობა მისი წარმომავლობა ირიბი დამატები-საგან შესამე სერიის ფორმებთან, როდესაც შემასმენლად გვაქვს სამპირიანი ზმნა (თედოს მანასაანთ გოლასათვის ქაპრის ღილები წაერთმია: ილია, I,433,6, შდრ. თედომ მანასაანთ გოლას ქაპრის ღილები წაართვა): მეცნიერის კაცისათვის ყველა-ფერი შესაძლოა: ილია, I,255,18; სირცხვილია ვაჟაკისათ-ვის ტირილი: ვაჟა, V,196,31; ამ ბავშვისათვის მე ახ-ლავე ძიძას მოგვრით: ი. გოგებ., IX,110,12; ზაალს ეფემიასათ-ვის არა სცალიან: მ. ჭავახ., IV, 13,32; ოცდახუთი თუმანი ბა-ტონისათვის სწორედ მისწრება იყო: მ. ჭავახ., IV,101,21; ბიჭებს ქალბატონისათვის შეუტყობინებიათ: ილია, I,344,14; ჩემისთანა უთვისტომო ადამიანისათვის ქვეყანა ყველგან ერთი უნდა ყოფილიყო: ილია, I,312,25...

-თვის თანდებულისანი სახელი გვხვდება -ზე და შესახებ თან-დებულთა მნიშვნელობითაც: არზაყან ისევ თამარისათვის ფიქრობს: კ. გამს., I,490,14 (აქ თამარისათვის=თამარზე) და ასე: ტფილისისათვის ფიქრმა თამარი მოაგონა: კ. გამს., I,650,36; ძილისათვის უნდა ვიფიქრო: კ. გამს., I,239,6... შდრ. ექიმი შარუხია გატაცებული მიაშობდა თავის შრომის დას-კვნებისათვის: კ. გამს., II,43,4 (დასკვნებისათვის=დასკვნე-

<sup>34</sup> ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკა, II, სინტაქსი, გვ. 39; ლ. კვაძე, თანამედროვე ქართული ენის სინტაქსი, გვ. 120.

<sup>35</sup> ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკა, II, სინტაქსი, გვ. 39.

ბის შესახებ); ექიმი წრომასა სწერს სუბტროპიული მაღარო-  
ისათვის: კ. გამს., II,41,25; თარაშ ემხვარ წიგნს ამხადებს კოლ-  
ხიდის ფეტიშიზმისათვის: კ. გამს., I,83,20...

-თვის თანდებულისანი სახელის გამოყენება -ზე (—ზედა) თან-  
დებულისანის მნიშვნელობით ძველი ქართულის ვითარების ამსახ-  
ველია, შდრ. „ხოლო იგი შეჭუნა ამის სიტყვისათვის: DE  
მრ 10,22 და C: „ხოლო იგი დაწუნა სიტყუასა მას ზე-  
და“; „წერილ არს ძისათვის კაცისა“: DE მრ 9,12 და C: „წე-  
რილ არს ძესა ზედა კაცისასა“; „აწ სული ჩემი შენთვის  
დავდეა“: DE ი 13,37 და C: „თავი ჩემი დავდეა შენ ზედა“...  
და ასე: „რომელმან ბოროტი თქუას მამისათვის“: მ 15,4;  
„სახისმეტყუელმან თქუა ორბისათვის“: შატბერდის კრებუ-  
ლი X საუკუნისა, 185,34...

შესახებ თანდებული ახალი წარმონაქმნია: შესახებ — შე-  
სახები.

-თვის თანდებულისანი პირმიუმართავი დამატების მნიშვნე-  
ლობითაა გულისათვის დართული ნათესაობითში დასმული  
სახელი ასეთ შემთხვევაში: „შვილმა რომ დედის გულისა-  
თვის ერბო-კვერცხი მოიწვას ხელის გულზე, იმის ამაგს მაინც  
ვერ გადაიხდისო (ხალხ.)“<sup>36</sup>. და ასე: დანის ფრიალი რომ იყო ამ  
ეზოში შარშან გაზაფხულზე მავ გოგოს გულისათვის:  
ბ. დუმბ., 524,1; მე სოფლის გულისათვის ჩავიდინეო:  
ს. მგალ., 478,24; გოგი მონიავამ ზღვაში შეაგელვა თავისი ცხენი...  
იმ ქაჩი დედაკაცის გულისათვის: კ. გამს., II,34,16..

ნაზმნარ სახელებთან -თვის თანდებულისანი სახელი დამატებად  
შედარებით იშვიათია: „ღმერთს არ სდომებია ჩვენი ერთმანე-  
თისათვის დაკარგვაო“: აკაკი, IV,123,15...

ქართულის -თვის თანდებულისანი დამატება მეგრულში გად-  
მოიციემა მიმართულებითი და დანიშნულებითი  
ბრუნვებით: ამ ბრუნვათაგან შეინიშნება ერთგვარი სემასიო-  
ლოგიური ნიუანსები: მიმართულებითი ბრუნვით გადმოიციემა ისე-  
თი დამატება, რომელიც დანიშნულებას არ გამოხატავს. უფრო ხში-  
რად ეს ბრუნვა გამოყენებულია ისეთი პირმიუმართავი დამატების  
აღსანიშნავად, რომელიც ირიბი დამატებისაგან მომდინარეობს და  
უკავშირდება გარდამავალი ზმნის მესამე სტაიის ნაკვთებს. გვაქვს  
სხვა შემთხვევაშიც. დანიშნულებითი ბრუნვით კი გადმოიციემა  
ისეთი დამატება, რომელიც ფუნქციით დანიშნულებას გამოხატავს.

<sup>36</sup> ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, გვ. 604; ლ. კვა-  
ჭაძე, თანამედროვე ქართული ენის სინტაქსი, გვ. 120.



## მაგალითები:

### I. მიმართულებითი ბრუნვა

მინჯეს თოფი გეუჭოფუ, კოლონაშა უცოთამუ: მას... 99,37 — პატრონს თოფი აულია, კოლოსათვის უსვრია; ათე შეანს-უკულაში ძღაბიშა დიდი რისხვა ეკურინუაფუნა თი ყირი ჭი-მაღენს: ხუბ., 6,2 — ამ დროს უმცროსი გოგოსათვის დიდი რისხვა-დაუყენებია იმ ორ ძმას; ნასადილს უთქუალვ ოსურს ქომონ-ჯიშა: ხუბ., 242,19 — ნასადილევს უთქვამს ცოლს ქმრისათვის; ათენერი კოჩიშა მეუჩამუ მუაჩქიმს ჩქიმი დუღია: ხუბ., 50,4 — ამგვარი კაცისათვის მიუცია მამაჩემს ჩემი თავიო...

და ასე: ჩქიმდა ხოლო აფუდუა რაგადებული: ხუბ., 72,34 — ჩემთვისაც (ჩემდა) ჰქონდაო ნათქვამი; ჩქიმდა იშენი-ვაგაფუღინუა. ყიფშ., 39,17 — ჩემდა მაინც ვერ დაიმალო;

### II. დანიშნულებითი ბრუნვა

ჩქიმოთ ვართი ჩილი ოცოფირუუ, ვართი სქუა: ყიფშ., 4,27 — ჩემთვის არც ცოლია და არც შვილი; ახალგაზრდა რგნტჯ ძღაბი ჩქიმო ვარე ანწი ხერი: მას., 92,22 — ახალგაზრდა ცეტი გოგო ჩემთვის არაა აწ ზეირი; სქანო იბიქ ცხოვრებას: ხუბ., 214,36 — შენთვის ვიქნები ცხოვრებაში; ჩქინო არძა ართი რე: მას., 77,11 — ჩვენთვის ყველა ერთია; ეს მოცუნს შხვაშო: ხუბ., 124,30 — ამას მოჰყავს სხვისთვის; უკული უწუუ, ეშმა-კიშოთ რაგადანდენი თიქ: ყიფშ., 4,4 — შემდეგ უთხრა, ეშმა-კისათვის რომ ლაპარაკობდა იმან...

ჰანურში სამპირიანი გარდამავალი ზმნის თავისებურება, რომელიც გამოიხატება იმაში, რომ მესამე სერიაში ირიბი ობიექტო ჩვეულებრივ ირიბ ობიექტადვე რჩება, სინტაქსშიც პოულობს გამოხატულებას. მაგრამ ზოგ შემთხვევაში აქაც შეინიშნება თურქობითის ჯგუფში და პოტენციალისის ფორმებთან ინვერსია<sup>37</sup>. ასეო შემთხვევაში სამპირიანი ზმნა-შემასმენლის ირიბი დამატებისაგან ვიღებთ მიმართულებით ან დაშორებით ბრუნვაში დასმულ პირ-მიუშართავ დამატებას: ოხორჯას კოჩიშა მუ დულაა ახვეხებ?! ჰან., I,16,4 — ქალს კაცისად რა საქმე გაეკეთება?! (=ქალი კაცს რას უზამს?!); ზიჭეფეს ხოჯაშე მუთუ ვარ ათქვეს: ს. ჟღენტი, ჰან., 114,19 — ბიჭებმა ხოჯას ვერაფერი უთხრეს<sup>38</sup>

<sup>37</sup> არნ. ჩიქობავა, ჰანურის გრამატიკული ანალიზი, გვ. 153; გ. კარ-ტოზია, მასალები ლაზური ზეპირსიტყვიერებისათვის, გვ. 143.

<sup>38</sup> გ. კარტოზია, მასალები ლაზური ზეპირსიტყვიერებისათვის, გვ. 143.

-თვის თანდებულიანი სახელის მნიშვნელობით ჰანურში -ნი თანდებულიანი დაშორებითი (დაწყებითი) ბრუნვა გვაქვს. როგორც სპეციალურ ლიტერატურაშია მითითებული, „-ნი ჰანურში მით უფრო საჭიროა, რომ დანიშნულებითი ბრუნვა არა გვაქვს. -ნი-ს მაგალითები: „სქანი ბოზომოთა მომჩარე ჟუმა ჩქიმშიშენი“... II,97,6 — „შენს ქალიშვილს მომცემ ჩემი ძმისათვის“...<sup>39</sup>

ასეთივეა: ჩონჩი ფუჯეფენი ქოშებინახი: ჰან., II,31,16 — ჩენჩი ძროხებისათვის შევინახე; აიშექ... ოსმანი-შენი წინეკი დოშუ: ჰან., I,105,1 — აიშემ ოსმანისათვის წინდა მოქსოვა; ბუტკუჩიქ ჰვალა მუშიშენი ვაჩალიშეფს: ჰან., I,85,15 — ფუტკარი მხოლოდ თავისთვის არ მუშაობს...

აქვე თითქოს დანიშნულებითი ბრუნვის ნიმუშიც შეინიშნება: ყურძენიშოთი ვაჩაოდენან: ჰან., I,109,13 --- ყურძნისათვის არ გვეცლება.

მაგრამ გვხვდება ამავე მნიშვნელობით უთანდებულო მიცემითიც: არ კაი კულანი არ ბიჭის მეჩამუ უნონან: ხოფ., 57,33 — ერთი კაი გოგოს ერთი ბიჭისათვის მიცემა უნდათ.

სპეციალურ ლიტერატურაში დამოწმებულია სხვა მაგალითებიც: „ასტერი ეალუდეფე ოკადაფეს მიხენაფუ ქო, სიმა მუდა ეალული მოლოდარე? ნ. მარი, 87,27 — „ამისთანა სიკეთე ბევრისათვის გამიკეთებია, შენ რა სიკეთე უნდა მიყო? და ა. შ.<sup>40</sup>

სვანურში პრინციპში ქართულისებური მდგომარეობაა: „დრაკილოთა შესამე ჟგუფში სასხვისო ქცევის ზმნებს ირიბი დამატების ნაცვლად უბრალო დამატება უჩნდებათ: დი გეზალს ხომარე ლეზებებს — დედა შვილს უმზადებს საქმელს. მაგრამ: დის გეზლანშდ ოხემარა ლეზებებს — დედას შვილისათვის ვოუმზადებია საქმელი“<sup>41</sup>.

მაგრამ განსხვავება იმაშია, რომ ქართულის თანდებულიანი ნათესაობითის მაგივრად პირმიუმართავი დამატება ნანათესაობითარ ვითარებითშია<sup>42</sup>: მ გ რ ზ ი ლ ა ნ შ დ დაშნილ ყივ მიკრდა: სვ.

<sup>39</sup> არნ. ჩიქობავა, ჰანურის გრამატიკული ანალიზი. გვ. 65—66.

<sup>40</sup> გ. კარტოზია, მასალები ლაზური ზეპირსიტყვიერებისათვის, გვ. 144.

<sup>41</sup> ნ. აბესაძე, დამატებისა და შემასმენლის სინტაქსური ურთიერთობის საკითხი სვანურში: თბილისის უნივერსიტეტის შრომები, 13—3 (142), თბ., 1972, გვ. 8.

<sup>42</sup> ვ. თოფურია, ზოგიერთი ბრუნვის გენეზისისათვის მეგრულ-ჰანურში: ენიქის მოამბე, I, გვ. 181; ნ. აბესაძე, დამატებისა და შემასმენლის სინტაქსური ურთიერთობის საკითხი სვანურში, გვ. 8.

.პ., 92,16 — მურზილასთვის ხმალი ამიცილია; გიგოს ხრქვა გლე-  
ხვარდ მიჩა: სვ. პ., 46,2 — გიგოს უთქვამს თავის გლეხებისა-  
თვის: თათრიშ ლაშგვარდ მეცქვილ ხოზზახ: სვ. პ., 46,38 —  
თათრის ლაშქრისათვის მოციქული მიუგზავნიათ; ლამრიად ში-  
მად მიფადა: სვ. პ., 176,10 — ღვთისმშობლისათვის ხელი არ მის-  
ლია; ყი ხობიღნა ბამბიშ ივკად: სვ. პ., 124,3 — ცეცხლი წაუ-  
კიღებია ბამბის კაბისათვის...

-კენ თანდებულიანი სახელი წინადადებაში ჩვეულებრივ ად-  
გილის გარემოებაა, რამდენადაც „კენ უჩვენებს მიმართულებას და  
ინმარება როგორც სახელთან, ისე უფორმო სიტყვასთან“<sup>43</sup>.

ამასთან ერთად, -კენ თანდებულიანი სახელი მოგვაგონებს  
-თან, -ში და -ზე თანდებულებიან სახელებს: -თან, -ში და -ზე  
თანდებულიანი სახელი წინადადებაში შეიძლება იყოს ან პირმიუ-  
მართავი დამატება, ან ადგილის გარემოება, შდრ. „გაგზავნეს დე-  
დასთან ბიკი“ (ილია) და „მათიკო მარტო იჭდა ბუჯართან“  
(აკაკი); „დათიკო სულ გამოიცვალა ახალ ტანისამოსში“  
(ილია) და „ტყეში ერთი მუხა იდგა“ (ვაჟა); „ზურაბზე ბრა-  
ზი მომივიდა“ (ვაჟა) და „ცხენოსნები ვარჯიშობდნენ ველზე“  
(კ. გამს.) და ა. შ.

უთანდებულო სახელიც კი ერთ შემთხვევაში შეიძლება დამა-  
ტებას გამოხატავდეს, მეორე შემთხვევაში — გარემოებას, მაგ.,  
შდრ.: „დილამ კარი გაუღო დღეს“ (ილია) და „დღეს ქორწი-  
ლია შუაფხოს“ (ანა კალანდ.); „ხელი გავიკარ სატევეარს“ (აკა-  
კი) და „იმ სალამოს სტეფანწმინდას ამოვედი“ (ილია)...

ჩანს, რომ ერთნაირი თანდებულების დართვის დროსაც შეიძ-  
ლება წინადადების სხვადასხვა წევრი გვქონდეს — დამატება ან  
გარემოება. „ზოგჯერ მათ შორის ზღვარი თითქმის წაშლილია“<sup>44</sup>.

მ. თალაკვაძეს აღნიშნული აქვს, რომ ასეთ შემთხვევაში და-  
მატებისა და ადგილის გარემოების ერთმანეთისაგან გასარჩევ-  
ად არსებითი მნიშვნელობა აქვს იმას, თუ რას მიემართება მოქმედე-  
ბა — საგანს, ობიექტს თუ სივრცეს. ადგილის გარემოებისა და

<sup>43</sup> ე. თ. ფ. უ. რ. ი. ა., ქართული ენა, განაკვეთი III—IV, ტფილისი, 1933, გვ. 74; ა. შ. ა. ნ. ი. ძ. ე., ქართული ენის გრამატიკა, თბ., 1939, გვ. 63; არ. მ. ა. რ. ტ. ი. რ. ო. ს. ო. ე. ი., თანდებული ქართულში: „იბერულ-კავკასიური ენათმეცნიერე-  
ბა“, I, თბ., 1946, გვ. 244.

<sup>44</sup> В. Г. А д м о н и, Синтаксис современного немецкого языка, Л., 1973, с. 110.

დამატების ერთმანეთისაგან გარჩევისათვის მნიშვნელოვანია თვით სახელის მნიშვნელობაც<sup>45</sup>.

-კენ თანდებულიანი პირმიუმართავი დამატება თუმცა საძებნია, მაგრამ არც ისე იშვიათია. თვით კითხვაც (ვ ი ს კ ე ნ? რ ი ს კ ე ნ?)<sup>46</sup> მიგვანიშნებს პირმიუმართავ დამატებაზე, თუმცა მეტნაკლებად დაჩრდილულია იგი იმის გამო, რომ უფრო გავრცელებულია ადგილის აღმნიშვნელი კითხვა (საითკენ?).

თუ ამ ნიშანს გავითვალისწინებთ, მაშინ -კენ თანდებულიანი სახელი წინადადებაში შეიძლება პირმიუმართავ დამატებადაც მოგვევლინოს. ასეთ დამატებას გადმოსცემს ნაცვალსახელი და არსებითი სახელი (მასდარითურთ).

მაგალითები:

ჩემმა სიტყვებმა იმას გული ჩემკენ მოუბრუნეს: ილია, I,302,17; ათი გზა მაქვს, ათივე შენკენ მოდის: გრ. ორბ., 65,18; მე შენკენ მხოლოდ ერთი გზა მქონდა: ხ. ბერ., 35,2; მე ხელებს სასოებით ვაპყრობ მისკენ მუდარით: დ. შენგ., ბ. ქ., 129,13; მეფემ ნახა, რომ უზარმაზარი ირემი მორბოდა იმისკენ: ვაჟა, V,231,3; სულელები ზოგი თქვენკენ მოიკითხევ: აკაკი, IV,10,29...; ელისაბედმა სახრე ლუარსაბისაკენ გადმოიქნია: ილია, I,339,38; თეომ მირზასკენ საკოცნელად წაიწია: რ. გვეტ., 134,12; მელანომ ... რამდენჯერმე მოიხედა თიძსალმაკოსკენ: აკაკი, IV,113,6; თვალს კონსტანტინესკენ აპარებენ: გ. შატბ., IV,70,36; არზაყანმა ისევ ძაბულისაკენ მიიბრუნა პირი: კ. გამს., I,168,3; დიდგულად წამოვიდა ონისიმე რძლისაკენ: დ. კლდ., I,18,32; სარდიონს ერთხელაც არ გადუხენდნია თავის ცოლისკენ: დ. კლდ., I,85,12.

აქ ყველგან ვინ ჭგუფის სახელია დამატებად (კითხვაზე ვისკენ?), მაგრამ პირმიუმართავ დამატებას გამოხატავს რა ჭგუფის სახელიც (კითხვაზე — რისკენ?): სოლომანმა ... ჯორისაკენ გადმოიხედა: დ. კლდ., I,53,16; მამალს ... თვალი კოდალასკენ ჰქონდა: ვაჟა, II,224,24; მე კი ქონიანი ხელით ამკაცის საყელოსკენ ვუთითებ: მ. ჯაფახ., II,577,1...

<sup>45</sup> მ. თალაკვეძე, ქართული ენის გრამატიკის სწავლების მეთოდთა, თბ., 1959, გვ. 312—313; აგრეთვე: გ. ბერიძე, უბრალო დამატებისა და ადგილის გარემოების სწავლებისათვის: ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში, № 1, 1971, გვ. 21.

განსხვავებულ: მოსაზრება აქვს გამოთქმული ლ. კვაჭავასძეს. იხ. ლ. კვაჭავაძე, თანამედროვე ქართული ენის სინტაქსი, გვ. 131.

<sup>46</sup> ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, IV, თბ., 1955, გვ. 1139.

-კენ თანდებულიანი დამატება ასევე გვაქვს ნაზმნარ სახე-  
ლებთანაც: წიგნის წაკითხვა და სატრფოსკენ გაქანება ერ-  
თი იყო: აკაკი, IV,200,28; შავდათუამ მისკენ მოსავალი ნაბ-  
დინი ჰაბუკი დაინახა: გ. შატბ., II,74,33...

-კენ თანდებულიანი სახელი პირმიუმართავი დამატებისა და  
ადგილის გარემოების მიჯნაზე აღმოჩნდა და ამას თავისი საფუძვე-  
ლი აქვს. საერთო სარბიელზე ერთი რომელიმე მათგანი იჩენს უპი-  
რატესობას.

-კენ თანდებულიანი სახელის მნიშვნელობით მეგრულში პირ-  
მიუმართავ დამატებად დაშორებით ბრუნვაში დასმული სა-  
ხელია გამოყენებული: ბაღანაქ დიდაშე მიკიჩინუ — ბავშვმა  
დედისაკენ მიიხედა; სი სქუაშე განქუაფუ გური --- შენ შვი-  
ლისაკენ მიგიწევს გული...

ჰანურში ამ მიზნით მიმართულებითი, დაშორებითი  
ანიკელე თანდებულიანი ნათესაობითია გამოყენე-  
ბული: ოკულე ბაბა-მუშიშა-თი უნკაპუ: ჰან., I,32,26 —  
შემდეგ თავის მამისკენაც გაიქცა; კოჩიქ არგუნი ეზღუღო ჩქიმ-  
დეკელე ოყვილუშენი მულუნ: ხოფ., 29,11 — კაცმა ნაჭახა  
აილო და ჩემკენ მოსაკლავად მოდის: კოჩიქ... ქესერი სთერი მუ-  
შიკელე კვათუმს: ჰან., II,69,4 — კაცი... ეჩოსავით თავისკენ  
თლის; იხვეწან ორენ ნოღამისაშიკელე: ჰან., II,65,12 —  
იხვეწებიან პატარძლისაკენ...

სვანურში გამოყენებულია -თე თანდებულიანი ნათესაობითი.  
ესლგრინე ლეჟა ოთარისთე: სვ. პ., 106,31 — მიდის ზემოთ  
ოთარისაკენ.

შორის (შუა) თანდებული გამოყენება ნათესაობით ბრუნვას-  
თანაც იმავე მნიშვნელობით, როგორც გვქონდა მიცემითთან:  
მკიდრო კავშირი სუფევს ეკონომიურის მდგომარეობისა  
და განათლების შორის: ილია, IV,10,29; რუსეთის ნაოს-  
ნობის და ვაჭრობის საზოგადოების შორის მოლა-  
პარაკება არისო: ილია, IV,144,36...; შდრ. ჩემი ფიქრებისა და  
თერგის ჩივილის შუა არის რაღაც იდუმალი კავშირი: ილია,  
I,357,2; ეგ ოთხი წელიწადი... ბეწვის ხილია, სიბნელისა და  
სინათლის შუა ბედისაგან გადებული: ილია, I,249,33; კა-  
ნონი ბატონისა და ყმის შუა ჩაერია: ილია, IV,12,25...

და ასე:

წინაშე: ფშაველი ქალი წაწალს გაიჩენს მშობლე-  
ბის წინაშე დაუმაღავად: ვაჟა, IX,17,28; დარაჯებმა განთი-

დისას თავი დახარეს დიდებულ დედოფლის წინაშე: ნ. ლორთქ., I,31,25; ლამაზი ქალის წინაშე სანდრო ყოველთვის შებოროტად გრძნობდა თავს: ს. კლდ., რჩ., 10,10...

**შესახებ.** შესახებ თანდებული შეიძლება სახელს ბოლოსაც დაერთოს და წინაც უძლოდეს: არც იმან იცოდა რამე რეზოს შესახებ: ა. ბელ., ულელტ., 282,27; რიმაწიძემ წიგნი დაწერა შესახებ შინაგანი სექრეციისა: მ. ჯავახ., II,42,11... კამათი ასტყდებოდა შესახებ რომელიმე ამბავის სისწორისა: მ. ჯავახ., II,242,28...

შესახებ თანდებულის გაგება აქვს გარშემოს ასეთ შემთხვევაში: ქალაქში უკვე საოცარი ლეგენდები დადის ჩვენი ფლირტის გარშემო: კ. გამს., II,38,16...

ამ მნიშვნელობით მეგრულში გვხვდება -ნი თანდებულიანი დაშორებითი: ზუგიცგ თქვა ქიმერთით უჩარღიაშა დო ჩქიმში შენი ქუუწით: ყიფშ., 3,1 — ზუგდილში თქვენ მიდით უჩარღიასთან და ჩემ შესახებ უთხარით; ეცირა შენი იკათხე დიდამუმაქ: ყიფშ., 46,20 — გოგოს შესახებ იკითხეს დედ-მამამ.

**გამო.** გამო თანდებულიანი სახელის ერთ-ერთი ფუნქციაა პირმიუმართავი დამატების გამოხატვა. ასეთ შემთხვევაში გამო თანდებულიანი სახელი წინადადებაში გამოყენებულია შესახებ თანდებულიანი სახელის მნიშვნელობით: გულაუადი პატივისმცემელი რომ არ ვიყო ბ. ილია ჭავჭავაძის, ხმას არ ამოვიღებდი მის უკანასკნელ წერილებზე ბანკის გამო: აკაკი, VII,654,5; მე სულ უმნიშვნელო ცნობები მომეპოვება მედიცინის გამო: კ. გამს., VIII,33,23; წიკლაურს შეეშინდა ნამეტნავად განყენებულ საუბარზე არ გადავიდესო ტყვე, ისევ შეეკითხა სატანკო დივიზიის გამო: კ. გამს., V,476,10; ხალხში ათასგვარი ხმა დადიოდა მათი მეთაურის გამო: კ. გამს., I,272,6; მთავარმა სამმართველოებმა ზარბაზნის გამო არავითარი გადაწყვეტილება არ მიიღეს: გაზ. „თბილისი“, 20.XI. 1974, გვ. 3, სვ. 4; ბუერი ფრთიანი სიტყვა ითქვა ამ ბგერების გამო (ამ ბგერების შესახებ): გ. შატბ., IV,67,25.

**მიმართ:** სოფიო და ილარიონი დროდადრო მაინც ავლენდნენ სიძულვილს ერთმანეთის მიმართ: ნ. დუმბ., 94,15; საიდან მოვიდა ეს ნიღილიზმი ახალგაზრდობის მიმართ: ნ. დუმბ., 422,28...

**მიმართ** თანდებულიანი სახელის გადმოსაცემად მეგრულში მიახლოვებით დანიშნულებითი ბრუნვა გამოიყენება: „მაქრა ოჭუ-

მარეს გიორგიქ ხ ე ნ წ ი თ ე შ ო გურმულირო გედირათუ“: ხუბ., 151,25 — მეორე დილას გიორგი ხელმწიფის მიმართ გულმოსული ადგა.

გარდა: ჩანჩურას მტრე ბ ე ს გ ა რ დ ა მეგობრებიც ჰყავს: მ. ჭავახ., I,6,23; რამდენიმე რ ა ზ მ ე ლ ი ს გ ა რ დ ა არავინ არ გაჰყვა: მ. ჭავახ., IV,312,6...

ამგვარად, ნათესაობითში დასმული პირმიუმართავი დამატება ქართველურ ენებში გვხვდება უთანდებულოდაც და თანდებულის დართვითაც. თანდებულისანი ფორმებით მდიდარია ქართული.

ზანურში ქართულის ნათესაობითში დასმული პირმიუმართავი დამატება შეიძლება გადმოიციეს ნათესაობით ბრუნვაში დასმული სახელით (უთანდებულოდ ან კელე თანდებულით), უთანდებულო ან -ნი თანდებულისანი დაშორებითით და მიმართულებითი და დანიშნულებითი ბრუნვებით.

სვანურში გამოყენებულია უთანდებულო ან -ხან და -თე თანდებულებისანი ნათესაობითი და ნანათესაობითარი ვითარებითი.

§ 44. მოქმედებით ბრუნვაში დასმული სახელი პირმიუმართავი დამატებად. მოქმედებით ბრუნვაში დასმული პირმიუმართავი დამატება უკავშირდება შემასმენელს ან ნაზმნარი სახელებით (მასდართა და მიმღობით) გადმოცემულ სხვა რომელიმე წევრს, რომელიც წინადადებაში შეიძლება იყოს ქვემდებარედ: დამატებად, განსაზღვრებად ან გარემოებად. ამასთან ერთად „ის იშვიათად ზოგ ზედსართავთანაც იხმარება“<sup>47</sup>.

ასეთი დამატება, ერთი მხრივ, „აღნიშნავს იარაღს ან საშუალებას, რითაც მოქმედება წარმოებს“<sup>48</sup>, მეორე მხრივ, აქვს უნარი „უჩვენოს თანყოფობა (კითხვაზე რასთან? ან ვისთან ერთად?)“<sup>49</sup>. ამ უკანასკნელისათვის გვაქვს უთანდებულო ან -ურთ თანდებულისანი მოქმედებითი. თანამედროვე ქართულში -ურთ თანდებულისანი ფორმა შეზღუდულია -იან სუფიქსიანი სახელის ვითარებითი ბრუნვით („აქ ცხოვრობდა ლუარსაბ თათქარიძე მეუღლითურთ“ = „აქ ცხოვრობდა ლუარსაბ თათქარიძე მეუღლიანად“).

მოქმედებითი ბრუნვით გამოხატული დამატების თავისებურე-

<sup>47</sup> ა. შ ა ნ ი ძ ე, ქართული ენის გრამატიკა. II, სინტაქსი. გვ. 45.

<sup>48</sup> თ. შ ა რ ა ძ ე ნ ი ძ ე, მოქმედებითი და ვითარებითი ბრუნვების წარმოება და ფუნქციები ძველ ქართულში: სახელის ბრუნვის ისტორიისათვის ქართველურ ენებში, I, თბ., 1956, გვ. 415.

<sup>49</sup> თ. შ ა რ ა ძ ე ნ ი ძ ე, დასახელებული ნაშრომი, გვ. 416.

ბა სხვადასხვა ენაში სხვადასხვანაირად აისახა და არაერთხელ მიუქცევია მკვლევართა ყურადღება<sup>50</sup>.

მოქმედების იარაღის ან საშუალების გამომხატველი პირმიუმართავი დამატება ინსტრუმენტალისის სახელითაა ცნობილი. ა. შანიძემ მას საჭურვლის დამატება უწოდა<sup>51</sup>.

ასეთი დამატება უთანდებულო მოქმედებით გადმოიცემა: დღეს ჩემის თვალით ვნახე: ილია, I, 416, 21; ირემი საღამოზედ შინ მოიტანეს ურმითა: ი. გოგება, IX, 18, 12; ტანი შემოსილი გვაქვს ტანისამოსით: ი. გოგება, IX, 26, 2; ნიგოზა ჯამით დაუდგეს პაპაჩემსა: ვაჟა, V, 175, 8...

მოქმედებით ბრუნვაში დასმული დამატება ახლავს ნაზმნარ სახელებსაც: იქიდან შინ ფეხით წასვლა არ გაგიძნელდება: ი. გოგება, V, 86, 24; ზურაბმა... შეილსაც დაუშალა ნადირობით მეტისმეტი გატაცება: ვაჟა, VI, 191, 6... ჩემი... ოფლით შეტენილი ქონება მიაქვთ: ნ. დუმბ., 561, 21; მე მინდოდა... ჩამეკოცნა კალარა წვერით გაბუჭული მისი მონგრეული ყბა: ნ. დუმბ., 513, 2...

თანმყოფობას, თანაობას, ერთადობას გამოხატავს -ურთ თანდებული, რომელიც დაერთვის მოქმედებითის გაუვრცობელ ფორმას<sup>52</sup>. წინადადებაში -ურთ თანდებულისანი სახელი პირმიუმართავი დამატებაა.

-ურთ თანდებულისანი სახელი უპირატესობას იჩენდა ძველ ქართულში, ახალში იშვიათია იმის გამო, რომ, ერთი მხრივ, მეტი უფლება მოიპოვა უთანდებულო მოქმედებითმა და, მეორე მხრივ, მოხდა შენაცვლება: -ურთ თანდებულისანი მოქმედებითის ფუნქცია იკისრა -იან სუფიქსით წარმოქმნილმა სახელმა ვითარებით ბრუნვაში<sup>53</sup>.

<sup>50</sup> F. Miklosich, Vergleichende Grammatik der slavischen Sprachen IV, Heidelberg, 1926, გვ. 689. Ф. И. Буслев, Историческая грамматика русского языка. М., 1959, с. 467—468; А. А. Шахматов, Синтаксис русского языка. Л., 1941, с. 339—341; Грамматика русского языка, т. II, Синтаксис, ч. I, М., 1954, с. 566; Современный русский язык, Синтаксис, под ред. Е. М. Галкиной-Федорук, М., 1957, с. 211 და სვ.

<sup>51</sup> ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკა, II, სინტაქსი, გვ. 41.  
<sup>52</sup> ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, გვ. 603: თ. შარაძენიძე, მოქმედებითი და ვითარებითი ბრუნვების წარმოება და ფუნქციები ძველ ქართულში, გვ. 416; ი. იმნაიშვილი, სახელთა ბრუნება და ბრუნვითა ფუნქციები ძველ ქართულში, გვ. 204; 268; 352—354; ლ. კვაჭაძე, თანამედროვე ქართული ენის სინტაქსი, გვ. 123—124.

<sup>53</sup> ამ ფაქტისადმი ყურადღება მიუქცევია ი. გოგებაშვილს ჟერ კიდევ 1886 წელს. ი. გოგებაშვილი, თხზულებანი, II, თბ., 1954, გვ. 108.



თანაობის, თანმყოფობის აღმნიშვნელი პირმიუმართავი დამატება გულისხმობს მეორე სახელს, რომელთანაც ამყარებს აზრობრივ კავშირს. ასეთი დაკავშირება შეიძლება მოხდეს ქვემდებარესთანაც და პირდაპირ დამატებასთანაც. ჩვეულებრივ, თუ ზმნა-შემასმენელი გარდაუვალია, თანაობა გვაქვს ქვემდებარესთან, თუ გარდამავალია — პირდაპირ დამატებასთან<sup>54</sup>.

ინტერესს იწვევს ის ფაქტი, რომ ძველი ქართულის ურთ დებულებიანი მოქმედებითის მნიშვნელობით გამოყენებულმა უთანდებულო მოქმედებითმა, რომელიც ქვემდებარის თანმზღები სახელია, შეიძინა უნარი ქვემდებარესთან ერთად აზრობრივი კავშირი დაემყარებინა შემასმენელთან, რასაც მოჰყვა შემასმენლის შეთანხმება მრავლობით რიცხვში: კობა თავის ამხანაგებით გ ა ვ ი დ ნ ე ნ კლდის ძირობაში: ა. ყაზბ., I, 276, 39; იასაული ყაზახებით წ ა ვ ი დ ნ ე ნ არშას: ა. ყაზბ., I, 228, 29; ეს კაცი თავის ცოლით დილიდგან საღამომდის მ უ შ ა ო ბ დ ნ ე ნ: ა. ყაზბ., I, 430, 31; იაგომ თავისი ამხანაგებით გ ა დ ა ს წ ყ ვ ი ტ ე ს: ა. ყაზბ., I, 326, 26; გუთნისდედა მეხრეებით სამხარს შ ე ე ქ ც ე ვ ი ა ნ: ს. მგალ., 534, 9; ზაქარია ამხანაგებით სოფლის დუქანთან მ ი ვ ი დ ნ ე ნ: ს. მგალ., 598, 1, მაგრამ ამას შემდგომი გავრცელება არ განუცდიდა<sup>55</sup>, შდრ. ერთს საღამოს ელბერდი თავის ცოლით სამუშაოდან მ ო ვ ი დ ა: ა. ყაზბ., I, 430, 35; სარდიონი თავის ბიჭებით გაბრაზებული დ ა დ ი ო დ ა: ვაჟა, VI, 38, 20...

ასეთი ფორმა მოგვაგონებს რუსულის შედგენილ ქვემდებარეს, როდესაც ეს უკანასკნელი გამოხატულია მთელი შესიტყვებით, მაგ. На солнышке Палкан с Барбосом, лежа, грелись (Крылов); Дед с бабушкой шли (М. Горький)... მაგრამ, ცხადია, რუსული ენის კალკად იგი ვერ მიიჩნევა: მსგავსი ფორმები ძველ ქართულშიც შეინიშნებოდა, თუმცა შემასმენელი მხოლოდობით რიცხვში შეეწყობოდა: იესუ მოწაფითურთ თვისით წარვიდა: C მრ 3, 7; ეჩუნა მას ელია მოსტურთ: C მრ 9, 4...

შემასმენელი, როგორც წესი, მხოლოდობით რიცხვშია და მოქმედებით ბრუნვაში დასმულ პირმიუმართავ დამატებას არ ძალუძს მის რიცხვზე იმოქმედოს: მოვიდა სიძე დიდის მაყრიონით: ილია, I, 366, 34; ქოხში ცხოვრობდა ქვრივი დედაკაცი ათის წლის ვაჟით: აკაკი, IV, 311, 2; განზე იჭდა ნაჯაფარი ბებია გაიანე ხუთი შვილი-შვილით: გ. ლეონ., 35, 3...

<sup>54</sup> ლ. კ ვ ა ჰ ა ძ ე, თანამედროვე ქართული ენის სინტაქსი, გვ: 124.

<sup>55</sup> ა. კ ი ზ ი რ ი ა, მარტივი წინადადების შედგენილობა ძველ ქართულში,

გარდამავალ ზმნა-შემასმენელთან მოქმედებით ბრუნვაში დას-  
მული სახელი თანაობას ქმნის პირდაპირ დამატებასთან: მომეციო  
მე ნათელი და მოუსვენარი დღე თავის ტანჯვითა: ილია, I, 257, 10.

-**ურთ** თანდებულიანი პირმიუმართავი დამატებაც თ ა ნ ა ო -  
ბ ა ს, თ ა ნ მ ყ ო ფ ო ბ ა ს აღნიშნავს. ამ მხრივ უთანდებულო და  
თანდებულიანი დამატებები ერთნაირი მნიშვნელობისანი არიან:  
„მოვიდა სიძე დიდის მაყრიონით“ (ილია, I, 366, 34). იგივეა, რაც  
„მოვიდა სიძე დიდი მაყრიონითურთ“.

-**ურთ** თანდებულიანი პირმიუმართავი „დამატება რამდენად-  
მე მოძველდა. მის ნაცვლად ამჟამად უფრო ხშირად უთანდებულო  
ფორმა იზმარება“<sup>56</sup>. მეორე მხრივ, ამ მნიშვნელობით გავრცელდა  
ვითარებითში დასმული -იან სუფიქსიანი სახელი: „ესტატეც გა-  
მოჩნდა თავის ს ტ უ მ რ ე ბ ი ა ნ ა დ“: ვაჟა, VI, 185, 20 = „ესტა-  
ტეც გამოჩნდა თავის ს ტ უ მ რ ე ბ ი თ უ რ თ“ ან „ესტატეც გა-  
მოჩნდა თავისი ს ტ უ მ რ ე ბ ი თ“. ამან განპირობა -**ურთ** თანდებ-  
ულისანი პირმიუმართავი დამატების გადაშენება, თუმცა შინაშე შე-  
მოგვრჩა იგი: მღვდელი მოვიდა მ რ ე ვ ე ლ ი თ უ რ თ: ვაჟა, V, 82, 24;  
კედელზე ამოყვანილი გახლდათ ერთი პატარა ოთახი მ ო ა ჯ ი რ ი -  
თ უ რ თ: ილია, I, 324, 23; შვილი დ ე დ ი თ უ რ თ ენვევა მამას:  
შ. არაგვ., I, 208, 20; ანკესი ძ უ ი თ უ რ თ ნინიამ გაუპართა შალ-  
ვას: ვაჟა, V, 159, 22...

-**ურთ** თანდებულისანი პირმიუმართავი დამატება შეიძლება გა-  
მოხატავდეს თ ა ნ ა ო ბ ა ს, თ ა ნ მ ყ ო ფ ო ბ ა ს ისეთ ქვემდე-  
ბარესთანაც, რომლის შემასმენელი გარდამავალი ზმნაა: „ლევანმა  
მასთან მყოფ ა მ ხ ა ნ ა გ ე ბ ი თ უ რ თ დაუყოვნებლივ მიაშურა  
აღნიშნულ ადგილას“: ლ. ქიაჩ., II, 67, 15, შდრ. „ლევანმა მასთან  
მყოფ ა მ ხ ა ნ ა გ ე ბ ი ა ნ ა დ დაუყოვნებლივ მიაშურა აღნიშ-  
ნულ ადგილას“; „ლევანმა მასთან მყოფი ა მ ხ ა ნ ა გ ე ბ ი თ  
დაუყოვნებლივ მიაშურა აღნიშნულ ადგილას“.

მეგრულში პირმიუმართავი დამატების გამომხატველი მოქმე-  
დებითი ბრუნვა მხოლოდ ერთი მნიშვნელობით გამოაყენება: აღ-  
ნიშნავს იარაღს ან საშუალებას. თანმყოფობის ან თანაობის მნიშ-  
ვნელობით კი გვაქვს -ამ სუფიქსიანი წარმოქმნილი სახელი ვითა-  
რებით ბრუნვაში ისე, როგორც ქართულში -იან სუფიქსიანი სა-  
ხელის ვითარებითი ბრუნვაა გამოყენებული: ხენწვფემ სქუაქ გა-  
მათხოზგ ც ხ ე ნ ი თ: ხუბ., 96, 5 — ხელმწიფის შვილი გამოეკიდა  
ცხენით; მიდართეს მუნეფიში ს ტ რ უ მ ე ნ ტ ე ფ ი თ საქვარიში  
ოგორუშა: ხუბ., 21, 13 — წავიდნენ თავიანთი ინსტრუმენტებით

<sup>56</sup> ა. შ ა ნ ი ძ ე, ქართული ენის გრამატიკა, II, სინტაქსი, გვ. 43.

საქმის საძებნელად: თი ბოშის ეშულებუ ბაწარიო: ხუბ., 6,10 — ის ბიჭი ამოსულა ბაწარიო: ძღაბიქ ... ქიმილუ ირკოლით წყარი: ხუბ., 8,13 — გოგომ მოიტანა ღოქით წყალი...

ქანურშიც მოქმედებითი ბრუნვით გამოხატულია იარაღი და საშუალება: ათმაჯაფეთე ოტრიკე კოუფან: ქან., I,154,19 — მიმინოებით მწყერს იჭერენ; თომას ხაკარუფან ხამითე: ქან., I,165,22 — თმას ფხეკენ დანით; ხოწი იჯიბენ მორდერა კუკანითე: ქან., II,97,35 — ხორცი იხარშება მოზრდილი ქვაბით: კოჩიქ ლივეითე ოხორჯა დოყვილუ: ქან., I,23,19 — კაცმა რევოლვერით ცოლი მოკლა;

სვანურში მოქმედებითში დასმული პირმიუმართავი დამატება ან უძველესი ფორმით გვხვდება (-ინ ნიშნით), ან ჩვეულებრივ: ნარყვამ ღვაშარინ გვაშია: სვ. პ., 184,8 — ნარყვამი ჭიხეებით სავსეა; ქამეშხან ისგვი ძლუდარე ვოქვრე სამკალინ გოშია: სვ. პ., 22,9 — გარეთ შენი ზლუდეები ოქროს სამკაულით სავსეა...; ფანაგა გვეში ღმპარ ბანბი კარავეშე: სვ. პ., 44,32 — ფარანგა სავსე ყოფილა ბამბის კარვებით; ეშხუ ღანგავეშ ჩუვ ჭიდგარა: სვ. პ., 128,15 — ერთი ცოცხით მოგიკლავს; ღანგავეშ თხვიმი ჩუ ხოხიპა: სვ. პ., 122,20 — ცოცხით თავი გაუპაა;

მოქმედებითის გადმოსაცემად ნათესაობით ბრუნვაში დასმული სახელიც გამოიყენება: მემქალიდს ჭყანიშ ღვთქონფე... ხაღვანა: სვ. პ., 70,20 — მუჟალელს ქონით გათხერილი ... ჰქონია.

ა. შანიძემ ყურადღება მიაქცია ისეთ შემთხვევებს, როცა „უბრალო დამატებად ზმანსთან ზოგჯერ მისივე საწყისი იხპარება მოქმედებითის ფორმით“<sup>57</sup>. კ. წერეთელმა სპეციალურ გამოკვლევაში ასეთი ფორმა შედგენილ შემასმენლად მიიჩნია და აღნიშნა: „პარონომაზია სინტაქსურად სხვა არაფერია, თუ არ შედგენილი შემასმენელი — ერთი ვერბალი ცნების გამომხატველი“<sup>58</sup>.

პარონომაზია გვექონდა ძველ ქართულში და გვაქვს ახალშიც, უპირატესად ცოცხალ მეტყველებაში<sup>59</sup>. კითხვით კარგად ვკითხულობდი: აკაკი, IV,41,19; მორჩენით მორჩა,

<sup>57</sup> ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკა, II, სინტაქსი, გვ. 44.

<sup>58</sup> კ. წერეთელი, პარონომაზია ქართულში: „იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება“, VI, 1954, გვ. 476.

<sup>59</sup> კ. წერეთელი, პარონომაზია ქართულში, გვ. 461—493; ი. იმნაიშვილი, სახელთა ბრუნება და ბრუნვათა ფუნქციები ძველ ქართულში, გვ. 234—244.

მაგრამ ზაფრა დასჩემდა: აკაკი, V,308,12; მიწერთმისწერაკი, მაგრამ შეინანა თავისი საქციელი: დ. კლდ., I,81,20; ასვლით ავალ ხეზე: აკაკი, V,98,17; შდრ. მეგრული: ლურათირ კოჩი ლურუ: ხუბ. 29,3 — სიკვდილით ყველა კაცი კვდება; შუმათ ბრელი შუ მეღვინე — დაღევით ბევრი დალია მღვინემ; რკიათ ბრელი რკიუ ოსურქ — კივილით ბევრი იკივლა ქალმა...

ცალკე გამოიყოფა ისეთი შემთხვევები, როდესაც მოსალოდნელი -გან თანდებულებიანი ნათესაობითის მნიშვნელობით გვაქვს -გან ან -დამ თანდებულებიანი მოქმედებითი. მართალია, ასეთი ფორმები გავრცელებული არ არის, მაგრამ არც ისე იშვიათია. დახიშნულებით ამ სახის დამატება უახლოვდება ადგილის გარემოებას. ასეთებია: ქანთარია დან სიმინდი ვიყიდე: პ. ჩხაკვ., 303,28; დაფქული თუ მიგაკლდეს, ნესტორადან ჩეისესხეთ: პ. ჩხაკვ., 34,9, ის ღვიძლი შვილებიდან არ არჩევდა გერს: რ. გვეტ., 332,31; მოუვიდათ იაშვილიდან ცხენები: აკაკი, IV,416,26; საკმლიდგან კეთდებოდა აქლემის სხეულში ქონი: ი. გოგებ., VI,357,13; მამაჩემს პირველი ცოლი დამ მარტო მე დავრჩი: ილია, I,269,30...

ზანურში შესატყვისად პირმიუმართავი დამატება დაშორებითი ბრუნვითაა გადმოცემული<sup>60</sup>. შდრ.: მეგრული: თქვან დე ველუდა დახმარებას: ხუბ., 74,14 — თქვენგან ველოდე დახმარებას: ათე სუმი ჭიმაღეფი შე ყირი ჭგირი რენ: ხუბ., 159,12 — ამ სამ ძმათაგან ორი კარგია; სიღო მაღი და შე ჭიმაღეფი ვორეთ: ხუბ., 99,29 — შენ და მე დედით (დედიდან) ძმები ვართ; ქკვეარი შე ხვად პატიება: მას., 53,27 — ჭკვიანისაგან ეკუთვნის (ხვდება) პატიება...

ქანური: ლაზეფე შენ არ კოჩი ტერენ: ხოფ., 34,28 — ლაზთაგან ერთი კაცი ყოფილა; ნანა-ბაბა შენ ფეთიმი ბორტი: ჭან., II,25,2 — დედ-მამით („დედ-მამიდან“) ობოლი ვიყავი...

სპეციალურ ლიტერატურაში მითითებულია, რომ ზოგი ზედსართავი სახელიც შეიწყობს ნათესაობითში ან მოქმედებითში დასმულ სახელს, რომელიც წინადადებაში პირმიუმართავი დამატებაა. ასეთებია: ღირსი (ქების ღირსი...), მსგავსი, სავსე (ღვინით სავსე, თევზით სავსე...), მართალი (გულით

<sup>60</sup> ა. ლომთაძე, დაშორებითი ბრუნვის შესახებ მეგრულში: „მაცნე“, ენისა და ლიტერატურის სერია, № 4, 1973, გვ. 122.

მართალი...), კ მ ა ყ ო ფ ი ლ ი (პ ა ს უ ხ ი თ კ მ ა ყ ო ფ ი ლ ი // პ ა ს უ ხ ი ს კ მ ა ყ ო ფ ი ლ ი...) <sup>61</sup>. ეს ზედსართავი სახელები ზმნური წარმოშობისაა: ქალის მამამ ყ უ რ ა დ ლ ე ბ ი ს ლირსი გამხალა: გ. შატბ., II, 314, 26; ჯაყო შენი შ ი შ ი ს ლირსი ო რ არის?: მ. ჯავახ., II, 361, 31...; ღორის ჯ ა გ რ ი ს მსგავსი თმა კისრამდის ეყარა: გ. წერ., I, 79, 19; ამ თაიგულს მ ს ხ ლ ი ს მსგავსი ნეკის ოღენა მარგალიტი დასცქეროდა: მ. ჯავახ., II, 405, 21...

ერთ გლესს თ ე ვ ზ ი თ სავსე მარხილი მოჰქონდა: ი. გოგებ., V, 207, 20; მერიქიფეებს ეჭირათ ხელში ღ ვ ი ნ ი თ სავსე დოქები: აკაკი, IV, 19, 19; ხანდაველმა ამხანაგებს ს ი ყ ვ ა რ უ ლ ი თ ალ-სავსე თვალებით გადახედა: პ. ჩხიკვ., 81, 28...

მეგრულში ეფშა (=სავსე) ზედსართავ სახელთან თანაბრად გამოიყენება ნათესაობითსა და მოქმედებით ბრუნვებში დასძული დამატება (წ ყ ა რ ი შ ეფშა // წ ყ ა რ ი თ ეფშა).

მაგ.:

ნ ა თ ე ს ა ო ბ ი თ ი

ოსურცგ ხუცგ ფოხალი წ ყ ა რ ი შ ეფშა ქიკლადგგ: ყიფშ., 84, 24 — ქალს მხარზე კოკა წყლით სავსე (//წყლის სავსე) უღდას: ქოცოფე ართი დალიერი კოჩი, ნამუსით ნოღვე სუმა ს ა კ ი შ ეფშა ფარა: ყიფშ., 7, 8 — ყოფილა ერთი შეძლებული კაცი, რომელსაც ჰქონია სამი ტომრის სავსე ფული; მარანს დიდი-დიდი ლაგვანეფი რღვ ღ ვ ი ნ ი შ ეფშა: ყიფშ., 20, 77 — მარანში დიდ-დიდი ქვევრები იყო ღვინით სავსე (//ღვინის სავსე), შდრ. ღ ვ ი ნ ი შ შუმილ კოლონასგ თოლფე ურიეინუაფუ: მას., 99, 27 — ღვინით დამთვრალ (//ღვინის დამთვრალ) კოლოს თვალები დაუბრიალებია.

ნათესაობითი ჩანს ჭ ა ნ უ რ ი „თ ო ფ უ ი ო ფ შ ა“: „თ ო ფ უ ი ო ფ შ ა ენ“ (ხოფ. 2, 64) — თათლით სავსე არის (//თათლის სავსე არის).

მ ო ქ მ ე ღ ე ბ ი თ ი

ძღაბიქ ... ქაძირუ დიდი ბოჰკა ღ ვ ი ნ ი თ ეფშა: ხუბ., 4, 11 — გოგომ აჩვენა დიდი კასრი, ღვინით სავსე; დიაკონქ ... მუში ოხჩირეს თ ხ ო ლ ო თ ეფშა გუდა ქიგილაღუ: ყიფშ., 9, 3 — დიაკონმა მის საწოლზე თხლეთი სავსე ტიკი დადო...

<sup>61</sup> Grammatik zur altgeorgischen Bibelübersetzung mit Textproben und Wörterverzeichnis von Franz Zorell, Roma, 1930, გვ. 99; ა. შ ა ნ ი ძ ე, ქართული ენის სტრუქტურისა და ისტორიის საკითხეუი, I, თბ., 1957, გვ. 276; ა. შ ა ნ ი ძ ე, ქართული ენის გრამატიკა, II, სინტაქსი, გვ. 45.

ქართველურ ენებში ნათესაობითისა და მოქმედებითის ფუნქციური სიანლოვე ასახულია ბრუნვის ნიშანთა შედგენილობაშიც: ნათესაობითი ბრუნვის ნიშანი შედგენილობით ახლოს დგას მოქმედებითთან (აგრეთვე მიცემითან): საერთოა მათ შორის ი (ის, ით)<sup>62</sup>.

სპეციალურ ლიტერატურაში აღნიშნულია ისიც, რომ ქართველურ ენებში ის//ი აფიქსებში ს//შ იგივეა, რაც ახასიათებს მიცემით ბრუნვას, ხოლო ი გამოხატავს კუთვნილებას. ეგვე ი გვაქვს მოქმედებითი ბრუნვის ნიშნის შემადგენლობაშიც<sup>63</sup>.

როგორც ვხედავთ, ქართველურ ენებში პირმიუმართავი დამატებები ერთნაირად გადმოიცემა. მაგრამ ეს ენები განსხვავებასაც ამჟღავნებენ:

ქ ა რ თ უ ლ შ ი პირმიუმართავი დამატების ბრუნვებია უთანდებულო და თანდებულიანი მიცემითი, ვითარებითი, ნათესაობითი და მოქმედებითი.

ს ვ ა ნ უ რ შ ი ც ეგვე ბრუნვებია გამოყენებული, ოღონდ განსხვავებაა თანდებულების დართვის მიხედვით: პირმიუმართავი დამატება გადმოიცემა უთანდებულო და თანდებულიანი მიცემითი და ნათესაობითით და უთანდებულო მოქმედებითი და ვითარებითით.

ზ ა ნ უ რ შ ი პირმიუმართავ დამატებათა ბრუნვებია უთანდებულო მიცემითი, მოქმედებითი, მიმართულებითი და უთანდებულო და თანდებულიანი ნათესაობითი და დაშორებითი. მეგრულისათვის აგრეთვე გამოყენებულია დანიშნულებითი და გარდაქცევითი (ვითარებითი) ბრუნვები.

#### § 45. დამატება ზედსართავ სახელებთან და ზმნისართებთან.

1. პირმიუმართავი დამატება ზედსართავის ფორმებთან. აღნიშნულია, რომ იშვიათად დამატება შეიძლება გექონდეს ზედსართავ სახელებთანაც და ზმნისართებთანაც<sup>64</sup>. ასეთი დამატება ჩვეულებრივ -ზე თანდებულიანია: კაჭკაქმა ... დაინახა კიდევაც სხვა კლდეებზე დიდი კლდე: ვაჟა, VI, 35, 18;

<sup>62</sup> ვ. თოფურიძე, ბრუნვის სისტემისათვის სვანურში სხვა ქართველურ ენათა ბრუნვებთან შედარებით, -ის, -ით აფიქსების ორშემადგენლობა განხილული ჰქონდა ნ. მარსაც „ძველი ქართული სალიტერატურო ენის გრამატიკაში“ (გვ. 21). მაგრამ სხვა გაგებით.

<sup>63</sup> გ. როგავა, კუთვნილებითი აფიქსი ი ქართველურ ენათა ზმნისა და სახელის მორფოლოგიურ კატეგორიებში (ქუევისა და ბრუნვებში): საქართველოს სსრ მეცნ. აკადემიის მოამბე, ტ. III, № 5, 1942, გვ. 498—499.

<sup>64</sup> ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკა, II, სინტაქსი, გვ. 32.

ქართველი კაცის ყველაზე დიდი სიმდიდრე სალამიანო: გ. ლეონ., 83,15; ფეფელოზე ლამაზი გოგო ანლ.ო-მასლო არ მოიძებნება: მ. ჯავახ., I,362,20...

-ზე თანდებულნი მიცემითის მნიშვნელობითაა -გან თანდებულნი ნათესაობითი ასეთ შემთხვევაში: „ერთი დიდი ძღარბი. მართლორისაგან უფრო დიდი, შემოვიდა“: სულხან-საბ, ორბელიანი, I,103,14.

ზოგი ზედსართავი სახელი თავისებურია: მართალი, სავსე, დამატებას მოქმედებითში შეიწყობს, ღირსი — ნათესაობითში, კმაყოფილი — ნათესაობითშიც და მოქმედებითშიც<sup>65</sup>.

ზედსართავთან დაკავშირებული პირმიუმართავი დამატება ზანურში გადმოიცემა დაშორებითი ბრუნვით, მაგალითად:

მეგრული: ქართის ჯაშე მალალი ყუდე ბრელი რე -- თბილისში ხეზე მალალი სახლი ბევრია.

კანური: მთელი შენ დიდი ენ ეა: ხოფ., 114,27 -- ყველაზე დიდი არის ის; მასკანდენ კაი ნოსი მიღუნ: ხოფ., 78,24 — მე შენზე კარგი ჰქუა მაქვს.

შედარებით ხშირად გვხვდება პირმიუმართავი დამატება უფროობითი ხარისხის ფორმებთან, რასაც თავისი საფუძველი აქვს.

უფროობითი ხარისხის უპრეფიქსისა და ზმნის სასხვისო ქცევის უნიშნის ერთნაირი წარმომავლობის მიგნებამ და ხ//მ პრეფიქსების იდენტურობამ მიცემით დამატებიან ზმნებსა და უფროობითი ხარისხის ფორმებთან ნათელი გახადა ზმნისა და ზედსართავი სახელის ისტორიული სიანლოვე<sup>66</sup>.

<sup>65</sup> ა. შ ა ნ ი ძ ე, ქართულა ენის გრამატიკა, II, სინტაქსი, გვ. 45.

<sup>66</sup> ამის შესახებ დაწერილებით იხ.: Н. М а р р. Грамматика чанского (лазского) языка с хрестоматиею и словарем, СПб., 1910, с. 17; И. К и п ш и д з е, Грамматика мингерельского (шверского) языка с хрестоматиею и словарем, СПб., 1914, с. 033; არნ. ჩ ი ქ ბ ა ვ ა, ხანშეტი და ჰაგშეტი ტექსტების აღმოჩენისათვის: უტრნ. „ჩენი მეცნიერება“, 1925, № 3—4, გვ. 68—69; ა. შ ა ნ ი ძ ე, პირის ნიშანი ბრუნვიან სიტყვასთან ქართველურ ენებში: ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, I, 1936, გვ. 333—340; К. Д о и д у а, К ге. неису формы сравнительно-превосходной степени в картвельских языках, ჩჩეული შრომები, I, თბ., 1967, გვ. 222—234; ი. ი მ ნ ა ი შ ვ ი ლ ი, სახელთა ბრუნება და ბრუნვითა ფუნქციები ძველ ქართულში, გვ. 441—457 და 716—717; თ. ზ უ რ ა ბ ი შ ვ ი ლ ი, ხარისხი ქართველურ ენებში: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, ტ. 67, 1957, გვ. 129—164; გ. რ ო გ ა ვ ა, ზედსართავის თანაბრობითი ხარისხის გაქვეყნული ფორმები ქართულში: „იბერიული-კავკასიური ენათმეცნიერება“, ტ. IX—X. 1953, გვ. 99—110; გ. მ ა ჯ ა ვ ა რ ი ა ნ ი, შედარებითი ხარისხის ფორმათა გენეზისისათვის ქართველურ ენებში: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, ტ. 71, 1958, 119—131; ქ. ძ ო წ ე ნ ი ძ ე, ზემოიპერული კილოკავი, თბ., 1973, გვ. 104, 124, 152 და სხვა.

სარწმუნოა მოსაზრება, რომ სასხვისო ქცევის უ და უფრო-ობითი ხარისხის „უ ერთისა და იმავე ხასიათისა და წარმოშობისაა“... „ამ უ'ს წინ მიუძღოდა § (ან ხ), რომელიც მესამე პირის ნიშანი იყო ზმნაშიც და სახელშიც“<sup>67</sup>.

უფროობითი ხარისხისათვის ძირითადი ნიშანია ე სუფიქსი, რომელიც შემდეგ გართულებულია ნათესაობითის -ის ბოლოსართით<sup>68</sup>.

დამატება, რომელიც შესადარებელ სახელადაა გამოყენებული უფროობითი ხარისხის ფორმებთან, შეიძლება იყოს მიცემით ან ნათესაობით ბრუნვაში<sup>69</sup>.

სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ პირველადია მიცემითის ფორმა უფროობით ხარისხთან დამატების აღსანიშნავად, რასაც ცხადყოფს მისი წარმომავლობა და გენეტური კავშირი ზმნასთან, რომელიც სათანადო დამატებას მიცემით ბრუნვაში შეიწყობს, ხოლო მეორეულია ნათესაობითი. მიცემითის შენაცვლება ნათესაობითით სხვა შემთხვევაშიც იცის ძველმა ქართულმა<sup>70</sup>, შდრ. „უმჯობეს არს კაცი საცხოვარსა?“. D მ 12,12 და „უმჯობეს არს კაცი ცხოვარისა?“. C და ა. შ. პარალელურად გვხვდება ნანათესაობითთარი მიცემითიც: ხოლო ერთი იგი მოწაფე წინა რბიოდა ხუადრეს პეტრესსა: ხანმ. ი 20,4, შდრ. DE: ხოლო ერთი იგი მოწაფე წინა რბიოდა უადრეს პეტრესა.

<sup>67</sup> ა. შ ა ნ ი ძ ე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, I, გვ. 143; მოსივე, პირის ნიშანი ბრუნვიან სიტყვასთან, გვ. 338.

<sup>68</sup> არნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, ხანმეტი და ჰემეტი ტექსტებას აღმოჩენისათვის, გვ. 68; ა. შ ა ნ ი ძ ე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, გვ. 143—144; კ. დ ო ნ დ უ ა, К генезису формы сравнительно-превосходной степени в картвельских языках, с. 228; ი. ი მ ნ ა ი შ ვ ი ლ ი, სახელთა ბრუნება და ბრუნვათა ფუნქციები ძველ ქართულში, გვ. 442—443; გ. რ ო გ ა ვ ა, ზედსართავის თანაბრობითი ხარისხის გაქვევებული ფორმები ქართულში, გვ. 103; თ. ზ უ რ ა ბ ი შ ვ ი ლ ი, ხარისხი ქართველურ ენებში, გვ. 140—141; გ. მ ა კ ა ვ ა რ ი ა ნ ი, შედარებითი ხარისხის ფორმათა გენეზისისათვის ქართველურ ენებში, გვ. 121 და სხვა.

<sup>69</sup> ი. ი მ ნ ა ი შ ვ ი ლ ი, სახელთა ბრუნება და ბრუნვათა ფუნქციები ძველ ქართულში, გვ. 716 — 717; თ. ზ უ რ ა ბ ი შ ვ ი ლ ი, ხარისხი ქართველურ ენებში, გვ. 154—156; გ. მ ა კ ა ვ ა რ ი ა ნ ი, შედარებითი ხარისხის ფორმათა გენეზისისათვის ქართველურ ენებში, გვ. 128 და სხვა.

<sup>70</sup> დაწვრილებით: ი. ი მ ნ ა ი შ ვ ი ლ ი, სახელთა ბრუნება და ბრუნვათა ფუნქციები ძველ ქართულში, გვ. 445—449; 716—717; თ. ზ უ რ ა ბ ი შ ვ ი ლ ი, ხარისხი ქართველურ ენებში, გვ. 153—161; ა. კ ი ზ ი რ ი ა, მარტივი წინადადების შედგენილობა ძველ ქართულში, გვ. 212—215; დ. მ ე ლ ი ქ ი შ ვ ი ლ ი, იბანე პეტრიწის ფილოსოფიურ შრომათა ენა და სტილი, თბ., 1975, გვ. 39.



ახალ ქართულში უფროობითი ხარისხის ფორმებთან დამატება ჩვეულებრივ შეიძლება იყოს -ზე თანდებულის მიცემით ან იშვიათად ნათესაობითშიც, მაგრამ ეს უკანასკნელი „დღეს უკვე მოძველებულია: ენის უტყბესი“<sup>71</sup>.

მაგალითები:

ა) დამატება გადმოცემულია -ზე თანდებულის მიცემით: ვეფხვემა იოთამს თ მ ა ზ ე უმრავლესი ნადირი მოაკვლევინა: ვაჟა, VI, 256, 4; ყ ვ ე ლ ა ზ ე უძვირფასესი განძი სხვა დარჩა ოთარანთ: ქვრივს: ილია, I, 429, 17; დგას უჯარმის წინა ციხე რკინის კ ლ დ ე - ზ ე უმტკიცესი: გ. ლეონ., 453, 28; ხელის ყუმბარა ... ზ ა რ ბ ა - ზ ა ნ ზ ე უარესი გამოდგა: მ. ჯავახ., IV, 427, 35... შდრ. ვინ მყავს თქვენს მეტი, თ ქ ვ ე ნ ს უკეთესი, თქვენი ფასი: ნ. დუმბ., 105, 39; ააცის თვალით მას უკეთესი ყმა კაცი არ ინახებოდა: თეიმ., II, თხზ., 192, 3-

ბ) იშვიათად გვხვდება შორის თანდებულის მიცემით: ბედისწერას ჰგავდა ჩ ა დ რ ო ს ა ნ თ ა შ ო რ ო ს უნატიფესი: კ. გამს., VII, 40, 5; წვრილად მოუყვა დ ი ა ც თ ა შ ო რ ო ს უტურფესი: დედოფალი თავისი ბნელბედობის ამბავს: „ოდისეა“, 370, 15...

გ) დამატება გადმოცემულია ნათესაობით ბრუნვაში დასმული სახელით: დ ე დ ო ფ ლ ო ს ულამაზესი ... არა იქმნება რაო: ი. გოგებ., V, 269, 6, შეიძლებოდა დაენახა (თვალს), როგორ თრთოდა... ე თ ე რ ო ს უმსუბუქესი ქსოვილი: ს. კლდ. ნოველ., 193, 11, შდრ. ატმოსფერო ე თ ე რ ზ ე უმსუბუქესი ხდება: კ. გამს., I, 620, 8...

ნათესაობითში დასმული დამატება პოსტპოზიციურიც შეიძლება იყოს: „მზეთუნახავი ზედ იჯდა, უთეთრესი თ ო ვ ლ ო ს ა“: კ. გამს., II, 132, 7; შენ ჩემს გონებაში ხარ უმაღლესი ყოვლისა პ ა - ტ ო ს ნ ე ბ ო ს ა: გ. ერისთ., 200, 38...

ნათესაობითში დასმული სახელი შეიძლება -გან თანდებულის იც იყოს. ასეთი ფორმები შენიშნულია საერო მწერლობის ძეგლთა ენასა<sup>72</sup> და ცოცხალ მეტყველებაში: ერთი ტევრი გამოჩნდა ისეთი, რომ ზ დ ვ ო ს ა გ ა ნ უდიდე იყო: რუსუდ., 171, 24; ქ ა - რ ო ს ა გ ა ნ უმაღლე ვიარე: იქვე, 241, 26; მოუყოცნა მელნის მსგავსი თვალები და ლ ა ლ ო ს ა გ ა ნ უელვარესი ლაწკები: იქვე. 395, 36, შდრ. იმ უმფროსი ძმის საქმე ბ რ ა ვ ლ ო ს გ ა ნ უბრავლესი გაამბრავლა: ქ. ძოწენიძე, ზემოიმიერული კილოკავი, 353, 29...

უფროობითი ხარისხის ფორმასთან შესადარებელი სახელის (პირმიუმართავი დამატების) შეწყობის შესახებ ცნობები ადრინდელ გრამატიკებშიც გვხვდება<sup>73</sup>.

<sup>71</sup> ა. შ ა ნ ი ძ ე, ქართული ენის გრამატიკა, II, სინტაქსი, გვ. 32.

<sup>72</sup> თ. ზ უ რ ა ბ ი შ ვ ი ლ ი, ხარისხი ქართველურ ენებში, გვ. 158.

<sup>73</sup> იქვე, გვ. 154.

ანტონის სიტყვით, ასეთი დამატება შეიძლება იყოს ნათესაობით ბრუნვაში უთანდებულოდ და თანდებულოდ (უთეთრესი მარგარიტისა, უმჭკვრალესი იასპისაგან), მიცემითსა (უწმიდესი მათ შორის) და მოქმედებითში (უწმიდესი გუამითა...)⁷⁴.

სოლ. დოდაშვილს აღნიშნული აქვს, რომ უფროობითი ხარისხის ფორმა დამატებად ნათესაობითს მოითხოვს: „სახელნი ზედშესრულნი შეთანასწორებითისა და აღმატებითისა ხარისხისანი ითხოვენ ბრუნვასა ნათესაობითსა, მაგალ., კაცობრივსა ცხოვრებასა შინა არა რაიმე არს უძვირფასესი სიმრთელია“...⁷⁵

სილ. ხუნდაძის აზრით, უნდა ვიხმაროთ „წმინდა შედარებით ხარისხს შემდეგ ნათესაობითი ბრუნვა (მზის უბრწყინვალესი, მთის უმაღლესი...); თანდებული -ზე ამ შემთხვევაში მხოლოდ ნაცვალსახელებში იხმარება: ჩემზე (შენზე, თქვენზე, მათზე) უკეთესი; მხოლოდობით რიცხვში კი ჩვენებით ნაცვალსახელებში ნათესაობითი ბრუნვა იხმარება: იმის (ამის, მაგის) უკეთესი“⁷⁶.

სპეციალურ ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ ზანურში ისტორიულად უფროობითი და თანაბრობითი ხარისხების მაწარმოებელია -ა, ქართულ -ე'ს კანონზომიერი შესატყვისი: დიდი — უ-დიდ-ე-ს [←უ-დიდ-შს←უ-დიდ-ე-ის] — უ-დიდ-ა-ში; დიდი — მა-დიდ-ა; შხუ (მსხვილი) — მა-შხე-ა⁷⁷.

თანამედროვე ჰანურში (ლაზურში) ხარისხის მორფოლოგიური წარმოება თითქმის გადაშენებულია: შეცვლილია აღწერითი წარმოებით⁷⁸.

მეგრულში უფროობითი ხარისხის ფორმები ნაკლებად იხმარება, შედარებით მკვიდრია თანაბრობითი ხარისხის ფორმები⁷⁹. შესადარებელი სახელი, იგივე უბრალო დამატება, ხარისხის ფორმებთან მეგრულში ნათესაობით ბრუნვაშია⁸⁰: ვ ა რ დ ი შ უ ჯ გ უ შ ი

⁷⁴ ქართული ლრამმაცია, შედგენილი ანტონ I-ის მიერ, თ., 1885, გვ. 249.

⁷⁵ ს. დოდაშვილი, თხზულებანი, თბ., 1961, გვ. 141.

⁷⁶ სილ. ხუნდაძე, ქართული მართლწერისა და სწორების ძირითადი საფუძვლები, ქუთაისი, 1927, გვ. 63.

⁷⁷ გ. როგავა, ზედსართავის თანაბრობითი ხარისხის გაქვევებული ფორმები ქართულში, გვ. 102.

⁷⁸ შდრ. Н. М а р р , Грамматика чанского (лазского) языка с хрест. и сл., с. 17—18.

⁷⁹ დაწვრილებით: И. К и п ш и д з е, Грамматика мингрельского языка, с. 033—034.

⁸⁰ თ. ზურაბიშვილი, ხარისხი ქართველურ ენებში, გვ. 159; გ. როგავა, ზედსართავის თანაბრობითი ხარისხის გაქვევებული ფორმები ქართულში, გვ. 107.

სი რეჟი: მას., 40,1 — ვარდზე (=ვარდის) უკეთესი შენ ხარ; მუს ძირუნს კოჩიშ თოლი ენე ფიში უჯგუშის: ხუბ., 2,34 — რას ნახავს კაცის თვალი ამათზე უკეთესს...

როდესაც პირმიუმართავ დამატებად (შესადარებელ სახელად) პირის ნაცვალსახელებია, ასეთი სახელი დაისმის და შორებით ბრუნვაშიც: შდრ. ჩქიმდე // ჩქინდე უჯგუში, სქანდე; / თქვანდე ულამაზაში, თიშე უმოსი, შდრ. თიშ უმოსი (=მაზე დიდი), ან გამოყენებულია შესაფერისი კუთვნილებითი ნაცვალსახელის ფუძე: ჩქიმი ჯიმაღეფი ჩქიმდე უმოსი ძალიერ რდეს: ყიფშ., 22,15 — ჩემი ძმები ჩემზე უფრო ძლიერები იყვნენ; სქანდე ულამაზაში ბაღანა ბრელი რე — შენზე ულამაზესი ბავშვი ბევრია; თიშე უჯგუში კოჩქ ქომორთუ — მასზე უკეთესი კაცი მოვიდა, შდრ. თიშ უჯგუში კოჩქ ქომორთუ.

დაშორებით ბრუნვაში შეიძლება შეგვხვდეს საზოგადო არსებითი სახელებიც:

მუჰამბიქ იეჟ მუმაშე მეტი უჯგუში დო უმოსი გავლენილქ: ხუბ., 26,28 — მუჰამბი შეიქნა მამაზე უფრო მეტი და უფრო გავლენიანი.

სვანურში როგორც ეს აღნიშნული აქვს ნ. აბესაძეს, „ვითარებით ბრუნვაში დასმული უბრალო დამატება ქართული -ზე თანდებულნიანი ფორმების შესატყვისად იხმარება: ქვეყანაჲი ეჯაზრდ ზოჩა დნსა ლგმარდ — „ქვეყანაზე მათზე („მათად“) უკეთესი არავინ ყოფილა“ (124,15)<sup>81</sup>. მკვლევარი მართებულად ასკვნის, რომ „ეს გარემოება საინტერესოა მიცემით-ვითარებითის ურთიერთობის თვალსაზრისით. ივარაუდება, რომ ძველი ქართულის ხ-უ-დიდ-შს-ი ტიპის ფორმებს თავდაპირველად უთანდებულო მიცემითი ახლდათ, რომელსაც სავსებით კანონზომიერად ენაცვლება უთანდებულო ვითარებითი“<sup>82</sup>.

თანაბრობითი ხარისხის ფორმით ერთი საგანი სიდიდის ან სხვა ნიშნის მიხედვით შედარებულია მეორესთან ისე. რომ შესადარებელი საგნის სახელი, იგივე პირმიუმართავი დამატება, ნათესაობით ბრუნვაშია: დაჩხირპის ეკოჯანუდგ გვალაში მაშხვა კოჩი: ყიფშ., 21,23 — ცეცხლისპირას იწვა მთის სიმსხო კაცი: მუდგარენი ქომოჩქ ... კვარიაშ დუდიშ მაშხვა: ხუბ., 27,32 —

<sup>81</sup> ნ. აბესაძე, ბრუნვათა სინტაქსური ფუნქციები სვანურში ქართულთან მიმართებით; გვ. 9; აგრეთვე: კ. დონდუა, აღილეური ტიპის მოთხრობითი ბრუნვა სვანურში: „იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება“, I, 1964, გვ. 186.

<sup>82</sup> იქვე.

რალაც მოჩანს ყვავის თავის სიმსხო; მის გოკონია თუმანიან ოქროშ მათართა ქვირილი ტყები თუმანიშა: ხუბ., 118,30 — ვის გინდა თუმანიან ოქროს სიფართის დაქრილი ტყავი თუმნადო...

აქაც პირის ნაცვალსახელი იყენებს კუთვნილებითის ფუძეს: ვარა მუქუ დოგაბადე, ძღაბი სქანი მასქვამა? მას., 40,14 — ანდა ღამ დაგბადა, ქალო, შენი სილამაზის?

ქანურში თანაბრობითი ხარისხის ნიმუშია პიჯი-მაპეჯანა: ოთხო კითიში მაპეჯანა ფიცარიში იქიფან: ჭან., I,148,23 — ოთხი თითის სისქე ფიცრისას აკეთებენ<sup>83</sup>.

სვანურში უფროობით ხარისხთან დაკავშირებული პირმიუ-მართავი დამატება ვითარებით ბრუნვაში დაისმის: „ჰყებჰრ ეჩეი მგუმი ჩუ ხარ, ერე წირდ ხოშა სვ. პრ., 55,3 — ყბები ისე გასიებული აქვს, რომ უროზე უდიდესი; ზემუჰ კიმკად ხო-შულელ ლოქლი: ლაშხ., 14,15 — ცოტა ჰინკაზე უდიდესიაო; ბა-ზიშდ ხოჩა მად მაჰენა: სვ. პ., 154,47 — ამაღამისაზე უკეთესი არ მომსწრია...<sup>84</sup>

2. პირმიუ მართავი დამატება გარემოებასთან. ზედსართავი სახელის ფორმებიდან ვიღებთ ვითარების ზმნისართებს. ასეთ ზმნისართებს და მათ მსგავსად ზოგ სხვა ზმნისართს, რომლებიც წინადადებაში გარემოებებია, შესწევთ უნარი პირმიუ-მართავი დამატების შეწყობისა. ქართულში დამატება აქაც ზე-თანდებულისა: მაგდანა სხვებზე მეტად დაფაცურდა: მ. ჯავახ., IV,302,32; დამიჯერეთ, ნოდარ, მაგ ხალს შენზე უკეთ ვიცნობ-მეთქი: მ. ჯავახ., II,201,15; რომ შეიძლებოდეს შენზე აღრე მე ვიზამდი მაგ საქმეს: ნ. დუმბ., 627,9 და ა. შ.

ზანურში აქაც დაშორებითი ბრუნვა გამოიყენება: შხვაშე უმოსო ნიკოს ოშქურულუ ჯოლორიშა — სხვაზე უფრო ნიკოს ეში-ნოდა ძაღლის; სქანდეე ჯგირო ხაჩქუნს ცვანას სქანი მაცალე — შენზე კარგად თოხნის ყანას შენი ამხანაგი...; ჰკონი ... ჰუბრი-შენკაი ნუხონდუნ: ჭან., II,4,14 — მუხა წაბლზე უფრო კარგად ძღებს...

სავსებით ანალოგიური მდგომარეობაა უფროობითი ხარისხის ფორმებიდან წარმოქმნილ ზმნისართებთანაც: ჩვეულებრივ უფრო-ობითი ხარისხის ფორმებთან დამატებად გვაქვს მიცემითში დასმუ-

<sup>83</sup> არნ. ჩიქთბავა, სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართველურ ენებში, თბ., 1942, გვ. 192; გ. როგავა, ზედსართავის თანაბრობითი ხარისხის გაქვავებული ფორმები ქართულში, გვ. 99; ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, გვ. 141.

<sup>84</sup> თ. ზურაბიშვილი, ხარისხი ქართველურ ენებში, გვ. 160.

ლი -ზე თანდებულობანი სახელი, ან უთანდებულო ნათესაობითი. ამავებ ბრუნვებში შეეწყობა დამატება გარემოებად ქცეულ უფრო-ობითი ხარისხის ფორმებსაც. მელამ ... ლ ა ნ დ ი ს უსწრაფესად გადასწრო თავის გვარტომებს: კ. გამს., V, 64, 5, შდრ. მელამ... ლ ა ნ დ ზ ე უსწრაფესად გადასწრო თავის გვარტომებს.

არზაყან რამდენიმე ბუჩქს გადაეელო მწევრის უსწრაფესად: კ. გამს., I, 165, 10 შდრ. ... გადაეელო მწევრზე უსწრაფესად.

მეგრულში შესადარებლად გამოყენებულია დაშორებით ბრუნვაში დასმული სახელი: კოჩიშე უჯგუშო მირულე ჟოლორი — კაცზე უკეთესად (//კაცის უკეთესად) მირბის ძალი.

## 2. განსაზღვრება

§ 46. განსაზღვრების რაობა და სახეები. განსაზღვრება წინადადების მეორეხარისხოვანი წევრია. იგი შეიძლება ახლდეს ქვემდებარეს, დამატებას, სახელით გამოხატულ გარემოებას ან რთული შემასმენლის სახელად ნაწილს — თანასაერთს, რომელთაც უკავშირდება შეთანხმებით, მართვით ან მართვა-შეთანხმებით.

ტერმინი განსაზღვრება დამკვიდრებულია ლათინური definitio-ს მიხედვით.

ჩვენში სხვადასხვა დროს განსაზღვრების აღსანიშნავად უხმარიათ განმათკსებელი (ანტონ პირველი, გაიოზ რექტორი, სოლ. დოდაშვილი...)<sup>85</sup>, განმარტება (არ. ქუთათელაძე, მ. ჯანაშვილი...), განმმარტველი სიტყვა (თ. ჟორდანიას, დ. კარიჭაშვილი...), განმარტებითი სიტყვა (ა. ბენაშვილი...), განსაზღვრება. (სილ. ხუნდაძე, ა. გორგაძე, ი. ნიკოლაიშვილი, ა. შანიძე...) და ა. შ.

განსაზღვრება დამოკიდებული წევრია წინადადებაში. იგი ექვემდებარება საზღვრულს და გადმოსცემს მის რაიმე ნიშანს ან თვისებას.

განსაზღვრება ორგვარია: ატრიბუტული და სუბსტანტიური. პირველი უკავშირდება საზღვრულს ბრუნვაში

<sup>85</sup> განმათკსებელი პირველ რიგში გამოყენებულია ნათესაობით ბრუნვაში დასმული განსაზღვრების აღსანიშნავად. ლიტერატურის მიმოხილვა მოცემულია ც. კალაძის სპეციალურ გამოკვლევაში. ც. კალაძე, განსაზღვრება ქართულში: ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, II, თბ., 1961, გვ. 73—121.

შეთანხმებით, მეორე — მართვითა და მართვა-შეთანხმებით. იმართვის მაშინ, როცა დგას საზღვრულის წინ; მართულ-შეთანხმებულა, როცა მოსდევს საზღვრულს.

### ატრიბუტული განსაზღვრება

§ 47. ატრიბუტული განსაზღვრების ფორმები. ატრიბუტულ განსაზღვრებად გვაქვს ზედსართავი სახელი ან მასთან მნიშვნელობით გათანაბრებული მიმღეობა, რიცხვითი სახელი, ნაცვალსახელი და ზოგი არსებითი სახელი (მასდართურთ)<sup>86</sup>. ყველა მათგანი ბრუნვაში შეთანხმებულია საზღვრულთან, რომელიც ყოველთვის გამოხატულია არსებითი სახელით ან მასთან გათანაბრებული სიტყვით. სხვა მეტყველების ნაწილი საზღვრულად გამოყენებისას არსებითი სახელის მნიშვნელობითაა. მაგალითად, ფ ი ც რ უ ლ ი, მ წ ვ ა ნ ე ზედსართავი სახელებია: ფ ი ც რ უ ლ ი სახლი, მ წ ვ ა ნ ე ბალახი, მაგრამ არსებითი სახელის გაგება აქვს ასეთ წინადადებებში: ოთარაანთ ქერივს სოფლის ნაპირას ერთი კაი მოზრდილი ფ ი ც რ უ ლ ი ედგა: ილია, I, 427, 17; გაპყროდა სხივი მიწაზე გამოსულ მ წ ვ ა ნ ე ს: კ. გამს., I, 37, 18<sup>87</sup>.

ყველა ატრიბუტული განსაზღვრება ბრუნვაში ეთანხმება საზღვრულს. ზოგი მათგანი კი განსხვავებას ამჟღავნებს მრავლობითი რიცხვის წარმოებისას. ამის შედეგად ერთ ჯგუფში ხედება ზედსართავი სახელით, მიმღეობით, არსებითი სახელითა და ზოგი ნაცვალსახელით გამოხატული ატრიბუტული განსაზღვრება, მეორე ჯგუფში კი რიცხვითი სახელითა და ზოგი ნაცვალსახელით გამოხატული ატრიბუტული განსაზღვრება<sup>88</sup>.

§ 48. ზედსართავი სახელი და მიმღეობა განსაზღვრებად. ატრიბუტულ განსაზღვრებად ერთნაირად გამოიყენება ზედსართავი სახელი და მიმღეობა (უპირატესად ვნებითი და საშუალო გვარისა). რამდენადაც ზედსართავი სახელი „არსებითი სახელის რაიმე ნაშანს ასახელებს“<sup>89</sup>, „დაერთვის არსებით სახელს და გამოხატავს

<sup>86</sup> განსაზღვრების მნიშვნელობით შეიძლება სხვა მეტყველების ნაწილიც შეგვხვდეს, როცა მათ ზედსართავის გაგებით ვიხმართ: ასიც მინახავს მაგისტანა გა ა ა კ ე ნ ე ბიკია: მ. ჯავახ. II, 292, 29; თვალწინ კი „ს უ ლ ი რ თ ი ა“ დათუნა ედგა: მ. ჯავახ. IV, 371, 10, მისა „გ ე ნ ა ც ვ ა ლ ე“ ცოლი და ბუთხუზა შვილიც კიდევ დიდხანს ხტუნაობდნენ: მ. ჯავახ. II, 147, 20.

<sup>87</sup> შდრ. დურგალი „და ლ ა მ ლ ა“ იქდა მიწუნით გ. ლეონ. 141, 17.

<sup>88</sup> დაწვრილებით ც. კალ ა მ ე, განსაზღვრება ქართულში, გვ. 78--98. ავტორი ძველი ქართულის დიდძალი საილუსტრაციო მასალის ანალიზის შედეგად მსკეღ ძს ატრიბუტული განსაზღვრების გამოხატვის საშუალებებსა და ადგილზე.

<sup>89</sup> ა. შ ა ნ ი ძ ი ე, ქართული ენ.ს. გრამატიკის საფუძვლები, გვ. 39.

საგნის თვისებას...; მსაზღვრელად იხმარება და ამით განსხვავდება წინადადებაში არსებითი სახელისაგან<sup>90</sup>. მაგ.: არწივს დიდი ლოკოკინა ეპოვნა: ი. გოგებ., V,171,18; სიკოს მძაფრი სუნი ეცა: ე. ყიფ., I,165,4; დარეჯანი ჭკვიანი დედაკაცი იყო: ილია., I,350,30; სახელიანი შვილი მყავდა: გ. ლეონ., 115,2; ამ სიტყვებმა მერაბს პატარა ოთახში მოუსწრო: ე. ყიფ., I,89,17...

სხვა ქართველურ ენებშიც ატრიბუტულ განსაზღვრებად პირველ რიგში ზედსართავი სახელი გვხვდება. შდრ.

ზანური: ა) მეგრული: დიმიდარი ხენწფე ვორდია: ყიფშ., 77,10 — მდიდარი ხელმწიფე ვიყავი; ქრელი ქოთომი ქიპიდი — ქრელი ქათამი ვიყიდე...

ბ) ქანური: დიდი ხოჯა სოთხანი იგზალეენ: ჭან., I,1,2 — დიდი ხოჯა სადღაც წასულა; ნოსეი კოჩი მენდაბთუ: ხოფ., 147,30 — ჭკვიანი კაცი წავიდა...

სვანური: ხოჩა ჩექმარ ჩაფლარდ ლაძდე: სვ. პ., 162,19 — კარგი ჩექმები ქალამნებად ჩაიცვა; ცხეკისგა ჩუ სგურდა ხოშა დწე: ბზ., 262,4 — ტყეში იჭდა დიდი დევი; მეჩი ზურნლს ლულენ ფირვ ხაყა: ბზ., 413,37 — მოხუც ქალს ხბოიანი ძროხა ჰყავდა...

მსაზღვრელად გამოყენებული ზედსართავი სახელი შეიძლება ფუძის განმეორებითაც შეგვხედეს: ნახა ... მალალ-მალალი დედაკაცი: ვაჟა, V,8,6; ბერძნულის მასწავლებელი ... შავ-შავი, ხმელი კაცი იყო: ვაჟა, V,67,19..., ან სხვა მეტყველების ნაწილთან იყოს შეერთებული: დავითის ოთახში იწვა... თმაწითელი კაცი: ს. კლდ., 497,29; გულდიდი ქორი ქანდარაზე ჩამოიხრჩო (ანდ.); თმაქალარა მანდილოსანი გაფოთებული ჩამორბის ციხიდან: გ. ლეონ., 100,6..., ან კიდევ ზედსართავის წინაშელობით იყოს სხვა სახის კომპოზიტი: მარინემ ცისფერი თვალები ორი ანთებული სანთელივით გამოანათა: მ. ჭავახ., IV,16,18; ციხისწინა ველობი უკვე დაეგდო მტერს: ლ. გოთ., 597,14...

ზოგჯერ კი საპირისპირო მნიშვნელობის კომპონენტთაგან შედგენილი ან საერთოდ ორცნებიანი კომპოზიტი გვხვდება ატრიბუტულ განსაზღვრებად: საშინელ მდგომარეობაშია ... ცოცხალ-მკვდარი ლუარსაბი: ილია, I,375,6; წყალზე წითელ-ყვითელი ჰავლი ციმციმებდა: მ. ჭავახ., IV,297,5.

მეტე გამომხატველობისათვის შეიძლება განსაზღვრება განმეორდეს: ძველი, ძველი წიგნი ჩამივარდა ხელში; ექიმს თეთრი, თეთრი ხალათი ეცვა, შდრ. ერთბაშად მოკუნტრუ-

<sup>90</sup> ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი. IV, გვ. 122.

შებდა თეთრი, ძალიან თეთრი ყურებპანტურა ციკანი: კ. გამს., II, 205, 4; ვიწრო, ძლიერ ვიწრო კიბით ავედით სასტუმროს მეორე სართულზე: ი. აბაშ. წერილები და სიტყვები, 477, 3.

ასეა ზანურშიც: ჩე, გვალო ჩე კაბა მოკაქუნს — თეთრი, მთლად თეთრი კაბა აცვია; დიდი, ჰენ დიდი ფუჯი ქომიძონუნ — დიდი, ძალიან დიდი ძროხა მყავს...

ზედსართავი სახელის დარად გამოიყენება მიმღობაც ატრიბუტულ განსაზღვრებად. ჩვეულებრივ ამ ფუნქციით გვხვდება ვნებითი და საშუალი გვარის მიმღობები, იშვიათად მოკმედებითიც: გაფოთლილი ხეები ამაყად დასცქერიან ბეჩავს ხმელს წიფელს: ვაჟა, V, 86, 1; გაანჩხლებულმა მზეთუნახავმა მეტის სიკაპასით წვერ-ულვაში ააგლიჯა ექიმს: აკაკი, IV, 331, 5; დაასწრო გახარებულმა მოსემ: ილია, I, 361, 17; პლატონმა... წაათრია უგულოდ მიმყოლი ცხენი: დ. კლდ., I, 123, 6; „მხურვალე მზე ზედ დაგყურებდა: ილია, I, 52, 7; ჯალაბი შენი ვერ დაგასხამს მდულარე ცრემლსა: ილია, I, 53, 36; ის მომჯადოვებელი ხმა უსაზღვროდ აღიზიანებდა მახარეს: შ. არაგვ., II, 294, 3; მელამ თქვა: ჩემს დამჭერ ძალს ერთი შეხედვით ვიცნობო (ანდ.).

მიმღობისა და სახელის შეერთებითაა მიღებული ატრიბუტული განსაზღვრებები: გვერდთ ედგა ერთი პირმოტეხილი ლიტრა: ილია, I, 266, 10; ერთი რქადაქნილი ქედლია გამოერჩია ცხვრის ფარიდამ: ვაჟა, V, 41, 33; კუდგაფშეკილი მელია მავთულივით იჭიმებოდა: მ. ჯავახ., IV, 35, 9...

ასევე გამოიყენება მიმღობა განსაზღვრებად სხვა ქართველურ ენებშიც:

ზანური: ა) მეგრული: ხორცქილი ონანგერი ტყასგ ქიშინახგ: ყიფშ., 94, 18 — გახეთქილი უნაგირი ტყეში შეინახა; ღურელი პაპა ცუდღეშა გიმნასევანჯუ კოჩქ — მკვდარი მღვდელი სახლში შეასვენა კაცმა...

ბ) ჭანური: ხომულა ხაჯი ქვასუმან ბიგათე: ჭან., II, 76, 12 — გამხმარ ლობიოს ცეხვავენ ჯოზით; მოწიფხეი ცხენი დიყვეენ: ხოფ., 105, 6 — შეკაზმული ცხენი გამხდარა...

სვანური: ეშუ ლერბათ ჩოთმწზგრაღ ამეჩუნწუ მერდე მარე: სვ. პ., 78, 28 — ასემც ღმერთს დაულოცინართ აქ მყოფი ზალხი; შდვილხან ნამჩად გიკლად ანკად: სვ. პ., 56, 26 — შდულვიდან გამოქცეული ვერძი მოვიდა...

§ 49. რიცხვითი სახელი განსაზღვრებად. რიცხვითი სახელი ატრიბუტულ განსაზღვრებად ზედსართავი სახელის მსგავსია, თუმ-



ცა იგი „საგანს განსაზღვრავს რაოდენობის ან რიგის მიხედვით, ან კიდევ საგნის ნაწილს გამოხატავს მთელთან შეფარდებით“<sup>91</sup>.

რ ა ო დ ე ნ ო ბ ი თ ი რიცხვითი სახელი ბრუნვაში ეთანხმება საზღვრულს. თანამედროვე ქართულში რიცხვითი სახელით განსაზღვრული სახელი დაისმის მხოლოდობით რიცხვში, რაც გამოწვეულია რიცხვითი სახელის ლექსიკური მნიშვნელობით: ო რ ი ყმაწვილი გადამტერებული იყო ერთმანეთზე: ი. გოგებ., IX,18,27; ტყიდან ს ა მ ი ლანდი გამოძვრა: კ. გამს., V,38,22; ოთახში ო თ ხ ი ტახტი იდგა: მ. ჯავახ., III,11,11...

რიცხვითი სახელი შეიძლება რთული სახითაც წარმოგვიდგეს. კომპონენტთა თანამიმდევრობა აღმავალია ან თანაბარი: ე რ თ ი-ო რ ი წუთით ჩუმად ვიწეჭი: კ. ლორთქ., 236,6; ველში იდგა ო რ ი ს ა მ ი ძირი ბალახი: ვაჟა, V,19,14; იჯდა ო თ ხ ი-ხ უ თ ი კაცი: რ. გვეტ., 178,11; ქალაქ ქუსკოში დარჩენილი ქვის რამდენიმე სვეტი ა თ ა ს-ა თ ა ს ფუთს იწონის: მ. ჯავახ., V,143,10.

რაოდენობით რიცხვით სახელს შეიძლება დაერთოს -ვე და -ოდე ნაწილაკებიც. -ვე ნაწილაკი სხვა სახელსაც შეიძლება დაერთოს, მაგრამ რიცხვით სახელთან აღნიშნავს „ყველას ერთად“: პაპა მიქელამ ო რ ი ვ ე ხელით აიყვანა პატარა მიქელა: კ. გამს., V,422,18; მალე ო თ ხ ი ვ ე ტყვე გამოიყვანეს: მ. ჯავახ., IV,394,26..., -ოდე კი გამოხატავს „მიახლოებას დასახელებულ რიცხვთან“<sup>92</sup>: დოღის დაწყებას ა თ ი ზ დ ე წუთი აკლდა: კ. გამს., I,187,32; არსენამ ო რ მ ო ც ი ო დ ე წლით დაიგვიანა: მ. ჯავახ., IV,299,5...

არსებით სახელთან იზმარება აგრეთვე -მდე// -მდის თანდებულისანი რიცხვითი სახელი და ამით გამოიხატება რაოდენობა მიახლოებით. -მდე (მდის) თანდებული მეტი სიზუსტის გამოსახატავაუ საზღვრულიდან ადგილგადმონაცვლებული ჩანს (ოცამდე კაცი = ოც კაცამდე...): სახლის წინ იდგა ო ც ა მ დ ი ს ვაჟაკი: ი. გოგებ., IX,53,2; ახლა ო ც ა მ დ ე შვილი მყავს, თმადათოვლილი ჭალარით: ხ. ბერ., 169,1; როტას ზურნის ჭყვიტინით ო რ მ ო ც ა მ დ ე ქართველი მილიციელი მოსდევდა: მ. ჯავახ., IV,105,3; კაპიტანმა თავისი ზომალდით ... მიუყვანა დამბარებელსა ს ა მ ო ც ა მ დ ე დედალ-მამალი ბელურა: ი. გოგებ., VI,289,10; ა ს ა მ დ ე მერცხალი დაეცა თავზე: ვაჟა, V,100,21...

სვანურშიც თანდებული შეიძლება დაერთოს რიცხვით სა-

<sup>91</sup> ა. შ ა ნ ი ძ ე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, გვ. 40.

<sup>92</sup> ა. შ ა ნ ი ძ ე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, გვ. 616.

ხელს: მეზებელს აერვეშდთექა ლოლაქ ხორდ.— მეზობელს ოცამდე ცხვარი ჰყავდა.

ზანურში ასეთ შემთხვევაში თანდებული ერთვის მთავარ სიტყვას: ვით კოჩიშახ ქოხე— ათ კაცამდე ზის...

განუსაზღვრელ რიცხვით სახელთაგან განსაზღვრებად გამოყენებულია ბევრი, მრავალი, უამრავი, აუარებელი, ურიცხვი, უთვალავი, ცოტა...: ბევრი მგელი ნავენბს ვერა იქმსო (ანდ.); ბევრმა წყალმა ჩაიარა: ილია, I, 418, 21; რკინიგზაზე სამსახურს მრავალი სიკეთე მოჰქონდა: კ. ლორთქ., 354, 20; ღობეებს მოაწყდა უამრავი ხალხი: რ. გვეტ., 235, 27; საქონელს... გარს ეხვია აუარებელი ბუზი: ი. გოგებ., V, 382, 6; კულა ხარს... ურიცხვი ბუზი დაჰხვეოდა: ი. გოგებ., V, 382, 10; უთვალავი ლაშქარი მადლობით გავისხენეთ: მ. ჯავახ., V, 213, 6; დუქანში უშქარი ხალხი ზიმზიმებდა: კ. გამს., II, 157, 26... წავალ, იქნებ ცოტა ფული ვიშოვო: ნ. ლორთქ., I, 125, 36; მღვდელს ცოტაოდენი ჯამაგირიც აქვს: დ. კლდ., I, 71, 3...

ანალოგიური მდგომარეობაა სხვა ქართველურ ენებშიც, შდრ. ზანური: ბრელი კოჩქ ქომორთუ — ბევრი კაცი მოვიდა; დიდო ბაღეფე ყვეს — ბევრი ბალი გააშენეს...; სვანური: ფიშირ თხერე აშხუდ ინზერი — ბევრი მგელი ერთად თავს იყრის; მასწარდ ხალხ ანკანდ მესტიათე — უამრავი ხალხი მოვიდა მესტიიდან...

და ასე: მეგრული: ათეს ცუნს ხოლო ყირი ჯოლორი: ხუბ., 104, 1 — ამას ჰყავს კიდევ ორი ძაღლი; ორდუ სუმი ჯიმაღეფი: ხუბ., 117, 19 — იყო სამი ძმა...; ჭანური: ყურ ხოჯი ქომიფონუნ: ჭან., II, 24, 31 — ორი ხარი მყავს, სუმ ჭუმა ქორტეს: ჭან., II, 126, 8 — სამი ძმა იყო...; სვანური: ხელწიფეს ზორდა მორი ნაღურ: ბქვ., 87, 21 — ხელმწიფეს ჰყავდა ორი ვაჟი; აღდნეს ხად ეშდორი თხვიმ: ბქვ., 118, 16 — ამ დევს ჰქონდა თორმეტი თავი...

რიგობითი რიცხვითი სახელიც ასევე გამოიყენება განსაზღვრებად: ახლა მეორე ტოროლა ავარდა ცაში: კ. გამს., I, 640, 10; დადგა სწორედ მეათე გაზაფხული: ი. გოგებ., IX, 56, 15; მეთვრამეტე საუკუნის ვაიმარს მოგვაგონებს ზუგდილი: კ. გამს., I, 118, 23...

მეგრულში რიგობითი რიცხვითი სახელი ფუძის სახითაა: მაჟირა კოჩი რაგადანს — მეორე კაცი ლაპარაკობს; მახუთა ჯიმა ცუდეს აშენენს — მეხუთე ძმა სახლს აშენებს..., ჭანურში სახელობითის -ის ირთავს ჩვეულებრივ: ქომობთუ

მაეუანი კოჩი — მოვიდა მეორე კაცი; მასუმაანი სერის ჰიტა ჭუმა იგზალუ: კარტ. მას., 154,1 — მესამე ლამეს პატარა ძმა წავიდა; სიჯა მაეურანი გზათე იგზალუ: ელ. ჰან., 29,19 — სიძე მეორე გზით წავიდა..., შდრ. სვანური: მეჩმე ნაპვრ აპარ დეტე — მეორე ტოროლა აფრინდა ცაში...

წილობითი რიცხვითი სახელი საერთოდ იშვიათად გვხვდება და ამდენადვე იშვიათია განსაზღვრებად: ნახევეარი ქალაქი აგარაჯზე იყო გახიზნული: თ. ჰილ., 43,12; მოსე მწერალმა ... ბაბალეს და სოფონას იმის მეათედი დაროგებაც ვერ მისცა: ე. ნინ., II,198,2; დათეს იმის მეასედი ზარალიც არ მოუცია ჩვენთვის, რაც მგლებმა და მელა-ტურებმა მოგვეცესო: ვაჟა, VI,268,2; სიყვარულს ხომ მაინც მიუხვდებოდი და მაინც, სხვა არა იყოს რა, თუნდა ნაასალი მადლიც გიორგინა არა სცხებოდა: ილია, I,468,31...

§ 50. არსებითი სახელი და მასდარი განსაზღვრებად. ატრიბუტულ განსაზღვრებად გვხვდება არსებითი სახელიც და მასდარიც. როგორც წესი, ასეთ განსაზღვრებად გამოიყენება ზომის (მტკაველი, მეტრი, კილომეტრი...), წონის (ფუთი, კილოგრამი, ცენტნერი, ტონა...), საწყაოს (ჭიქა, ბოთლი, ტომარა, გოდორი, ურემი, ვაგონი...), ფართობის (ქევეა, ჰექტარი...) აღმნიშვნელი არსებითი სახელები. ატრიბუტული განსაზღვრებად გვაქვს აგრეთვე პროფესიის აღმნიშვნელი სახელები (მუშა, ექიმი, მასწავლებელი...), წოდებისა და თანამდებობის გამომხატველი არსებითი სახელები (გლეხი, აზნაური, თავადი, კაპიტანი, მაიორი, გენერალი, პროფესორი...) და ნათესაური ან თავაზიანი დამოკიდებულების აღმნიშვნელი სიტყვები, რომელთაც მიმართვის დროსაც იყენებენ (ძია, დეიდა, მამიდა...)

სხვა შემთხვევაში გვხვდება აგრეთვე ზღვა (ზღვა ხალხი...), ქვა (ქვა გული...), ლუკმა (ლუკმა პური...), უღელი (უღელი ხარი...) და ა. შ.<sup>93</sup>

ატრიბუტულ განსაზღვრებად გამოიყენებული ზომის, წონის, საწყაოს, ფართობის აღმნიშვნელი ან რაიმე ერთეულის გამომხატველი არსებითი სახელები და მასდარები თავიანთ მხრივ, მოითხოვენ განსაზღვრებად რიცხვით სახელებს, რომელთაც რაოდენობის გამომხატვა ეკისრებათ<sup>94</sup>.

ზომის, წონის, საწყაოს, ფართობის აღმნიშვნელი განსაზღვრებები მხატვრული ლიტერატურის ენაში შედარებით იშვიათად გვხვდება, მაგრამ სამაგიეროდ გავრცელებულია სხვა ჟანრის ენაში.

<sup>93</sup> ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძველი, გვ. 81—82.

<sup>94</sup> ლ. კვაჭავაძე, თანამედროვე ქართული ენის სინტაქსი, გვ. 163.

მაგალითად:

ა) ზოგის აღმნიშვნელი განსაზღვრება: ერთი ალაბი ენა წამოაგდო: რ. ერისთ., 402,27; ხუთი არშინი ჩითი მომიქერი: მ. ჯავახ., IV,222,5...

ბ) წონისა: კოლმეურნეობამ ასი ცენტერი ყურძენი გაყიდა: „კომუნისტი“, 15.XII.78, გვ. 3, სვ. 2; დამატებით მივიღებთ ხუთ ტონა ხორცს: „კომუნისტი“, 19.XII.78, გვ. 2, სვ. 6; დათიას ერთი ფუთი წვერა ამოუყვანია: ნ. ლორთქ., II,95,5...

გ) საწყაოსი: ჩაფი ღვინო აბაზად ყოფილა: ვაჟა, V,271,20; თედეს მოშურნე კაცმა ორი ურემი პურა დაფქვა: ვაჟა, V,109,10; გუშინ ერთი აბგა მწყერი გამოეგზავნა: ილია, I,340,10...

დ) ფართობისა: გაყიდა ორი ქცევა ადგილი: ნ. ლორთქ., I,429,10; თეიმურაზს ჰქონდა ... ხუთიოდე დღიური ბალ-ვენახი: მ. ჯავახ., II,233,10...

ე) პროფესიის აღმნიშვნელი: ინჟინერი ხანდაველი ხვალვე გაემგზავრება დარგკოხში: პ. ჩხიკვ., 73,25; შოფერმა ანდრომ რამდენიმე წუთის შემდეგ ისევ აამუშავა მანქანა: კ. გამს., V,412,25...

ვ) წოდებისა და თანამდებობის აღმნიშვნელი სახელები: თავად გრიგოლ ორბელიანს ჭავჭავაძის მხარე ეჭირა: აკაკი, IV,80,22; დათიკო ბრიგადირი რალაცას ეუბნება ... მამიდას: ნ. ღუმბ., 168,5; გოდერძიმ თან წაიყვანა ლეიტენანტი გულუხაიძე: კ. გამს., V,500,15; მაიორი ჩხარტაშვილი მომიახლოვდა: ნ. ღუმბ., 601,28; პროფესორმა კორინთელმა თვალი შეავლო ამ უხიაგად მოლუშულ მეცხვარეს: კ. გამს., V,25,7...

ზ) ნათესაური ან თავაზიანი დამოკიდებულების აღმნიშვნელი: სამორიგეოში დეიდა მართა შემოვიდა: ნ. ღუმბ., 118,10; კონდარზე ზის გერასიმე ბიძია: ნ. ღუმბ., 166,8; ბაბუა რუხლოც ტყისკენ იცქირებოდა: კ. ლორთქ., 322,18; ჩვენ პატივს ვცემთ ამ ხანაგ ბუთხუზს: პ. ჩხიკვ., 132,24; ბატონი გიორგი წამოდგა: ნ. ღუმბ., 420,38; ქალბატონმა მზეხამ კარგად გაიგონა ნათქვამი: ნ. ლორთქ., II,312,5...<sup>95</sup>

<sup>95</sup> ბატონი, ქალბატონი ამჟამად მხოლოდ თავზისა და პატივისცემის შინაარსის შემცველია და სრულიად დაცლილია თავიანთი ძველი კლასობრივ-სოციალური შინაარსისაგან. ამის შესახებ იხ. ვლ. ფანჩიქიძე და ივ. გიგინეიშვილი, მეტყველების კულტურა და ზოგიერთი მოსაზრება: „კომუნისტი“, 15. X. 70. ეგავე აზრი აქვთ გამოთქმული გ. ახვლედიანს („საქართველოს ქალი“, № 5, 1965) და შ. ძიძიგურს („ენა და ლიტერატურა“, თბ., 1965, გვ. 271).

არსებითი სახელი განსაზღვრებად გვხვდება სხვა შემთხვევაშიც და ამით გამოხატულია წყვილი, სიმრავლე, ძირითადი დამახასიათებელი ნიშანი ან კიდევ სხვა რამე ისე, რომ მას ზედსართავის გაგება აქვს: მესმის ოთხი-ხუთი უღელი მეძებარი გაიდევნო: ნ. ლორთქ., II, 122, 15; ცხრა ძმას ცხრა უღელი ხარი ბევრი ეგონაო (ანდ.); საღამოს შეიკრება ზღვა ხალხი; ის კი ვაჟკაცი კაცი გზლებიათ: ილია, I, 343, 37; შარაგზაში რომ ძროხა დედაკაცი საარშიყოლ გამოდგება, იმას რილასი რცხვენია? დ. კლდ., I, 26, 4...

ანალოგიური ვითარებაა სხვა ქართველურ ენებშიც, შდრ. ზანური: ექიმი ადამია მურსი — ექიმი ადამია მოღის; ბრიგადირი თეოფანე გეხე ცხენს — ბრიგადირი თეოფანე ზის ცხენზე; ხუთი ბათმანი სიმილი ქიპილი — ხუთი ბათმანი სიმილი ვიყიდე...; ამუქ ოთხო კილო ხორცი ქეზღუ: ხოფ., 55, 14 — მან ოთხი კილო ხორცი აიღო...

სვანური: გეზალ მუგე ისტამს ბეწად — შეილმა მტრედმა სიზმარი ნახა; აფხნეგ გოდერძი თბილისთე აჩად — ამხანაგი გოდერძი თბილისში წავიდა; ექიმ ჯათარიძემ ამსინჯავე — ექიმმა ჯათარიძემ გამსინჯა; ეშვი ხალთ შყავე აღირმ მეთხვარდ — ერთი აბგა მწყერი დაიჭირა მონადირემ; ქორს ფორი უღვა გარ ენსად კანარ: ბზ., I, 27, 14 — სახლში ორი უღელი ხარილა დარჩა...

არსებითი სახელის დარად ატრიბუტულ განსაზღვრებად გვხვდება მასდარიც, რომელიც „უმეტესად ოდენობის ერთეულის აღსანიშნავად იხმარება“<sup>96</sup>. მას, თავის მხრივ, ჩვეულებრივ ვანსაზღვრებად ახლავს რაოდენობითი რიცხვითი სახელი: ვასომ ერთი სროლა ტყვია-წამავალი მომცა: ვაჟა, V, 33, 11; ბაბალემ ჭიბილამ ამოიღო ერთი გაბმა აბრეშუმი: ილია, I, 337, 19; ეს ყალთალი ორი ნაბდის გაშლა მინდორი იყო: კ. ლორთქ., 153, 15..., შდრ. ზანური: ართი ყოთამა ტყვია მიღუ — ერთი სროლა ტყვია მაქვს; სვანური: ვასოდ ეშვი ლეკვანე ცხუნარ ლამემ — ვასომ ერთი სროლა ტყვია-წამალი მომცა; ბაბალედ ეშვი კუნჭულ აბერშვიმ ანკიდ — ბაბალემ ერთი გაბმა აბრეშუმი ამოიღო...

§ 51. ნაცვალსახელი განსაზღვრებად: ატრიბუტულ განსაზღვრებად ჩვეულებრივ გვაქვს ჩვენებითი, კუთვნილებითი, განსაზღვრებითი, განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელები, იშვიათად კი — კითხვითი, კითხვით-კუთვნილებითი, მიმართებითი და უარყოფითი ნაცვალსახელები.

<sup>96</sup> ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, გვ. 82.

1. ჩვენებითი ნაცვალსახელები: ეს, ეგ, ის (იგი); ასეთი, ეგეთი, ისეთი; ამნაირი, იმნაირი, ამისთანა, იმისთანა, ამდენი, იმდენი... მიუთითებენ საგანზე, ამიტომ მათ მითითებით ნაცვალსახელებსაც უწოდებენ. ყველა მათგანი ეთანხმება ბრუნვაში მთავარ სატყვას და დაისმის იმ ბრუნვაში, რომელშიც ეს უკანასკნელია: ეს თვალეზი ხათანგში გაბმულ თავვებივით დარბის: მ. ჭავახ., III,428,20; ამ სიტყვებმა არამცირედ დააფიქრეს სვიმონ: ა. ყაზბ., I,104,24; მე ძალიან მოვწონდი იმ დალოცვილსა: ილია, I,282,40; ასეთი წესი იყო შარვაშიძეების ოჯახში: კ. გამს., I,29,2; ისეთი ლეკური დაუარა..., რომ მტვერი ცასა წვდებოდა: ვაჟა, V,250,34; ამდენი ხანი უკან მოგდევდი: კ. გამს., I,132,7; მაგისთანა ვაჟკაცი ხარ: ილია, I,308,39; ამისთანა კაცი ცოცხალი დარჩებოდა: აკაკი, IV,408,14...

2. კუთვნილებითი ნაცვალსახელით კუთვნილებაა გამოხატული. კუთვნილებითი ნაცვალსახელი ჩვეულებრივ იწარმოება პირის ნაცვალსახელისაგან, წინადადებაში გამოიყენება მსაზღვრელად და იბრუნვის საზღვრულთან ერთად ისე, როგორც ზედსართავი სახელი. იგი „გამოხატავს კუთვნილებითს ურთიერთობას საგანსა და ნაცვალსახელით ნაგულისხმევ პირს შორის“<sup>97</sup>: ჩემი მოხვევე სანახავად ღირსი იყო: ილია, I,258,14; შენი თმიაწი თავი გილიოტინის ცულქვეშ მენახოს: გ. ლეონ., 192,20; ჩვენი მგზავრები ონისიმესას მივიდნენ: დ. კლდ., I,34,18; ეს თქვენი თათიას სადღეგრძელო იყოს: კ. გამს., I,364,4; იმისი დღეები წავიდა: ა. ყაზბ., I,167,18; დავიჭირე მისი ცხენი: ილია, I,320,1; ჯუმბერმა დიდხანს არჩია თავისი სარგო პერანგი: ე. ყიფ., I,62,4; სხვისი თხა სხვის ბაღჩაში ოდელიას იძაზღოდა (ანდ.).

3. განსაზღვრებითი ნაცვალსახელები: ყოველი, ყველა, სხვა, თითოეული... ბრუნვაში ეთანხმება საზღვრულ სახელს: ცხენზე ყოველი კაცი ჯდება: კ. გამს., I,20,15; ყველა ჩიტს თავისი ბუდე უყვარსო (ანდ.); ახალგაზრდებს... სხვა ჯურა ქეიფისათვის მიეყოთ ხელი: ვაჟა, VII,166,20; სხვა თვალით მეჩვენა მარტია: გ. ლეონ., 249,5; თვითეული მწყერის მოკვლა ჩანახობით ამცირებს მოსავალსა: ი. გოგებ., VI,284,17...

4. განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელი თავისებურია შედგენილობით: რიგ შემთხვევაში კაცი, ერთი, ზოგი // ზოგიერთი სხვა მეტყველების ნაწილებიდან გადმონერგილა გარკვეული შინაარსით. კაცი ატრიბუტულ განსაზღვრებად არ

<sup>97</sup> ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, გვ. 43.

გამოიყენება, დანარჩენები კი ჩვეულებრივ გვხვდება: მივიდა იმ ბრძენთან ერთი უბელი: ი. გოგებ., IX,10,23; ერთმა ქერი-მა თავისი თავი მკითხავად გამოაცხადა: ი. გოგებ., IX,12,5; ზოგი სახლი ხომ სახლია, ზოგი სახლიც — სასახლეო (ანდ.); ზოგი ერთ კაცს ღმერთი უყვარს და პირჯვრის წერა ეზარებაო (ანდ.)... სხვა შემთხვევაში კი განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელი მიიღება კითხვითისაგან -მე ან -ღაც(ა) ნაწილაკების დართვით, მღრ. ვინ — ვინმე, რომელი — რომელიმე..., ვინ — ვილაც, რომელი — რომელილაც და ა. შ.: გავიდა რამდენიმე წელიწადი: მ. ჭავჭაძე, III,13,5; იქ ვილაც ნოქარი დაჩვდა: კ. ლორთქი., 17,25; დაფრთხა რომელილაც ფრინველი ბარდებში: კ. გამს., I,10,26.

5. განსაზღვრებად გამოიყენება ყველა კითხვითი ნაცვალსახელი (ვინ? რა? რომელი? რამდენი? როგორი?): ვინ დაბული, ვინ შეედრება თვალებით თამარს?: კ. გამს., I,106,18; რა ლექსი თქვაო ბერიკაცმა?: კ. გამს., I,56,25; რომელი ჩიტი აშენებს ბუდეს?: ა. კალანდ., 59,1; იმ ფიცარზე რამდენი ბუზი ზის? ილია, I,330,40; მეფემ აღარ იცოდა, როგორი მადლი გადაეხადა წერეთლისათვის: აკაკი, IV,412,27...

6. კითხვით-კუთვნილებითი ნაცვალსახელები ვისი? რისი? (რისა?) იშვიათად გვხვდება განსაზღვრებად: გახსოვდეს ვისი გორისა ხარ? ალ. ყაზბ., II,266,37; ვისი ტიკიტომარა ხარ? ილია, I,434,27...

7. მიმართებითი ნაცვალსახელი მიიღება კითხვითისაგან -ც(ა) ნაწილაკის დართვით. ასეთებია: ვინც, რაც, რომელიც, როგორიც, რამდენიც...: შენც ისა ხარ, ვისიც მოლოდინი ჩემს სულსა ჰქონია: ილია, I,322,3; რაც კაცი ღმერთსა ენდობის, ღმერთი კარგს უზამს: დ. გურ., 85,8; რომელიც მკარე წონაში დასძლევს, საუკუნოს სახლს იმ მკარეს გაძლევს: დ. გურ., 274,17...

-ც(ა) ნაწილაკი შეიძლება საზღვრულსაც დაერთოს და ამითაც კითხვითი შინაარსი თხრობითად გადაკეთდება: ვისი ენაცა კრის, მისი ხმალიცა კრის (ანდ.); რომელი ძაღლიცა არა კბენს, შორიდან იყეფებაო (ანდ.).

8. უარყოფითი ნაცვალსახელი განსაზღვრებად იშვიათია: არაფერი კაცისათვის არ მკითხავს: თ. იოსელიანი, სოფლის თვალი, „განთიადი“, № 4, 1976, 24,22; სოლომანს ... ვერა წამალმა ვერ უშველა: ვაჟა, V,233,8; მუცელას სმა-ჭამის მეტი არავითარი დარდი არა ჰქონდა: ვაჟა, V,311,33; ჯორჰა არავითარი ყურადღება არ მიაქცია: ა. ბელ. ერთტომ., 262,12...

თავისებურებას იჩენენ განსაზღვრებად გამოყენებული ეს, ეგ და ის (//იგი) ჩვენებითი ნაცვალსახელები, რომელთაც სხვა ბრუნვებში განსხვავებული ფუძეები აქვთ: ეს — ამ (—ამა), ეგ — მაგ (—მაგა), ის — იმ (—იმა): გათავდა ეს ომი: ილია, I,420,16: ეს გაზეთი გაეშალოთ: რ. ინან., 131,1; ეგ სიამოვნება-ლა მაქვს: ილია, I,251,15; ის მინდორი სიგრძისად გადაეჭრა: აკაკი, !V,110,2: ის ქალი ხელიდან გაუსხლტა: მ. ჯავახ., III,235,38...; ამ კითხვამ გააბა ლუარსაბი მახეში: ილია, I,350,26; ამ მუსაიფს მოსამსახურეები უფრს უგდებდნენ: აკაკი, IV,32,30; „გეიას“ დაუძახებს ამ მოთბრობის უხეირო დამწერსა: ილია, I,324,9; ამ ყოფით აკილნენ თელეთში: ილია, I,370,30..., მე ძალიან მოვწონდი იმ დალოცვილსა: ილია, I,282,40: იმ თათქარიძის ოთახში იდგა ორი გრძელი ტახტი: ილია, I,326,14; იმ დღიდან გარეთ ვეღარ გამოვიდა: მ. ჯავახ., II,142,31...

ირიბი ბრუნვებისათვის დამახასიათებელი ფუძეა გამოყენებული იმ შემთხვევაშიც, როდესაც ეს და ის ნაცვალსახელები განსაზღვრებაა -ვით თანდებულიანი სახელისა და ეს უკანასკნელი სახელობით ბრუნვაშია მართული: ელისაბედს ამ ქალიშვილივით ქრელი კაბა ეცვა; წინ გავრბოდი იმ კურდღელივით...

ზანურის მეგრულ დიალექტში შეკვეცილი ფუძით ეწყობა საზღვრულს მსაზღვრელად გამოყენებული თ ე ნ ა (→თე), ა თ ე ნ ა (→ათე), თ ი ნ ა (→თი), ე ნ ა (→ე) ჩვენებითი ნაცვალსახელები: თ ე ჯოლორი, თ ე ბოში..., ა თ ე ცირა, ა თ ე ჭყონი..., თ ი პაპა, თ ი კოჩი..., ე კოჩი...: თ ე ჯოლორი ჯგირი ჯოლორი ქორე მიდგაშირენი: ხუბ., 97,23 — ეს ძალლი კარგი ძალლი არის ვილაცისა (//ვილაცის რომ არის); გიშელუ თ ე ბოშიქ ორკინუშა: ხუბ., 1,27 — გამოვიდა ეს ბიჭი საჭიდაოდ; ა თ ე ცირას ულუ ართი მართახი: ხუბ., 61,35 — ამ ქალიშვილს აქვს ერთი მართახი; ქაუხვადგ კინი თი პაპაქ: ყიფშ., 7,25 — გზაზე შემოხვდა ისევ ის მღვდელი; დუც მივოკვათაფუა თი კოჩიშა: ხუბ., 81,22 — თავს მოვაპრევინებ იმ კაცისათვის; ე სამართალქ ირი კოს ძალანქ მეეწონუ: ყიფშ., 44,29 — ეს სამართალი ყველა კაცს ძალიან მოეწონა; ე ცირაშენი კითხვ დიდა-მუმაქ: ყიფშ., 46,20 — ამ გოგოს შესახებ კითხა დედამამ...

და ასე:

ე ჯ გ უ ა: სოლე მიყონი ე ჯ გ უ ა ჯგირი ოსური: ხუბ., 119,19 — საიდან მოიყვანე ასეთი კარგი ცოლი...

ე ს ხ ი (—ესხილი) თ ე ს ხ ი: ე ს ხ ი ლ ი ხანცე ხენწჯფექითი ქემორთგ: ყიფშ., 77,7 -- ამდენ ხანს ხელმწიფეც მოვიდა.



ი ს ხ ი: ი ს ხ ი ხანს ენენქ ფარა გირთეს: ხუბ., 73,16 — იმდენ ხანს ამათ ფული გაიყვეს...

ასევეა სხვა ნაცვალსახელებიც (კუთვნილებითი, ვანსაზღვრებითი, განუსაზღვრელობითი...).

კუთვნილებითი ნაცვალსახელები ჩქიმო, სქანი//სკანი, მუში საზღვრულის წინაც დაისმის და საზღვრულის შემდეგაც. როცა საზღვრულს წინ უსწრებს, იგი გარდა სახელობითისა სხვა ბრუნვის ნიშანს არ ირთავს<sup>98</sup>: ჩქიმო ჯიმა ლუდუქიქ მოიჯლონუ ცოროფაშე: ხუბ., 89,30 — ჩემმა ძმამ ლუდუქმა გამოგიგზავნა სიყვარულით; თის ჩქიმო ოსურსქუას ჩილო ქეკუზუნუანქ: ყიფშ., 11,19 — იმას ჩემს ქალიშვილს ცოლად დავუხვამ...; სქანი ცუდეშა მუშა იბდა: ხუბ., 314,24 — შენს სახლში რად წავიდე? ძალიან მიორჩინუეს ქაშუუ მუში ჩირს ართი ქომოლსქუაქ: ყიფშ., 47,2 — ძალიან სიბერეში შეეძინა მის ცოლს ერთი ვაჟიშვილი..., თქვანი დიდა უშულებერო ლე: ხუბ., 177,6 — თქვენი დედა შეუძლოდ არის...

ანალოგიური მდგომარეობაა სხვა ნაცვალსახელებთანაც, მაგალითად: ირი კოჩქართო მიწადილეს: ხუბ., 84,12 — ყველა კაცმა ერთად მოიწადინა; ე სამართალქ ირი კოს ძალანქ მეეწონუ: ყიფშ., 44,29 — ეს სამართალი ყველა კაცს ძალიან მოეწონა...; ცუდე ქორე ანდა თოლი: ხუბ., 7,27 — სახლი არის რამდენიმე თვალი; იცუუ მუგდენი ამბექ ძალამქ: ყიფშ., 27,23 — შეიქნა რაღაც დიდი ამბავი...

ქანურშიც ჩვეულებრივ უცვლელია განსაზღვრებად გამოყენებული ნაცვალსახელი<sup>99</sup>. საზღვრულთან ისეთივე დამოკიდებულებაა, როგორიც ზედსართავ სახელს აქვს.

მაგალითად:

ჩვენებითი ნაცვალსახელები:

აჟა: აჟა წიწილა ბიჭი დიყუ: ხოფ., 145,6 — ეს გველი ბიჭი გახდა; აჟა ჯაზიქ ჭიტა ჯუმას ჯუმალეფე ქოქკომეენ: ხოფ., 155,20 — ამ ჯაზს უმცროსი ძმისათვის ძმები შეუქამია; აჟა ოხორჯას სუმ ბეე უყოუნტეენ: ხოფ., 150,30 — ამ ქალს სამი ბავშვი

<sup>98</sup> არნ. ჩიქობავა, ქანურის გრამატიკული ანალიზი, გვ. 68; არმარტიროსოვი, უაქქევეთ-კუთვნილებითი ნაცვალსახელები ქართველურ ენებში: იყ, XIV, 1964, გვ. 114; მისივე, კუთვნილებითი ნაცვალსახელი მსაზღვრელად ქართველურ ენებში: იყ, XVIII, 1973, გვ. 186—189; Г. А. Климов, К вопросу о порядке членов атрибутивного комплекса в картвельских языках, კრებ. Вопросы изучения иберийско-кавказских языков, М., 1961, с. 258—259.

<sup>99</sup> ვრცელი ანალიზი მოცემულია არნ. ჩიქობავას „ქანურის გრამატიკულ ანალიზში“, გვ. 72—85.

ჰყოლია... ჰამ/ჰემ/ჰე/ე: ჰამ კოჩიქ მემიხირუ: ჰან., II,88,26 — ამ კაცმა მომპარა; ჰემ კოჩის გური მუხთუ: ჟღ. ჰან., 113,19 — იმ კაცს გული მოუვიდა; ბოზო ჰე ბიქის დაოროფუ: ჟღ. ჰან., 118,6 — გოგო იმ ბიქს შეუყვარდა; ოხორჯაქ ქამოყონაფუ ე კოჩი: ხოფ., 94,29 — ქალმა მოაყვანინა ის კაცი...

ია/იია: გზას ემედენი ია მთუთი ქონაფუ: ჰან., I,42,27 — გზაზე უცებ ის დათვი შეხვდა; აწი ი ი ა ხინის ოლაღას ე კუ-ლანიქ: ხოფ., 44,18 — ახლა იმ დედაბერს ალაპარაკებს ეს გოგო...

ბ) კ უ თ ვ ნ ი ლ ე ბ ი თ ი ნ ა ც ვ ა ლ ს ა ხ ე ლ ე ბ ი :

ჩ ქ ი მ ი, ს ქ ა ნ ი, ჩ ქ ი ნ ი, თ ქ ე ა ნ ი, მ უ შ ი: ჩ ქ ი მ ი ხო-ჯეფექ ართიქათი ოქკომეს: ჟღ. ჰან., 31,10 — ჩემმა ხარებმა ერთ-მანეთი შექამეს; ჩ ქ ი მ ი ბეროლას ნოლაშენ ნანდიდიქ არ აღნე კიცი ქომულუ: ყიფშ. ჰან., 8,1 — ჩემს ბავშვობაში დიდედამ ერთი ახალი კეცი მოიტანა; ს ქ ა ნ ი ბოზომოთა მომჩარე ჟუმა შქიმი-შენი: ჰან., II,97,6 — შენს ქალიშვილს მომცემ ჩემი ძმისათვის; კატუქ ლოსკუმს მ უ შ ი კუჩხე: ჰან., II,4,3 — კატა ლოკავს თა-ვის ფეხს...

ასეთივე დამოკიდებულებაშია სხვა ნაცვალსახელებიც (განსა-ზღვრებითი, განუსაზღვრელობითი, კითხვითი...): გერმა კოჩის კა-ტ ა კიბირი თითო მტკო ულუტუ: ჟღ. ჰან., 4,34 — ტყის კაცს ყო-ველი კბილი თითო მტკაველი ჰქონდა...

ცხენითე არ კოჩი მულუნ: ი. ყიფშ. ჰან., 31,19 — ცხენით ერთი კაცი მოდის; წოხლენერი ვახთის არ კოჩიქ მთუგიში ფათი-შაიშა იგზალუ: კარტ. ლაზ., 15,29 — წინანდელ დროს ერთი კაცი თავის მეფესთან წავიდა...

ნ ა კ ო ნ დ ლ ა რ ე? ჰან., II,4,25 — რამდენი დღე არის? ს ი მ უ-კ ო წ ა ნ ე რ ი რ ე? ხოფ., 179,15 — შენ რამდენი წლისა ხარ? ს ი მ უ-ფ ე რ ი კ ო ჩ ი რ ე? ჰან., I,7,30 — შენ როგორი კაცი ხარ?

სვანურშიც განსაზღვრებად გამოიყენება ჩვენებითი, კუთვნი-ლებითი, განსაზღვრებითი, განუსაზღვრელობითი, კითხვითი ... ნა-ც ვ ა ლ ს ა ხ ე ლ ე ბ ი: ა ლ მ არ ე ხ ო ჩ ა მ ი ღ რ ა ლ — ეს კაცი კარგად მღე-რის; ა ლ მ გ კ ლ მ ა ხ ი დ ა დ გ რ მ ე ვ ო ქ ე რ ე კ ა ლ მ ა ხ: ბზ., 367,24 — ამ მეთევზემ დაიჭირა ოქროს თევზი; ლ ა ც ვ ო თ თ ხ ა რ ა ლ მ არ ა: ბქვ., 189,9 — სიცილი წასკდა ამ კაცს: ე ჯ ს ო ფ ე ლ ხ ა ნ ჩ ი გ ა რ ე ჩ ხ ა ვ ა ნ-ღ გ რ და ხ ლ ე ზ ე ე ბ ლ ა ყ ი დ თ ე: ბზ., 29,36 — იმ სოფლიდან ყოველ-თვის იქ მოდიოდნენ სარჩოს საყიდლად; მ ი შ გ ვ ი მ ე ზ ე ბ ე ლ ლ ი პ ა ტ ი ო ს ა ნ მ არ ე — ჩემი მეზობელი არის პატიოსანი კაცი; მ ი შ გ ვ ი ა ფ ხ ნ ე გ ს ხ ო ჩ ა ლ დ რ ა ლ ო ხ ო ხ ა ლ — ჩემმა ამხანაგმა კარგი სიმღერა იცის; ი ს გ უ ქ ე ს ა მ ა ს ჩ უ ქ ე ვ ა რ: ბზ., 278,8 — შენი ქისა მაჩუქე; ი ს გ ვ ე მ შ უ ე კ ს ა ჩ ა ლ დ: ბზ., 40,10 — თქვენი გზით წადით...; ლა-

ზემ ღვამ მიჩა სემუნს ლექენძურად: ბქვ., 114,7 — ზისცა ჭიხვი თავის ცოლისძმას; თ ვ ი თ ე ი მარე მკგ ხოჩა გვაშვემ მკსყი ლი — თითოეული კაცი კარგი საქმის გამკეთებელია...; ესღერდა ე მ ს უ მგლტალ ლელტხა ლექვა ლეჩხუმთე: ბზ., 50,15 — მოდიოდა ერთი ლატალელი ლენტეხის ვავლით ლეჩხუმში...; ხ ე დ ა ნ ა პ ვ რ ი მ ნ ა ვ ი ლ ა პ ო ნ ტ ყ ს ? — რომელი ჩიტი იშენებს ბუდეს? ვ ო შ ა მ ე რ ხ ა გ კ ე რ ე ი ? — რამდენი ბუზი ზის კერზე? მ ა ლ ი მ ე ჩ ე ვ ი ს ი ა კ ი დ ? ს ვ . პ . , 110,4 — როგორი სიბერე მოგესწრო შენ?! ი შ ა ლ ა მ რ ა ნ კ ე ? — ვისი წიგნი მოიტანე?

როგორც ვხედავთ, მეგრულში თ ე ნ ა , ა თ ე ნ ა , თ ი ნ ა , ე ნ ა ჩვენებით ნაცვალსახელებს ეკვეცებათ -ნა კომპონენტი. დაახლოებით ასეა სვანურშიც: ალა (ეს), ეჯა (ის), მაგრამ: ალ მარე (ეს კაცი), ამ მარემ (ამ კაცმა), ამ მარა (ამ კაცს)...; ეჯ მარე (ის კაცი), ეჯ მარემ (იმ კაცმა), ეჯ მარა (იმ კაცს)...

ჭანურში სახელობითის ფუძე უცვლელად გადაჰყვება სხვა ბრუნვებშიც: ა მ ა კ ო ჩ ი , ა მ ა კ ო ჩ ი ქ ...

§ 52. განსაზღვრება წინადადების წევრებთან. განსაზღვრება, იქნება ის ატრიბუტული თუ სუბსტანტიური, ერთვის წინადადების წევრს, რომელიც სახელითაა გამოხატული ან არსებითი სახელის მნიშვნელობა აქვს წინადადებაში. ასეთი შეიძლება იყოს: ქვემდებარე, დამატებები (პირმომართი, პირმიუმართავი), გარემოებები, თანასაერთი რთული შემასმენლისა და თვით განსაზღვრება.

ატრიბუტული განსაზღვრება ყველგან შეთანხმებულია ბრუნვაში, სუბსტანტური — მართული ან მართულ-შეთანხმებული:

1. განსაზღვრება ქვემდებარესთან: ერთხელ სოფლიდან გამოვიდა მოხუცებული გლეხი: აკაკი, IV,32,4; ს ი ტ კ ბ ო ი ა ნ ი რ ა ე დ ე ნ ა ბ ე დ ის ა გ ა ნ დ ა ჩ ა გ რ უ ლ ი ი ყ ო : გ . ლ ე ო ნ . , 60,10; მ ო ხ უ ც მ ა კ ა ც მ ა საუბარი გამიბა: ვაჟა, VI,170,20; გ ე მ ო ი ა ნ მ ა ს უ ნ მ ა მიიზიდა სიკო: ნ. ლორთქ., II,356,6; აქ ხშირად უქეიფნიათ გრძნობის აღმტაცის ხრუტუნით ნ ე ბ ი ე რ ს ლ ო რ ე ბ ს ა : ი ლ ი ა , I,325,21; შორიდან მოისმა ზ უ რ ო ნ ის ხ მ ა : დ . კ ლ დ . , I,140,8; ჩ ა ლ ხ ო ს დ ე დ ა მ საკუთარი ექიმობაც მოიშველია: ვაჟა, VI,115,17; რიცხვმა ხ ა ლ ხ ი ს ა მ ი კ ლ ო : ვ ა ჟ ა , VII,164,18...

2. განსაზღვრება პირდაპირ დამატებასთან: არჩილი ახალს ვენახს აშენებდა: ილია, I,441,12; ბაბალემ ჭიბილამ ამოიღო ერთი გაბმა აბრეშუმში: ილია, I,337,19; ჭუმბურმა დიდხანს არჩია თავისი სარგო პერანგი: ე. ყიფ., I,62,4; მშიერს არწივს დიდი ლოკოკინა ეპოვნა: ი. გოგებ., V,171,16; ნიაღვრებს წაეშალათ ურმის ბორბლები ს კვალი: ე. ყიფ.,

I,151,23; ვართდ შემოუნახავთ წვეთები წვიმის: ა. კალანდ., 32,1; კრიკინების მწყობრი ორკესტრი აღვიძებდა რულს ბუნებობისას: კ. გამს., II,75,5...

3. განსაზღვრება ირიბ დამატებასთან: დაუდულარს მაჰარს სარქველი არ დაეხურება: ილია, I,446,12; ნეტამე შვილად გავჩენოდი შენს დედამთილსო: გ. ლეონ., 243,19; სახელოვან კაცს სახელი მიემატა: ვაჟა, V,314,11; მზე ლურჯი ეკლესიის გუმბათს ამოსცილდა: რ. ინან., 43,6; მთვარემ გადაათოვა ალაზნის ველს: კ. გამს., V,39,35; ქალაქში ღამის ხარჯს საქონლისას მოერიდნენ: ილია, I,408,25...

4. განსაზღვრება თანასაერთთან: ომარაშვილი გავლენიანი კაცი იყო სოფელში: ილია, I,435,27; თქვენ ყმაწვილი კაცი ბრძანდებით: ილია, I,335,1; გოჩა დიდი კომპოზიტორი გახდებოდა: ე. ყიფ., I,123,3; ქეთო ჩვეულებრივი ინტელიგენტი გამოდგა: მ. ჯავახ., V,151,6; დარეჯანი სიკვდილამდე ქმრის ერთგული დარჩა: ვაჟა, V,49,22...

5. განსაზღვრება პირმიუმართავ დამატებასთან:

ა) მიცემითში დასმულთან: დათიკო ... სულ გამოიკვალა ახალ ტანისამოსში: ილია, I,252,15; ჩვენ დაგვაყენეს დიდ ბატონის ნათლიდედასთან: ილია, I,270,22; ნუნუ გოდერძის ტყაპუჭზე იჯდა: კ. გამს., V,395,29...

ბ) ვითარებითში დასმულთან: შენ მიმანჩხარ ჩემსაყვარელ ძმად: აკაკი, IV,216,30; ვინ დაგადგინა ჩვენს მწყემსად: გ. ლეონ., 220,8; მე მთელმა სოფელმა დამამოწმა პირველი ხარისხის ლოთად: აკაკი, IV,134,5...

გ) ნათესაობითში დასმულთან: დაზაფრული კაცისათვის უბრალო სატკივარიც ძნელი ასატანია: კ. გამს., V,200,15; ღამაზი ქალის წინაშე სანდრო ყოველთვის შებორკილად გრძნობდა თავს: ს. კლდ., რჩ., 10,10; არ გეშინიათ იმ უცნაური ამბებისა? აკაკი, IV,138,22; მხოლოდ ერთადერთი მზის ელვარება ჭფანტავს ბნელს: აკაკი, IV,250,33...

დ) მოქმედებითში დასმულთან: მგზავრმა დაკრუნჩხული ბელეზით თეთრი ტყავის ქუდი მოიხადა: ვაჟა, VII,53,17; მოვიდა სიძე დიდის მაყრიონით: ილია, I,366,34; ხშირის ბალნით დაფარული მოსჩანდა მისი გაუტეხელი გულმკერდი: ვაჟა, VI,111,11...

6. განსაზღვრება გარემოებასთან:

ა) ადგილის გარემოებასთან: შევედი სტანციის ცარიელს ოთახში: ილია, I,249,21; მაყვლიან ხევში რვა

კაცი კუნძივით ჩავარდნილიყო: მ. ჭავჭავაძე, IV, 359, 18; მანქანამ მთავარი ქუჩიდან მარცხნივ გადაუხვია: ე. ყიფიანი, I, 46, 4; ოთარაანთ ქვრივი გავიდა სოფლის ბაზარში: ილია, I, 427, 5; ქალები ძველი სახლის აივანზე ისხდნენ: ლ. ქიაჩიანი, III, 98, 20...

ბ) დროის გარემოებასთან: მთელი ღამე ბორგავდა უჩა არგვეთელი: ე. ყიფიანი, I, 114, 30; ცხრა წელიწადი ვიცხოვრე ქალაქში: დ. შენგ. ბ. ქ., 51, 38; პირველს დღესვე არჩილმა ვენახში წაიყვანა გიორგი: ილია, I, 449, 11; დათიკო ყოველ დღით სკოლაში მიდიოდა: ილია, I, 270, 32; გლეხი ... ყველიერის დაურწყებდას ჩამოვიდა სასახლეში: აკაკი, IV, 29, 25; გაზეთის კითხვა ვახუშტის დრომდე გაგრძელდა: ლ. ქიაჩიანი, III, 276, 40...

გ) ვითარების გარემოებასთან: უპარადოქსო აზროვნება უმარაგო თევზსავით უგემურია: კ. გამს., I, 139, 15; ზვიმირს პირი დაუღია მშვიერ გლახასავით: ვაჟა, V, 111, 35; ზოგჯერ ცრემლი მდუმარე წვიმისაებრ ნაყოფის გამომცემელია: ილია, I, 469, 1; თამარი ჩქარი ნაბიჯით მიდიოდა: კ. გამს., I, 138, 4...

დ) მიზეზის გარემოებასთან: ახალგაზრდა უადგილო მხიარულებისათვის გაქარხეს: აკაკი, IV, 26, 6; სულ მცირე მიზეზის გამო აიშლებოდნენ ძმობილები: კ. გამს., I, 642, 19; ქვიშის დევნის გამო კინალამ სისხლი დაიღვარა: მ. ჭავჭავაძე, IV, 336, 16...

ე) მიზეზის გარემოებასთან: გიორგი ტყეში ყოფილიყო ჭიგოს საჭრელად: ილია, I, 434, 1; დიად ხუთწლედის გამარჯვებისათვის იბრძვის მუშათა ენთუზიაზმი: ალ. მირცხ., 49, 16...

7. განსაზღვრება შეიძლება ახლდეს განსაზღვრებას. აქ განარჩევენ სამ შემთხვევას: 1. ატრიბუტული განსაზღვრება ახლავს ატრიბუტულ განსაზღვრებას; 2. ატრიბუტული განსაზღვრება ახლავს სუბსტანტიურ განსაზღვრებას და 3. სუბსტანტიური განსაზღვრება ახლავს სუბსტანტიურ განსაზღვრებას.

ა) ატრიბუტული განსაზღვრება ახლავს ატრიბუტულ განსაზღვრებას: გუშინ ერთი აბგა მწყერი გამოეგზავნა: ილია, I, 340, 10; ერთმა თედეს მოშურნე კაცმა ორი ურემი პური დაფქვა: ვაჟა, V, 109, 10; ბაბალემ ჭიბილამ ამოიღო ერთი გაბმა აბრეშუმი: ილია, I, 337, 19; ვასომ ერთი სროლა ტყვია-წამალი მომცა: ვაჟა, V, 33, 11...

ბ) ატრიბუტული განსაზღვრება ახლავს სუბსტანტიურ განსაზღვრებას: მზე ლურჯი ეკლესიის გუმბათს ამოსცილდა: რ. ინან., 43, 7; გაქცეული სეხნიას მამა სამოცდაათი წლის აბრამი საპატიმროში დაამწყვდიეს: მ. ჭავჭავაძე,

IV,36,22; ისინი უჩვენებენ ხმელი წიფლის მიდამოს: ვაჟა, V,86,8...

გ) სუბსტანტიური განსაზღვრება ახლავს სუბსტანტიურ განსაზღვრებას: ნიაღვრებს წაეშალათ ურმის ბორბლების კვალი: ე. ყიფშ., I,151,23; სულ ჩვენებიანთ სოლომონის ვირსა ჰგავს: ვაჟა, V,230,15...

§ 53 განსაზღვრება ერთგვარ საზღვრულებთან. ატრიბუტული განსაზღვრება შეიძლება ახლდეს ორ ან მეტ საზღვრულს, რომელთაც იგი ეთანხმება ბრუნვაში. ასეთებია: ძველი ჩოხა და ნაბადი ზამთარში მოგეწონებო (ანდ.); წუნი აკაცი და ქალი წუნიობაში გამოლამდებიანო (ანდ.); ქალის აღნაგობიდან ამდგარი სილბო და სიტყო განუსაზღვრელ სასოებას ჰგვრიდა მის დაქანცულ სულს: კ. გამს., I,96,17; ის იყო ჩემი გული და სული: ილია, I,154,30; ეხლა სხვა დავითები და სიმონები გამოვიდნენ სტენაზე: ე. ნინ., I,229,11; ბალიდან რამდენიმე კაცი და ქალი გამორბოდა: კ. ლორთქ., 11,26; ოცი ქალი და კაცი მკიდა ყანას; გოჩამ ხუთი ქალიშვილი და ვაჟიშვილი აღზარდა; ოცამდე ქალი და კაცი ესტუმრა სოფელს; ხუთი ოდე შაშვი და ბელურა დაფრინავდა ნახნავეებში; შდრ. ზანური: თინა ორდუ ჩქიმი შური დო გური — ის იყო ჩემი სული და გული; სვანური: ალ ღასე მიშგვი ქვინ ი გვი...; გოჩად ვოხუშ დ დინა ი ნაეღურ ანირდ — გოჩამ ხუთი ქალიშვილი და ვაჟიშვილი აღზარდა...

მოულოდნელი არ არის რიცხვში შეთანხმებაც: ბალახით მოჯერებულნი შველი და ცხვარი გვერდის გვერდ იდგნენ: ვაჟა, VII,24,26...

§ 54. რამდენიმე არაერთგვარი განსაზღვრება საზღვრულთან. ერთ საზღვრულთან შეიძლება გვქონდეს რამდენიმე არაერთგვარი განსაზღვრება. ასეთ შემთხვევაში ყოველი განსაზღვრება სინტაქსურად უკავშირდება საზღვრულს, რომელიც ბრუნვაში ითანხმებს ან მართავს მათ.

სწორი აზრის გადმოსაცემად სიტყვათა მტკიცე რიგის საჭიროებაც ჩნდება, რამდენადაც შესიტყვების მთავარი სიტყვა ამას მოითხოვს.

ლ. ლეჟავამ, რომელმაც შეისწავლა რამდენიმე არაერთგვარ-მსაზღვრელიანი შესიტყვება, ერომანეთს დაუპირისპირა ასეთი შესიტყვებები: „სოფლის ყველა სტუმარი“ და „ყველა სოფლის სტუმარი“, „კოლექტივის ახალი წევრი“ და „ახალი კოლექტივის წევრი“, „პირველი კლასის დამრიგებელი“ და „კლასის პირველი დამ-

რიგებელი“... და დაასკვნა, რომ სიტყვათა სხვადასხვანაირად და-  
ლაგების შედეგად სრულიად განსხვავებული შინაარსი ეძლევა-  
ერთი და იმავე სიტყვებისაგან შედგენილ შესიტყვებებს<sup>100</sup>.

საოპოზიციო შესიტყვებებში მთავარი სიტყვებია ს ტ უ მ ა -  
რ ი, წ ე ვ რ ი, დ ა მ რ ი გ ე ბ ე ლ ი.

პირველ შესიტყვებაში მთავარი სიტყვაა ს ტ უ მ ა რ ი, მისი-  
განსაზღვრებებია ყ ვ ე ლ ა და ს ო ფ ლ ი ს, მეორეში — მთავა-  
რი სიტყვაა აგრეთვე ს ტ უ მ ა რ ი, მისი განსაზღვრებაა ს ო ფ -  
ლ ი ს, ამ უკანასკნელისა — ყ ვ ე ლ ა.

განსხვავებაა მათ შოშის ბრუნვის მიხედვითაც: პირველ წინა-  
დადებაში ყ ვ ე ლ ა სახელობით ბრუნვაშია, მეორეში — ნათესაო-  
ბითში, თუმცა ეს გარეგნულად არაა გამოხატული.

სხვაობაა კომპონენტთა დამოკიდებულების მიხედვითაც: შე-  
სიტყვებებში „სოფლის ყველა სტუმარი“, „კოლექტივის ახალი  
წევრი“, „კლასის პირველი დამრიგებელი“ ... თითო საზღვრულთაჲ  
ორ-ორი განსაზღვრებაა: ერთი მართული, მეორე — შეთანხმებული,  
ხოლო შესიტყვებებში: „ყველა სოფლის სტუმარი“, „ახალი კო-  
ლექტივის წევრი“, „კლასის პირველი დამრიგებელი“... გვაქვს თან-  
მიმდევრული დაქვემდებარება: აქაც წამყვანი სიტყვაა ს ტ უ მ ა -  
რ ი, მასზე დამოკიდებულია მართული სიტყვა — ს ო ფ ლ ი ს და  
ამ უკანასკნელის მსაზღვრელი, მასთან ბრუნვაში შეთანხმებული —  
ყ ვ ე ლ ა (და ასე: „ახალი კოლექტივის წევრი“: წ ე ვ რ ი წამყვა-  
ნი კომპონენტია, მას უკავშირდება ბრუნვაში მართული კ ო ლ ე ქ -  
ტ ი ვ ი ს, ხოლო ამ უკანასკნელს ეთანხმება ა ხ ა ლ ი...).

ჩვენთვის ამ შემთხვევაში საინტერესოა ისეთი შემთხვევები,  
როდესაც მსაზღვრელ სახელთან დაკავშირებულია მასთან ბრუნვა-  
ში შეთანხმებული მსაზღვრელები, ატრიბუტული განსაზღვრებები.  
ასეთებია: უკან მოსდევდა ბორკილის ჩხარა-ჩხურით ერთი ტანში  
მოკაკული დროული გრძელწვერა ტუსალი: ილია, I,311,36; თათ-  
ქარიძის ოთახში იდგა ორი გრძელი ტახტი: ილია, I,326,15; ქარ-  
თულმა გაზეთმა ერთი უცნაური მითიური წერილი გადმოგვიშურ-  
დულა: აკაკი, VII,520,3...; თბილმა შეგუბებულმა ჰაერმა მოძრაო-  
ბა დაიწყო: ილია, I,406,16; სამოვრის დადგმა შეეუკვეთე ერთს  
ფეხმოტეხილს სალდათსა: ილია, I,249,22...

ირკვევა, რომ რამდენიმე არაერთგვარი მსაზღვრელის რიგი  
სტაბილური არაა, მაგრამ მაინც შენიშნულია:

<sup>100</sup> ლ. ლ ე ქ ა ვ ა, მსაზღვრელთა რიგა რამდენიმე არაერთგვარმსაზღვრე-  
ლიან შესიტყვებებში: კრებული „ქართული სიტყვის კულტურის საკითხები“,  
წიგნი I, თბ., 1972, გვ. 60.

1. ატრიბუტულ განსაზღვრებათაგან უპირატესად პირველ ადგილზეა რიცხვითი სახელი („შვიდასი ურემი ძნა მოზიდეს კალო-ზე“: კ. ლორთქ., 142,14...), ნაცვალსახელი („ჩემს სამშობლოს ქვეყანას ვუახლოვდები“: ილია, I,249,19...), მიმლეობა („დაინახეს გადმომდგარი მშვენიერი ხარირემი“: ი. გოგებ., IX,18,7...).

2. როცა ორივე მსაზღვრელი გადმოცემულია ზედსართავი სახელებით, პირველ ადგილზე დაისმის ვითარებითი ზედსართავი სახელი, მეორეზე — მიმართებითი<sup>101</sup>.

მაგრამ, შედარებით იშვიათად, საზღვრული შეიძლება აღმოჩნდეს განსაზღვრებათა შორის: სადაც დიდებულს მთასა მყინვარსა ორბნი, არწივნი ვერ შეჰხებიან: ილია, I,185,4; შენს თვალებში კანდელს აქრობს ზღვით ნატყორცნი სიო გრილი: ი. გრიშ., 335,17; შორნი მნათობნი მოკამკამენი იმ მწუხარს ღამეს მხიარულობდნენ: ილია, I,147,16.

როგორც ვხედავთ, თანამედროვე ქართულში ჩვეულებრივ მრავალგანსაზღვრებიანი საზღვრული სახელი შეიძლება მოსდევდეს განსაზღვრებებს და ამდენად განსაზღვრებებზე წინ უსწრებდნენ მას, ან განსაზღვრებათა შორის იყოს მოქცეული, რასაც თავისი საფუძველი აქვს.

სინტაქსური ურთიერთობა ყველგან შეთანხმებით აღინიშნება, მაგრამ, როდესაც საზღვრული ორ განსაზღვრებას შორის მოექცევა, შესიტყვების პირველი სინტაგმა პრეპოზიციული განსაზღვრების თვისებას ამჟღავნებს, მეორე სინტაგმა — პოსტპოზიციურისას. რის შედეგადაც პირველ შემთხვევაში ბრუნვის ნიშანი შენარჩუნებულია სახელობითში, მოთხრობითსა და წოდებითში, ნაწილობრივ მოიკვეცება ნათესაობითსა და მოქმედებითში, მთლიანად — შიშობითსა და ვითარებითში; მეორე შემთხვევაში განსაზღვრებას ბრუნვის ნიშანი ახლავს ყველა ბრუნვაში ისევე, როგორც დამახასიათებელია პოსტპოზიციური წყობისათვის (შდრ. ზღვით ნატყორცნი სიო გრილი, ზღვით ნატყორცნმა სიომ გრილმა, ზღვით ნატყორცნი სიოს გრილს, ზღვით ნატყორცნი სიოს გრილის, ზღვით ნატყორცნი სიოთ გრილით...).

<sup>101</sup> ლ. ლევა ვა, მსაზღვრულთა რიგი რამდენიმე არაერთგვარმსაზღვრელიან შესიტყვებაში, გვ. 97—98; ც. კალაძე, განსაზღვრება ქართულში, გვ. 108; ლ. ლევა ვაძე, თანამედროვე ქართული ენის სინტაქსი, გვ. 168—170.

სპეციალურ ლიტერატურაში მითითებულია ისიც, რომ აფხაზურში, აბაზურსა და უბიხურში ჩაოდნობითი რიცხვითი სახელი პრეპოზიციული წყობისაა. გ. როგავა, ატრიბუტული ჩაოდნობითი რიცხვითი სახელების პოსტპოზიციური წყობა ადიღურ ენებში: თბილისის უნივერსიტეტის შრომები, 174, ენათმეცნიერება, 1976, გვ. 185.



ძველ ქართულში მსაზღვრელთა ადგილის მიხედვით სამგვარი წყობაა შენიშნული: 1. ყველა განსაზღვრება საზღვრულის წინაა დასმული, 2. საზღვრული მოქცეულია განსაზღვრებათა შორის ან 3. განსაზღვრებებს წინ უძღვის საზღვრული<sup>102</sup>.

§ 55. ატრიბუტული განსაზღვრების ადგილი. თანამედროვე ქართულში ატრიბუტული განსაზღვრება ჩვეულებრივ დაისმის საზღვრულის წინ და ეთანხმება მას ბრუნვაში. ძველ ქართულის ორიგინალურ ძეგლებში, როგორც ეს შენიშნულია, პოსტპოზიციურთან შედარებით უფრო თვალსაჩინო იყო პრეპოზიციული წყობა<sup>103</sup>. ძველსავე ქართულში უპირატესად პრეპოზიციულად იხმარებოდა რიცხვითი სახელი და ზოგი ნაცვალსახელი<sup>104</sup>.

ტოპონიმიკურ სახელთა მონაცემების მიხედვით ქართველურ ენებში ატრიბუტული განსაზღვრება გვხვდება საზღვრულის წინაც და მის შემდეგაც, მაგრამ უფრო ხშირია პირველი<sup>105</sup>, შდრ. ქართ.: შ ა ვ წ ყ ა ლ ი, გ რ ძ ე ლ ი ქ ა ლ ა, გ ძ ე ლ გ ო რ ი, დ ი დ წ ი ფ ე ლ ა... და: და ბ ა ძ ე ე ლ ი, კ ო ნ დ ი დ ი...; ზ ა ნ უ რ ი: ა) მეგრული: დ ი დ ც ვ ა ნ ა, დ ი დ ი ქ ყ ო ნ ი, უ ჩ ა ლ ე ლ ე, ჩ ხ ო რ ო წ ყ უ... და: დ ი ხ ა ქ ი თ ე, წ ყ უ რ გ ი ლ ი, ჯ ა ლ უ ჩ ა, ჩ ხ ვ ი ნ დ ლ უ ლ ა...; ბ) ქანური: ქ ი ტ ა დ ა ლ ი, ო რ თ ა ხ ო ფ ს უ მ ქ უ მ ა... და: ლ ა ლ დ ი დ ი, ზ ე ნ დ ი დ ი, წ ყ ა რ ყ ი ნ ი... და ა. შ.

### განსაზღვრებისა და საზღვრულის სინტაქსური ურთიერთობა

§ 56. პრეპოზიციული განსაზღვრება. თანამედროვე ქართულში ატრიბუტული განსაზღვრება ჩვეულებრივ საზღვრული სახელის

<sup>102</sup> ლ. ქ ა ნ თ ა რ ი ა, მსაზღვრელის ადგილი რამდენიმე მსაზღვრელიან წინადადებაში: კრებული „სახელის ბრუნების ისტორიისათვის ქართველურ ენებში“, I, ვ. თოფურაის რედაქციით, თბ., 1956, გვ. 328.

<sup>103</sup> ე. კ ა ლ ა ძ ე, განსაზღვრება ქართულში, გვ. 79; ვ. კ ა ხ ა ძ ე, მსაზღვრელ-საზღვრულის თანმიმდევრობა ოთხთავში: კრებული, „სახელის ბრუნების ისტორიისათვის ქართველურ ენებში“, I, გვ. 329—338; თ. ე ქ ი ტ ი შ ვ ი ლ ი, ებეკიელის წიგნის ძველი ქართული ვერსიები, თბ., 1976, გვ. 287.

<sup>104</sup> ი. ი მ ნ ა ი შ ვ ი ლ ი, სახელთა ბრუნება და ბრუნვათა ფუნქციები ძველ ქართულში, გვ. 556.

<sup>105</sup> ზ. კ უ მ ბ ზ რ ი ძ ე, მსაზღვრელ-საზღვრულის ადგილისათვის ქართველურ ენებსა და აფხაზურში: კრებ. „სახელის ბრუნების ისტორიისათვის ქართველურ ენებში“, I, გვ. 327; ე. ლ ო მ თ ა ძ ე, მსაზღვრელ-საზღვრულის ურთიერთობა მეგრულში: „იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება“, VI, 1954, გვ. 208; Г. А. К л и м о в, К вопросу о порядке членов атрибутивного комплекса в картвельских языках: კრებული «Вопросы изучения иберийско-кавказских языков», М., 1961, с. 257.

წინაა იმის მიუხედავად, თუ რა მეტყველების ნაწილითაა იგი გადმოცემული. ყველგან გვაქვს ბრუნვაში შეთანხმება. ბრუნვის ნიშნებს ირთავს ბოლოთანხმოვნიანი განსაზღვრება, ნიშნების გარეშეა ბოლოხმოვნიანი.

1. ს ა ხ ე ლ ო ბ ი თ ი ბ რ უ ნ ვ ა. სახელობით ბრუნვაში დასმული ბოლოთანხმოვნიანი განსაზღვრება ირთავს -ი ბრუნვის ნიშანს: ფარდულთან მაღალი კაცი გაჩერებულიყო: თ. კილ., 76,23; ავიღე ორლულიანი თოფი: ილია, I,264,33; ბუჩქებიდან თაფლისფერი მოზვერი გამოვიდა: ე. ყიფ., I,158,12 და ასე: ზუთი კაცი ერთბაშად ამბობდა სადღეგრძელოს: კ. ლორთქ., 4,5; ჩაფი ღვინო აბაზად ყოფილა: ვაჟა, V,271,20; ჩემი მოხვეევი სანახავად ღირსი იყო: ილია, I,258,14...

ბოლოხმოვნიანი განსაზღვრება ფუძის სახითაა წარმოდგენილი: თეთრწვერა მოხუცი შემოვიდა ოთახში: კ. გამს., V,396,11; ვერცხლეულა იორი მიმღერდა ამ სიტყვას: გ. ლეონ., 6,4; მიკიოტის ყრუ ძახილი ისმოდა: გ. შატბ., II,80,15...

2. მ ო თ ხ რ ო ბ ი თ ი ბ რ უ ნ ვ ა. ბოლოთანხმოვნიან განსაზღვრებას მოთხრობით ბრუნვაში ყოველთვის ერთვის -მა ნიშანი: მეცნიერმა აფიცერმა თითებზედ იკოცა: ილია, I,252,23; ხმელმა ფოთოლმა ფიცრულზე გაიშრიალა: ს. კლდ., 230,12 და ასე: ბევრმა წყალმა ჩაიარა: ილია, I,418,21; ჩემმა მოხვეემ მე კიდევ ბევრი რამ სხვა მითხრა: ილია, I,262,18..., შდრ. ბოლოხმოვნიანი განსაზღვრება: ჟუჟუნა წვიმამ გადაიღო: ვაჟა, VII,73,15; უგულისყურო ბიჭმა პირჯვრის წერა ისწავლა: აკაკი, IV,46,13...

3. მ ი ც ე მ ი თ ი ბ რ უ ნ ვ ა. მიცემით ბრუნვაში დასმული განსაზღვრება თანამედროვე ქართულში ორნაირადაა წარმოდგენილი: 1. როგორც წესი, არ ახლავს ბრუნვის ნიშანი: არჩილი მოუთმენლად ათვალიერებდა უცნაურ სტუმარს: გ. შატბ., II, 148,10; მამასახლისი მოხუცი მებაღურს მიუბრუნდა: კ. ლორთქ., 193,5; მ ა ყ ვ ლ ი ა ნ ხ ე ვ შ ი რ ვ ა კ ა ც ი კ უ ნ ძ ი ვ ი თ ჩ ა ვ ა რ დ ნ ი ლ ი ყ ო : მ. ჯავახ., IV,359,18; თერას ძველებურ ტახტზე მოექცეა მუხლი: გ. შატბ., II,143,3...; 2. საზღვრულთან ერთად ირთავს მიცემითის ნიშანს (ა. შანიძე მას აღრიხნდელ სახეობას უწოდებს, ს. ჯანაშია — ს რ უ ლ ს) და გვაქვს: ს ა ხ ე ლ ო ვ ა ნ ს კ ა ც ს სა ხ ე ლ ი მი ე მ ა ტ ა : ვ ა ჯ ა , V , 3 1 4 , 1 1 ; ფ რ თ ხ ი ლ ს ძ ა ლ ლ ს პ ა ტ რ ო ნ ის გ ა რ ე თ ვ ა ს ვ ლ ა არ გამოეპარა: ილია, I, 471,23; ხ მ ე ლ ს წ ი ფ ე ლ ს წ ა ს ვ ლ ი ა ს ი ც ო ც ხ ლ ის ნ ი შ ა ნ წ ყ ა ლ ი : ვ ა ჯ ა , V , 8 4 , 1 8 ...

ეს ფორმა შეინარჩუნა განსაზღვრებად გამოყენებულმა კუთვნილებითმა ნაცვალსახელმა მიცემითსა და ვითარებითში: ჩ ე მ ს ა მ ხ ა ნ ა ვ ს , შ ე ნ ს ა მ ხ ა ნ ა ვ ს , ჩ ე ვ ე ნ ს ა მ ხ ა ნ ა ვ ს , თ ქ ე ვ ე ნ ს ა მ ხ ა -

ნავს, მათს ამხანავს<sup>106</sup>; ჩემს თვალს ძილი არ მიჰკარებია: ილია, I, 304, 37; ჩემს სოფელს მარჯვნივ გუბაზოული ჩაუდის: ნ. დუმბ., 5, 5; შენს სიკეთეს თავის გულისფიცარზედა სწერს: ილია, I, 280, 37; მიმიღეთ თქვენს გუნდში: აკაკი, IV, 123, 29; თქვენს მდივანს ჰკითხეთ: მ. ჯავახ., I, 170, 16...

მიცემითი ბრუნვის -ს ნიშანი შენარჩუნებული აქვს განსაზღვრებას აგრეთვე, თუ იგი წარმოქმნილია ვითარებითი ან მოქმედებითი ბრუნვებისაგან: პირველადს პარტორგანიზაციას, პირველადს მოვლენას, ფულადს სახსრებს..., განმეორებითს მეცადინეობას, კვებითს რეჟიმს, დროებითს მოვლენას...<sup>107</sup>

მიცემითი ბრუნვის ნიშანი შემონახულია ორაზროვნების თავიდან ასაცილებლად, მაგ. „ახალგაზრდამ პირველად პარტიულ ორგანიზაციას მიმართა განცხადებით“ შეიძლება გავიგოთ ორნაირად: 1. „ახალგაზრდამ პირველადს პარტიულ ორგანიზაციას მიმართა განცხადებით“ და 2. „ახალგაზრდამ პირველად მიმართა პარტიულ ორგანიზაციას განცხადებით“.

თუ პირველადს-ს ზედსართავ სახელად ვიგულისხმებთ, იგი განსაზღვრებაა და ბრუნვაში ეთანხმება საზღვრულს; მეორე შემთხვევაში იგი ზმნისართია და ამდენად, გარემოებაა წინადადებაში.

ასეთივეა „განმეორებითი მეცადინეობა დანიშნა“, აქედან მიცემითში უნდა იყოს „განმეორებით მეცადინეობას დანიშნავს“, მაგრამ ეს, ერთი მხრივ, უღრის — „განმეორებითს მეცადინეობას დანიშნავს-ს“, მეორე მხრივ, — „განმეორებით დანიშნავს მეცადინეობას“; ასე: „კვებით რეჟიმს არღვევს“ შეიძლება გავიგოთ ორნაირად: 1. „კვების რეჟიმს არღვევს“ და 2. „კვებით არღვევს რეჟიმს“.

ანალოგიურია -ივით ნაწარმოები ზედსართავი სახელი: „ჩვეულებრივი იონჯა“, „ბუნებრივი საქმე...“: „ჩვეულებრივს იონჯას იყენებენ პირუტყვის საკვებად“, შდრ. „ჩვეულებრივს იონჯას იყენებენ პირუტყვის საკვებად“... როგორც

<sup>106</sup> ს. ჯანაშია, შრომები, III თბ., 1959, გვ. 281; ვ. თოფურია, ქართული ენა, განაკვეთი III—IV, თბ., 1933, გვ. 42—43; თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმები, I, 1970, გვ. 133.

<sup>107</sup> ს. ჯანაშია, შრომები, III, გვ. 281; არნ. ჩიქობავა, ქართული ენის ზოგადი დახასიათება, გვ. 048, ლ. კვაქაძე, თანამედროვე ქართული ენის სინტაქსი, გვ. 174; ნ. ბასილაია, ქართული მართლწერის საკითხები, I, სოხუმი, 1960, გვ. 273; თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმები, I, გვ. 133.

ჩანს, ასეთ შემთხვევებში ბრუნვის ნიშნის ჩამოშორებით ნელდება საზღვრულთან სინტაქსური დამოკიდებულების სიძლიერე და ზედსართავი სახელები: პ ი რ ვ ე ლ ა დ-ი, გ ა ნ მ ე ო რ ე ბ ი თ-ი, კ ვ ე ბ ი თ-ი, ჩ ვ ე უ ლ ე ბ რ ი ვ-ი... ზმნა-შემასმენელთან მიართულ ზმნისარაის ან ზმნისმიერ მართულ სახელებს მოგვაგონებენ.

ბოლოხმოვნიაანი განსაზღვრება ბრუნვის ნიშანს არ ირთავს: ამ სიტყვებმა მერაბს პატარა ოთახში მოუსწრო: ე. ყიფ., I,89,17; თებრო მიათხოვეს ვინმე უსახლკარო გლენს: რ. გვეტ., 114,3... მაგრამ მეცხრამეტე საუკუნის მწერალთა ენაში გვხვდება ძველი ვითარებაც: ზოგჯერ ბოლოხმოვნიან განსაზღვრებას ერთვის ბრუნვის ნიშანი: ჩემს სამშობლოს ქვეყანას ვუახლოვდებოდი: ილია, I,249,19; პაპაჩემი მეორეს დილას ვნახე: ვაჟა, V,181,33; დაიძრნენ ტყილამ ნადირნი ვირის მქუხარეს ხმაზედა: ვაჟა, III,338,2...

ასეთი ფორმები თანდათან გადაშენდა.

4. ვ ი თ ა რ ე ბ ი თ ი ბ რ უ ნ ვ ა. ვითარებით ბრუნვაში დასმული განსაზღვრება ბრუნვის ნიშნის გარეშეა: შენ მიმაჩნიხარ ჩემ საყვარელ ძმად: აკაკი, IV,216,30; მთელი თბილისი ლამაზ ქალად მთვლის: მ. ჭავჭავაძე, I,141,20; თქვენს დისწულს კანონიერ მეუღლედ არა ვთვლი: კ. გამს., V,456,10...

ბოლოხმოვნიაანი განსაზღვრება აქაც მხოლოდ ფუძის სახითაა: ყრუ კაცად, მოკლე ჯოხად, ფართო გზად, პატარა ბავშვად.

კუთვნილებითი ნაცვალსახელით გადმოცემული განსაზღვრება მიცემითის ნიშანს ირთავს: ჩემს ამხანაგად, შენს ამხანაგად, ჩვენს ამხანაგად, თქვენს ამხანაგად, მათს ამხანაგად<sup>108</sup>: მიმაჩნიხარ ჩემს ამხანაგად; ვთვლი შენს ამხანაგად...

მიცემით ბრუნვაში დასმული განსაზღვრება ვითარებითში დასმულ საზღვრულთან გვაქვს სხვა შემთხვევაშიც: ეს სისუსტე კიდევ უფრო საყვარელს ბავშვად ჰდიდა მას: ი. გოგებ., IX,54,1; ეს სიტყვები გახურებულს ნალვერდალად მოხვდა გულს: ა. ყაზბ., I,258,26...

5. ნ ა თ ე ს ა ო ბ ი თ ი ბ რ უ ნ ვ ა. ნათესაობით ბრუნვაში დასმულ საზღვრულთან ბოლოთანხმოვნიაანი განსაზღვრება სამნაირადაა წარმოდგენილი: 1. შემონახული აქვს ბრუნვის ნიშანი მთლიანად, 2. მოკვეცილია ბრუნვის ნიშანი ნაწილობრივ და 3. მოკვეცილია ბრუნვის ნიშანი მთლიანად.

<sup>108</sup> არს. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, ქართული ენის ზოგადი დახასიათება, გვ. 048, თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმები, გვ. 133.

მაგალითები:

I. განსაზღვრებას შემონახული აქვს ბრუნვის ნიშანი მთლიანად: დიდის ჭანდრის ქვეშ დაჯექი: ვაჟა, VI, 81, 20; ერთის ციხე-დარბაზის ჭერზევე ბუღბუღნენ თავგები: ილია, I, 249, 39; მთელის ქვეყნის ოსტატობა... მუღამ ხელთა გქონდეს: ილია, I, 276, 29...

II. განსაზღვრებას ნაწილობრივ მოკვეცილი აქვს ბრუნვის ნიშანი: იკარგება -ს, შემორჩენილია -ი: გამოვიდა ცხენოსანი ჯარის სარდალი პაპუნა წერეთელი: აკაკი, IV, 404, 32; კამარელი ათასნიარად ასაბუთებს საკუთარი გრძნობის უსუსურობას: ალ. აბაშ., II, 231, 19; ნუცა სამზარეულოში აღუღებული სამოვრის წინ იჯდა: მ. ჯავახ., I, 34, 30...

III. განსაზღვრებას მთლიანად მოკვეცილი აქვს ბრუნვის ნიშანი: ჩვენ დაგვაყენეს დიდ ბატონის ნათლიდელასთან: ილია, I, 270, 22; გამოიჩინა სახე მაღალ მთის წვერიდამ ღამის მნათობმა კეკლუცმა მთვარემ: აკაკი, IV, 147, 14; ცხვარი... ახალ ცხოვრების თანაქმად იქნდა ახალ ზნე-ჩვეულებას: ვაჟა, VII, 21, 28...

მე-19 და მე-20 საუკუნეების ქართულში ერთმანეთის გვერდით დამკვიდრებულია ნათესაობითში დასმული განსაზღვრების სამივე სახე (სრული, გარდამავალი, შეკვეცილი), შდრ. ხმელის წიფლის ახლო რამდენიმე უოლის ფეხია მოსული: ვაჟა, V, 84, 16; ხმელი წიფლის კენწეროზე ქედნები სხდებოდნენ: ვაჟა, VII, 48, 14; მონადირეებს ენახათ ხმელ წიფლის გარშემო დედა ვეფხის და იმის ლეკვის კვალი: ვაჟა, V, 86, 11...

სამი ფორმის ერთდროულად არსებობას აქვს თავისი საფუძველი. იგი უნდა ვეძიოთ ენის განვითარების თავისებურებებში.

თანამედროვე სალიტერატურო ქართულისათვის ძირითადი გარდამავალი სახეობა, სადაც ნათესაობითი ბრუნვის ზმონითი ელემენტია შენარჩუნებული.

ბოლოზმონიანი განსაზღვრება ნათესაობით ბრუნვაში დასმულ საზღვრულთანაც ფუძის სახითაა: მისი სახლი... საკომენდანტო ქუჩის კუთხეში იდგა: მ. ჯავახ., IV, 277, 25; უძილა ღამეების ამბავს მომითხრობენ ეს ასოები: კ. გამს., I, 293, 22...

6. მოქმედებითი ბრუნვა. მოქმედებით ბრუნვაში დასმულ საზღვრულთანაც განსაზღვრება წარმოდგენილია: 1. ნაწილობრივ მოკვეცილი სახით: -ი-ით (ჩქარი ნაბიჯით...), 2. მთლიანად მოკვეცილად (მაღალ ხმით...) და 3. ნათესაობითი დაბოლოებით (ცალის ფეხით...), ე. ი. აქაც გვაქვს გარდამავალი სახეობა, შეკვეცილი და სრული.

მაგალითები:

ა. ნაწილობრივ მოკვეცილია: თამარი ჩქარი ნაბიჯით მიდიოდა: კ. გამს., I,138,4; დაბურული ტყით შემორტყმულ მდელიაზე დიდი ქრიაშული ისმოდა: ვაჟა, VII,68,2...

ბ. მთლიანად მოკვეცილია: ლუარსაბი გადასძახებდა ძილისაგან გაბრუებულ ხმითა თავის მოურავს დათოსა: ილია, I,332,36; ლუარსაბს სახე ერთ განსაკუთრებულ სულელობით უცინოდა ხოლმე: ილია, I,328,2.

გ. ნათესაობითის დაბოლოებითაა: ბიძაჩემმა შველი ცალის ფეხით ჩამოჰკიდა: ვაჟა, V,74,3; ჩაილაპარაკა ხრინწიანის ხმით მოხუცმა: აკაკი, VII,242,7...

ბოლოხმოვნიანი განსაზღვრება ფუძის სახითაა: თვალები მდუღარე ცრემლით ამევსო: ნ. დუმბ., 41.18; ივანე ... წოწლოკინა ქუდით წინ მიუძღვებოდა: ვაჟა, VII,71,7...; იშვიათად კი შეიძლება ნათესაობითის ფორმით შეგვხვდეს: ხეები მორთულან მწვანის ფოთლით: ვაჟა, V,85,35.

7. წოდებითი ბრუნვა. წოდებითში დასმულ საზღვრულთან განსაზღვრებაც წოდებითში დაისმის: კეთილო კაცო, საით წავიდე? ხ. ბერ., 70,1; მე ეგრად მინდა, ამხანაგო სიმონ! კ. ლორთქ., 529,4...

ამგვარად, თანამედროვე სალიტერატურო ქართულში ერთმანეთისაგან განსხვავებულია ბოლოთანხმოვნიანი და ბოლოხმოვნიანი განსაზღვრებები. ორივე სახის განსაზღვრება ბრუნვაში ეთანხმება საზღვრულს, მაგრამ ბოლოთანხმოვნიანი განსაზღვრებისათვის ძირითად ფორმებად მიჩნეულია გარდამავალი სახეობა, როდესაც მას ბრუნვის ნიშანი მთლიანად შენარჩუნებული აქვს სახელობითში, მოთხრობითსა და წოდებითში, ნაწილობრივ მოკვეცილი აქვს ნათესაობითსა და მოქმედებითში და მთლიანად მოკვეცილი — მიცემითსა და ვითარებითში. ძირითადი ფორმის გვერდით დასაშვებადაა მიჩნეული სრული სახეობა მიცემითსა და ნათესაობითში (დიდს საქმეს, დიდის საქმის...), აგრეთვე ვითარებითსა და მოქმედებითში (დიდს საქმედ, დიდის საქმით...). ეს უკანასკნელი აუცილებელია იმ შემთხვევაში, როდესაც განსაზღვრების ფუძედ გამოყენებულია ვითარებითისა და მოქმედებითი ბრუნვების ფორმები.

ბოლოხმოვნიანი განსაზღვრება ფუძის სახით უკავშირდება საზღვრულს და ივარაუდება იმავე ბრუნვაში, რომელშიც საზღვრულია (მწვანე ფოთოლი, მწვანე ფოთოლმა, მწვანე ფოთოლს...).

პროფესიის, თანამდებობის, წოდების, ხელობის ... აღმნიშვნელი ბოლოთანხმოვნიანი არსებითი სახელები (ინჟინერი, მასწავლებელი, ექიმი, დოცენტი, პროფესორი, კაპიტანი, მაიორი, გენერალი,

ბრიგადირი...), რომელთაც და ნ ა რ თ ს ა ც უწოდებენ, განსაზღვრებად გამოყენების შემთხვევაში ბრუნვის ნიშნებს ირთავენ მხოლოდ სახელობითში, მოთხრობითსა და წოდებითში<sup>109</sup>: ექიმი ჯაფარიძე, დოცენტი ყიფიანი. პროფესორი გამრეკელა...: ექიმმა ჯაფარიძემ, დოცენტმა ყიფიანმა, პროფესორმა გამრეკელმა..., მაგრამ ექიმ ჯაფარიძის, დოცენტ ყიფიანის, პროფესორ გამრეკელის... და ასე: დეპუტატ გოცირიძის, დეპუტატ გოცირიძით..., გენერალ ლესელიძის. .: მაგალითები: ჩვენ შევძლებთ ინჟინერ ბაზიარის მოდრეკას: პ. ჩხიკვ., 131,10; პროფესორ კორინთელის შემთხვევითს გამოვლას მოჰყვა სახლის ბალავერის განვრცობა: ე. გამს., V,421,32; ჯარისკაც მინდელის ჩანთაში ვიპოვნეთ: ხ. ბერ., 16,1; კაპიტან გელოვანის ბატალიონში ძნელად მოიძებნებოდა ორი ასე სხვადასხვა ხასიათის კაცი: ე. ლორთქ., 95,3; ისინი კი ამ დროს გენერალ ლესელიძის ბლინდაჟში ისხდნენ: ე. ლორთქ., 230.32; კარგი რამ იყო თავად თათქარიძის სახლ-კარი: ილია, I,321,25...

ასეთივეა განსაზღვრებად გამოყენებული სიტყვები: გაზეთი (გაზეთ „კომუნისტი“, გაზეთ „კომუნისტით“...), ყურნალი (ყურნალ „მნათობის“, ყურნალ „მნათობით“...).

ქართულისაგან განსხვავებით ზანურში პრეპოზიციული ატრიბუტული განსაზღვრება საზღვრულთან ურთიერთობისას არ იცვლება ბრუნვის მიხედვით: ან წარმოდგენილია სახელობითის ნიშნით, ან ფუძის სახით.

მაგალითები:

### ა) მ ე გ რ უ ლ ი

1. სახელობითი ბრუნვა: ახალი ოქოსალი ჯგირო ქოსუნს (ანდ.) — ახალი ცოცხი კარგად გვის; ათეს ცუნა ჟირი ჯოლორი: ხუბ., 104,1 — ამას ჰყავს ორი ძაღლი; შდრ. ბოლოქმოვნიანი: ახალგაზრდა რენტგ ძლაბი ჩქიმო ვარე ანწი ხერი: მას., 92,22 — ახალგაზრდა ცეტი გოგო ჩემთვის არაა სახეირო...

2. მოთხრობითი ბრუნვა: იცუ დიდი ხარებაქ: ყიფშ., 67,12 — შეიქნა დიდი სიხარული; განჯუ კარი მოჩქუმალური კოჩქ: ყიფშ., 99,10 — გაალო კარი გამოგზავნილმა კაცმა; ჰქვერ კოჩქ უწუ ოსურს — ჰქვიანმა კაცმა უთხრა ცოლს..., შდრ. ქიდებადგ ათე ძლაბის ართი ბორო ბაღანაქ: ხუბ., 295,31 — დაეზადა ამ გოგოს ერთი სულელი ბავშვი...

3. მიცემითი ბრუნვა: დიდი ჯას დიდი ნახაფული დუცენს (ანდ.) — დიდ ხეს ბევრი ნაფოტი დასცვივდება; ჯგირი კოს

<sup>109</sup> ა. შ ა ნ ი ძ ე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, გვ. 88; ნ. ბ ა ს ი ლ ა ი ა, ქართული მართლწერის საკითხები, I, გვ. 274.

ჯგირი ამხანაგი ეუნს — კარგ კაცს კარგი ამხანაგი ჰყავს; მანგარ ჯას მუთუნ ვეკართინუანს — მაგარ ხეს ვერაფერი წააქცევს...

4. ვ ი თ ა რ ე ბ ი თ ი ბ რ უ ნ ვ ა: ბალანაქ ... გორთუ ჯგირი ბოშო: ხუბ., 177,26 — ბავშვი იქცა კარგ ბიჭად; რენა დუდიშე დიდი ცქვაფილო: ხუბ., 33,16 — არიან თავიდან დიდ საქებად...

5. ნ ა თ ე ს ა ო ბ ი თ ი ბ რ უ ნ ვ ა: ახალი ეუღეში აშენება გინოჰყვიდუ ართი კოჩქ — ახალი სახლის აშენება გადაწყვიტა ერთ-მა კაცმა; გამეთხიის ხენწფესგ დიდი ჩილამურიში თუდო: ყიფშ., 63,17 — გამოეთხოვნენ ზელმწიფეს დიდი ცრემლების ქვეშ...

6. მ ო ჭ მ ე დ ე ბ ი თ ი ბ რ უ ნ ვ ა: მუშენი რე ასე თელი დღათ შხვადო გილურქ: ხუბ., 87,32 — რატომ არის ახლა მთელი დღით სხვაგან დადიხარ...

7. მ ი მ ა რ თ უ ლ ე ბ ი თ ი ბ რ უ ნ ვ ა: გიშელგ ბეგოქ ართი დიდი მინდორიშა: ხუბ., 99,4 — გამოვიდა ბეგო ერთ დიდ მინდორზე; ვაქარს ოკო ულა შორი ქივანაშა: ხუბ., 74,1 — ვაქარს უნდა წასვლა შორ ქვეყანაში; ქემორთეს თე დიდ ჯაშა: ხუბ., 252,25 — მოვიდნენ ამ დიდ ხესთან...

8. დ ა შ ო რ ე ბ ი თ ი ბ რ უ ნ ვ ა: ჰკვერი კოჩიშე ულუღუ ნარაგადუ: ყიფშ., 25,29 — ჰკვიანი კაცისაგან ჰქონდა ნათქვამი: ეშელგ თუდონი ქიანაშე: ხუბ., 167,38 — ამოვიდა ქვედა ქვეყნიდან, შდრ.: პაპაქ გეითაჰირინუ ფრიმული ტოხილ ფიცარიშე: ხუბ., 287,20 — მღვდელმა გამოყო წვერი ამოჰრილი ფიცრიდან...

9. დ ა ნ ი შ ნ უ ლ ე ბ ი თ ი ბ რ უ ნ ვ ა: გიორგის თენა გაგმუნწყის ირფელი დანიშნული დღაშო: ხუბ., 152,28 — გიორგის ეს გამოუწყვეს ყველაფერი დანიშნული დღისათვის...

## ბ) ჰ ა ნ უ რ ი

1. ს ა ხ ე ლ ო ბ ი თ ი ბ რ უ ნ ვ ა: რაკანის არ დიდი მჰკონი ჰოგელადგინ: ჰან., 11,42,34 — მთაზე ერთი დიდი მუხა დგას; ყინი წყაი ჰოშუ: ჰან., 1,45,30 — ცივი წყალი დალია; ხასანი მონკა ძაბუნი ტუ: ელ. ჰან., 9,28 — ხასანი მძიმე ავადმყოფი იყო...

2. მ ო თ ხ რ ო ბ ი თ ი ბ რ უ ნ ვ ა: არ ბადი კოჩიქ ბალის მცხული გომპონაპტუ: ჰან., 1,87,21 — ერთი მოხუცი კაცი ბალში მსხალს ამყნობდა; ცხენონი კოჩიქ მინდიყონუ ცხენი — ცხენიანმა კაცმა წაიყვანა ცხენი...; ჰიტა ჯუმაქ ჯუმალეფეს ოხოყეფ დუკი-დუფეს: ხოფ., 158,5 — პატარა ძმა ძმებს სახლებს უშენებს...

3. მ ი ც ე მ ი თ ი ბ რ უ ნ ვ ა: კორლონი ხცერი წყარის სქიდუნ: ჰან., 1,112,7 — კოლო დამპალ წყალში ცხოვრობს; დიდი კარდალას ჰიტა კარდალა ჰოდოლოდგუ: ჰან., 1,11,26 — დიდ ქებაში



პატარა ქვაბი ჩადგა...; ტუცა წკაის შექეი ქოდოლობლათან: ჰან., I, 143, 25 — ცხელ წყალში შაქარს ჩაყრიან...

4. მოქმედებითი ბრუნვა: ხოწი იჯიბენ მორდერი ჭუქანითე: ჰან., II, 97, 35 — ხორცი იხარშება მოზრდოლი ქვაბით და ა. შ.

სვანურში ე და ა ბოლოხმოვნიანი განსაზღვრება საზღვრულთან ურთიერთობას ბრუნვის ნიშნის დართვით გამოხატავს: ჩუჲ ასგურდა თვეთნა ბაჩყვი: სვ. პ., 180, 2 — ჩამოჭდა თეთრ ქვაზე; მეშხა ძღღვას ბერალ ხეზგეხ: სვ. პ., 10, 33 — შავ ზღვაზე ბერები სახლობენ; ხოჩამ ყიფმანს ჩუ ლახუედა: სვ. პ., 14, 1 — კარგ ყიფიანს დაეძინა..., მაგრამ „არის ტენდენცია აქაც მსაზღვრელის უცვლელად დატოვებისა“<sup>110</sup>, შდრ.: ყორბეყ კვლთ:ხი მარე ათჩარვან — კარებთან მაღალი კაცი გაჩერდა; მეჩი მარედ ლნმბვალ ედბინე — მოხუცმა კაცმა საუბარი დაიწყო; ფერი წიფრამ კაცხეი ნაპვრ სგურ — ხმელი წიფლის კენწეროზე ჩიტი ზის...

არნ. ჩიქობავამ სვანურში ყურადღება მიაქცია ისეთ შემთხვევებს, როდესაც განსაზღვრება, იქნება ის ზედსართავი სახელი თუ რიცხვითი სახელი, მიცემითის ფორმით წარმოგვიდგება. ასეთებია: ლიყველ ხოჩამ მიშგვა ხეზვიშ — მოცილება ჩემი კარგი ცოლისა; აწჰანაელი ხოშამ თამფაშ საფტინ ლეთი — აწვევს დიდი აღდგომის შაბათ ღამეს; მერმამ ლეთის სგა გვაგენან — მეორე ღამეს მოგვდგომიან...<sup>111</sup>

ანალოგიური მდგომარეობაა ნაცვალსახელებთან, მაგალითად, მიშგვი მეზებელ ლი პატოსან მარე — ჩემი მეზობელი არას პატოსანი კაცი, მაგრამ: მიშგვა გეზალს ხახედ ლოჰედნე: ბქვ., 125, 34 — ჩემს შვილს ცოლად მოგცემ; მიშგვა მეზებელდ ღვაშ ადგარ — ჩემმა მეზობელმა ჩიხვი მოკლა: ის გვა ეწმდ ანზგზე ნამ: სვ. პ., 190, 30 — ჩვენ შენმა ქმარმა გამოგვეზავნა...

§ 57. დისტანციური ატრიბუტული განსაზღვრება. განსაზღვრება, იქნება ის პრეპოზიციული თუ პოსტპოზიციური, ჩვეულებრივ კონტაქტურია: ან უშუალოდ წინ უსწრებს საზღვრულს, ან მოსდევს მას. მაგრამ განსაზღვრებასა და საზღვრულს შორის შეიძლება წინადადების სხვა წევრი ჩაერთოს და განსაზღვრება საზღვრულს დაუკავშირდეს დისტანციურად. როგორც წესი, გამთქმვე-

<sup>110</sup> ვ. თოფური, გრამატიკულ მოვლენათა ერთგვაროვანი პროცესქართველურ ენებში, გვ. 454.

<sup>111</sup> არნ. ჩიქობავა, სვანური მოთხრობითის ერთი ვარიანტი და სახელთა ბრუნვის ორფუძიანობა ზოგ კავკასიურ ენაში: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, ტ. 18, 1941, გვ. 53.

ლია შემასმენელი ზოგჯერ მასთან დაკავშირებული წევრებითურთ (ან კიდევ სხვა წევრი).

გათიშული განსაზღვრებაც ბრუნვაში ეთანხმება საზღვრულს და ბრუნვის ნიშნებიც მთლიანადაა წარმოდგენილი.

განსაზღვრებისა და საზღვრულის გათიშვა უფრო ღდება სახე-ლობითში, მოთხრობითსა და მიცემითში, იშვიათად კი სხვა ბრუნ-ვებშიც<sup>112</sup>: მთიღამა ც ი ვ ი ავარდა ქ ა რ ი: ილია, I, 192, 34; ც ი ვ-მა დაჰბერა ნ ი ა ვ მ ა: ვაჟა, III, 281, 11; ამ მოკლულმა დარღით ქალმა ცრემლი ღვარა: გ. ტაბ., 349, 12; ჰრელს ჩა-ვიცომდი კაბასა: ვაჟა, III, 149, 15; მწვანეს ეწვდება ფო-თოლსა ხარი-ირემი რქიანი: ვაჟა, III, 41, 26...; ქარი ქროდა ც ი ვ ი: კ. გამს., I, 588, 36; ნ ი ა ვ ი დაჰქროდა ნ ე ლ ი: ილია, I, 199, 4; ზღვამ ნერვები დაიწყნარა ტ ი ა ლ მ ა: ხ. პერ., 271, 1; მტერს მიაშტერდა მინდია ერთს: კ. გამს., II, 199, 25...

დისტანციური განსაზღვრება ცოცხალი მეტყველებისათვის 'ნაკლებდამახასიათებელია, მაგრამ მაინც შეიძლება შეგვხვდეს, მაგ., მეგრულში გვხვდება: ჩხორო ღღაში ოლუს თუნთი გუმარე ართი: ხუბ., 10, 25 — ცხრა თვის სავალზე დათვი დგას ერთი; ყაზახიქ ქიღირულუ ცოღაქ: ხუბ., 157, 32 — გლენმა დაი-ძინა საცოღაემ...

§ 58. თანდებულის ადგილი. თანამედროვე ქართულში თანდებ-ული ერთვის საზღვრულს. განსაზღვრება მხოლოდ მაშინ ირთავს თანდებულს, როცა იგი გამოხატულია რაოდენობითი რიცხვითი სა-ხელით; ამდენად მსაზღვრელ-საზღვრულს შორის თანდებულის ადგილი მკვიდრია: მამა გავიდა მეორე ოთახში: ილია, I, 419, 35; სოფელი წითური ორკაბალა ქედზე იყო წამოყუდებული: გ. წერ., I, 95, 4; პირველ კედელთან დამაყენეს: აკაკი, IV, 41, 15; ბნელი შე-ნობის წინ თოვლში ორი კაცი იდგა: გ. შატბ., II, 217, 30...; მე პე-პიას შევესწარ თვალი სახლის დერეფანში: ილია, I, 301, 5; თაგვმაც განგამის ხმაზე სორო მოძებნა: ვაჟა, V, 251, 28; მაყურებელთა თა-ვებს შორის ეკრანს ჰკიდა თვალი: ე. ყიფ., I, 218, 10...

შესახებ თანდებული შეიძლება წინაც უსწრებდეს ორი-ვე კომპონენტს: რიმანიძემ წიგნი დაწერა შესახებ შინავანი სეკრე-ციისა: მ. ჯავახ., II, 42, 11...

ძველ ქართულში განსხვავებული ვითარება იყო. მნიშვნელობა ჰქონდა იმას, თუ რა ადგილი ეკავა განსაზღვრებას და რა მეტყვე-

<sup>112</sup> ლ. კვაქაძე, თანამედროვე ქართული ენის სინტაქსი, გვ. 178—179;

• იმნაიშვილი, ვაჟა-ფშაველა და ძველი ქართული ენა, გვ. 143—167

ლების ნაწილით გადმოიკეცმოდა იგი<sup>113</sup>. ამის მიხედვით თანდებუ-  
ლი ერთვოდა წინამაველ განსაზღვრებას („კეთილმან კაცმან კე-  
თილისაგან საუნჯისა გამოიღის კეთილი“: მ 12,35...), მომ-  
დევნო განსაზღვრებას („მრავალი საქმე კეთილი გიჩუენე თქუენ  
მამისა ჩემისა მიერ“: C ი 10,32...), წინამაველ საზღვრულს  
(„ზღუაჲ იგი ქარისაგან დიდისა აღიძრვოდა“: DE ი 6,18...),  
ან მომდევნო საზღვრულს („საქმე ესე იქმნა წმიდისა შუშან-  
კის ზედა“: შუშ., X,23...).

§ 59. პოსტპოზიციური განსაზღვრება. პოსტპოზიციური გან-  
საზღვრება თანამედროვე ქართულში ძლიერ იშვიათია. ერთეული  
შემთხვევების მიხედვით შეიძლება დავასკვნათ, რომ ასეთი გან-  
საზღვრება ეთანხმება საზღვრულს ბრუნვასა და რიცხვში და ირ-  
თავს ბრუნვისა და რიცხვის ნიშნებსაც.

მაგალითები:

1. სახელობითი ბრუნვა: მომეკლინა მე კაცო დი-  
დი: ილია, I,127,7; აგერ დედაკაცი დარბაისელი კმა-  
ყოფილების განცხრომაშია: ილია, I,133,35, შდრ. ბოლოხმოვნიანი:  
წყარო ანკარა პირს ჰბანს ყვაეილებს: ი. გრიშ., 242,8; ირგვ-  
ლივ მოვფანტე ხმა მგლოვიარე: ი. გრიშ., 244,4...

2. მოთხრობითი ბრუნვა: ვერ გაატანა თვალმა  
უძლურმა: ილია, I,139,1; ალო აილო ქვეყანამ ძველ-  
მა: ილია, I,133,14...; ქარტესილმა საჯოგოხეთომ  
უკუნეთ ბნელში შორს გადაგჩეხოს: ი. გრიშ., 267,4...

3. მიცემითი ბრუნვა: ქალს დაღალულსა მის-  
ძინებოდა: ილია, I,196,25; ჭაბუკს თბილისელს ძმად შე-  
ვეფიცე: ხ. ბერ., 263,7...; რაც შეეხება ტაძართაგანს საუ-  
კეთესოს, ჯერ არ აგებულა ასეთი: კ. გამს., I,707,14...

4. ვითარებითი ბრუნვა: იმ სარკმლით სხივი მისი  
სენაკში სვეტად ბრწყინვალედ ჩაეშვებოდა: ილია, I,  
188,12.

5. ნათესაობითი ბრუნვა: დიაცს მუდამაც უხდება  
გლოვა ვაჟკაცის კარგისა: ვაჟა, III,228,29; წინაპრე-  
ბის ჩემის ცოდვებს უთუოდ მომკითხავენ: კ. გამს., I,310,30...

6. მოქმედებითი ბრუნვა: თვარელმა წყლული შე-  
უკრა ვეფხვსა ნაკუწით ჭრელითა: ვაჟა, III,129,24;  
მკლავით ძლიერით მხრებს ფართოდ შლიდა საამქრო

<sup>113</sup> ც. კალაძე, განსაზღვრება ქართულში, გვ. 98—101; ა. კიზირია,  
მარტივი წინადადების შედგენილობა ძველ ქართულში, გვ. 251—252.

ვრცელი: ი. ნონეშვილი, 267,19; ათი ქალწული სათელით  
ათით ელოდა სიძეს: გ. ტაბ., 234,4...

7. წოდებითი ბრუნვა: ოპ, რაკარგი ხარ, ოცნებავ  
ტკბილი: ვაჟა, VII,33.3; სხივონათელი, დეკ ჩემსა ეტლ-  
სა: ა. კალანდ., 48,3...

იშვიათია პოსტპოზიციური განსაზღვრება აგრეთვე ზანურსა  
და სევანურში<sup>114</sup>. მისი კვალი ჩანს კომპოზიტებში: დამორჩი-  
ლი — დღამორჩილი „დღემოკლე“ (გ. როგავა), ხანკკო-  
ლა — ხაჯკოლა „მწარე ცერცი“, თიკუნტალი „თავით  
გადაყირაება“, ნანდიდი „ბებია“, აგრეთვე სხვა შემთხვე-  
ვებშიც.

სპეციალურ ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ ზანურში  
პოსტპოზიციური განსაზღვრება და მისი საზღვრული ორნაირადაა  
წარმოდგენილი: ან მხოლოდ განსაზღვრება ირთავს ბრუნვის ნი-  
შანს და საზღვრული ფუძის სახითაა (ან სახელობითის ფორმით),  
ან, იშვიათად, ბრუნვის ნიშანი ერთვის ორივე კომპონენტს<sup>115</sup>.

პირველის ნიმუშებია: ა) მეგრული: უწუ ვეზირ მუ-  
შის: ხუბ., 69,8 — უთხრა თავის ვეზირს; თოლი ურძღაფიქ  
ირფელი ქოძირუ — გაუმძღარმა თვალმა ყველაფერი დაინახა; პა-  
პარძღელს დიაკონით რძელი უჩქუდუა (ანდ.) — მძღარ  
მღვდელს დიაკონიც მძღარი ეგონაო...

ბ) ჰანური: ოხოი ჩქიმის ქობჯან: ჰან., I,157,32 —  
ჩემს სახლში ვწევარ; ჩილი ჩქიმისი ოხორიშა ბიგზალი: ჰან.,  
II,23,24 — ჩემი ცოლის სახლში წავედი; ოხორჯამუშიქ  
უწუმერტენ: ხოფ., 51,29 — მის ცოლს უთქვამს...

ბრუნვის ნიშანი ერთვის საზღვრულსაც და განსაზღვრებასაც:  
ა) მეგრული: უწუ ოსურქ მუშიქ მაჟია ჯიძას; ხუბ.,  
276,9 — უთხრა მისმა ცოლმა მეორე ძმას; სქუა ცუნს ოსურს  
ართის: ხუბ., 172,14 — შვილი ჰყავს ერთ ქალს...; სახენწუ-  
ფოს ჩქიმის სქანაჯღუა კოჩი ვანოჰე მავა: ხუბ., 108,21 — ჩემს  
სახელმწიფოში შენისთანა კაცი არ მყოლია მეო...

გ) ჰანური: სი-თი გზას სქანის იდი-ა: ულ. ჰან.,  
127,11 — შენც შენს გზაზე წადიო...

<sup>114</sup> არნ. ჩიქობავა, ჰანურის გრამატიკული ანალიზი, გვ. 71; ე. ლომ-  
თაძე, მსაზღვრელ-საზღვრულის ურთიერთობა მეგრულში, გვ. 210—211; Г.  
А. Климов, Об атрибутивном комплексе в картвельских языках, с.  
258—259.

<sup>115</sup> არნ. ჩიქობავა, ჰანურის გრამატიკული ანალიზი, გვ. 69—70.  
გ. კარტოზია, სახელური შესიტყვება მეგრულ-ლაზურში: „მაცნე“, სა-  
ქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის საზ. მეცნ. განყ. ორგანო, № 6, 1968,  
გვ. 161.

და ასე: ოხორი დიდი, ოხორიქ დიდიქ, ოხორის დიდის...; ოხო-რეფექ დიდიქ, ოხორეფეს დიდის<sup>116</sup>... შდრ. ს ვ ა ნ უ რ ი: კ ვ შ ი ლ დ მ ი შ გ უ თ ხ უ მ ას გ უ რ და: სვ. პ., 172,3 — ჩემი ქმარი თავში დაჭ-და; ძ ე ვ ლ ა რ მ ი შ გ უ ყ ე გ ა მ ს ა რ ი ხ: სვ. პ., 34,10 — ჩემი მძევ-ლები ჩეგემში არიან; ყი ხ ას გ უ რ და ჩ ა უ ი ს მ ი ჩ ა, ს გა ლ ო ხ ო ბ ა და შ ნ ი ლ მ ი ჩ ა: სვ. პ., 64,22 — შეჭდა თავის ცხენზე, შეუბამს თავისი ხმალი...

§ 60. განსაზღვრება მრავლობით რიცხვში დასმულ საზღვრულ-თან. თანამედროვე ქართულში პრეპოზიციული განსაზღვრება რიცხვში არ ეთანხმება საზღვრულს: ბავშვური თვალეხი ბრწყინავ-დნენ: ს. კლდ., 338,8; თვალყბედი ჰორელები ქაქანებდნენ: გ. ლეონ., 34,19; თეთრმა თმებმა გაიკიათეს: ლ. ქიაჩ., III,231,14; დუდღუბა ტბურ თვალებს აელვარებდა: გ. ლეონ., 149,20; ღრუბლებმა უწით-ლესი წინწყლების ბურჯღლები გაჰყარა: გ. ლეონ., 73,15; მგზავრმა... დაკრუნჩხული ხელებით თეთრი ტყავის ქუდი მოიზადა: ვაჟა, VII,53,17 და ა. შ.

სხვა ქართველურ ენებშიც არა გვაქვს რიცხვში შეთანხმება: დიდი ჯოღორეფქ ქუმორთეს: ხუბ., 97,15 — დიდი ძალები მო-ვიდნენ; დიდი ჯალეფე ჩანს: ქან., II,3,20 — დიდი ხეები ხარობს; ჰემექ შაკა ნენაფე დიდო ზოპონტუდორენ: ელ. ქან., 43,29 — ის ბევრ სახუმარო სიტყვებს ამბობდა თურმე..., ხოჩა ჩექმარ ჩაფ-ლარდ ლაადე: სვ. პ., 162,19 — კარგი ჩექმები ქალამნებად ჩაიცვა...

რიცხვში შეთანხმების შემთხვევები იშვიათად შეინიშნება მე-19 საუკუნის ქართულში: ბრძანებას ველით შენნი ერთგულნი ქარ-თველნი: ვაჟა, III,12,12; მტაცებელნი ნადირნი დღესაწაულობ-დნენ: ვაჟა, VI,271,23... წაიშალა ამ ორთა გვამთა ცხოვრების კვა-ლი: ილია, I,387,28...

გვაქვს ისეთი შემთხვევებიც, როცა განსაზღვრების მრავლობი-თობა -5/-თ სუფიქსებითაა გამოხატული, საზღვრულია -ებ'ით: დაღალულნი მეურმეები დაეყარნენ: ილია, I,408,8; ძირს მილაგე-ბულნი ფიქრები მალლა მოექცნენ: ილია, I,250,8: თავან დროზეუ ქმათა დარჩიებმა დიდი შიში და ცახცახი მიაყენეს გურიის მაზრას: „ივერია“, № 100, 1891...

თანამედროვე ქართულში მრავლობითი რიცხვის -5 და -თ(ა) სუფიქსებიანი საზღვრული მხოლოდობით რიცხვში შეიწყობს გან-საზღვრებას, რომელიც დაირთავს ბრუნვის ნიშნებს სახელობითსა და წოდებითში (მაღალი მთანი, მაღალო მთანი), დანარჩენ ბრუნ-

<sup>116</sup> არნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, ჰანურის გრამატიკული ანალიზი, გვ. 69—70.

ვებში ფუძის სახითაა წარმოდგენილი (მაღალ მათათა)<sup>117</sup>: მაღალ კლდეთა დერეფნიდან კვლავ მოშხუს წყარო: ხ. ბერ., 107,20...

რიცხვში შეთანხმების საკომპენსაციოდ „ზოგჯერ ადგილი აქვს მსაზღვრელის ფუძის გაორკეცებას, რაც ერთგვარ მაგივრობას სწევს მრ. რიცხვის გამოხატვის საქმეში“<sup>118</sup>: დარიამ სიმონას ალერსიანად მიაპყრო თავისი დიდრონი შ ა ვ-შ ა ვ ი თვალები: ე. ნინოშ., I,198,12; სიხარულით მიდის წ ი თ ე ლ-წ ი თ ე ლ ი ქოღებები: ნ. ლორთქ., I,604,24; მირბი-მორბიან მ ს ხ ვ ი ლ-მ ს ხ ვ ი ლ ი ჭიანჭველები: რ. ინან., 144,14; სუფრაზე წამდაუწუმ მოდიოდა ა ხ ა ლ-ა ხ ა ლ ი საქმელები: ე. ნინოშ., II,243,5; უკან მოსდევენ პ ა ტ ა რ-პ ა ტ ა რ ა ჭყვილა გოჭები: აკაკი, IV,13,23; კატო და პაპა მიხა ერთმანეთის პირდაპირ ჩაცუცქულიყვენ და ბირდაბირით მ ო კ ლ ე-მ ო კ ლ ე მორებად ხერხავენ: გ. შატბ., II,141,25...

ამავე მნიშვნელობით გვხვდება სხვადასხვა ფუძეთა ნაერთიც: ამ მოგონებამ ... ტ კ ბ ი ლ-მ წ ა რ ე მოგონებანი აღუიარა მეფეს: ლ. გოთ., 21,12; ეზოებში ძროხების ნაცვლად წ ი თ ე ლ-ყ ვ ი თ ე ლ ი „ყიგულები“ იდგნენ: „კომუნისტი“, 14.IV.79, გვ. 2, სვ. 71<sup>19</sup>.

ფუძის გაორკეცება მრავლობითის მისანიშნებლად გვხვდება სხვა ქართველურ ენებშიც: ა) ზ ა ნ უ რ ი: კვარაცხელაში ჯოგის ჭ ი თ ა-ჭ ი თ ა ხოჯეფი ცუნა — კვარაცხელისას ჯოგში წითელ-წითელი ხარები ჰყავთ; კესარიას უ ჩ ა-უ ჩ ა თოლეფი უღუ — კესარიას შავ-შავი თვალები აქვს...; ბ) ს ვ ა ნ უ რ ი: ხ ო ხ ვ რ ა-ხ ო ხ ვ რ ა გოჭარ ხალვიჰს მინე დის — პატარ-პატარა გოჭები დედას მისდევენ; მ ა ხ ე-მ ა ხ ე ლერქვარ ახვყად — ახალ-ახალი ტანსაცმელები ვიყიდე...

რაოდენობითი რიცხვითი სახელები (ორი, სამი, ოთხი...), ე. წ. განუსაზღვრელი რიცხვითი სახელები (ბევრი...) და ზოგი ნაცვალ-სახელი (ყველა, რამდენიმე...) -ებ ნიშნიან მრავლობით რიცხვს ვერ აწარმოებენ. მრავლობითობა ჩაქსოვილია ფუძის მნიშვნელობაში, ამიტომ, როცა ასეთი სახელია განსაზღვრებად, მრავლობითის შინაარსი საზღვრულზეც ვრცელდება და ორივე სახელი (განსაზღვრებაც და საზღვრულიც) მხოლოდობითში დაისმის: ო რ ი მ ე გ ო ბ ა რ ი მიდიოდა გზასა: ი. გოგებ., V,238,2; ბაკებში ღღეშა ა თ ა ს ი კ ა ც ი შემოდის: ილია, I,411,11; კულა ხარს უ რ ი ც ხ ვ ი ბ უ-

<sup>117</sup> თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმები, გვ. 146.

<sup>118</sup> ა. შ ა ნ ა ძ ე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, გვ. 95.

<sup>119</sup> შდრ. დ ი დ რ ო ნ ი, მაგალითად: დ ი დ რ ო ნ ი ხეები წვერებით ცაქ ებჯინებოდნენ: ვეა, V, 224, 29. დ ი დ რ ო ნ ი „იხმარება მსაზღვრელად ჩვეულებრივ მრავლ. რიცხვი დასმული სახელისა“ (ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, IV, გვ. 1:177).

ზი დაჰხვეოდა: ი. გოგებ., V, 382, 10; ბევირი ხელი — ჟაფა-  
შიო, ცოტა ხელი — ქამაშიო (ანდ.); აკნიდანვე მზეში იწვება  
ყველა ქართველი მზეთუნახავი: ბ. ბერი., 42, 3; გვადიმ...  
რამდენიმე ნაბიჯი გადადგა: ლ. ქიჩი., III, 259, 22...

ძველ ქართულში რაოდენობითი რიცხვითი სახელით გადმოცე-  
მული განსაზღვრებაც და მისი საზღვრულიც შეიძლება დასმუ-  
ლიყო მრავლობით რიცხვში: მოსდევდეს მას ორნი ბრმანი:  
მ 9, 27; მოუწოდა იოვანე ორთა მოწაფეთა თესთა: ლ 7, 19...

მრავლობითში შეთანხმებული ფორმები რამდენადმე შემორჩა  
ახალ ქართულსაც: ჩვენ ხუთნი ძმანი ვიყავით: აკაკი,  
IV, 23, 32; მეფეს მაშინ თან ახლდნენ შვიდნი ხეცურნი:  
ვაჟა, VI, 58, 4..., მაგრამ თანამედროვე ქართულში მხოლოდობითა  
დამკვიდრებული.

პოსტპოზიციური განსაზღვრება ინარჩუნებს საზღვრულთან  
მრავლობით რიცხვში შეთანხმების უნარს: მას ფოთოლნიც  
მოშრიალენი ხშირად უფრთხოვდნენ მოსვენებასა: ილია,  
I, 149, 16; ცხენებზე ისხდნენ გმირნი ფრთამალნი: ი. ნო-  
ნეშვი., 276, 5; გაუწოდოს ყანწითურთ მკლავები ტოტიან-  
ები: ვაჟა, I, 319, 32; დაგვატკობ დები წერეთლების  
სიმღერამ: კ. ლორთქ., 344, 8, შდრ. მთანი თავჩაჩქნიანები  
ფიქრს მისცემიან მწარესა: ვაჟა, III, 152, 4; დევთ სულნი და-  
კოდილები ქვესკნელში ჩაიყრებიან: ვაჟა, III, 80, 21 და ასე  
მთანი მალალნი, მთანო მალალნო, მთათა მა-  
ლალთა...; მოძმენი ჩვენნი, მოძმენო ჩვენნო,  
მოძმეთა ჩვენთა...<sup>120</sup>

ასეთი შეთანხმება შეინიშნება მეგრულშიც: ართ ხემწიფეს  
ყუნს ბრელი ცხენეფი ქაკეფი: ხუბ., 137, 3 — ერთ ხელ-  
მწიფეს ჰყავს ბევრი ჰაკი ცხენი...

## სუბსტანტიური განსაზღვრება

§ 61. სუბსტანტიური განსაზღვრების ფორმები. სუბსტანტიუ-  
რი განსაზღვრება არსებითი სახელით (ლათ. substantivum) გამო-  
ხატული განსაზღვრებაა. ასეთი განსაზღვრება უპირისპირდება ატ-  
რიბუტულს საზღვრულთან სინტაქსური ურთიერთობის მიხედვი-  
თაც: იმართვის ბრუნვაში საზღვრულის მიერ და უცვლელად დას-  
მულია ნათესაობით ბრუნვაში, როცა პრეპოზიციულია; მაგრამ  
ბრუნვაში მართულ-შეთანხმებულია, როცა საზღვრულის შემდეგაა.

<sup>120</sup> თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმები, გვ. 146.

§ 62. მართული განსაზღვრება. მართული განსაზღვრება ნათესაობით ბრუნვაში დაისმის და უცვლელად უკავშირდება საზღვრულს. იგი, როგორც ნათესაობით ბრუნვაში დასმული სახელი, შეიძლება იყოს მხოლოდობით ან მრავლობით რიცხვში და დაუკავშირდეს მხოლოდობით ან მრავლობით რიცხვში დასმულ საზღვრულს, რამდენადაც რიცხვის მიხედვითაც დამოკიდებულება განსაზღვრებასა და საზღვრულს შორის გამორიცხულია. ამიტომაც მხოლოდობითში დასმული განსაზღვრება შეიძლება დაუკავშირდეს მხოლოდობითში ან მრავლობითში დასმულ საზღვრულს და, პირიქით, მრავლობითში დასმული განსაზღვრება შეიძლება დაუკავშირდეს მხოლოდობითში ან მრავლობითში დასმულ საზღვრულს. ამის მიხედვით არჩევენ ოთხ სახეს:

I. მართული განსაზღვრება მხოლოდობითშია და უკავშირდება მხოლოდობითში დასმულ საზღვრულს: იმერლის ბიჭი წივნით ხელში იქვე დამხვდა: ილია, I,271,15; მთვარემ გადაათოვა ალაზნის ველს: კ. გამს., V,39,35; ქალს კარის სახელური ისევ ხელთ ეჭირა: გ. შატბ., II,203,16...

II. მართული განსაზღვრება მხოლოდობითშია და უკავშირდება მრავლობითში დასმულ საზღვრულს: კაცს პერანგის სახელოები დაეკაპიწებინა: თ. ჭილ., 7,24; გაღალმა სოფლის ბიჭები ისხდნენ: გ. შატბ., II,15,2; ვერხვის ფოთლებმა თრთოლა დაიწყეს: ვაჟა, V,93,26; მგზავრს სვირის ჭალებში ბინდი წამოეწია: ე. ყიფი., I,329,1...

III. მართული განსაზღვრება მრავლობითშია და უკავშირდება მხოლოდობითში დასმულ საზღვრულს: ერთხელ ჩამოსულა ჩვენსა მეზობლების გამდელი: აკაკი, IV,10,23; შერვაშიძეების ბანაკში თათბირობდნენ: ნ. ლორთქ., II,63,9; მგალობელთა გუნდი გამქრალიყო: ვაჟა, VI,81,12...

IV. მრავლობითშია მართული განსაზღვრებაც და საზღვრულიც: ცხენების ქარავნები ძლივს დადიოდა: ა. ყაზბ., I,10,21; ცვარები სეტყვასავით მკვეთრად სცემდა ფანჯრების შუშებს: ვაჟა, VI,80,31; გააღეთ კლდეთა კარები: ხ. ბერ., 58,2...

მართული განსაზღვრება სხვადასხვა მნიშვნელობისაა: აღნიშნავს მ ა ს ა ლ ა ს ა ნ ნ ი ვ თ ი ე რ ე ბ ა ს (ოქროს საათი, თუჯის ქვაბი, ჩითის კაბა, ხის სახლი...), დ ა ნ ი შ ნ უ ლ ე ბ ა ს (ჩაის ჭიქა, ხალიჩების ფაბრიკა, წიგნის მალაზია...), კ უ თ ვ ნ ი ლ ე ბ ა ს (ამხანაგის წიგნი, მეზობლის სახლი...), წ ა რ მ ო მ ა ვ ლ ო ბ ა ს (ხარის



ტყავი, მთის წყარო...), პროფესიას (კბილის ექიმი...), სხეულის ნაწილს (ძროხის ბეჭი, ქათმის ბარკალი...) და ა. შ.<sup>121</sup>

ნათესაობით ბრუნვაში დასმული კუთვნილების აღმნიშვნელი განსაზღვრება მოგვეგონებს სასხვისო ქცევის ზმნით გამოხატულ კუთვნილებითს ურთიერთობას, რის გამოც „თუ სასხვისო ქცევის ფორმა კუთვნილებითს ურთიერთობას გამოხატავს (სუბიექტსა და ირიბ ობიექტს შორის ან ობიექტებს შორის), ამავე ზმნათა საარვისო ქცევის ფორმასთან ირიბი დამატება სუბსტანტიურ დამატებად გადაკეთდება: მ გ ე ლ ს ლეკვი უკვდება — მ გ ლ ი ს ლეკვი კვდება; მონადირე მ გ ე ლ ს ლეკვს უკლავს — მონადირე მ გ ლ ი ს ლეკვს კლავს“<sup>122</sup>.

მნიშვნელობისა და აგებულების მიხედვით სუბსტანტიური განსაზღვრება ქართულისებურია ზანურსა და სვანურშიც, შდრ. ზ ა ნ უ რ ი: ა) მ ე გ რ უ ლ ი: ნონადირუე თე ტყას გინოხონი ხენწგფეში სქუა: ხუბ., 75,5 — ნადირობდა თურმე ამ ტყეში გაღველი ხელმწიფის შვილი; ხენწგფეში სქუაქ გამათხოზ ცხენით: ხუბ., 65,16 — ხელმწიფის შვილი გამოეკიდა ცხენით; ზღვაში პარახოლის კაპიტანო რდგ კოჩი: ხუბ., 42,3 — ზღვის გემზე კაპიტნად იყო კაცი; გომიტეს ჯარიშ უჩაშო: ხუბ., 42,5 — გამიშვეს ჯარის უფროსად; ზენწგფეშ ცუდეშ უკახალე არწივს გიმუდგუ ოგვაჯე: ხუბ., 152,1 — ხელმწიფის სახლის უკან არწივს უდგას საბუდარი; მინილგ ე კვირკვიქ აბრეშუმში ძაფით: ხუბ., 111,12 — შევიდა ეს მურგვი აბრეშუმის ძაფით; გიორგიქ ქემერთგ ათე დემიშ ოჯახიშა: ხუბ., 146,14 — გიორგი მივიდა ამ დევის ოჯახში; გერჩქინდგ ცაში ქვანჯიშე ჭიქე მუნაფაქ: ხუბ., 101,4 — გაჩნდა ცის ძირიდან პატარა ღრუბელი...

მეგრულში ნათესაობით ბრუნვაში დასმულ განსაზღვრებას ზშირად ერთვის ემფატიკური ი (შდრ. „აბრეშუმში ძაფი“ და „აბრეშუმში ძაფი“, „ჯარიშ უჩაში“ და „ჯარიში უჩაში“...). ემფატიკური ი-ს გარეშე ნათესაობით ბრუნვაში დასმული განსაზღვრება შეიძლება მოგვევლინოს სახეცვლილად: კ ა მ ე ჩ ი შ ც ვ ა ლ ი — კ ა მ ე ჩ ი ა ც ვ ა ლ ი („კამეჩის ყველი“) და ასე: ი ნ კ ა მ წ ყ ა რ ი — ი ნ კ ა შ წ ყ ა რ ი („ქის წყალი“)..., სადაც შ გადადის ა-ში, რომელიც შეიძლება სავსებით გაქრეს<sup>123</sup>.

<sup>121</sup> ლ. ლ ე შ ა ვ ა, მსაზღვრელთა რიგი რამდენიმე არაერთგვარ მსაზღვრელებთან შესიტყვებაში, გვ. 81—91; ლ. კ ვ ა ჯ ა ძ ე, თანამედროვე ქართული ენის სინტაქსი, გვ. 180; ავ. დ ა ვ ი თ ი ა ნ ი, ქართული ენის სინტაქსი, თბ., 1973, გვ. 276.

<sup>122</sup> ლ. კ ვ ა ჯ ა ძ ე, თანამედროვე ქართული ენის სინტაქსი, გვ. 180.

<sup>123</sup> ე. ლ ო მ თ ა ძ ე, მსაზღვრელ-საზღვრულის ურთიერთობა მეგრულში, გვ. 221—225.

ანალოგიური შემთხვევები შენიშნულია ქართული ენის კი-  
ლოებშიც.

ბ) კ ა ნ უ რ ი: ბიკიშ ბაბა ულუნ ბოზოში ბაბაშა: ჰან., II, 62,17 — ბიკის მამა წავა გოგოს მამასთან; ბეეშ ნანაქ ოხორჯას მე-  
ჩათს ფარა: ხოფ., 62,2 — ბავშვის დედა ქალს მისცემს ფულს;  
ყვაოჯი ჯაში ყას ქოგელახედუ: ჰან., I,102,5 — ყვაეი ბის ტოტზე  
ჩამოჯდა; ხურმაში კურკათე მაქუანი გობითი ქაოფშუ: კარტ.,  
12,38 — ხურმის კურკით მეორე გობიც აავსო; სიჯა ბოზოში ოხო-  
რმა მენდიონამან: ჰან., II,30,29 — სიძეს ქალის სახლში წაიყვანენ;  
ჰექ დივიშ ოხორშე ქომეხთუ: ელ. ჰან., 108,6 — ის დევის სახლში  
მივიდა...

ჰანურშიც, მეგრულის მსგავსად, „გაბმულს მეტყველებაში შე-  
საძლებელია დაიჩრდილოს ნათესაობითისეული შ...: ოკაჩხე თილ-  
ჩი მენდახთუ არ ფ ა თ ი შ ა ე ოხორიშე: ჰან., II,96,20 — შემ-  
დეგ მელია წავიდა ერთი ხელმწიფის სახლში“<sup>124</sup>. აქ ფ ა თ ი შ ა ე ←  
ფ ა თ ი შ ა ი შ.

ს ვ ა ნ უ რ შ ი ც სუბსტანტიურ განსაზღვრებას ან მთლიანად  
ერთვის ნათესაობითის ნიშანი, ან ეს ნიშანი მოკვეცილია: კვი-  
ციანდ ლაქვმიშ ყორარ სგაშხენქა ჩვაკილ: ბქვ., 9,3 — კვიციანმა ეკ-  
ლესიის კარები შიგნიდან ჩაკეტა; ჰეცერ მესტიამ რაჰონიშ ეშხუ  
მაჩენამთეშ კევ ლი: ბქვ., 121,3 — ეცერი მესტიის რაიონის ერთი  
საუკეთესო ხევი არის; შყაქემიშ ქარვან სგა ლოგვხიდდა: სვ. პ.,  
16,18 — მწყარის ქარავანი შემოგვხვდა; ამეჩუნ ხამშიშ ჯვეგ იმხვრდ:  
სვ. პ. 112,25 — აქ ლორის კოლტი დამიხვდა; ყი ხობადნა ბამბიშ  
ივკად: სვ. პ. 124,3 — ცეცხლი წაუცილებია ბამბის კაბისათვის...

მოკვეცილია ნათესაობითის ნიშანი ნაწილობრივ ან მთლიან-  
ნად<sup>125</sup>: ფანაგა გვეში ლემარ ბანბი კარავშე: სვ. პ., 44,32 — ფანა-  
გა სავსე ყოფილა ბამბის კარვებით; ამეჩუნ კანი ჯვეგ ემხვრდ: სვ. პ.,  
112,17 — აქ ხარის ჯოგი დამხვდა; ყვაბან ფუსდად ჩაქარ ანზგზე:  
სვ. პ., 28,19 — ყუბანის ბატონმა ცხენები გამოგზავნა; მაჩხფარე  
თხუმად ონკვედი: სვ. პ., 24,1 — მაჩხფარის წვერამდის მოვედი...

§ 63. მართულ-შეთანხმებული განსაზღვრება: მართულ-შეთან-  
ხმებულია პოსტპოზიციური სუბსტანტიური განსაზღვრება, რო-  
მელსაც ადგილის შეცვლით ნათესაობით ბრუნვაში მართული სახე-  
ლი ფუძედ გამოუყენებია. ასეთი ფუძე შეიძლება იყოს მხოლოდობი-

<sup>124</sup> არნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, ჰანურის გრამატიკული ანალიზი, გვ. 63.

<sup>125</sup> ვ. თ ო ფ უ რ ი ა, სახელთა დაბოლოების ისტორიისათვის სვანურში:  
ტფილისის უნივერსიტეტის მოამბე, VII, 1927, გვ. 312; ე. ლ ო მ თ ა ძ ე, მსა-  
ზღვრელ-საზღვრულის ურთიერთობა მეგრულში, გვ. 228.

თის ან მრავლობითის ფორმით და იგი ხელმეორედ ირთავს ბრუნვის ნიშნებს საზღვრულთან დამოკიდებულების მიხედვით, აიღონდ ძველი ქართულისაგან განსხვავებით არ შეუძლია ყველა ბრუნვის წარმოება<sup>126</sup>.

თანამედროვე სალიტერატურო ქართულში მართულ-შეთანხმებული განსაზღვრება საზღვრულთან ერთად გვაქვს სახელობითში, მოთხრობითში, მიცემითში, ვითარებითსა და წოდებითში. აქედან ბრუნვის ნიშანი არ ერთვის სახელობითსა და ვითარებითში<sup>127</sup>. სახელობითი: წიგნი ამხანაგისა (და ასე: წიგნები ამხანაგისა, წიგნი ამხანაგებისა, წიგნები ამხანაგებისა), მოთხრობითი: წიგნმა ამხანაგისამ (შდრ. წიგნებმა ამხანაგისამ, წიგნმა ამხანაგებისამ, წიგნებმა ამხანაგებისამ...), მიცემითი: წიგნს ამხანაგისას (შდრ. წიგნებს ამხანაგისას, წიგნს ამხანაგებისას, წიგნებს ამხანაგებისას...), ვითარებითი: წიგნად ამხანაგისა (შდრ. წიგნებად ამხანაგისა, წიგნად ამხანაგებისა, წიგნებად ამხანაგებისა...), წოდებითი: წიგნო ამხანაგისავ (შდრ. წიგნებო ამხანაგისავ, წიგნო ამხანაგებისავ, წიგნებო ამხანაგებისავ...).

განსაზღვრება ასეთ შემთხვევაში ეთანხმება საზღვრულს და წარმოდგენილია ნათესაობითის სრული დაბოლოებით ნართაულ-ა'სთან ერთად (შდრ. წიგნი კოტესი, ქუდი ირაკლისი, სადაც ბოლოს -ი გვაქვს სახელობითისათვის).

მაგალითები:

1. სახელობითი ბრუნვა: წვერი მთისა... გამოჩნდა: ვაჟა, V,99,37; ერთი გუნდი მტრის ჭარისა მუცელაანთ დაეცა თავსა: ვაჟა, V,310,2; ეგრე გათავდა პირველ მოციქულთა სახელოვანის მოციქულისა: ილია, I,358,12; ვარდთ შემოუნახავთ წვეთები წვიმის: ა. კალანდ., 32,1...

2. მოთხრობითი ბრუნვა: მესამე დღეს რიცხვმა ხალხისამ იკლო: ვაჟა, VIII,164,18; მოსტაცა თვალი მოვარვარე დისკომ მთვარისამ: კ. გამს., I,725,25...

3. მიცემითი ბრუნვა: ღამის ხარჯს საქონლისას მოერიდნენ: ილია, I,408,25; კრიჭინების მწყობრი ორკესტრი აღვიძებდა რულს ბუნებისას: კ. გამს., II,75,5; ჰანგი შორს მოაქვს ეხოს მთებისას: ხ. ბერ., 9,7...

<sup>126</sup> ძველი ქართულის რთული ვითარება სპეციალურ ლიტერატურაში იერცლადა მიმოხილული.

<sup>127</sup> ე. თ. ფ. უ. რ. ი. ა. ნანათესაობითარი მსაზღვრელი სახელის შეთანხმება საზღვრულთან ბრუნვაში. სახელის ბრუნვბ. ისტორიისათვის ქართველურ ენებში, I, გვ. 358—361; ა. შ. ა. ნ. ი. ძ. ე. ქართული ენის გრამატიკის: აფუძვლები, გვ. 92; 112;

4. ვითარებითი ბრუნვა: მლივი ვერ იქნება კლდის შვილად, ვით კრავი შვილად ლომისა: ვაჟა, VII, 57, 14; დედამისმა სიცილით თავი დაუქნია ნიშნად თანხმობისა: აკაკი, IV, 137, 12; იწვევს მფარველად ქვეყნისა: ვაჟა, III, 49, 8...

5. წოდებითი ბრუნვა: ბეჩავე ვარ, შემობრალე, ნიავო მთისავე: ვაჟა, V, 203, 31; შერცხვა ჩვენი ოჯახი, სიამაყევე და სიხარულო ოჯახისავე: შ. დად., IV, 160, 28...

ნართანინი მრავლობითი რიცხვი, რომელიც ასეთი განსაზღვრებისათვისაც გვქონდა, თანამედროვე ქართულისათვის არაა დამახასიათებელი (შდრ. დალენილები ეყარნენ აბჯარნი ჩემის ძმისანი: ვაჟა, III, 18, 12); არწივთა მალლის მთისათა ნეტავ რად უნდა მქებარი: ვაჟა, III, 10, 20...). თვით „საზღვრულის შემდეგ ნანათესაობითარი მსაზღვრელის ხმარების შემთხვევები თანამედროვე ქართულში შედარებით იშვიათია და გამართლებულია მხოლოდ სტილისტიკური და, იშვიათად, სინტაქსური საჭიროებით“<sup>128</sup>.

ნანათესაობითარი განსაზღვრება ცოცხალი მეტყველებისათვის დამახასიათებელი არ ჩანს, მაგრამ იშვიათი ფორმები მაინც შეინიშნება; შდრ. ზანური: ხენწგფეკე უცებუ კარო ოზეში დოკილუ: ყიფშ., 76, 17 — ხელმწიფემ უცბად ეზოს კარი დაკეტა; შეუღირთ ოსტატენქ კეთებას ეუდეშის: ხუბ., 21, 20 — შეუღდგენ ოსტატები აშენებას სახლისას...; სვანური: ქა მაქკრე ლუს დ გვარს ვოქვრანშ: ბზ., 88, 10 — მომჭრის ნაწნავებს ოქროსას; ლიყველ მაპქირ დზ-ლარემიშ: სვ. პ., 110, 32 — მოშორება მენანება ყანა-სათიბისა...

§ 64. დისტანციური სუბსტანტიური განსაზღვრება. სუბსტანტიური განსაზღვრება საზღვრულს უკავშირდება დისტანციურადაც. დისტანციური სუბსტანტიური განსაზღვრება, როდესაც განსაზღვრებასა და საზღვრულს შორის ჩართულია ზმნა-შემასმენელი ან რომელიმე სხვა წევრი, ხელახლა ირთავს ბრუნვის ნიშანს ისევე, როგორც მართულ-შეთანხმებული განსაზღვრება: სიყვარულისას დაწუნავ გვირგვინსა; ვაჟა, V, 249, 1; ცისას იგონებს რიდესის: გ. ტაბ., 253, 6...

ასეთი განსაზღვრება და საზღვრული ჩვეულებრივ გვხვდება სახელობითში, მოთხრობითსა და მიცემითში<sup>129</sup>, ოღონდ სახელო-

<sup>128</sup> ვ. თოფურიია, ნანათესაობითარი მსაზღვრელის შეთანხმება საზღვრულთან, გვ. 361; თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმები, გვ. 138.

<sup>129</sup> ლ. კვაჭაძე, თანამედროვე ქართული ენის სინტაქსი, გვ. 184; ი. ბენაიშვილი, ვაჟა-ფშაველა და ძველი ქართული ენა, გვ. 149—166.

ბითში ბრუნვის ნიშანს (-ის) არ ირთავს („კ ა ც ი ს ა მ ე ჯ მ ი ს ხ რ ი ა ლ ი“: ვაჟა, III, 215, 14...).

გათიშულად გვხვდება მართულ-შეთანხმებული განსაზღვრება: ღ ვ ა რ ი ჩ ა მ ო ს დ ი ს ც რ ე მ ლ ი ს ა: ვაჟა, I, 317, 26; პ ა ს უ ხ ს არ დაუცადა მ დ ი ნ ა რ ი ს ა ს: ვაჟა, VI, 257, 20; ჭ ა ე რ ს ა მ ო ი ყ რ ი დ ა თ ა ე ი ს ნ ა მ უ ს ი ს შ ე უ რ ა ც ხ მ ყ ო ფ ე ლ ი ს ა ს: ვაჟა, VII, 148, 24...

§ 65. განმარტოებული სუბსტანტიური განსაზღვრება. განსაზღვრების განმარტოებას მაშინ ვწვდებით, როდესაც ერთნაირი საზღვრული სახელების განმეორების თავიდან აცილების მიზნით უკანასკნელს გამოტოვებენ ხოლმე<sup>130</sup>. საზღვრულის გამოტოვების შედეგად მასთან დაკავშირებული განსაზღვრება რჩება საზღვრულის გარეშე, განმარტოვდება, და დამატებით დაართავს გამოტოვებულს: საზღვრულის ბრუნვის ნიშანს, სახელობითში კი მრავლობითი რიცხვის ნიშანსაც<sup>131</sup>: კაკლის ხეები ეზოებში და ხ ი ლ ი ს ა ნ ი ბ ა ლ ი გ ბ ს ა და ბაღებში შეიკუნწლა ახალის თოვლის ქულითა: ილია, I, 469, 39...

განმარტოებულ განსაზღვრებას ორმაგი ბრუნვის ნიშანი აქვს და ამდენად პირველ საზღვრულს „ეთანხმება“ აგრეთვე „მ ო თ ხ რ ო ბ ი თ შ ი: დავითის შვილმა ისწავლა, ვ ა ხ ტ ა ნ გ ი ს ა მ — არა; მ ი ც ე მ ი თ შ ი: დედის მაგივრობას ბიცოლა უწევდა, მ ა მ ი ს ა ს კ ი — ბიძა...; მ ი მ ა რ თ უ ლ ე ბ ი თ შ ი: თავის თავს თვლიდა არა სოფლის მცხოვრებად, არამედ ქ ა ლ ა ქ ი ს ა დ“<sup>132</sup>, შდრ. სხვა ნიმუშები: ლუკიას გაჩხირული ფეხები კ ა ლ ი ი ს ა ს წ ა ა გ ა ვ დ ნ ე ნ: კ. გამს., I, 478, 14; ბაბიას ახლანდელი საქმიანობა ძ ა ლ ი ა ნ ჰ გ ა ვ დ ა მ ა რ ი ა მ ი ს ა ს: ლ. ქიაჩ., III, 172, 26...; არ გეყურება, შე უბედურის დ ღ ი ს ა ვ, რომ მძიმე საქმე მაქვს-მეთქი: ილია, I, 301, 28...

თუ განმეორებული საზღვრული სხვა სახელისათვის განსაზღვრებაა, მაშინ მისი გამოტოვების შემთხვევაში ატრიბუტული განსაზღვრება მართულად იქცევა და უკავშირდება მომდევნო საზღვრულს: ერთ მცენარეს მ ე ო რ ი ს სახელს უწოდებდა: დ. კლდ., I, 87, 20 (← ერთ მცენარეს მ ე ო რ ე მ ც ე ნ ა რ ი ს სახელს უწოდებდა). სხვა შემთხვევაში ატრიბუტული განსაზღვრება ფორმას არ იცვლის: ახალმა წელმა ძ ე ე ლ ი შესცვალა: ი. ნონეშვი., 251, 11...

<sup>130</sup> ა. შ ა ნ ი ძ ე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, გვ. 94.

<sup>131</sup> ლ. კ ვ ა ქ ა ძ ე, თანამედროვე ქართული ენის სინტაქსი, გვ. 184.

<sup>132</sup> ვ. თ ო ფ უ რ ი ა, ნანათესაობითარი მსაზღვრელის შეთანხმება საზღვრულთან, გვ. 360.

განმარტოებული განსაზღვრება ირთავს თანდებულსაც, რომელიც ნაგულისხმევ საზღვრულს უნდა დართოდა: ხან ერთის ჯიბეში ვიყავი, ხან მეორისაში: აკაკი, VIII, 131; თუ ხევისურებმაც თავიანთ „ტალავარი“ ნაყიდ ფარჩისაზე გაცვალებს, მაშინ ყოვლად შეუძლებელია ხევისურეთში ხევისურების არსებობა: ვაჟა, IX, 223, 1<sup>33</sup>.

ამგვარად, განსაზღვრება და საზღვრული ერთმანეთთან სინტაქსურად მჭიდროდ შეკავშირებული ერთეულებია. განსაზღვრება წინადადების დამოკიდებული წევრია, რომელიც შეიძლება დაუკავშირდეს არსებით სახელს ან არსებითი სახელის მნიშვნელობით გამოყენებულ რომელიმე წევრს (ქვემდებარეს, დამატებას, სახელით გამოხატულ გარემოებას, თანასაერთს). სინტაქსურა ურთიერთობა ყველგან ერთნაირად გამოიხატება: ატრიბუტული განსაზღვრება ბრუნვაში ეთანხმება საზღვრულს, სუბსტანტიური — იმართვის საზღვრულისაგან. სუბორდინაციის კანონის შესაბამისად განსაზღვრება ექვემდებარება საზღვრულ სიტყვას, რომელიც შესიტყვებაში წარმართავს დაქვემდებარებული სიტყვის დამოკიდებულებას.

შეთანხმების ფორმები ქართველურ ენებში ერთნაირი არ არის. ქართულში დაწყებულია განსაზღვრების გამარტივება: ბოლომდონიანი განსაზღვრება ბრუნვის ნიშანს არ ირთავს; სხვა ქართველურ ენებში ეს პროცესი დამთავრებულია ბოლოთანხმოვნიან განსაზღვრებებთანაც.

### 3. გარემოება

#### 1. ადგილის გარემოება

§ 66. ადგილის გარემოების რაობა და გამოხატვის საშუალებანი. ადგილის გარემოება გამოხატავს მოქმედების ან ობიექტობის მიმართებას სივრცისადმი. ამ მიმართებით აღინიშნება: ა) ადგილი, სადაც ხდება მოქმედება ან მდებარეობს საგანი (კითხვაზე — სად?), ბ) მოძრაობის მიმართულება მოქმედების თუ ობიექტობის ადგილიდან (კითხვაზე — საითკენ?), გ) მოქმედების მიმართულების საწყისი პუნქტი (კითხვაზე — საიდან?), დ) მოქმედ-

<sup>133</sup> ლ. კვაკაძე, თანამედროვე ქართული ენის სინტაქსი, გვ. 184.

ზის ან მდგომარეობის მიღწეულობა, სასრული პუნქტი (კითხვა-ზე — ს ა ნ ა მ დ ე ?).

ადგილის გარემოების აღმნიშვნელი ადგილის ზმნისართი და ამ მნიშვნელობით სახელი, რომლითაც გამოხატულია ჰდებარეობა ან მიმართულება. ასეთი სახელი დაისმის მიცემით, ვითარებით, ნათესაობითსა და მოქმედებით ბრუნვებში უთანდებულოდ ან თანდებულის დართვით.

## 1. ზ მ ნ ი ს ა რ თ ი ა დ გ ი ლ ი ს გ ა რ ე მ ო ე ბ ა დ

§ 67. ადგილის გარემოების გამოხატვა ზმნისართებით. ადგილის გარემოებად გამოყენებულია ადგილის აღმნიშვნელი ზმნისართები. პირველადი ზმნისართი ოდენ ფუძის სახითაა მოცემული (აქა, იქ'ი//იქ'ას, წინ, უკან, ქვეშ, შინ, შიგ...), წარმოქმნილს ახლავს შეხორცებული აფიქსი, ერთვის თანდებული ან კიდევ გართულებულია ფუძის რედუპლიკაციით. ასეთებია: მარჯვნივ, მარცხნივ, ირგვლივ, ძირს, შორს, მალლა: დაბლა, გვერდით, გარეთ...; გვერდზე, შუაში, შინისაკენ, შიგნიდან...; უკან-უკან, ქვეშ-ქვეშ, შიგადა-შიგ...

მაგალითები:

აქა: მე აქა მყავხართ: ილია, I,338,32; აქ კაკლები ეყარა: ვაჟა, V,174,20...

იქ: იქ რა გინდა? ილია, I,148,20; იქ ბალზე შევეჩვიე: ვაჟა, V,192,4...

წინ: ჩვენ სახლს წინ დიდი ეზო ჰქონდა: აკაკი, IV,28,40; წინ აქენთელებული ძალები გარბიან: ნ. ლორთქ., II,97,29...

უკან: უშიშა უკან გაბრუნდა: გ. შატბ., II,355,11...

ქვეშ: პეტრემ ყმაწვილებს ქვეშ გაუშალა თავისი ნაბადი: ილია, I,408,30; პეპის გავუშალე ქვეშ ფარაჯა: ილია, I,315,4...

შინ: მთელი დღე შინ იჯდა: მ. ჭავახ., I,31,4; იქნებ ჭობს შინ დავბრუნდე: თ. კილ., 7,20...

აგერ: აგერ სარკის წინ ვდგავარ: კ. ლორთქ., 407,14...

შიგ: ჩავყრით შიგ თესლსა: ილია, I,275,21; ფეხი შიგ ჩავარდა: ილია, I,325,36...

გარშემო: ჩვენც გარშემო შემოვუსხედით: ილია, I, 419,37; გარშემო ღრმა თოვლი დევს: ს. კლდ., 8,17...

ძირს: თავი ეგდო ძირს: გ. ლეონ., 50,4...

მალლა: დარეჯანი ამოვიდა მალლა ლუარსაბთან: ილია, I,378,5...

გვერდით: პატარძლებს აკვნები გვერდით ედგათ: ვაჟა, V,207,24; გვერდით ქეთინო იდგა: რ. ინან., 104,7...

ზევით: ლოდი ნელ-ნელა ზევით იწევდა: გ. შატბ., II,81,3...

გარეთ: გარეთ თოვდა: ნ. დუმბ., 34,25; მზიან დღეში სანდრო იქდა ხოლმე გარეთ: ს. კლდ., 7,7...

მარჯვნივ: ამ სახლს მარჯვნივ წალმით დახურული მარანი ედგა: ილია, I,427,25...

მარცხნივ: მანქანამ მთავარი ქუჩიდან მარცხნივ გადაუხვია: ე. ყიფ., I,46,4...

ირგვლივ: სასახლეს ... ირგვლივ სამი კუთხით სხვადასხვა შენობა ერტყა: აკაკი, IV,28,10...

სადღაც: დათიკო სადღაც წავიდა: ილია, I,271,9; სილიბისტრო სადღაც წასულიყო: რ. ინან., 21,31...

ქვევით: აგერ ქვევით ხომ ხედავთ ბორბალს? ნ. დუმბ., 58,1; არსენამ ქვევით გაიხედა: მ. ჯავახ., IV,162,22...

ინტენსივობისათვის შეიძლება განმეორებაც გვქონდეს: მე და აბო ჩახუტებულები მივყავართ მტკვარს სულ ქვევით და ქვევით: ნ. დუმბ., 501,15.

ზმნისართები ირთავენ თანდებულებსაც და გამოხატავენ ადგილსა და მიმართულებას:

გვერდზე: ახალგაზრდამ გვერდზე პატარა სპორტული ჩემოდანი დაიდო: რ. ინან., 44,17...

შუაში: გახარებულმა ჭაბუკებმა აქშინებული ცხენები შუაში მოიქციეს: მ. ჯავახ., IV,18,3...

-გან (და -დამ) თანდებულიანი ზმნისართით ნაჩვენებია მოქმედების საწყისი პუნქტი: დილით შინიდან გამოვიდვარ: გ. ლეონ., 51,3; ჯიბე შიგნიდან მაქვს გამოკერებული: ნ. დუმბ., 63,16; იქიდამ ვუცქერდი ამ საშინელებას; ვაჟა, V,68,10..., ხოლო -მდე თანდებულით — მიღწეულობა: შინამდე მინც მიელწია: გ. შატბ., II,94,12...

-კენ თანდებულიანი ზმნისართით გადმოიცემა მიმართულება მოქმედების ან მდგომარეობის ადგილიდან გარკვეული პუნქტისაკენ. მისი წინამორბედი კერძო თანდებულის მსგავსად -კენ თანდებული დაერთვის მოქმედებითის ფორმით წარმოდგენილ ზმნისართსაც: ხალხი შინისაკენ წავიდ-წამოვიდა: ილია, I,436,20, მაგრამ: ოტია იქითკენ გავარდა: დ. კლდ., I,206,10; ფეფენა ქვევითკენ წავიდა: დ. კლდ., I,21,21; ბოქაულმა რევოლვერი დასცალა ზევითკენ: მ. ჯავახ., V,130,38...

ანალოგიური ვითარებაა სხვა ქართველურ ენებშიც.

ზანურის მეგრულ დიალექტშიც პირველადი ზმნისართები ფუძის სახითაა წარმოდგენილი, ან წარმოქმნილია და ახლავს შეხორცებული ბრუნვის ნიშანი, ნაწილაკი, თანდაბული. მაგ.: აქ, თაქ



ათაქ „აქ“, ექ, თექ, ეთექ, თექინე „იქ“, თუდო „ქვეშ“, უი „ზე-  
ვით“, დინი „შიგ“, ეშე „ზევით“, მიშე „შიგნით“, თაქინეშე „აქეთ-  
კენ“, თექინეშე „იქითკენ“, უკახშე „უკანიდან“, სოდგა „სადღაც“,  
ეკოხ „აღმა“, დიკოხ „დაღმა“, წოხოლე „წინ“, უკახალე „უკან“,  
ხოლოშა „ახლოს“, თაურე (—თაქიყურე) „აქეთკენ“, თეურე (—თე-  
ქიყურე) „იქითკენ“ და ა. შ.

მაგალითები: აქ // თ ა ქ // თ ა ქ ი ნ ე // ა თ ა ქ // ა თ ა ქ ი ნ ე:  
აკოშაყარელენა აქ ქიანაში ოსურეფი: ხუბ., 18,20 — მეყრილან აქ  
ქვეყნის ქალები; ურჩქილე თ ა ქ კოჩი: ხუბ., 226,3 — უსმენს აქ  
კაცი; ატუქ თ ა ქ ი ნ ე გორჩქინდგ: ყიფშ., 10,9 — ატუ აქ (აქვე)  
გაჩნდა; ა თ ა ქ თე ბოშიქ გიმელგ: ხუბ., 122,9 — აქ ეს ბიჭი ჩა-  
მოვიდა...

ე ქ // თ ე ქ // თ ე ქ ი ნ ე // ე თ ე ქ // ე თ ე ქ ი ნ ე // ე თ ე ქ ი -  
ნ ე შ ე: ალექსანდრექ დოცვილუ ე ქ არაბი: ხუბ., 91,16 — ალექ-  
სანდრემ მოკლა იქ არაბი; ქგდებინუ თ ე ქ: ხუბ., 83,16 — დაბი-  
ნავდა იქ; სი გიტენქ თ ე ქ ი ნ ე: ხუბ., 30,27 — შენ გტოვებ იქ;  
თ ე ქ ი ნ ე შ ე მუში თოფი ქოძირუ: ხუბ., 46,15 — იქ თავისი თო-  
ფი ნახა.

ა ქ // თ ა ქ // თ ა ქ ი ნ ე // ა თ ა ქ // ა თ ა ქ ი ნ ე შ ი გამოიყოფა ა  
პრეფიქსი (აქ'ა', თ-აქ'ა', ა-თ-აქ[ა]...), რომელიც პირველ პირთან  
საგნის სიახლოვის გამომხატველია<sup>134</sup>.

ანალოგიური წარმოებისაა ე ქ // თ ე ქ // თ ე ქ ი ნ ე // ე თ ე ქ //  
ე თ ე ქ ი ნ ე // ე თ ე ქ ი ნ ე შ ე ... მესამე პირთან სიახლოვეს გამო-  
ხატავს ე- ექ—ექე; ეთექ—\*ეთე-ექე. ძირეული ქ'ს უკახებ სპე-  
ციალურ ლიტერატურაში საგანგებოდაა აღნიშნული<sup>135</sup>.

დანარჩენთაგან აღსანიშნავია: აშო „აქეთ“, იშო „იქით“, მიშე  
„შიგნითკენ“, დიკი „დაღმა“, „ქვევით“, მელე „გაღმა“, თუდო „ქვე-  
ვით“, უი „ზევით“, დინი „შიგ“, გიმე „ქვევით“, გალე „გარეთ“,  
წოხოლე „წინ“, უკახალე „უკან“, დინახალე „შიგნით“ და ა. შ.

აშო: ინენქ ტყვია ოცოთეს ა შ ო: ხუბ., 168,24 — იმათ ტყვია  
ისროლეს აქეთ...

დინი: ქიღნაყოთეს დიდი ქუა დ ი ნ ი: ხუბ., 3,8 — ჩააგდეს დი-  
დი ქვა შიგ...

<sup>134</sup> ვ. თ ო ფ უ რ ი ა, ნ და ს ფენებისათვის ქართველურ ენებში. საქართვე-  
ლოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე. ტ. II, № 1—2, 1941, გვ. 194.

<sup>135</sup> Н. М а р р, Грамматика древнелитературного грузинского язык-  
а, с. 98, 108; არნ. ჩ ა ქ ო ბ ა ვ ა, მოთხრობითი ბრუნვის გენეზისისათვის ქარ-  
თველურ ენებში. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, X, 1939,  
გვ. 171—173; ვ. თ ო ფ უ რ ი ა, ნ და ს ფენებისათვის ქართველურ ენებში,  
გვ. 194.

**დინახალე:** მინილუ ბოშიქ დ ი ნ ა ხ ა ლ ე: ხუბ., 3,16 — შევი-  
და ბიქი შიგ (შიგნით)...

**მელე:** ათაქ მ ე ლ ე ხორუა ქიძირე: ხუბ., 118,38 — აქ გაღმა  
სახლობა ჩანს...

**თუღო / თუღოღე:** ბოშიქ თ უ ღ ო ქადთირგინგ ქუალონც:  
ხუბ., 97,8 — ბიქი ქვევით შეგორდა ქვიანში; თ უ ღ ო ლ ე კაკა-  
ბიჯგურა წყარი გითმურს: ხუბ., 8,10 — ქვევით (ქვევითკენ/ქვევი-  
დან) ანკარა წყალი გამოდის...

**ჟი:** ძღაბი ჟი ქიმშაშენეს: ხუბ., 14,14 — ქალიშვალი ზევით  
ჩააშენეს...

**გიმე:** ქუა იშენით მეურს გ ი მ ე: ხუბ., 3,9 — ქვა მაინც მი-  
დის ქვევით...

**ეშე/ეშე-ეშე:** ეშელეს ე შ ე: ხუბ., 3,6 — ავიდნენ ზევით; მე-  
ულა ე შ ე-ე შ ე: ხუბ., 62,19 — მიდიან ზევით-ზევით, შდრ. ი შ ო -  
ი შ ო: ბოლოს ათეს მიაგუნუ იშო-იშო: ხუბ., 174,8 — ბოლოს ამას  
მიჰყვა იქით-იქით...

**მიშე:** ჟირი საათის მ ი შ ე იღია დო უკული პარაპოლი გამ-  
კართინევა: ხუბ., 216,33 — ორ საათს შიგ წადი და შემდეგ გემი  
მოაბრუნეო...

**სოდგა:** ს ო დ გ ა რენი კოჩიში ხუმა ქისიმენ: ხუბ., 276,16 —  
საღლაც კაცის ხმა ისმის (//საღლაც რომ არის, კაცის ხმა ისმის)...

**გალე:** ბოლო დროს კარიში ბურგონი ქირჩქილე გ ა ლ ე: ხუბ.,  
226,4 — ბოლო დროს კარის ხმაური ისმის გარეთ; შდრ. გ ა ლ ე-  
შ ე: ეთინა გალეშე უჯინე: ხუბ., 260,8 — ის გარედან უყურებს...

**წოხოლე:** ჩიტი მეფურინუნს წ ო ხ ო ლ ე: ხუბ., 211,27 —  
ჩიტი მიფრინავს წინ...

**უკახალე (უკახე), უკახალეშე:** თე კოჩქე დათას უ კ ა ხ ა ლ ე  
ქეკაგუნუ: ყიფშ., 16,7 — ეს კაცი დათას უკან მიჰყვა; სი უ კ ა ხ -  
შ ე ქემმანჯირია: ხუბ., 176,21 — შენ უკანიდან მომანწეპიო; ქიმო-  
ტყობგ ალიშქერქოუქ უ კ ა ხ ა ლ ე შ ე: ხუბ., 182,9 — მიეპარა  
ალიშქერქოუ უკანიდან.

**ხოლოშა:** სქუაქ ხ ო ლ ო შ ა ქემორთ: ხუბ., 134,36 — შვი-  
ლი ახლოს მოვიდა...

**შხვადო:** თელი დღათ შ ხ ვ ა დ ო გილურქ: ხუბ., 87,32 —  
მთელი დღით სხვაგან დადიხარ...

**თაურე (ეურე), თეურე:** გინულირიე კოჩი თ ა უ რ ე: ხუბ.,  
83,21 — გადასულია კაცი აქედან; მოლართეს ე უ რ ე კათაქ: ხუბ.,  
169,6 — წამოვიდა იქიდან ხალხი; გამათხოზუ თ ე უ რ ე: ხუბ.,  
31,16 — გამოევიდა იქიდან; თ ე უ რ ე შ ე აშო აცუ მუნულაქ: ხუბ.,  
46,14 — იქიდან აქეთ მოუხდა მოსვლა, შდრ. თ ქ ვ ა ნ ი უ რ ე,

ართ ცურე: თქვეანიურე მუჟომი მოსავალი რღუ? ყიფშ., 1,15 — თქვენკენ როგორი მოსავალი იყო? ამშვი ართცურე ჯანუ: ხუბ., 68,23 — ექვსი ერთ მხარეზე წევს.

დინახალე, თუდოლე, გალე, წოხოლე, უკახალე... შეესაბამება ქართულ -რე ნაწილაკიან ზმნისართებს, შდრ. ქართ. გარე, ქვემორე ზმნისართები. გალეშე, უკახალეშე... ზმნისართებში გაქვეავებული დამორებითი ბრუნვაა -შე ნიშნით. ხოლოშა გაქვეავებული მიმართულებითია -შა ნიშნით.

ასევე წარმოქმნილი ზმნისართებია: ეკოხ (// ეკოხო), დიკოხ (// დიკოხო), დინოხ (// დინოხო)...; გამოიყოფა ხ თანდებული (მაგ., ეკოხ-ო ცხოვრენს — ზევიტკენ (აღმართში) ცხოვრობს; დიკოხო ქინაცათუ — ქვევით (დაღმა) ჩააგდო; დინოხო ულუ — შიგნით (შიგნითკენ) აქვს...).

ხ'ს შესახებ აღრე ი. ყიფშიძეს ჰქონდა მითითებული, რომ მიმართულებით ბრუნვას დაერთვისო და გამოყოფილი აქვს ხ//ხე//ხი ვარიანტებით<sup>136</sup>. ამავე მნიშვნელობით ქანურში ნ. მარს შენიშნული ჰქონდა ხ//ხა მიმართულებით ბრუნვასთან<sup>137</sup>. აფხაზურში, როგორც ამას მიუთითებს ქ. ლომთათიძე, ადგილის გამომხატველია ახხ//ახ ელემენტი<sup>138</sup>, რომლის დაკავშირება ზანურ ხ'სთან დაშვებულია.

ტ. გუდავამ ამ მოსაზრებათა გათვალისწინებით აღნიშნა, რომ ხ თანდებული ზანურში უდრის -მდე'ს, აფხაზურში ხა უდრის -კენ'ს. ამ მნიშვნელობით ხ ზანურშიც გვხვდებოა<sup>139</sup>.

მეგრულისებური ვითარებაა ქანურშიც. ადგილის გარემოებად გამოყენებულია ზმნისართები: ჰაქო // ჰაქ // ჰაჲ // აქ „აქ“, ჰექო // ჰექ // ჰიქ // ექ „იქ“, გალე „გარეთ“, გალეშე „გარედან“, ეი // ეინ „ზევით“, ეინდოლე „ზევიდან“, ეილენდო „ზევიტკენ“, დოლოხე „შიგნით“, თუდე „ქვევით“, „ქვეშ“, თუდელე „ქვევითკენ“, გეჲდე „უკან“...

მაგალითები: ჰექ ოხორამტუ: ქან., II, 54, 14 — იქ სახლობდა; ექ ქომეოკი ეშშელი: ხოფ., 28, 14 — იქ მივბი ვარი...

აქოლე (აქეთ აქეთკენ): ეურკოჩი აქოლე დოღვითუნან: ხოფ., 65, 2 — ორი კაცი აქეთ დადგება...

<sup>136</sup> ი. К и п ш и д з е, Грамматика мингрельского (иверского) языка, с. 122.

<sup>137</sup> Н. М а р р, Грамматика чанского (лазского) языка, с. 36.

<sup>138</sup> ქ. ლომთათიძე, კითხვითი ფორმები აფხაზურში. საქართველოს სსრ მეცნ. აკად. მოამბე, ტ. III, № 9, 1942, გვ. 974.

<sup>139</sup> ტ. გუდავა, ერთი აფხაზური თანდებული ზანურში. საქართველოს სსრ მეცნ. აკადემიის მოამბე, ტ. VIII, № 3, 1947, გვ. 188—189.

ეკოლე (იქითკეხ): შეკატცხოხტი ეკოლე: ხოფ., 172,20 — გადავხტი იქითკენ...

გალე/გალენ/გალეშე/გალენდონ (გარეთ, გარედან): ხოჯაში ოხორჯა გალე ქაგამახთუ: ჰან., I,4,33 — ხოჯას ცოლი გარეთ გამოვიდა; მაქვალი გალენ ქიერენ: ჰან., II,5,3 — კვერცხი გარეთ თეთრი არის; გალეშე დიდი ჭაფუფე ქონობაძგაფეტუ მალარას: ხოფ., 198,10 — გარედან დიდ ხეებს მიაყუდებდა ბუნხას; გალენდონ მსიჯი გოკირს: ჰან., I,115,20 — გარედან სურო აკრავს...

დოლოხე (შიგნით): დოლოხე თხოპუში ნჯარა ქოგოდუმელან: ჰან., I,148,20 — შიგნით თხმელის მრგვალ ხეებს გაუდებენ...

ჟი/ჟინდოლე/ჟილენდო (ზევით, ზევიდან, ზევითკენ): კულანი გეხენ ჟინ: ხოფ., 88,15 — გოგო ზის ზევით; ჟინ ქორპა ონ: ჰან., II,112,13 — ზევით მუცელი არის; ჟინდოლე ლუქუნა მალაფუ: ხოფ., 178,28 — ზევიდან სანთელი მოადგება; ჭურუნში ნეკნა ჟილენდო ტუკონ-ნა, კაი ტუ: ჰან., I,6,2 — ფუონის კარი ზევითკენ რომ ყოფილიყო, კარგი იქნებოდა.

თუდე/თუდოლე/თუდენდონ (ქვევით, ქვევითკენ, ქვევიდან): თუდე ქვარენ: ხოფ., 123,10 — ქვევით ქვა არის; დოლოფცხოხტი თუდოლე: ხოფ., 172,21 — ჩავხტი ქვევითკენ; ეშაფცხოხტი თუდენდონ ჟინ: ხოფ., 172,25 — ამოვხტი ქვევიდან ზევით...

გეაღე (უკან): გეაღე ოხორჯა მუშიქ თასი დუდუმესს: ჰან., II,5,24 — უკან მისი ცოლი თესავს...

სვანურში სხვა ქართველურ ენათა მსგავსად ადგილის გარემოების აღმნიშვნელი ზმნისართები გვაქვს მარტივადაც და თანდებულის დართვითაც: ეჩოხ ამეჩედხ ჩხარა ლახვა: ლენტ., 261,22 — იქეთ წასულა ცხრა ძმა; ეჩხავ ქოჩულს ხეძხილალე: სვ. პ., 14,21 — იქით ქოჩულს გასძახის; კვიციან ლექვა ანჯად უშხვანართე: ბქვ., 9,21 — კვიციანი ქვევით მოვიდა უშხვანარში; ღვაშ ჩვაშეყედ ეჩელექვა: ლენტ., 285,28 — ჩიხვი ჩამოვარდნილა ქვევით; ესრან ჩუბენ ჭიდარაჯხ: სვ. პ., 84,2 — თურმე ქვევით გადაარაჯობენ; შდრ. ისგაშხან ისგვი გვიდამი ვოქერე — ვარჩხილინ გოშია: სვ. პ., 22,5 — შიგნით შენი მიდამო ოქრო-ვერცხლით სავსეა; დედეს ლაჯბარკვენხ ეიქანქა: სვ. პ., 20,12 — დედაზე გადაგაბიჯებინეს ზემოდან; კვიციანდ ლაკვიამაშ ყორარ სვაშხენქა ჩვაილ: ბქვ., 9,3 — კვიციანმა ეკლესიის კარები შიგნიდან ჩაკეტა...

ზმნისართი ან სახელი ზმნისართის მნიშვნელობით ადგილის გარემოებად შეიძლება ფუძის განმეორებითაც წარმოგვიდგეს. ასეთი განმეორება ან უკავშიროდ ხდება, ან დაკავშირის მეშვეობით: ეკა-

უკან-უკან მიიწევდა: მ. ჯავახ., I,63,7; ლავრენტი ვერ ისვენებდა, დადიოდა ქუჩა-ქუჩა: ნ. ლორთქ., II,249,28, შდრ. აგურები შიგადაშიგ ამოცვივნულან: ილია, I,325,37; იგი გზად აგზა დაბლა იხრება: ნ. დუმბ., 123,9...

## 2. სახელი ადგილის გარემოებად

§ 68. მიცემითი ბრუნვა ადგილის გარემოებად. ადგილის გარემოებად მიცემითში დასმული სახელი გვხვდება უთანდებულოდაც და თანდებულის დართვითაც. უთანდებულო მიცემითი ამ შემთხვევაში სემანტიკურად ადგილთანაა დაკავშირებული და მიერთვის წამყვან სიტყვას. მას შეიძლება ახლდეს მსაზღვრელი სახელიც.

მიცემითში დასმული უთანდებულო ადგილის გარემოება ძველ ქართულში ჩვეულებრივი იყო: გვხვდება გაუვრცობელი თუ გავრცობილი ფორმით, ნაწევრის დართვით, მსაზღვრელ სახელთან ერთად და ა. შ. ახალ ქართულში უთანდებულო ფორმამ თანდათან დაუთმო ადგილი თანდებულისს, თუმცა არც ისე იშვიათად იხმარება და გვაქვს: იმ საღამოს სტეფანწმინდას ამოვედი: ილია, I,255,26; მამაჩემი 'კახეთს წავიდა: ვაჟა, VII,49,27...

ადგილის გარემოებას გამოხატავს ნანათესაობითარი მიცემითიც. ასეთ შემთხვევაში ნანათესაობითარი მიცემითი ისტორიულად მსაზღვრელი სახელია მიცემითში დასმული ადგილის გარემოებისა, რომლის დაკარგვის შემდეგ ადგილის გარემოების ფუნქცია თვით მას უკისრია<sup>140</sup>: ყმაწვილმა კაცებმა თავი მოიყარეს ერთი ამხანაგისას: აკაკი, IV,208,16; მარკოზამ მარინე ონისიძესას მიიყვანა: დ. კლდ., I,44,11...

სვანურში ანალოგიურ შემთხვევაში იხმარება -თე თანდებულისანი სახელი: მარე მეზვბელთე აჩნდ — კაცი მეზობლისას გადავიდა; ის გვქმთე ანჯნდ მეზვბელ — თქვენსას მოვიდა მეზობელი.

ნანათესაობითარი მიცემითის ფუძე შეიძლება მრავლობითის ფორმითაც იყოს: გუშინ მეზობლიანთას გახლდი: ილია, I,338,7; მე კაცკაცაძიანთას წავედი ვახშად: ა. ყაზბ., V,205,5...

ამავე რიგისაა ცისასა (=ცაზე, ცისკენ), მთისასა (=მთიდან, მთის გზით), რომელთაც ვხვდებით ვაჟა-ფშაველას ენა-

<sup>140</sup> ა. შანიძე: ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, გვ. 94;

ში<sup>141</sup>: დავლიე წუთისოფელი, მივემგზავრები ციხასა: ვაჟა, II,56,12; რა მზე მაუვათ მთიხასა? ვაჟა, I,58,18...

თავისებურია ნანათესაობითარი ნაცვალსახელი. ასეთებია ქართულში კუთვნილებითი ნაცვალსახელები: ჩემ-ი, შენ-ი, ჩვენ-ი, თქვენ-ი..., რომელთაც ფუძედ გამოუყენებიათ ნათესაობითი ბრუნვისათვის სავარაუდებელი ფორმები: ჩემ, შენ, ჩვენ, თქვენ<sup>142</sup>. ესენიც ორმაგ ბრუნვის ნიშანს ირთავენ: ნათესაობითისეულ ფუძეს + მიცემითის ს ნიშანი + ისევ მიცემითის ს და „ორმაგ წარმოებას გვიჩვენებენ“, ამის შედეგად გვაქვს: ჩემ-სა-ს, შენ-სა-ს, ჩვენ-სა-ს, თქვენ-სა-ს<sup>143</sup>: ჩემსას შენ ერთხელაც არ მინახვარ: ი. გოგბ., IX,8,24: ჩემსას ვარახელაო, შენსას არაფელაო (ანდ.), დაქვრივებული ჩაჩიკა ჩვენსას სტუმრად მოსულიყო: გ. ლეონ., 244,24; ჩვენსას მოხვალ — ღვინოს ყლურკავ, თქვენსას მოვალ — თვალებს ხუჭავ (ანდ.).

მიცემითში დასმული სახელი ადგილის გარემოების გამოხატვისას ჩვეულებრივ ირთავს თანდებულებს. ეს თანდებულებია: -ში, -ზე, -თან, -შუა, -შორის... და ზმნისართები თანდებულის მნიშვნელობით: უკან, ქვეშ, გართ...

-ში და -ზე თანდებულები სივრცეს გამოხატავენ: „-ში შინაგან სივრცეს გულისხმობს (სიღრმეს ან შემოზღუდულ რასმე), -ზე კი — ზედაპირს“<sup>144</sup>.

-ში თანდებულიანი სახელი ადგილის გარემოებად, როგორც წესი, ადგილს, მდებარეობას, შიგ მყოფობას აღნიშნავს. იგი ამავე მნიშვნელობით შეიძლება დაერთოს კრებით სახელებსაც: მამა გავიდა მეორე ოთახში: ილია, I,419,35; დათვი ტყეში შევიდა: ი. გოგბ., V,203,6; პეტრე ჩადგა ახლა სულ სხვა ჯგუფა ხალხში: ილია, I,411,40; შერვაშიძეების ბანაკში თათბირობდნენ: ნ. ლორთქ., II,63,9; ხვალ ქარში მივდივარ: ნ. ლუმბ., 560,16...

-ზე თანდებულიანი სახელი მიუთითებს სივრცეზე, საგნის ზედაპირზე. იგი შეენაცვლა უთანდებულო მიცემითის ისევე, როგორც -ში თანდებულიანი სახელი: უმტვერო ჰაერი მხოლოდ ზღვაზე მოიპოვება: ი. გოგბ., IX,25,33; ერთ კორტოხზე სერგო შეჩერდა: ნ. ლორთქ., II,324,11...

ზანურში უთანდებულო მიცემითი იხმარება ანალოგიურ შემთხვევაში, მაგრამ გარკვეული შეზღუდვით: გვხვდება მხოლოდ მა-

<sup>141</sup> ალ. ქინკარაული, ვაჟა-ფშაველას მცირე ლექსიკონი, თბ., 1969, გვ. 19.

<sup>142</sup> ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, გვ. 115.

<sup>143</sup> იქვე, გვ. 108.

<sup>144</sup> იქვე, გვ. 601.

შინ, როცა იგი გამოხატავს ადგილს მიმართულების გარეშე. აქ იგი შეესაბამება -ში და -ზე თანდებულებიან სახელს.

მაგალითები: ა) მე გ რ უ ლ ი: ქედოსქიღღ ძღაბიქ ტყას: ხუბ., 75,3 — დარჩა გოგო ტყეში; მინდორს ქვაბი ქიგედგ: ხუბ., 65,28 — მინდორში ქვაბი დგას...; შარას ქეშეზვადეს ხოლო ართ კოჩქ: ხუბ., 56,37 — გზაზე შემოხვდათ კიდეე ერთი კაცი...

ბ) ქ ა ნ უ რ ი: არ ქ ა რ მ ა ტ ე ს არ დერემენჯი ქოხეტუ: ჰან., II,95,13 — ერთ წისქვილში ერთი მეწისქვილე იჯდა; ნოლამისა ნაშქვეს ბიჭიმ ო ხ ო რ ი ს: ჰან., II,67,24 — პატარძალი დატოვეს ბიჭის სახლში; ყ ო ნ ა ს ჩხომი პჷოფი: ჰან., I,17,7 — ყანაში თევზი დავიჭირე; ოხორჯა ხვალე ქედოსქიღღუ კ ა რ ა ვ ი ს: ჰან., II,17,16 — ქალი მართო დარჩა გემზე და ა. შ.

ს ვ ა ნ უ რ შ ი ქართულის -ში და -ზე თანდებულებიანი ადგილის გარემოების გადმოსაცემად გამოყენებულია:

1. უ თ ა ნ დ ე ბ უ ლ ო მ ი ც ე მ ი თ ი: აშხვეინ ესნარ მესტილარ წრის ლეჩხუმს: ბზ., 51,2 — ერთხელ თურმე მესტილები არიან ლეჩხუმში; სეზგ ლგზიგ დ ო ლ ს: ბქვ., 10,17 — სეგზი თურმე დოლში სახლობდა; ბეთგილ კ ო ჟ ა ს ქავ შყედენი: სვ. პ., 282,9 — ბეთქილი კლდეზე გადმოვარდა; მეშხა ძ უ ლ ვ ა ს ბერალ ხეზგეხ: სვ. პ., 10,33 — შავ ზღვაზე ბერები სახლობენ.

2. უ თ ა ნ დ ე ბ უ ლ ო ვ ი თ ა რ ე ბ ი თ ი: ბაზი შია ლენჯარდ ლური: სვ. პ., 140,9 — ამაღამ მე ლენჯერში მივდივარ. ლატლი ლეჟან მინ დ ვ ე რ დ ოღვერ: სვ. პ., 86,30 — ლატლის ზემოთ მინდორში მოვედი...

3. -თე თ ა ნ დ ე ბ უ ლ ი ა ნ ი ს ა ხ ე ლ ი: ესღერდა ეშხუ მგლტალ ლელტხა ლეჟვა ლეჩხუმთე: ბზ., 50,15 — მიდიოდა ერთი ლატალელი ლენტეხის გავლით ლეჩხუმში; ლებსუყვ ჯაჰკელან ქ ო რ თ ე აჩანდ: სვ. პ. 92,22 — ლებსუყვ ჯაჰკელიანი სახლში შევიდა...

4. -ისგა თ ა ნ დ ე ბ უ ლ ი ა ნ ი ს ა ხ ე ლ ი: ცხეკისგა ჩუ სგურდა ხოშა დჷვ: ბზ., 262,4 — ტყეში იჯდა დიდი დევი; ამირანდ რაშე ქაფიშტე მინ დ ვ ე რ ი ს კ ა: ლენტ., 281,6 — ამირანმა რაში გაუშვა მინდორში...

-ისგა თანდებულის შესატყვისად მიჩნეულია ქართული -ში: ქართულ შ'ს შეესატყვისება სვანური სგ<sup>145</sup>.

5. -ჟი თ ა ნ დ ე ბ უ ლ ი ა ნ ი ს ა ხ ე ლ ი: -ჟი ქართ. -ზე თანდებულის ფარდია (შდრ. ზან. ჟი — „ზევით“). სვანურში „ჟი გვიჩ-

<sup>145</sup> გ. რ ო გ ა ვ ა, ქართველურ ენათა ფონეტიკის ისტორიულ-შედარებითი შესწავლის ძირითადი საკითხები. იყვ, IV, 1952, გვ. 44.

ვენებს ადგილს, საგნის ადგილმყოფობას ზედაპირზე<sup>146</sup>: ხოშა სორთ-  
მან ბ ა ლ კ ო ნ ე ი ს გ უ რ: სვ. პ., 82,28 — დიდი სორთმანი აივან-  
ზე ზის...

6. -ქა თ ა ნ დ ე ბ უ ლ ი ა ნ ი ს ა ხ ე ლ ი: ძორი მწარე შუკ-  
ვ ქ ა ე ს ლ გ რ დ ა — ორი კაცი გზაზე მიდიოდა...

7. -ხო თ ა ნ დ ე ბ უ ლ ი ა ნ ი ს ა ხ ე ლ ი<sup>147</sup>: ი ფ ა რ ხ ო ის-  
გ ა ო ნ კ ვ ა დ ი: სვ. პ., 194,30 — იფარხო ის-  
გ ა ო ნ კ ვ ა დ ი...

სვანურში ასეთი მრავალფეროვნება მეორეული მოვლენაა.

მიმართულების აღნიშვნისას, როდესაც ადგილის გარემოებას  
გამოხატავს ქართულში უთანდებულო მიცემითი („მამაჩემი კ ა-  
ხ ე თ ს წ ა ვ ი დ ა“: ვაჟა, VII,49,27...) ან უთანდებულო ვითარებითი  
(„ყმაწვილი გავიდა მ ი ნ დ ვ რ ა დ“: ი. გოგებ., V,458,37...), ან კი-  
დეე -ში და -ზე თანდებულებიანი მიცემითი („მამა გავიდა მეორე  
ო თ ა ხ შ ი“: ილია, I,419,35...), ზანურში გამოყენებულია მიმარ-  
თულებითი ბრუნვა. მისი აღმნიშვნელია -(ი)შა. -(ი)შა რთული  
შედგენილობისაა: წარმოადგენს ნანათესაობითარ ვითარებითს და  
შესაბამისად წარმოდგენილია ნიშნებით. ამ ტიპის მიმართულებითის  
შედგენილობისა და ფუნქციის საკითხები საკმაოდ გაშუქებულია  
სამეცნიერო ლიტერატურაში<sup>148</sup>.

აკაკი შანიძემ ძველი ქართულისათვის ცალკე გამოყო მ ი მ ა რ-  
თ უ ლ ე ბ ი თ ი, რომლის დანიშნულებაა „აღნიშნოს მიმართულე-  
ბა რაიმე საგნისადმი: წარვიდა მ ი ს ა, წარვილინა მ ა თ ა“<sup>149</sup>. მი-  
მართულებითი წარმოშობით ნანათესაობითარი ვითარებითია (მივი-

<sup>146</sup> ნ. ა ბ ე ს ა ძ ე, თანდებული სვანურში. თბილისის სახელმწიფო უნივერ-  
სიტეტის სამეცნიერო შრომების კრებული, 7, 1955, გვ. 286.

<sup>147</sup> ნ. ა ბ ე ს ა ძ ე, თანდებული სვანურში, გვ. 285.

<sup>148</sup> არნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, კანურის გრამატიკული ანალიზი, გვ. 51—52; ვ.  
თ ო ფ უ რ ი ა, ზოგიერთი ბრუნვის გენეზისისათვის მეგრულ-ქანურში. ენიშის  
შოაბე, I, 1937, გვ. 179—183; სტ. ჩ ხ ე ნ ე ე ლ ი, საკუთარ სახელთა ბრუნება  
ოშკური ხელნაწერის „მეფეთა წიგნებში“, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის  
შრომები XXV, 1942, გვ. 175—177; ი. ი მ ნ ა ი შ ვ ი ლ ი, სახელთა ბრუნება  
და ბრუნვათა ფუნქციები ძველ ქართულში, გვ. 379—380; 711—712; არ. მ ა რ-  
ტ ი რ ო ს ო ვ ი, ჩ ე მ დ ა, შ ე ნ დ ა... ტიპის ნაცვალსახელთა წარმოება და  
ფუნქციები ქართველურ ენებში. იყ, XI, 1959, გვ. 107—128; ა. ლ ო მ თ ა-  
ძ ე, სახელთა ბრუნების თავისებურებანი მეგრულში ქართულთან შედარებით.  
საქართველოს სსრ მეცნ. აკადემიის საზოგ. მეცნიერებათა განყოფილების ორგანო  
„მაცნე“, № 1, 1969, გვ. 172—190; ბ. გ ი გ ი ნ ე ი შ ვ ი ლ ი და ზ. ს ა რ-  
ჭ ვ ე ლ ი ძ ე, ნანათესაობითარი მიმართულებითისა და ნანათესაობითარი დანიშ-  
ნულებითის ადგილი ძველა ქართული ენისა და ქართველური ენების ბრუნვა-  
თა სისტემაში, „მრავალთავა“, VI, თბ., 1978, გვ. 123—136 და სხვ.

<sup>149</sup> ა. შ ა ნ ა ძ ე, ძველი ქართული ენის გრამატიკა, თბილისი, 1976, გვ. 155.



და ი ე ს უ მ ს ა : C მ რ., 10,150, შდრ. DE: მივიდა მ ი ს ა...). მისი გამარტივებული ფორმა დაემთხვა ნათესაობითს.

ზანურში მიმართულებითი ბრუნვით აღინიშნება მიმართულება და ამიტომ გვაქვს მ ე გ რ უ ლ შ ი : ბადიდიქ მიდეცონუ ჯორი ქ ა - ლ ა ქ ი შ ა : ყიფშ., 10,23 — მოხუცმა წაიყვანა ჯორი ქალაქში; კო- ლონას მინულებუ მ ა რ ა ნ ი შ ა : ყიფშ., 127,9 — კოლო შესულა მარანში; ე კოცე წ ი რ უ ა შ ა მიდუურთგმე: ყიფშ., 12,20 — ეს კაცი წირვაზე წასულა; გიორგიქ ეშელგ ბალკონიშა: ხუბ., 147,6 — გიორგი ავიდა აივანზე...

ქ ა ნ უ რ შ ი : მან დალიშა ვულუ: ჭან., I,43,19 — მე ტყე- ში წავალ; მა ჩხომი ბ ა თ უ მ ი შ ა ბილამ: ჭან., II,5,5 — მე თევზს ბათუმში წავიღებ; ჩილი ჩქიმში ო ხ ო რ ი შ ა ბიგნალი: ჭან., II,23,24 — ჩემი ცოლის სახლში წავედი...

არნ. ჩიქობავას შენიშნული აქვს, რომ ვიწურ-არქაბული კილო- კავის არქაბულს თქმაში და, ნაწილობრივ, ათინურში ვუაკლია მ ი - მ ა რ თ უ ლ ე ბ ი თ ი : კოჩიშა, კუჩხეშა... — მის ნაცვლად და- შ ო რ ე ბ ი თ ი იხმარება: კოჩიშე, კუჩხეშე...; იხმარება საწინააღ- მდგეგო მნიშვნელობის ბრუნვა<sup>150</sup>: ქ ა რ მ ა ტ ე შ ე ვეგზალი: ჭან., II,103,23 — წისქვილში წავედი; ოკაჩხე ჰიმ ბადიქ მენდიფონუ ო ხ ო ი მ უ შ ი შ ე : ჭან., II,92,8 — მერე იმ ბერიკაცმა წაიყვანა თავის სახლში; ჰექ დივიშ ო ხ ო რ შ ე ქომეხთუ: ყლ. ჭან., 108,6 — ის დევის სახლში მივიდა; ბიჭი დ უ ლ უ ნ ი შ ე ქომოხთუ: ყლ. ჭან., 112,10 — ბიჭი ქორწილში მოვიდა და ა. შ.

-თან თანდებულიანი სახელიც ადგილს გამოხატავს, უჩვენებს სიახლოვეს, გვერდით ყოფნას, ახლოს ყოფნას<sup>151</sup>. თ ა ნ — თ ა ნ ა' საგან, რომელიც ძველ ქართულში სახელს მართავდა შესაბამისად მიცემითსა და ნათესაობით ბრუნვებში.

-თან თანდებული თანამედროვე ქართულში ერთვის მიცემით ბრუნვაში დასმულ სახელს. თუ სახელი ბოლოთანხმოვნიანია, ბრუნ- ვის ნიშანი იკარგება, ბოლოხმოვნიანთან კი შემორჩენილია: კ ე - დ ე ლ თ ა ნ დამყენეს: აკაკი, IV,41,15; თენგო ლ ო დ თ ა ნ გა- ჩერდა: გ. შატბ., II,86,19; შდრ. კ უ დ ი - გ ო რ ა ს თ ა ნ ერთი ტყე არი: ილია, I,149,4; წ ყ ა რ ო ს თ ა ნ გადაბეხრეკეპული ცხე- ნები დგანან: რ. ინან., 111,1...

ზანურში მიმართულებითი ბრუნვა ასრულებს ქართულის -თან თანდებულიანი სახელის ფუნქციასაც, როცა ეს უკანასკნელი მი-

<sup>150</sup> არნ. ჩიქობავა, ჭანურის გრამატიკული ანალიზი, გვ. 48.

<sup>151</sup> ე. თ ო ფ უ რ ი ა, ქართული ენა, III—IV, ტფილისი, 1933, გვ. 73.

მართულებას გამოხატავს: ქიპერთე ბეგოქ ჳ ი შ კ ა რ ი შ ა: ხუბ., 102,34 — მივიდა ბეგო ჳ ი შ კ ა რ თ ა ნ, შ დ რ. ჳ ა ნ უ რ ი: ნ ე კ ნ ა შ ა ქომეხთუ: ხოფ., 197,10 — კართან მივიდა...; სხვა შემთხვევაში გვაქვს კ ა ლ ა // კ ე ლ ა // კ უ მ ა თანდებულისანი ნათესაობითი მეგრულში, ხოლო კ უ ლ ე // კ ა ლ ა თანდებულისანი ნათესაობითი ქანურში. ნათესაობითისეული შ'სა და თანდებულისეული კ'ს შეერთებით მივიღეთ შკ კომპლექსი, რომელმაც მეგრულში როგვცა წკ და ქანურში — ჳკ<sup>152</sup>: კ ა რ ი წ კ უ მ ა ვაჩენდუ კოჩქ — კართან გაჩერდა კაცი; ც უ დ ე წ კ უ მ ა გედგუ ოქოთომე — სახლთან დგას საქათმე...

ქანურში შეიძლება გამარტივების შედეგად დაიკარგოს ბრუნვის ნიშანი: ა თ ი ნ ე შ - კ უ ლ ე თურქული ღალღალღან: ხოფ., 41,28 — ათინის შემდეგ თურქულად ღაპარაკობენ, მაკრამ: დინი კ უ ი - კ ა ლ ა ქოღოხედენ: ხოფ., 46,25 — ღრმა ორმოსთან დამჯდარა; ეღახენ ... ნ ე კ ნ ა - კ ა ლ ა: ხოფ., 174,3 — ზის კართან...

სვანურში -თან თანდებულისანი ადგილის გარემოებას მნიშვნელობით იხმარება -ც ა ხ ა ნ, -თ ე და -მ გ ყ თანდებულებიანი სახელები<sup>153</sup>: ყ რ ა ჳ ლ ც ა ხ ა ნ მაშინა აღჩარგან — კარებთან მანქანა გაჩერდა; ს ა რ ა გ ც ა ხ ა ნ ღუმირ ღგ — წყაროსთან ხე დგას...

შორის თანდებული ცალკე მდგომია და გვაქვს მაშინ, როდესაც სახელი, რომელსაც ეს თანდებული მართავს, მრავლობით რიცხვშია, ან შეერთებულია და კავშირით ორი სახელი<sup>154</sup>. ორივე შემთხვევაში ერთნაირად აღმოიკვება ადგილის გარემოება: პროფესორი გახარებული დადიოდა მწკრივებს შორის: კ. გამს., V,123,24; მთათა შორის მყინვარწვერს დაუწყო ძებნა: რ. ინან., 31,36... და ასე: ს ო ფ ე ლ ს ა და ა ლ ა ზ ა ნ ს შ ო რ ი ს ღიდ მანძილზე თანდათან ვაკდებოდა: კ. გამს., V,11,7; ც ა ც ხ ე ს ა და კ ა ღ ა რ ს შ ო რ ი ს ახალგაზრდები ზიმზიმებდნენ: კ. გამს., I,211,22...

შორის თანდებულისანი სახელის მსგავსია შუა თანდებულისანი სახელი. აქაც მართული სახელი მრავლობით რიცხვშია, ან ორი სახელია და'თი შეერთებული: სველი შეხრე კ ა მ ე ჩ ე ბ ს შ უ ა ჩაწვა: ს. მგალ., 360,5; გ ზ ე ბ ს ა და გ ზ ე ბ ს შ უ ა აი ასეთი კვლები უნდა დაიკვალოს: ილია, I,455,5; ხიდი იღო მტკვარზედ ხ ი ღ ი ს თ ა ვ ს ა და გ ო რ ს შ უ ა: ი. გოგებ., IX,98,18...

<sup>152</sup> ე. თ ო ფ უ რ ი ა, ბუნებრივი კომპლექსებისათვის ქართველურ ენებში, ენიშვის მოამბე, I, გვ. 119—121.

<sup>153</sup> ნ. ა ბ ე ს ა ძ ე, თანდებული სვანურში, გვ. 287—288.

<sup>154</sup> ა. შ ა ნ ი ძ ე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, გვ. 601.

შორის და შუა თანდებულები გვაქვს მაშინაც, როდესაც იმ სახელს, რომელსაც ეს თანდებულები მართავენ, მსაზღვრელად ახლავს რაოდენობითი რიცხვითი სახელი.

შდრ. სვანური: ზ ა გ ა რ ნ ე ს გ ა ძღღ ლ ა რ ა ლ ი — მთებს შორის დიდი ველია; ზ ა გ ი შ ი ზ ა გ ა ნ ე ს გ ა ბ ა ლ ლ ი — მთასა და მთას შორის ბალი არის; ა რ ვ ზ ა გ ნ ე ს გ ა ძღღ ბ ა ლ ლ ი — ორ მთას შორის დიდი ბალი არის...

მიცემით ბრუნვასთან თანდებულის მნიშვნელობით გამოიყენება ზოგი ზმნისართიც. ესენია: ქვეშ, უკან, გარეთ, გამოღმა, იქით, ახლო...

ქვეშ: პატარა ფარეშებთან სუფრას ხეს ქვეშ, საღმე ჩრდილში, გავშლით: აკაკი, IV,35,10; ფ ა რ დ უ ლ ს ქ ვ ე შ ი დ გ ნ ე ნ ს ო ს ო და დიმიტრი: ი. გოგებ., VI,444,37, შდრ. მიცემითის მოკვეცილი ნიშნით: ის ნ ი გ ო ზ ქ ვ ე შ ი ჩ ე რ ო შ ი ი ყ ო მ ხ ა რ - თ ე ძ ო ზ ე წ ა მ ო წ ო ლ ი ლ ი: აკაკი, IV,27,12; ჩ რ დ ი ლ ქ ვ ე შ ა ლ უ მ ი ნ ის ს ა წ ო ლ ი გ ა ე შ ა ლ ა თ: თ. კილ., 49,18...

უკან: მოხუცი ტოტია... ჯ ა გ ს უ კ ა ნ ე ყ უ ნ თ ა: ვაჟა, VI, 14,16; ჰკითხა ვილაც ზ უ რ გ ს უ კ ა ნ მ ქ ლ ო მ მ ა: ნ. დუმბ., 291,28, შდრ. სვან. შ ი ყ ვ ე შ გ ი ნ ჩ უ ა რ ე ს გ უ რ — ზურგს უკან ვილაც ზის...

გარეთ: ქ ა ლ ა ქ ს გ ა რ ე თ გ ა ვ ი დ ა ც ხ ე ნ დ ა ც ხ ე ნ ე ლ ი კ ო: აკაკი, IV,212,16, შდრ. სვანური: ქ ა ლ ა ქ ქ ა მ ე ნ თ ე ა ჩ ა დ მ ა ს წ ა ვ ლ ე ბ ე ლ — ქალაქს გარეთ გავიდა მასწავლებელი.

გამოღმა: მგზავრები ღ ე ლ ე ს გ ა მ ო ლ მ ა ა ქ ე თ - ი ქ ი თ შ უ კ ე ბ შ ი უ ხ ვ დ ე ბ ო ლ ნ ე ნ: რ. გვეტ., 104,12...

იქით: მალე აკაციის ბ ე ე ბ ს ი ქ ი თ ქ ე რ მ ის ფ ე რ ი კ რ ა მ ი ტ ი თ დახურული ძველი სახლიც გამოჩნდება: გ. შატბ., II,154,20...

ახლო (—ახლოს): თათრები ქ ა რ ე ლ ს ა ხ ლ ო მ ტ კ ვ ა რ შ ი გ ა ვ ი დ ნ ე ნ: ი. გოგებ., IX,99,20...

§ 69. ვითარებითი ბრუნვა ადგილის გარემოებად. ადგილის გამობატვა ვითარებითი ბრუნვის ერთ-ერთი ადრინდელი ფუნქციონირებაა<sup>155</sup>. ძველ ქართულში ვითარებითი ბრუნვა ადგილის გარე-

<sup>155</sup> დაწვრილებით: არნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა. მიმართულებითი (გარდაქცევითი) ბრუნვის მნიშვნელობისა, წარმოებისა და ისტორიისათვის. ენაშის მოამბე, I, 1937, გვ. 13—15; ქ. შ ი ქ ე ლ ა ძ ე, მიმართულებითი ბრუნვის ფუნქციონისათვის ძველ ქართულში: სახელის ბრუნვის ისტორიისათვის ქართულურ ენებში, I, ვ. თოფურას რედ., თბ., 1956, გვ. 403—408; ე. ბ ა ბ უ ნ ა შ ვ ი ლ ი, მიცემითი და ვითარებითი ბრუნვების ურთიერთობისათვის ძველ ქართულში. იქვე, გვ. 394—396; თ. შ ა რ ა ძ ე ნ ი ძ ე, მოქმედებითი და ვითარებითი ბრუნვების წარმოება და ფუნქციები ძველ ქართულში, იქვე, გვ. 423—424, 429—433.

მოების გამოსახატავად უფრო ხშირად გამოიყენებოდა უთანდებულ-  
ლოდაც (მაგ.; მეფე სპარსეთად შევიდა: ბოლნ. 4,7; მელ-  
რენი იგი ივლტოდეს ქალაქად: C მ 8,33...) და თანდებულის  
დართვითაც (ივლტოდედ მთად კერძო: C ლ 21,21; ნუ ცად-  
მდე აჰმალდები: DE მ 11,23...). ახალ ქართულში, თუმცა შე-  
დარებით ნაკლებად გვხვდება, მაგრამ არც ისე იშვიათად: ყმაწვი-  
ლი გავიდა მინდვრად: ი. გოგებ., V,458,37; დადიან ხმელე-  
თად: აკაკი, IV,153,40; საბჭოთა გამანადგურებლები ცად აიმართ-  
ნენ: დ. შენგ., II,318,14...

ვითარებითი ბრუნვა ადგილის გარემოების გამოხატვისას ხში-  
რად ენაცვლება მიცემითს, რასაც თავისი საფუძველი აქვს, შდრ.  
ორი კაცი მიდიოდა გზად: ხალხ. სიბრძნე, V,319,15 და კაცი მი-  
დიოდა გზასა: ი. გოგებ., V,194,16 და ასე: ყვირილის პი-  
რად ხვადბუნები მოდებული იყო გლახაკებით; აკაკი, IV,31,2;  
ცოტა ხანს კიდევ იდგნენ ქალები ხრამის პირად: კ. გამს.,  
V,118,20... და: ხეხილი ზედ გზის პირას იდგა: გ. ლეონ.,  
20,8 და ა. შ., შდრ. სვანური: მეთხვადარ კოჯა ძირად აჩნდ:  
სვ. პ., 270,33 — მონადირე კლდის ძირას მივიდა...

ვაჟა-ფშაველას ენაში ვითარებით ბრუნვაში დასმული სახელი  
-ზე თანდებულიანი სახელის მნიშვნელობითაც იხმარება<sup>156</sup>: ხარ-  
ზაქებს ჰვეანან მხედარნი, ხმლები არტყიათ წელადა (=წელზე):  
II,287,12; სხვა შემთხვევაში ვითარებით ბრუნვაში დასმული სა-  
ოთი ნაწარმოები დანიშნულების სახელები -კენ თანდებულიანი სა-  
ხელების მნიშვნელობით იხმარებიან: გამოსწიეს საფშაოდ  
(=ფშავისაკენ): VII,157,28; ბევრჯელ წასულა საქალოდ  
(=ქალისაკენ) დახოცილთ სისხლის ღვარია: III,62,29...

უფრო ჩვეულებრივია -მდე//მდის და მიმართ თანდებულიანი  
ვითარებითის გამოყენება ადგილის გარემოებად. აქედან პირველი  
გამოხატავს მოქმედების მიღწეულობას, „მიგვითითებს გარკვეულ  
პუნქტამდე მიწევნას“<sup>157</sup>, მეორე — მიმართულებას: ქუთაისამ-  
დის ორი დღის სავალი იყო: აკაკი, IV,37,5; ქვედურეთამ-  
დე კაი შორი გზა ჰქონდათ ჩვენს მგზავრებს: დ. კლდ., I,165,6...;  
ალი აღეტყინება ვითარცა საკვერთხი ცად მიმართ: აკაკი,  
IV,436,2...

ვითარებითი ბრუნვა ზანურის მეგრულ დიალექტშიც იშვია-  
თად გამოყენებულია ადგილის გარემოებად: თურქენქ ... მუნეფიში

<sup>156</sup> ალ. კინქარაული, ვაჟა-ფშაველას მცირე ლექსიკონი, გვ. 241—  
244.

<sup>157</sup> ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძველები, გვ. 74.

უჩაშეფი ქედარინეს სოფელო დო ქალაქო: ხუბ., 14,22 — თურქებმა თაიანთი უფროსები დააყენეს სოფლად და ქალაქად.

უფრო ხშირად კი იხმარება ხ თანდებულიანი მიმართულებით: სენი... დას დუდიშახ ეუშაფულუ ჩილამური: ხუბ., 13,13 — თეფში დას თავამდე აევსო ცრემლით; ეუდეშახ ქიმიოჭირინუ — სახლამდე მიალწია...

ქანურში ქართულის -მდე თანდებულიანი სახელას გაგებით დაშორებითი გვხვდება: ბურგულიში ქომვალუ: ქან., II, 87,19 — მუსლამდე აუვიდა.

სვანურში -მდე თანდებულიანი ვითარებითის დაზად გვაქვს უთანდებულო ვითარებითი ან -თე, -ლო და -ჩუ თანდებულიანი სახელები: მაჩხფარე თხუშად ონკვედი: სვ. პ., 24,1 — მაჩხფარის წვერამდის მოვედი; მესტიად ლეჟა ამკედხვი: სვ. პ., 88,11 — მესტიამდე ამოვსულვარ; ეჩხანისგა მგჟალვარ ანკადხ ვოღვირთე: ბზ., 22,21 — იქიდან მუჟალელები უღვირამდე მოვიდნენ...; ლატლიხო ჟიბენ ამკედხვი: სვ. პ., 86,11 — ლატალამდე ამოვსულვარ...; ამშა ქა ლგათვან ჩუ კედენის სოფელ ფაყხოჩუ: ლენტ., 68,4 — ამის გათავების შემდეგ ჩამოდიან სოფელ ფაყამდე.

§ 70. ნათესაობითი ბრუნვა ადგილის გარემოებას გამოსახატავად. ქართულში ადგილის გარემოების გამომხატველი ნათესაობით ბრუნვაში დასმული სახელი, როგორც წესი, თანდებულიანია. თანდებულისა და ზმნისართული თანდებულის დართვით გამოხატულია ადგილი და მიმართულება.

მიმართულების აღსანიშნავად გამოყენებულია -კენ თანდებულიანი სახელი: უფრო გამალებული წავიდა პეტრე ავლაბრის ბაკებისაკენ: ილია, I,414,31; ირემი მისცურავდა ზღვაში პირდაპირ უფსკრულისაკენ: ვაჟა, VI,125,12; სერგო ქიშკრისაკენ გაიქცა: ნ. ლორთქ., II, 321,29...

ზმნისართული თანდებულებიდან ნათესაობით ბრუნვაში მართავენ სახელს: ქვეშ, წინ, უკან, გვერდით, ახლოს, გარეთ, გადაღმა, გარშემო, შუა...

ქვეშ სახელს მიცემით ბრუნვაშიც მართავენ ამავე შნიშვნელობით. ასეთივეა უკან, გარეთ, შუა (/შორის)...

ქვეშ: სახლის სახურავის ქვეშ მოჩანდა ნაპრალი: ი. გოგებ., V,503,9; ხმაური ისმოდა კაკლის ქვეშ: გ. შატბ., II,82,25...

უკან: მეტეხის ციხის უკან უშველებელი წითელი ბურთი ამოგორებულყო: მ. ჯავახ., I,74,15; ვინ დგას ამ სარკის უკან: კ. ლორთქ., 407,21...

წინ: დედაბერი კედლის პატარა ბუხრის წინ ქვაბებს დასტრიალებდა: ილია, I,282,3; ვასოს დედ-მამას სახლის წინ მშენიერი ბალი ჰქონდა: ი. გოგებ., IX,9,8...

გვერდით: ორმოების გვერდით დაწყობილ ახალსა და ახალ ნერგს ათვალიერებდა... პროფესორი: კ. გამს., V,123,38...

ახლოს: მზია რკინიგზელთა სახლის ახლოს ცხოვრობდა: რ. ინან., 27,33...

გარეთ: გვედი სტანციის გარეთ: ილია!, 258,1...

გადაღმა: ღობის გადაღმა სოფლის ბიჭებულისხნენ: გ. შატბ., II,15,2...

გარშემო: მკითხვემა თავლის გარშემო თვალი გადაავლო: ილია, I,379,25; მამაკაცები კერის გარშემო დაცუქდნენ: კ. გამს., I,523,20...

შუა (ისევე, როგორც შორის): აღმოჩნდა მთების ზემოთ მყინვარი, ცისა და ქვეყნის შუა დაკიდული: ილია, I,125,10; საბძლისა და გომურის შუა... მელანო და ჰაბა მახარა გამოჩნდნენ: მ. ჯავახ., IV,39,15; მელია ორი ცხენის შუა მოქცა: მ. ჯავახ., IV,35,18...

ვაჟა-ფშაველას ენაში ადგილის გარემოების გამოსახატავად გამოყენებულია უთანდებულო ნათესაობითი<sup>158</sup>: ჯერ ვერ-ოთ გადავლიეს, კიდევ მაასწრობ მთებისა (=მთებზე): III,16,7; ხარი მამიკვდა კვირისა, ცეცხლი წავყარე პირისა (=პირიდან): IX,32,10.

ნათესაობითს ეფარდება მეგრულში დაშორებითი ბრუნვა: ათე გიორგიქ მიდართე ათე გლახა შარაშე: ხუბ., 145,31 — ეს გიორგი წავიდა ამ ცუდი გზისაკენ; ეთიწკვმა ათე ბორო ჯიმაქ ჯანდაბაშე მიდართე: ხუბ., 296,14 — მაშინ ეს სულელი ძმა ჯანდაბისაკენ წავიდა...

ასეთ შემთხვევაში დაშორებითი ბრუნვა გამოხატავს მიმართულებას<sup>159</sup>.

ჰანურშიც ამ მნიშვნელობით დაშორებითია: მთუგა მენდახთუ მჰკონიშე: ჰან., II,43,1 — თავგი წავიდა მუხისაკენ; ჰარმატეშე მენდულუნ დერემენჯი: ჰან., 95,19 — წისქვილისაკენ წავა მეწისქვილე...

<sup>158</sup> ალ. ჰინჭარაული, ვაჟა-ფშაველას მცირე ლექსიკონი, გვ. 18.

<sup>159</sup> ა. ლომთაძე, დაშორებითი ბრუნვის შესახებ მეგრულში: „მაცნე“, ენისა და ლიტერატურის სერია, 1973, № 4, გვ. 121.

მიმართულებითი ბრუნვის ფუნქციითაც დაშორებულია გამოყენებული, რაც იმის მაუწყებელია, რომ „ჩერ კიდევ არ არის დამთავრებული ამ ორი ბრუნვის დიფერენციალია“<sup>160</sup>.

სხვა შემთხვევაში -კენ თანდებულისანი სახელის მნიშვნელობით ჰანურში მიმართულებითი ბრუნვა გვაქვს: ჭელუკა მზოლა პ ი ჯ ი შ ა ქ აგოჩქვეს: ჰან., I,156,30 — ნავი ზღვის ნაპირისაკენ გასწივს; ბერეჟ დიდი ჭუმალეფე მუში ელიკათუ დო უ შ ქ უ რ ი შ ა მენდოფონუ: ჟლ. ჰან., 6,3 — ბიჭმა უფროსი ძმები ვაშლისაკენ წაიყვანა...

მ ე გ რ უ ლ შ ი ნათესაობით ბრუნვაში დასმული სახელი გვხვდება თანდებულის დართვითაც: მუჟ გომელუ გიმე დო მითილუ ც უ დ ე შ ი თ უ დ ო: ხუბ., 7,33 — თვითონ ჩამოვიდა ძირს და შევიდა სახლის ქვეშ; ხენწგფემ ც უ დ ე შ უ კ ა ხ ა ლ ე არწივს გიმულდგ ოგვაჯე: ხუბ., 152,2 — ხელმწიფის სახლის უკან არწივს უდგას საბუღარი; ბოშიქ ქიმერთე დ ო ხ ო რ ე შ ხ ო ლ ო შ ა: ხუბ., 123,14 — ბიჭი მივიდა სახლის ახლოს..., შდრ. ჰანურა: ჩქიმდეკელე ოყვილუშენი მულუნ ო დ ა-კ ე ლ ე (←ოლაშეკელე): ხოფ., 29,12 — ჩემკენ მოსაკლავად მოდის ოთახისაკენ, გზაში თ უ დ ე ნ ი-კ ა ლ ე ასკილეფუნას ქოდოლოტოჩუ: ჰან., II,91,16 — გზის ქვევით ასკილნარში გადაისროლა; ხ ო რ ც ი შ დ ო ლ ო ხ ე ე ი ლ ი ო ნ უ: ჰან., II,102,31 — ხორცის შიგნით ძვალი არის; ნოლამისა კ უ ლ ა ნ ე ფ ე შ ო რ თ ა ვ ო შ ა ზ ე ნ: ხოფ., 174,8 — პატარძალი გოგოებს შორის ზის...

სვანურში -კენ თანდებულისანი ნათესაობითის მნიშვნელობით გვხვდება -თე, -თესგა, -ხო თანდებულებიანი სახელები: ბეფშე ს ო ფ ე ლ თ ე ესკომა — ბავშვი სოფლისკენ გარბოდა; თე ემჩედა ლ ა ბ ს ყ ვ ლ დ ი თ ე: სვ. პ., 232,6 — თვალი გამეჭვა ლაბსყალდისკენ: ლასგიდ ლმსყვან ლ ა ტ ლ ი თ ე ს გ ა: სვ. პ., 220,11 — გადასახელი გამიკეთდა ლატალისკენ; დ ა ვ ბ ე რ ხ ო ლ ე ქ ვ ა ეს-ლური: სვ. პ., 178,28 — დავბერისკენ ჩავდივარ..., შდრ. გ ა კ ვ ჩ უ ქ ე ვ ა ნ ხ ო შ ა ბ ა ბ ა ს გ უ რ დ ა — კაკლის ქვეშ იჯდა ბაბუა; მ ე გ ე მ ჩ უ ქ ე ვ ა ნ გ უ ს გ ვ ვ რ ხ ა შ ე დ ხ — ხის ქვეშ ვაშლები ეყარა; ქ ო რ ს გ ე ვ ბ ი ნ ძღღღ ბა ლ ლ ი — სახლის წინ ბალი არის.

§ 71. მოქმედებითი ბრუნვა ადგილის გარემოებად. მოქმედებით ბრუნვაში დასმული სახელი ადგილის გარემოების გადმოსაცემად ახალ ქართულში ჩვეულებრივ თანდებულისანია, მაგრამ არც ისე იშვიათად გვაქვს უთანდებულოდაც. ეს უკანასკნელი ძველ ქართულში მოქმედების დაწყების ადგილს ან დროს უჩვენებდა და

<sup>160</sup> არნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, ჰანურის გრამატიკული ანალიზი, გვ. 61.

გადმოიცემოდა ემფატიკური -ა'ს დართვის გარეშე. მეორე მხრივ, ასეთივე ფუნქციით იყო აღჭურვილი -გან თანდებულიანი ნათესაობითი. ორივე ერთი ფუნქციით ერთდროულად იხმარებოდა და მას თავისი ახსნაც მოეპოვება: გენეტურად ისინი ერთი ბრუნვიდან — ნათესაობით-მოქმედებითიდან — მომდინარეობენ<sup>161</sup>, შლრ. „ალილეს უფალი ჩემი საფლავით“: ხანმ. ი 20,13 და „ალილეს უფალი საფლავისაგან“: იქვე, 20,2...

ძველი ქართულიდან მომდინარეა ასეთი ფორმით ადგილის გარემოება: ის იმ ლამესვე ქურღულად გავიდა კახეთით: აკაკი, IV,126,30; დაიძრა მიწით ყვაილნი: ვაჟა, I,73,4; ოტია იმ წამსვე უკანა კართ გავარდა: დ. კლდ., I,207,27...

ახალ ქართულში დამკვიდრებულია მოქმედებითი ბრუნვის გამოყენება მხარეთა აღსანიშნავად: აღმოსავლეთით ცის პირი ნათდებოდა: ვაჟა, VI,13,23; ქართლს დასავლეთით საზღვრავს სურამის გრძელი მთა: ი. გოგებ., V,555,3; სამხრეთით ვარიანს მოზრდილი ქაობი უძეეს: ი. გოგებ., V,546,30...

უთანდებულო მოქმედებითი აღრიდანვე შეცვალა -გან თანდებულიანმა მოქმედებითმა, რომელმაც გამარტივების გზით ცვლილებაც განიცადა (-ით-გან—ილ-გან—ილ-ან...): ტყიდგან გამოხტა ლომი: ი. გოგებ., V,409,15; ქოხიდან გამოვიდა მონადირის ცოლი: ი. გოგებ., V,460,12; დათომ ლოგინიდან წამოიწია: ე. ყიფ., I,508,12; პატარა ჩიორა მუხიდან მომესალმა: ა. კალანდ., 22,3...

საინტერესოა ადგილის გარემოების გადმოცემა სახელის ფუძით: გზიურ გამოვბრუნდი შინა: ა. ყაზბ., V,179,2; გზიურ წავალ: ა. ყაზბ., II,114,22; ტყიურ წაველ: გ. ლეონ., 72,4... აქ გზიურ = გზიდან (//გზით), ტყიურ = ტყიდან (//ტყით).

თუ გავითვალისწინებთ, რომ -იურ — ივ-ურ'ისაგან, ხოლო -ივ არის ით-ის ბადალი. მაშინ უნდა ვიფიქროთ, რომ ასეთ მნიშვნელობას გვაძლევს ფუძეში გაქვავებული -ივ ბრუნვის ნიშანი.

ვაჟა-ფშაველას ენაში ლოკატივისათვის მთის დიალექტების მსგავსად თანდებულიანი სახელიც ირთავს ბრუნვის ნიშანს: ეგ წელანის აი წისქვილთანით ამოვიტანე: V,172,37; მინდორ-

<sup>161</sup> გ. როჯავა, კუთვნილებითი აფიქსები ი ქართველურ ენათა ზმნისა და სახელის მორფოლოგიურ კატეგორიებში. საქართველოს სსრ მეცნ. აკადემიის მოამბე, ტ. III, 5, 1942, გვ. 499; ვ. თოფურიანი. ბრუნვის სისტემისათვის სვანურში სხვა ქართველურ ენათა ბრუნებასთან შედარებით. საქართველოს სსრ მეცნ. აკადემიის მოამბე, ტ. V, № 3. 1944, გვ. 341; ქ. ძოწენიძე, -გან თანდებულიანი მოქმედებითი ბრუნვის ფუნქციისათვის ძველ ქართულში, იყე, I, 1946, გვ. 195—202.



ში ი თ მოსული ყველა იმას ამბობს: V,57,4; ბეჩავმა ლელამ პურია-  
ქმარს შაუგორა კ ა რ ჩ ი ი თ: I,39,29...

სხვა შემთხვევაში თანდებულისან სახელს შეიძლება მეორე თან-  
დებულის დაერთოს: მდინარაძემ შერბინას წ ა რ ბ ე ბ ქ ვ ე შ ი -  
დ ა ნ ამოხედა: ნ. დუმბ., 578,30; შდრ. ილიამ კალმისტარი ყ უ რ -  
ზ ე მ ო დ ა ნ გადმოიღო: ი. იმედაშვილი, ჩემი ცხოვრების წიგნი,  
211,10... ეს ხდება მაშინ, როცა პირველი თანდებული ფუძესთანაა  
შეხორცებული.

-გან თანდებულისან მოქმედებითს დაედარა -დამ თანდებუ-  
ლისანი მოქმედებითი: -დამ „მიღებულია დაღმა ზმნისართისაგან. ამ  
უკანასკნელმა გამარტივების პროცესში გაიარა რამდენიმე საფეხუ-  
რი: დაღმა//დაღმე—დამე (//დამა)—დამ“<sup>162</sup>.

როგორც ჩანს, ეს თანდებული ცოცხალი მეტყველებიდან შემო-  
იქრა სალიტერატურო ქართულში, მაგრამ გადაშენდა. გვხვდება  
ილია ჭავჭავაძის, ვაჟა-ფშაველას, აკაკი წერეთლისა და სხვათა ნა-  
წერებში: ო თ ა ხ ი დ ა მ გარეთ გამოვედი: ილია, I,255,32; ოთა-  
რანთ ქვრივმა დიდხანს ადევნა თვალი დ ე რ ე ფ ნ ი დ ა მ: ილია,  
I,448,15; მოწყენილი დაბრუნდა ს ა მ წ ყ ე ს უ რ ი დ ა მ გიორგი:  
აკაკი, IV,311,27; დედაჩემი ს ა წ ო ლ ი დ ა მ ადგა: ვაჟა, V,15,35;  
ჩორეხს კიდევ უყვარდა ბ ი ბ ლ ი ი დ ა მ ეს ადგილი: გ. ლეონ.  
273,22...

მ ე გ რ უ ლ შ ი -გან თანდებულისანი მოქმედებითის ფუნქცი-  
ით გამოიყენება დაშორებითი ბრუნვა<sup>163</sup>. ბოშიქ გეგგმერულუ გ ვ ა -  
ლ ა შ ე: ყიფშ., 57,20 — ბეჭმა ჩამოიბრინა მთიდან; ათე ზ ლ ვ ა -  
შ ე გვერშაპი ეკმურსუ ირ დლას: ხუბ., 12.1 — ამ ზღვიდან ვეშაპი  
ამოდის ყოველდღე...

იშვიათად ამ მნიშვნელობით მიცემითიც გვხვდება: ალექ გიმე-  
ლ ჯ რ ა შ ი ს: ხუბ., 167,20 — ალე ჩამოვიდა რაშიდან; ც ხ ე ნ ს  
გიმელია, უწუ: ხუბ., 239,20 — ცხენიდან ჩამოდიო, უთბრა; ვეშე-  
ცონუ ლ ა გ ვ ა ნ ს კოჩი: ხუბ., 259,19 — ამოიყვანა ქურიდან.  
კაცი...

კ ა ნ უ რ შ ი ც დაშორებითი ბრუნვა გვაქვს: მუში ნტერიქ  
ა ჭ ა რ ა შ ე ნ გზა ქანუჭკირუ: ხოფ., 201,12 — მისმა მტერმა აჭა-  
რიდან გზა მოუჭრა; აღნე გამიყონოფან ო ხ ო ი შ ე ნ ნოლამისა:  
ხოფ., 55,30 — ახლა გამოყავთ სახლიდან პატარძალი; ყვაოჯი ქა-  
გეფუთხუ ჭ ა შ ე ნ: ჭან., I,102,6 — ყვავი ჩამოფრინდა ხიდან...

<sup>162</sup> არნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, ერთი უცნობი თანდებული ახალ ქართულში.  
ენიქის მოამბე, I, 1937, გვ. 61.

<sup>163</sup> ა. ლ ო მ თ ა ძ ე, დაშორებითი ბრუნვის შესახებ მეგრულში, გვ. 120.

-გან თანდებულის მოქმედებითს ეფარდება -კელე თანდებუ-  
ლიანი ნათესაობითი: მ ზ ო ლ ა კ ე ლ ე იხი ბარტუ: ჭან., I,46,30 —  
ზღვიდან ქარი უბერავდა...

სვანურში -გან თანდებულის მოქმედებითს ეტოლება -ისგა,  
-ქა, -ჩუ, ხან, ხანქა, ხანჩუ თანდებულებიანი სახელები: ჟი ლამ-  
პერლი ლ ა ყ ვ რ ა ი ს გ ა: სვ. პ., 54,1 — წამომხტარა საწოლიდან;  
ქანკანდ ამეი ყ რ რ ქ ა ლქქერნე — გამოვიდა ასე კარიდან გაწბი-  
ლებული; ეჩქა დნა ჩუბოვ ლანსვიდა მე გ ა მ ხ ა ნ ჩ უ: ბზ.,  
370,6 — მაშინ გოგომ ჩამოიხედა ხიდან; მი გეზლარ კ ო ჯ ჩ უ  
ოთგურნალ — მე შვილები კლდიდან გადავავორე...; რ ა ჭ ხ ა ნ  
ანღვრდახ უშგვლ; გზავრარ: სვ. პ., 366,21 — რაჭიდან მოდიოდნენ  
უშგულის მგზავრები; მი მიჩეშ ქორხანქა ონღვრი: სვ. პ., 92,37 —  
მე მისი სახლიდან მოვდივარ; მგსკად ქა ანშყად თ ვ ი ნ გ ხ ე ნ ქ ა  
ბქე., 58,19 — ბეჭედი გამოვარდა თუნგიდან; მალ შილა ფაყვარს  
უ რ ე მ ხ ა ნ ჩ უ — მელა ყრიდა ქუდებს ურმიდან...<sup>164</sup>

სხვა შემთხვევაში ადგილის გარემოება რთული ფორმითაა გად-  
მოცემული: პარალელურად არის წარმოდგენილი მოქმედების და-  
საწყისი პუნქტისა და დასასრული პუნქტის აღმნიშვნელი სიტყვები  
და ორივე ერთად აღნიშნავს მანძილს ერთი პუნქტიდან მეორემ-  
დე<sup>165</sup>. ამ ორი სახელიდან პირველი -გან (და -დამ) თანდებულის  
მოქმედებითი არის წარმოდგენილი, ან უთანდებულო მოქმედე-  
ბითა დაწყებითის მნიშვნელობით, მეორე -მდე//მდის თანდებუ-  
ლიანი ვითარებითი; იშვიათად კი -ში, -ზე, -თან თანდებულებიანი  
მიცემითი, -კენ თანდებულის ნათესაობითი ან კიდევ უთანდე-  
ბულო ვითარებითი.

1. საწყისი პუნქტი გამოხატულია -გან თანდებულისანი მოქ-  
მედებითი, დასასრული -მდე//მდის თანდებულისანი ვითარები-  
თით: ხმამ მ თ ი დ ა ნ მ თ ა მ დ ე გზა გაიკვლია: ლ. ქიაჩ., III,  
501,16; თ ა ვ ი დ ა ნ ფ ე ხ ე ბ ა მ დ ე გალუპული მურადა მო-  
ფრუტუნებდა: ნ. დუმბ., 14,1, შდრ., -დამ, -მდე: ტკივილმა ტ ვ ი -  
ნ ი დ ა მ გ უ ლ ა მ დ ე ჩამირბინა: ილია, I,262,22...

ადგილის საწყისი პუნქტის მეტი სიმკვეთრისათვის პირველი  
კომპონენტი შეიძლება დაუკავშირდეს შესაფერის მიმღობას: შ უ ბ-  
ლი დ ა ნ მ ო ყ ო ლ ე ბ უ ლ ი კ ე ფ ა მ დ ი ს კუპრივით შავ თმას  
თითის სიგანე ნასთი ვერცხლის ზონარივით გადასწოლიყო: მ. ჯავახ.,  
V,8,10...

<sup>164</sup> მაგალითები ამოღებულია ნ. აბისაძის შრომიდან „თანდებულო სვანურ-  
ში“, გვ. 286—291.

<sup>165</sup> ლ. კ ვ ა ჭ ა ძ ე, თანამედროვე ქართული ენის სინტაქსი, გვ. 136.

2. საწყისი პუნქტი გამოხატულია უთანდებულო მოქმედებით, დასასრული -მდე თანდებულიანი ვითარებით: სოფიო დაბორილებდა პ ა ლ ა ტ ი თ პ ა ლ ა ტ ა მ დ ე : მ. ჯავახ., II,37,19; ეზოს კ უ თ ხ ი თ კ უ თ ხ ე მ დ ე თვალები მოაველო: ლ. ქიაჩ., III,241,11.

3. საწყისი პუნქტი გამოხატულია უთანდებულო მოქმედებით, დასასრული — -ზე თანდებულიანი მიცემით: მან მობუცი თვალის დახამხამებაზე ზ უ რ გ ი თ ზ უ რ გ ზ ე მოიგლო: მ. ჯავახ., III,298,20.

4. საწყისი პუნქტი გამოხატულია -გან თანდებულიანი მოქმედებით, დასასრული — -ზე თანდებულიანი მიცემით: მოსურნე უნდა აღიოდეს ს ა ფ ე ხ უ რ ი დ ა ნ ს ა ფ ე ხ უ რ ზ ე : აკაკი, IV,264,37; ჩრდილები გადადიან ს ე რ ი დ ა ნ ს ე რ ზ ე : რ. ინან., 144,5...

5. საწყისი პუნქტი გამოხატულია -გან თანდებულიანი მოქმედებით, დასასრული — -ში თანდებულიანი მიცემით: ხმა გლახთა განთავისუფლებისა ირხეოდა ს ო ფ ლ ი დ ა ნ ს ო ფ ე ლ შ ი : დ. შენგ., ბ. ქ., 26,7; მანდარიას საქმე ს ა ს ა მ ა რ თ ლ ო დ ა ნ ს ა ს ა მ ა რ თ ლ ო შ ი გადაქმონდა: დ. შენგ. ბ. ქ., 14,14, შდრ. ს ო უ დ ა ნ ს ო ხ უ მ ს ჰიმავალ მთის კაცს ჯოტოს დარდი ჰქონდა აკიდებული: ლ. ქიაჩ., III,480,2...

6. საწყისი პუნქტი გამოხატულია -გან თანდებულიანი მოქმედებით, დასასრული — -თან თანდებულიანი მიცემით: ჩამოძონძილი მღვდელი და დიაკვანი დადიოდნენ საცეცხლურის ქნევით ს ა ფ ლ ა ვ ი დ ა ნ ს ა ფ ლ ა ვ თ ა ნ : დ. შენგ., II,29,4.

7. საწყისი პუნქტი გამოხატულია -გან (//-დამ) თანდებულიანი მოქმედებით, დასასრული — -კენ თანდებულიანი ნათესაობით: რუსეთი... ა ღ მ ო ს ა ვ ლ ე თ ი თ გ ა ნ დ ა ს ა ვ ლ ე თ ი ს ა კ ე ნ გაჭიმულია ცამეტ ათას ვერსზედ: ი. გოგებ., VI,558,18; მეორე დილას თათრის ჯარი მალლა მ თ ე ბ ი დ ა მ ა ხ ა ლ ქ ა ლ ა ქ ი ს ა კ ე ნ მუქართ და მრისხანებით დაეშვა: ი. გოგებ., IX,98,7...

8. საწყისი პუნქტი გამოხატულია -გან თანდებულიანი მოქმედებით, დასასრული — უთანდებულო ვითარებით: ს ო ფ ლ ი დ ა ნ ს ო ფ ლ ა დ დადიხარ: ილია, I,364,11; სიმონ ჩოხელი... დაეხეტებოდა კ ა რ ი დ ა ნ კ ა რ ა დ : კ. ლორთქ., 628,8...

ამ მხრივ ქართულში მეტი მრავალფეროვნებაა, ვიდრე ზანურ-სვანურში.

ზანურში საწყისი პუნქტის აღმნიშვნელი სიტყვა შეიძლება იყოს დაშორებითში, დასასრულისა — მიმართულებითში: ე უ დ ე შ ე ე უ დ ე შ ა გილურს — სახლიდან სახლში დადის; ს ო ფ ე

ლიშე სოფელიშა გილაყუნს (// სოფელიშე სოფელიშაბ) — სოფლიდან სოფლამდე დაჰყვება...

სვანურში პირველი სახელი, საწყისი პუნქტის აღმნიშვნელი, -ხ ან თანდებულიანია, დასასრულისა — -თე თანდებულიანი: კოჭხან კოჭთე იზელალ მუშუან — მთიდან მთამდე დადიოდა სვანი; კოჭხან კოჭთე შუკე ესლრი — მთიდან მთაზე გადადის გზა...

§ 72. ადგილის გარემოება ნაზმნარ სახელებთან. ადგილის გარემოება პირველ რიგში უკავშირდება შემასმენელს და მასთან ერთად ქმნის სინტაგმას: ლოდი ნელ-ნელა იწევდა ზევით: გ. შატბ., II, 81, 3; იმ ხანებში მამაჩემი კახეთს წავიდა: ვაჟა, VII, 49, 27; დათიკო ყოველ დილით სკოლაში მიდიოდა: ილია, I, 272, 31; სერგო ჭიშკრისაკენ გაიქცა: ნ. ლორთქ., II, 321, 29..., მაგრამ გვაქვს მასდართან და მიმღეობასთანაც: მე ჩემს სოფელში მისვლა ძალიანაც არ მიმიხაროდა: ილია, I, 294, 39; ზუგდიდს ჩასვლას კიდევ მოასწრებს არზაყანი: ე. გამს., I, 709, 22; დედას შვილი ისევ ლოგინში მწოლარე ეგონა: ილია, I, 440, 26; გიორგიმ ქალაში მომავალი უცხო ბჭი დაინახა: გ. შატბ., II, 19, 21; თარხნიშვილმა კაკლის ქვეშ გაშლილი სუფრა გაააბლებინა: გ. შატბ., II, 14, 9 და ა. შ.

სინტაქსურად ყველგან მირთვა გვაქვს.

### დროის გარემოება

§ 73. დროის გარემოების რაობა და გამოხატვის საშუალებანი. დროის გარემოება წინადადების მეორეხარისხოვანი წევრია, რომელიც გამოხატავს მოქმედების დროს. მისი კითხვებია: როდის? რა დროიდან? რა დრომდე? რამდენ ხანს?..

დროის გარემოებას გადმოსცემენ დროის ზმნისართები და ზმნისართთა მნიშვნელობით უთანდებულო ან თანდებულიანი სახელები. ეს უკანასკნელი შეიძლება იყოს სახელობითის, უთანდებულო და თანდებულიანი მიცემითის, ვითარებითის, ნათესაობითისა და მოქმედებითი ბრუნვების ფორმებით.

დროის გარემოებისათვის გამოიყენება ისეთი სახელი, რომლის ლექსიკური მნიშვნელობა დროზე მიუთითებს: აღნიშნავს დროის ერთეულს (წუთს, საათს, დღეს, თვეს...), დროის რომელსამე მონაკვეთს (დილას, შუადღეს...), რომელიმე დღეს (ორშაბათს, სამშაბათს...), თვეს (იანვარს, თებერვალს...) და ა. შ.

დროის გარემოება გადმოიცემა მასდართო, როცა უნდა აღი-

წმინდის მოქმედების დაწყების, მიმდინარეობის ან დამთავრების დრო<sup>166</sup>.

## 1. ზმნისართი დროის გარემოებად

§ 74. დროის გარემოების გამოხატვა ზმნისართებით. დროის გამომხატველი ზმნისართები, პირველადი და წარმოქმნილიც, თანაბრად გამოიყენებიან დროის გარემოებად. ასეთებია: ახლა, ღვთის, გუშინ, ადრე, შარშან, წელან, წუხელ, მაშინ, ერთხელ...

ახლა: ჩამიპაჟუნე ახლა თვალი! ნ. დუმბ., 107,7; ეხლა სად ვიშოვო მე ოცი თუმანი? ილია, I,356,16...

ხვალ: ხვალ ძალით წაგათრევე: ნ. დუმბ., 76,24...

გუშინ: გუშინ ნათესაობით ბრუნვაში დასმულ სიტყვად არის გაგებული: გამოიყოფა -ინ, ნათესაობითი ბრუნვის გაქვავებული ნიშანი, რომელიც -ის'ის ვარიანტი უნდა ყოფილიყო<sup>167</sup>. ნ. მარს -ინ მეორე ნათესაობითის ნიშნად მიიჩნადა და გამოყოფდა გუშ ფუძეს, რომელსაც უკავშირებდა გვი'ს. ეს უკანასკნელი გვაქვს გვი-ან-ში<sup>168</sup>: გუშინ ერთი აბგა მწყერი გამოგზავნა: ილია, I,340,10; გუშინ ასე საოცრად არ ეჩვენებოდათ ბავშვებს კაპიტონი: გ. შატბ., II,420,22...

ადრე: ადრე თანამედროვე ქართულში დროის ზმნისართია და, ამდენად, დროის გარემოება წინადადებაში: ვანოს მამა დილით ადრე ურმით ქალაქს მიდიოდა: ი. გოგებ., V,250,2; კესოც ადრე ამდგარიყო: ილია, I,454,9...

შარშან რთული შედგენილობისად არის მიჩნეული<sup>169</sup>. მისი ფუძე შარ, მიცემითის ფორმით შარ-ს ქცეულა ასიმილაციით შარ-შ'ად. ამ ფორმით შემოუნახავს ხეცსურულს („ამ ამბის მოგონებაზედ შარშ ჩვენს უშიშა შულღიასძემ იმღერ თავის პირით ეს ლექსი: ბ. გაბ. ხეცს. მას., 155,24...). -ან ფორმანტის დარ-

<sup>166</sup> ა. შანძე, ქართული ენის გრამატიკა: II, სინტაქსი, თბ., 1948, გვ. 64.

<sup>167</sup> ვ. თოფურია, ნდას ფენებისათვის ქართველურ ენებში. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოაზრ., ტ. II, № 1—2, 1941, გვ. 192.

<sup>168</sup> Н. Марр, Грамматика древнелитературного грузинского языка, с. 26; გ. შალაშვილი, ზმნისართი ძველ ქართულში. ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, I, 1959, გვ. 31. გუშინ'ის ნათეს. ბრუნვობას ადასტურებს მთიულურის მაგალითიც: გუშინის ერთ ადგილას მძიმე სათბი იყო: ლ. კაიშაური, მთიულური ტექსტები, 174, 4. ინ როგორც ნათესაობითის ფორმანტი ახალ ქართულში არ არსებობს, ამიტომ საჭირო გახდა -ის სუფიქსის დართვა.

<sup>169</sup> ა. შანძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, გვ. 589.

თვით გვაქვს შარშან. „ან დაერთო სხვა ზმნიზებების ანალოგიით: უკან, წელან, ძოღან... ძველად იყო აგრეთვე შრან და აქედან შრანდითგან“<sup>170</sup>. წინამდინარე იწყეთ შრანდითგან: II კორ., 8,10; განმზადებულ არს შრანდითგან: იქვე, 9,2...

იშვიათად გვხვდება შარშაც: ოცდაშვიდი წელი გასრულდა მაგისი შარშა: Sin., 11,39.

გ. მელიქიშვილს აქვს გამოთქმული მოსაზრება, რომლის მიხედვითაც შარშან შეიძლება დაუკავშირდეს ურარტულ შალიშანს, რომელიც მნიშვნელობით უდრის „წინა წელს“, „იქითა წელს“...<sup>171</sup>

თანამედროვე ქართულისათვის შარშან მთლიანი ერთეულია: შარშან გერამ გვადი მწყემსადაც არ დანიშნა: ლ. ქიაჩ., III,214,11; ასე იყო შარშან: რ. ინან., 105,25...

სხვა წარმოებებისაა წელან (=ამ ცოტა ხნის წინ...). როგორც ა. შანიძემ გაარკვია წელან ← აწელან. აწელას „წინ ა ჩამოეკვეცა და ბოლოს ნ დაერთო“<sup>172</sup>: პეტრეს ... წელან სარჩობელაზედ ერთი ნაბდინი ბიჭი სულ გვერდთ აეტუზებოდა ხოლმე: ილია, I,414,20; თქვენ წელან გაგივლიათ იმ ზეგანზე: კ. გამს., V,26,37...

ნათესაობითი ბრუნვის ნიშნით გვაქვს წელანის: წელანის მოგვატყუე: ვაჟა, V,172,24; ეგ წელანის აი წისქვილთანით ამოვიტანე: ვაჟა, V,172,37..., შდრ. წუხელის: წუხელის ყველაფერი ჩემს შვილობილს ჩავაბარე: შ. არაგვ., II,325,33...

მაშინ (←მას უამსა შინა)<sup>173</sup>: მე და დათიკოს შუა ხიდი მაშინ ჩატყდა: ილია, I,300,40; იმერეთის მეფე მაშინ გეგუთს ბრძანდებოდა: აკაკი, IV,170,7...

მალე: ურემი მალე იქნება მზად: რ. გვეტ., 112,14...

ერთხელ: ერთხელ ჩამოსულა ჩვენსა მეზობლის გამდელი: აკაკი, IV,10,25; ერთხელ ბავშვს თითზედ ბუზი ესკუპა: ი. გოგბ., V,504,26...

ბოლოს: ბოლოს ელიზბარი მიუბრუნდა ზაალს: აკაკი, IV,97,7...

სხვიმის (=სხვა დროს, სხვა შემთხვევაში): სხვიმის მხოლოდ ხორცი გრძნობდა: აკაკი, IV,116,28, შდრ. სხომის // სხუმის: სხომის უსათუოდ შეეცდებოდა: დ. შენგ., II,404,9; სხო-

<sup>170</sup> ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, გვ. 589.

<sup>171</sup> გ. მელიქიშვილი, ურარტუ, თბ., 1951, გვ. 144.

<sup>172</sup> ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, გვ. 595.

<sup>173</sup> იქვე.

მის ამის მესამედსაც ვერ დაინახავ: დ. კლდ., I, 255, 23; ამას სხუ-  
მის როის ჰქონდა ოჯახის დელდი: პარტ., 71, 12...

მყისვე: ჩემმა ახალმა ნაცნობმა მყისვე დიდკაცური სანა-  
ხაობა მიიღო: ილია, I, 251, 26...

ფუძის სახით გვხვდება მზიურ (=მზისით, ჭზის დროს),  
დღიურ (=დღისით), ზამთარ-ზაფხულ, ნიადაგ, დღე-  
ნიადაგ, დილაადრიან...: მზიურ იქნებოდით შინ:  
რ. გვეტ., 133, 20; პირველადის მზიურ ვნახე: ს. კლდ., 453, 25;  
დღიურ ვეღარ მივალ სასლში: დ. კლდ., I, 48, 4; ყვაეები ზამ-  
თარ-ზაფხულ სულ ჩვენთან არიან: ვაჟა, VI, 215, 20; ზაფ-  
ხულ ჰყვავის ვარდები: გ. ტაბ. რჩ., 1973, 324, 5; ვაჟაკი ნია-  
დაგ ვაჟურად მოიქცევა: ა. ყაზბ., I, 246, 34; ჩემი ქმარი გაზე-  
თების რედაქციებში დაეხეტებოდა დღენიადაგ: კ. გამს.,  
V, 245, 20; დილაადრიან გულის გამგმირავმა კვილმა გამო-  
აღვიდა გიორგი: გ. შატბ., II, 99, 11...

ზმნისართი თანდებულის დართვითაც გვხვდება. ბრუნვის ნი-  
შანი აქაც გაქვავებულია. ასეთებია: აქამდე, იქამდე, შემდეგისა-  
თვის, ოდითგანვე...: აქამდე ვერ ვიპოვე: მ. ჯავახ., I, 258, 22;  
სადა ხარ აქამდის? ვაჟა, V, 167, 10; ოდითგანვე ასეთი  
წესი იყო შერვაშიძეების ოჯახში: კ. გამს., I, 29, 2; ერთმა შეცდომამ  
არ გააფრთხილა თამარი შემდეგისათვის: ვაჟა, V, 29, 12...

და ასე: მირზა... შარშანს აქეთ გახდა ასეთი უკმები:  
რ. გვეტ., 127, 4; გუშინს აქეთ აწვალებდა მას: რ. გვეტ.,  
159, 12; დღეის იქით ჩემი ლხინი ჩემს გულში იქნება: აკაკი,  
IV, 128, 33 და სხვა.

მეგრულში დროის ზმნისართებია და, ამდენად, დროის გარე-  
მოება წინადადებაში: აწი „მომავალში“, „კინოხ(ო) „შველად“,  
„ადრე“, უკუღი „შემდეგ“, წი „წელს“, ლუმა „წუხელ“, ად-  
რე „ადრე“, ხათე „მაშინვე“, ორდოს „დილით“, ოკუმა-  
რეს „დილით“, „დილას“, კუმან // კუმე „ხვალ“, გოწოს  
„შარშან“, ონჯუას „სალამოს“ და ა. შ.: ასე ქიმერთე ბო-  
შიქ: ხუბ., 264, 10 — ახლა მივიდა ეს ბიჭი; კინოხ დას მენხასიათუ  
ოთახეფიშ ძირაფაქ: ხუბ., 8, 2 — ადრე (/წინათ) დას მოეხასიათა  
ოთახების ნახვა; მა უკუღი ქილოფსქვდუქ გვალო ჯოლორიშ  
ოქკომალო: ხუბ., 177, 32 — მე შემდეგ დავრჩები სულ ძალის საკ-  
მელად; მუქომი მოსავალი ორდუ წი თაქინე? ყიფშ., 1, 12 — რო-  
გორი მოსავალი იყო წელს აქ? ლუმა ჟგრი ტორონქქ ქემოფური-  
ნუა: ხუბ., 83, 5 — წუხელ ორი მტრედი მოფრინდაო; ქემერთეს  
ბოშენქ ადრე: ხუბ., 46, 30 — მივიდნენ ბიჭები ადრე; ირფელი  
ხათე გეძალე: ხუბ., 61, 36 — ყველაფერი მაშინვე აუხდება; არ-

თი ო რ დ ო ს მეურს ოზეში გაღე: ყიფშ., 25,20 — ერთ დილას მიდის ეზოს გარეთ; ბოშიქ ოჭუმარეს გედგროთ სინთეშა: ხუბ., 214,8 — ბიჭი დილას ადგა გათენებამდე; ქაშქვილქ ქედლოჯ ო ნ დ ლ ე ს: ხუბ., 270,20 — ისარი დავარდა შუადლისას; ქ უ მ ა ნ ი ინგარანი: ხუბ., 72,25 — ხვალ ტირიან; ბუდექ გოწოს გაათოლგ: ხუბ., 57,5 — ბუდე შარშან ჩამოვარდა; ქიმერთგ ო ნ - ჯ უ ა ს თე ბოშიქ ოსურშია: ხუბ., 245,2 — მოვიდა სალამოს ეს ბიჭი ქალთან...

ზმნისართები მეგრულში, გარდა მიცემითის გაქვავებული ფორმისა, სხვა ბრუნვის ნიშნითაც გვხვდება და ირთავს თანდებულსაც.

დაშორებითის ფორმითა უკუღნეშე: უკუღნეშე მდართგ ოგურაფუშა ოშქარი ჭიმაქ: ყიფშ., 7,25 — შემდეგ წავიდა სასწავლებლად შუათანა ძმა; უკუღნეშე ქიდებადგ ათე ძღაბის ართი ბორო ბალანაქ: ხუბ., 295,31 — შემდეგ დაებადა ამ გოგოს ერთი სულელი ბავშვი...

დაშორებითი თავის მხრივ ირთავს მიცემითის ნიშანსაც: უკუღნეშის კოჩიშ სახე ბალანექ უბარგეთ ტყას ქედოსქიდეს: ხუბ., 208,17 — შემდეგში კაცის სახის ბავშვები ტყეში უტანსაცმელოდ დარჩენნ...

მიმართულებითის ფორმა ხ თანდებულიანიც შეიქლება იყოს: ო რ დ ო შ ა ხ ირირთო ქინგარდგ: ყიფშ., 27,2 — დილამდე სულ ტიროდა; მულა ო ნ ჯ უ ა შ ა ხ: ხუბ., 165,1 — მოდიან სალამომდე.

კუმა თანდებულიანია თიწკგმა, ეთიწკგმა (ნათეს ბრ.): თიწკგმა ეურჩქინდგ მასგმა ქომონჯწკგმა თე სქუაქ: ხუბ., 173,14 — მაშინ გაუჩნდა მესამე ქმართან ეს შვილი; თ ი მ წ კ გ მ ა კინი ქემურთუმგ მუმა ყვარიას: ხუბ., 88,20 — მაშინ ისეც მოსულა მამა ყვავი; ე თ ი წ კ გ მ ა მინილგ ბოშიქ: ხუბ., 134,11 — მაშინ შვიიდა ბიჭი...

ქანურში დროის გამომხატველი ზმნისართებია და, ამდენად, დროის გარემოება წინადადებაში: ჰ ა წ ი // ა წ ი „ახლა“, ლ ო მ ა ნ „გუშინ“, წ ო ხ ლ ე „წინათ“, ე კ უ ლ ე // ო კ უ ლ ე // უ კ უ ლ ე „შემდეგ“, კ უ მ ა ნ (ი) „ხვალ“ და ა. შ.: ჰ ა წ ი ჰემ გუნძე კუჯონიქ ოხოშიე ოგნამს: ჰან., II,38,4 — ახლა ეს გრძელ ყურიანსაც სახლიდან ესმის; ა წ ი მწკუფის ეშშელი მეკიუშენი ბგოლფ: ზოფ., 28,14 — ახლა ბნელში ვირის მისაბმელს ვეძებ; ლ ო მ ა ნ ჯუმა ჩქიმი მოხთეეტუ: ჰან., I,121,12 — გუშინ ჩემი ძმა მოსულიყო; ლ ო მ ა ნ ხასანი მონკა ძაბუნე ტუ: ულ. ჰან., 9,28 — გუშინ ხასანი მძიმე ავადმყოფი იყო; წ ო ხ ლ ე არ კოჩიქ ირო ჯუმუ აეჭოფუმტუ: ჰან., II,21,6 — წინათ ერთი კაცი მუდამ მარილს ყიდულობდა; ე კ უ ლ ე ბერგითე ხაჩქუფან: ჰან., I,137,25 — შემდეგ



თოხით თოხნიან; ოკულებ დიდი დულუნი იქომან: სლ. კან., 112,8 — შემდეგ დიდ ქოწილს გადაიხდიან; ქუმაანი ლიმჯი მექთარე: კან., II, 103,5 — ხვალ სალამოს მივალ...

სვანურშიც დროის გარემოების გამომხატველი ზმნისართებია: ათხე „ახლა“, ლადი „დღეს“, ეჩქა „მაშინ“, ლეთი „წუხელ“, ლათ „გუშინ“...: ათხე აჭკად ტყვემში ნაფას: სვ. პ., 86,1 — ახლა მოგივიდა ტყვის საფასური; ლეთი ზოლა ისნავ მიწვა: სვ. პ., 124,16 — წუხელ ცუდი სიზმარი მინახავს; ეჩქა მახან უჩამჭგრქანეხ: სვ. პ., 26,6 — მაშინ ხელახლა შემკრეს; ეჩქას ზურალ გუდ ანკად ლელატი ლიკედს: სვ. პ., 262,28 — მაშინ ქალი მიხვდა საყვარლის მოსვლას; ლენა ოღვე თბილისთე — შარშან ჩამოვედი თბილისში; ლათ ოთჰოდან ლმარ — გუშინ წავიკითხე წიგნი და ა. შ.

## 2. სახელი დროის გარემოებად

§ 75. სახელობითი ბრუნვა დროის გარემოებად. სახელობით ბრუნვა დროის გარემოებად შედარებით იშვიათია, მაგრამ გვექონდა ძველ ქართულშიც და გვაქვს თანამედროვე ქართულშიც<sup>174</sup>. ასეთი გარემოება სემანტიკურადაც დროზე მიუთითებს და გამოიხატება, როგორც წესი, მსაზღვრელიანი სახელით: დიდი ხანი მელაპარაკა: ილია, I, 281, 27; მთელი ღამე ბორგავდა უჩა არგვეთელი: ე. ყიფ., I, 114, 30; ნიორმა ძმარშიც სამი წელიწადი შეინახა თავისი სიმყრალე: ი. გოგებ., V, 196, 11; მთელი ექვსი წელიწადი ამხანაგები ვიყავით: შ. არაგვ., II, 27, 10...

სახელობითში დასმული დროის გარემოება შეიძლება იყოს მრავლობით რიცხვშიც: მთელი დღეები მუნჯივით იჯდა: გ. ლეონ., 108, 11; თავისი დღენი ქუდით უნდა ბუზს ერეკებოდეს: ილია, I, 328, 31...

სახელობითი ბრუნვა თანდათან შეავიწროვა მიცემითმა, ამიტომ უპირატესობასაც მიაღწია, შდრ. „დიდი ხანი მელაპარაკა“ და „დიდხანს მელაპარაკა“, „ექვსი წელიწადი იცოცხლა“ და „ექვს წელიწადს იცოცხლა“...

მეგრულშიც დროის გარემოება გვხვდება სახელობით ბრუნვაში: ქედოსქიდგ ამსერი ძღაბიქ მინდორს: ხუბ., 63, 8 — დარჩა ამალამ გოგო მინდორში; იმუსერი ოშქარი ჯიმაქ მიდართე ოდარაჯუშა: ყიფშ., 27, 15 — იმ ღამეს შუათანა ძმა წავიდა სალა-

<sup>174</sup> ი. იმნაიშვილი, სახელთა ბრუნვა და ბრუნვათა ფუნქციები ძველ ქართულში, გვ. 680; ა. კიზირია, სახელობითისა და მოთხრობითის ფუნქციები ძველ ქართულში. სახელის ბრუნების ისტორიისათვის ქართველურ ენებში, I, ვ. თოფურას რედაქციით, თბ., 1956, გვ. 362.

რაჯოლ; მეურს ე ბალანა ამ დ ღ ა : ხუბ., 53,18 — შიდის ეს ბავ-  
შვი დღეს; ძღაბი დო ბოშიქ იცხოვრეს გემუანო ბ რ ე ლ ი ხ ა ნ ი :  
ხუბ., 63,35 — გოგომ და ბიქმა იცხოვრეს ტკბილად დიდი ხანი...

ანალოგიური ვითარებაა ჭანურშიც: ნოდვი იქომაწ ს ე რ ა :  
ჭან., II,60,28 — ნადს გამართავენ ღამე; ღ ო მ ა ს ე რ ი ი ხ ი დი-  
ლო ბარტუ: ჭან., II,1,16 — გუშინღამ ქარი ძალიან ქროდა; მა ვი-  
კითხუფ შკოლას აწშ წ ა ნ ა : ხოფ., 78,32 — მე ვსწავლობ სკო-  
ლაში ექვსი წელი...

სახელობითანაა გათანაბრებული თურქულიდან ჭანურში შე-  
მოსული sabaliları (=დილას, დილაობით, ყოველ დილას) და ak-  
şamları (=სალამოს, ყოველ საღამოს, საღამოობით); ჰაწი ბერე  
ს ა ბ ა ხ თ ა ნ ი მექთებშიე იგზალუ: ყღ. ჭან., 120,15 — ახლა ბიჭი  
დილით სკოლაში წავიდა; ბერე ქომობთუ ა ხ ჩ ა მ დ ა ნ ი : ყღ. ჭან.,  
121,21 — ბიჭი მოვიდა საღამოს.

სვანურშიც გვხვდება დროის გარემოება სახელობითის ფორ-  
მით: ს ე მ ი ზ ა ე მალყარს გვადა: სვ. პ., 40,30 — სამი წელი ბალ-  
ყარეთში დაყავით; ჩუ ლწარწგეჭ ეშხუ ნ ა გ ზ ი : ბზ., 66,5 —  
დაიცადეს ერთი კვირა; უსგვა ზწა ზვიზგას მოსკოვს — ექვსი წელი  
ვიცხოვრე მოსკოვში, შღრ. უსგვა ზ ა ე ს ზვიზგას მოსკოვს...

§ 76. მიცემითი ბრუნვა დროის გარემოებად. მიცემით ბრუნ-  
ვაში დასმული სახელი, რომელიც, ჩვეულებრივ, ზმნისართის გაგე-  
ბით იხმარება წინადადებაში დროის გარემოების გამოხატვისას,  
გვაქვს უთანდებულოდაც და თანდებულს დართვითაც. ორივე  
შემთხვევაში მიცემითი თანაბრად გადმოსცემს მოქმედების მიმდი-  
ნარეობის დროს<sup>175</sup> და წარმოდგენილია მსაზღვრელის გარეშე ან  
მსაზღვრელთან ერთად.

მ ს ა ზ ღ ვ რ ე ლ ი ს გ ა რ ე შ ე ა : ჩვენ ამათხედ ნაკლები  
ნახნავები გვქონდაო წ ე ლ ს ა : ილია, I,342,8; გ ი ო რ გ ო ბ ა ს  
საყდარზე ერთი ფუთელი გლეხის ქალი გავიცანი: აკაკი, IV,295,35;  
ხევსური შიშია ყ უ რ ძ ნ ო ბ ა ს კახეთს იყო სამუშაოდ: ვაჟა,  
VII,315,15...

მ ს ა ზ ღ ვ რ ე ლ თ ა ნ ე რ თ ა დ ა ა : პირველს დღეს-  
ვე არჩილმა ვენახში წაიყვანა გიორგი: ილია, I,449,11; ე რ თ ღ ა -

<sup>175</sup> ა. შ ა ნ ი ძ ე, ქართული ენის გრამატიკა, II, სინტაქსი, გვ. 64; ელ-  
ბ ა ბ უ ნ ა შ ვ ი ლ ი, მიცემითი და ვითარებითი ბრუნვების ურთიერთობისათვის  
ძველ ქართულში. სახელის ბრუნვის ისტორიისათვის ქართველთა ენებში, 1,  
გვ. 394; არ. შ ა რ ტ ი რ ო ს ო ვ ი, მიცემითი და ნათესაობითი ბრუნვების  
წარმოება და ფუნქციები ძველ ქართულში. სახელის ბრუნვის ისტორიისათვის  
ქართველთა ენებში, 1, გვ. 377.

მეს მკითხავეის სახლს ცეცხლი წაეკიდა: ი. გოგებ., IX, 12, 17; დამდეგთიბათვეს ექვსი წლის გავხდიო: აკაკი, IV, 38, 1...

მსგავსი მდგომარეობაა ზანურშიც: ართ დღას ათე ბოში გგთოხე ხოლოში ჭიკე დუქანც: ხუბ., 177, 34 — ერთ დღეს ეს ბიჭი ზის ანლობელ პატარა დუქანში; გედირთ ბოშიქ მაჟირა დღას: ხუბ., 70, 20 — ადგა ბიჭი მეორე დღეს; სუმ წანას რღე შუმა: ხუბ., 173, 11 — სამ წელს იყო სპა; შქასერს ქიჭანუ ვა: ატონი ვაჭარქ: ხუბ., 74, 35 — შუალამეს დაიბარა ეტლი ვაჭარმა...

ასევეა ჭანურშიც: არ დღას დიდი მკიმა ქომოხთუ: ხოფ., 197, 2 — ერთ დღეს დიდი წვიმა მოვიდა; მაჟუანი ნდღას ფადიმექ ფუჯფე ოჯუნამს: ჟლ. ჭან., 63, 24 — მეორე დღეს ფადიმე ძროხებს აძოვებს...

მიცემითი გვაქვს მაშინაც, როცა ქართულში შესაბამისად ფუძეა ან მოქმედებით ბრუნვაში დასმული სახელია: მწყუფის ქომეფთი არ ოხრიო: ხოფ., 28, 23 — ლამე (/ლამით) მივედი ერთ სახლში...

მოსალოდნელი მიცემითი ბრუნვის მაგივრად დაშორებითიცი შეინიშნება: ოლუმჯიაშე დოგურონიშენ ბელიში ბოზო ოხორიოა ქომოხთუ: ჟლ. ჭან., 16, 20 — საღამოს სასწავლებლიდან ბეგის ქალიშვილი შინ მოვიდა...

ს→შს შედეგად გვაქვს: ლიმჯიშ ოხორჯა გუიქთუ ყონაშე: ჭან., I, 37, 15 — საღამოს ცოლი დაბრუნდა ყანიდან; კოჩიქ ჭუმანისი ორდო ქისელუ: ჭან., I, 42, 6 — კაცი დილას (/დილით) ადრე ადგა...

უთანდებულო მიცემითი სეანურშიც ხშირია: ამნ ხეხე ... ჟანგგან ჰამს: ბზ., 88, 12 — ამისი ცოლი ადგა დილას; შერმა ძინარს ჟიე იგნალეხ: სვ. პ., 16, 8 — მეორე დილას დგებთან...; აშხე ზაელ დელ მიშკვა სოფელისკა ეერ აშყად: ლენტ., 72, 5 — ერთ ზაფხულს ჩემს სოფელში ხმა გავარდა; ლდი მუგულდ ლამაგან ყორს: სვ. პ., 294, 31 — დღეს მტრედი მომადგა კარს; შერმა ნაგზა ლექვა ლხტახ: სვ. პ., 94, 3 — მეორე კვირას ქვევით დაბრუნდა.

უთანდებულო მიცემითი ენაცვლება თანდებულიანსაც: ისგალდნლს მწგ ენყევაბზნხ — შუალღეზე ყველამ მოიყარა თავი; ლუფხვს ეერვემდ ზნა ათსურლზნ — გაზაფხულზე ოცი წელი შეუსრულდა.

-ჟი თანდებულიანი სახელიც გვხვდება მიცემითში დასმულნი სახელის ფარდად: ბეჩივშ ფუსდ ლგმარლი აშხე ღრჯეჟი სორთმან: ბქვ., 13, 7 — ბეჩოს ბატონი ყოფილა ერთ დროს სორთმანი.

მიცემით ბრუნვაში დაისმის დროის გარემოების გამოსახატავად წინავითარების სახელებიც. ისეთი სახელები, რომლებიც აღნიშნავენ „დროს, როდესაც უკვე გავლილია ძირეულით აღნიშნული ხანი“<sup>176</sup>: ნ ა ს ა დ ი ლ ე ვ ს ბ ი რ ზ ა მ თ ე ო ს ც ხ ე ნ ი ჩ რ დ ი ლ შ ი დაბა: რ. გვეტ., 139,1; ნ ა ს ა მ ხ რ ე ვ ს ც ე ც ო მ მოიგონა: ს. მგალ., 377,1, შდრ. მეგრული: ნ ა ს ა დ ი ლ ს უ თ ქ ე ა ლ გ ო ს უ რ ს ქ ო მ ო ნ - ჩ ი შ ა: ხ ე ბ., 242,19 — ნასადილევს უთქვამს ცოლს ქმრისათვის, ნ ო წ ი რ ე ნ ს პ ა პ ა ქ მ ო ლ ა ა მ ქ ვ უ ო ხ ვ ა მ ე შე დ ი ა კ ო ნ ი: ყ ი ფ შ., 8,19 — ნაწირევს მღვდელმა გამოუშვა ეკლესიიდან დიაკონი.

დროის გარემოებას გადმოსცემს ნანათესაობითარი მიცემითიც, რომელიც წარმოადგენს დაკარგული სახელის მსაზღვრელ სახელს. ასეთი სიტყვა, ჩვეულებრივ მასდარი, ზოგჯერ კი სახელი, ნათესაობით-მიცემითის ფორმით გამოხატავს დროის გარემოებას<sup>177</sup>: გ ა თ ე ნ ე ბ ი ს ა ს პ ი რ ა მ დ ე ს ა ვ ს ე ნ ა ე ბ ს ყ უ დ ე ს მ ი ა ყ ე ნ ე ბ დ ნ ე ნ: კ. ლორთქ., 166,5; ოქროპირის შ ე ს ვ ლ ი ს ა ს ი რ მ ა მ ს ი ც ი ლ ი შეწყვიტა: რ. გვეტ., 290,20...

ასევე ნანათესაობითარ მიცემითშია დასმული ისეთი სახელები, რომლებიც სემანტიკურად დროზე მიუთითებენ: დარაჯებმა განთიადისას თავი დახარეს: ნ. ლორთქ., I,31,25; შ უ ა დ ა მ ი ს ა ს ს ო ფ ლ ის თ ა ვ კ ა ც ე ბ ის ფ ა რ უ ლ ი თ ა თ ბ ი რ ი გ ა ი მ ა რ თ ა: გ. ლენ., 257,24...

ყველგან გამოტოვებულია საზღვრული წევრი, რომელიც დროის აღმნიშვნელი უნდა ყოფილიყო და, ამდენად, დროის გარემოება წინადადებაში, შდრ. „ზაფხულის მზემ შ უ ა დ ლ ი ს ა ს პ ა - პ ა ნ ა ქ ე ბ ა დ ა ა ტ რ ი ა ლ ა“: ი. გოგებ., V,492,15 და „შ უ ა დ ლ ი ს ხ ა ნ ს ჩ ვ ე ნ უ კ ვ ე ც ი ხ ე ლ ის სახლის კარებთან მოვიყარეთ თავი-თავს“: ვაჟა, VI,156,24.

შემორჩენილ მსაზღვრელში სემანტიკურად დრო არაა გამოხატული ასეთ შემთხვევაში: შ უ ა ვ ა ხ შ მ ი ს ა ს ზ უ რ ნ ა ა წ რ ი ა ლ დ ა: რ. გვეტ., 106,32. ასეთივეა, ოლონდ დროის გარემოებას გამოხატავს ნანათესაობითარ მიცემითში დასმული -ობა'თი ნაწარმოები სახელი: ჩ ე მ ი მ ო წ ა ფ ე ო ბ ი ს ა ს ე რ თ ი მ ო ხ უ ც ი ქ ა ლ ი ც ხ ო ვ - რ ო ბ დ ა მ ე ზ ო ბ ლ ა დ: ე. ყიფ. I,204,7; პ ა ტ ა რ ა ო ბ ი ს ა ს თ ე ვ - ზ ა ო ბ ა ძ ლ ი ე რ მ ი ყ ვ ა რ დ ა: ი. გოგებ., IX,31,16, შდრ. უმცროსი შენსობას კარგი გოგო იყო: ნ. ლორთქ., II,362,38

საზღვრული დაკარგულია ატრიბუტული მსაზღვრელისა და ეს უკანასკნელი მიუთითებს დროის გარემოებაზე: ჭ ო ყ ო ლ ა ც ო ტ ა ს (=ცოტა ხანს) შეფიქრდა: ვაჟა, III,216,20.

<sup>176</sup> ა. შ ა ნ ი ძ ე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, გვ. 133.

<sup>177</sup> ა. შ ა ნ ი ძ ე, ქართული ენის გრამატიკა, II, გვ. 65.

მეგრულში ქართულის ნანათესაობითარი მიცემითის მაგივრად იხმარება მარტივი მიცემითი: თე სუვაში ზ ი რ უ ა ს ქიქვა ქიმოხირუ: ყიფშ., 52,31 — ამ ფრთის მოპარვისას შარვალი მოპარა; წყარიმ მი ინ უ ლ ა ს დიძახუ: ყიფშ., 10,9 — წყალზე გასელისას დაიძახა...

ქანურშიც მარტივი მიცემითია: ორდონდაი გ ა ა რ ო ბ ა ს იგზალეს: ელ. ჭან., 20,11 — აღრე სადილობისას წაეიდნენ.

ნანათესაობითარ მიცემითს სევანურში ეფარდება მარტივი მიცემითი, ნანათესაობითარი მიცემითი და -ქა, -ჟი თანდებულიანი მიცემითი: ბეთქან კ უ ც ი რ ა ს მეწყედლი: სვ. პ., 282,12 — ბეთქანი ჭიხვზე ნადირობისას გადმოვარდნილა; ი ს გ ლ ე თ ი შ ა ონასუვი შიარ ღვეშგმავ ლოხლაჯრებს: სვ. პ., 84,24 — შულამისას ხელელები უქან შეუქრეს...; ი ს გ ლ ე თ ქ ა ღვე გ ა ჩ ი მ ლ ა შერას ახად: ბქვ., 94,31 — შულამისას დევი დანის გალესვას შეუდგა, შდრ.: ი ს გ ლ ა დ ა ლ ე ი მიჲდ ადმათვე — შუადლისას მზემ დააცხუნა; ხ ო ხ რ ო ბ ე ნ ლიკელმანხი მალტენ — პატარაობისას თევზაობა მიყვარდა.

დროის გარემოებაა წ უ თ ა ს წინადადებებში: პრძანება იმავე წ უ თ ა ს ასრულდა: ვაჟა, V,250,30; ამ წ უ თ ა ს ზაზაც ამას ფიქრობდა: თ. ჭილ., 37,19...

უთანდებულო ფორმების გვერდით დროის გარემოების გამოსახატავად გვაქვს თანდებულიანი მიცემითიც (აქაც თანდებულის მნიშვნელობით გამოიყენება ზოგი ზმნისართიც).

-ზე დაერთვის დროის აღმნიშვნელ სიტყვებს, აგრეთვე წვლიწადის დროთაგან ო რ სახელს (გაზაფხულზე, შემოდგომაზე)<sup>178</sup>: ავთანდილი ადგა ა ლ ი ო ნ ზ ე: ნ. ლორთქ., II,328,5: დედაჩემი ყოველ გ ა ზ ა ფ ხ უ ლ ზ ე წაგვიყვანდა ზოლმე ყანის დასახედად: გ. ლეონ., 9,5; შ ე მ ო დ გ ო მ ა ზ ე მწყერი ილევა: ილაა, I,293,10...

ამ რიგისაა რომელიმე დანიშნულების დღე, რომელიც გამოხატულია არადროის გამოხატველი სიტყვით: ო რ მ ო ც ზ ე კვლავ მოგროვდნენ მოტირალენი: ე. გამს., II,508,25...

როდესაც რიცხვითი სახელი ახლავს მსაზღვრელად დროის გარემოებას, ამ უკანასკნელის დაკარგვის შემთხვევაში რიცხვითი სახელი იქცევა დროის გარემოებად: რუსიკო შინ თ ო რ მ ე ტ ზ ე დაბრუნდა: მ. ჭავახ., III,437,35.

-ზე თანდებული გვაქვს აგრეთვე დროის გარემოებად მასდარის ან მნიშვნელობით მასთან გათანაბრებულ სიტყვებთან: თამროს ხ ს ე ნ ე ბ ა ზ ე დ დალია იმ ალაღმა ადამიანმა თავისი ალალი სი-

<sup>178</sup> ლ. კ ვ ა კ ა ძ ე, თანამედროვე ქართული ენის სინტაქსი, გვ. 139.

ცოცხლე: ილია, I,315,36; ფუნდუს და ნ ა ხ ვ ა ზ ე გამხდარი სახე ერთბაშად გაუნათდა: დ. შენგ., II,392,15.

მეგრულში ასეთ შემთხვევაში უთანდებულო მიცემითი გვხვდება: თენფი თეურე მულა ჟირ თუთაშ ო ლ გ ს: ხუბ., 268,1 — ესენი იქიდან მოდიან ორი თვის სავალზე...

-ში თანდებულიანია წელიწადის დროთაგან ზ ა მ თ ა რ ი და ზ ა ფ ხ უ ლ ი და დროის გარემოების სხვა ფორმები, როდესაც „მოქმედება დროის გარკვეულ მონაკვეთში ხდება“<sup>179</sup>: მიყვარს მთვარიან ღამეში გდება: ილია, I,437,30; კ ვ ი რ ა შ ი ო რ ჯ ე რ და ვ დ ი ო დ ი სა ხ ლ შ ი: ნ. დუმბ., 20,30... ამ ღ ა პ ა რ ა კ შ ი გ ო გ ო მ გაკერილი ჩოხებიც შემოუტანა: დ. კლდ., I,145,1...

დროის გარემოებას -ში თანდებული გამოხატავს აბსტრაქტულ სახელებთანაც: ბ ა ვ შ ე ო ბ ა შ ი ერთი ონავარი ამხანაგი მყავდა: რ. ინან., 73,2; ა ხ ა ლ გ ა ზ რ დ ო ბ ა შ ი ს ო ფ ლ ის მ ა ს წ ა ვ ლ ე ბ ლ ა დ ნ ა მ ყ ო ფ ი შ ი ო ბ ე რ ი შ ვ ი ლ ი სამუდამოდ მარტოხელი დარჩა: ს. კლდ., 17,15.

-ში თანდებული დაერთვის მსაზღვრელად ნავარაუდებ რიცხვით სახელს მაშინ, როდესაც დროის გარემოების აღმნიშვნელი საზღვრული სახელი დაკარგულია. საზღვრული სახელი ფორმასთან ერთად გარემოების ფუნქციასაც იძენს: მე არ ვიქნები თ ო რ მ ე ტ შ ი მ ო ს კ ო ვ ს: ი. გრიშ., 3,2; ო რ მ ო ც დ ა ე რ თ შ ი მ ა რ თ ლ ა მ ო ხ ა ლ ის ე დ წ ა ვ ე დ ი: ნ. დუმბ., 556,11; მ ე ო თ ხ მ ო ც დ ა ე რ თ ე შ ი ს ის უ ს ტ ე ი გ რ ძ ნ ო: გ. ლეონ., 76,6.

ასეთი მდგომარეობა შეინიშნება უთანდებულო მიცემითთანაც: დღეის თ ხ უ თ მ ე ტ ს უ ე ჰ ვ ე ლ ა დ გაჩნდებიან: აკაკი, IV,125,9.

-ში თანდებულიანი სახელის მნიშვნელობით გამოიყენება კ ვ ი რ ი ა, რომელსაც განსაზღვრებად ერთვის ამ, იმ ჩვენებითი ნაცვალსახელები: ამ კ ვ ი რ ი ა მ ა შ ვ ე რ ა ფ ე რ ი ინადირე? ვაჟა, V,70,17; ამ კ ვ ი რ ი ა რ ა მ დ ე ნ ი მ ე ა თ ა ს ი ნ ა მ ყ ე ნ ი ვ ა ზ ი უ ნ დ ა დ ა ვ რ გ ო თ: კ. გამს., V,112,17.

-ში თანდებულიან მიცემითს მეგრულში უთანდებულო მიცემითი ეფარდება: გერიგვ ე ბ ო შ ი ქ ს უ მ ი ფ ა რ ა შ ა წ ა ნ მ ო წ ა ნ ა ს: ხუბ., 53,36 — გაურიგდა ეს ბიქი სამ ფულად წელიწადში.

ამავე -ში თანდებულიანის მნიშვნელობით დაშორებითი ბრუნვაც გვხვდება<sup>180</sup>: წ ა ნ მ ო წ ა ნ ა შ ე ა რ თ ი შ ა ხ ა თ ე ქ ა ლ ა ქ ის ქ უ მ ყ ა დ ი რ თ ე დ ე: ხუბ., 14,1 — წელიწადში ერთხელ ამ ქალაქს მოადგებოდა: თ უ თ ა შ ე ჟ ი რ შ ა ხ მ ე უ რ ს — თვეში ორჯერ მიდის.

<sup>179</sup> ლ. კ ვ ა ჰ ა ძ ე, თანამედროვე ქართული ენის სინტაქსი, გვ. 139.

<sup>180</sup> ა. ლ ო მ თ ა ძ ე, დაშორებითი ბრუნვის შესახებ მეგრულში: „მაცნე“, ენისა და ლიტერატურის სერია, № 4, 1973, გვ. 121.

ქანურშიც ქართულის -ში თანდებულიანი დროის გარემოება უთანდებულო მიცემითთაა გადმოცემული: ჩქიმი ბეროლას ნოლაშენ ნან-დიდიქ არ აღნე კიცი ქომულუ: ყიფშ. ჭან., 8,1 — ჩემს ბავშვობაში დიდდამ ერთი ახალი კეცი მოიტანა; გუმათუთას გუმუმან ბრინჯი: ჭან., 11,70,26 — ოქტომბერში მკიან ბრინჯს...

ქართ. -ში თანდებულიანის მნიშვნელობით სვანურში გვაქვს ისგა თანდებულიანი სახელიც: აშხვინ აჩანდხ ლუნთისგა იალბუზთე — ერთჯელ წავიდნენ ზამთარში იალბუზისაკენ<sup>181</sup>. ნაგზაგა მახვინ ხეიწელაღდას ქორთე — კვირაში ორჯერ დავდიოდი სახლში...

-თან თანდებული ერთვის მასდარს ან სახელს: ამ სიტყვებთან მარინემ მიუტანა თავის ქმარს ჰიქით ღვინო: ე. ნინ., 1,136,20. -თან თანდებულიან მიცემითს ამავე მნიშვნელობით შეიქლება ერთად ზმნისართიც დაერთოს: ამ სიტყვებთან ერთად ავარდა კომლი: ა. ყაზბ., 1,31,16.

უკან თანდებულიც დაერთვის ჩვეულებრივ დროის აღმნიშვნელ სიტყვას, ან ისეთ სიტყვას, რომლითაც მითითებულია გარკვეული დრო, და მართულ სიტყვასთან ერთად გამოხატავს დროის გარემოებას: სამს დღეს უკან ბიჭმა პასუხი მოუტანათ: ილია, 1,369,30; სამოცდაათ წელიწადს უკან კიდევ ოცი გენერალი მოგემატებათ: ილია, 1,254,10; სადილს უკან ლაზათიანად გამოიძინებდნენ ცოლ-ქმარნი: ილია, 1,336,20.

ასეთივეა შემდეგ: რამდენიმე წუთს შემდეგ სარკმელი ... ჩამოაქიეის: ა. ყაზბ., 1,234,3.

შორის თანდებული დროის გარემოების აღმნიშვნელ სიტყვას მაშინ ერთვის, როდესაც მართული სახელი მრავლობითშია ან ახლავს მსაზღვრელად რიცხვითი სახელი, ან კიდევ ორი დროის აღმნიშვნელი სიტყვით გადმოიცემა დროის გარემოება: დღეებს შორის...; ორდღეს შორის...; დღესა და ღამეს შორის...; თითქოს ამ ორღამეს შორის არაფერი მომხდარიყოს ვახტანგ კორინთელის ვნებათა სამყაროში: კ. გამს., V,253,10.

აქეთ და იქით დროის გარემოების აღმნიშვნისას სახელს უკავშირდება დროის მიხედვით ორიენტაციის აღსანიშნავად: მას აქეთ დააწვა რალაც ლოდი გულზედ: ილია, 1,439,25; ამას იქით გლეხი და თავადი რით უნდა გაირჩიოს: ილია, 1,342,38.

§ 77. ვითარებითი ბრუნვა დროის გარემოებად. დროის გარემოების გამოსახატავად ვითარებითი ბრუნვა შეიძლება იყოს უთან-

<sup>181</sup> 6. ა ბ ე ს ა ძ ე, თანდებული სვანურში, გვ. 287.

დებულოც და თანდებულიანიც. პირველი შედარებით იშვიათია და მიუთითებს მოქმედების დროზე (კითხვაზე — როდის?), თანდებულიანით კი გამოიხატება მოქმედების დასასრული ან გარკვეულ დრომდე მიწევნა (კითხვებზე — რა დრომდე? როდემდე? სანამდე?).

უთანდებულოდ დროის გარემოების გამოხატვის უნარი აქვს ზმნისართად ქცეულ ისეთ სიტყვას, რომელსაც დროის გამოხატველი ლექსიკური მნიშვნელობა აქვს: საღამოდ ერთის წიფლის ტოტზე დაეძინათ: ვაჟა, V, 251, 34; თითქმის ყოველ დიდ ოჯახს ჰყავდა ძველად საკუთარი მღვდელი: აკაკი, IV, 29, 7; თეოპირველხანად მამას გაუბრბოდა: რ. გვეტ., 125, 25...

ვითარებითში გვხვდება წარმოქმნილი სახელი ღამიანად (=ღამით): ღამიანად წავიდნენ სამივენი: ჭ. აპირეჯ., დათათუთ., I, 45, 1.

უფრო ხშირია დანიშნულების სახელები: საშემოდგომოდ, საზამთროდ, საზაფხულოდ, სამაისოდ...: ეს კოკრები საშემოდგომოდ ვაშლებად გადაიქცნენ: ი. გოგებ., V, 526, 29; ბალებს საზამთროდ ჩაფულებს მაინც ვუყიდიმეთქი: ლ. ქიაჩ., III, 11, 14; ბიძაჩემმა საზაფხულოდ მიმიპატივა: რ. ინან. 63, 14...

ზანურში ამ მნიშვნელობით დანიშნულებითი ბრუნვაა: დამორჩილიშოთ (=საშემოდგომოდ, შემოდგომისათვის). ზარხულიშოთ (=საზაფხულოდ, ზაფხულისათვის): დამორჩილიშოთ უშქურს წილუნა — საშემოდგომოდ ვაშლს კრეფენ; ზოთონჯიშოთ ინახენა — ზამთრისათვის ინახავენ...

სვანურში ვითარებითი ბრუნვაა: ჯვინალდ შევანთე შუკვარ მამ ლწხვ — ძველად სვანეთისაკენ გზები არ იყო; ზოფშარს ლელინთვდ ტებდილ არქვიხ — ბავშვებს საზამთროდ თბილფეხსაცმელს აცმევენ.

მოსალოდნელი ვითარების გარემოების მაგივრად მთის დიალექტებში ნელად (// ნელა) დროს აღნიშნავს და, ამდენად, დროის გარემოებაა წინადადებაში (=ახლახან, ცოტახნის წინათ...): ის სულ ნელად მოკვდა: ქართ. დიალექტ., 46, 27; ნელად მოვიდა სუმელჯი: ვაჟა, IX, 323, 1; ნელადღა გაჩნდა თოფი: ვაჟა, VI, 169, 26.

-მდე/-მდის თანდებულიანი სახელი დროის გარემოებად მაშინ გამოიყენება, როცა დროის მიხედვით მიწევნას აღნიშნავს. ამისათვის საჭიროა სიტყვის მნიშვნელობაში დროის გაგება იყოს ან გადმოიცეს მასდართ, რომლითაც დროული მიმართებაა გამოხატული: ზამთრის სუსხი კიდევ მოასწრებს ნამდვილ გაზაფხულ-



ლ ა მ დ ე: ილია, I,269,12; ოთარაანთ ქერვის დ ი ლ ა მ დ ე ძილი  
არ მიჰკარებია: ილია, I,438,32; შვილის და ბ რ უ ნ ე ბ ა მ დ ე  
გიორგი დიდხანს ეთათბირა შავდათუას: გ. შატბ., II, 56,20; ბჰო-  
ბამ გათენებამდე გასტანა: ნ. დუმ., 61,28...

ქართულის -მდე თანდებულისანი დროის გარემოების ფარდად  
მეგრულში ხ თანდებულისანი მიმართულებითი გვაქვს, მაგრამ ხ  
ხშირად იკარგება: მაჟირაშ ე კ უ ლ ა შ ა ხ ართი ცალიონი თუთუ-  
მი გეშუ: ხუბ., 19,25 — მეორის ამოსვლამდე ერთი ცალიონი თუ-  
თუნი მოსწია...; მაგრამ: ჩქიმი მ უ ლ ა შ ა ს ი ირტებუქ: ყიფშ.,  
19,22 — ჩემ მოსვლამდე შენ გაიქცევი; გ ო თ ა ნ ა შ ა თ ე ქ გ ო რ -  
ჩქინდეს: ხუბ., 18,19 — გათენებამდე იქ გაჩნდნენ.

ასევეა ჰანურშიც: წილუბტუ ბაბაქ ყურქენი ო ნ დ დ ე ი შ ა:  
ჰან., I,110,20 — კრეფდა მამა ყურძენს შუადღემდე; ზუთ დ ლ ა -  
შ ა ი ა მამუნიქ ბეეშა ულუნ: ხოფ., 59,35 — ზუთ დღემდე ის მა-  
მუნი ბავშვთან მიდის.

სვანურში უთანდებულო ვითარებით თ ხშირად ქართულის  
თანდებულისანი ვითარებითაც ვადმოიცემა: ლ ი რ ჰ ლ დ ა ქ ა ხ კ რ ე -  
ბ ა — გათენებამდე გასტანა კრებამ; ლ ე ქ ც ი ა ლ ი ბ ნ ზ ლ დ ქ ა ლ ა ქ -  
თ ე ო თ ზ ე ლ ა ლ ე დ — ლექციის დაწყებამდე ქალაქში გაყიარეთ; მაგ-  
რამ: მიშგვა ლ ი ქ დ ა ლ ვ ე ი ლ ა მ ბ გ გ ე ნ ს: სვ. პ., 298,28 — ჩემ  
მოსვლამდე გამაგრდეს.

-მდე/-მდის თანდებულისან დროის გარემოებას შეიქლება მსაზ-  
ღვრელად ჰქონდეს რიცხვითი სახელი: გაბრომ დილის რ ვ ა ს ა ა -  
თ ა მ დ ე გადათვალა: რ. ინან., 31,8; ც ხ რ ა ს ა ა თ ა მ დ ე დ ი -  
დი დრო იყო: გ. შატბ., IV,64,27. სწორედ ეს მსაზღვრელი იქცევა  
დროის გარემოებად, როდესაც ჩავარდება საზღვრული. მასვე და-  
ერთვის საზღვრულისეული -მდე/-მდის თანდებულიც: თ ე რ თ მ ე -  
ტ ა მ დ ე ო რ ი საათი იყო დარჩენილი: თ. ჭილ., 108,9; ავტობუსი  
თ ო რ მ ე ტ ა მ დ ე მუშაობს: თ. ჭილ., 70,3; შდრ. მეგრული: ვ ი -  
თ ო ხ უ თ ი შ ა ხ ჩქიმი ჯიმალეფი ქუბურსია: ხუი., 163,6 —  
თუთხმეტამდე ჩემი ძეგბი მოვლენო...

§ 78. ნათესაობითი ბრუნვა დროის გარემოებად. ნათესაო-  
ბითში დასმული სახელის მიერ დროის გარემოების გამოხატვა იმა-  
ვე წესს ექვემდებარება, რომელიც სხვა ბრუნვებთან გვაქვს. უთან-  
დებულო ნათესაობითი ზმნისართებმა შემოგვინახეს, მაგრამ ამავე  
მნიშვნელობით ძველ ქართულში გვქონდა წლის დროებისა და, სა-  
ერთოდ, დროის აღმნიშვნელი სიტყვებიც ნათესაობით ბრუნვაში  
(„არცა ზ ა მ თ რ ი ს გარდაემატების და არცა ზ ა ფ ხ უ ლ ი ს ა

დააკლდების: კიმ., II, 151, 17; პარასკევის ჯუარსა მიუპყრა ზაის პირი: ქართ. ცხ., 1, 264, 13...)<sup>182</sup>.

უთანდებულო ნათესაობითი თანამედროვე სალიტერატურო ქართულში თითქმის გადაშენებულია, მაგრამ გვხვდება ცოცხალი ენის გავლენით: სამხრის ხარს ჩარეკავდა წყალზე: ს. მგალ., 368, 23; ზამთრის კაკანათს უგებდა: ვაჟა, II, 363, 6...

უთანდებულო ნათესაობითი გვხვდება დროის გარემოებად აღმოსავლურ დიალექტებში: ხევსურულში, თუშურში, მოხეურში, ფშაურში, ფერეიდნულში...: ზამთრის აღარ აქეიფებენ მომკალთ: ქართ. დიალ., 5, 17; ზამთრის დიაცებ გალრეცხენ მატყლს: იქვე, 6, 38; ზაფხულის ცხორჩი დადიოდა: იქვე, 47, 19 და ა. შ.

როგორც წესი, დროის გარემოების გამომხატველი ნათესაობით ბრუნვაში დასმული სახელი თანდებულიანია. ირთავს -თვის, -თანავე თანდებულებსა და თანდებულის მნიშვნელობით წინ, უკან, უმაღლ, შემდეგ, აქით, იქით... ზმნისართებს.

-თვის ჩვეულებრივ ერთვის დროის გამომხატველ სიტყვას: ზამთრისათვის მოუშზადებელი დარჩა ერი: აკაკი, IV, 307, 14; დილისათვის ილარიონს თვალი ოდნავ დაუცხრა: ნ. დუმბ., 95, 3...

მეგრულში -თვის თანდებულიანი ნათესაობითის მნიშვნელობით გამოიყენება დანიშნულებითი ბრუნვა, რომელიც იხმარება დროის აღნიშვნელ სიტყვებთან: გიორგის თენა გაგმუნწყის ირფელი დანიშნულ დღაშო: ხუბ., 152, 28 — გიორგის ეს გამოუწყვეს ყველაფერი დანიშნული დღისათვის; ჭუმეშოთ ქოგიძირუანქ — ხვალისათვის გინახულებ; ონდღეშოთ ქუმურს — შუადღისათვის მოვა...

ქანურში კი -ნი თანდებულიანი დაშორებითი ბრუნვაა ამ მიზნით გამოყენებული: კიშიშენი დოვოზომინათ: ხოფ., 222, 4 — ზამთრისათვის გავახმობთ; ფუჯის გაი დოუხვენი ახჩამიშენი: ხოფ., 193, 26 — ძროხას საჭმელი მოვუშზადე სალამოსათვის...

-თანავე თანდებულიანი ნათესაობითი გადმოსცემს ისეთ მოქმედებას, როდესაც „შემასმენლით გამოხატული მოქმედება უშუა-

<sup>182</sup> კ. კეკელიძე, კიპენი, II, 1946, გვ. 221; ივ. იმნაიშვილი, ძველ ქართულში დროის გარემოების გამომხატვის ზოგიერთი საშუალებისა და „ეფ-ხისტყაოსნის“ ერთი ადგილის წაკითხვისათვის. ეურნ. „კომ. აღზრდისათვის“, № 2, 1957, გვ. 73—80; ს. ყაუხჩიშვილი, ქართლის ცხოვრება, I, 1955, შესავალი, გვ. 046; თ. უთურგაიძე, დროის ზმნიზედა ნათესაობით ბრუნვაში. გორის პედაგ. ინსტიტუტის შრომები, III, 1956, გვ. 99—100; გ. შალამბერიძე, ზმნისართი ძველ ქართულში. ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, I, 1959, გვ. 55.

ლოდ მოსდევს -თანავე თანდებულისანი სიტყვით გადმოცემულ მოქმედებას<sup>183</sup>. რაკი ორი მოქმედების დროული მიმართება გადმოიცემა, თანავე დაერთვის მასდარს და გვაქვს: ეფროსინემ პირველ და ნახვის თანავე შეატყო ქმარს აღეღება: დ. კლდ. I,64,31; მიახლოების თანავე დამფრთხალ ნოზვერს ყაფლანმა კისერზე ზმალი ზედიზედ დაჰკრა: რ. გვეტ., 110,21. ასეავეა უმაღლესი ყაფლანი თვალის დახამხამების უმაღლეს მინდერის ბოლოს გაჩნდა: რ. გვეტ., 110,27.

წინ დაერთვის დროის აღმნიშვნელ სიტყვას ან მასდარს, როცა ის დროის გარემოებას გადმოსცემს: მითხრა წუთის წინ: ნ. დუმბ., 368,22; სინანულით ფიქრობდა იგი დაძინების წინ: რ. ჰეიშვ., 70,18. პროფესორი მხოლოდ სადილის წინ ათვალეირებდა გაზეთს: მ. ჯავახ., II,113,1, შდრ. უკან: სოფლის სკოლის მასწავლებელი დასეირნობდა ერთხელ სადილის უკან: ი. გოგებ., V,508,5; ერთი თვის უკან სოფელში წავალთ: შ. არაგვ., II,503,5...

წინის საპირისპიროა შენდევ მოქმედებასთან შეფარდების მიხედვით. ეს უკანასკნელიც ერთვის მასდარს ან სახელს, უპირატესად დროის აღმნიშვნელს და მართულ სიტყვასთან ერთად გამოხატავს დროის გარემოებას: რამდენსამე გაბრძოლები შემდეგ ელგუჯა შეუერთდა თავის ამხანაგებს: ა. ყაზბ., I,36,35; ამ სიტყვების შემდეგ გამოიწვიეს მოწმეები: ა. ყაზბ., I,65,5; ოციოდე წუთის შემდეგ სამნივე ბაქანზე გავედით: მ. ჯავახ., III,476,16...

იქით: დღის იქით ქვეყანას გასწვდება: გ. შატბ., II, 14,29...

ნათესაობით ბრუნვაში დასმული დროის გარემოება ჩვეულებრივ თანდებულისანია მეგრულში. ერთვის უკული (შემდეგ), წოხოლე („წინ“) ... თანდებულები: ათეშ უკული ქუმორთუ თე ბოშიში დიდაქ: ხუბ., 2,32 — ამის შემდეგ მოვიდა ამ ბიჭის დედა; ჯოლორენქ ეშელეს ჰიჭე ხანიშ უკული კვარდუშე: ხუბ., 97,27 — ძაღლები ამოვიდნენ ცოტა ხნის შემდეგ კლდიდან.

ჭანურში შემდეგ თანდებულის მნიშვნელობაა -კულე (//ქულე) გვაქვს და, როგორც აღნიშნულია, ნათესაობითისეულ შ'სა და თანდებულისეულ კ'ს შეერთებით წარმოიქმნება ჰკ: შკ — ჰკ: არ თუთაშკულე მაყვანი ჭუმა ქომოხთუ: კარტ. ლაზ., 29,26 — ერთი თვის შემდეგ მეორე ძმა მოვიდა; არ წანაშქუ-

<sup>183</sup> ლ. კვაკაძე, თანამედროვე ქართული ენის სინტაქსი, გვ. 140.

ლე თექვრარ ხოფაშა ქომოფთი: ყიფშ. ჰან., 8,12 — ერთი წლის შემდეგ კიდევ ხოფაში მოვედი.

კულე თანდებული ერთვის ზმნა-შემასმენელსაც ისეთივე წესით, როგორც სახელთან არსებობს: ქექოფუშქულე = აილოს შემდეგ, რომ აილო...: ვანუსიმიინესქქულე ხოჯაქ მუქქანოქკირუ: ჰან., I,1,20 — როცა არ მოუსმინეს [არ მოუსმინესის შემდეგ] ზოჯამ თვითონ დაკლა ... ასეთი ფორმა ეთანაბრება დამოკიდებულ წინადადებას<sup>184</sup>, შდრ. ზმნა-შემასმენელი + ნაწილაკი შა//შაქის: მა სალი ვორტი-შა, წალენი გზაზე ვულურტი: ჰან., II,87,27 — მე სანამ ცოცხალი ვიყავი [ცოცხალ ვიყავამდის], ქვემო გზით დავედი; ჰეშო უწუმერტუ-შაქის ასლანიშ ბიქიქ დივის ღვას არ ზოი ქოგამოქკიდუ: ჰან., II,37,19 — სანამ ასე ლაპარაკობდა [ლაპარაკობდამდის] ლომის ბიჭმა დევს ლოყაზე სილა მაგრად გააწნა<sup>185</sup>.

სპეციალურ ლიტერატურაში მითითებულია, რომ ამგვარი კონსტრუქცია თურქული სინტაქსური კალკია ლაზურში იმ განსხვავებით, რომ თურქულში ნაზმნარი სახელია თანდებულიანი<sup>186</sup>. ამით ლაზური უპირისპირდება სხვა ქართველურ ენებს.

სვანურში ქართლისებური ვითარებაა: ამშა ქა ლგგათვან ჩუ კედენიხ სოფელ ფაყხოჩუ: ლენტ., 68,4 — ამის გათავებას შემდეგ ჩამოდიან სოფელ ფაყამდე; ლითვეუნლო კვარმშლ მშმლიხ — ზამთრის შემდეგ ყინვები აღარ არის...

§ 79. მოქმედებითი ბრუნვა დროის გარემოებად. დროის გარემოება გადმოიცემა მოქმედებითი ბრუნვითაც. იგი ჩვეულებრივ უთანდებულოა ან დაირთავს -გან თანდებულს. ეს უკანასკნელი დროის მიხედვით მოქმედების დაწყებაზე მიუთითებს.

პირველ რიგში მარტივი მოქმედებითი გადმოიცემა დროის შთლიანი მონაკვეთი: წუთით სიჩუმე დამყარდა: რ. გვეტ., 144,21; გიგამ ღამით იორამი ინახულა: ს. კლდ., 416,18; დილით შევარდენავით შემოფრინდა ჩემს პატარა ოთახში ჩემი ძმის ხმა: გ. შატბ., II,164,10.

მოქმედებით ბრუნვაში დასმული სახელი დროის გარემოებად მეგრულში უთანდებულოდ გვხვდება: გილურქ სერთ ტყობა-

<sup>184</sup> არნ. ჩიქობავა, კანურის გრამატიკული ანალიზი, 64; ს. ქიქია, თურქულ-ლაზური ენობრივი ურთიერთობიდან. „ორიონი“, 1967, გვ. 369; И. Книшндзе, Дополнительные сведения..., გვ. 6; G. Dumézil, Contes Lazes, პარიზი, გვ. VIII.

<sup>185</sup> არნ. ჩიქობავა, კანურის გრამატიკული ანალიზი, გვ. 186; ს. ქიქია, თურქულ-ლაზური ენობრივი ურთიერთობიდან, გვ. 375—376.

<sup>186</sup> ს. ქიქია, თურქულ-ლაზური ენობრივი ურთიერთობიდან, გვ. 369.

შე: ხუბ., 44,24 — დავდივარ ღამით ჩუმად; თელი დ ლ ა თ შხვა-  
დო გილურქ: ხუბ., 87,32 — მთელი დლით სხვაგან დადიხარ; ს ე -  
რ ი თ ბლურს: ქართ. ხალხ. სიტყვ., I,41,18 — ღამით მძინავს.

დლით ფორმის გვერდით ქართულში ჩვეულებრივია დ ღ ი -  
ს ი თ, რომელიც მიღებული ჩანს დ ღ ის ი (შდრ. იყოფოდა თავა-  
დი ტაძარსა მას შინა დ ღ ის ი: DE ლ 21,37) და დ ღ ი თ ფორ-  
მების კონტამინაციით: დამპატივე დ ღ ის ი თ ერიდება მუშაობას:  
მ. ჯავახ., II,153,38.

ქართულის ანალოგიურია მეგრული დ ღ ა შ ი თ: მეურს დ ღ ა -  
შ ი თ: ხუბ., 151,30 — მიდის დღისით; გეგმოტყობ დ ღ ა შ ი თ:  
ხუბ., 64,22 — გაიპარა დღისით.

ორმაგი ნათესაობითია დ ღ ა შ ი შ ასეთ შემთხვევაში: დ ღ ა -  
შ ი შ გილულა ვარენია გასაკვირი: ხუბ., 151,37 — დღისით სია-  
რული არ არისო გასაკვირი.

მოსალოდნელი იყო დ ღ ა შ ი თ, ნანათესაობითარი მოქმედე-  
ბითი, მაგრამ მასდართან დაკავშირების გამო სხვა ნათესაობითში  
დასმული სახელის ანალოგიით, სუბსტანტიური განსაზღვრების  
მსგავსად ნათესაობითმა გაიკაფა გზა.

სენურში დ ღ ი თ და დ ღ ის ი თ ერთნაირად ვადმოიციემა:  
ლ ა დ ა ლ ვ შ მიე ანერქე — დღისით (დლით) მზე ანათებს...

ზოვჯერ კი მოქმედებითის მაგივრად მიცემითია: ჰ ა მ ს კლას-  
თე ესხრის ბოფშარ — დლით სკოლისაკენ მიდიან ბავშვები; ამი-  
რან ნ ა ბ ზ ვ ა რ ს ესღვრდა მგრწმთე — ამირანი საღამოობით  
სადღაც მიდიოდა...

მოქმედებითი ბრუნვა დროის თვალსაზრისით მოქმედების სა-  
წყისის აღსანიშნავადაც გვხვდება: ეს ამბავი იმავ თ ა ვ ი თ შეი-  
ტყეს: ი. გოგებ., IX,107,1; ელისაბედს იმ დ ღ ი თ ვ ე შურით  
ავესო გული: ილია, I,366,27...

დროის გარემოების აღსანიშნავად ხშირად გამოიყენება -ობა  
სუფიქსით წარმოქმნილი სახელი მოქმედებით ბრუნვაში, რომელიც  
გამოხატავს განმეორებულ მოქმედებას ძირეულით აღნიშნულ  
დროის მონაკვეთებში<sup>187</sup>: ამირანი ს ა ღ ა მ ო ო ბ ი თ [=ყოველ-  
თვის საღამოს, ჩვეულებრივ საღამოს] სადღაც მიდიოდა: მ. ჯავახ.  
II,14,16; კ ვ ი რ ა ო ბ ი თ [=ყოველთვის კვირას, ჩვეულებრივ  
კვირას] კოლმეურნეობის სახლის ეზოში ყოველთვის სხვადასხვა  
გასართობი ეწყობოდა: ლ. ქიან., III,192,4; ზ ა მ თ რ ო ბ ი თ

<sup>187</sup> ლ. კ ვ ა ჰ ა ძ ე, თანამედროვე ქართული ენის სინტაქსი, გვ. 142;  
ბ. ს ა ბ ა შ ვ ი ლ ი, ო ბ ი თ სუფიქსით ნაწარმოები ზმნისართები თანამედ-  
როვე ქართულ ენაში: ქართული სიტყვის კულტურის საკითხები, II, 1979, გვ. 219.

[=ყოველთვის ზამთარში, ზამთრის განმავლობაში] მგელი ესტუმრება ხოლმე ხმელს წიფელს: ვაჟა, V,87,5...

ამავე მნიშვნელობითაა რედუქლიკაციით მიღებული ფუძე-ობა სუფიქსის დართვით ან მის გარეშე: დ ი ლ დ ი ლ ო ბ ი თ ცვრიან ველზე ფეხშიშველას უნდა გვერბინა: აკაკი, IV,35,25; კი-დობნიდან იწყო ღ ა მ ღ ა მ ო ბ ი თ საუცხოვო ამბებმა მოდენა: ვაჟა, VII,118,22, შდრ. მწყერი მხოლოდ ღ ა მ-ღ ა მ ი თ ქუქქუ-კება: ი. გოგება, V,372,20...

მოქმედებით ბრუნვაში დასმული სახელი გამოიყენება -ზე თან-დებულისანი სახელის ფუნქციითაც: კუქის გასაძლომი მიშოვე დ რ ო ი თ (=დროზე): დ. კლდ., I,52,36; დ რ ო ი თ რომ ვახშამს მაქმედდ და დამაძინებდე, ძალიან დაგიმადლი: დ. კლდ., I,52,20.

-ში თანდებულისანი სახელის მნიშვნელობით გვხვდება სი—ე-თი ნაწარმოები ზმნისართად ქცეული სახელი ს ი ც ო ც ხ ლ ი თ (=სი-ცოცხლეში): ეყოფა, რაც ს ი ც ო ც ხ ლ ი თ გაკიცხეთ ეს საბრა-ლო: აკაკი, III,187,14: აკაკიმ ... თავისი ღვაწლის ნაყოფი ს ი ც ო ც ხ ლ ი თ ვ ე ინახულა: ილია, VI,252,27...

თანდებულთაგან დროის გარემოების გამოხატვაში მონაწი-ლეობს -გან (//ღამ), რითაც გამოიხატება მოქმედების საწყისი დროის მიხედვით: დიდი წყალი მხოლოდ გაზაფხულიდან წამოვა ხოლმე: მ. ჯავახ., I,175,18; მზე საშუადღეო დამ დაჰყურებდა დედამიწას: ე. ნინ., II,5,3.

-გან თანდებულისანი მოქმედებითის მნიშვნელობით მეგრულ-ში დაშორებითი ბრუნვა იხმარება: რენა დ უ დ ი შ ე დიდი ცქვა-ფილო: ზუბ., 33,16 — არიან თავიდან დიდად ქებულნი; თე ბალანა ირი დ ღ ა შ ე გასაკვირო ირდუ: ზუბ., 95,21 — ეს ბავშვი ყოვე-ლი დღიდან საკვირველად იზრდება...

სევანტრში ასეთ შემთხვევაში ღო და ხან თანდებულებისანი ფორმები იხმარება: ლ უ ფ ხ უ ნ ლ ო ოსლელიდ უჩხას — ზაფხუ-ლიდან წვიმას ველოდებით; იშვეიდ ს ა თ ხ ა ნ არად შდუა — შვიდი საათიდან რვამდე თოვდა.

-გან თანდებულისანი მოქმედებითი უკავშირდება შესაფერის მიმღეობას და ამით უფრო მკაფიოდ გამოიხატება მოქმედების დაწყება დროში: შვიდი წლიდგან მოკიდებულ ი ო ც წლამდინ ჩემის განთიადის დღენი ბატონის სახლში დამილამებია: ილია, I,269,2; იმ დ ღ ი დ ა ნ მ ო კ ი დ ე ბ უ ლ ი ქარცეცხლი ჩაბუდდა გრამკოს გულში; კ. ლორთქ., 309,3; ამ დ ღ ი დ ა ნ მ ო-წყებულ ი ქვრივი თინათინ დარჩა ოჯახში: ე. ნინ., II,227,33; დილის შვიდი საათიდან დაწყებულ ი თითქმის აქამდის მეძინა: აკაკი, IV,142,16.

დროის გარემოების გამოსახატავად რთული ფორმებიც გვაქვს: დროის თვალსაზრისით საწყისი და დასასრული მოცემულია ერთდროულად და გამოხატულია დროული მიმართება ორ მონაკვეთს შორის. ორი ფორმიდან პირველი -გან (ან -დამ) თანდებულისანი ფორმით არის წარმოდგენილი, ან უთანდებულოა და მოქმედების დაწყების გაგება აქვს, მეორე -- მდე/-მდის თანდებულისანი ვითარებით, ან -ზე თანდებულისანი მიცემით.

1. საწყისი პუნქტი გამოხატულია -გან (// -დამ) თანდებულისანი მოქმედებით, დასასრული — -მდე// -მდის თანდებულისანი ვითარებით: დ ი ლ ი დ ა ნ ს ა ლ ა მ ო მ დ ე ს უ ლ მ ინ დ ო რ შ ი და ე რ ბ ო დ ი: აკაკი, IV,33,3; თოთოლა ც ი ს კ რ ი დ ა ნ ბ ი ნ დ ა მ დ ი ს ფ ე ხ ი ა უ ხ რ ე ლ ა დ ფ უ ს ფ უ ს ე ბ დ ა: გ. ლ ო ნ., 24,10...

2. მოქმედების საწყისი პუნქტი გამოხატულია უთანდებულო მოქმედებით, დასასრული — -მდე თანდებულისანი ვითარებით: ფ ი რ უ ზ ა მ ო უ რ ა ვ ი გ ა ნ თ ი ა დ ი თ ს ა ლ ა მ ო მ დ ე მ ი ნ დ ვ რ ე ბ შ ი ტ რ ი ა ლ ე ბ დ ა: მ. ჯ ა ვ ა ხ., IV,307.10; გამჭირახი ჰონახევრე დ ი ლ ი თ ს ა ლ ა მ ო მ დ ე ი მ ხ ვ რ ე ლ შ ი და ძ ვ რ ე ბ ა: მ. ჯ ა ვ ა ხ., II,152,24...

3. საწყისი პუნქტი გამოხატულია -გან თანდებულისანი მოქმედებით, დასასრული — -ზე თანდებულისანი მიცემით: ე ა მ ი დ ა ნ ე ა მ შ ე ო რ ი -ს ა მ ი უ ე ც ა რ ი გ ა ს რ ო ლ ა ს ი ჩ უ მ ე ს გა ჰ ვ ე თ დ ა ხ ო ლ მ ე: კ. ლ ო რ თ ე., 239,6.

რთულია აგრეთვე დ ღ ი თ ი დ ღ ე (=დღიდან დღემდე): თ ი ნ ა თ ი ნ ი დ ღ ი თ ი დ ღ ე ი ფ ე რ ფ ლ ე ბ ო დ ა: ი. გ ვ ე ტ., 122,1.

მეგრულში რთული ფორმების გამოხატვისას, როცა დროის საწყისი და დასასრული მოცემულია ერთდროულად, პირველი ნაწილი დასმის დაშორებითში, მეორე — მიმართულებითში: ვ ე ზ ი რ ი ი რ დ ლ ა ს ქ ი გ ლ უ რ ც ს ო დ გ ა რ ე ნ ი ო ჰ უ მ ა რ ე შ ე ო ნ ჯ უ ა შ ა: ხ უ ბ., 87,30 — ვ ე ზ ი რ ი ყ ო ვ ე ლ დ ღ ე და დ ის სა დ ლ ა ც დ ი ლ ი დ ა ნ სა ლ ა მ ო მ დ ე...

სვანურში პირველი კომპონენტი -ღ ო ა ნ -ხ ა ნ თ ა ნ დ ე ბ უ ლ ე ბ ი თ გა დ მ ო ი ც ე მ ა, მეორე — უ თ ა ნ დ ე ბ უ ლ ო ვ ი თ ა რ ე ბ ი თ ი თ: ჰ ა მ უ ნ -ღ ვ ო ა ნ ა ბ ო ზ დ ლ ა რ ა მ ს გ ა ხ ე ი კ მ უ რ ი ა ლ დ — დ ი ლ ი დ ა ნ სა ლ ა მ ო მ დ ე მ ი ნ დ ო რ შ ი და ე რ ბ ო დ ი; ლ ი რ ჰ ა ლ ხ ა ნ ნ ა ბ ო ზ დ ლ ა რ ა მ ს გ ა ს ი ბ დ ა — გ ა ნ თ ი ა დ ი დ ა ნ სა ლ ა მ ო მ დ ე მ ი ნ დ ო რ შ ი ტ რ ი ა ლ ე ბ დ ა.

§ 80. დროის გარემოება ნაწმნარ სახელებთან. დროის გარემოება მიერთვის ზმნა-შემასმენელს, მაგრამ მართვის საშუალებით უკავშირდება, აგრეთვე, ნაწმნარ სახელებსაც: მიყვარს მთვარიან ლ ა მ ე შ ი გ დ ე ბ ა: ი ლ ი ა, I,437,30; ს ი ც ო ც ხ ლ ი თ გ ა უ -ხ ა რ ე ლ ი ა მ წ უ თ ის ო ფ ე ლ ს მ ო ა შ ო რ ე ს: შ. ა რ ა ვ ე., II,20,17.

§ 81. ადგილისა და დროის გარემოებათა საერთო ნიშნები. სპეციალურ ლიტერატურაში მითითებულია, რომ ადგილისა და დროის გარემოებათა გადმოსაცემად თანაბრად გამოიყენება მიცემითი, ნათესაობითი, მოქმედებითი და ვითარებითი ბრუნვები<sup>188</sup>, ოღონდ ადგილის გარემოების გამოხატვისას ჩვეულებრივ ადგილის აღნიშვნელი სიტყვებია გამოყენებული, დროის გარემოების გამოხატვისას — დროის აღნიშვნელი სიტყვები, შდრ. „ორი მეგობარი მიდიოდა გ ა ზ ა ს ა“: ი. გოგბე., V, 238, 2 და „ხევსური შიშია ყ უ რ ძ ნ თ ბ ა ს კახეთს იყო“: ვაჟა, VII, 315, 15; „მამა გვიდა მეორე ოთახში“: ილია, I, 419, 35 და „ბ ა ვ შ ვ ო ბ ა შ ი ერთი ონავარი ამხანაგი მყავდა“: რ. ინან., 73, 2... „ბ უ ჩ ქ ე ბ ი დ ა ნ თაფლისფერი მოზვერი გამოვიდა“: ე. ყიფ., I, 508, 12 და „დიდი წყალი მხოლოდ გ ა ზ ა ფ ხ უ ლ ი დ ა ნ წამოვა“: მ. ჯავახ., I, 175, 18 და ა. შ.

ადგილისა და დროის გარემოებათა სიახლოვე უფრო იგრძნობა მაშინ, როდესაც ადგილის ან დროის მიხედვით მოქმედების საწყისი და დასასრულია მოცემული, შდრ.: „ხმამ მთიდან მთამდე გზა გაიკვლია“: ლ. ქიაჩ., III, 501, 16 და „ჩოლოყაშვილი დილიდან საღამომდე გვერდში მიდგას“: აკაკი, IV, 117, 40 და ა. შ.

ისტორიულად სივრცისა და დროის აღნიშვნა ერთმანეთთან კავშირშია. სივრცის აღნიშვნა პირველადია, დროისა — მეორეული. არნ. ჩიქობავამ სპეციალურ გამოკვლევაში ცხადყო, რომ სივრცეში ლოკალიზაცია წინ უსწრებდა დროში დეტერმინაციას: ადრინდელ ვითარებაში ვინაჲთგან = საიდან, შემდეგ კი ვინაჲთგან = რადროიდან, ბოლოს — ვინაჲდან = რადგანაც. „სივრცის აღნიშვნელი სიტყვა (ვინაჲთგან = საიდან) დროის აღნიშვნას კისრულობს (ვინაჲთგან = რადროიდან) და მიზეზის აღსანიშნავ კავშირად იქცევა (ვინაჲთგან = რადგანაც). ამ კერძო მაგალითში გარკვეული ფსიქოლოგიური კანონზომიერება მელაენდება: სივრცე — დრო — მიზეზი“<sup>189</sup>.

<sup>188</sup> ე. ბ ა ბ უ ნ ა შ ვ ი ლ ი, მიცემითი და ვითარებითი ბრუნვების ურთიერთობისათვის ძველ ქართულში. სახელის ბრუნების ისტორიისათვის ქართველურ ენებში, I, გვ. 393—394; არ. შ ა რ ტ ი რ ო ს ო ვ ი, მიცემითი და ნათესაობითი ბრუნვების წარმოება და ფუნქციები ძველ ქართულში, იქვე, გვ. 376—377; 390; თ. შ ა რ ა ძ ე ნ ი ძ ე, მოქმედებითი და ვითარებითი ბრუნვების წარმოება და ფუნქციები ძველ ქართულში, იქვე, გვ. 413—414; 423—424; 429—433; ქ. მ ი ქ ე ლ ა ძ ე, შიშობითი ბრუნვის ფუნქციისათვის ძველ ქართულში, იქვე, გვ. 405.

<sup>189</sup> არნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, ზოგი სიტყვის მნიშვნელობის განვითარებისათვის ძველ ქართულში (საერცისა და დროის მოზენტთა ურთიერთობის ასპექტში), ფსიქოლოგია, ტ. III, თბ., 1945, გვ. 490.



### 3. ვითარების გარემოება

§ 82. ვითარების გარემოების რაობა და გამოხატვის საშუალება. ვითარების გარემოება არის წინადადების მეორეხარისხოვანი წევრი, რომელიც აღნიშნავს, თუ როგორ სრულდება (ან შესრულდა) მოქმედება ან რა ვითარებაშია საგნის მდგომარეობა. იგი მიერთვის შემასმენელს ან კიდევ ნაზმნარი სახელით, ზოგი ზედსართავითა და ზმნისართით გამოხატულ წევრს. ვითარების გარემოების კითხვებია: რ ო გ ო რ ? რ ა ნ ა ი რ ა დ ?

ვითარების გარემოების გადმოსაცემად ყველაზე ხშირად გამოყენებულია ზმნისართი, რომელიც შეიძლება იყოს მარტივიც და ფუძეგაორკეცებულიც. გარდა ამისა, ვითარების გარემოებას გამოხატავენ ზმნისართის მნიშვნელობით გამოყენებული სახელები და მიმღებები.

ვითარების გარემოების გადმომცემი სახელი ქართულში შეიძლება იყოს ფუძის სახით ან ს ა ხ ე ლ ო ბ ი თ შ ი (-ვით თანდებულთ), მ ი ც ე მ ი თ შ ი (-ვით, -ზე თანდებულებით ან უთანდებულთ), ნ ა თ ე ს ა ო ბ ი თ შ ი (-ებრ და -ვით თანდებულებით), მოქმედებითსა და ვითარებითში.

#### 1. ზ მ ნ ის ა რ თ ი ვ ი თ ა რ ე ბ ი ს გ ა რ ე მ ო ე ბ ა დ

§ 83. ვითარების გარემოების გამოხატვა ზმნისართებით. ფუძის სახით შეიძლება გადმოიციეს ვითარების ზმნისართიც და სახელიც, რომელიც წინადადებაში ვითარების გარემოებას გამოხატავს. ორივე შემთხვევაში ფუძე გვხვდება მარტივი სახითაც და გაორკეცებულადაც: მე ძ ა ლ ი ა ნ მოვწონდი იმ დალოცვილსა: ილია, I,282,40; თავი ძ ლ ი ე რ მოსწონდა ვაჟაკს: ვაჟა, V,99,3; სადილი უ ფ რ ო გრძელდებოდა: აკაკი, IV,19,26; უ ც ე ბ სიბნელეში აღის ენა ავარდა: მ. ჭავჭავაძე, I,133,20...

ფუძის განმეორება ჩვეულებრივ უკავშიროდაა, მაგრამ და კავშირის მეშვეობითაც გვხვდება: დათვი ნ ე ბ ა-ნ ე ბ ა მოჯოჯავდა: ვაჟა, V,71,3; პ ი რ დ ა პ ი რ ვუთხარი: ილია, I,308,15; მანძილს შფოთვა თ ა ნ დ ა თ ა ნ უფრო ეტყობოდა: აკაკი, IV,112,25; ქალაქს გარეთ გავიდა ც ხ ე ნ დ ა ც ხ ე ნ ელიკო: აკაკი, IV,213,10, შდრ. მეგრ.: ისოფეს დო ისოფეს ც ხ ე ნ დ ო ც ხ ე ნ გ: ყიფში. 34,16 — ისწრაფეს და ისწრაფეს ცხენდაცხენ...

ფუძის განმეორებისას პირველ ნაწილს შეიძლება ახლდეს ბრუნვის ნიშანი: თვალშავა და ვირი გ ვ ე რ დ ი ს გ ვ ე რ დ იწენენ: ვაჟა, V,226,35.

შეიძლება ბრუნვის ნიშანი (ვითარებითის, მოქმედებითის) ახლდეს მეორე ნაწილს და მოხდეს ფუძეში ხმოვნის ცვლა: წვიმა ს ვ ე ტ-ს ვ ე ტ ა დ ჩამოღვა გაღმა სერებზე: ვაჟა, V, 17, 15; ბანებზე გ უ ნ დ-გ უ ნ დ ა დ იღვა ხალხი: ს. მგალ., 408, 20; ღ ა პ ა-ღ უ პ ი თ წამომივიდა ცრემლები: ილია, I, 354, 7; თან გადაჰყვა ტ ყ ა პ ა ტ ყ უ პ ი თ შეიდიოდე ბიჭი: ილია, I, 288, 20...

ვითარების გარემოებას გამოხატავს ისეთი კომპოზიტიც, რომლის პირველი ნაწილი სახელის ფუძეა, მეორე — ზმნისართი: მინდა ჯერ პ ი რ ქ ვ ე დავემხო: ილია, I, 322, 39; ისიღორე ჯაყელი პ ი რ-ჩ ა ღ მ ა დაემხო: ნ. დუმბ., 488, 6; არჩილმა ... პ ი რ უ კ უ ღ მ ა მოსძახა გიორგის: ილია, I, 454, 5; მელია გ უ ლ ა ღ მ ა დაწვა, ცას ფეხს მიეჭხირებო (ანდ.).

ფუძეს შეიძლება დაერთოს -ებრ თანდებული: ლ ო მ ე ბ რ მისცვივდნენ სინოპსა: გრ. ორბ., 93, 16; მყრალა ძ ვ ე ლ ე ბ რ სწამლავდა ჰაერს: ნ. ლორთქ., I, 67, 14...

ვითარების გარემოება გადმოიცემა, აგრეთვე, ჩვენებითი ნაცვალსახელისა და -რე ნაწილაკის შეერთებით ნაწარმოები ზმნისართების საშუალებით: ასე (←ას-რე), ისე (←ის-რე), აგრე, მაგრე, ეგრე: ერთ ქალს ერთხელ ა ს ე ვუთხარი: შ. დად., III, 61, 16; ეს ე გაატარეს მათ თავისი დღენი: ი. გოგებ., V, 270, 28; ის ე მოგკურცხლავდი: ი. გოგებ., V, 319, 16; ვინ გასწავლა ა გ რ ე კარგად გაყოფაო? ი. გოგებ., V, 205, 5; გაჩერდი მ ა გ რ ე კლასის გამოსვლამდე: აკაკი, IV, 50, 4...

-რე ნაწილაკიანი ზმნისართებიდან ძველ ქართულში ვითარების გარემოებად გამოყენებულია მარტივი ან ფუძის რედუპლიკაციით ა დ რ ე // ა დ რ ე-ა დ რ ე (აღნიშნავდა ჩ ქ ა რ ა ს). ადრე თავისი წარმოშობით ვითარების ზმნისართია და, ამდენად, ვითარების გარემოება იყო წინადადებაში: ხოლო იგინი წარვიდეს ა დ რ ე მიერ საფლავით: ზანმ. მ 28, 8; ა დ რ ე აღდგა და გამოვიდა: DE ი 11, 31, შდრ. წარვიდეს ა დ რ ე-ა დ რ ე მიერ სამართ: C მ 28, 8.

ძველი ქართულისებური ვაგებით ეს ფორმა დაცულია ჰანურში: ო რ დ ო (←ოდრო) = მალე, ჩქარა, სწრაფად<sup>190</sup>: ო რ დ ო მოხთი: ჰან., II, 85, 31 — მალე მოდი.

ძ ა ლ ი ა ნ წარმოქმნილი სიტყვაა: ის ქართულში ფუძის სახით გვევლინება ვითარების გარემოების გამოსახატავად. ქართველურ ენათაგან მეგრული ამ შემთხვევაში ავლენს თავისებურებას, რაც იმაში გამოიხატება, რომ ძ ა ლ ი ა ნ (მეგრ. ძ ა ლ ა მ) გვხვდებ-

<sup>190</sup> არნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, ჰანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი, გვ. 199.

ბა ფუძის სახითაც (ძ ა ლ ა მ), სახელობით ბრუნვაშიც (ძალამი), მოთხრობითშიც (ძალამქ//ძალამქე) და მიცემითშიც (ძ ა ლ ა მ ს). ჯერ კიდევ ი. ყიფშიძემ აღნიშნა, რომ მეგრულში მოთხრობითში დაისმის ნასახელარი ზმნისართებიც ძ ა ლ ა მ ქ, ჰ ე ქ: მა ძ ა ლ ა მ ქ მახიოლგ ე ამბექ...: თის ჰ ე ქ ქეეწყინგ<sup>191</sup>.

ძ ა ლ ა მ ზმნისართის თავისებურებას ეხებიან ო. ურიდია და გ. კაჭარავა.

ო. ურიდიამ აღნიშნა, რომ ზოგჯერ მოთხრობითში ზმნიზედაც შეიძლება იყოს. ეს ისეთ შემთხვევაშია, როდესაც II სერიის ზმნაა და ზმნიზედა გრამატიკული სუბიექტის ადგილს იჭერს, ამასთან რეალური სუბიექტი მიცემითშია ისე, როგორც ჩვეულებრივ გვაქვს ინვერსიულ ზმნებთან. მაგ.: ხანს ძ ა ლ ა მ ქ ახიოლ: ხუბ., 151,9 — ხანს ძალიან გაუხარდა (ხანს ძ ა ლ ი ა ნ მ ა გაუხარდა)<sup>192</sup>.

აქვე ნათქვამია, რომ თუ ზმნა ინვერსიული არაა, სუბიექტური პირი მოთხრობითშია, მაშინ ზმნისართი ფუძით ან სახელობითის ფორმით არის წარმოდგენილი და ვითარების გარემოებაა: მუშაქ ძ ა ლ ა მ ი შიიწუხუ: ყიფშ., 47,10 — მამა ძალიან შეწუხდა<sup>193</sup>.

გ. კაჭარავას სპეციალურ წერილში ყურადღება აქვს გამახვილებული ამ საკითხთან დაკავშირებით. მისი აზრით: „საგანგებოდ აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ერგატივის ნიშნის შემცველი ძ ა ლ ა მ ქ ფორმა მეგრულში იხმარება არა ყოველ ზმნასთან, არამედ ზმნათა ერთ ჯგუფთან, რომელიც verba sentiendi-დ იწოდება. ეს ზმნები შემდეგია: ახიოლუ (გაუხარდა), ეწყინუ (ეწყინა), ეორცუ (ეოცა), გუუკვირდუ (გაუკვირდა), მეეწონუ (მოეწონა)“...<sup>194</sup>

ავტორი აქვე მიუთითებს, რომ ძ ა ლ ა მ ქ ფორმა იხმარება მოყვანილ ზმნებთან მხოლოდ მეორე სერიის მწკრივებშიო. პირველსა და მესამე სერიებში გვაქვს სახელობითი ან მიცემითი (ძალამ-ი — ძალამ-ს).

გ. კაჭარავა ვარაუდობს, რომ ძ ა ლ ა მ ი // ძ ა ლ ა მ ს // ძ ა ლ ა მ ქ ფორმები ამჟამად ზმნიზედაა, რადგანაც ზმნას უკავშირდება და ვითარების გარემოებას გადმოსცემს, მაგრამ აღრეულ საფეხურზე იგი ზედსართავი სახელი იყო, უკავშირდებოდა არსებით

<sup>191</sup> И. К и п ш и д з е, Грамматика мшигрельского (иберского) языка, с. 0133.

<sup>192</sup> ო. უ რ ი დ ი ა, მეგრულის სინტაქსური თავისებურებანი ქართულთან მიმართებით. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, ტ. 93, 1960, გვ. 172.

<sup>193</sup> იქვე.

<sup>194</sup> გ. კ ა ჯ ა რ ა ვ ა, ერგატივის ერთი უცნობი ფუნქციისათვის ზანურში. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, 53, № 3, 1969, გვ. 505—508.

სახელს და მასთან შეთანხმებულ მსაზღვრელს წარმოადგენდა. უფრო გვიან ძალამ ფუძე დაუკავშირდა ზმნას (შემასმენელს), რამდენადაც მან იკისრა ვითარების გარემოების აღნიშვნის მოვალეობა<sup>195</sup>.

ძალამ სიტყვის მსგავსია ნაბეტანი და დიდიც. პირველი ქართულშიც გვხვდება ვითარების გარემოებად<sup>196</sup>. შეიძლება მას დავუმატოთ მეგრული მუჭომ // მუჭომს // მუჭომქ (როგორ-ი).

საყურადღებოა ის გარემოება, რომ ერთმანეთს ენაცვლებიან, ერთი მხრივ, სახელობითი და მიცემითი და, მეორე მხრივ, სახელობითი და მოთხრობითი: ძალამი — ძალამს, ძალამი — ძალამქ, და პირდაპირი წყობის ზმნა-შემასმენლებთან მოთხრობითში დასმული ვითარების გარემოება არა გვაქვს, შდრ. წუხენა ძალამს: ხუბ., 76,14 — სწუხან ძალიან; ბოშის ძალამქ ახიოლგ: ყიფშ., 23,34 — ბიჭს ძალიან გაუხარდა; ათე როკაპისე ძალამქ ეწყინგ: ყიფშ., 32,8 — ამ გრძნეულს ძალიან ეწყინა; ე სამართალქ ირი კოს ძალანქ მეეწონგ: ყიფშ., 44,29 — ეს სამართალი ყველას ძალიან მოეწონა; გატყურიას დიდიქ ეწყინუ: ხუბ., 193,30 — მატყურაას დიდად ეწყინა; ე ცირას ეორცე ძალამქ: ყიფშ., 33,12 — ამ გოგოს ეოცა ძალიან; ხენწიფეს ძალანს ხერხებუ: ყიფშ., 43,8 — ხელმწიფეს ძალიან მოსწონებია; მუჭომს ახიოლუდეს: ყიფშ., 29,17 — რანაირად გაეხარდებოდათ, შდრ. მუჭომქ ახიოლუ — რანაირად გაეხარდა.

მაგრამ: მუმაქ ძალამი შიიწუხუ: ყიფშ., 47,10 — მამა ძალიან შეწუხდა; ბოშიქ ძალამი გოლანგ ე კოჩი: ხუბ., 65,23 — ბიჭმა ძალიან გალახა ეს კაცი.

ძალამი მხოლოდ სახელობითის ფორმითაა, როცა ახლავს ზედსართავ სახელს ან ზმნისართს: ქალაქი ეოფე დასურო ძალამი დიდი: ხუბ., 11,34 — ქალაქი ყოფილა მართლაც ძალიან დიდი; ძალამი საწყინოთ დაასქიდეს: ყიფშ., 4,30 — ძალიან საწყენად დარჩათ...

ნაბეტანი (ნამეტანი), მაღალი (მაღალი), ბრელი (ბევრი), თიცალი (იმნაირი) ძალამის მსგავსად ირთავენ სახელობითის, მოთხრობითის, მიცემითისა და გარდაქცევითის ნიშნებს: ნაბეტანი ოხიოლუ // ნაბეტანს ოხიოლუ, ნაბეტანქ ახიოლუ...; მაღალო ღურჭულანს, მაღალს ღურ-

<sup>195</sup> მ. კაკარავა, ერგატივის ერთი უცნობი ფუნქციისათვის ზანურში, გვ. 507.

<sup>196</sup> იქვე.

ჭულანს...; თი ცალი ოხიოლუ, თი ცალს ოხიოლუ, თი ცალქ // თი ცარქ ახიოლუ, თი ცალო ოხიოლუ...; ე ამბექ ნაბეტანი გუუკვირდუ თინენს: ყიფშ., 20,28 — ეს ამბავი ძალიან (/ნამეტანი) გაუკვირდათ იმათ; ნამეტანს ქოშქირენს: ხუბ., 212,26 — ძალიან შია, მალალც ღურჭულანდუ: მას., 97,31 — ხმამალა ჭიკჭიკობდა...

ნამეტანის ზმნისართობა და, ამდენად, ვითარების გარემოებად მისი გამოყენება სალიტერატურო ქართულისათვისაც ბუნებრივია: ოტიას ... ეს ნამეტანი ეუცხოვა: დ. კლდ., I, 237,17; ნამეტანი კი გამწარდება საწყალი: ა. ბელ. ერთტომ., 285,32; გვადის ... ნამეტანი შემოთენებოდა: ლ. ქიაჩ., III, 23,8.

ნამეტანის მსგავსია ნაწყენი ასეთ შემთხვევაში: ეს რაღაა? — ნაწყენი ჰკითხა მღვდელმა თავის ცოლს: ნ. ლორთქ., I, 156,7. აქ ნაწყენი = წყენით.

ვითარების გარემოების გადმოსაცემად ქართულში გამოყენებულია -ივ და -ავ ნიშნებიანი ზმნისართები. პირველადი დანიშნულების მიხედვით -ივ სუფიქსი მოქმედებითი ბრუნვის ნიშანია<sup>197</sup>, ხოლო -ავ — ვითარებითისა<sup>198</sup>.

-ივ და -ავ სუფიქსების შესახებ საინტერესო მოსაზრება აქვს გამოთქმული ჰანს ფოგტს. მისი აზრით, -ივ სუფიქსს ბრუნვის ნიშნის გარეგნობა აქვს, მაგრამ „ბუნებრივია ვიფიქროთ, რომ საქმე უბრალოდ ეხება ინსტრუმენტალისის ჩვეულებრივი -ით დაბოლოების განსაკუთრებულ განვითარებას; მას მოსდევს ემჟატიკური -ვე ნაწილაკი. მაშასადამე, იქნებოდა -ით-ვე → ივე → ივ. ... ძლი-ვე ← ძლი-თ-ვე... ჩვენ გვაქვს კულავ კულ-ი-დან. საყრდენი წერტილი უეჭველად არის ვითარებითი კულ-ად (მთ., 13,47, თავისუფლად მონაცვლე კულ-ად'თან, *ibid*, 13,44), რომელსაც მოსდევს -ვე...; ძველ ქართულში -ივ'ზე დაბოლოებული ფორ-

<sup>197</sup> H. Schuchardt, Über das Georgische, Wien, 1895, გვ. 14; H. Marr, Грамматика древнелитературного грузинского языка, с. 30; არნ. ჩიქობავა, სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართველურ ენებში, თბ., 1942, გვ. 90—91; ვ. თოფურიძე, ბრუნვის სისტემისათვის სვანურში სხვა ქართველურ ენათა ბრუნებასთან შედარებით. გვ. 340; ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, გვ. 76; გ. შალამბერიძე, ზმნისართი ძველ ქართულში. ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, I, 1959, გვ. 44.

<sup>198</sup> H. Marr, Грамматика древнелитературного грузинского языка, с. 31; ვ. თოფურიძე, ბრუნვის სისტემისათვის სვანურში სხვა ქართველურ ენათა ბრუნებასთან შედარებით, გვ. 340; თ. შარაძენიძე, ბრუნებათა კლასიფიკაციისათვის სვანურში. იყე, VII, 1955, გვ. 127.

მეტი უნდა განიმარტოს როგორც ით"ზე დაბოლოებული ინსტრუ-  
მენტალის-აბლატივის ვარიანტები და -ავ და -ევ"ზე დაბოლოე-  
ბული ფორმები, როგორც -ად"ზე და -დ"ზე დაბოლოებული ვითა-  
რებითის ვარიანტები"<sup>199</sup>. მაშასადამე, ძალ-ით-ვე → ძლ-ით-ვე →  
ძლ-ივ; ფიცხლ-ად-ვე → ფიცხლ-ა-ვე → ფიცხლ-ავ.

ამ შემთხვევაში ჩვენთვის მნიშვნელობა არა აქვს -ივ და -ავ  
სუფიქსებიან ზმნისართთა წარმომავლობას. წარმოვადგენთ მხო-  
ლოდ ვითარების გარემოებად მათი გამოყენების ნიმუშებს:

-ივ ს უ ფ ი ქ ს ი: პეპია და სნეული ტუსალი ძ ლ ი ვ მობო-  
ბლავდნენ: ილია, I, 212, 16. იოანე გუსი ც ო ც ხ ლ ი ვ დაიწვა კო-  
ცონზე: ს. მგალ., 295, 24; პეტრემ... ჩახედ-ჩამოხედა ს ი მ რ გ ვ-  
ლ ი ვ სათივეს: ილია, I, 457, 28...

-ივ სუფიქსიანი ზმნისართი ირთავს მიცემითი ბრუნვის ნიშან-  
საც: ძ ლ ი ვ → ძ ლ ი ვ ს: ძ ლ ი ვ ს გავიგონეთ წისკვილის ხმა:  
ვაჟა, V, 164, 18...; გზაჯვარდინზე ძ ლ ი ვ ს შეაყენა ცხენი არზაყან-  
მა: კ. ჯავახ., I, 130, 1...

-ავ ს უ ფ ი ქ ს ი: ერთმა კაცმა ფ ი ც ხ ლ ა ვ ქუდს ხელი  
იტაცა: ი. გოგებ., V, 345, 5; გულმა კ ვ ლ ა ვ ტოკვა დამიწყო: ილია,  
I, 258, 10; ჭრაქის მკრთალ შუქზე ო დ ნ ა ვ გავარჩიე პატიმრები:  
მ. ჯავახ., I, 205, 12...

როგორც მოსალოდნელი იყო -ავ სუფიქსიან ზმნისართს ენა-  
ცვლება ვითარებითის ფორმით წარმოდგენილი ზმნისართი: ფ ი-  
ც ხ ლ ა ვ // ფ ი ც ხ ლ ა დ; ო დ ნ ა ვ // ო დ ნ ა დ: ერეკლე ... ეკვეთა-  
ფ ი ც ხ ლ ა დ: ი. გოგებ., IX, 82, 33; მათივოს ცალი ფეხი ო დ ნ ა დ  
ჰქონდა წითელი ხვერდის ფოსტალში შეყრილი: აკაკი, IV, 205, 36.

მეგრულში ეგვეე ფუქე (ო ნ დ ე თ = ო დ ნ ა ვ) გაფორმებუ-  
ლია მოქმედებითის ნიშნით: მურე ო ნ დ ე თ რეჩიე? ყიფშ.,  
59, 28 — რა არის ძლივს (ოდნად//ოდნავ) რომ ხარო?

ერთმანეთს ენაცვლებიან ხანდახან -ავ და -ივ სუფიქსებიანი  
ვითარების გარემოებები: ფ ი ც ხ ლ ა ვ // ფ ი ც ხ ლ ი ვ, ო დ ნ ა ვ //  
ო დ ნ ი ვ... შდრ. „წამოხტა ფ ი ც ხ ლ ა ვ ჯაბა“: ა. ბელ. ერთტომ.,  
285, 25 და „ეშვიანი“ მტრედი ფ ი ც ხ ლ ი ვ მიიწევდა ბარისკენ“:  
მ. ჯავახ., IV, 300, 30; „ჭრაქის მკრთალ შუქზე ო დ ნ ა ვ გავარჩიე  
პატიმრები“: მ. ჯავახ., I, 205, 12 და „გული ო დ ნ ი ვ მიცემდა“:  
ილია, I, 295, 2...

ვითარების გარემოების გამოსახატავად მეგრულში ვამოიყენე-  
ბა ზმნისართები: კ ი ნ ი // კ ი ნ ე (ისევ, კვლავ), ხ ვ ა ლ ე (მარ-  
ტო)..., ჭანურში — ხ ვ ა ლ ა (მარტო) და სხვა.

<sup>199</sup> პ. ფ ო გ ტ ი, ბრუნვათა სისტემა ძველ ქართულში. მიმოხილველი, 4—5,  
თბ., 1968, გვ. 277.

მაგალითები: მე გ რ.: მიდართ ბოშიქ კინი მუში შარაშა: ყიფშ., 37,29 — წავიდა ბიქი ისევ თავის გზაზე; ჩქე ათეთ დეშარ-თუუნა კინე სიცოცხლეში ნაწილი: მას., 55,39 — ჩვენ ამით დაგვიბრუნდება კვლავ სიცოცხლის ნაწილი; მიდართე ხვალეე: ყიფშ., 52,25 — წავიდა მარტო: გურც ქომუჩუ უცეკე ჭვალა მას., 57,8 — გულში მომცა უცბად მქვალი...

ჭ ა ნ უ რ ი: მკაფუ ხვალა გამახთუ: ჭან., II,47,5 — ტუ-რა მარტო გამოვიდა; ოხორჯა ხვალა ქოდოსქიდუ კარავის: ჭან., II,17,16 — ქალი მარტო დარჩა გემზე; ზოი დიყურუ: ჭან., I,82,16 — ძლიერ დაიყვირა და ა. შ.

სენურში გავრცელებულია აჭალ (=კვლავ), რომელიც გამოხატავს ვითარების გარემოებას: აჭალ ხვამგვემ შემწეობა: სვ. პ., 68,5 — კვლავ ვთხოვე შემწეობა; ეჩის აჭალ მწომე ახჷმ: სვ. პ., 66,18 — მას კვლავ მეორე მოჰყვა...

ასევე, ფუძეც გამოხატავს ვითარების გარემოებას: სი მწტარ ნიერი: რ. ხარაძე, დიდი ოკ., 28,8 — შენ ძლიერ გვეცოდები, კა-ბურ მეჩდე ლამთილათე: სვ. პ., 174,21 — უკაბოდ წასულა ქმრე-ულთას...

ცალკე გამოიყოფა ვითარების გარემოების ისეთი ფორმები, რომლებიც -ას სუფიქსითაა ნაწარმოები<sup>200</sup>. -ას მიჩნეულია -ად'ის კორელატად<sup>201</sup>. -ას'ის ა „იგივე ა-ა, რაც ვითარებითში, ოღონდ შეზღუდულად და ისიც ახალი ქართულის მაგალითებითაა წარმო-ჩენილი...; მამასადამე, -ას ისე შეეთარდება -ად'ს, როგორც -ს — -დ'ს<sup>202</sup>.

ქართულში -ას დაბოლოებიანი ზმნისართი დასტურდება -ად'ის პარალელურად ამავე მნიშვნელობით: იოლას მივდივარ: აკაკი, VII,806,23, შდრ. კიდე იოლად გავდიოდით: აკაკი, IV, 50,18; იოლას გამოვდივარ: გ. ლეონ., 330,22, შდრ. იოლად გამოვალ: ვაჟა, V,271,9 და ასე: ცხენდაცხენ მოსდევს ჰაბუკი, ის-რებს მოესერის მწკრივასა: ვაჟა, III,89,15, შდრ. ბარტყე-ბი... მწკრივად დასხდნენ ერთმანეთის ახლო: ი. გოგებ., V,503,15...

მეგრულში ი. ყიფშიძეს შენიშნული ჰქონდა, რომ ვითარებით ზმნისართში, რომელიც ვითარების გარემოებაა წინადადებაში, -ას

<sup>200</sup> Н. М а р р, Грамматика древнелитературного груз. яз., с. 23—24.

<sup>201</sup> ვ. თოფურიძე, ბრუნების სისტემისათვის სენურში სხვა ქართველურ ენათა ბრუნებასთან შედარებით, გვ. 340—341; ე. ბაბუნაშვილი, მოცემითი და ვითარებითი ბრუნების ურთიერთობისათვის ძველ ქართულში, გვ. 400.

<sup>202</sup> ვ. თოფურიძე, ბრუნების სისტემისათვის..., გვ. 340.

დაბოლოება არის „арханическое окончание Дательного картского падежа“<sup>203</sup>. იგულისხმება: ძვირას, შხირას, ნწარას, ეფას, ჰამას, თელას...: თინა ცურუ ვაცოფენო, თის მითი ძვირას აფასენსგ? ყიფშ., 174,1 — ის სულელი არ ყოფილა, ვინც მას ძვირად აფასებს? ჰამას ვავორდით: მას., 73,23 — ტკბილად არ ვიყავით; თელას ოდიშ ასახელგ: მას., 105,20 — ოდიში მთლად ასახელა; ბეაქ ფართას გელაბარჩხალუე: მას., 62,24 — მზე ფართოდ ამოჩახჩახდა და ა. შ.

-ას დაბოლოებიანი მიცემითის გვერდით გვაქვს -ს ნიშნიანი მიცემითიც: დიდის მორწონც სქანი დუდი: მას., 42,20 — დიდად მოგწონს შენი თავი.

## 2. სახელი ვითარების გარემოებად

§ 84. სახელობითი ბრუნვა ვითარების გარემოებად. ვითარების გარემოების გამოსახატავად ზმნისართის მნიშვნელობით გვხვდება სახელობით ბრუნვაში დასმული -ვით თანდებულიანი სახელი: პატარა ბიჭი ციბრუტივით მოტრიალდა: ილია, I,274,35; მე წინ გავრბოდი კურდღელივით: აკაკი, IV,42,9; ხალხ ბუზივით ირეოდა: მ. ჯავახ., 1,82,12...

სახელობითში დასმული ზედსართავი სახელია კარგი, რომელიც ჩვეულებრივ განსაზღვრებაა არსებითი სახელისა, მაგრამ ზოგჯერ ზედსართავ სახელთან დაკავშირებისას ვითარების თვისებებს იძენს (=კარგად'ს) ისე, რომ თითქოს პირველადი თვისებებიც შენარჩუნებული აქვს, მაგ., ვენახს ... გარშემო კარგი მაღალი ... ღობე ჰქონდა შემოვლებული (ნ. ლომ.); ეს ცნობა... კარგი ძველი წყაროდან ამოღებული ჩანს (ივ. ჯავახ.)<sup>204</sup>.

მეორე მხრივ, კარგა (=კარგად) განსაზღვრებად უნდა გავიგოთ (=კარგი), როცა არსებით სახელს უკავშირდება, თუმცა მოსალოდნელია ჩავარდნილი იყოს ზედსართავი სახელი, რომელთანაც ის უნდა ვივარაუდოთ: ბაკებამდე კიდევ კარგა მანძილი იყო: ილია, I,414,6, მაგრამ კარგა ზმნისართია და, ამდენად, ვითარების გარემოება წინადადებაში: „მზემ კარგა გაღიხარა ჩასავალისაკენ“: ილია, I,414,1.

<sup>203</sup> И. Кипшидзе, Грамматика мингрельского (шверского) языка, с. 024; 0115.

<sup>204</sup> კარგადაა გახაზული ეს თვისებურება „ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში“, სადაც მითითებულია, რომ კარგი'ს ერთ-ერთი მნიშვნელობაა: საკმაოდ, მნიშვნელოვნად, კარგა. ტ. IV, გვ. 1075.



კ ა ი (=კარგი, კარვად) ჰანურში სახელობითში დასმული ვითარების გარემოებაა, როცა იგი ზმნას უკავშირდება: წკაი კ ა ი დოტუბინეს: ჰან., II, 35, 16 — წყალი კარვად გაათბეს; ია კოჩი კ ა ი სქიდუნ: კარტ. ლაზ., 178, 11 — ის კაცი კარვად ცხოვრობს, შდრ. მჭ ი ფ ე: „დიშქა ჩითარე მჭ ი ფ ე“: ჰან., II, 26, 23 — შეშას დაჭრი წვრილად; მაგრამ გვაქვს: კ ა ი კ ო ჩ ი (=კარგი კაცი).

ჰანურში სახელობითის ამგვარი გამოყენების სხვა შემთხვევებიც გვაქვს: ჯუმუთი მ თ ე ლ ი დონდლულუ: ჰან., I, 70, 20 — მარილიც მთლად დადნა; მთუთი აწი-თი უ მ უ თ ე ლ ი ქოდოსქიდუ: ჰან., I, 43, 2 — დათვი ახლაც უარაფროდ დარჩა; პ ა ტ ი შინაფანი: ჰან., I, 165, 5 — ცუდად ახსენებენ; დივი მ ლ ო რ ი ნ ე რ ი — მ ლ ო რ ი ნ ე რ ი იმტენ: ჰან., II, 38, 28 — დევი ყვირილ-ყვირილით გარბის.

აქვე გვაქვს სიტყვა ს თ ე რ ი. იგი, ერთი მხრივ, არის მ ს გ ა ვ - ს ი, მეორე მხრივ კი -ვით თანდებულს ეტოლება. ს თ ე რ ი „დაერთვის, ნათესაობითს, რომელსაც ბრუნვის ნიშანი ეკარგება: ჩქიმისთერი (ჩემსავით), სქანი-სთერი (შენსავით), ჯუმასთერი (ძმასავით), იმ კოჩისთერი (იმ კაცივით), ასთერი (ასეთი). უფრო ზუსტი იქნებოდა ზემოხსენებული მაგალითები გადაგვეთარგმნა, როგორც: ჩემი მსგავსი, ჩემისთანა..., იმ კაცის მსგავსი, იმ კაცისთანა“<sup>205</sup>.

ს თ ე რ ი, რომელიც ნათესაობით ბრუნვაში მართავს სახელს და, როგორც ეს შენიშნულია არნ. ჩიქობავას მიერ, ემსგავსება თანდებულს, სახელობითის ფორმითაა მოცემული, მაგრამ გარკვეულ შემთხვევაში აქვს ვითარების გარემოების გაგება: ჯ უ მ ა ს თ ე რ ი = ძმის მსგავსი, ძმისთანა, ძმასავით: ცხენი ირხისთეი ნიტუ: ჰან., I, 91, 28 — ცხენი ქარივით მიდიოდა; თალიბეფექ ქ ო თ უ - მ ე ს თ ე ი გოხთიმუს ქოგაოქკეს: ჰან., I, 2, 26 — მოწაფეებმა ქათამივით სიარული დაიწყეს...

როგორც ვხედავთ, ჰანურში სახელობითი ბრუნვით გადმოიცემა ვითარების გარემოება მაშინ, როდესაც ქართულში ასეთ შემთხვევაში ვითარებითი (ან ზოგჯერ მოქმედებითი) ბრუნვაა. ეს აიხსნება იმით, რომ ვითარებითი ბრუნვა ჰანურში არა გვაქვს, თუმცა ეს ბრუნვა „სპორადულად ჰანურშიც გვხვდება: „დიდო“ — ძალიან, „დიდო კაი“ — ძალიან კარგი, ე. ი. დიდად კარგი... ასე რომ „ენებითი ჰანურისათვის პრინციპულად უცხო არ არის“<sup>206</sup>.

დ ი დ ი და დ ი დ ო ჰანურში ერთმანეთის გვერდით იხმა-

<sup>205</sup> არნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, ჰანურის გრამატიკული ანალიზი, გვ. 66.  
<sup>206</sup> არნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, ჰანურის გრამატიკული ანალიზი, გვ. 51.

რება<sup>207</sup>. დ ი დ ი ზედსართავი სახელია და, ამდენად, წინადადებაში განსაზღვრებაა („დ ი დ ი ხოჯა სოთხანი იგზალეენ“: ჭან., I, 1, 13 — დიდი ხოჯა სადლაც წასულა), დ ი დ ო კი თავისი გაფორმებით ვითარებითში დასმული სახელია და წინადადებაში აღნიშნავს ვითარების გარემოებას: დიშკუ დ ი დ ო ჩალიშკანი რენ: ჭან., I, 75, 2 — ჭიანჭველა ძალიან ბეჭითია; ოსმანის დ ი დ ო ახელუ: ჭან., I, 105, 15 — ოსმანს ძალიან გაუხარდა...

მაგრამ დ ი დ ო განსაზღვრებაა და დაკავშირებულია სახელთან. მისი მნიშვნელობაა დ ი დ ი, ბ ე ვ რ ი: გზას დ ი დ ო მჩხეფა იყევენ: ჭან., I, 119, 16 -- გზაზე დიდი სიცხე ყოფილა; ია ჯოლო დ ო მამულიქ დ ი დ ო ხურმა ჭკომეს: ჭან., I, 27, 15 — იმ ძაღლმა და მამალმა ბევრი ხურმა ჭამეს.

§ 85. მიცემითი ბრუნვა ვითარების გარემოებად. მიცემით ბრუნვაში დასმული სახელი ვითარების გარემოებად გვხვდება - ვით და -ზე თანდებულების დართვით. უკანასკნელს ზმნისართის გაგება აქვს:

-ვით თ ა ნ დ ე ბ უ ლ ი ა ნ ი: ხალხი ბ უ ზ ს ა ვ ი თ ი რ ე ო ლ ა: ილია, I, 274, 15; ძაბულის ე ლ დ ა ს ა ვ ი თ გაუარა სხეულში ამ სახელმა: კ. გამს., I, 141, 25...

-ვით თანდებულს მრავალი ავტორი შეხება. ჰანს ფოგტის აზრით, ვ ი თ არის ვ ი ნ ნაცვალსახელის მოქმედებითა ბრუნვა: „ჩვენ უნდა გვქონოდა წესიერი სისტემა: სახ. ვო, ერვ. ვი-ნ, მიც. ვი-ს, ნათ. ვი-ის, ინსტრ. ვი-თ←ვი-ათ←ვი-იო, ვითარ. ვი-დ“<sup>208</sup>.

ნ. მარიც ვით'ს ვინ ნაცვალსახელიდან მომდინარედ თვლიდა, თუმცა თავისებური ინტერპრეტაციით<sup>209</sup>.

სპეციალური შრომა მიუძღვნა -ვით თანდებულს თ. შარაძენიძემ. მისი აზრით, -ვით(ა) წარმოადგენს „ვინ“ ნაცვალსახელის მოქმედებით ბრუნვას<sup>210</sup>.

ა. შანიძის ვარაუდით, -ვით თანდებული მომდინარეობს ვითარ' ისაგან: ვითარ→ვითა→ვით<sup>211</sup>.

-ზე თ ა ნ დ ე ბ უ ლ ი ა ნ ი: ჩამივარდები ხელში..., დაგზელ

<sup>207</sup> Н. М а р р, Грамматика чанского (лазского) языка, с. 139. არხ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, ჭანურის ვრამატიკული ანალიზი, გვ. 51.წ

<sup>208</sup> ჯ. ფოგტი, ბრუნვათა სისტემა ძველ ქართულში. გვ. 269.

<sup>209</sup> Н. М а р р, Древнегрузинско-русский словарь к 1—2 главам евангелия Марка, 1913, с. 7; მისივე, Грамматика древнелитературного грузинского языка, с. 102.

<sup>210</sup> თ. შარაძენიძე, „ვით“ თანდებული ქართულში: თბილისის საზღვარგარეთის უნივერსიტეტის შრომები, X, 1939, გვ. 156.

<sup>211</sup> ა. შანიძე, ქართული ენის ვრამატიკის საფუძვლები, გვ. 600.

გ ე მ ო ზ ე: ნ. ლორთქ., II, 8, 25; მოურავმა ერთი კ ა რ გ ზ ე შეიკურ-  
თხა: აკაკი, VII, 17, 5; იორიცი ძ ა ლ ზ ე ჩამოკლებულიყო: გ. ლე-  
ონ., 204, 10...

-ზე თანდებულისანი მნიშვნელობით უთანდებულო მიცემი-  
თიცი გვხვდება, მაგ.: აბღუშაპილი მ ხ ა რ-თ ე ძ ო ს წაიწოწილი  
რომ იყო...: აკაკი, IV, 120, 32...

სვანურში ანალოგიური მდგომარეობაა: ვითარების გარემოე-  
ბად გამოყენებულია ზმნისართები მიცემითი ბრუნვის ნიშნით, ან  
თანდებულისანი სიტყვები: ნ ა მ წ უ ჟ ი ნ ს ანღრი: სვ. პ., 56, 6 —  
პირდაპირ მოდის; ძ ღ ღ ს იშაღდახ ჯალღუშ ღვაქჯარ: სვ. პ.,  
62, 29 — სასტიკად იბრძოდნენ ხალღეს ვაქები; კინჩხარს ხოშღედ,  
ვოღ, გ ო ჭ ა რ შ ა ლ: სვ. პ., 124, 14 — კისრებს დავაყრევინებთ  
გოჭებსავით; თ ვ ი თ ე ი ნ ლახვბად ხოცადუნეს: სვ. პ., 78, 15 —  
ძმებმა სათითაოდ რიგრიგად ესროლეს; ფიშირ ლწდი ლადედ ხოჩა  
გ უ ე ნ ანაპ: ბარდავ., 90, 28 — მრავალი დღევანდელი დღე კარგ  
გულზე მოგვასწარი; ზნიშ ხოჩა გ უ ე ი ნაყრ: ბარდ., 7, 2 — გაისს  
კარგ გულზე გვამყოფე...

§ 86. ვითარებითი ბრუნვა ვითარების გარემოებად. ვითარე-  
ბის გარემოების გადმოსაცემად ყველაზე ხშირად გვხვდება ვითა-  
რებით ბრუნვაში დასმული სახელი და მიმღეობა. სახელიცა და  
მიმღეობაც ამ შემთხვევაში დაცლილია ძირითადი მნიშვნელობი-  
საგან და გადაქცეულია ვითარების ზმნისართად.

აქ გასარჩევია რამდენიმე შემთხვევა:

ა) ზედსართავი სახელის ვითარებითი ბრუნვის ფორმა, რომე-  
ლიც ზმნიზედად არის ქცეული, წინადადებაში ჩვეულებრივად ვითა-  
რების გარემოებაა (მატარებელი ზ ა ნ ტ ა დ დაიძრა...; ლ უ რ-  
ჯ ა დ მოლაპლაპე ტბა გამოჩნდა...);

ბ) მიმღეობა ვითარების გარემოების გადმოსაცემად ვითარე-  
ბით ბრუნვაში დაისმის (მ დ ლ უ მ ა რ ე დ იჯდა...; შეიკრა მ რ ი ს-  
ხ ა ნ ე დ წარბი...);

გ) ვითარების გარემოება გადმოცემულია ვითარებით ბრუნ-  
ვაში დაყენებული რიცხვითი სახელით (ხალხი ო რ ა დ გაიყო...);

დ) ვითარების გარემოებას გამოხატავს რამდენიმე არსებითი  
სახელი ვითარებითი ბრუნვის ფორმით (იქ ჯ გ უ ფ ა დ ისხდნენ  
ბუზები...);

ე) ვითარების გარემოებაა ზოგიერთი ნაცვალსახელის ვითა-  
რებითი ბრუნვის ფორმაც, რომელიც ზმნიზედად არის ქცეული (ეს  
ი ს ე თ ნ ა ი რ ა დ მითხრა, რომ...)212.

212 ლ. კ ვ ა ჭ ა ძ ე, თანამედროვე ქართული ენის სინტაქსი, გვ. 149—150.

ამგვარად, ვითარების ზმნისართის გაგება აქვს და, ამდენად, ვითარების გარემოებაა წინადადებაში ვითარებით ბრუნვაში დასმული ზედსართავი სახელი და მიმღობა: წიგნი კ ა რ გ ა დ დავიხელთავე: ილია, I,283,1; სალამოზე მაიკო კ ო ხ ტ ა დ მოირთო: მ. ჭავჭავაძე, I,139,22; „იამშჩიკმა“ თავისი ძროხის თვალეები ჩემკენ მ წ ყ რ ა ლ ა დ მოიბრუნა: ილია, I,248,17...

ვითარების გარემოებას გამოხატავს არსებითი სახელის ვითარებითი ბრუნვაც, რომელიც ვითარების ზმნისართის შინაარსის მატარებელია: მარომ ს ტ უ მ არ ს ც ე რ ა დ გადახედა: კ. ლორთქ., 266,33; ს ვ ე ტ ა დ ბუხრიდამ აღიოდა ბოლო: ვაჟა, V,65,25; ფ ე ხ ა დ შეესწრო ჩემთვის: აკაკი, IV,49,16...

ამავე მნიშვნელობითაა ნანათესაობითარი ვითარებითიც: აბდუშაპილი ს ი გ რ ძ ი ს ა დ გაიღლაშა: აკაკი, IV,109,10; განაჩენს გადაასწორებებს მისდა ნ ე ბ ი ს ა დ: დ. კლდ., II,156,20...

სამმაგი წარმოების შემთხვევაში სახელი შეიძლება იყოს ჯერ მოქმედებითში დასმული და შემდეგ — ორმაგ ვითარებათში: უთხრა დამ გ უ ლ ი თ ა დ ა დ: ილია, I,453,28.

მეგრულში ვითარებითი ბრუნვა ქართულის მსგავსად გამოხატავს ვითარების გარემოებას: ძლაბიქ მაჟია ოკუმარეს ხ ი ა რ უ ლ ო გედირთუ: ხუბ., 6,12 — გოგო მეორე დილით მხიარულად ადგა; თიქ თეზმა ოლალე წ ყ ი ნ ა რ ო მიდელგ ცუდემა: ყიფში, 20,30 — იმან ამდენი ტვირთი ნელა წაიღო სახლში...

მეგრულშივე ვითარებით ბრუნვაში დასმული ნ ე რ ი და ც ა ლ ი (ნერო, ცალო) დაერთვის ნათესაობითში დასმულ სახელს და გამოხატავს ვითარების გარემოებას. ორივე (ნერიც და ცალიც) დამოუკიდებელი მნიშვნელობის სიტყვაა და არის „ნაირი“, „მსგავსი“ (ვ ა რ დ ი შ ნ ე რ ი = ვარდის ნაირი, ვარდის მსგავსი, ვარდისთანა; ვ ა რ დ ი ც ა ლ ი = ვარდის მსგავსი, „ვარდისცალი“, ვარდის ტოლი, ვარდისთანა). ნ ე რ ი ს დართვისას მართულ სახელს შემორჩენილი აქვს ნათესაობითი ბრუნვის ნიშანი (ვარდიშნერი, ვარდიშ ნერო...), ც ა ლ ი ს დართვისას კი ბრუნვის ნიშანი დაკარგულია, თუ -ის სახელობითის ნიშნად გავიგებთ, რომელიც ფუძეს გადაჰყვება სხვა ბრუნვებში.

ვითარებით ბრუნვაში დასმული ნ ე რ ო და ც ა ლ ო თავის საზღვრულ სიტყვასთან ერთად -ვით თანდებულიანი სახელის მნიშვნელობას იძენს: ვ ა რ დ ი შ ნ ე რ ო გოპირელცე სირინოზიშ გილუ ხუმა: მას., 30,25 — ვარდივით გაფურჩქვნის სირინოზის გაქვს ხმა; ვარდეფ ვარდენდ ვ ა რ დ ი ც ა ლ ო: მას., 25,29 — ვარდები ვარდობდა ვარდულით; სერით რენა გ ე რ ი ც ა ლ ო: მას., 104,30 — ღამით არიან მგელივით...

ქართულისებური მდგომარეობაა სვანურშიც: აქ ვითარებით-ში დასმული ვითარების ზმნისართი ძალიან გავრცელებულია<sup>113</sup>: თეთანა ისგვე ფაყვარეს წ გ რ ნ ი დ ლ ჯ ლ ა ფ ი დ ლ ა ჯ ვ ე დ ნ ე: სვ. პ., 20,20 — თქვენს თეთრ ქულებს წითლად შეღებილს შოკეშმთ, მინ როქე ხ ო ჩ ა მ დ ჩ უ ჯ ა დ ვ დ ვ ო ხ შ მ ა ნ ხ: სვ. პ., 92,7 — მათ კი კარგად ივხშმესო: თხერილ ზაგრუმ ჩ ქ ა რ დ ეს ლ გ რ დ ა: სვ. პ., 272,6 — მგელი ქედ-ქედ ჩქარა მიდიოდა; თვეთნა ვოსარს წ გ ო რ ი წ გ რ ნ ი დ ჩ უ ლ ა ჯ ლ ა ფ ნ ე დ: სვ. პ., 82,1 — თეთრ ჩოხას წით-წითლად შეგიღებავთ...

მეგრულში ქართულის ვითარებითი ბრუნვის ფუნქციით და-შორებითიც გამოიყენება: ხრისტაგანქ უ ც ბ ა შ ე გ ი კ უ რ ც ხ ი ნ უ: ყიფშ., 103,30 — ხრისტაგანმა უცბად გაიღვიძა; ცირა ... ტ ყ ო ბ ი -შ ე ი რ ო ი გ ა რ ს: ხუბ., 6,6 — ქალიშვილი ჩუმად სულ ტირის; სა-ქორთუო რე თე მხარე, თამ ს ქ ე ა მ ა შ ე ხ ა რ ხ ე ნ ტ ე ლ ი: მას., 18,14 — საქართველოა ეს მხარე, ასე ლამაზად მოხატული...

ქანურში ამ მნიშვნელობით გამოყენებულია -ნი თანდებულია-ნი დაშორებითი: ო ძ ი ც ი ნ უ შ ე ნ ი ბ ა ნ დ ა ლ ა ბ ტ უ ... მ თ უ თ ი: ქან., I,70,4 — სასაცილოდ დაძუნძულებდა დათვი...

ვითარების გარემოებასვე გამოხატავს მიმართულებითიც: ნ ტ კ ო ბ ა შ ა ს ი ჯ ა ქ ო ნ ა ყ ო ნ უ: კარტ. მას., 162,18 — სიძე უჩუმ-რად გაჰყვა; მ ა ნ ი შ ა ტ ე ფ ს ის გ ა ა კ ნ უ: ქან., I,7,8 — სწრაფად დაავლო ხელი ტაფას.

§ 87. ნათესაობითი ბრუნვა ვითარების გარემოებად. ნათე-საობითში დასმული სახელი ვითარების გარემოებად ქართულში გვხვდება -ებრ (//მებრ), -თვის და -ვით თანდებულების დართვით. -ებრ (//მებრ) თანდებული ერთვის ნათესაობით ბრუნვაში დას-მულ სახელს და ასეთი სახელი ჩვეულებრივ გამოიყენება ვითარე-ბის გარემოებად. -ვით თანდებული, როგორც წესი, მოითხოვს მი-ცემითსა და სახელობით ბრუნვებს, მაგრამ იშვიათად ერთვის ნა-თესაობითსაც (კაც-ი-ვით, კაც-სა-ვით, კაც-ისა-ვით). ყველა შემთხ-ვევაში მნიშვნელობა ერთი აქვს: აღნიშნავს ვითარების გარემოებას -ებრ თანდებულიანი სახელის დარად. -თვის თანდებულიანი სახე-ლი კი მაშინაა ვითარების გარემოება, როცა იგი ნაცვალსახელია (მაგ. თ ა ვ ი ს თ ვ ი ს).

-ებრ (//-მებრ) თ ა ნ დ ე ბ უ ლ ი ა ნ ი: მწყემსი თ ხ ი ს ე ბ რ წვერს ისრესდა ფრჩხილებით: კ. გამს., II,187,12: ზოგჯერ ცრემ-

<sup>113</sup> Г. Н. К а ч а р а в а, Наречие в сванском языке. Авторсферат на соискание уч. степени кандидата филол. н., Тб., 1955, с. 7.

ლი მდულარე წვიმისაებრ ნაყოფის გამომცემელია: ილია, I,469,1...

-ვით თანდებულიანი: შენ კი ხევის-ბერისავით ლოცვა-კურთხევას მეუბნები: ილია, I,391,7; ბიჭიკო ტიტველ ფეხებს პაწია მუთაქებისავით აქანავებს: მ. ჭავჭავაძე, I,147,მ; გაბრიელას გოგოს ... ლოყები სულ თურაშაულ ვაშლისავით უღაუღაუებს: ს. მგალა, 421,25...

-თვის თანდებულიანი: თავეები ცხოვრობდნენ თავისთვის კერქვეშ: აკაკი, IV,318,21; მეგრული: ართი ოსური-ცხოვრენდუ მუში დუდიშო: ხუბ., 1,2 — ერთი ქალი ცხოვრობდა თავისთვის.

მეგრულში ვითარების გარემოებად -**ორო** თანდებულიანი ნათესაობითი გვაქვს.

-**ორო** თანდებულს ერწყმის ნათესაობითი ბრუნვის ნიშანი და -**შორო**'ს სახით გვხვდება. სპეციალურ ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ „**შორო**-ში თავკიდური შ ნათესაობითის ნიშანია, თანდებულია -**ორო**, რომელიც მიღებული ჩანს **ობრო**'საგან. -**ობრ** მეგრული ვარიანტია ქართულის -**ებრ** თანდებულისა. ბოლოკიდური -**ო** კი ვითარებითი ბრუნვის ნიშანია“<sup>214</sup>.

ამეჟამად -**ორო** თანდებულიან სახელს ქართ. -ვით თანდებულიანი სახელის გაგება აქვს: მოთინ კესერი რაშიშორო: მას., 69,34 — შემართა კისერი რაშივით; სახეჲ გინართ დაჩხგრშორო: მას., 68,21 — სახე გაუხდა ცეცხლივით.

§ 88. მოქმედებითი ბრუნვა ვითარების გარემოებად. ვითარების გარემოების აღსანიშნავად მოქმედებით ბრუნვაში დაისმის მასდარი, ზოგი არსებითი სახელი და, აგრეთვე „ობა'ზე“ გათავებული სახელები ზომა-წონის აღსანიშნავად...: მეტრობით, კილოობით, გირვანქობით“<sup>215</sup>: ვეშაპიც გაკვირვებითო ყურს უგდებდა: ვაჟა, VI,62,15; ამოთხვრით წარმოთქვა ნადირამ: ვაჟა, V,9,25; ვანო გულით სწუხდა: ი. გოგებ., VI,508,15; თამარი ჩქარი ნაბიჯით მიდიოდა. კ. გამს., I,138,4; თვითეულ მწყერის მოკვლა ჩანახობით ამცირებს მოსაკალსა: ი. გოგებ., VI,284,14; ლაზარე სანოვაგეს ურმობით ჰყიდის: მ. ჭავჭავაძე, I,164,2...

<sup>214</sup> გ. კარტოზია, ორი თანდებულის გენეზისისათვის მეგრულში (ხელმძღ. პროფ. არნ. ჩიქობავა). თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა XVII სამეცნიერო კონფერენციის თეზისები, თბ., 1955, გვ. 140—141.

<sup>215</sup> ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკა, II, სინტაქსი, 1948, გვ. 74.

მეგრულშიც ხშირად გამოიყენება მოქმედებით ბრუნვაში დას-  
მული სახელი: პაპაქ რ უ ლ ა ი ა თ ქემორთუ ცუღეშა: ყიფშ.,  
8,25 — მღვდელი სირბილით მოვიდა სახლში; მეულუ ჩ ა კ ა ლ -  
ჩ ა კ ა ლ ი თ: მას., 64,27 — მიაქვს ბარბაციით...

უფრო გამოკვეთილია მოქმედებითი ბრუნვა ქანურში: ქუმენ  
ქუმანიში დაპა კაი ი შ თ ი ა თ ე ნ გაქკუმენ: ქან., I, 65,3 — სვალ  
დილას კიდეც უფრო მაღიანად შექამ: პეკო ჩილ-ქომოჟი დილო  
ორას კაინობათე სქიდეს: ქან., II, 19,31 — იმ ცოლ-ქმარმა  
დიდხანს კეთილად იცხოვრეს...

მოქმედებითი გვაქვს სვანურშიც: ნ ა უ ნ ხ ო ლ ო შ ი შ ი რ -  
ყვამს ხორდას: სვ. პ., 6,24 — სინებივრით კოშკში ჰყავდი; ნ ა ფ -  
შ ი რ ო შ ლ ო გ ო მერდი სგეარ: ბარდ., 166,12 — სიმრავლით  
მოგვეცი მოზარდი ვაჟიშვილი...

§ 89. ვითარების გარემოება წინადადების სხვადასხვა წევრთან.  
ვითარების გარემოებაც მიერთვის ზმნა-შემასმენელს, ნახმნარ სა-  
ხელებს (მასდარსა და მიმღეობას), ზოგ ზედსართავ სახელს და ამ  
უკანასკნელის დაკარგვის შემთხვევაში თვით არსებით სახელსაც.  
ის სიტყვა, რომელსაც ვითარების გარემოება მიერთვის, შეიძლება  
წინადადებაში იყოს შემასმენლად, განსაზღვრებად, დამატებად,  
ქვემდებარედ...

მაგალითები:

1. ვ ი თ ა რ ე ბ ი ს გ ა რ ე მ ო ე ბ ა უ კ ა ვ შ ი რ დ ე ბ ა  
ზ მ ნ ა ს: ზ ა ფ რ ი ა ნ ა დ წ ა რ მ ო ს თ ქ ე ა ე ს კ ნ ე ი ნ ა მ ა: ილია,  
I, 349,40; ცამ საშინლად დაიქეჟა: ვაჟა, VI, 79,18; წი თ -  
ლ ა რ დ ა დ ა უ ა რ ა მ ზ ე მ ჩ ე ე ნ ს ს ო ფ ე ლ ს: გ. ლეონ., 97,18...

2. ვ ი თ ა რ ე ბ ი ს გ ა რ ე მ ო ე ბ ა უ კ ა ვ შ ი რ დ ე ბ ა  
მ ა ს დ ა რ ს: ე რ თ - ო რ თ ე ვ ს ... კ ა რ გ ა დ ჰ მ ე ვ ა ს უ პ ი რ ო ბ ე ნ  
ბ ა ლ ლ ე ბ ი მ ა მ ა ლ ს: ვაჟა, V, 150,38...

3. ვ ი თ ა რ ე ბ ი ს გ ა რ ე მ ო ე ბ ა უ კ ა ვ შ ი რ დ ე ბ ა  
მ ი მ ღ ე ო ბ ა ს: გ ა მ ო ჩ ნ დ ა მ წ კ რ ი ე ა დ მ ო მ დ ი ნ ა რ ი ხ ა ლ -  
ხ ი: ვაჟა, V, 7,2; ფ რ ი ა დ შ ე წ უ ხ ე ბ უ ლ ი ს ა რ დ ი ო ნ ი თ ა ე ვ ს ბ ი -  
ქ ე ბ ი თ გ ა ბ რ ა ზ ე ბ უ ლ ი დ ა დ ი ო ლ ა ე ზ ო შ ი: ვაჟა, VI, 38,21; თ ე თ რ ა დ  
შ ე ს უ დ რ უ ლ ი ვ ა შ ლ ი ს ხ ე ი დ გ ა თ ა მ ა რ ს ო ფ ა ნ ჯ რ ი ს პ ი რ დ ა პ ი რ:  
კ. გამს., I, 112,3...

4. ვ ი თ ა რ ე ბ ი ს გ ა რ ე მ ო ე ბ ა უ კ ა ვ შ ი რ დ ე ბ ა  
ზ ე დ ს ა რ თ ა ე ს ა ხ ე ლ ს: ჩ ე მ ი დ ე ნ შ ი კ ი ფ რ ი ა დ დ ი დ ი  
ქ უ რ დ ი ი ე ო: ილია, I, 254,23; მეოთხე კლასი მეტად ძნელი  
კლასი იყო: აკაკი, IV, 50,14; ცა იყო იის თვალივით ლურ-

ჯი: ხ. ბერ., 73,5; ქურციკებით ლამაზმა გოგონამ ზედ ცხვირწინ გადაუბრინა არაბიას: ქ. გამს., I,126,10...

5. ვითარების გარემოება უკავშირდება ზმნისართს: ვენახს ქვრივი ძალიან კარგად უვლიდა: ილია, I,428,34; შენი გეგმა ძალიან კარგად არის შედგენილი: მ. ჭავჭავაძე, I,136,15...

6. ვითარების გარემოება შეიძლება დაუკავშირდეს არსებით სახელსაც. ეს გვაქვს მაშინ, როდესაც ვითარების გარემოება გამოხატულია ძალიან სიტყვით: ჩემი მოხელე ძალიან კაცი გამოდგა: ილია, I,258,4; ისიც ძალიან ვაჟკაცი იყო: ილია, I,318,12; იმ დალოცვილმა ძალიან ბარაქა გამოიღო: ვაჟა, VII,310,20; ერთი მკერვალი იყო ძალიან ქურდი: ი. გოგბე, V, 222,18...

ძალიან ამ შემთხვევაში თითქოს ზედსართავი სახელის გაგებითაა ძალიან = კარგი. შეიძლება ამისი საფუძველი ის იყოს, რომ არსებითი სახელის მსაზღვრელი ზედსართავი სახელი დაკარგულია: ძალიან კაცი = ძალიან კარგი კაცი. მსაზღვრელის დაკარგვაზე მიუთითებს ასეთი სინტაგმაც: ძალიან ქურდი = ძალიან დიდი ქურდი.

#### 4. ზომისა და ოდენობის გარემოება

§ 80. ზომისა და ოდენობის გარემოების რაობა და გამოხატვის საშუალებანი. ზომისა და ოდენობის გარემოება გამოხატავს, თუ რა ზომით, რამდენჯერ ან მერამდენედ ხდება მოქმედება. იგი ვადმოიცემა ზმნისართებით ან მათთან გათანაბრებული რიცხვითი სახელებითა და ოდენობის გამომხატველი სიტყვებით და უბასუხებს კითხვებზე: რა ზომით? რა ოდენობით? რამდენად? რამდენჯერ?

ზომისა და ოდენობის ზმნისართებია და ამდენად გარემოება წინადადებაში: ამდენად, მაგდენად, იმდენად, ეგზომ, ერთხელ (როცა უდრის — ერთგზის, ერთჯერ), ცოტად, სავსებით...<sup>216</sup> შდრ. ქართ.: ასჯერ გაზომე და ერთხელ გასჭერიო (ანდ.), ზან.: ართშახ მორთუ — ერთხელ მოვიდა; გენო არფაა მოხთუ ... ამავე მნიშვნელობითაა ქართულში ერთი (როცა უდრის ერთხელს): ფერშალმა ერთი ქე ჩამოიარა შარშან: ნ. ლორთქი, II,188,14.

<sup>216</sup> ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძველები, გვ. 595.



ზომისა და ოდენობის აღმნიშვნელ რიცხვით სახელებს ერთვის -ჭ ე რ, -გ ზ ი ს, -ნ ა წ ი ლ ა დ, -კ ე ც ა დ, -მ ა გ ა დ..., ან დაისმის ვითარებით ბრუნვაში (ორად, სამად, ხუთად, მეორედ, მესამედ...):

-ჭერ: მარაბდელმა სამჭერ შემოუარა წრეს: მ. ჯავახ., IV,22,16; იმ ლორებს ბევრჭერ წაუთავაზებიათ დინგი: ილია, I,325,25; მაიორი მეხუთეჭერ იცელის ალავს: მ. ჯავახ., IV,279,14...

-გზის: სამგზის ეახლა იგი მელქისედეს: კ. გამს., II,585,28; მრავალგზის ვხლებივარ ბაგრატ კურაპალატს: კ. გამს., II,485,22.

ნაწილად / წილად: ვლესთა ტალა მარაბდაში ორნაწილად გაიყო: მ. ჯავახ., IV,503; ოთარაანთ ქერივი... ფულს ხუთნაწილად ჰყოფდა: ილია, I,428,41; შდრ. ჰანური: მეივე ოთხოფარჩა ოყოვეს — ხილი ოთხნაწილად გაყვეს.

-კეცად: დარბაისელის კაცის შეხედულება ჰქონდა... სამკეცად ჩამოსული ტრფიალების აღმგზნები ფაფუკი ლაბაბი: ილია, I,327,3...

-მაგად: იმის არშინ-ჩანახს სამმაგად ჰყიდლენ: მ. ჯავახ., IV,222,1.

ვითარებით ბრუნვაში დაისმის რიცხვითი სახელები: გამოცდილმა მამაიმ ორად გაჰყო თავისი ჯარი: აკაი, I,287,7; ეს ორი წელი ოცად გადაიქცა: კ. ლორთქ., 48,33; ლეთისავარის ცალი თვალი ერთი-ორად გადიდდა: მ. ჯავახ., IV,112,5.. და ასე: პირველად ვხედავ: გ. შატბ., II,302,21; ოქროპირმა მესამედ დაარისხა: კ. გამს., II,18,10.

ზომისა და ოდენობის გარემოების აღსანიშნავად გამოიყენება -მდე თანდებულიანი რიცხვითი სახელიც: სამამდე ვითყლი: ნ. დუმბ., 327,23; საულიამ... სამოცამდე შეუცდომლად გადათვალა: დ. შენგ., II,371,7.

მოქმედების საწყის-დასასრული გამოხატულია -გან თანდებულიანი მოქმედებითითა და -მდე თანდებულიანი ვითარებითით: ხუთიდან ექვსამდე ის ტირი კვაქმა დამბაჩით ლამბტერია: მ. ჯავახ., III,238,5.

ამავე მნიშვნელობით გამოიყენება ზოგი აბსტრაქტული სახელი -ზე თანდებულით: წერილს ერთ გზობაზე რვა დღე უნდება: ილია, I,326,40.

ზომისა და ოდენობის გარემოებაა წინადადებაში ღირებულების აღმნიშვნელი სიტყვებიც. ასეთი სიტყვა დაისმის ვითარებით ბრუნვაში. მას მსაზღვრელად შეიძლება ახლდეს რიცხვითი სახე-

ლი: ჩაფი ღვინო ა ბ ა ზ ა დ ყოფილა: ვაჟა, V, 271, 20; ზაალმა...  
შვიდ კაცად დამაფასა: მ. ჯავახ., IV, 94, 6...

მეგრულში შესაბამისი ფორმები გამოხატულია ვითარებითი ბრუნვით ან უთანდებულო და -ხ თანდებულიანი მიმართულებით: ე ი რ ო გორთუ — ორად გაყო; სუმ მ ა ნ ა თ ი შ ა ქიცი-  
ლუ — სამ მანეთად იყიდა...; კარს მარჯვენი განიშე ოკო მიკუ-  
ბახუე ს უ მ ი შ ა ხ: ხუბ., 32, 18 — კარს მარჯვენა მხრიდან უნდა  
მიუბრაზუნო სამჯერ; ქირიშ მინჯექ ქიმეცილუ ლევანს კირ:ი ჩხო-  
რო თ უ მ ა ნ ი შ ა: ხუბ., 7, 18 — ქორის პატრონმა პაპყიდა ლე-  
ვანს ქორი ცხრა თუმნად...

სვანურში ზომისა და ოდენობის გარემოების გამოახატავად ზმნისართები და მასთან გათანაბრებული სახელებია ისეთივე მნიშ-  
ვნელობით, როგორც ვაჟქვს ქართულში: ფარნაოზდ ო შ თ ხ ვ დ  
აყვილ სიმიდ — ფარნაოზმა ოთხად გაყო სიმიდნი; ოქროპირდ  
მერმამდ ლაჰტულე — ოქროპირმა მეორედ წამოიძახა; მე ს მ მ მ დ  
ერ ლახტახ მიჩა ჯარშე: სვ. პ., 116, 8 — მესამედ რომ მომიბრუნდა  
თავისი ჯარით...

და ასე: ა ლ ა მ ჳ გ დ ა ღ ჰ ო ღ ო ჳ ო რ — ამდენად ვაიყიდა სახ-  
ლი; ე ჯ ა მ ჳ გ დ ი ღ გ ვ ე ნ ი ფ ი რ ვ — იმდენად ფასობს ძროხა; ს ე -  
მ ი ნ ა ზ ი მ დ ა ნ ლ ა გ ვ ე ნ ხ ქ ა თ ა ლ — სამმაგად დააფასეს ქათამი;  
ჩ ჳ ე ს ე მ ე შ დ მ ა ნ ა თ დ ა ღ ჰ ი ღ ო ჳ ო რ — ცხენი ოცდაათ მანეთად  
გაიყიდა.

## 5. მიზეზის გარემოება

§ 91. მიზეზის გარემოების რაობა და გამოხატვის საშუალებ-  
ბანი. მიზეზის გარემოება გამოხატავს მოქმედების გამოძწვევ მი-  
ზეზს და გადმოიცემა შესაფერისი ზმნისართებითა და უთანდებუ-  
ლო თუ თანდებულიანი სახელებით (და მასდარით).

ქართულში უთანდებულო სახელი (ან მასდარი) დაისმის მოქ-  
მედებით ბრუნვაში, თანდებულიანი — ნათესაობითში.

### 1. ზ მ ნ ი ს ა რ თ ი მ ი ზ ე ზ ი ს გ ა რ ე მ ო ე ბ ა დ

§ 92. მიზეზის გარემოების გამოხატვა ზმნისართებით. მიზე-  
ზის გარემოებას ქართულში გამოხატავენ მიზეზის ზმნისართები:  
ა მ ი ტ ო მ, ი მ ი ტ ო მ<sup>217</sup>, მ ა გ ი ტ ო მ, რ ა ტ ო მ ღ ა ც: ა მ ი ტ ო მ

<sup>217</sup> ა მ ი ტ ო მ ← ამით რომ; ი მ ი ტ ო მ ← იმით რომ. გ. რ ო გ ა ვ ა, პაპო-  
ტაქსის საკითხისათვის ქართულში. ა. წულუკიძის სახელობის ქუთაისის სახელმ-  
წიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, VIII, 1948, გვ. 372.

ალერსიანად გამომელაპარაკა: გ. შატ., II, 110, 14; ასე იმიტომ უწოდა: ს. კლდ., 7, 3; წერეთელმა მკვადი მიტომ მოიტანა: აკაკი, IV, 50, 3; ავალიანი რატომღაც აფორიაქებული იყო: ს. კლდ., 46, 18...

ამავე მნიშვნელობითაა ნაცვალსახელებიდან წარმომდგარი ზმნისართები: ამისათვის, იმისათვის, მაგისათვის... ეს ნაცვალსახელები წინადადებაში პირდაპირი გაგებით პირმიუმართავ დამატებას გამოხატავენ, ზმნისართის გაგებით კი — მიზეზისა და მიზნის გარემოებებს. მიზეზის გარემოების გაგებითაა (=ამის გამო) ასეთ წინადადებებში: ამისთვის ამან მიაქცია ყურადღება უფრო სამხედრო ძალას: აკაკი, IV, 446, 14; მაგისათვის კაციშვილი არ დაგიჟერს: ნ. ღუმბ., 42, 36...

ზანურში მიზეზის გარემოებას გამოხატავს ზმნისართები: თეშენი (ამიტომ, ამისათვის), თიშენი (იმიტომ, იმისათვის)... ათეშენი მოფრთი — ამიტომ მოვედი; თიშენი ქუფშენქ — იმიტომ ვმუშაობ: ეშენი კოჩი ვარლახუნს — ამის გამო კაცი არ გაგლახავს...

ქართულისა და ზანურის მსგავსად სვანურშიც მიზეზის გარემოება გადმოიცემა მიზეზის ზმნისართებითა და უთანდებულო თუ ათანდებულებიანი სახელებით.

მიზეზის ზმნისართებია: ამლა (ამიტომ), ეჭლა (იმიტომ), ამნარ (ამისათვის, ამის გამო): ბეფშე ამლა ანჯად — ბავშვი ამიტომ მოვიდა: ბეფშე ეჭლა ანჯად — ბავშვი იმიტომ მოვიდა, ამლა ძღღ საყვირ ხჭქეხ კესოს — ამის გამო (ამისათვის) დიდი საყვირული უთხრეს კესოს: ამნარ ამჩუ ტევა ხოფსახ: სვ. პ., 50, 34 — ამის გამო აქ ჩხუბი მოსვლიათ; ამნოვეშ მოლალანტ ქავ ხაჩედა: სვ. პ., 72, 22 — ამის გამო მოლალატე გაქქევიდა.

ამავე მნიშვნელობით გამოყენებულია უი თანდებულებიანი სიტყვა: ეჩბედეი ჩოდგარდ ეშხვი მაჩნე ვარგ: სვ. პ., 367, 6 — ამის გამო მოვკალით ერთი საუკეთესო აზნაური, შდრ. ისგვედ ბედეი ლეთ ილადელ ქემრალს აპრეხ კოჯან დალარ — თქვენი ბედის გამო დღედაღამ ცრემლებს აფრქვევენ კლდის დალები<sup>218</sup>.

## 2. სახელი (/მასდარი) მიზეზის გარემოებად

§ 98. ნათესაობითი ბრუნვა მიზეზის გარემოებად. მიზეზის გარემოების გამომხატველი ნათესაობით ბრუნვაში დასმული სახელი გამო, -გან ან -თვის თანდებულებიანია: -გან და -თვის თანდებულებიანი სახელებით გადმოიცემა პირმიუმართავი დამატებაც, მიზე-

<sup>218</sup> ნ. აბესაძე. თანდებულები სვანურში, გვ. 285.

ზის გარემოებაც, მიზნის გარემოებაც. მათი დანიშნულება ირკვევა შემასმენელთან მიმართებით.

გამო თანდებულიანი ნათესაობითი, უპირველეს კოვლისა, მიზეზის გარემოების აღმნიშვნელია: სუტკენინამ თავის ან გარეშე ბის გამო საქმე ცოტად გააგრძელა: ილია, 1,353,20; სიმ-ხ და ლის გამო კურდღელი დღისით სულ თავის ბუნაგში იწვა: ი. გოგებ., V,517,20...

გამო თანდებულიანი მიზეზის გარემოება მეგრულში გადმოიციემა დაშორებითი ბრუნვით, დაშორებით ბრუნვაში დასპული-ნი თანდებულიანი სახელით, გეშახ თანდებულიანი სახელით, ქართულიდან შესული გამო თანდებულით: დიდას ელამუ სქუაში თეჯგურაში რაგადიშე: ყიფშ., 56,10 — დედა შეცბუნდა შვილის ასეთი ლაპარაკის გამო; კოჩი ონჯლორეშენი ვანოლურე: ხუბ., 180,12 — კაცი სირცხვილის გამო არ მოკვდება თურმე; ლახალაშ გეშახს ქუდობსქიდი — ავადმყოფობის გამო დავრჩი; ათეში გამო ათე ჯვეში მინისტერქ ქიმერთგ ხენწიფეშა: ხუბ., 291,14 — ამის გამო ეს ძველი მინისტრი მივიდა ხელმწიფესთან.

სვანურში ქართულის გამო თანდებულიანი სახელის მნიშვნელობით იხმარება ბანდშე ზმნისართიანი სახელი: შგვირი ბანდშე ქწმთე დეშ ანჯანდ კესო — სირცხვილის გამო კესო გარეთ არ გამოვიდა: ლეგლირდნ ბანდშე ლამდაბთე დეშ აჩანდ თეონა — ავადმყოფობის გამო სამუშაოდ ვერ წავიდა თეონა.

გამო თანდებულიანი სახელი მიზეზით სიტყვის მნიშვნელობით იხმარება ქართულში. ასეა სვანურშიც: ჭყინტი ბანდშე ზურანლ მესტიათე აჩანდ — ვაჟის მიზეზით ქალი მესტიაში წავიდა...

-გან თანდებულიანი სახელის ერთ-ერთი ფუნქციაა მიზეზის გარემოების გამონატვა, როცა მოქმედების მიზეზია გადმოცემული: ადვილად ხერხდება მათი შეცვლა გამო თანდებულიანი ნათესაობითით ან უთანდებულო მოქმედებითით: დედაჩიტს პატარა ტანი უთრთოდა შიშისაგან: ი. გოგებ., V,462,27 (მღრ. უთრთოდა შიშის გამო // უთრთოდა შიშით); შიშისაგან ხმა ვერ ამოვიღე: კ. ლორთქ., 33,8 (= შიშის გამო ხმა ვერ ამოვიღე // შიშით ხმა ვერ ამოვიღე) და ასე: გვადიმ გაცებისაგან მკლავები ფართოდ გაშალა: ლ. ქიაჩ., III,174,29, ზურას სირცხვილისაგან ხმას ვეღარ იღებდა: მ. ჯავახ., IV, 167,32...

მეგრულში ქართულის -გან თანდებულიანი მიზეზის გარემოების გადმოსაცემად იხმარება დაშორებითი ბრუნვა: შიშისშე

გურქ გუხორკტუ — შიშისაგან გული გაუსკდა; ჩხუ რ უ შ ე ცან-  
ცალანს — სიცივისაგან ცახცახებს.

ამავე მნიშვნელობით უთანდებულო მიცემითიც იმარება: პაპა  
'ხ ი ო ლ ს ქ ო ლ უ რ გ: ხუბ:, 284,4 — მღვდელი სიზარულისაგან  
კვდება...

სვანურში ამ შემთხვევაში მოქმედებითია: აბრაცს ხ გ რ შ ე პ ა ბ  
ოთჩანდ — ყაჩაღი სიბრაზისაგან გაფითრდა; ზურაბ შ გ ვ ი რ შ ე  
ქვინს დეშ იკალდა — ზურაბი სირცხვილისაგან ხმას ვერ იღებდა...  
ან ხან თანდებულისანი სახელია: თემურაზ შ მ ა ყ ა ლ ე ხ ა ნ აჭკგ-  
ნა — თემურაზი შიშისაგან კანკალებდა.

-თვის თანდებულის ნათესაობითს ძველ ქართულში ენაცვლე-  
ბოდა უთანდებულო ვითარებითიც. ახალ ქართულში -თვის მიზე-  
ზის გარემოების აღნიშვნისას ეტოლება -გან თანდებულის ნათე-  
საობითს: აბალგაზრდა უადგილო მ ხ ი ა რ უ ლ ე ბ ი ს ა თ ვ ი ს  
გაქაჩეს: აკაკი, IV,26,6; ეს მოხდა შენი მეზობლის შ ე შ ი ნ ე ბ ი -  
ს ა თ ვ ი ს: დ. კლდ., I,365,12; ს ი ლ ა მ ა ზ ი ს ა თ ვ ი ს ფუფა-  
ლა უწოდეს: გ. ლონ., 31,15; მადლობა მიიწვ გადაგიხადო ან ჩე-  
მოდნების თ რ ე ვ ი ს ა თ ვ ი ს: რ. გვეტ., 131,11.

-თვის თანდებულის მნიშვნელობით იხმარება გ უ ლ ი ს ა -  
თ ვ ი ს მიზეზის გარემოების გადმოსაცემად: ასი მანეთის გ უ ლ ი -  
ს ა თ ვ ი ს რავა დაკარგავს ყმაწვილი კაცი იმისთანა საცოლეს:  
დ. კლდ., I,72,4, შდრ. ასი მ ა ნ ე თ ი ს ა თ ვ ი ს შვილს კაცი რავა  
დაუკარგავს ბედს?! დ. კლდ. I,60,7 და ასე: ჩემი გ უ ლ ი ს ა თ ვ ი ს  
იმ კაცს ნუ მოინდურებ: დ. კლდ., I,137,16; თქვენი გ უ ლ ი ს ა -  
თ ვ ი ს ხომ ვერ დავარღვევთ ყოველ კანონსა: ნ. ლორთქ., II,  
227,32...

ანალოგიური ვითარებაა მეგრულშიც: წყევინდგ მუში ოსურც  
გატყუროიქ თე ვალში გ უ რ ი შ ე ნ ი: ხუბ., 193,15 — წაგვიდა  
თავის ცოლს მატყუარა ამ ვალის გულისათვის; ე შ გ უ რ ი შ ე ნ ი  
ხვალე ვემმაჩე ჩქიმი ოსურსქუავა: ხუბ., 55,15 — ამის გულისა-  
თვის მარტო ვერ მოგცემ ჩემს ქალიშვილსო.

ასევე ქანურშიც: ოკვაკიდეს თილქიში კუდელიში გ უ რ ი -  
ნ ე: ჰან., II,22,4 — წაიკიდნენ მელიის კუდის გულაისათვის — და  
ასე: მუსტაფა ა მ მ უ შ ე ნ ი მოხთუ — მუსტაფა ამიტომ მოვიდა;  
მუსტაფა ე მ მ უ შ ე ნ ი მოხთუ — მუსტაფა იმიტომ მოვიდა...

მეგრულისაგან განსხვავებით აქაც თანდებულო ზმნის პირიან  
ფორმას დაერთვის: ხასანის დიდო-ნა ა შ ქ უ რ ი ნ უ შ ე ნ ი... —  
ხასანს რომ ძალიან შეეშინდასთვის... „რადგანაც ხასანს ძალიან  
შეეშინდა“<sup>219</sup>.

<sup>219</sup> ს. ქ ი ქ ი ო, თურქულ-ლაზური ურთიერთობიდან, გვ. 373.

-თვის თანდებულებიანი სახელის მნიშვნელობით იხმარება სვანურში -ლა თანდებულებიანი სახელი<sup>220</sup>: ლახადალ ხოჩა ხოჩემინა. ყიფიანაში და გ რ ა ლ ა: სვ. პ., 74,12 — ზეიმი კარგი გადაუხდია. ყიფიანის მოკვლისათვის; მეზებელი ლ ი ყ ა ლ ვ ე ლ ა საყვირ. ხაჭკვებ მურხას — მეზობლის შეშინებისათვის საყვედური უთხრეს. მურხას.

მიზეზის გარემოების გამოსახატავად ნათესაობითის ფორმასვე: ერთვის მიზეზით, მეოხებით, წყალობით, გამოისობით.

მიზეზით: ვაჟის მიზეზით ასე მუხანათურად სიცოცხლეს გამოასალმეს ოჯახში შეფარებული ადამიანი: ს. კლდ., 154,28...

მეოხებით: მარჯანიშვილის მეოხებით რუსთაველის თეატრმა დაიჭირა წამყვანი ადგილი: შ. დად., V, 184,20; ბესოს მეოხებით... ყველგან კვაპის გაბერვას მოუხშირეს: მ. ჯავახ., III,141,10...

წყალობით: ამ მოთხრობას ბედი ეწია ჩემი ძვირფასი მეგობრის ექიმ კონდრატი მხეიძის წყალობით: დ. კლდ., II, 354,23; მეტად აგვაფორიაქა მნათე ლუჩიას წყალობით მოლწეულმა ცნობამ: კ. გამს., II,119,18.

გამოისობით: რარიგად გაუწვალდა, გაუუგემურდა მოხუცებულობა ამ გლახა, გომბიოს გამოისობით: დ. კლდ., I,22,19; სამწუხარო რამეს ჰფიქრობდეს კაცი ვარდ-პულბულის გამოისობით? აკაკი, IV,211,40.

§ 94. მოქმედებითი ბრუნვა მიზეზის გარემოებად. მიზეზის გარემოება გადმოიცემა უთანდებულო მოქმედებითითაც. მას გამო თანდებულებიანი ნათესაობითის მნიშვნელობა აქვს: დაჭერებული თეიმურაზი შიშით კანკალებდა: მ. ჯავახ., II,244,24 (=თეიმურაზი შიშის გამო კანკალებდა) და ასე: ს ი რ ც ხ ვ ი ლ ი თ შინ როგორღა მივიდე: ილია, I,409,7; ს ი ხ ა რ უ ლ ი თ ფეხზედ ვეღარ დგება: ილია, I,374,30; მტრედს მისი ს ი მ შ ვ ი დ ი თ ნის-კარტი მოსჭრეს (ანდ.).

ზანურშიც მიზეზის გარემოებას გამოხატავს მოქმედებით ბრუნვაში დასმული სახელი: შ ი შ ი თ ხონარქ მეუღინუ — შიშით ხმა დაეკარგა; ო ნ ჯ ლ ო რ ე თ გაღე ვაგმართე — სირცხვილით გარეთვერ გამოვა.

სვანურშიც მოქმედებითი ბრუნვაა: ფანთვარ მ ა ყ ა ლ შ ვ. დეცს ლახშკაღანხ: სვ. პ., 234,33 — თმები შიშით ცას მიეკრნენ:

<sup>220</sup> ნ. ა ბ ე ს ა ძ ე, თანდებული სვანურში, გვ. 289.

თემურაზს. მაყალზე აჭგენა — თეიმურაზი შიშით კანკალებდა... მაგრამ ხან თანდებულია, როცა შიშისაგან გვაქვს: თემურაზს მაყალზე ხან აჭგენა — თეიმურაზი შიშისაგან კანკალებდა, შდრ. თემურაზს მაყალზე ბადზე აჭგენა — თეიმურაზი შიშის გამო კანკალებდა.

§ 95. მიზეზის გარემოება ნაზმნარ სახელებთან. მიზეზის გარემოება, როგორც წესი, შემასმენელს უკავშირდება, მაგრამ შეიძლება დაუკავშირდეს მასდართ ან მიმღებობით გამოხატულ წევრსაც: ყვირილისაგან ხმაჩახრინწებული ფეფენა ისევე შევლას ითხოვდა: დ. კლდ., I,46,24; მათრახის დარტყმით შეხურებული ცხენები წინ გაემართნენ: ს. კლდ., 213,21... ასევეა სხვა ქართველურ ენებშიც.

#### • მ. მიზნის გარემოება

§ 96. მიზნის გარემოების რაობა და გამოხატვის საშუალებანი. მიზნის გარემოება არის წინადადების მეორეხარისხოვანი წევრი, რომელიც აღნიშნავს მოქმედების მიზანს. მიზნის გარემოება გადმოიცემა ზმნისართით, სახელით და ნაზმნარი სახელებით. სახელი და ნაზმნარი სახელი შეიძლება იყოს ვითარებითში ან თანდებულთან ნათესაობითში.

#### 1. ზმნისართი მიზნის გარემოებად

§ 97. მიზნის გარემოების გამოხატვა ზმნისართებით. მიზნის გარემოების გამოსახატავად გამოიყენება მიზნის ზმნისართი. ასეთებია: ამისათვის, იმისათვის, მაგისათვის, ამაღ, იმაღ...<sup>221</sup>: ამისთვის მან აიღო წმინდა ქვიშა: ი. გოგებ., V,468,5; მეც მაგისთვის გეახელი, ბატონო! მ. ჭავჭავაძე, IV, 294,15; მეც მისთვის გამოვზარდე ისინი: აკაკი, VII,452,8; მეც ამაღ ვებმი უღელში: ა. ყაზბ., III,12,17; მტერსა ჰგონია დაგვჩაგრამს და იმაღ მოიღბინაო: ა. ყაზბ., III,34,25...

ზანურში მიზნის გარემოების გამოსახატავად გამოიყენება ზმნისართები: ათეშენი, თეშენი (ამისათვის), ეთაშენი, თიშენი (იმისათვის), ეშო(თ) // თეშო(თ), ათეშო(თ) (ამისათვის)...: ათეშენი ვაკეთენქ — ამისათვის ვაკეთებ; თეშენ შოფრთი — ამისათვის მოვედი, ამ მიზნით მოვედი...; აშუშენი შოგიყონი ჩქიმი ოხორიშა — ამისათვის მოგიყვანე ჩემს სახლში...

<sup>221</sup> ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, გვ. 596.

სვანურშიც მსგავსი ვითარებაა: ამა აჭმახა ჯ კლასთე — ამისთვის დაგიბარე სკოლაში...; ასევე გადმოსცემენ მიზანს ზმნი-სართები: ამნარ (ამისთვის, ამაღ), ეჯნარ (იმისათვის, იმაღ)...<sup>222</sup>

## 2. სახელი მიზნის გარემოებად

§ 98. მიზნის გარემოების გამოხატვა სახელზმნითა და სახე-ლით. გარემოების გამოსახატავად ჩვეულებრივ გვაქვს ვნებითი გვარის მიმღეობა ვითარებით ბრუნვაში: გიორგი ტყეში ყოფილიყო ჭიგოს საკრელად: ილია, 1,434,1; ქეთევანმა თან წარილო რვეულები გასასწორებლად; ე. ყიფ., 1,363,14; ფარეშები წასულიყვნენ შეშის მოსატანად: აკაკი, IV,23,3...

ამავე მნიშვნელობით გვხვდება მოქმედებითი გვარის მიმღეობაც: ფიფია ჩვენ საქმის მიმცემად გვყავდა გალის მხარეში: კ. გამს., II,81,5...

ვითარებით ბრუნვაში დაისმის მასდარიც მიზნის გარემოების გამოხატვისას<sup>223</sup>: თქვენი ლომები წავიდნენ ბრძოლად: ი. გრიშ., 18,3; წერად ვემზადები: დ. შენგ. ბ. ქ., 20,22; დარეჯანი სმენად მოემზადა: ა. ბელ., თავგადას. ბ. გაბ., 27,9...

ვითარებით ბრუნვაში დასმული მასდარი მიზნის გარემოების გამოსახატავად დამახასიათებელი იყო ძველი ქართულისათვის. იგი შეესაბამება თანამედროვე სალიტერატურო ქართულის მყოფადის მიმღეობას<sup>224</sup>.

ზანურში მასდარს აწარმოებს ო—უ თავსართ-ბოლოსართი. ესაა ზანურისათვის საკუთარი წარმოება, მაგრამ მეგრულში ჩვეულებრივ და ჰანურში იშვიათად გვხვდება ქართულიდან შეთვისებული წარმოებაც, შდრ. მეგრული: ჰარუ-ა (წერა), გურაფ-ა (სწავლა), წილუ-ა (კრეფა)...; ჰანური: თქუალ-ა (თქმა), თანაფ-ა (თენება)<sup>225</sup>. ეს უკანასკნელი მეორეულია. მიზნის გარემოების გამოსახატავად -ა'თი ნაწარმოები მასდარი არ გამოიყენება: მეგრულშიც და ჰანურშიც მხოლოდ ო—უ'თი ნაწარმოები მასდარი გვხვდება. იგი დაისმის მიმართულებით ბრუნვაში.

მაგალითები: მეწამალექ მიდართჯ მათაში სქუაში ოწამა-

<sup>222</sup> Г. Н. Качаравა, Наречие в сванском языке. Автореферат диссертации на соиск. уч. степени кандидата филол. наук. Тб., 1955, с. 10.

<sup>223</sup> დ. ჩხუბიანიშვილი, ინფინიტივის საკითხისათვის ძველ ქართულში, გვ. 116—123.

<sup>224</sup> ვ. იმნაიშვილი, მამათა ცხორებანი..., თბ., 1975, გვ. 406—407.

<sup>225</sup> არნ. ჩიქობავა, ჰანურის გრამატიკული, ანალიზი, გვ. 176—177.



ლ უ შ ა: ყიფშ., 11,21 — მეწამლე წავიდა მეფის შვილის სამკურნალოდ; სუმბოლოქ მინდომეს ო გ უ რ ა ფ უ შ ა უ ლა: ყიფშ., 7,14 — სამივემ მოინდომა სასწავლებლად წასვლა...

მაგრამ მასდარი იწარმოება მხოლოდ -უ სუფიქსითაც. აქაც იგი დაისმის მიმართულებით ბრუნვაში: ვაჭარს ოკო ულა შორი ქივანაშა საქონელიშ მ ა დ ა ლ უ შ ა: ხუბ., 74,1 — ვაჭარს უნდა წასვლა შორ ქვეყანაში საქონლის მოსატანად; მეთა დღას ქიმერთე კინი ბოშიქ ისტორიაშ ე ი ო ნ წ ყ უ მ უ შ ა: ხუბ., 83,1 — მეორე დღეს მივიდა ისევ ბიჭი თავგადასავლის ასახსნელად.

მეგრულში მიზნის გარემოების გადმოსაცემად გვაქვს ვითარებით ბრუნვაში დასმული მიმღეობაც: მოლართეს ცუდემ მ ა ლ უ ო: ხუბ., 149,23 — წამოვიდნენ შინ მოსასვლელად (//შინ მომსვლელად); გინილგ ბოშიქ როშაპიშ ცუდემ მ ა უ ლ ა რ ო: ხუბ., 59,27 — გავიდა ბიჭი როშაპის სახლში წასასვლელად (//წამსვლელად).

ქართველურ ენებში ვითარებითისა და მიცემითის (ზანურში კი მიმართულებითისა და მიცემითის) პარალელური ჩმარება და უკანასკნელის გამოყენება ვითარებითის ფუნქციით სპეციალურ ლიტერატურაში ამომწურავადაა გაშუქებული.

საერთო ქართველურის კვალია მეგრულში მიზნის გარემოებად მიცემითში დასმული მასდარის გამოყენება: კოჩქ ქედოხოლგ ოქკომალიშ ო ქ კ ო მ უ ს: ხუბ., 181,25 — კაცი დაჯდა საქმლის საქმელად; მა ამარი ლათაჩე კოჩი მითვორექე დიშქაში ო კ ვ ა თ უ ს: ყიფშ., 19,17 — მე აგერ შილიტად ჩაცმული კაცი ვდგავარ შეშის საჭრელად...

როგორც ვხედავთ, მეგრულში მიზნის გარემოება გამოხატულია მიმართულებითი ბრუნვითაც და მიცემითითაც. ჰირველი ჩვეულებრივ მაშინ გვაქვს, როცა ზმნით გადმოცემულია მოქმედების მიმართულება (ჩიმაქ ო ნ ა დ ი რ უ შ ა მიდართე — ძმა სანადიროდ წავიდა...) მეორე — როცა მიმართულება არ ჩანს.

მიზნის გარემოების აღმნიშვნელი მასდარი, იქნება ის გამოხატული მიმართულებითი თუ მიცემითი ბრუნვით, ეფარდება ქართულის ვითარებით ბრუნვაში დასმულ ვნებითი გვარის მყოფადის მიმღეობას.

ქანურშიც მიზნის გარემოებას მიმართულებით ბრუნვაში დასმული მასდარი გამოხატავს<sup>228</sup>: ბეეფე ო ნ ჩ უ უ შ ა იგზალეს: ქან., I,8,20 — ბავშვები საცურავად წავიდნენ; მენდახტუ ჭუმა ნანამუ-

<sup>228</sup> არნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, მასდარისა და მიმღეობის ისტორიული ურთიერთობისათვის ქართულში, გვ. 41.

შიმ ო გ ო უ შ ა: ხოფ., 151,9 — წავიდა ძმა დედამისის საძებ-  
ნელად...

ანალოგიური ფუნქციით არსებითი სახელის გამოყენება შე-  
დეგი უნდა იყოს მომდევნო მასდარის დაკარგვისა: ასე კიდათ  
ჩ ხ ო მ ი შ ა: ხოფ., 217,12 — ახლა წავიდეთ თევზზე (სათევ-  
ზაოდ).

ქართულის ვითარებითში დასმული მყოფადის მიმღობის  
ფარდია ჰანურში -ნი თანდებულიანი მასდარი, რომელიც მიზნის  
გარემოებას გამოხატავს: ბაგენიში **ა ე ხ თ ი მ უ შ ე ნ ი** ართელი  
ჯამი კვათა ქონოდუმელან: ჰან., I, 148, 21 — სასიმიინდუშ ასასვლე-  
ლად ერთ ხის კიბეს მიაყუდებენ: მა მოფთი ლაზური ო გ ო რ უ-  
შ ე ნ ი: ხოფ., 159, 35 — მე მოვედი ლაზურის შესასწავლად.

ანალოგიურ შემთხვევაში სვანურში გვაქვს -თე თანდებულია-  
ნი მყოფადის მიმღობა<sup>227</sup>: ეჯ სოფელხან ჩიგარ ეჩხუ ანღრდან  
ლეზებ **ლ ა ყ ი დ თ ე: ბზ., 29, 36** — იმ სოფლიდან ყოველთვის  
აქ მოდიოდნენ სარჩოს საყიდლად: **ქანად ზურალ ლ ა შ დ ა ფ თ ე:**  
**ბზ., 65, 4** — წავიდა ქალი სამუშაოდ; ომჩედს სემი მარე დწმედრემ  
ნაზერე **ლ ა ჰ ე მ ი ნ ა ლ თ ე: ბქვ., 17, 3** — წასულა სამი კაცი  
დათვების ნაკვალევის სადევნებლად...

-თე თანდებულიანი მიმღობა გვაქვს მაშინაც, როცა ქართულ-  
ში ვითარებითში დასმული მასდარი გადმოსცემს მიზნის გარე-  
მოებას: **ლ ა შ ი ა ლ თ ე** აჩადს ფრონტთე — ბრძოლად წავიდნენ  
ფრონტზე (//საბრძოლველად წავიდნენ ფრონტზე).

სხვა შემთხვევაში გვაქვს -ხო თანდებულიც: სასო-ა სები  
ლეთშე **ლ ა თ ხ ვ ა რ ხ ო** აქვასკხ: **ლენტ., 80, 14** — სასო და-  
სები ღამით სანადიროდ გაიპარნენ.

ცოცხალი მეტყველების კვალია ვაჟა-ფშაველასა და ალ. ყაზ-  
ბეგის ენაში ასეთი მოკვეცილი ფორმები: **ნ ა დ ი რ ო ბ ა** წამო-  
ვედით: ვაჟა, V, 164, 9 (აქ **ნ ა დ ი რ ო ბ ა** = ნადირობად, სანადი-  
როდ)<sup>228</sup>; მთაჩი წავალ **ნ ა დ ი რ ო ბ:** ა. ყაზბ., I, 284, 32 (=ნადი-  
რობად, სანადიროდ); მეც **ხ ი ლ ო ბ!** (=ხილისათვის) წავალ:  
ა. ყაზბ., I, 207, 23; ისინიც ტყეში წავიდნენ **შ ე შ ო ბ** (=შეშისა-  
თვის, შეშის მოსატანად): ა. ყაზბ., I, 312, 5.

<sup>227</sup> ნ. ა ბ ე ს ა ძ ე, თანდებული სვანურში, გვ. 389.

<sup>228</sup> ივ. ქ ა ვ თ ა რ ა ძ ე, მოხუერი ალ. ყაზბეგის ენაში. თბილისის სახელ-  
მწიფო უნივერსიტეტის შრომები, XXX, 1949, გვ. 97; *О. К а д ж а я, Мохе-  
вский диалект грузинского языка. Автореферат на соискание уч. степ. канди-  
дата филол. н., Тб., 1954, с. 17—18; ალ. კ ი ნ ქ ა რ ა უ ლ ი, ხევსურულის  
თავისებურებანი, გვ. 59; დ. ჩ ხ უ ბ ი ა ნ ი შ ე ი ლ ი, ინფინიტივის საკითხი-  
სათვის ძველ ქართულში, გვ. 120.*

მიზნის გარემოების გაგება აქვს ვითარებითის ასეთ ფორმებას: კოტეს საღილადა დაუძახა მოსამსახურემ: ი. გოგებ., V, 268, 14; ერთი კაცი მომგვარეს სტუმრად სახლში: აკაკი, IV, 343, 30...

ამავე მნიშვნელობით გამოიყენება ვითარებითში დასმული სა—ო კონფიქსებით ნაწარმოები დანიშნულების სახელები: სანადიროდ, სალაშქროდ...: მამალი მელა დადიოდა სანადიროდ: ი. გოგებ. IX, 40, 10... რაჭულში მას მიცემითიც ენაცვლება და გვაქვს სანადიროს: თაზი იყო ერთი და წავიდა სანადიროს: შ. ძიძიგური, ქართ. დიალექტ. მასალები, 191, 14<sup>229</sup>.

ანალოგიური წარმოება მეგრულშიც შეინიშნება: მიდელხონგ ხენწიფეში სქუაქ ძღაბი უთუოთ საჩილოთი: ხუბ., 75, 14 — წაიყვანა ხელმწიფის შვილმა გოგო ნამდვილად საცოლედ; ბოშიქ... ქუდუტუ ართი ლეკური გოსაშინეთ: ხუბ., 1, 8 — ბიჭმა დაუტოვა ერთი ხმალი გასახსენებლად...

ქართულ-მეგრულის კონტამინაციითაა მიზნის გარემოებად გამოყენებული სანადიროშა, რომელიც იწარმოება ქართულისებურად, მაგრამ დაისმის მიმართულებითში: ეფერი ეამს ბადიდიქ მიდართვ სანადიროშა: ხუბ., 59, 1 — იმეკარ დროს მოხუცი წავიდა სანადიროდ.

ქართულში ნათესაობით ბრუნვაში სახელსა და სახელსმნას დაერთვის -თვის თანდებული ან ამავე მნიშვნელობით გულისათვის: მასდარს შეიძლება დაერთოს მიზნით<sup>230</sup>: დედა მაშინვე სოფლის სკოლის მასწავლებელთან გაიქცა წამლისათვის: ი. გოგებ., V, 401, 2; დიად ხუთწლედის გამარჯვებისათვის იბრძვის მუშათა ენთუზიაზმი: ალ. მირცხ., 49, 1ბ.

-თვის თანდებულიანი სახელის მნიშვნელობით გვხვდება ნანათესაობითარი ვითარებითიც: პირებს აღებენ საკმლისად ნიბლია-ჩიტის შვილები: ვაჟა, I, 258, 8, შდრ. მეგრული: აჭკომალიშოთ მოკო — საკმლისათვის (//საკმლისად) მინდა.

---

<sup>229</sup> საინტერესოა ემზადება შემასმენელთან უთანდებულო მიცემით, რომელიც ისტორიულად ირიბი დამატება უნდა ყოფილიყო და ამჟამად მიზნის გარემოების გაგება აქვს: გიორგოლიც ქორწილს ემზადება: ა. ყაზბ. I, 208, 33; მოსამართლეებმა თავისუფლად ამოისუნთქეს და უკვე წასვლას ემზადებოდნენ: ნ. ლორთქ. II, 16, 10.

თანდებულებიანი ჩიბრზე მიზნის გარემოების მნიშვნელობითაა ჩიბრის მიზნით: ოტია... მუდამ იმის ფიქრში იყო, რამენაირად, ღეთის შეწუვნით, მათ ჩიბრზე ისეთა ქალი მოყვანა, რომ სარდიონის ქალიშვილს სჯობნებოდა: დ. კლდ. I, 204, 33.

<sup>230</sup> ლ. კვაჭაძე, თანამედროვე ქართული ენის სინტაქსი, გვ. 154.

-თვის თანდებულისანი სახელის გაგებითაა ნათესაობით ბრუნ-  
ვაში დასმულ სახელთან გ უ ლ ი ს ა თ ვ ი ს: ერთმა სპილოს წინა-  
მძღოლმა ხუმრობის გ უ ლ ი ს ა თ ვ ი ს კაკალი იმის თავზე და-  
ლო: ი. გოგებ., VI,72,34, შდრ. ადგილის გ უ ლ ი ს ა დ მოკვდით  
და დაისაჯნით: ვაჟა, II,52,20.

ასეთივეა მეგრული გ უ რ ი შ ე ნ ი და ქანური გ უ რ ი ნ ე:  
ათეშ გ უ რ ი შ ე ნ ი ზღვაშა ცუდე ქემშაკეთებაფუ ხენწფჯექ:  
ხუბ., 94,12 — ამის გულისათვის ზღვაზე სახლი ააშენებინა ხელმწი-  
ფემ...; ნანა ჭამიში გ უ რ ი ნ ე. იგზალუ — დედა წამლის გული-  
სათვის წავიდა.

სიანურში -თვის თანდებულისანი მიზნის გარემოების გამოსა-  
ხატავად -თე თანდებულისანი სახელი იხმარება: დედელ ადკომნე  
ჟ ა გ რ ა ლ თ ე — დედა გაიქცა წამლისათვის...

მიზნის გარემოებას გამოხატავს ზმნისართად ქცეული ნ ი შ -  
ნ ა დ ნათესაობითში დასმულ სახელთან ერთად: ქალმა შერიგე-  
ბის ნ ი შ ნ ა დ ხელი გამომიშვირა: აკაკი, IV,198,7; ვაშალომიძემ  
მოწონების ნ ი შ ნ ა დ თავი დაუქნია: კ. ლორთქ., 91,14.

სიანურში მიზნის გარემოება ვითარებითი ბრუნვითაც გად-  
მოიციემა: სალდთ ლ ა შ ი ა ლ დ ანმარწნ — ჯარისკაცი საომრად  
მოემზადა.

მიზნის გარემოების გამოსახატავად თანაბრად გამოიყენება  
მასდარი და მიმღეობა. ეს ვითარება, ალბათ, აიხსნება იმით, რომ  
მასდარისა და მიმღეობის დიფერენციაციას წინ უსწრებდა მიზნის  
გარემოების, როგორც წინადადების წევრის, ჩამოყალიბება.

§ 99. მიზნის გარემოება ნაზმნარ სახელებთან. მიზნის გარე-  
მოება შემასმენელთან მირთული სიტყვაა, შეიძლება ის ახლდეს  
მასდარით ან მიმღეობით გამოხატულ წევრს: იგი შეუდგა გა დ ა -  
ს ა ხ ლ ე ბ ი ს ა თ ვ ი ს მ ზ ა დ ე ბ ა ს: დ. კლდ., I,317,8; გუშინ  
ქალაქს ვაპირებდი ს ა ე ქ ი მ ო დ წ ა ს ვ ლ ა ს: კ. გამს., V,143,14;  
ეს მიმინოა ს ა ნ ა დ ი რ ო დ გა მ ო ს უ ლ ი: ნ. ლორთქ., I,  
153,16; კოლმეურნეთა საგაზაფხულო შეკრებისათვის გა-  
მ ა რ თ უ ლ წ ა რ მ ო დ გ ე ნ ა ს ს ხ ე ბ თ ა ნ ერთად ისიც დაესწრო:  
დ. შენგ., II,355,26, შდრ. მეგრული: სუმხოლოქ მინდომეს  
ო გ უ რ ა ფ უ შ ა უ ლ ა: ყიფშ., 7,14 — სამივემ მოინდომა სას-  
წავლებლად წასვლა.

## СОСТАВ ПРОСТОГО ПРЕДЛОЖЕНИЯ В КАРТВЕЛЬСКИХ ЯЗЫКАХ

### Резюме

1. О составе простого предложения и словосочетания мы можем судить на основании анализа богатого материала грузинского языка, начиная с пятого века. В ряде случаев сохранились также неоспоримые факты в диалектах грузинского языка и других картвельских языках.

2. Словосочетание образуется глаголом, именем существительным, именем прилагательным или наречием. Вследствие этого имеем глагольные словосочетания, именные словосочетания и наречные словосочетания.

3. По цели высказывания предложения бывают: повествовательные, вопросительные, побудительные и эмоциональные.

Эти типы предложения сходны между собой порядком слов и синтаксическими отношениями, но различны друг от друга присущей им интонацией.

4. В картвельских языках из членов предложения по синтаксической зависимости с глаголом-сказуемым выделяются главные и второстепенные члены предложения.

Главными членами являются подлежащее, сказуемое, прямое и косвенное дополнения; второстепенными — простое дополнение, определение и обстоятельства.

5. В падежах подлежащего нет единообразия: в грузинском и сванском подлежащее при непереходном глаголе ставится в именительном падеже (кроме инверсивных форм типа *u.qvars, xalät* «любит»), а при переходном — в именительном (в I серии), в эргативном (во II) и в дательном (в III).

Занский язык отличается от грузинского и сванского; различаются и диалекты занского языка — мегрельский и

чанский: подлежащее непереходного глагола в мегрельском диалекте стоит в именительном падеже в первой, третьей и четвертой группах времен. В именительном падеже стоит также подлежащее переходного глагола в первой и четвертой группах времен.

Эргативная конструкция характерна для второй группы времен: подлежащее стоит в эргативном падеже при переходных и непереходных глаголах.

В дательном падеже ставится подлежащее в третьей серии при переходном глаголе или непереходном одноличном глаголе типа *geudginu bajanas, midurtumu kos...*

В чанском диалекте подлежащее с непереходным глаголом, как правило, стоит в именительном падеже, подлежащее переходного глагола — в эргативном падеже. Данная конструкция прямая. Однако наблюдаются случаи, когда в глаголах группы результативного времени подлежащее ставится в дательном падеже — эта конструкция инверсивная. Замечаются и некоторые отклонения от этих правил.

6. С течением времени синтаксическая связь между сказуемым и подлежащим с суффиксом *-eb* постепенно изменялась, совершенствовалась; множественное число с суффиксом *-eb*, выступая в качестве субъекта (подлежащего), расширило свою синтаксическую силу и проявила тенденцию занять господствующее положение в современном грузинском языке.

Согласование сказуемого в числе с реальным субъектом (иногда и с косвенным дополнением), стоящим в дательном падеже, явление сравнительно новое.

7. Прямое дополнение в этих языках употребляется при переходных глаголах и выражено дательным и именительным падежами. Падеж прямого дополнения обусловлен падежом подлежащего: когда подлежащее стоит в именительном падеже, то прямое дополнение — в дательном, а если подлежащее в эргативном падеже, то прямое дополнение — в именительном.

Косвенное дополнение ставится в дательном падеже без предлога.

8. Сказуемое выражается глаголом. Его синтаксическая сила определяется отношением к подлежащему и дополнению. Глагол может отобразить структуру предложения.

9. В картвельских языках определения бывают атрибутивное и субстантивное. Атрибутивное определение связано с определяемым словом посредством согласования в падеже, а субстантивное определение ставится в родительном падеже, т. е. управляется в падеже.

Управляемое определение в случае постпозиции превращается в управляемо-согласованное определение.

10. обстоятельство обозначает место, время, образ действия, меру и количество, причину и цель действия. Оно выражается наречием или соответствующим именем.

В качестве обстоятельства места встречается имя существительное в дательном, направительном, родительном или творительном падеже с послелогами и без них.

Обстоятельство времени, помимо наречия, выражается именами в именительном, дательном, направительном, родительном и творительном падежах.

При выражении обстоятельства места и времени именами чередуются друг с другом дательный и направительный падежи. Эти явления находят свое объяснение в истории происхождения и развития надежных форм.

Обстоятельства образа действия в картвельских языках выражаются как корневыми, так и отыменными наречиями и именами без послелога или с послелогами.

Здесь в картвельских языках замечается разнообразие.

В грузинском языке обстоятельства образа действия выражаются наречиями (ase←as-ge... «так»... piçlav «спешно»... çalian «очень») и именами.

В качестве обстоятельства образа действия часто встречаются имя прилагательное и причастие страдательного или среднего залога в направительном падеже (kargad «хорошо», brçqinvald «блестяще»...).

Имя существительное может стоять в именительном падеже с послелогом -vit (kaçivit «как человек»), в дательном падеже с послелогами -vit и -ze (kaçavit «как человек», bedze «к счастью»...) или без послелога (mxar-tezos çamoçoliliqo) в ро-

дательном падеже с послелогом -ebr (elvisibr...), -tvis (ta-vistvis....) и -vit (vašlisavit...); в творительном падеже (sixarulit....) и направительном падеже (žgurad...).

В мегрельском диалекте занского языка в качестве обстоятельства образа действия употребляются наречие (taši, teši....), имя прилагательное и причастие (ž gigo, yurelo...) и имена в роли наречия в именительном падеже (nabetani....), в эргативном (zalamk axiolu—«очень порадовался»), в дательном (suxens zalamz—«беспокоится очень»), в направительном (xiarulo «радостно»), в родительном с послелогом -ogo (košišoro ibirs «поет как человек»), в творительном (gulaiat koport 'udeša «бегом пришел домой»), в отложительном падеже (tqobaše ingars «тихонько плачет»).

В чапско-м диалекте занского языка обстоятельствами образа действия выступают наречия и имена в именительном падеже (cçkai kai došibines «хорошо согрели [воду]...», paši šinarəni «плохо упоминают»), в родительном с послелогом -steri (cxeni irxistei nišu «лошадь шла как ветер»), в отложительном падеже с послелогом -ni (ožicinušeni bandalaptu mtuti «смешно шатался медведь»), в направительном падеже (maniša tepsis gjaḡni «быстро схватил сковородку») и в творительном падеже (cil-komoži dido oras kainobate skides «Супруги долго прожили хорошо»).

В сванском языке в качестве обстоятельства образа действия имеем наречия и имена в направительном и творительном падежах (txeril škərd esyərda «волк быстро шел»; čorlai larəncleuš anḡi «Чорла с трудом идет»).

Обстоятельство меры и количества указывают сколько и в какой раз происходит действие. В картвельских языках оно представлено наречиями, образованными от имен числительных.

В качестве обстоятельства причины выступают наречия причины и послеложные имена. Сравнительно редко встречаются беспослеложный творительный и направительный падежи.

Обстоятельство цели, кроме наречия, выражается с -tvis послеложным масдаром и причастием.



## შემოკლებათა ბანარტები

- აღ. აბაშ. II — აღ. აბაშელი, თხზულებათა სრული კრებული, II, თბილისი, 1960.
- აკაიი IV — აკაიი წერეთელი, თხზულებანი, სრული კრებული შვიდ ტომად, ტ. IV, თბილისი, 1948, პ. ინგოროყვას რედ.
- კ. ამირ. — ჰაბუა ამირეჯიბი, „დათა თუთაშხია“, I, თბილისი, 1975.
- შ. არაგვ. — შ. არაგვისპირელი, თხზულებათა სრული კრებული, ტ. I, თბილისი, 1947, ტ. II, თბილისი, 1947.
- ა. ბელ. უღელტ. — ა. ბელიაშვილი, „უღელტეხილი“, თბილისი, 1956; ერთტომეული, თბილისი, 1954; ახალგ. — „ახალგაზრდები“, თბილისი, 1952.
- ბ. ბერ. — ხუტა ბერულავა, ერთტომეული, თბილისი, 1957.
- ბზ. — სვანური პროზაული ტექსტები, I, ბალსხემოური კილო, ტექსტები შეკრიბეს ა. შანიძემ და ვ. თოფურიაშ, თბილისი, 1939.
- ბეს. გაბ. — ბეს. გაბუჯრი, ხევსურული მასალები, ა. შანიძის რედ., ქართული საენათმეცნიერო საზოგადოების წელიწდული, I—II, 1923—1924.
- კ. გამს. — კ. გამსახურდია, რჩეული თხზულებანი, ტ. I, თბილისი, 1959; ტ. II, თბილისი, 1959; ტ. III, თბილისი, 1960; ტ. IV, თბილისი, 1962; ტ. V, თბილისი, 1961.
- რ. გვიტ. — რ. გვიტაძე, რჩეული, თბილისი, 1941.
- ი. გოგებ. — ი. გოგებაშვილი, თხზულებანი, ტ. V, თბილისი, 1957; ტ. VI, თბილისი, 1958; ტ. IX, თბილისი, 1962.
- ი. გრიშ. — ი. გრიშაშვილი, ერთტომეული, თბილისი, 1949.
- დ. გურ. — დ. გურამიშვილი, დავითიანი, თბილისი, 1955.
- შ. დად. — შ. დადიანი, რჩეული თხზულებანი, I, თბილისი, 1958; II, თბილისი, 1959; III, თბილისი, 1960; IV, თბილისი, 1961.
- ნ. დუმბ. — ნ. დუმბაძე, ოთხი რომანი, თბილისი, 1973.
- რ. ერისთ. — რ. ერისთავი, რჩეული თხზულებანი, თბილისი, 1958.
- ვაჟა — ვაჟა-ფშაველა, თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, ტ. I—X, თბილისი, 1964.
- თეიმ. II — თეიმურაზ II, თხზულებათა სრული კრებული, გ. ჯაკობიას რედაქციით, თბილისი, 1939.
- შ. ფოდ. — შ. თოდუა, ქართულ-სპარსული ეტიუდები, II, თბილისი, 1975.
- ი — სახარება იოვანესი: ქართული ოთხთავის ორი ძველი რედაქცია სამი შატბერდული ხელნაწერის მიხედვით (897, 936, 973 წწ.), ვაჟა-ფშაველას მიხედვით, თბილისი, 1945.
- ილია — ილია ქავჭავაძე, თხზულებათა სრული კრებული ხუთ ტომად, ტ. I, პ. ინგოროყვასა და აღ. აბაშელის რედაქციით, თბილისი, 1937.
- რ. ინან. — რ. ინანიშვილი, მეგობრებისადმი მინაწერი წერილებიდან, თბილისი, 1958.
20. ა. კიხირია

- ა. კალანდ. — ანა კალანდაძე, ლექსები, თბილისი, 1973.
- კარტ. ლ.ზ. — გ. კარტოზია, ლაზური ტექსტები, თბილისი, 1972.
- კარტ. მას. — გ. კარტოზია, მასალები ლაზური ზეპირსიტყვიერებისათვის, კრებული „ქართული ლიტ საკითხები“, თბილისი, 1968, გვ. 149—178.
- კარტ. პან. ტექსტ. — გ. კარტოზია, ლაზური ტექსტები, „მაენე“, № 4, 1970, გვ. 219—232.
- დ. კლდ. I — დ. კლდიაშვილი, თხზულებანი, ტ. I, თბილისი, 1952.
- ს. კლდ. — ს. კლდიაშვილი, რჩეული პროზა, თბილისი, 1951.
- ლ — სახარებას ლუკასი, ნ. ი.
- ლენტ. — სვანური პროზაული ტექსტები, II, ლენტეხური კილო, ტექსტები შეკრიბეს და რედაქცია გაუკეთეს ვ. თოფურიაშ და პ. ქალდაძე, თბილისი, 1967.
- გ. ლეონ. — გ. ლეონიძე, ნატერის ხე, თბილისი, 1962.
- ნ. ლორთქ. — ნ. ლორთქიფანიძე, თხზულებათა სრული კრებული, I, თბილისი, 1958; II, თბილისი, 1959.
- კ. ლორთქ. — კ. ლორთქიფანიძე, მოთხრობები, თბილისი, 1975.
- მ — სახარება მათსი, ნ. ი.
- მას. — ქართული ხალხური პოეზიის მასალები, თბილისი, 1971.
- ს. მგაღ. — ს. მგაღლობლიშვილი, რჩეული მოთხრობები, თბილისი, 1951.
- ა. შირაცხ. — ალიო შირაცხულაძე, ლექსები და პოემები, თბილისი, 1955.
- მრ. — სახარება მარკოზისი, ნ. ი.
- ნ. ნაკ. — ნ. ნაკაშიძე, მოთხრობები და პიესები, თბილისი, 1950.
- ე. ნინოშ. — ე. ნინოშვილი, თხზულებანი, ტ. I, თბილისი, 1932; ტ. II, თბილისი, 1932.
- შ. ნიქ. — შ. ნიქარაძე, ქართული ენის ზემოაქარული დიალექტი, ბათუმი, 1961.
- ი. ნონეშ. — ი. ნონეშვილი, ლექსები, პოემა, თბილისი, 1951.
- ჩ. ნოღ. — ჩ. ნოღაიდელი, აქარული კილოს თავისებურებანი, ბათუმი, 1960.
- გრ. ორბ. — გრ. ორბელიანი, თხზულებათა სრული კრებული, თბილისი, 1959.
- ელ. ჰან. — ელ. ელენტი, ჰანური ტექსტები, ტფილისი, 1938.
- არესულდ. — არესულდანიანი, ილია აბულაძისა და ივანე გიგინეიშვილის რედაქციით, თბილისი, 1957.
- სე. პ. — სვანური პოეზია, I, სიმღერები შეკრიბეს და ქართულად თარგმნეს ა. შანიძემ, ვ. თოფურიაშ, მ. გუჭეჭიანმა, თბილისი, 1939.
- დ. სულ. — დ. სულიაშვილი, რჩეული, თბილისი, 1956.
- გ. ტაბ. — გ. ტაბიძე, ლექსები, ტფილისი, 1927.
- ქართ. დიალ. — ი. გიგინეიშვილი, ვ. თოფურია, ი. ქავთარაძე, ქართული დიალექტოლოგია, I, თბილისი, 1961.
- ქართ. ხალხ. სიტყვ. — ქართული ხალხური სიტყვიერება, მეგრული ტექსტები, I, თბილისი, 1975.
- ლ. ქიაჩ. — ლ. ქიაჩელი, თხზულებანი ოთხ ტომად, ტ. II, თბილისი, 1947; ტ. III, თბილისი, 1950; ტ. IV, თბილისი, 1955.
- დ. გურ. — ალ. დლონტი, გურული ფოლკლორი, I, თბილისი, 1937.
- ა. ყაზბ. — ა. ყაზბეგი, თხზულებანი, ტ. I, თბილისი, 1948; ტ. II, თბილისი, 1948.
- ე. ყიფ. — ელ. ყიფიანი, მოთხრობები ტ. I, თბილისი, 1974.

- ი. ყიფშ. — ი. ყ ი ფ შ ი ძ ე, Грамматика мингрельского (иверского) языка с хрестоматиею и словарем, СПб, 1914.
- ი. ყიფშ. კან. — ი. ყ ი ფ შ ი ძ ე, კანური ტექსტები, თბილისი, 1929.
- გ. შატბ. — გ. შ ა ტ ბ ე რ ა შ ე ი ლ ი, თხზულებანი ოთხ ტომად, ტ. II, თბილისი, 1972; ტ. IV, თბილისი, 1975.
- დ. შენგ. — დ. შ ე ნ გ ე ლ ა ი ა, თხზულებანი, ტ. II, თბილისი, 1960; ბ. ქ. — „ბათა ქეჭია“, თბილისი, 1933.
- პ. ჩხიკე. — პ. ჩ ხ ი კ ე ა ძ ე, ერთტომეული, თბილისი, 1955.
- გ. წერ. — გ. წ ე რ ე თ ე ლ ი, რჩეული ნაწერები, ტ. I, თბილისი, 1947.
- კან. I — არნ. ჩ ი ქ ო ბ ა ე ვ ა, კანური ტექსტები, I, თბილისი, 1929.
- კან. II — არნ. ჩ ი ქ ო ბ ა ე ვ ა, კანურის გრამატიკული ანალიზი, II, ტექსტები, თბილისი, 1936.
- რ. კეიშე. — რ. კ ე ი შ ე ი ლ ი, „დალი“, თბილისი, 1976.
- თ. კილ. — თ. კ ი ლ ა ძ ე, „აპა მიიწურა ზამთარი“, თბილისი, 1967.
- ჟინჟ. ხევს. — ალ. ჰ ი ნ ჰ ა რ ა უ ლ ი, ხევსურულის თავისებურებაანი, თბილისი, 1960.
- ხოფ. — ი. ა ს ა თ ი ა ნ ი, კანური (ლაზური) ტექსტები, I, ხოფური კილოკავი, თბილისი, 1974.
- ხუბ. — მ. ხ უ ბ უ ა, მეგრული ტექსტები, თბილისი, 1937.
- მ. ჭავახ. — მ. ჭ ა ვ ა ხ ი შ ე ი ლ ი, რჩეული თხზულებანი ექვს ტომად, ტ. I, თბილისი, 1958; ტ. II, თბილისი, 1959; ტ. III, თბილისი, 1960, ტ. IV, თბილისი, 1961; ტ. IV, თბილისი, 1962.

## გოლოსიტყვაობა

„მარტივი წინადადების შედგენილობა ქართველურ ენებში“ დამუშავდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტის გეგმით. ცალკეული საკითხები მოხსენებათა სახით წაკითხული იყო ამავე ინსტიტუტის ქართველურ ენათგანყოფილების საჯარო სხდომებზე. წიგნი ემყარება ქართული ენათმეცნიერების მიღწევებს და მიზნად ისახავს მიაწოდოს მკითხველს ცნობები ქართველურ ენათა სინტაქსიდან.

წინამდებარე შრომაში ამოსავალი ქართული ენაა, ზანურისა და სვანურის მონაცემები განხილულია ქართულთან მიმართებით. გზადაგზა გათვალისწინებულია მოვლენის ისტორია, ამ მიზნით თანამედროვე ფორმები შედარებულია ძველ ქართულთან.

წიგნი ორი ნაწილისაგან შედგება. პირველ ნაწილში მოცემულია შესიტყვების ანალიზი, აქვე გათვალისწინებულია საკითხის ისტორიაც. მეორე ნაწილი ეხება წინადადების აგებულებასა და წინადადების წევრთა სინტაქსურ ურთიერთობას. ავტორისათვის ამოსავალია ჩვენში დამკვიდრებული გაგება, რომ შესიტყვება და წინადადება ერთმანეთს არ უპირისპირდება. წინადადება შეიცავს შესიტყვებას. ეს უკანასკნელი შეიძლება წარმოადგენდეს მთელ წინადადებას ან მის ნაწილს. „წინადადება არის ერთ-ერთი სახის შესიტყვება“ (არნ. ჩიქობავა).

შესიტყვებისა და წინადადების ანალიზი ცალ-ცალკეა წარმოდგენილი იმითომ, რომ პირველს ემყარება მეორე და, ამდენად, სურვილი იყო ქართველურ ენათა მდიდარი მასალის საფუძველზე გვეჩვენებინა, თუ რა საშუალებითა და როგორ უკავშირდებიან ერთმანეთს წინადადებაში შემავალი სიტყვები — წინადადების წევრები.

„მარტივი წინადადების შედგენილობა ქართველურ ენებში“ ემყარება დიდძალ საილუსტრაციო მასალას. ეს მასალები ამოღებულია მეცხრამეტე და მეოცე საუკუნეების ქართველ მწერალთა ნაწარმოებებიდან. შესადარებლად გამოყენებულია ზანურისა და სვანურის ნიმუშები, რომლებიც შერჩეულია გამოქვეყნებული ტექს-

იტებიდან; რიგ შემთხვევაში დამოწმებულია ავტორის მიერ მო-  
ძიებული და ადგილებზე შემოწმებული მაგალითებიც.

ქართულ-ზანურ-სვანურის სინტაქსურ თავისებურებათა შეს-  
წავლისას ყურადღება მიიქცია იმ გარემოებამაც, რომ ერთნაირი  
ვითარების გვერდით შეინიშნება განსხვავებებიც. ავტორი შეეცადა  
ეს უკანასკნელი უფრო ვრცლად განეხილა.

მარტივი წინადადების აგებულებისა და შედგენილობის სა-  
კითხები ამ წიგნით არ ამოიწურება. სხვა მოვლენებზე მომავალ-  
შიც გამახვილდება ყურადღება.

წიგნზე მუშაობა დამთავრდა 1979 წლის აპრილში, ამიტომ  
შემდეგ გამოსული ლიტერატურის გამოყენება ვერ მოხერხდა.

## შ ი ნ ა ა რ ს ი

I. შესიტყვება	3
II. მარტივი წინადადება	62
მარტივი წინადადების ტიპები	62
წინადადების მთავარი წევრები	74
1. ქვემდებარე	74
2. შემასმენელი	107
3. პირმმართი დამატებები	133
წინადადების მეორე ხარისხოვანი წევრები	145
1. პირმიუმართავი დამატებები	145
2. განსაზღვრება	189
3. გარემოება	230
1. ადგილის გარემოება	230
2. დროის გარემოება	252
3. ვითარების გარემოება	273
4. ზომისა და ოდენობის გარემოება	288
5. მიზეზის გარემოება	290
6. მიზნის გარემოება	295
Состав простого предложения в картвельских языках	301
შემოკლებათა განმარტება	305
ბოლოსიტყვაობა	308

დაიბეჭდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის  
სარედაქციო-საგამომცემლო საბჭოს დადგენილებით

ИБ 1540

\*

გამომცემლობის რედაქტორი გ. გოგიავა  
ტექრედაქტორი ნ. ოკუჯავა  
მხატვარი გ. ლომიძე  
კორექტორი ე. ჩიხლაძე

გადაეცა წარმოებას 15.12.1980; ხელმოწერილია დასაბეჭდად 4.4.1982;  
ქალაქის ზომა 60×90<sup>1</sup>/<sub>16</sub>; ქალაქი № 1; ნაბეჭდი თაბახი 19.5;  
სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 17.4;

უე 00783; ტირაჟი 2000; შეკვეთა № 4119;

ფასი 2 მან. 25 კაპ.

---

გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19  
Издательство «Мецниереба», Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

---

საქ. სსრ მეცნ. აკადემიის სტამბა, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19  
Типография АН Груз. ССР, Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

АНТОН ИОСИФОВИЧ КИЗИРИА

СОСТАВ ПРОСТОГО ПРЕДЛОЖЕНИЯ  
В КАРТВЕЛЬСКИХ ЯЗЫКАХ

(на грузинском языке)

ТБИЛИСИ

1982

რეცენზენტები: ფილოლოგიის მეცნ. დოქტორი, პროფ.  
მ. ქალდანი,  
ფილოლოგიის მეც. კანდიდატი  
ლ. კვანტალიანი